საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



წლიური ანგარიში

წლიური ანგარიში

2025

ყოველწლიური პუბლიკაცია
ISSN 1512–1739

სარჩევი

აბრევიატურები 8
შესავალი 10

01.
მაკროეკონომიკური გარემო 21
1.1. მსოფლიო ეკონომიკა 22
1.2. საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი 26
1.3. ეკონომიკური ზრდა 33
1.4. სამომხმარებლო ფასების ცვლილება 37

02.
ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა 41
2.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა 42
2.2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები 49
2.2.1. რეფინანსირების სესხი 50
2.2.2. ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი 50
2.2.3. ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები 51
2.2.4. ფასიანი ქაღალდები 51
2.2.5. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები 54
2.2.6. საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემის განვითარება 55
2.3. სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა 56

03.
ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა 59
3.1. ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება 62
3.2. გაჯანსაღების და რეზოლუციის ჩარჩო 67
3.3. ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისო კომიტეტი 72
3.4. საფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაცია 73

04.
საბანკო ზედამხედველობა 75
4.1. საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება 76
4.2. კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკი 79
4.2.1. კომერციული ბანკების/მიკრობანკების ლიცენზირების, ადმინისტრატორებისა და მნიშვნელოვანი წილის შემძენის/მფლობელის შესაფერისობის შემოწმების პროცესი 81
4.3. კაპიტალის ადეკვატურობა 82
4.4. ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა 84
4.5. საკრედიტო რისკი 84
4.6. საბაზრო რისკი 98
4.6.1. სავალუტო რისკი 98
4.6.2. საპროცენტო რისკი 99
4.7. მომგებიანობის რისკი 100
4.8. ლიკვიდობის რისკი 101
4.8.1. ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა 101
4.8.2. ვალდებულებების სტრუქტურა 103
4.8.3. საცალო დაფინანსება 104
4.8.4. საბითუმო დაფინანსება 106
4.9. მაკროპრუდენციული რისკები 107
4.10. საოპერაციო რისკი 108
4.10.1. საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში 111
4.11. კიბერრისკი 113
4.11.1. კიბერრისკის მიმართულებით გადადგმული საზედამხედველო ნაბიჯები 115
4.12. ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება 116
4.12.1. ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობა 116
4.12.2. მოდელის რისკი 118
4.12.3. საკრედიტო საინფორმაციო ბიურო/ პლატფორმა 119
4.12.4. ღია ბანკინგი/ფინანსები 122
4.13. ინფორმაციის დამუშავება და საზედამხედველო ტექნოლოგიები 125

05.
მომხმარებელთა უფლებების დაცვა 126
5.1. ნორმატიული ბაზის სრულყოფა 127
5.1.1. მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი 127
5.1.2. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით მარეგულირებელ უწყებათა შორის თანამშრომლობა 129
5.2. საფინანსო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების დისტანციური და ადგილზე შემოწმება; თემატური შემოწმებები 129
5.2.1. საკრედიტო საინფორმაციო ბიურო 131
5.3. ფინანსურ ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების მონაცემები 131

06.
ფინანსური განათლება 137
6.1. ფინანსური განათლება 138
6.2 სტრატეგიული პროექტები 145

07.
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობა 148
7.1. არასაბანკო სექტორის ზოგადი მიმოხილვა 149
7.2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები 150
7.3. სესხის გამცემი სუბიექტები 161
7.4. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 164
7.5. საკრედიტო კავშირები 165

08.
ფასიანი ქაღალდების ბაზარი 166
8.1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განსავითარებლად განხორციელებული აქტივობები და ბაზრის გამჭირვალობის ხარისხის ასამაღლებლად გატარებული ღონისძიებები 167
8.2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაჩვენებლები 169
ობლიგაციების ბაზარი 169
8.3. ბაზრის მონაწილეების მიმოხილვა 174
საბროკერო კომპანიები 174
საფონდო ბირჟა 175
8.4. საქართველოს საპენსიო ფონდის საქმიანობის მიმოხილვა 177
საკანონმდებლო ჩარჩოს განახლება 177

საინვესტიციო საქმიანობის შედეგები 177
პენსიის გაცემის სტატისტიკა 181
8.5. ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების მარეგულირებელი ჩარჩოს განახლება 181
8.6. აქტივების მმართველი კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მიმოხილვა 181

09.
ფულის გათეთრების ინსპექტირება და ზედამხედველობა 183

10.
საგადახდო სისტემების ოვერსაითი 188
10.1. მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემები 191
საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული დავები 191
10.2. RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციები 193
10.3. გადახდის ელექტრონული საშუალებები 197
10.4. საბარათე ინსტრუმენტების ბაზარი 200
10.5. არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერები 206
პროვაიდერების გადახდები (გარდა ელექტრონული ფულით ოპერაციებისა) 206
გადახდები ელექტრონული ფულით 207

11.
საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაცია 208

12.
საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება 216

13.
საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია 227

14.
შიდა აუდიტი და რისკების ცენტრალიზებული მართვა 238
14.1. შიდა აუდიტის სამსახური 239
14.2. არაფინანსური რისკების მართვა 240
14.3. ბიზნესის უწყვეტობის მართვა 242

15.
საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა 243

16.
ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება 254

17.
ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება 260

18.
სტატისტიკური საქმიანობა 277
18.1. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა 278
18.2. საგადასახდელო ბალანსი და საგარეო სექტორის სტატისტიკა 280

19.
კიბერუსაფრთხოება 281

20.
ფინანსური ანგარიშგება 283

დიაგრამები

დიაგრამა N 1.1. რეალური მშპ-ის ზრდა მსოფლიოში 23
დიაგრამა N 1.2. სფი ინფლაცია მსოფლიოში 24
დიაგრამა N 1.3. რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა 25
დიაგრამა N 1.4. საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება 27
დიაგრამა N 1.5. 2025 წლის მიმდინარე ანგარიში/მშპ ფარდობის ცვლილების დეკომპოზიცია 27
დიაგრამა N 1.6. საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება 27
დიაგრამა N 1.7. საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილების დეკომპოზიცია კატეგორიების მიხედვით 27
დიაგრამა N 1.8. საქონლის იმპორტის წლიური ცვლილების დეკომპოზიცია კატეგორიების მიხედვით 29
დიაგრამა N 1.9. საქონლის რეგისტრირებული იმპორტის და ადგილობრივი იმპორტის წლიური ზრდა 29
დიაგრამა N 1.10. მომსახურების ექსპორტის კომპონენტების ფარდობა მშპ-თან 30
დიაგრამა N 1.11. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები 30
დიაგრამა N 1.12. მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები 30
დიაგრამა N 1.13. ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით 31
დიაგრამა N 1.14. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები (პროცენტულად მშპ-თან) 32
დიაგრამა N 1.15. ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (იან.2020=100) 33
დიაგრამა N 1.16. რეალური მშპ-ს ზრდა სექტორების მიხედვით (წვლილი ზრდაში) 34
დიაგრამა N 1.17. რეალური მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით (წვლილი ზრდაში) 36
დიაგრამა N 1.18. რეალური მშპ-ს ზრდა შემოსავლების მიხედვით (წვლილი ზრდაში) 37
დიაგრამა N 1.19. მთლიანი და საბაზო (სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაცია 38
დიაგრამა N 1.20. ძირითადი კომპონენტების წვლილი ინფლაციაში 38
დიაგრამა N 1.21. იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია 39
დიაგრამა N 2.1. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 45
დიაგრამა N 2.2. საპროცენტო განაკვეთების სპრედი და საკრედიტო აქტივობა (სესხების წლიური ზრდის ტემპი ვალუტების მიხედვით) 45
დიაგრამა N 2.3. რეფინანსირების სესხების წლიურ ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები 47
დიაგრამა N 2.4. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი 48
დიაგრამა N 2.5. საბანკო სექტორის დოლარიზაციის მაჩვენებლები (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 49
დიაგრამა N 2.6. სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის დინამიკა 2020-2025 წლებში 52

დიაგრამა N 2.7. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2016-2025 წლებში 53
დიაგრამა N 2.8. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა მფლობელობის მიხედვით 2016-2025 წლებში 53
დიაგრამა N 2.9. ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 1997-2025 (მლნ აშშ დოლარი, წლის ბოლოს მაჩვენებელი) 57
დიაგრამა N 3.1. სესხებისა და ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპების შედარება 61
დიაგრამა N 3.2. სისტემური ბანკების კონცენტრაცია საბანკო ბაზარზე (2025 წლის 31 დეკემბრის მიხედვით) 69
დიაგრამა N 3.3. MREL რესურსი ინსტრუმენტების მიხედვით - 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით 71
დიაგრამა N 3.4. ფინანსური ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიმდინარეობა 2025 წელს 74
დიაგრამა N 4.1. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად 83
დიაგრამა N 4.2. პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 84
დიაგრამა N 4.3. მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით 85
დიაგრამა N 4.4. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით 86
დიაგრამა N 4.5. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ სეგმენტში 86
დიაგრამა N 4.6. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო და მიკრო სეგმენტში 87
დიაგრამა N 4.7. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო სეგმენტში 87
დიაგრამა N 4.8. ციკლური სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში 89
დიაგრამა N 4.9. სეგმენტების ნაშთები ვალუტების ჭრილში 2025 წლის ბოლო მდგომარეობით (ბანკთაშორისი სესხების გარდა) 91
დიაგრამა N 4.10. საცალო პროდუქტების პორტფელის კომპოზიცია ვალუტების ჭრილში 91
დიაგრამა N 4.11. საცალო პორტფელის ხარისხი და რეზერვის წილი პროდუქტების მიხედვით 92
დიაგრამა N 4.12. საკრედიტო რისკის ხარჯის ცვლილება (დეკ-2024 - დეკ-2025) 93
დიაგრამა N 4.13. საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა) 93
დიაგრამა N 4.14. რესტრუქტურიზებული და საყურადღებოდ მოდიფიცირებული სესხების წილი ვალუტების მიხედვით მთლიან სასესხო პორტფელში 94
დიაგრამა N 4.15. უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით ბიზნეს სესხებში 94
დიაგრამა N 4.16. უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით იპოთეკურ სესხებში 95
დიაგრამა N 4.17. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა 95
დიაგრამა N 4.18. ცვლად განაკვეთიანი სესხების მოცულობა და თანაფარდობა (წმინდა სესხებთან) 96
დიაგრამა N 4.19. სესხების ჩამოწერა და ამოღება 96
დიაგრამა N 4.20. პრობლემური აქტივები 97
დიაგრამა N 4.21. დასაკუთრებული აქტივები 97
დიაგრამა N 4.22. კომერციული ბანკების საბალანსო და კრებსითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან 98
დიაგრამა N 4.23. კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) ცვლილების შეფარდება პირველად კაპიტალთან 99
დიაგრამა N 4.24. უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე 100
დიაგრამა N 4.25. ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა 100
დიაგრამა N 4.26. ლიკვიდური აქტივების დონე 101
დიაგრამა N 4.27. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა (10 დღის მცურავი საშუალო) 102
დიაგრამა N 4.28. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 102
დიაგრამა N 4.29. ლიკვიდობის გეპი - აქტივების თანაფარდობა ვალდებულებებთან 103
დიაგრამა N 4.30. ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა 103
დიაგრამა N 4.31. ვალდებულებების სტრუქტურა 104
დიაგრამა N 4.32. არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდა 104
დიაგრამა N 4.33. არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი 105
დიაგრამა N 4.34. არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2025 წლის დეკემბერი) 105
დიაგრამა N 4.35. არარეზიდენტების დეპოზიტები ქვეყნების ჭრილში (2025 წლის დეკემბერი) 106
დიაგრამა N 4.36. მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან ვალუტების მიხედვით 106
დიაგრამა N 4.37. დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკა (ფიქსირებული გაცვლითი კურსით) 108
დიაგრამა N 4.38. 111
დიაგრამა N 4.39. ბოლო ხუთი წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა (2021-2025 წწ.) 112
დიაგრამა N 4.40. 2025 წლის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა (საოპერაციო დანაკარგი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან). 112
დიაგრამა N 4.41. საბანკო სისტემის 2025 წლის მთლიანი დანაკარგის განაწილება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით 113
დიაგრამა N 4.42. „კრედიტინფო საქართველოში“ ჩართული ორგანიზაციების პორტფელის მიმოხილვა (2025) 120
დიაგრამა N 4.43. ფიზიკური პირების რაოდენობა აქტიური სესხებით (2025) 120
დიაგრამა N 4.44. განაღდებული საერთაშორისო ფულადი გზავნილების რაოდენობა 121
დიაგრამა N 4.45. გზავნილების მიმღები პირების რაოდენობა 122
დიაგრამა N 4.46. ღია ბანკინგის საშუალებით ინიციირებული გადახდების ჯამური რაოდენობა (2025) 123
დიაგრამა N 4.47. ღია ფინანსების სისტემაში ონბორდინგის სერვისის გამოყენების ჯამური რაოდენობა (2025) 124
დიაგრამა N 4.48. ღია ბანკინგის საშუალებით საგადახდო ანგარიშების ინფორმაციის გაზიარების სერვისის გამოყენების/აქტიური მოთხოვნების ჯამური რაოდენობა (2025) 124
დიაგრამა N 5.1. საქართველოს ეროვნულ ბანკში დაფიქსირებული მომართვები ორგანიზაციის ტიპისა და კვარტლების მიხედვით, 2025 წელი 130
დიაგრამა N 5.2. კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით 132
დიაგრამა N 5.3.კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება ხასიათის მიხედვით 132
დიაგრამა N 5.4. კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით 133
დიაგრამა N 5.5. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით 133
დიაგრამა N 5.6. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება ხასიათის მიხედვით 134
დიაგრამა N 5.7. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება სტატუსების მიხედვით 134
დიაგრამა N 5.8. სესხის გამცემ სუბიექტებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით 135

დიაგრამა N 5.9. სესხის გამცემ სუბიექტებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება ხასიათის მიხედვით 135
დიაგრამა N 5.10 სესხის გამცემ სუბიექტებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით 136
დიაგრამა N 7.1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ფილიალების რაოდენობა 150
დიაგრამა N 7.2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალების განაწილება რეგიონების მიხედვით 151
დიაგრამა N 7.3. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მსესხებელთა რაოდენობა 151
დიაგრამა N 7.4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მსესხებლების განაწილება რეგიონების მიხედვით 152
დიაგრამა N 7.5. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თანამშრომელთა რაოდენობა 152
დიაგრამა N 7.6. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები 153
დიაგრამა N 7.7. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი 153
დიაგრამა N 7.8. საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა 154
დიაგრამა N 7.9. საკრედიტო პორტფელის ხარისხი 154
დიაგრამა N 7.10. საკრედიტო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 155
დიაგრამა N 7.11. საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 155
დიაგრამა N 7.12. დაფინანსების სტრუქტურა 156
დიაგრამა N 7.13. ნასესხები სახსრების სტრუქტურა 156
დიაგრამა N 7.14. ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა 157
დიაგრამა N 7.15. არარეზიდენტების სახსრები 157
დიაგრამა N 7.16. არარეზიდენტების სახსრები ქვეყნების მიხედვით 158
დიაგრამა N 7.17. მოზიდული სახსრები 158
დიაგრამა N 7.18. საზედამხედველო კაპიტალის სტრუქტურა 159
დიაგრამა N 7.19. კაპიტალის სტრუქტურა რეზიდენტობის მიხედვით 159
დიაგრამა N 7.20. წმინდა მოგების დინამიკა 160
დიაგრამა N 7.21. მომგებიანობის მაჩვენებლები 160
დიაგრამა N 7.22. უკუგება აქტივებზე და კაპიტალზე 161
დიაგრამა N 7.23. ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა 161
დიაგრამა N 7.24. სესხის გამცემი სუბიექტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით 162
დიაგრამა N 7.25. მთლიანი აქტივების და წმინდა სესხების დინამიკა 162
დიაგრამა N 7.26. სესხის გამცემი სუბიექტები და მსესხებელთა რაოდენობა 163
დიაგრამა N 7.27. სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო 163
დიაგრამა N 7.28. სესხის გამცემი სუბიექტების მომგებიანობა 164
დიაგრამა N 7.29. ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფილიალების რაოდენობა 164
დიაგრამა N 7.30. ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით 165
დიაგრამა N 8.1. არა-სამთავრობო ობლიგაციების ნაშთები 170
დიაგრამა N 8.2. საჯარო კორპორაციული ობლიგაციების განთავსებები 170
დიაგრამა N 8.3. საჯარო კორპორაციული ობლიგაციების ნაშთები ვალუტების მიხედვით 171
დიაგრამა N 8.4. საჯარო კორპორაციული ობლიგაციების განთავსებები ემიტენტის საკრედიტო რეიტინგის მიხედვით 171
დიაგრამა N 8.5. საჯარო კორპორაციული ობლიგაციების განაწილება სექტორებისა და ინდუსტრიების მიხედვით 172
დიაგრამა N 8.6. ადგილობრივი სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით 172
დიაგრამა N 8.7. ადგილობრივი სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები მფლობელების მიხედვით 173
დიაგრამა N 8.8. საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის აქტივობა 174
დიაგრამა N 8.9. ადგილობრივ საბროკერო კომპანიებში გახსნილ ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ღირებულება კლიენტის ტიპისა და გამოშვების ადგილის მიხედვით 175
დიაგრამა N 8.10. ადგილობრივ საბროკერო კომპანიებში გახსნილ ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ღირებულება გამოშვების ადგილისა და ფასიანი ქაღალდის ტიპის მიხედვით 175
დიაგრამა N 8.11. ბირჟის სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები 176
დიაგრამა N 8.12. ბირჟის სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა 176
დიაგრამა N 8.13. საპენსიო აქტივები წლების მიხედვით 178
დიაგრამა N 8.14. საპენსიო ფონდის აქტივები პორტფელების მიხედვით, 31 დეკემბერი, 2025 178
დიაგრამა N 8.15. საპენსიო ფონდის პორტფელების დეკომპოზიცია ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით, 31 დეკემბერი, 2025 179
დიაგრამა N 8.16. საპენსიო აქტივებში არსებული აქციების გეოგრაფიული განაწილება, 31 დეკემბერი, 2025 180
დიაგრამა N 8.17. პორტფელებში აქტივების განაწილება ვალუტების მიხედვით, 31 დეკემბერი, 2025 180
დიაგრამა N 8.18. 2025 წელს მოქმედი საპენსიო ფონდის ბენჩმარკ პორტფელები 181
დიაგრამა N 8.19. საინვესტიციო ფონდები და აქტივების მართველი კომპანიები 182
დიაგრამა N 10.1. RTGS სისტემის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვები (2015-2025 წწ.) 194
დიაგრამა N 10.2. RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2025 წელი) 194
დიაგრამა N 10.3. RTGS ოპერაციების თანხა მონაწილეების მიხედვით (2015-2025 წწ.) 195
დიაგრამა N 10.4. RTGS ოპერაციების რაოდენობა მონაწილეების მიხედვით (2015-2025 წწ.) 195
დიაგრამა N 10.5. RTGS ოპერაციების თანხა ა ნგარიშსწორების მიხედვით (2015-2025 წწ.) 196
დიაგრამა N 10.6. ბანკის კლიენტების გადახდების რაოდენობა თანხობრივი ზღვრების მიხედვით 196
დიაგრამა N 10.7. ბანკის კლიენტების გადახდების რაოდენობის განაწილება თანხობრივი ზღვრების მიხედვით 197
დიაგრამა N 10.8. საქართველოში უნაღდო გადახდის ინიციირების საშუალებების გამოყენება 2012-2025 წლებში 198
დიაგრამა N 10.9. საქართველოში უნაღდო გადახდების განაწილება მათი ინიციირების საშუალებების მიხედვით (2025 წელი) 199
დიაგრამა N 10.10. საბანართე ოპერაციების ყოველწლიური ზრდა, თანხობრივად და რაოდენობრივად 200
დიაგრამა N 10.11. საბანართე ინსტრუმენტით განხორციე-ლებული ნაღდი ფულის გატანისა და უნაღდო გადახდების წილის დინამიკა 2013-2025 წლებში 201
დიაგრამა N 10.12. საბანართე ინსტრუმენტით განხორციელებული ნაღდი ფულის გატანისა და გადახდის პოს-ტერმინალებით გადახდების წილის დინამიკა საზღვარგარეთ და საქართველოში 2020-2025 წლებში 202
დიაგრამა N 10.13. საქართველოში გამოშვებული ბარათებით შესრულებული უნაღდო გადახდის ოპერაციების დინამიკა 2018-2024 წწ. 203
დიაგრამა N 10.14. კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათების რაოდენობა საბანართე სქემების მიხედვით 204
დიაგრამა N 10.15. აქტიური ბარათით თვეში საშუალოდ განხორციელებული გადახდების რაოდენობა და თანხა 205
დიაგრამა N 10.16. თბილისში განლაგებული გადახდის პოს-ტერმინალების რაოდენობის წილი სულ გადახდის პოს-ტერმინალებში (2019-2025 წწ.) 205

დიაგრამა N 10.17. საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდები (გარდა ელექტრონული ფულისა) 206
დიაგრამა N 11.1. რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული ოპერაციების დინამიკა 214
დიაგრამა N 12.1. 224
დიაგრამა N 12.2. 224
დიაგრამა N 12.3. 225
დიაგრამა N 12.4. 225
დიაგრამა N 13.1. მიმოქცევაში ბანკნოტების ხვედრითი წილები ნომინალების მიხედვით* 228
დიაგრამა N 13.2. ნაღდი ფული მიმოქცევაში (2021-2025 წლები) 229
დიაგრამა N 13.3. მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალისა და მონეტების ხვედრითი წილები (2021-2025 წლები) 229
დიაგრამა N 13.4. 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში, მოდიფიკაციების მიხედვით (პროცენტი). 230
დიაგრამა N 13.5. საკასო ცენტრის შემოსავალ-გასავლები 2021-2025 წლებში. 231
დიაგრამა N 13.6. 2025 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები და მონეტები (პროცენტი) 233
დიაგრამა N 13.7. 2021-2025 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები 234
დიაგრამა N 13.8. 2021-2025 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი მონეტები 234
დიაგრამა N 13.9. 2021-2025 წლებში რეალიზებული პროდუქცია (რაოდენობა) 235

ცხრილები

ცხრილი 1.1. 2025 წლის ექსპორტის სტრუქტურა ტოპ-5 ქვეყნის და პროდუქტის მიხედვით 28
ცხრილი 1.2. 2025 წლის იმპორტის სტრუქტურა ტოპ-5 ქვეყნის და პროდუქტის მიხედვით 29
ცხრილი 1.3. მთლიანი შიდა პროდუქტი დარგების მიხედვით 34
ცხრილი 1.4. ინფლაციის მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით, მათი წონა სამომხმარებლო კალათაში და ზეგავლენა ინფლაციაზე 40
ცხრილი 4.1. საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2025 წლის ბოლოს არსებული კურსით) 85
ცხრილი 4.2. საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება 2025 წელი 88
ცხრილი 4.3. საცალო პროდუქტების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2025 წლის ბოლოს არსებული კურსით) 90
ცხრილი 4.4. საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით დეკ 2025 92
ცხრილი 4.5. პორტფელის ხარისხი სეგმენტების მიხედვით დეკ 2025 92
ცხრილი 8.1. ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით 176
ცხრილი 9.1. დისტანციური ზედამხედველობა, 2025 წ. 184
ცხრილი 9.2. ჯარიმების მოცულობა, 2025 წ. 185
ცხრილი 9.3. რეკომენდაციების რაოდენობა, 2025 წ. 186
ცხრილი 9.4. სწავლების თემატიკა, 2025 წ. 187
ცხრილი 11.1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერების შესახებ ინფორმაცია (2025 წ.) 213
ცხრილი 11.2. პროვაიდერების საქმიანობა შესრულებული საგადახდო მომსახურებების მიხედვით 214
ცხრილი 13.1. 2025 წელს შემოტანილი საეჭვო ფულის ნიშნების ექსპერტიზის შედეგები (ცალი): 233

აბრევიატურები

API (Application Programming Interface) – გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისი
ARA (Assessing Reserve Adequacy) – რეზერვების ადეკვატურობის შეფასება
BCBS (Basel Committee on Banking Supervision) – ბაზელის კომიტეტის სტანდარტი
BI (Business Intelligence) – მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის თანამედროვე პლატფორმა
BIA (Business Impact Analysis) – ბიზნესის ზეგავლენის ანალიზი
BIS (Bank for International Settlements) – საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი
BISIP (BIS Investment Pool) – საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო პროგრამა
BMatch – კომპანია ბლუმბერგის უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმა
BSCEE (Banking Supervisors from Central and Eastern Europe) – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საბანკო ზედამხედველობა
CAREC (Central Asia Regional Economic Cooperation) – ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა
CBDC (Central Bank Digital Currency) – ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტა
CICR (Currency Induced Credit Risk) – სავალუტო საკრედიტო რისკი
CIF (Cost, Insurance and Freight) – ხარჯები, დაზღვევა და ფრახტი
CPMI (Committee on Payments and Market Infrastructures) – საგადახდო და ბაზრების ინფრასტრუქტურის კომიტეტი
CRA (Credit Risk Adjustment buffer) – საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი
CRD IV (Capital Requirement Directive) – ევროკავშირში მოქმედი საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და პრუდენციული რეგულირების შესახებ დირექტივა
CRR (Capital Requirements Regulation) – კაპიტალის მოთხოვნის რეგულაცია
CSP (Customer Security Programme) – მომხმარებელთა უსაფრთხოების პროგრამა
CYFI (Child and Youth Finance International) – ბავშვთა და ახალგაზრდების ფინანსური განათლების საერთაშორისო ორგანიზაცია
DDos (Distributed Denial–of–service attack) – მომსახურების შეფერხების განაწილებული შეტევები
DeFi (Decentralized Finance) – დეცენტრალიზებული ფინანსები
DPM (Data Point Model) – მონაცემთა ლექსიკონი, რომელიც მოიცავს EBA–ს მიერ შემუშავებულ მონაცემთა ჰარმონიზებულ მოთხოვნებს და შედის მის ტექნიკურ სტანდარტებსა და სახელმძღვანელოში
EAD (Exposure At Default) – ფინანსური ინსტრუმენტის მოცულობა დეფოლტის დადგომისას
EBA (European Banking Authority) – ევროპის საბანკო ასოციაცია
EBITDA (Earnings Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization) – შემოსავლები პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე
EBRD (European Bank for Reconstruction and Development) – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ECB (European Central Bank) – ევროპის ცენტრალური ბანკი
EFSE DF (Development Facility of the European Fund for Southeast Europe) – „ევროპული ფონდის სამხრეთ–აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამა
ESG (Environmental, Social, and Governance) – გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები
ETL (Extract, Transform, Load) – ზოგადი პროცედურა სხვადასხვა წყაროდან (MS SQL, MS Excel და ა.შ.) მონაცემების შემოტანის, გარდაქმნის და საჭირო ფორმატში შენახვის შესახებ
EVE (Economic Value of Equity) – კაპიტალის ეკონომიკური ღირებულება
FAO (Food and Agriculture Organization) – სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FATF (Financial Action Task Force) – ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი
FEA Georgia (Financial Education Association of Georgia) – საქართველოს ფინანსური განათლების ასოციაცია
FinEdu – ფინანსური განათლების პირველი ქართული საგანმანათლებლო ვებპორტალი – www.finedu.gov.ge („ფინედუ“)
FINREP – (Financial Reporting) (An European regulation which applies to credit institutions) – ევროკავშირის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები საკრედიტო დაწესებულებებისთვის
FOB (Free on Board) – თავისუფლდება ვალდებულებებისგან, საქონლის საწყალოსნო

ტრანსპორტზე დატვირთვიდან
FRD (Fraud Data) არაავტორიზებული ოპერაციების სტატისტიკური მონაცემები
FSAP (Financial Sector Assessment Program) – ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა
FSI (Financial Stability Indicators) – ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები
GAN (General Adversarial Networks) – გენერაციული მოწინააღმდეგე ქსელები
GET (German Economic Team) – გერმანიის ეკონომიკური ჯგუფი
GFIN (Global Financial Innovation Network) – გლობალური ფინანსური ინოვაციების ქსელი
GGF (Green for Growth Fund) – მწვანე ზრდის ფონდი
GRAPE (General Risk Assessment Program) – რისკების შეფასების საერთო პროგრამა
GSSS (Georgian Securities Settlement System) – საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა
HR (Human Resource) – ადამიანური რესურსები
HRMS (Human Resource Management System) – ადამიანური რესურსების მართვის სისტემა
IFC (International Finance Corporation) – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IFRS (International Financial Reporting Standards) – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
IFT (Inflation Forecast Targeting) – მომავალზე ორინეტირებული ინფლაციის თარგეთირება
IIA (Institute of Internal Auditors) – შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი
IMF (International Monetary Funds) – საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IOSCO (Technical Committee of the International Organization of Securities Commissions) – ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკური კომიტეტი
IPPF (International Professional Practice Framework) – საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო
ISO (International Organization for Standardization) – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
IT (Information Technology) – საინფორმაციო ტექნოლოგიები
LCR (liquidity Coverage Ratio) – ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი
LTV (Loan to Value) – სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი
NCFS (Network for Greening the Financial System) – ქსელი ფინანსური სისტემის "გამწვანებისთვის"
NII (Net Interest Income) – წმინდა საპროცენტო შემოსავალი
NPL (Non-Performing Loan) – უმოქმედო სესხი
NSFR (Net Stable Funding Ratio) – წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი
OECD (Organizaton for Economic Co-operaton and Development) – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OECD/INFE (Organizaton for Economic Co-operaton and Development/International Network on Financial Education) – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელი
PTI (Payment to income ratio) – სესხის მომსახურების კოეფიციენტი
ROA (Return on Assets) – ამონაგები აქტივებზე
ROE (Return on Equity) – ამონაგები კაპიტალზე
ROSC (Report on the Observance of Standards and Codes) – სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების ანგარიში
RTGS (Real Time Gross Settlement) – დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა
RTP (Request to Pay) – გადახდის მოთხოვნა
SBA (Stand-by Arrangement) სსფ-ს მხარდამჭერი პროგრამა
SBFN (Sustainable Banking and Finance Network) – მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელი
SDR (Special Drawing Rights) – საერთაშორისო ფულის ფორმა, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განისაზღვრება, როგორც სხვადასხვა კონვერტირებადი ვალუტების შეწონილი საშუალო
SECO (State Secretariat for Economic Affairs) – ეკონომიკის საკითხებში სახელმწიფო სამდივნო
SEPA (Single Euro Payment Area) – ევრო გადახდების სივრცე
SMEDA (Small and Medium Enterprise Development Association) – მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია
SWIFT (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication) – მსოფლიო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციის საზოგადოება
TIBR (Tbilisi Interbank Rate) – თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთი
TMS (Taxonomy Management System) – ტაქსონომიის მართვის სისტემა
UNCTAD (United Nations Conference on Trade and Development) – გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის კონკურენციისა და მომხმარებელთა პოლიტიკის მიმართულება
USAID (United States Agency for International Development) – შეერთებული შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისთვის
XBRL (Extensible Business Reporting Language) – ბიზნეს ანგარიშგების გაფართოებადი ენა

შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ის) 2025 წლის წლიური ანგარიში მომზადებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად და მოიცავს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის მიმოხილვასა და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ეროვნული ბანკი მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმით ახორციელებს, რომლის პირობებშიც წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი დონე, რომელიც ამჟამად 3 პროცენტს შეადგენს. ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ისე წარმართავს, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მის სამიზნე მაჩვენებელთან ახლოს შენარჩუნდეს. ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე 2009 წელს გადავიდა და საწყის ეტაპზე ინფლაციის მიზნობრივი დონე 6 პროცენტით განსაზღვრა. მას შემდეგ (2009-2025 წლებში), საქართველოში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 4.3 პროცენტს შეადგენს. მაშინ, როდესაც 2000-2008 წლებში ის საშუალოდ 6.8 პროცენტს უტოლდებოდა.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია - მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების განაკვეთი). იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე მაღალი იქნება, საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ამკაცრებს და პირიქით, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალი იქნება, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას არბილებს. აღსანიშნავია, რომ გლობალურად გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, საქართველოს ეროვნული ბანკი 2025 წლის დასაწყისიდან მონეტარული პოლიტიკის ჩარჩოს განვითარების მორიგ ეტაპზე გადავიდა. კერძოდ, მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ახალი, სცენარებზე დაფუძნებული მიდგომა დანერგა. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე გადაწყვეტილების მიღებისას, სებ-ი მხედველობაში იღებს არა მხოლოდ ერთ საბაზო საპროგნოზო სცენარს, არამედ სხვადასხვა მიმართულებით მოქმედ რისკებსაც. შესაბამისად, სებ მონეტარული პოლიტიკის გატარებისას იღებს ისეთ ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, რომ ნებისმიერი რისკის რეალიზების შემთხვევაში ეკონომიკური დანაკარგი მინიმალური იყოს. დინამიურ ეკონომიკურ გარემოში, მსგავსი, რისკების მართვაზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკის მიდგომა ოპტიმალური შედეგების მიღწევისთვის გადამწყვეტია. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სცენარები საჯაროდ ქვეყნდება და კომუნიკაციის ამ მიდგომით უფრო გამჭვირვალე ხდება რისკების მართვისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი. აღნიშნული ნაბიჯით სებ-მა გააუმჯობესა მონეტარული პოლიტიკის რეაქციის ფუნქციის გამჭვირვალობა, რითაც პოლიტიკის გადაცემის არხების ეფექტურობა გაძლიერდა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ გაზრდილი გაურკვევლობის პირობებში, ცენტრალური ბანკები გლობალურად ახალ მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიებს ავითარებენ და აქტიურად გადადიან მსგავს სცენარებზე დაფუძნებულ მიდგომაზე (მათ შორის: შვედეთის ცენტრალური ბანკი, ინგლისის ბანკი, ევროპის ცენტრალური ბანკი, კანადის ცენტრალური ბანკი და სხვა).

2025 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 3.9 პროცენტი შეადგინა, რაც მიზნობრივ 3 პროცენტიან მაჩვენებელთან შედარებით ზომიერად მაღალია. მიზნობრივი დონიდან გადახრა, ძირითადად, სურსათის ინფლაციის ზრდით იყო განპირობებული, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის: 2024 წლის დაბალი საბაზო ეფექტი, საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის ნედლეულზე ფასების ზრდა და ადგილობრივ ბაზარზე გარკვეულ პროდუქტებზე ფასების ერთჯერადი კორექტირება. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების ამსახველი ინდიკატორები, როგორებიცაა საბაზო ინფლაცია და მომსახურების ინფლაცია, წლის განმავლობაში 3 პროცენტთან შედარებით დაბალი შენარჩუნდა. კერძოდ, საბაზო ინფლაცია,

რომელიც სამომხმარებლო კალათიდან ყველაზე მერყევ კომპონენტებს (სურსათი, ენერგომატარებლები და თამბაქო) გამორიცხავს, 2025 წლის განმავლობაში მიზნობრივზე დაბალი ნარჩუნდებოდა და საშუალოდ 2.2 პროცენტი შეადგინა. ხოლო მომსახურების სექტორში, სადაც ფასების ცვლილება შედარებით ხისტი ხასიათისაა, ინფლაციამ საშუალოდ 2.7 პროცენტი შეადგინა. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად ინფლაციური მოლოდინები სტაბილურად შენარჩუნდა და ინფლაციური პროცესები ნაკლებად ყოვლისმომცველი იყო.

შიდა ეკონომიკური ტენდენციებიდან და გლობალურად არსებული რისკებიდან გამომდინარე ეროვნულმა ბანკმა ფრთხილი მიდგომა აირჩია და 2025 წლის განმავლობაში ზომიერად მკაცრი მონეტარული პოლიტიკის პოზიცია შეინარჩუნა. კერძოდ, 2025 წელს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად შენარჩუნდა და 8.0 პროცენტი შეადგინა, რაც გრძელვადიან ნეიტრალურ განაკვეთს (მიმდინარე შეფასებით 7 პროცენტი) აღემატება. ვინაიდან, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრას დროებითი ფაქტორები განაპირობებდა, როგორიცაა სურსათის ფასების მერყეობა და საბაზო ეფექტები, ეროვნული ბანკის შეფასებით, ამ ფაქტორების ამოწურვის კვალდაკვალ ინფლაცია ეტაპობრივად უნდა შემცირებულიყო. ამავე დროს, როგორც აღინიშნა, ინფლაციური მოლოდინები შენარჩუნებული იყო სტაბილურ დონეზე, რაც მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობაზე მიუთითებდა. მიუხედავად ამისა, გაზრდილი გაურკვევლობის პირობებში ეროვნულმა ბანკმა ფრთხილი მიდგომა აირჩია. გლობალური გეოპოლიტიკური დაძაბულობა და ეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკები ზრდიდა გლობალურად მაღალინფლაციური გარემოს წარმოშობის რისკებს. ამასთან, არსებობდა რისკი, რომ ადგილობრივად მიზნობრივზე მაღალი ინფლაციის გახანგრძლივების შემთხვევაში ინფლაციური მოლოდინები გაიზრდებოდა და ე.წ. ,,მეორე რაუნდის“ ეფექტების რისკები გამწვავდებოდა. სწორედ აღნიშნული რისკების მინიმიზაციისა და მოლოდინების სამართავად, სცენარებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკმა ოპტიმალურად მიიჩნია მთელი წლის განმავლობაში ზომიერად მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება.

2025 წელს ეკონომიკური აქტივობა კვლავ ძლიერი იყო და წინასწარი მონაცემებით, რეალური მშპ-ს ზრდამ 7.5 პროცენტი შეადგინა, მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი კვლავ მაღალპროდუქტიული სექტორები იყო, რაც ამავდროულად ეკონომიკის ჯამური წარმოების პოტენციალის გაუმჯობესებაზე მიუთითებდა. კერძოდ, სტრუქტურული ცვლილებების ფონზე, მომსახურებაზე ორიენტირებული, შედარებით ნაკლებად იმპორტ-ინტენსიური სექტორები კვლავ მაღალი ტემპით ზრდას განაგრძობდა, როგორებიცაა: ინფორმაცია და კომუნიკაცია (ICT) და განათლების სექტორები. თუმცა ცალკეულ სექტორში, მათ შორის მშენებლობასა და ტრანსპორტირებაში, შეინიშნებოდა ზრდის ტემპის ეტაპობრივი ნორმალიზება. ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების გარდა, რეალური მშპ-ის ზრდას ძლიერი ერთობლივი მოთხოვნაც უწყობდა ხელს, რაც როგორც ადგილობრივი, ისე საგარეო მოთხოვნიდან მომდინარეობდა. თუმცა, ადგილობრივი მოთხოვნის მიმართულებით, გარკვეულწილად, ნორმალიზების ნიშნებიც გამოიკვეთა, რაც ეკონომიკის ჯამური პოტენციალის ზრდის ფონზე ერთობლივი მოთხოვნიდან ინფლაციური წნეხის შესუსტებაში აისახა.

ეკონომიკის ნაკლებად იმპორტ-ინტენსიური ზრდა მიმდინარე ანგარიშის ბალანსზეც დადებითად მოქმედებდა. კერძოდ, 2025 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობა თითქმის განახევრდა და 2.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო რეინვესტირებული შემოსავლების გამორიცხვით (რომელიც ასახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული მოგების იმ ნაწილს, რომელიც არ გაიცემა დივიდენდების სახით და კვლავ ინვესტირდება ეკონომიკაში) მიმდინარე ანგარიშის ბალანსი პროფიციტული იყო და 0.2 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქონლისა და მომსახურების სავაჭრო ბალანსმა და პირველადი შემოსავლების ანგარიშმა. ამავდროულად გაუმჯობესდა მომსახურების ბალანსის მშპ-სთან ფარდობაც. კერძოდ, მომსახურების ექსპორტში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ის სექტორები, რომლებიც ეკონომიკურ ზრდაზეც დადებითად მოქმედებდა. მათ შორის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის (ICT) სექტორის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები მშპ-სთან მიმართებით 1.5-ჯერ გაიზარდა და 3.0 პროცენტი შეადგინა. ასევე, ტრანსპორტირების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების მშპ-სთან ფარდობა

კვლავ მაღალ დონეზე შენარჩუნდა და 4.6 პროცენტი შეადგინა. ამასთანავე, მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 6 პროცენტით, ხოლო მუშაკთა გზავნილები 6.6 პროცენტით გაიზარდა. 2025 წელს მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს კვლავ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა, რომელიც წლიურად 7.6 პროცენტით გაიზარდა და მშპ-ს 4.4 პროცენტი შეადგინა.

საერთაშორისო რეზერვები ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი გარანტორია. შესაბამისად, ეროვნული ბანკის გრძელვადიანი პოლიტიკა ყოველთვის მიმართულია საერთაშორისო რეზერვების დაგროვებასა და სარეზერვო აქტივების ეფექტურ მართვაზე. 2025 წელს მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 1,710.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 6,159.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წლის განმავლობაში საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვნად აისახა სებ-ის მიერ წმინდა სავალუტო შესყიდვები. ეროვნული ბანკი ყოველთვის კონცენტრირებულია რეზერვების დაგროვებასა და მის ადეკვატურ დონეზე შენარჩუნებაზე, როცა სავალუტო ბაზარზე არსებული ვითარება ამის შესაძლებლობას იძლევა. ძლიერი მაკროეკონომიკური ფუნდამენტური ფაქტორების ფონზე, სავალუტო ბაზარზე ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე, წესებზე დაფუძნებული Bmatch ინტერვენციების მეშვეობით სებ-მა 2,432.5 მლნ აშშ დოლარი შეიძინა. ასევე, მთლიანი რეზერვების ზრდას ხელი შეუწყო ოქროს ფასის მკვეთრმა ზრდამ. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მარტში საერთაშორისო რეზერვებში მონეტარული ოქრო დაემატა. ეროვნულმა ბანკმა 500 მლნ აშშ-ის დოლარის ღირებულების მონეტარული ოქრო საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისგან (BIS) შეიძინა. ოქროს ფასის ზრდის ფონზე, 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მისი შესყიდვის მომენტიდან ფასის ზრდის ეფექტმა მთლიან რეზერვებზე 502.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. შედეგად, მონეტარული ოქროს წილი მთლიან საერთაშორისო რეზერვებში გაიზარდა და 16.3 პროცენტი (დაახლოებით 1.0 მლრდ აშშ დოლარი) შეადგინა.

ფასების სტაბილურობასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკასა და საფინანსო სექტორის ზედამხედველობას ახორციელებს. სისტემური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით, ეროვნული ბანკი ამ რისკების შემცირებისთვის საპასუხო პოლიტიკას შეიმუშავებს, რითაც ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას უწყობს ხელს.

ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი გამოიყენება. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება შეზღუდოს, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. კონტრციკლური ბუფერის დაწესების განახლებული ჩარჩოს მიხედვით, კონტრციკლური ბუფერის ნეიტრალური განაკვეთი 1 პროცენტს შეადგენს, რომლის დაგროვება კომერციულ ბანკებს ეტაპობრივად, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული განრიგით, 2027 წლის 15 მარტისთვის მოეთხოვებათ. რაც შეეხება კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის ციკლურ კომპონენტს, მისი ცვლილების საჭიროება 2025 წელს არ გამოკვეთილა.

ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობს მუშაობას ფინანსური დოლარიზაციის მაღალი დონით გამოწვეული სტრუქტურული რისკების შესამცირებლად. სებ-ის მიერ გატარებული ღონისძიებების ფონზე დოლარიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა ის და მასთან დაკავშირებული რისკები ფინანსური სექტორისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავაც რჩება. აღნიშნული რისკების შერბილების მიზნით, 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა დედოლარიზაციის გრძელვადიანი გეგმის განხორციელება განაგრძო. კერძოდ, არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის სესხების 500 000 ლარიანი ლიმიტი, რომელიც 2025 წლის იანვრიდან იყო მოქმედი, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწვეტილებით, 2025 წლის 1 აგვისტოდან 750 000 ლარამდე გაიზარდა.

ეკონომიკური აქტივობის ნორმალიზების ფონზე, უძრავი ქონების ბაზარზე მდგრადი აქტივობის ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა 2025 წელს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების ცალკეული მოთხოვნები განაახლა. კერძოდ, სებ-მა სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) მაქსიმალური მაჩვენებელი ფიზიკურ პირებზე ლარში გაცემული უძრავი ქონებით

უზრუნველყოფილი სესხებისთვის დროებით, 5 პროცენტული პუნქტით, 90 პროცენტამდე გაზარდა. ასევე, 10 პროცენტული პუნქტით, 80 პროცენტამდე, გაიზარდა LTV იპოთეკურ სესხებზე საქართველოს ფარგლებს გარედან შემოსავლის მიმღებთათვის. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს იპოთეკურ სესხებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ეკონომიკის ნორმალიზების გარდამავალ ეტაპზე.

ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია მდგრადი ფინანსური სისტემა, რომელიც გულისხმობს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვას და, ამასთანავე, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლიდან მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებაზე აქტიურად მუშაობს.

2025 წელს, პირველი მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის წარმატებით განხორციელების შემდგომ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების მეორე გზამკვლევი გამოაქვეყნა,[1] რომელიც 2025-2028 წლებისთვის ეროვნული ბანკის ძირითად პრიორიტეტებს და სამოქმედო გეგმას განსაზღვრავს. 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების რიგით მეხუთე ანგარიში გამოაქვეყნა.[2] ანგარიშში წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციების, გატარებული პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების მიმოხილვა.

2025 წელს ეროვნულმა ბანკმა, ინვესტორთა საბჭოს, კომერციული ბანკებისა და საბანკო ასოციაციის თანამშრომლობით, ქალი მეწარმეს (ქალების საკუთრებაში არსებული და ქალების მიერ მართული საწარმოს) განმარტება და ანგარიშგების ფორმა შეიმუშავა. აღნიშნულ ინიციატივა მიზნად ისახავს ბანკებისგან საწარმოების დაფინანსების შესახებ სქესის ნიშნით ჩაშლილი მონაცემების სისტემურ შეგროვებას. კომერციულმა ბანკებმა პირველი ანგარიშები 2024 წლის მონაცემების საფუძველზე მოამზადეს, ხოლო 2026 წლიდან რეგულარული კვარტალური ანგარიშგება დაიწყება, რაც სქესის ნიშნით ჩაშლილი საწარმოთა მონაცემების უწყვეტ მონიტორინგსა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.[3]

პარალელურად, 2025 წელს, მდგრადობის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების განვითარებების ასახვის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა ESG საკითხების გამჟღავნების არსებული ფორმის განახლება დაიწყო. განახლებული გამჟღავნების ფორმა წამყვან საერთაშორისო სტანდარტებსა და ჩარჩოებს შეესაბამება. განახლებული ფორმით ანგარიშგება 2026 წელს დაიწყება და ანგარიშები ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნდება. ამასთან, 2025 წლის განმალობაში, ეროვნული ბანკი მწვანე სესხების მონაცემთა დაფის განვითარებაზე მუშაობდა. აღნიშნული ინიციატივა გააუმჯობესებს მწვანე სესხების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობასა და გამოყენებადობას დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრისთვის, მათ შორის პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ფინანსური ინსტიტუტებისა და მკვლევრებისთვის. მწვანე სესხების მონაცემთა დაფა ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე 2026 წლის იანვარში გამოქვეყნდება.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა მწვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული (GSS+) ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესი დაამტკიცა[4] და ფინანსური გირავნობის მართვის დებულების ფარგლებში[5] მონეტარული პოლიტიკის ოპერაციების უზრუნველყოფაში მწვანე აქტივები დაამატა.[6]

2023 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სარეზოლუციო ფონდთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, 2024 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა შესა-

1. „მდგრადი დაფინანსების მეორე გზამკვლევი". იხილეთ: https://nbg.gov.ge/page/mdgradi-dapinansebis-gzamkvlevi

2. „2025 წლის მდგრადი დაფინანსების ანგარიში". იხილეთ: https://nbg.gov.ge/page/mdgradi-dapinansebis-angarishi

3. „საქართველოს ეროვნული ბანკი ქალი მეწარმეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის მიზნით მონაცემთა შეგროვებასა და გამოქვეყნებას იწყებს". იხილეთ: https://nbg.gov.ge/media/news/sakartvelos-erovnuli-banki-kali-metsarmeebis-pinansebze-khelmisatsvdomobis-mkhardacheris-m

4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „მწვანე, სოციალური, მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესის დამტკიცების თაობაზე". იხილეთ: https://nbg.gov.ge/legal-acts/projects/mtsvane-sotsialuri-mdgradi-da-mdgradobastan-dakavshirebuli-obligatsiebis-statusis-minichebis

5. „საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირავნობის მართვის დებულება". იხილეთ: https://shorturl.at/q6uKD

6. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 21 აგვისტოს N197/04 ბრძანება.

ბამისი კანონქვემდებარე აქტები, მათ შორის, საჯარო კონსულტაციების ჩართულობით, შემუშავდა *სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანის განხორციელების წესი.* აღნიშნულიდან გამომდინარე, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანების აღნიშნული წესის შესაბამისად განხორციელება კომერციულმა ბანკებმა 2025 წლიდან დაიწყეს, რომლის ფარგლებშიც 2033 წლამდე მისაღწევ სარეზოლუციო ფონდის სამიზნე მაჩვენებელი 302,387,263 ლარით განისაზღვრა, ხოლო კომერციული ბანკების მიერ 2025 წლის ჯამური წინასწარი შენატანის ოდენობა (წლიური სამიზნე დონე) — 37,798,407 ლარის ოდენობით. აღნიშნული წლიური სამიზნე დონის კონტრიბუცია სრულად განხორციელდა სარეზოლუციო ფონდში კომერციული ბანკების მიერ 2025 წლის განმავლობაში.

ეროვნული ბანკის საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი ფოკუსი 2025 წელს საბანკო და არასაბანკო დაწესებულებების საზედამხედველო ჩარჩოს გაუმჯობესებასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან კიდევ უფრო დაახლოებისკენ იყო მიმართული. მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდებოდა საბანკო სექტორის მხრიდან როგორც კორპორაციული მართვის სტანდარტებისა და კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლების დაცვაზე, ასევე, კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოს შემუშავებასა და ჯგუფის სტრუქტურის რისკების შეფასების საკითხებზე. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბანკო დაწესებულებების ლიცენზირების, ადმინისტრატორებისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელების შესაფერისობის შეფასების პროცესებს.

გასული წლების მსგავსად, 2025 წელსაც, ეროვნულმა ბანკმა 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის 2025 წლის გამოცემა გამოაქვეყნა. ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტები სტრატეგიის 2025 წლის გამოცემაში უცვლელი დარჩა, ხოლო უკვე შესრულებული ამოცანებისა და დაწყებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წლიურ გამოცემაში დეტალურად აისახა. სტრატეგიის ყოველწლიური დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს მომდევნო 12 თვის პერიოდში დაგეგმილ ძირითად ამოცანებსა და სამოქმედო გეგმის ცვლილებაზე აკეთებდა და ამავდროულად, 2024 წლის ჭრილში აქტივობების შესრულების შესახებ განახლებულ ინფორმაციას მოიცავდა. ეროვნული ბანკი 2025 წელს თავის საქმიანობას კვლავ შემდეგი საზედამხედველო პრიორიტეტების გათვალისწინებით წარმართავდა:

- საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება;
- საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა;
- ფინანსური ინოვაციების წახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება;
- საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება;
- ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა.

ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მუშაობა ახალ სამწლიან საზედამხედველო სტრატეგიაზე, რომლის ფარგლებშიც 2026-2028 წლებისთვის ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტები და შესაბამისი სამოქმედო გეგმა განისაზღვრება. ამასთან, ახალი საზედამხედველო სტრატეგიის ფარგლებში შეჯამდება 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობა და სტატუსები. საგულისხმოა, რომ გასული წლების მსგავსად, ეროვნული ბანკი საზედამხედველო სტრატეგიის ახალი დოკუმენტის შემუშავებას საჯარო კონსულტაციების ფორმატში, დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით გეგმავს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, ფინანსური სექტორი მდგრადობას ინარჩუნებს და ეკონომიკის დაკრედიტებას შეუფერხებლად განაგრძობს.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 71.3 მილიარდ ლარს მიაღწია და მისი წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე (2025 წლის ბოლოს არსებული კურსით), 14 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შემადგენლობა, სეგმენტების ჭრილში მცირედით შეცვლილია, კერძოდ, წლის მანძილზე გაიზარდა კორპორატიული სეგმენტის წილი, ხოლო მიკრო და მცირე და საშუალო სეგმენტების წილი მთლიან პორტფელში შემცირდა.

საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის დეკემბრის ბოლოს, ციკლური სექტორების (უძრავი ქონების დეველოპმენტი, უძრავი ქონების მენეჯმენტი, სასტუმროები და ტურიზმი, რესტორნები და კვების ობიექტები, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 17.8 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის დეკემბრის თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.4 პპ-ით ნაკლებია.

2025 წელს ჯამურად მნიშვნელოვნად არ შეცვლილა უმოქმედო სესხების მაჩვენებელი 2024 წელთან შედარებით, თუმცა საცალო სეგმენტისგან განსხვავებით სადაც კლება დაფიქსირდა, დანარჩენ 3 სეგმენტში უმოქმედო სესხების წილმა მცირედით მოიმატა. აღსანიშნავია, რომ IFRS დარეზერვებაზე გადასვლის შემდგომ პორტფელის ხარისხის ერთჯერადი გაუმჯობესების ეფექტის საკომპენსაციოდ ბანკებს კაპიტალზე დამატებითი CRA ბუფერის დაცვა მოეთხოვებათ. რაც შეეხება საცალო საკრედიტო პორტფელის ხარისხს, მთლიანი საცალო პროდუქტების პორტფელში მცირედით შემცირდა უმოქმედო სესხების წილი, რაც პორტფელის ზრდითა და იპოთეკური სესხების ხარისხის გაუმჯობესებით იყო განპირობებული. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტული წილი პორტფელში ყველა საცალო პროდუქტისთვის, გარდა სატრანსპორტო, მომენტალური განვადების და სტუდენტური სესხებისა შემცირებულია, პორტფელის ჩამოწერის და ზრდის ეფექტის გათვალისწინებით.

საკრედიტო აქტივობა და დაბალი დანაკარგები ხელს უწყობს ბანკების მომგებიანობას. 2025 წელს კაპიტალზე უკუგებამ 22.3% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1.6 პპ-ით ნაკლებია.

საქართველოს საბანკო სისტემაში დოლარიზაცია კვლავ მაღალია, რის შედეგადაც, სავალუტო რისკის ფაქტორი ქართული ბანკებისთვის კვლავ მნიშვნელოვანი რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო ზომების მიღებას სავალუტო რისკის მართვის არსებული მიდგომების სრულყოფის მიმართულებით. წლის განმავლობაში ბანკები სტაბილური სავალუტო პოზიციებით განაგრძობდნენ საქმიანობას და შესაბამისობაში იყვნენ ყველა ვალუტის საერთო კრებსითი პოზიციის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ 20%-იან ლიმიტთან. 2025 წლის ბოლოს ყველა ბანკის საერთო კრებსითი სავალუტო პოზიცია დახურულია და მისი ფარდობა საზედამხედველო კაპიტალთან შეადგენს 0 პროცენტს.

2025 წლის მონაცემებით, ბანკებს ლიკვიდობის ჯანსაღი მაჩვენებლები აქვთ. წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა მთლიან აქტივებთან მიმართებით წინა წელთან შედარებით სტატუს ქვოს ინარჩუნებდა და ბანკები ადეკვატური ლიკვიდობის ბუფერებით ოპერირებდნენ. წლის ბოლო მდგომარეობით ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების დაახლოებით 26 პროცენტს და არასაბანკო დეპოზიტების 41 პროცენტს აღწევს. მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR), რომელთათვისაც მინიმალური მოთხოვნა 100 პროცენტს შეადგენს, თუმცა ბანკების კოეფიციენტები წლის ბოლოს მდგომარეობით, შესაბამისად, 139 და 130 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს კომერციულ ბანკებთან და მიკრობანკებთან საოპერაციო რისკების მართვის პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაზე. გრძელდება კომერციული ბანკების და მიკრობანკების შემოწმება სებ-ის საოპერაციო რისკების მართვის დებულების ჩარჩოსთან შესაბამისობაზე. მათ შორის, დიდი ყურადღება ექცევა კომერციული ბანკების მიერ ბიზნეს უწყვეტობის სრულყოფილად ჩატარებას სხვადასხვა სცენარების მიხედვით, აუთსორსინგული პროცესების შეფასებას და მონიტორინგს, რისკის შეფასების და მიტიგაციის ინსტრუმენტებს, რისკის პროფილისა და რისკის ჯანსაღი კულტურის ინსტიტუციონალიზაციას.

საფინანსო ინსტიტუტებში საოპერაციო რისკების მართვის გაძლიერებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების მიზნით, 2025 წელს განხორციელდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისია, რომლის ფარგლებშიც მოხდა საოპერაციო რისკების მართვის რეგულაციის ბაზელის უახლეს პრინციპებთან შესაბამისობის განხილვა, საოპერაციო რისკების სტრეს ტესტებისა და მონაცემთა ეფექტურად აგრეგაციისა და ანგარიშგებების წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა. გაზიარებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება საოპერაციო რისკების მართვის საზედამხედველო პროცესის შესრულებაში. საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს, ფინანსურ სექტორში საოპერაციო რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და

საოპერაციო რისკების მართვის პრინციპებზე ორიენტირებული სტანდარტის დამკვიდრებას, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციული რისკის კულტურის განვითარებასა და საოპერაციო მდგრადობის გაუმჯობესებას. კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ იზრუნონ ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებზე, როგორც ბანკის თანამშრომლებისთვის, ისე მომხმარებლებისთვის. ამასთანავე, ამ მიმართულებით, სხვადასხვა არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების, სტარტაპებისა და ფინანსური ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიების გაციფრულების ხელშეწყობის ფარგლებში, ხორციელდება საოპერაციო რისკების მართვის პრაქტიკისა და შეფასების დანერგვაზე რეკომენდაციების გაზიარება.

2025 წელს სებ-ის საოპერაციო რისკების ზედამხედველობის განყოფილების გუნდი აქტიურად იყო ჩართული და მხარს უჭერდა საოპერაციო რისკების მიმართულებით ფინანსური ტექნოლოგიების, ინოვაციური საბანკო პროდუქტების, პროცესების გაციფრულებისა და ციფრული ბანკინგის უსაფრთხო და მდგრად განვითარებას საქართველოს ფინანსურ სექტორში. გასული წლის მანძილზე, სებ-ი განაგრძობდა საზედამხედველო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიური პროდუქტების, ღია ბანკინგის, ციფრული ბანკინგის, პირის დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესებთან დაკავშირებული საოპერაციო რისკების ანალიზსა და შეფასებას.

კიბერრისკების ზედამხედველობის მიმართულებით, წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა მუშაობას როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მხარდაჭერის მისიის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე, ასევე კომერციული ბანკების მარეგულირებელ ჩარჩოსთან შესაბამისობის შემოწმებასა და შეფასებაზე. შედეგად, საზედამხედველო სუბიექტებში საშემფასებლო პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიმართულებები მოიცავდა კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პროცესების ეფექტურობის ზრდას, კიბერუსაფრთხოების ინციდენტების კლასიფიკაციასა და სებ-თან ანგარიშგებას, უსაფრთხოების ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებას, რისკების მართვის პრაქტიკის გაძლიერებას განსაკუთრებით მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების რისკების მართვის თვალსაზრისით და ადამიანური რესურსების სათანადო კომპეტენციებით გაძლიერებას.

აღსანიშნავია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დინამიკა და მასთან დაკავშირებული კიბერსაფრთხეები, ისევე, როგორც კვანტური კომპიუტინგი და მასთან დაკავშირებული პროგნოზები. საზედამხედველო სუბიექტები ეროვნულ ბანკთან პერიოდულად ახორციელებენ ამ და სხვა საკითხებზე ანგარიშგებას, რაც სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება შესაბამისი მარეგულირებელი წესების შემუშავებისას.

საფინანსო სექტორის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის კვლავ მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების აუდიტისა და შეღწევადობის ტესტირებების პერიოდული განხორციელება. საქართველოს ეროვნული ბანკი სათანადო დარგობრივი ტესტირებების/აუდიტების ჩატარებასა და ხარისხის კონტროლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და სწორედ ამ მიზნით 2022 წელს „კომერციულ ბანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის სახელმძღვანელო“ დამტკიცდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი აკვირდება საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენებს, რათა, კიბერშეტევების იდენტიფიცირების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის მთლიანად საბანკო სექტორისთვის მიწოდება მყისიერად განხორციელდეს. კიბერინციდენტების შესახებ კვარტალური ანგარიშების წარმოება კიბერინციდენტების ტენდენციების დინამიკის წარმოჩინების საშუალებას იძლევა. 2025 წლის მნიშვნელოვან ინციდენტებად კვლავ ფიქსირდება ფიშინგი და სისტემების შეფერხებები. ამას გარდა, 2025 წლის ფარგლებში, ისევე როგორც გასულ წლებში, საბანკო სექტორში მომსახურების შეფერხების განაწილებული (DDoS) შეტევებიც ფიქსირდებოდა, ამ მხრივ გამონაკლისი არ იყო კრიტიკული მესამე მხარეებიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებით აკვირდება საფინანსო სექტორში მიმდინარე ტექნოლოგიურ სიახლეებს, რაც, თავის მხრივ, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების გამოწვევებს უკავშირდება.

2025 წლის მანძილზე ეროვნული ბანკის საზედამხედველო არეალს კიბერრისკის ზედამხედველობის ჭრილში დაემატა არასაბანკო ინსტიტუტებიც.

გასული წლების მსგავსად, მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოს ეროვნული ბან-

კისთვის 2025 წელსაც კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა. ამ კუთხით, წლის განმავლობაში, არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლების, საბაზრო ქცევის ზედამხედველობის განვითარებისა და მომხმარებლებზე მორგებული გარემოს დახვეწის მიზნით, დამტკიცდა საბაზრო ქცევის ზედამხედველობის სტრატეგია. გარდა ამისა, დაიხვეწა არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილების მიხედვით განისაზღვრა მომხმარებლის უფლებების დაცვის მარეგულირებელი მოთხოვნების ეროვნული ბანკის მიერ ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერებზე გავრცელების უფლებამოსილება, ასევე, გარკვეული მოთხოვნები უკვე გავრცელდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზეც. ამასთან, წლის განმავლობაში გრძელდებოდა ფინანსურ სექტორთან შესაბამისი კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები.

2025 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გამჭვირვალობის გაუმჯობესების, ინვესტორთა დაცვასა და ბაზრის მდგრადი განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით. აგრეთვე თავად ბაზარიც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2025 წელს განხორციელდა 3 აქტივების მმართველი კომპანიის, 1 საბროკერო კომპანიისა და 2 საინვესტიციო ფონდის ლიცენზირება/რეგისტრაცია, ხოლო 14-მა კომპანიამ ადგილობრივ ბაზარზე საჯაროდ გამოუშვა ობლიგაციები ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული ემისიის პროსპექტის საფუძველზე. წლის განმავლობაში საზედამხედველო სუბიექტებს აგრეთვე დაეკისრა ჯარიმები მარეგულირებელი მოთხოვნების ცალკეული დარღვევებისათვის.

2025 წელს, ეროვნული ბანკის ძალისხმევითა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობით, განახლდა ანგარიშგების პორტალი (www.reportal.ge), რის საფუძველზეც ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს მიეცათ ერთი ფანჯრის პრინციპით უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობა.

კაპიტალის ბაზარზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ანალიტიკური კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით, განახლდა და შეივსო 2024 წლიდან დანერგილი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინტერაქტიული სტატისტიკა, კერძოდ კორპორაციული ობლიგაციების ინტერაქტიულ სტატისტიკას დაემატა ადგილობრივ ბაზარზე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების სტატისტიკური მონაცემები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწისა და მის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით. მათ შორის, დამტკიცდა „მწვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესი“.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2025 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ეროვნული ბანკის საზედამხედველო როლი საპენსიო ფონდთან მიმართებით. კერძოდ, ეროვნული ბანკის საზედამხედველო მანდატს საპენსიო ფონდის საინვესტიციო საქმიანობის გარდა დაემატა მისი ადმინისტრაციული/საოპერაციო და სხვა ფუნქციების ზედამხედველობა. აღნიშნულთან დაკავშირებით 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა საპენსიო ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს საპენსიო ფონდის საქმიანობის რეგულირების ძირითად ჩარჩოს.

გატარებული საზედამხედველო და მარეგულირებელი ღონისძიებების პარალელურად, დადებითი დინამიკა შენარჩუნდა ბაზრის ზრდის მიმართულებით.

2025 წელს გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 19%-ით გაიზარდა საბროკერო კომპანიების კლიენტების საბროკერო ანგარიშებზე რიცხული აქტივების ჯამური ღირებულება და მან 14.6 მილიარდი ლარი შეადგინა. ასევე, საბროკერო კომპანიებისა და ბანკების საბროკერო მომსახურების მიმღები კლიენტების ჯამური ოდენობა 2024 წელთან შედარებით 53%-ით გაიზარდა და 2025 წლის ბოლოს მდგომარეობით 215 920 შეადგინა.

მნიშვნელოვანი ზრდით გამოირჩეოდა საინვესტიციო ფონდების მართვის ქვეშ არსებული აქტივების ჯამური მოცულობა, რომელიც 2024 წელთან შედარებით 2.3-ჯერ გაიზარდა და 459 მილიონ ლარს მიაღწია.

2025 წელს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ადგილობრივი კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციების ბაზარზე ზრდადი ტენდენცია შენარჩუნდა. 2024 წელთან შედარებით, აღნიშნული ბაზარი გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 10.2%-ით გაიზარდა და 5.87 მილიარდს ლარს გადააჭარბა. რაც შეეხება კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის სეგმენტს, წლიურმა ზრდის ტემპმა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 33.2% შეადგინა. საშუალოდ, ბოლო 5 წელიწადში, კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის ზრდის ტემპმა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით წლიურად 31.2%-ს მიაღწია.

რაც შეეხება საპენსიო ფონდის საინვესტიციო საქმიანობის შედეგებს, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის მოცულობამ 8.23 მილიარდი ლარი შეადგინა. 2025 წლის ჭრილში საპენსიო ფონდის წმინდა ამონაგები 796 მილიონი ლარი იყო, ხოლო საპენსიო ფონდში განხორციელებული წმინდა შენატანები 1.37 მილიარდი ლარი. რაც შეეხება ინდივიდუალური პორტფელების მიხედვით 2025 წლის ამონაგებს, კონსერვატიული პორტფელისთვის რეალური ამონაგები იყო 7.53%, დაბალანსებული პორტფელისთვის 8.97%, ხოლო დინამიკურისთვის 10.78%.

როგორც წინა წლებში, 2025 წელსაც, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაგრძელდა ფინანსური სექტორის მხრიდან საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი როგორც დისტანციური, ასევე, ადგილზე შემოწმების გზითა. დამატებით, ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობისა და გაძლიერების მიზნით ხორციელდებოდა მსოფლო ბანკის შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი, რომლის დასრულებაც მიმდინარე წელს იგეგმება.

საქართველოს ეროვნული ბანკის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საზედამხედველო ჩარჩოს“ შესაბამისად განხორციელებულ საზედამხედველო ღონისძიებებს, როგორც სექტორული, ისე თითოეული ფინანსური ინსტიტუტის რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესი დაედო საფუძვლად. 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებები მოიცავდა როგორც კომპლექსურ, ისე თემატურ, სპეციალურ, საკონტროლო და სწრაფი ტიპის ადგილზე შემოწმებებს.

2025 წელს, ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სექტორებში შესაბამისობის კულტურის ამაღლების, საზედამხედველო მოლოდინების გაზიარებისა და რისკების აღქმის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა მეთოდური სახელმძღვანელო შემუშავდა და განახლდა. ხაზგასასმელია, რომ გაგრძელდა მუშაობა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საზედამხედველო ჩარჩოს შემდგომ განვითარებასა და დახვეწაზე.

საგადახდო სისტემები წარმოადგენს ფინანსური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების ეფექტიან, უსაფრთხო და უწყვეტ მიმოქცევას ეკონომიკაში. მათი გამართული ფუნქციონირება კრიტიკულია ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის, რადგან ამცირებს სისტემურ რისკებს და ზრდის ფინანსური ტრანზაქციების სანდოობას.

ცენტრალური ბანკისთვის საგადახდო სისტემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეფექტიანი და საიმედო საგადახდო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ლიკვიდობის დროულ გადანაწილებას ფინანსურ სისტემაში და ხელს უწყობს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. ამავდროულად, ცენტრალური ბანკების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს საგადახდო სისტემების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, მათზე ზედამხედველობის (ოვერსაიტის) განხორციელება და მათი განვითარების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვით.

ამასთან, ისევე, როგორც ბევრი ცენტრალური ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი აცნობიერებს რომ საგადახდო სისტემების განვითარების მიზანი არა მხოლოდ ტექნიკური სანდოობა, არამედ მოქნილი, ინოვაციური და უსაფრთხო საცალო გადახდების საბაზისო ინფრასტრუქტურის და კანონმდებლობის უზრუნველყოფაა — რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია ყოველდღიური ეკონომიკური აქტივობებისთვის და ფინანსური ჩართულობის გაზრდისთვის.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საცალო გადახდების სფეროს განვითარებას, ვინაიდან ისინი პირდაპირ უკავშირდება მომხმარებლების (ფიზიკური და იუ-

რიდიული პირების) ყოველდღიურ ეკონომიკურ აქტივობას. ეფექტიანი და მომხმარებელზე ორიენტირებული საცალო გადახდების სისტემები, როგორც აღინიშნა, ზრდის ფინანსურ ჩართულობას, ამყარებს ნდობას ეროვნული ვალუტისა და გადახდის ინსტრუმენტების მიმართ და წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის შეუფერხებელი ფუნქციონირების მნიშვნელოვან წინაპირობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგადახდო სისტემების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაში. ამ მიმართულებით იგი ერთდროულად მოქმედებს როგორც ზედამხედველი, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის მარეგულირებელ ჩარჩოს, ზრუნავს საგადახდო მომსახურების გამჭვირვალობის ზრდაზე და მათ მიმართ ნდობის განმტკიცებაზე, ასევე როგორც ოპერატორი, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი საგადახდო ინფრასტრუქტურის - დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის - ფუნქციონირებას და ხელს უწყობს ფინანსური ბაზრის გამართულ მუშაობას, ასევე მუშაობს ახალი საგადახდო ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებაზე.

2025 წლის განმავლობაში მნიშნელოვანი სამუშაო შესრულდა ეროვნული ბანკის საკუთარი საგადახდო ინფრასტრუქტურის განახლების მხრივ. კერძოდ, აქტიური ტესტირების ფაზაში გადავიდა ახალი RTGS სისტემა, რომელიც თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს საგადახდო სისტემებს საქართველოში, გაამარტივებს არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერების წვდომას ეროვნული ბანკის საგადახდო სისტემებზე და უზრუნველყოფს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების (ISO20022) სრულ ადაპტაციას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის საგადახდო სისტემის თავსებადობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, გლობალურ საგადახდო ინფრასტრუქტურებთან. ახალი RTGS სისტემის რეალურ გარემოში ოპერირება 2026 წლის მეორე კვარტალშია გათვალისწინებული.

გარდა ამისა, ინტენსიური განვითარების ფაზაში გადავიდა საქართველოს ეროვნული ბანკის სრულიად ახალი მყისიერი გადახდების სისტემა, რომელიც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში საცალო საგადახდო სისტემის განვითარებისათვის და ხელს შეუწყობს ახალი, ინოვაციური საგადახდო მომსახურების განვითარებას, გაზრდის გადახდების ეფექტიანობასა და ეფექტურობას, რაც დადებითად აისახება როგორც მომხმარებლებზე, ასევე ბიზნესებზეც.

საგადახდო სისტემების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი ზედამხედველობა (ოვერსაიტი) წარმოებს უწყვეტ პროცესად, რომელიც მიმართულია საგადახდო ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისკენ, საგადახდო სისტემებში არსებული და მათზე მოქმედი რისკების ეფექტიან მართვაზე, ხოლო მთლიანად ქვეყნის საგადახდო სისტემის საიმედობისა და სანდოობის განმტკიცებაზე. საგადახდო სისტემების ოვერსაიტის ჩარჩოს ქმნის 2023 წელს მიღებული „საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხედველობის (ოვერსაიტის) წესი“, რომელიც ვრცელდება როგორც მნიშვნელოვან, ასევე სხვა დანარჩენ საგადახდო სისტემებზე და შესაბამისობაშია საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტისა და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (CPSS-IOSCO) ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპებთან (PFMI) და ასევე ევროპის ცენტრალური ბანკის საგადახდო სისტემების ოვერსაიტის მოთხოვნებთან. 2025 წელს, წინა წლის მსგავსად, ეროვნულმა ბანკმა ნორმატიული აქტით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი მიანიჭა 6 სისტემას. მათგან ერთი - საქართველოს ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემა - აღიარებული იქნა სისტემურად მნიშვნელოვან საგადახდო სისტემად, ხოლო დანარჩენი 5 სისტემა კი - გამორჩეულად მნიშვნელოვან საგადახდო სისტემებად.

გადახდის ციფრული არხების და ინსტრუმენტების განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მომხმარებელების მხრიდან მათი გამოყენებაც დაყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ციფრული გადახდების განვითარებასთან ერთად აქტიურად დაიწყო რამდენიმე მიმართულების მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა ნდობის გაძლიერებას, საფრთხეების პრევენციას და გადახდის სისტემების ეფექტიანობას. დაწყებული აქტივობებია: თანამედროვე გადახდის მეთოდების დანერგვა, როგორიცაა გადახდები მობილურის ნომრით და QR კოდების გამოყენე-

ბით, თაღლითობის პრევენციული მექანიზმების შემუშავება, მათ შორის გადამხდელის მიერ მიმღების გადამოწმების მექანიზმის (Verification of Payee) დანერგვა, აგრეთვე საგადახდო სისტემის დონეზე თაღლითური ოპერაციების ანალიტიკური სისტემის შექმნა, რომელიც დაეხმარება საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს საეჭვო ან თაღლითური ტრანზაქციების დროულ იდენტიფიკაციას. მომხმარებელთა მხარდაჭერის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა შექმნა სპეციალური პლატფორმა ტარიფების გამჭვირვალობისა და შედარებისათვის, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ადვილად შეადარონ სხვადასხვა სერვისის ფასები და აირჩიონ მათთვის ყველაზე ხელსაყრელი მომსახურება. აღნიშნული წარმოადგენს საგადახდო ანგარიშების შესახებ ევროკავშირის დირექტივის (Payment Accounts Directive – PAD) ნაწილის იმპლემენტაციას. ამავდროულად, 2023 წლის დეკემბერში, ევროდირექტივის (PSD2) იმპლემენტაციის ფარგლებში, საქართველოში ამოქმედდა დავების განმხილველი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საგადახდო მომსახურების მომხმარებელთა დავების სწრაფ, ეფექტურ და უფასო განხილვას. აღნიშნული ღონისძიებების ერთობლიობა ხელს უწყობს ინოვაციური, უსაფრთხო და მომხმარებელზე ორიენტირებული საგადახდო სერვისების განვითარებას, ფინანსური ჩართულობის ზრდასა და შეუფერხებელ ეკონომიკური აქტივობას.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციის დეპარტამენტი 2025 წლის განმავლობაში აქტიურად ახორციელებდა საზედამხედველო ფუნქციებს, რომელიც მოიცავს: დაინტერესებული პირების რეგისტრაციას საგადახდო მომსახურების და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებად, კანონმდებლობით განსაზღვრული ცვლილებების რეგისტრაციასა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების პრუდენციულ ზედამხედველობას. ეროვნული ბანკი საზედამხედველო საქმიანობასთან ერთად მუდმივად უწყობს ხელს ახალი საგადახდო სერვისების და ინოვაციური პროდუქტების განვითარებას. ამ მხრივ, იგი მუდმივ კომუნიკაციაშია ბაზრის მონაწილეებთან და სწავლობს მათ საჭიროებებს. სწორედ ამ ურთიერთობის ფარგლებში, 2025 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სერვისში ჩართვის პროექტი, რომლის დანერგვის შემდეგაც, მათ შეესაძლებლობა მიეცემათ კომერციული ბანკის დახმარების გარეშე განახორციელონ სისტემის მონაწილეებს შორის გადარიცხვები. დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS) წარმოადგენს ბანკთაშორისი ანგარიშსწორების მექანიზმს ქვეყნის შიგნით, რომლის მონაწილეებს დღეისათვის წარმოადგენენ მხოლოდ კომერციული ბანკები და სახელმწიფო ხაზინა.

ეროვნულმა ბანკმა დაინახა საზედამხედველო მანდატის გაფართოების საჭიროება და 2025 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის ინიციირება განახორციელა, რომელიც ეხებოდა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საზედამხედველო ჩარჩოს გაფართოებას. 2025 წლის დეკემბერში ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ზედამხედველობის მომწესრიგებელი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 525 მუხლი ჩამოყალიბდა განახლებული სახით, მსგავსად ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტების მარეგულირებელი ნორმებისა. აღნიშნული ცვლილებით, ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების არა მარტო ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით შემოწმება და რეგულირება, არამედ ამ ტიპის სუბიექტებზე სრული ზედამხედველობის განხორციელება, რაც მათ შორის მოიცავს პრუდენციულ ზედამხედველობას, ასევე მომხმარებლების უფლებების დაცვის, საოპერაციო და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით რეგულირებას და სხვა.

2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო პარტნიორებთან. კერძოდ, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის საგადახდო მომსახურების საკითხებზე მომუშავე გუნდს, საგადახდო მომსახურების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარების საკითხებზე მხარდაჭერა გაეწია. ასევე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ყაზახეთის ცენტრალური ბანკის სპეციალისტებისთვის მიმდინარეობდა ტექნიკური დახმარება, ხოლო კორეის ცენტრალურ ბანკთან ერთად სამუშაოები ჩატარდა საქართველოში საგადახდო სისტემაში უნაღდო გადახდების როლის შეფასებასა და მათი წახალისების მექანიზმებზე.

01.

მაკროეკონომიკური გარემო

1.1. მსოფლიო ეკონომიკა

2025 წელს გლობალური ეკონომიკური ზრდა ზომიერი ტემპით გაგრძელდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2026 წლის აპრილის[7] შეფასებით 3.4 პროცენტი შეადგინა, რაც კვლავ ჩამოუვარდება პანდემიამდელ საშუალო მაჩვენებელს. ინფლაცია შემცირების ტენდენციას ინარჩუნებდა, თუმცა ცენტრალური ბანკები მონეტარული პოლიტიკის შერბილებას ფრთხილად და ეტაპობრივად ახორციელებდნენ, ვინაიდან რიგ ქვეყნებში ფასებზე ზეწოლა ჯერ კიდევ სრულად არ იყო განეიტრალებული. გლობალური ეკონომიკური გარემო 2025 წელს მაღალი გაურკვევლობით ხასიათდებოდა, რაც ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებზე უარყოფითად მოქმედებდა. ეს ერთი მხრივ, წლის დასაწყისში სავაჭრო პოლიტიკის ცვლილებებით იყო განპირობებული. კერძოდ, აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მიერ სატარიფო პოლიტიკის დაანონსებამ მნიშვნელოვნად გააუარესა ბიზნესისა და მომხმარებელთა სენტიმენტები და გაზარდა გლობალური ეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკები. აღნიშნულმა პროცესებმა, ერთი მხრივ, ეკონომიკურ ზრდაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა, ხოლო მეორე მხრივ, გაზარდა ინფლაციური წნეხისა და ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკები. მეორე მხრივ, მწვავე გეოპოლიტიკური ვითარება, უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტი, გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობის ერთერთ ძირითად წყაროდ რჩებოდა. აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენდა როგორც მიწოდების ჯაჭვებისთვის, ისე ენერგომატარებლების ბაზრებისთვის, რაც ზრდიდა ფასების მერყეობის რისკებს, ამცირებდა ინვესტორთა ნდობას და გლობალურ ეკონომიკურ პესპექტივას აუარესებდა. ამავდროულად, რიგ ქვეყნებში მონეტარული პოლიტიკის შედარებით მკაცრი პოზიციის შენარჩუნებამ ეკონომიკური აქტივობის ზრდა გარკვეულწილად შეაფერხა. განვითარებულ ეკონომიკებში, გამკაცრებული ფინანსური პირობების ფონზე, ფისკალური დეფიციტების ზრდამ ფისკალური მდგრადობის რისკები კიდევ უფრო გაამწვავა. თუმცა რეგიონულ ჭრილში განსხვავებები შენარჩუნდა: განვითარებულ ეკონომიკებში ზრდა შედარებით სუსტი იყო, მაშინ როდესაც განვითარებად და მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობა უფრო მდგრადი დარჩა.

2025 წელს საერთაშორისო ბაზრებზე საკვები ნედლეული პროდუქტების ფასების ინდექსი, საშუალოდ, წინა წელთან შედარებით 4.3 პროცენტით[8] გაიზარდა და 127.2 შეადგინა. რაც შეეხება ბრენტის ტიპის ერთი ბარელი ნავთობის საერთაშორისო ფასს, მან საშუალოდ 2025 წელს დაახლოებით 69 ამერიკული დოლარი შეადგინა, რაც 15 პროცენტით დაბალი მაჩვენებელია 2024 წელთან შედარებით. საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა გლობალური ინფლაციის დინამიკაზე. საბოლოო ჯამში, სსფ-ის შეფასებით[9], ინფლაცია გლობალურად 4.1 პროცენტი იყო 2025 წელს.

2025 წელს აშშ-ის ეკონომიკა, სსფ-ის შეფასებით, 2.1 პროცენტით გაიზარდა, რაც ასახავდა ეკონომიკის ეტაპობრივ ნორმალიზაციას, ბოლო წლების ძლიერი პოსტპანდემიური აღდგენისა და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შემდეგ. ეკონომიკურ აქტივობაში დადებითი წვლილი კვლავ ძლიერმა შრომის ბაზარმა და შედარებით სტაბილურმა სამომხმარებლო დანახარჯებმა შეიტანა, თუმცა მათი ზრდა წინა წელთან შედარებით შენელდა. ინფლაცია კვლავ მიზნობრივზე მაღლა შენარჩუნდა და საშუალოდ დაახლოებით 2.7 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, აშშ ფასების სტაბილურობასა და მაქსიმალურ დასაქმებას შორის მოკლევადიანი ბალანსის შენარჩუნების გამოწვევის წინაშე დადგა. ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფრთხილი მონეტარული პოლიტიკის შერბილება დაიწყო, რათა, ერთი მხრივ, ინფლაციური რისკები კვლავ კონტროლის ქვეშ დარჩენილიყო და, მეორე მხრივ, თავიდან აეცილებინა ეკონომიკური ზრდის ზედმეტი შენელება. დამატებით, ახალი ადმინისტრაციის მიერ ტარიფების პოლიტიკის გადახედვამ გაზარდა გაურკვევლობა, რაც ინვესტორთა ნდობასა და გლობალურ ეკონომიკურ გარემოზე დამატებით ზეწოლას ახდენდა. ამ პირობებში დოლარის კურსი მერყეობით ხასიათდებოდა და წლის დასაწყის-

7. International Monetary Fund. 2026. The World Economic Outlook: Global Economy in the Shadow of War. Washington, D.C., April. (ეკონომიკური ზრდის შეფასებები ეფუძნება სსფ-ს ამავე რეპორტს, ხოლო ინფლაციის მონაცემები აღებულია შესაბამისი ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკური წყაროებიდან).


8. FAO Food Price Index.

9. WEO April, 2026.

ში შესუსტდა და მთელი წლის განმავლობაში სუსტ პოზიციაზე შენარჩუნდა.

2025 წელს, წინა წელთან შედარებით, ევროზონისა და გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკა ზომიერი ტემპით გაიზარდა, რაშიც დიდი წვლილი სხვადასხვა ეკონომიკურმა და საგარეო ფაქტორებმა შეიტანა. ევროზონა, ერთის მხრივ, ეკონომიკური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა: გლობალური სავაჭრო დაძაბულობა და მრეწველობის სექტორის შესუსტება ზრდის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებად იქცა. მეორეს მხრივ კი, შრომის ბაზარზე აქტივობა გაუმჯობესდა და ხელფასები გაიზარდა, რის ფონზეც მოხმარება მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა. სსფ-ის მიხედვით, 2025 წელს ევროზონის ეკონომიკა 1.4 პროცენტით გაიზარდა, რაც მიუთითებდა წინა წელთან შედარებით მცირედ გაუმჯობესებულ დინამიკაზე. ინფლაცია საშუალოდ 2.1 პროცენტის ფარგლებში იყო, რაც ევროპის ცენტრალური ბანკის (ეცბ) მიზნობრივ დონესთან ახლოსაა. აღნიშნულს ხელი შეუწყო ენერგომატარებლებზე არსებულმა დაბალმა ფასმა, თუმცა საკვებისა და მომსახურების ფასების ზრდა გარკვეულწილად ზეწოლას ახდენდა. ეცბ-მ, ინფლაციის სტაბილიზაციის ფონზე, მონეტარული პოლიტიკის ფრთხილი შერბილება გააგრძელა და საპროცენტო განაკვეთი რამდენჯერმე, მცირე ბიჯებით, შეამცირა. რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, სსფ-ის შეფასებით, 2025 წელს მისი ეკონომიკა 1.3 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული, ძირითადად, ინვესტიციების სტაბილიზაციით, შრომის ბაზრის შედარებითი სიმტკიცითა და სამომხმარებლო დანახარჯების გაძლიერებით იყო განპირობებული, თუმცა გლობალური გაურკვევლობა და სავაჭრო ბარიერები უარყოფით ფაქტორად რჩებოდა წლის განმავლობაში. ინფლაციის მაჩვენებელი მიზნობრივ 2 პროცენტიან მაჩვენებელთან შედარებით მაღალი შენარჩუნდა და წლიურად, საშუალოდ, 3.4 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის ზრდას განაპირობებდა მომსახურების სექტორში გაზრდილი ფასები, მუშახელის დეფიციტი და შრომითი დანახარჯების (ხელფასების) ზრდა. დაბალი ეკონომიკური აქტივობისა და მიზნობრივზე მაღალი ინფლაციის პირობებში, ინგლისის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ ზომიერად შეამცირა წლის განმავლობაში.

დიაგრამა N 1.1. რეალური მშპ-ის ზრდა მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი


გლობალურად შექმნილმა რთულმა სავაჭრო პირობებმა და გეოპოლიტიკურმა გაურკვევლობამ სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებიც დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. გერმანიაში, წარმოების სექტორის გაუარესების და მაღალი ენერგო დანახარჯების ფონზე, ეკონომიკა მხოლოდ 0.2 პროცენტით გაიზარდა. დაბალი ეკონომიკური აქტივობა იყო იტალიაშიც, სადაც ეკონომიკურმა ზრდამ 0.5 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული ძირითადად ინდუსტრიული სექტორის სუსტი აქტივობითა და საგარეო მოთხოვნის შემცირებით იყო განპირობებული. 0.9 პროცენტით გაიზარდა საფრანგეთის ეკონომიკა, რაშიც დიდი წვლილი გაზრდილმა სამომხმარებლო

დანახარჯებმა და მომსახურების სექტორის აქტივობამ შეიტანა. ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაღალი ეკონომიკური აქტივობის ტემპი იყო ესპანეთში, რაც ტურიზმის სექტორში გაზრდილი აქტივობის შედეგად ძლიერ საგარეო მოთხოვნას უკავშირდება. ასევე ძლიერი იყო შიდა მოთხოვნაც, რამაც საბოლოოდ ესპანეთის რეალური ეკონომიკა 2025 წელს 2.8 პროცენტით გაზარდა. შედარებით მაღალი აქტივობა იყო საბერძნეთშიც, სადაც ეკონომიკა 2.1 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულში დიდი წვლილი შეიტანა ტურიზმის სექტორმა და შიდა მოხმარების ზრდამ.

2025 წელს, მსოფლიო მასშტაბით, მზარდ და განვითარებად ეკონომიკებს, სსფ-ის შეფასებით, კვლავ მნიშვნელოვანი სირთულეები ჰქონდათ სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების მიმართულებით. გაცვლითი კურსების მომატებულმა მერყეობამ, ფინანსური პირობების კვლავ შედარებით მკაცრმა დონემ, აგრეთვე პოლიტიკურ და გლობალურ სავაჭრო გარემოში არსებულმა მაღალმა გაურკვევლობამ, შეაფერხა საინვესტიციო აქტივობა და რესურსების ეფექტიანი გადანაწილება. აღნიშნული ფაქტორები უარყოფითად მოქმედებდა ეკონომიკური აქტივობის დინამიკაზე.

2025 წელს თურქეთის ეკონომიკური აქტივობის ტემპი, არსებული რეგიონული და მაკროეკონომიკური რისკების ფონზე, ზომიერი იყო, და სსფ-ის შეფასებით, რეალური მშპ-ის ზრდამ 3.6 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული შიდა მოთხოვნისა და შრომის ბაზრის ნაწილობრივი სტაბილიზაციით იყო განპირობებული, თუმცა გამკაცრებული ფინანსური პირობები უარყოფითად აისახებოდა აქტივობაზე. ინფლაცია, 2025 წელს, კვლავ მაღალი იყო და საშუალოდ 35.2 პროცენტი შეადგინა, რაც კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება ცენტრალური ბანკის მიზნობრივ დონეს. მიუხედავად ამისა, ცენტრალურმა ბანკმა წლის განმავლობაში შერბილების პოლიტიკა განახორციელა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 47.5 პროცენტიდან 38 პროცენტამდე შეამცირა.

დიაგრამა N 1.2. სფი ინფლაცია მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2025 წელს რუსეთის ეკონომიკური აქტივობა, სსფ-ის შეფასებით, დაბალ დონეზე შენარჩუნდა და მისმა ზრდამ მხოლოდ 1 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული, ძირითადად, თავდაცვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ხარჯებისა და სამხედრო-სამრეწველო წარმოების მაღალი დონით იყო განპირობებული, რაც ასახავს ეკონომიკის მზარდ დამოკიდებულებას ფისკალურ სტიმულსა და სახელმწიფო სექტორზე, განსაკუთრებით უკრაინაში მიმდინარე ომისა და დასავლეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების პირობებში. ამასთან, მაკროეკონომიკური გარემო კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდებოდა: ეკონომიკური სანქციების ფონზე კვლავ შეზღუდული იყო საინვესტიციო აქტივობა, გაუარესებული რჩებოდა ბიზნესგარემო და საგარეო

სექტორის პერსპექტივები, რაც საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის პოტენციალს ამცირებს. ინფლაცია 2025 წელს შედარებით მაღალ დონეზე შენარჩუნდა და საშუალოდ 8.7 პროცენტი შეადგინა. ინფლაციური წნეხისა და მოლოდინების ზრდის საპასუხოდ, რუსეთის ცენტრალური ბანკი, მთლიანობაში, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა.


რუსეთის მიერ წარმოებულ ომს მძიმე გავლენა აქვს უკრაინაზე როგორც ჰუმანიტარული თვალსაზრისით, ისე ეკონომიკური კუთხით. განადგურებულია მრავალი კრიტიკული ინფრასტრუქტურული ობიექტი, რაც ეკონომიკის პოტენციალს ამცირებს. სსფ-ს შეფასებით, უკრაინის რეალური ეკონომიკური ზრდა 2025 წელს 1.8 პროცენტი იყო, ხოლო ინფლაციის საშუალო დონე კი 12.7 პროცენტი.

2025 წელს სომხეთში ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელზე მაღალი დაფიქსირდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით რეალური მშპ-ის ზრდამ 7.2 პროცენტი შეადგინა. მაღალი ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად იყო განპირობებული სამშენებლო სექტორის ძლიერი ზრდით, ასევე მომსახურების სექტორის, განსაკუთრებით ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფინანსური მომსახურებების მაღალი ზრდით. აღსანიშნავია, რომ საგარეო სექტორი ზომიერად მდგრადი შენარჩუნდა და საერთაშორისო რეზერვების დაგროვება გაგრძელდა, რაც ნაწილობრივ ასახავდა წინა წლებში გაზრდილი შემოდინებების ინერციას. ამასთან, წლიურმა ინფლაციამ საშუალოდ 3.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი რამდენჯერმე შეამცირა.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2025 წელს ეკონომიკური აქტივობა დაბალი იყო და სსფ-ის შეფასებით 1.4 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული დინამიკა ძირითადად ასახავდა ნავთობის სექტორში სუსტი აქტივობის გავლენას, რაც ნაწილობრივ დაკავშირებული იყო როგორც გლობალური მოთხოვნასთან, ისე წარმოების ფაქტორებთან. მიუხედავად ამისა, არასანავთობო სექტორში ზომიერი ზრდა შენარჩუნდა. ამასთანავე, გაიზარდა წლიური ინფლაციის მაჩვენებელი, და საშუალოდ 5.7 პროცენტი შეადგინა.

საბოლოო ჯამში, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკა 2025 წელს საშუალოდ 2.1 პროცენტით გაიზარდა, რაც 1.2 პროცენტული პუნქტით დაბალია ვიდრე წინა წლის მაჩვენებელი. რაც შეეხება საქართველოს, 2025 წელს რეალური მშპ, წინასწარი მონაცემებით, 7.5 პროცენტით გაიზარდა, ასევე მაღალი, 2024 წლის 9.7 პროცენტიანი ზრდის შემდეგ (იხ. დიაგრამა 1.3). ინფლაციამ კი საშუალოდ 3.9 პროცენტი შეადგინა 2025 წელს.

დიაგრამა N 1.3. რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სებ-ის გაანგარიშება


საქართველოს უმეტესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა, 2025 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები რამდენჯერმე შეამცირეს. კერძოდ, აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფედერალური ფონდების განაკვეთი 3.5-3.75 პროცენტიან შუალედამდე დაწია, ხოლო ევროპის ცენტრალურმა ბანკმა სადეპოზიტო ინსტრუმენტის განაკვეთის დონე 2 პროცენტამდე შეამცირა. რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკს, 2025 წლის ბოლო სხდომაზე მან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 38 პროცენტამდე შემცირების გადაწყვეტილება მიიღო. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა კი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 16 პროცენტამდე შეამცირა.

1.2. საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი

2025 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და მშპ-ის 2.6 პროცენტი შეადგინა, რაც საქართველოსთვის ისტორიულად დაბალი მაჩვენებელია. აღნიშნული, ერთი მხრივ, საქონლით სავაჭრო ბალანსის მშპ-თან ფარდობის შემცირებული დეფიციტით იყო განპირობებული. ამასთან, დადებითი წვლილი შეიტანა მომსახურებისა და პირველადი შემოსავლების ბალანსის მშპ-თან ფარდობის გაუმჯობესებამაც (იხ. დიაგრამა 1.4). აღსანიშნავია, რომ პირველადი შემოსავლების ნაწილში რეინვესტირებული შემოსავლების დეფიციტის გაუმჯობესება იყო მნიშვნელოვანი. ეს უკანასკნელი კი ასახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული მოგების იმ ნაწილს, რომელიც არ გაიცემა დივიდენდების სახით და კვლავ ინვესტირდება ეკონომიკაში. ამ მიზეზით, ანალიტიკური თვალსაზრისით საინტერესოა მიმდინარე ანგარიშის განხილვა რეინვესტირებული შემოსავლის გამორიცხვით, ვინაიდან იგი მიმდინარე ანგარიშის ბალანსის ფუნდამენტურ პროცესებს უკეთ ასახავს. კერძოდ, აღნიშნულის გამორიცხვითაც წინა წელთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის ბალანსი პროფიციტული გახდა და 2025 წელს მშპ-ის 0.2 პროცენტი შეადგინა.


აღსანიშნავია, რომ საგარეო პოზიციის გაძლიერება მეტწილად ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებს ასახავს. ბოლო წლების განმავლობაში, მათ შორის 2025 წელსაც, ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი მომსახურებაზე ორიენტირებული, შედარებით მაღალპროდუქტიული და ნაკლებად იმპორტინტენსიური სექტორები იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფორმაციისა და კომუნიკაციისა და განათლების სექტორები, რომლებიც რეალური მშპ-ის ზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. აღნიშნული სექტორების მზარდი ტენდენცია, ერთი მხრივ, ამცირებს იმპორტის ზრდის ტემპს და აუმჯობესებს საქონლით სავაჭრო ბალანსს, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდის მომსახურების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებს. 2025 წელს საქონლით სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებაზე დამატებით გავლენას ახდენდა იმპორტირებულ საქონელზე ფასების შემცირებაც, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, ამცირებს იმპორტის ნომინალურ მოცულობას. აღნიშნულმა ფაქტორმა დამატებით შეუწყო ხელი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესებას.

დიაგრამა N 1.4. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მშპ-თან ფარდობის დეკომპოზიცია.



წყარო: სებ


დიაგრამა N 1.5. 2025 წლის მიმდინარე ანგარიში/მშპ ფარდობის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: სებ


2025 წელს, მიმდინარე ანგარიშის ყველაზე დეფიციტური კომპონენტის, საქონლის სავაჭრო ბალანსის მშპ-თან ფარდობა გაუმჯობესდა, რაც მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე დადებითად აისახა. კერძოდ, 2025 წელს სავაჭრო დეფიციტის მშპ-თან ფარდობა 1.3 პპ-ით, 17.9 პროცენტამდე, შემცირდა (იხ. დიაგრამა 1.5), რაც განაპირობა როგორც ექსპორტის მაღალმა, ისე იმპორტის შედარებით სუსტმა ზრდამ. კერძოდ, საგადასახდელო ბალანსის მიხედვით, საქონლის ექსპორტის წლიურმა ზრდის ტემპმა 2025 წელს 11.6 პროცენტი, ხოლო იმპორტის ზრდის ტემპმა 8.4 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 1.6. საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება[10]



წყარო: საქსტატი

დიაგრამა N 1.7. საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილების დეკომპოზიცია კატეგორიების მიხედვით



წყარო: საქსტატი

10. საქსტატის საგარეო ვაჭრობა და საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობა განსხვავებული ცნებებია, რომლებიც განსხვავებულ კონცეფციებს ეყრდნობა. თუ საგარეო ვაჭრობისათვის განმსაზღვრელია საზღვრის გადაკვეთის პრინციპი, საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობისათვის განმსაზღვრელი პრინციპია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების უფლების ცვლილება. გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ექსპორტი მოცემულია FOB (Free On Board) ფასებში, ხოლო იმპორტი CIF (Cost, Insurance, Freight) ფასებში მაშინ, როდესაც საგადასახდელო ბალანსის საქონლით ვაჭრობაში როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი, FOB ფასებშია მოცემული.

2025 წელს საქონლის ექსპორტის მაღალი ზრდა როგორც რეექსპორტირებული საქონლის, ასევე ადგილობრივად წარმოებული საქონლის ექსპორტის მაღალმა ზრდამ განაპირობა. მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტს, 2025 წელს, საქონლის ექსპორტის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა (იხ. ცხრილი 1.1). 2024 წლის მეორე ნახევრის მსგავსად, ავტომობილების რეექსპორტი ძირითადად ცენტრალური აზიის ქვეყნების ბაზრებზე ხორციელდებოდა. ასევე, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ზრდაც მაღალი ტემპით გამოირჩეოდა. კერძოდ, ადგილობრივი ექსპორტის წლიურმა ზრდამ 12.5 პროცენტი შეადგინა. მათ შორის, ძირითადი საექსპორტო საქონლის: ძვირფასი ლითონების მადნების, თხილისა და ლიმონათების ექსპორტი წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა.


ცხრილი 1.1. 2025 წლის ექსპორტის სტრუქტურა ტოპ-5 ქვეყნის და პროდუქტის მიხედვით

ტოპ-5 პროდუქტი	**(მლნ აშშ დოლარი)**	**ტოპ-5 ქვეყანა**	**(მლნ აშშ დოლარი)**
მსუბუქი ავტომობილები	2,814.4	ყირგიზეთი	1,498.8
ძვირფასი ლითონების მადნები	378.9	ყაზახეთი	910.0
სპირტიანი სასმელები	282.5	რუსეთი	749.3
ღვინო	267.9	აზერბაიჯანი	697.3
ფეროშენადნობები	225.8	სომხეთი	552.9

წყარო: საქსტატი


2025 წელს საქონლის იმპორტის ზრდის ტემპი შენელდა, რაც რამდენიმე ფაქტორს უკავშირდებოდა. როგორც აღინიშნა, ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები - ნაკლებად იმპორტ-ინტენსიური სექტორების გაძლიერება - ხელს უწყობდა იმპორტის ზრდის ტემპის შენელებას. მეორე მხრივ, საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასების შემცირება ენერგორესურსების იმპორტის ნომინალურ ღირებულებაზე კლების მიმართულებით მოქმედებდა. ამასთან, იმპორტის ზრდის შენელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საინვესტიციო საქონლის კლებამ, რაც ნაწილობრივ 2024 წლის მაღალი საბაზო ეფექტით აიხსნება. კერძოდ, 2024 წელს ეკონომიკის ზრდაში ინვესტიციების წვლილი მაღალი იყო, რაც საინვესტიციო საქონლის იმპორტის ზრდაშიც გამოიხატა. ამასთან, აღნიშნული დინამიკა ასახავდა როგორც რაოდენობის, ისე ფასის ეფექტს, მათ შორის ტექნიკაზე ფასების კლებას. პარალელურად, 2025 წელს სამომხმარებლო საქონლის იმპორტის დადებითი წვლილიც შემცირდა (იხ. დიაგრამა 1.7), რაც მეოთხე კვარტალში ავტომობილების იმპორტის კლებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივად მოხმარებული პროდუქტების იმპორტის ზრდის ტემპიც შენელდა წინა წლებთან შედარებით, რაც, თავის მხრივ, როგორც ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებებით, ისე 2025 წელს მოხმარების ნორმალიზების ნიშნებით აიხსნება (იხ. დიაგრამა 1.8).

დიაგრამა N 1.8. საქონლის იმპორტის წლიური ცვლილების დეკომპოზიცია კატეგორიების მიხედვით



წყარო: საქსტატი

დიაგრამა N 1.9. საქონლის რეგისტრირებული იმპორტის და ადგილობრივი იმპორტის წლიური ზრდა



წყარო: საქსტატი

2025 წელს აშშ-ს წამყვანი წილი ჰქონდა საქონლის იმპორტში, საიდანაც, მეტწილად, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი ხორციელდებოდა. ასევე, გასული წლების მსგავსად, იმპორტიორ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი წამყვანი წვლილი თურქეთს შეჰქონდა, მეტწილად, სამკურნალო საშუალებების და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტის შედეგად (იხ. ცხრილი 1.2). აღნიშნული პროდუქტები სამომხმარებლო საქონლის კატეგორიაში კლასიფიცირდება და გასული წლის განმავლობაში იმპორტის ზრდაში დადებითი წვლილი შეიტანა (იხ. დიაგრამა 1.8).


ცხრილი 1.2. 2025 წლის იმპორტის სტრუქტურა ტოპ-5 ქვეყნის და პროდუქტის მიხედვით

ტოპ-5 პროდუქტი	**(მლნ აშშ დოლარი)**	**ტოპ-5 ქვეყანა**	**(მლნ აშშ დოლარი)**
მსუბუქი ავტომობილები	3,963.3	აშშ	2,779.9
ნავთობპროდუქტები	1,358.8	თურქეთი	2,776.9
სამკურნალო საშუალებები	680.4	ჩინეთი	1,986.6
ნავთობის აირები	444.1	რუსეთი	1,939.4
სატელეფონო აპარატები და ა.შ...	343.1	გერმანია	1,306.1

წყარო: საქსტატი

საქონლის სავაჭრო ბალანსთან ერთად, მომსახურების ბალანსი კვლავ დადებითად აისახა მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებაზე. კერძოდ, მომსახურების სავაჭრო ბალანსში, 2022 წლიდან კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურებიდან (ICT) მიღებული შემოსავლების მკვეთრად გაზრდილი დონე 2025 წელს კიდევ უფრო გაიზარდა და ICT სექტორის ექსპორტის მშპ-თან ფარდობამ 3.0 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა 1.10). ამავდროულად, ტრანსპორტირების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების მშპ-თან ფარდობაც მაღალ დონეზე შენარჩუნდა და 2025 წელს მშპ-ის 4.6 პროცენტი შეადგინა. ამასთან, წლიურ ჭრილში კვლავ გაიზარდა მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლებიც 6 პროცენტით და მშპ-ის 12.3 პროცენტი შეადგინა.


დიაგრამა N 1.10. მომსახურების ექსპორტის კომპონენტების ფარდობა მშპ-თან



წყარო: სებ, საქსტატი


აღსანიშნავია, რომ მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ზრდა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ზრდითაც აიხსნება (იხ. დიაგრამა 1.11). 2025 წელს ისრაელიდან ტურისტების რაოდენობა და მიღებული შემოსავლები სტაბილურად იზრდებოდა, რის შედეგადაც მისი წვლილი მიღებული შემოსავლების ზრდაში ერთ-ერთი წამყვანი იყო. მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ერთ-ერთ მთავარ წყაროს კვლავ ევროკავშირის ქვეყნები წარმოადგენდა, საიდანაც მიღებული შემოსავლები წლის განმავლობაში მზარდი იყო. ამასთან, 2025 წლის განმავლობაში გაიზარდა აზერბაიჯანიდან და საუდის არაბეთიდან შემოსავლებიც. მნიშვნელოვანია, რომ გაუმჯობესდა მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების დივერსიფიკაცია. წამყვან ქვეყნებთან ერთად, სხვა ქვეყნებიდანაც ვიზიტორთა ზრდამ 2025 წელს შემოსავლების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მეორე მხრივ, 2025 წლის განმავლობაში რუსეთიდან და ბელარუსიდან მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები კვლავ შემცირდა (იხ. დიაგრამა 1.12).

დიაგრამა N 1.11. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


დიაგრამა N 1.12. მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები



წყარო: სებ

2025 წელს წლიურად 8.6 პროცენტით გაიზარდა ფულადი გზავნილები, რაც ძირითადად ევროკავშირიდან და აშშ-დან გადმორიცხვების ზრდით იყო გამოწვეული. ასევე ზრდას განაგრძობდა გადმორიცხვები ისრაელიდან. რუსეთიდან გადმორიცხვები აგრძელებდა შემცირებას, თუმცა საგულისხმოა, რომ წლის მეორე ნახევარში უარყოფითი საბაზო ეფექტი ამოიწურა და წვლილი ზრდის მიმართულებით შეიცვალა (იხ. დიაგრამა 1.13). ასევე, 2025 წელს 6.6 პროცენტით გაიზარდა მუშაკთა გზავნილები.

დიაგრამა N 1.13. ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით




წყარო: სებ

2025 წელს მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს კვლავ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა (იხ. დიაგრამა 1.14). 2025 წელს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 7.6 პროცენტით გაიზარდა და მშპ-ის 4.4 პროცენტი შეადგინა. ზრდის მიმართულებით აისახებოდა როგორც რეინვესტიციის (3.3 პპ), ისე სააქციო კაპიტალის კომპონენტი (5.1 პპ). ხოლო, სავალო ვალდებულებების კლება კი ინვესტიციებს ამცირებდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი კვლავ საფინანსო სექტორზე მოდიოდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ სექტორულ ჭრილში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაცია გაზრდილია.

2025 წელს წმინდა პორტფელური ინვესტიციების შემოდინებამ 53.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც განპირობებული იყო აქტივებთან შედარებით ვალდებულებების უფრო მაღალი ზრდით. რეზიდენტების საგარეო აქტივები გაიზარდა 369.2 მლნ აშშ დოლარით, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო საბანკო სექტორის მიერ მოკლევადიანი სავალო ინსტრუმენტების შეძენასთან. ამასთან, ვალდებულებები 423.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რომლის ძირითადი ნაწილი მესამე კვარტალში არასაბანკო კერძო სექტორის მიერ გამოშვებულ გრძელვადიან ფასიან ქაღალდებს უკავშირდებოდა. დამატებით, მეოთხე კვარტალში საბანკო სექტორის მიერ ლარში დენომინირებული გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვებამაც ხელი შეუწყო ვალდებულებების ზრდას. 2025 წელს, პირდაპირი ინვესტიციების პარალელურად, სხვა ინვესტიციებიც წარმოადგენდა დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს. აღნიშნული კატეგორიის წმინდა შემოდინებამ 751.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებული იყო აქტივების შემცირებით, თუმცა ვალდებულებების ზრდაც დამატებით ხელშემწყობი ფაქტორი იყო. აქტივების შემცირებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მეოთხე კვარტალში დეპოზიტების კლება იყო. მთლიანობაში ფინანსური ანგარიშის შემოდინებებმა გადააჭარბა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, რაც ხელს უწყობდა საერთაშორისო რეზერვების დაგროვებას.

დიაგრამა N 1.14. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები
(პროცენტულად მშპ-თან)



წყარო: სებ

ზემოაღნიშნული ტენდენციებიდან გამომდინარე, 2025 წელს მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 1,710.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 6,159.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წლის განმავლობაში საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვნად აისახა სებ-ის მიერ განხორციელებული წმინდა სავალუტო შესყიდვები. კერძოდ, წესებზე დაფუძნებული Bmatch ინტერვენციების მეშვეობით სებ-მა 2,432.5 მლნ აშშ დოლარი შეიძინა. ასევე, მთლიანი რეზერვების ზრდაზე ოქროს ფასის მნიშვნელოვანი ზრდა მოქმედებდა. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მარტში საერთაშორისო რეზერვებში მონეტარული ოქრო დაემატა. ეროვნულმა ბანკმა 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მონეტარული ოქრო საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისგან (BIS) შეიძინა. ოქროს ფასის ზრდის ფონზე, 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მისი შესყიდვის მომენტიდან ფასის ზრდის ეფექტმა მთლიან რეზერვებზე 502.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2024 წლის დეკემბერთან შედარებით დადებითი ეფექტი 403.6 მლნ აშშ დოლარი იყო. შედეგად, მონეტარული ოქროს წილი მთლიან საერთაშორისო რეზერვებში გაიზარდა და 16.3 პროცენტი (დაახლოებით 1.0 მლრდ აშშ დოლარი) შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ცალკეული ფაქტორები წლის განმავლობაში საერთაშორისო რეზერვებზე შემცირების მიმართულებით მოქმედებდა და მათ შორის იყო მთავრობის კონვერტაციები და სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება).


მთლიანი საერთაშორისო რეზერვები არის ის უმნიშვნელოვანესი ბუფერი, რაც ქვეყანას აქვს საგარეო შოკების წინააღმდეგ. შესაბამისად ეროვნული ბანკი ყოველთვის ორიენტირებულია რომ საერთაშორისო რეზერვები ადეკვატურ დონეზე იყოს. სსფ-ის ARA მეთოდოლოგიით[11] რეზერვების ადეკვატურობის შეფასების მიხედვით, 2025 წლის ბოლოსათვის საქართველოს საერთაშორისო რეზერვების დონე დაახლოებით 104.8 პროცენტს გაუტოლდა, რაც, აღნიშნული მეთოდოლოგიით, საგარეო და ლიკვიდობის შოკებისაგან დასაზღვევად საჭირო დონეს (100-დან 150 პროცენტამდე) აკმაყოფილებს. ხოლო ადეკვატურობის სხვა საზომით, 2025 წლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვებით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 3.6 თვე შეადგინა.

რეზერვების დაგროვების პოლიტიკას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურმა პოზიციამ. ლარის ნომინალური ეფექტური კურსის (NEER) სტაბილური პოზიციის შენარჩუნების ფონზე, რეალური ეფექტური გაც-

11. დაწვრილებით იხილეთ https://www.imf.org/external/np/pp/eng/2016/060316.pdf

ვლითი კურსი (REER), სებ-ის შეფასებით, მის გრძელვადიან წონასწორულ დონეს დაუახლოვდა. წლიურ ჭრილში REER-ის გაუფასურების დინამიკას ძირითადად საქართველოსა და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ინფლაციათა დიფერენციალი განაპირობებს. კერძოდ, სავაჭრო პარტნიორ ეკონომიკებში საშუალოდ უფრო მაღალი ინფლაციაა, რომელშიც თურქეთის მაღალი ინფლაციის წვლილი მნიშვნელოვანია. საშუალოდ, 2025 წლის მდგომარეობით, წლიურად რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 3.4%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.1%-ით გაუფასურდა.

დიაგრამა N 1.15. ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (იან.2020=100 ინდექსის ზრდა ნიშნავს გამყარებას)




წყარო: სებ

1.3. ეკონომიკური ზრდა

2025 წელს საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა კვლავ მაღალ დონეზე შენარჩუნდა და წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით 7.5 პროცენტით გაიზარდა. თუმცა რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა წლის მეორე ნახევარიდან გარკვეული ნორმალიზაციის ნიშნები გამოავლინა. მაღალი ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი კვლავ მომსახურებაზე ორიენტირებული, ნაკლებად იმპორტ-ინტენსიური სექტორები იყო. კერძოდ, 7.5 პროცენტიან ეკონომიკურ ზრდაში 2.8 პროცენტული პუნქტი (პპ) შედარებით მაღალ პროდუქტიულ სექტორებს - ინფორმაცია და კომუნიკაციასა და განათლების სექტორებს შეჰქონდათ. 2022 წლიდან ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორი (ICT) რეალური მშპ-ს ზრდაში წამყვან სექტორს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს 2020 წელთან შედარებით ამ სექტორში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა 8.5-ჯერ, ხოლო ამავე პერიოდში, შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება 4.3-ჯერ გაიზარდა. 2025 წელს მაღალი ზრდა (24.5 პროცენტი) დაფიქსირდა განათლების სფეროში, კერძოდ, მისი წვლილი ზრდაში 1.2 პპ-ს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ მზარდია მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობა[12], რაც ამ სექტორში მზარდი დამატებული ღირებულების ერთ-ერთი ამხსნელი ფაქტორია (იხ. დიაგრამა 1.16). ამავდროულად, გასულ წლებთან შედარებით ზრდის ნორმალიზების ნიშნები გამოიკვეთა მშენებლობისა და ტრანსპორტირების სექტორებში, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის მის გრძელვადიან ზრდის ტემპთან დაახლოების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

12. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/193/ganatleba

დიაგრამა N 1.16. რეალური მშპ-ს ზრდა სექტორების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი, სებ

მეორე მხრივ, მაღალ ეკონომიკურ აქტივობას ძლიერი ერთობლივი მოთხოვნა განაპირობებდა, რაც მომსახურების ცალკეული დარგების მაღალ ზრდაშიც აისახა. მათ შორის, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და ხელოვნება, გართობა, დასვენების დარგების მაღალ აქტივობაში, რომელთა ჯამური წვლილი 2025 წელს 0.6 პპ იყო (იხ. ცხრილი 1.3).

ცხრილი 1.3. მთლიანი შიდა პროდუქტი დარგების მიხედვით

	რეალური ზრდა					წვლილი ზრდაში (პპ)				
	2025კვ1	**2025კვ2**	**2025კვ3**	**2025კვ4**	**2025**	**2025კვ1**	**2025კვ2**	**2025კვ3**	**2025კვ4**	**2025**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	-7.5%	-7.0%	-5.4%	-2.9%	-0.3%	-0.3	-0.5	-0.4	-0.1	-0.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა	-2.9%	-5.8%	-8.7%	4.8%	0.0%	0.0	-0.1	-0.1	0.0	0.0
დამამუშავებელი მრეწველობა	0.0%	6.6%	2.5%	6.2%	0.3%	0.0	0.5	0.2	0.5	0.3
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	-4.8%	-4.5%	-3.3%	-5.5%	-0.1%	-0.1	-0.1	-0.1	-0.1	-0.1
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	9.8%	5.7%	-0.8%	3.4%	0.0%	0.1	0.0	0.0	0.0	0.0
მშენებლობა	4.0%	-3.0%	0.2%	2.5%	0.1%	0.3	-0.2	0.0	0.2	0.1
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	3.4%	0.9%	3.0%	7.4%	0.5%	0.4	0.1	0.4	1.0	0.5


ტრანსპორტი და დასაწყობება	8.4%	7.5%	8.1%	11.0%	0.5%	0.4	0.4	0.4	0.6	0.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1.5%	7.2%	8.4%	4.0%	0.2%	0.0	0.3	0.3	0.1	0.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	41.7%	35.9%	21.1%	22.0%	1.6%	2.3	1.8	1.2	1.3	1.6
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	13.9%	14.3%	14.7%	9.1%	0.6%	0.7	0.6	0.6	0.4	0.6
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	14.7%	4.2%	2.6%	-0.3%	0.4%	1.4	0.3	0.2	0.0	0.4
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	13.7%	9.5%	3.8%	7.5%	0.2%	0.3	0.2	0.1	0.2	0.2
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	30.5%	13.1%	9.6%	3.3%	0.1%	0.3	0.1	0.1	0.0	0.1
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	11.2%	8.0%	9.7%	8.4%	0.6%	0.7	0.5	0.5	0.5	0.6
განათლება	28.7%	32.9%	20.7%	17.1%	1.2%	1.5	1.6	0.9	0.9	1.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	16.0%	15.4%	10.4%	7.2%	0.4%	0.6	0.5	0.3	0.2	0.4
ხელოვნება, გართობა და დასვენება	7.8%	13.3%	13.0%	14.3%	0.4%	0.3	0.4	0.4	0.5	0.4
სხვა სახის მომსახურება	-3.2%	-2.6%	-1.7%	0.8%	0.0%	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	-3.3%	-44.7%	0.3%	4.4%	0.0%	0.0	-0.1	0.0	0.0	0.0
(+) გადასახადები პროდუქციაზე	9.0%	7.7%	9.9%	2.5%	0.9%	1.3	1.0	1.3	0.3	0.9
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	2.2%	10.1%	7.6%	6.0%	0.0%	0.0	-0.1	0.0	0.0	0.0
მშპ	**9.9%**	**7.4%**	**6.4%**	**6.7%**	**7.5%**	**9.9**	**7.4**	**6.4**	**6.7**	**7.5**
მათ შორის:										
სოფლის მეურნეობა	-0.3%	-0.5%	-0.4%	-0.1%	-0.3%	-0.3	-0.5	-0.4	-0.1	-0.3
ინდუსტრიული დარგები	0.2%	0.2%	0.1%	0.7%	0.3%	0.2	0.2	0.1	0.7	0.3
მომსახურება	10.1%	7.6%	6.7%	6.1%	7.5%	10.1	7.6	6.7	6.1	7.5

წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

2025 წელს რეალური მშპ-ს ზრდაზე ადგილობრივი მოთხოვნაც დადებითად აისახებოდა, თუმცა მისი ზრდის ტემპი წინა წლებთან შედარებით ნორმალიზდა. ერთი მხრივ, შიდა მოხმარების ნორმალიზებას ხელს უწყობდა ხელფასებისა და საკრედიტო აქტივობის ზრდის ტემპის მათ წონასწორულ დონესთან დაახლოება. კერძოდ, მოხმარების წვლილმა ზრდაში 8.6 პპ შეადგინა. ამის საპირისპიროდ, ინვესტიციების წვლილი 2024 წლის მაღალი საბაზო ეფექტის გათვალისწინებითაც, შემცირდა და მან უარყოფითი 1.3 პპ შეადგინა.

მეორე მხრივ, საგარეო მოთხოვნა ერთობლივ მოთხოვნაზე დადებითად აისახებოდა. კერძოდ, ნაკლებად იმპორტ-ინტენსიური ზრდის ფონზე, იმპორტის წვლილი 2025 წელს ეკონომიკურ აქტივობაში ნაკლებად უარყოფითი იყო, ხოლო საქონლისა და მომსახურების ექსპორტი კი რეალური მშპ-ს ზრდას უწყობდა ხელს. კერძოდ, საქონლის ექსპორტის რეალურმა ზრდამ 2025 წელს 7.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო მომსახურების სექტორის ექსპორტიდან მიღებული რეალური შემოსავლები წლიურად 6.9 პროცენტით გაიზარდა. საბოლოოდ საგარეო მოთხოვნა ზრდას აუმჯობესებდა და მისმა დადებითმა წვლილმა 0.2 პპ შეადგინა.


დიაგრამა N 1.17. რეალური მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

როგორც აღინიშნა, 2025 წელს ხელფასების ზრდის ტემპის ნორმალიზება გამოიკვეთა, შედეგად, ეკონომიკური ზრდის შემოსავლების მიხედვით დეკომპოზიციაში ხელფასების წვლილი შედარებით შემცირდა და 1.8 პპ შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წინარე წლებში ხელფასების შედარებით მაღალი წვლილი დიდწილად მაღალი ინფლაციის კომპენსირების ასახვა იყო. მეორე მხრივ, 2025 წელს, მაღალი ეკონომიკური ზრდის ფონზე, შემოსავლების მიხედვით მშპ-ს ზრდაში წამყვანი წვლილი მოგებას შეჰქონდა (3.9 პპ). შერეული შემოსავლების წვლილი კი 1.4 პპ იყო.

დიაგრამა N 1.18. რეალური მშპ-ს ზრდა შემოსავლების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

1.4. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

2023–2024 წლებში შენარჩუნებული დაბალინფლაციური გარემო 2025 წლის იანვარ–თებერვალშიც გაგრძელდა, ხოლო 2025 წლის მარტიდან მთლიანი ინფლაცია სამიზნე 3 პროცენტიან მაჩვენებელზე მეტად გაიზარდა და წლის ბოლომდე მასზე მაღალ დონეზე შენარჩუნდა. 2025 წელს საშუალოდ მთლიანმა ინფლაციამ 3.9 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული გადახრა, ძირითადად, სურსათის ინფლაციის ზრდით იყო განპირობებული, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის: წინა წლის დაბალი საბაზო ეფექტი, საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის ნედლეულზე ფასების ზრდა და ადგილობრივ ბაზარზე გარკვეულ პროდუქტებზე ფასების ერთჯერადი კორექტირება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შედარებით ხისტი ინფლაციის საზომები, რომლებიც უკეთ ასახავენ ინფლაციის ფუნდამენტურ ტენდენციებსა და გრძელვადიან მოლოდინებს, მიზნობრივ დონეზე ქვემოთ შენარჩუნდა.


როგორც აღინიშნა, 2025 წელს ზომიერად მაღალი ინფლაციის ერთ-ერთი მიზეზი წინა წლის დაბალი საბაზო ეფექტი იყო. თავის მხრივ, დაბალი საბაზო ეფექტი ყველაზე მეტად სურსათის ფასებს უკავშირდებოდა. კერძოდ, 2024 წელს სურსათი ძირითადად დეფლაციური იყო (საშუალოდ -0.4 პროცენტი), ხოლო მისი გავლენა ინფლაციაზე საშუალოდ - 0.2 პპ-ს შეადგენდა. 2025 წელს სურსათის საშუალო ინფლაცია 8.4 პროცენტამდე, ხოლო მისი გავლენა ინფლაციაზე 2.6 პპ-მდე გაიზარდა. ამასთან, საბაზო ეფექტს თან დაერთო სხვა მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელი, ე.წ. ეგზოგენური ფაქტორები. კერძოდ, 2025 წელს წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო ბაზრებზე ზოგიერთ სურსათზე (მაგ. ხორცი, რძის პროდუქტები და მცენარეული ზეთი) ფასებმა მოიმატა[13], რაც ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცა. გლობალურად, ცალკეული პროდუქტების ჭრილში ფასების ზრდა უმეტესწილად სტრუქტურული ფაქტორებით აიხსნებოდა, როგორიცაა მიწოდების შემცირება მდგრადი მოთხოვნის ფონზე. თუმცა საერთაშორისო ბაზრებზე შერეული დინამიკა შეინიშნებოდა, ცალკეულ სეგმენტებში კლებადი ტენდენციაც დაფიქსირდა (მაგალითად, შაქარზე), რაც ადგილობრივ ბაზარზეც აისახა. საერთაშორისო ფაქტორებს თან დაერთო ადგილობრივ ბაზარზე მნიშვნელოვან პროდუქტებზე ფასების ერთჯერადი კორექტირება. მაგალითად, პურის გაძვირებამ ინფლაცია წლის განმავლობაში საშუალოდ, დამატებით 0.5 პპ-ით გაზარდა. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს სამომხმარებლო კალათაში სურსათის წონა დიდია (2025 წლის მდგომარეობით: 31.7 პროცენტი), სურსათის ფასების ცვლილების გავლენა ინფლაციაზე მნიშვნელოვანია.

ამავდროულად, საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, მთელი წლის

13. საერთაშორისო ფასების ინდექსი (FAO) https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/

განმავლობაში სტაბილურობად მიზნობრივ 3 პროცენტიან დონეზე დაბალი ნარჩუნდებოდა და საშუალოდ 2.2 პროცენტი შეადგინა. საბაზო ინფლაცია შედარებით გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის კარგი ინდიკატორია.


დიაგრამა N 1.19. მთლიანი და საბაზო (სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაცია



წყარო: საქსტატი

2025 წელს სურსათთან ერთად ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით ჯანდაცვის ჯგუფიც მოქმედებდა. კერძოდ, ჯანდაცვის პროდუქტების წვლილი ინფლაციაში საშუალოდ 0.6 პპ იყო, რაც მეტნაკლებად თანაბრად ნაწილდებოდა მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებას შორის. მეორე მხრივ, 2025 წელს მსოფლიოში ნავთობის ფასებს კლებადი დინამიკა ჰქონდა, შესაბამისად, საქართველოში საწვავის ფასები, გაცვლითი კურსის სტაბილური პოზიციის შენარჩუნების ფონზე, ძირითადად დეფლაციური იყო (საშუალოდ -0.2 პპ) (დიაგრამა 1.20). დეფლაციური ტენდენციები აღინიშნებოდა ხანგრძლივი მოხმარების საქონელშიც, მათ შორის ტექნიკაში, რაც იმპორტირებული ინფლაციის შემცირებასაც განაპირობებდა.

დიაგრამა N 1.20. ძირითადი კომპონენტების წვლილი ინფლაციაში




წყარო: საქსტატი და სებ-ის გაანგარიშებები

შედარებით გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების მორიგი კარგი საზომი, მომსახურების ინფლაციაა, ვინაიდან ამ სექტორში ფასების კორექტირება შედარებით იშვიათად ხდება და ფასდადების პროცესში უფრო მეტად გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინებია გათვალისწინებული. მომსახურების ინფლაცია გასულ წელს სტაბილურობას ინარჩუნებდა და საშუალოდ 2.7 პროცენტი შეადგინა. საბაზო და მომსახურების ინფლაციის მიზნობრივზე დაბალი დონე ინფლაციური პროცესების ნაკლებად ყოვლისმომცველობის მანიშნებელიც იყო. თავის მხრივ, შედარებით ხისტი ფასების სტაბილურობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, როგორც ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულმა ცვლილებებმა, ისე მონეტარული პოლიტიკის რისკების მინიმიზებაზე დაფუძნებულმა მიდგომამ. ასევე, გაზრდილი საწარმოო ფაქტორების პროდუქტიულობის ფონზე, შრომის ბაზარი მეტწილად დისინფლაციური იყო. კერძოდ, პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯის ზრდა 2025 წელს საშუალოდ 1.5 პროცენტი იყო. ამავდროულად, გაზრდილი პროდუქტიულობის ფონზე, ერთობლივი მოთხოვნაც ნაკლებად ინფლაციური იყო. აღნიშნულს, თავის მხრივ, მონეტარული პოლიტიკის ზომიერად გამკაცრებული პოზიციაც უწყობდა ხელს.

აღსანიშნავია, რომ მომსახურების ინფლაცია ადგილობრივის ძირითადი შემადგენელია. თუმცა 2025 წელს, ადგილობრივი ინფლაცია, მეტწილად სურსათის (ძირითადად პური, ხორცი და რძის პროდუქტები) ფასების კორექტირების შედეგად, საშუალოდ 5.1 პროცენტს გაუტოლდა. ამავდროულად, საშუალოდ უფრო მაღალი იყო (5.8 პროცენტი) შერეულად ნაწარმოები პროდუქტების ინფლაცია, რაც ასევე სურსათისა (ძირითადად ზეთი, კარტოფილი, შოკოლადი და ა.შ.) და მედიკამენტების ინფლაციას უკავშირდებოდა (დიაგრამა N 1.21). იმპორტირებული პროდუქტების ფასები წლის განმავლობაში ძირითადად კლებად ტენდენციას აჩვენებდა, რაც, გაცვლითი კურსის სტაბილური პოზიციის ფონზე, დიდწილად საწვავისა და ტექნიკის ფასების შემცირებით იყო განპირობებული. შედეგად, ინფლაციამ ამ სექტორში საშუალოდ -0.6 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 1.21. იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ცხრილი 1.4. ინფლაციის მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით, მათი წონა სამომხმარებლო კალათაში და ზეგავლენა ინფლაციაზე

	2025 წლის წონები	დეკ25/დეკ24		2025 საშუალო/2024 საშუალო	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	**100.0%**	**4.0%**	**4.0%**	**3.9%**	**3.9%**
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	**34.5%**	**8.8%**	**3.0%**	**8.4%**	**2.9%**
სურსათი	31.7%	8.9%	2.8%	8.3%	2.6%
პური და პურპროდუქტები	6.9%	14.3%	1.0%	8.4%	0.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	7.6%	0.5%	3.3%	0.2%
თევზეული	0.5%	18.4%	0.1%	9.2%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	7.0%	0.4%	6.6%	0.4%
ზეთი და ცხიმი	2.9%	10.1%	0.3%	15.8%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.7%	15.0%	0.3%	6.6%	0.1%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	0.1%	0.0%	15.1%	0.4%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	8.2%	0.2%	9.6%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	2.5%	0.0%	3.6%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	7.4%	0.2%	9.8%	0.3%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	**6.4%**	**4.4%**	**0.3%**	**4.4%**	**0.3%**
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	**4.7%**	**0.0%**	**0.0%**	**-0.7%**	**0.0%**
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	**9.8%**	**-0.3%**	**0.0%**	**0.7%**	**0.1%**
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	**5.3%**	**-1.6%**	**-0.1%**	**-1.9%**	**-0.1%**
ჯანმრთელობის დაცვა	**8.1%**	**7.0%**	**0.6%**	**8.1%**	**0.6%**
ტრანსპორტი	**10.9%**	**-0.6%**	**-0.1%**	**-1.9%**	**-0.2%**
კავშირგაბმულობა	**3.2%**	**-4.7%**	**-0.1%**	**-8.5%**	**-0.3%**
დასვენება, გართობა და კულტურა	**3.8%**	**-1.6%**	**-0.1%**	**-0.6%**	**0.0%**
განათლება	**5.4%**	**2.1%**	**0.1%**	**4.0%**	**0.2%**
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	**3.1%**	**6.9%**	**0.2%**	**6.7%**	**0.2%**
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	**4.7%**	**5.1%**	**0.2%**	**5.8%**	**0.3%**
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	60.8%	5.9%	3.6%	5.5%	3.3%
საშუალო მოხმარების საქონელი	8.1%	-1.4%	-0.1%	-1.6%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.2%	-2.7%	-0.1%	-0.8%	0.0%
მომსახურება	25.9%	2.5%	0.6%	2.7%	0.7%

წყარო: საქსტატი

02.

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა

2.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა[14]. ფასების სტაბილურობა საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონის არსებობას გულისხმობს, რაც გრძელვადიან პერიოდში მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის ოპტიმალურია.

ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმით წარმართავს. აღნიშნული რეჟიმი დღეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად არის აღიარებული. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მოიაზრებს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ განსაზღვრას და შემდგომ მონეტარული პოლიტიკის იმგვარად განხორციელებას, რომ საშუალოვადიან პერიოდში, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს იყოს. მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრას ძირითადად ეგზოგენური[15] ფაქტორები იწვევს. მონეტარული პოლიტიკა ძირითადად მოთხოვნაზე ზემოქმედების საშუალებაა, ამიტომ ცენტრალური ბანკები ჩვეულებრივ მოთხოვნის შოკებზე საპასუხოდ რეაგირებენ. ტრადიციული მიდგომის მიხედვით, მიწოდების შოკებზე (როგორიცაა აქციზის გადასახადის, გლობალურ ბაზრებზე ნედლეული პროდუქტების ფასებისა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა და სხვა), რეაგირება დიდი დანახარჯებთან არის დაკავშირებული და შესაძლოა ეკონომიკური ზრდის მერყეობა და დასაქმების შემცირება გამოიწვიოს გრძელვადიან პერიოდში. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც მიწოდების შოკის ხანგრძლივობა ან/და სიდიდე, ინფლაციის მოლოდინებზეც ახდენს გავლენას. ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად[16], საქართველოში 2018 წლიდან მიზნობრივი ინფლაცია 3 პროცენტია. ერთი მხრივ, 3 პროცენტი საკმარისად დაბალია და ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე უარყოფითად არ მოქმედებს. მეორე მხრივ, არ არის იმდენად დაბალი, რომ ეკონომიკური ზრდა დააბრკოლოს. თავის მხრივ, ინფლაციის ოპტიმალური დონის შეფასება სხვადასხვა გრძელვადიან ეკონომიკურ ფაქტორებსა და ქვეყნის ეკონომიკის მახასიათებლებზეა დამოკიდებული. განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლები, როგორც წესი, 1-2 პროცენტის, ხოლო განვითარებად ქვეყნებში 2-4 პროცენტის ფარგლებშია განსაზღვრული.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი - მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია (რეფინანსირების განაკვეთი). მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისა და მისი სამომავლო ტრაექტორიის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება მაკროეკონომიკური გარემოს გაანალიზების, ინფლაციის პროგნოზირების, ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების განხილვის, ინფლაციაზე მოქმედი სხვადასხვა ტიპის მაკროეკონომიკური რისკებისა და ინფლაციის მოლოდინების შეფასების შედეგად მიიღება.

ზოგადად, იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე მაღალი იქნება, საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ამკაცრებს და პირიქით, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალი იქნება, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას არბილებს. აღსანიშნავია, რომ გლობალურად გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, საქართველოს ეროვნული ბანკი 2025 წლის დასაწყისიდან მონეტარული პოლიტიკის ჩარჩოს განვითარების მორიგ ეტაპზე გადავიდა. კერძოდ, მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ახალი, სცენარებზე დაფუძნებული მიდგომა დანერგა. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე გადაწყვეტილების მიღებისას, სებ-ი მხედველობაში იღებს არა მხოლოდ ერთ სა-

14. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონი, მესამე მუხლის პირველი პუნქტი.

15. ეგზოგენურ შოკებში გარე, მონეტარული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი, ცვლილებები იგულისხმება.

16. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს 2026-2028 წლების ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, 1-ლი პუნქტი.

ბაზო/ცენტრალურ საპროგნოზო სცენარს, არამედ სხვადასხვა მიმართულებით მოქმედ რისკებსაც. შესაბამისად, სებ მონეტარული პოლიტიკის გატარებისას იღებს ისეთ ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, რომ ნებისმიერი რისკის რეალიზების შემთხვევაში ეკონომიკური დანაკარგი მინიმალური იყოს. დინამიურ ეკონომიკურ გარემოში, მსგავსი, რისკების მართვაზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკის მიდგომა ოპტიმალური შედეგების მიღწევისთვის აუცილებელია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სცენარები საჯაროდ ქვეყნდება და კომუნიკაციის ამ მიდგომით უფრო გამჭვირვალე ხდება რისკების მართვისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი. აღნიშნული ნაბიჯით სებ-მა გააუმჯობესა მონეტარული პოლიტიკის რეაქციის ფუნქციის გამჭვირვალობა, რითაც პოლიტიკის გადაცემის არხების ეფექტურობა გაძლიერდა. აღსანიშნავია, რომ გაზრდილი გაურკვევლობის პირობებში, ცენტრალური ბანკები ახალ მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიებს ავითარებენ და აქტიურად გადადიან მსგავს სცენარებზე დაფუძნებულ მიდგომაზე (მათ შორის: შვედეთის ცენტრალური ბანკი, ინგლისის ბანკი, ევროპის ცენტრალური ბანკი, კანადის ცენტრალური ბანკი და სხვა). მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და მათი გადაცემის მექანიზმის განვითარებასთან ერთად, მცირდება ფასების სტაბილურობის მისაღწევად გაღებული საზოგადოებრივი დანახარჯიც. სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

2025 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 3.9 პროცენტი შეადგინა, რაც მიზნობრივ 3 პროცენტიან მაჩვენებლთან შედარებით ზომიერად მაღალია. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების ამსახველი ინდიკატორები, როგორიცაა საბაზო ინფლაცია და მომსახურების ინფლაცია, წლის განმლობაში 3 პროცენტთან შედარებით დაბალი შენარჩუნდა. კერძოდ, საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხარებლო კალათიდან ყველაზე მერყევ კომპონენტებს (სურსათი, ენერგომატარებლები და თამბაქო) გამორიცხავს, 2025 წლის განმავლობაში მიზნობრივზე დაბალი ნარჩუნდებოდა და საშუალოდ 2.2 პროცენტი შეადგინა. ხოლო მომსახურების სექტორში, სადაც ფასების ცვლილება შედარებით ხისტი ხასიათისაა, ინფლაციამ საშუალოდ 2.7 პროცენტი შეადგინა. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად ინფლაციური მოლოდინები სტაბილურად შენარჩუნდა და ინფლაცია ნაკლებად ყოვლისმომცველი იყო. 2025 წელს მიზნობრივზე მაღალ ინფლაციას მეტწილად სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფის მაღალი ინფლაცია განაპირობებდა. ამასთან, ფასების დინამიკაზე დამატებითი გავლენა მოახდინა ეგზოგენურმა ფაქტორებმა, როგორიცაა საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდა და ადგილობრივ ბაზარზე ცალკეულ პროდუქტებზე ფასების ერთჯერადი კორექტირება. თუმცა, წლის განმავლობაში, საბაზო ეფექტის ეტაპობრივ მილევასთან ერთად, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების წვლილი მთლიან ინფლაციაში თანდათან შემცირდა. ამას ასევე შეუწყო ხელი 2025 წლის აგვისტოდან საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის ფასების ინდექსის თვიურ ჭრილში კლებამაც, რაც ადგილობრივ ბაზარზეც ცალკეული პროდუქტის ჭრილში აისახა. მეორე მხრივ, ცალკეულ სასაქონლო ჯგუფებზე, არსებული სტრუქტურული გამოწვევების გამო, ინფლაციური წნეხი კვლავ შენარჩუნდა. ამავე პერიოდში, როგორც აღინიშნა, შედარებით სტაბილური დარჩა ინფლაციის ის ინდიკატორები, რომლებიც შედარებით მერყევ კომპონენტებს (სურსათი, ენერგომატარებლები და თამბაქო) გამორიცხავს კალათიდან. მიუხედავად ამისა, ფარდობითი ფასების მაღალი მერყეობა კვლავ ტოვებდა ინფლაციური მოლოდინების ზრდის გარკვეულ რისკებს, რასაც ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის ზომიერად გამკაცრებული პოზიციის შენარჩუნებით პასუხობდა.


ზოგადად, 2025 წელს გლობალური ეკონომიკური გარემო მაღალი გაურკვევლობით ხასიათდებოდა, რაც როგორც გეოპოლიტიკურ, ისე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დაძაბულობასა და გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის გაზრდილ რისკებს უკავშირებოდა. საქართველო, მცირე ზომის ღია ტიპის ეკონომიკაა და მსოფლიო მასშტაბით ტენდენციები ადგილობრივ ბაზრებსაც გადმოეცემა. როგორც აღინიშნა, 2025 წელს გეოპოლიტიკური და გლობალური გამოწვევები საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე, განსაკუთრებით სურსათზე, ფასების მერყეობას იწვევდა. მიუხედავად ამისა, ნავთობპროდუქტების ფასები მსოფლიო ბაზრებზე კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა, რასაც მიწოდების ზრდასთან

ერთად ხელს უწყობდა ერთობლივი მოთხოვნის შედარებით სუსტი პოზიცია დიდ ეკონომიკებში (მათ შორის ჩინეთში). შედეგად, საწვავის ფასები იმპორტირებულ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით აისახებოდა. ამავდროულად, აშშ-ის ეკონომიკური პოლიტიკის ირგვლივ არსებული ბუნდოვანება, რაც როგორც სატარიფო პოლიტიკას, ისე ფისკალურ რისკებსაც უკავშირებოდა, დოლარის ინდექსის პოზიციის შესუსტებაში აისახა. შედეგად, ლარის დოლართან მიმართებით შედარებით მყარი პოზიციის შენარჩუნება დისინფლაციური იყო საბალანსო უწყისის არხით. კერძოდ, მწარმოებლებს დოლარში არსებული ვალდებულებების ტვირთი უმსუბუქდებოდათ, რაც საწარმოო დანახარჯებს და ფასების ზრდის წნეხს არბილებდა. თუმცა, დოლარის გლობალურად სუსტი პოზიცია საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების გაცვლით კურსზეც დადებითად აისახა, გარდა თურქეთისა. შედეგად, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, დიდწილად, თურქულ ლირასა და დოლართან გამყარების შედეგად სტაბილურობას ინარჩუნებდა და საშუალო წლიურად მცირედით გაუფასურდა. ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი, წლიურ ჭრილში გაუფასურების შედეგად, ეტაპობრივად დაუბრუნდა მის გრძელვადიან წონასწორულ დონეს, რამაც იმპორტირებულ პროდუქციაზე არსებული დისინფლაციური წნეხი შეამცირა.

2025 წელს ეკონომიკური აქტივობა კვლავ ძლიერი იყო და წინასწარი მონაცემებით, რეალური მშპ-ს ზრდამ 7.5 პროცენტი შეადგინა, მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა კვლავ მაღალპროდუქტიული სექტორები იყო, რაც ამავდროულად ეკონომიკის ჯამური წარმოების პოტენციალის გაუმჯობესებაზე მიუთითებდა. კერძოდ, სტრუქტურული ცვლილებების ფონზე, მომსახურებაზე ორიენტირებული, შედარებით ნაკლებად იმპორტ-ინტენსიური სექტორები კვლავ მაღალი ტემპით ზრდას განაგრძობდა, როგორებიცაა: ინფორმაცია და კომუნიკაცია (ICT) და განათლების სექტორები. თუმცა ცალკეულ სექტორებში, მათ შორის მშენებლობასა და ტრანსპორტირებაში, შეინიშნებოდა ზრდის ტემპის ეტაპობრივი ნორმალიზება. ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების გარდა, რეალური მშპ-ის ზრდას ძლიერი ერთობლივი მოთხოვნაც უწყობდა ხელს, რაც როგორც ადგილობრივი, ისე საგარეო მოთხოვნიდან მომდინარეობდა. თუმცა, ადგილობრივი მოთხოვნის მიმართულებით, გარკვეულწილად, ნორმალიზების ნიშნებიც გამოიკვეთა, რაც ეკონომიკის ჯამური პოტენციალის ზრდის ფონზე ერთობლივი მოთხოვნიდან ინფლაციური წნეხის შესუსტებაში აისახა.

შიდა ეკონომიკური ტენდენციებიდან და გლობალურად არსებული რისკებიდან გამომდინარე ეროვნულმა ბანკმა ფრთხილი მიდგომა აირჩია და 2025 წლის განმავლობაში ზომიერად მკაცრი მონეტარული პოლიტიკის პოზიცია შეინარჩუნა. კერძოდ, 2025 წელს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად შენარჩუნდა და 8.0 პროცენტი შეადგინა, რაც გრძელვადიან ნეიტრალურ განაკვეთს (მიმდინარე შეფასებით 7 პროცენტი) აღემატება (იხ. დიაგრამა N 2.1). უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრას დროებითი ფაქტორები განაპირობებდა, ძირითადად სურსათის ფასების მერყეობისა და საბაზო ეფექტების გავლენით. ეროვნული ბანკის შეფასებით, ამ ფაქტორების ამოწურვის კვალდაკვალ ინფლაცია ეტაპობრივად უნდა შემცირებულიყო. ამავე დროს, ინფლაციური მოლოდინები შენარჩუნებული იყო სტაბილურ დონეზე, რაც მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობაზე მიუთითებდა. მიუხედავად ამისა, გაზრდილი გაურკვევლობის პირობებში ეროვნულმა ბანკმა ფრთხილი მიდგომა აირჩია. გლობალური გეოპოლიტიკური დაძაბულობა და ეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკები ზრდიდა გლობალურად მაღალინფლაციური გარემოს წარმოშობის რისკებს. ამასთან, არსებობდა რისკი, რომ ადგილობრივად მიზნობრივზე მაღალი ინფლაციის გახანგრძლივების შემთხვევაში ინფლაციური მოლოდინები გაიზრდებოდა და ე.წ. მეორე რაუნდის ეფექტების რისკები გამწვავდებოდა. სწორედ აღნიშნული რისკების მინიმიზაციისა და მოლოდინების სამართავად, სცენარებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკმა ოპტიმალურად მიიჩნია მთელი წლის განმავლობაში ზომიერად მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება.


დიაგრამა N 2.1. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი საკრედიტო არხია. 2025 წლის დასაწყისში, მაღალი გაურკვევლობის ფონზე, ფინანსური პირობები მნიშვნელოვნად გამკაცრდა. თუმცა, წლის მეორე ნახევარში გარკვეულწილად შერბილების ნიშნები გამოიკვეთა ეროვნულ ვალუტაში ცალკეული მიზნობრიობის სესხებისა და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხებისთვის, რაც წამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ მონეტარული პოლიტიკის ეტაპობრივი ნორმალიზებითაც იყო განპირობებული. მიუხედავად ამისა, ეროვნულ ვალუტაში ფინანსური პირობები შედარებით მკაცრი დარჩა. შედეგად, საკრედიტო აქტივობის ზრდის ტემპი 2025 წლის ბოლოსთვის მის წონასწორულ დონეს (13–15%) დაუახლოვდა. აღსანიშნავია, რომ უცხოურ ვალუტაში ფინანსური პირობების მცირედით შერბილების და გაცვლითი კურსის შედარებით სტაბილური პოზიციის ფონზე, 2025 წლის ბოლოსთვის საკრედიტო აქტივობის ზრდაში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წვლილი გაიზარდა.

დიაგრამა N 2.2. საპროცენტო განაკვეთების სპრედი და საკრედიტო აქტივობა (მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი და წვლილები ვალუტების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ინფლაციის თარგეთირების პირობებში, ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკის საოპერაციო მიზანი მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვაა. მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე აისახოს და, საბოლოოდ, რეალურ ეკონომიკაზე მოახდინოს გავლენა. მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვა, თავის მხრივ, ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს გამოყენებით ხდება.

მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ჩარჩოს პირობებში საქართველოს ეროვნული ბანკი როგორც ლიკვიდობის მიწოდების, ასევე ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტებს იყენებს. საბანკო სექტორის ლიკვიდობის სამართავი, ლიკვიდობის მიწოდების მთავარი ინსტრუმენტი, რეფინანსირების სესხებია. ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორს შედარებით უფრო გრძელვადიან ლიკვიდურ სახსრებს ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტით აწვდის. 2023 წლის მეორე ნახევრიდან მეორადი ბაზრის ოპერაციებით ლიკვიდობის მიწოდება არ განუხორციელებია. მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ეფექტურად სამართავად ეროვნულის ბანკი ასევე იყენებს მუდმივმოქმედ ინსტრუმენტებს - ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები. გარდა აღნიშნული ინსტრუმენტებისა, ეროვნულ ბანკს გააჩნია ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტი - სადეპოზიტო სერტიფიკატები. აღნიშნული ინსტრუმენტებით, ეროვნული ბანკი საფინანსო სისტემის ლიკვიდობაზე მოთხოვნასა და მიწოდებას ისე აბალანსებს, რომ საპროცენტო განაკვეთები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს ჩამოყალიბდეს. ამ მიდგომით, ეროვნული ბანკი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს ეფექტურად მართავს. ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს ყალიბდება და საბაზრო საპროცენტო განაკვეთებიც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ტრაექტორიას მიუყვება. ეს კი საბოლოოდ მონეტარული პოლიტიკის გადაცემის სიძლიერეს განაპირობებს.

ეროვნული ბანკი 2025 წლის განმავლობაშიც 3-თვიანი სადეპოზიტო სერთიფიკატების გამოშვებას აგრძელებდა, რომელთა მიზანსაც შემოსავლიანობის მრუდის მოკლევადიანი ნაწილის ფორმირება წარმოადგენს. შედეგად, ამ ოპერაციებით ეროვნული ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთს მინიმალურ დონეზე, 60-80 მლნ ლარის ფარგლებში ინარჩუნებდა.

2025 წელს, ლიკვიდობის სამართავად და ლიკვიდობის სხვა წყაროებიდან წარმოქმნილი მერყეობის დასაბალანსებლად, ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების სესხებს. წინა წელთან შედარებით, 2025 წლის ბოლოს, რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნა შემცირდა. წლის მანძილზე, რეფინანსირების სესხების მოცულობაზე გავლენას რამდენიმე ფაქტორი ახდენდა (იხ. დიაგრამა N 2.3). რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნის შემცირება მეტწილად სებ-ის რეზერვების დაგროვების პოლიტიკამ განაპირობა. კერძოდ, 2025 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონებისა და წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის (BMatch) გამოყენებით რეკორდულად მაღალი უცხოური ვალუტის შესყიდვები განახორციელა და აღნიშნული არხით მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 2.4 მილიარდი დოლარით შეავსო, რის შედეგადაც ბაზარს 6.6 მლრდ ლარი მიეწოდა. 2025 წელს ამ ტიპის სტერილიზებული ინტერვენციების შედეგად მოკლევადიან ლიკვიდობაზე მოთხოვნა შემცირდა. ასევე, სებ-მა ღია ბაზრის ოპერაციების მეშვეობით ერთთვიანი ინსტრუმენტის მოცულობა 1,250 მლნ ლარით გაზარდა 2 მილიარდამდე, რაც ერთკვირიან რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნას ამცირებდა. ლიკვიდობის მოთხოვნაზე ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვან გავლენას ფისკალური კონსოლიდაცია და მთავრობის ვალის დედოლარიზაცია ახდენდა. ამავდროულად, ძლიერი ეკონომიკური ზრდის ფონზე, ნაღდ ფულზე მოთხოვნის მზარდი ტენდენცია 2025 წელსაც გაგრძელდა.


დიაგრამა N 2.3. რეფინანსირების სესხების წლიურ ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზემოთ აღწერილი ინსტრუმენტების საშუალებით, ეროვნული ბანკი ფინანსურ სექტორს მოკლევადიან ლიკვიდობის სხვადასხვა ინსტრუმენტებით საჭიროების შესაბამისად აწვდიდა. ლიკვიდობის ჩარჩოს ფარგლებში მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან ძალიან ახლოს ყალიბდებოდა (იხ. დიაგრამა N2.4). ეს კი საბოლოოდ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს გადაეცემა.

დიაგრამა N 2.4. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკაზე გადაცემის გაძლიერებისათვის და ფინანსური სტაბილურობის გასამყარებლად ლარიზაციის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის გრძელვადიანი ამოცანაა. ლარიზაციის წახალისება ქვეყანაში მაკრო-ფინანსური რისკების შემცირებისა და საგარეო მოწყვლადობების მიმართ მდგრადობის გაზრდის წინაპირობაა. შესაბამისად, ლარიზაციის ზრდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთერთი პრიორიტეტია და მისი წამახალისებელი რეფორმები ეტაპობრივად ხორციელდება.

ლარიზაციის ღონისძიებები 2025 წელსაც აქტიურად გაგრძელდა. 2025 წლის განმავლობაში სესხების ლარიზაციის ტენდენცია გაიზარდა და სესხების დოლარიზაცია წლის მანძილზე შემცირდა. ამ ტენდენციის გათვალისწინებით და სესხების დოლარიზაციით გამოწვეული რისკების შერბილების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა 2025 წლის პირველი იანვრიდან უცხოური ვალუტის არაჰეჯირებული სესხების ლიმიტი 500 000 ლარამდე, მოგვიანებით 2025 წლის აგვისტოდან კი 750 000 ლარამდე გაზარდა. უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ, უმეტესად ცვლად განაკვეთიან სესხებს, თან ახლავს საპროცენტო და გაცვლითი კურსის რისკები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა უცხოურ ვალუტაში არაჰეჯირებული მსესხებლების მაღალი წილისა და რეგიონის ვალუტების გაცვლითი კურსის გაზრდილი მერყეობის პირობებში. სწორედ ამგვარი რისკების განეიტრალება გახდა დამატებითი მოთხოვნის დაწესების მიზეზი.

როგორც მოსალოდნელი იყო, გატარებული ღონისძიებების შედეგად სესხების ლარიზაცია გაიზარდა. სესხების დოლარიზაციამ 2025 წლის დეკემბერში 42.2 პროცენტი შეადგინა, რაც 1.0 პპ-ით ნაკლებია 2024 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. მნიშვნელოვანია, რომ ლარის მიმართ ნდობა მზარდია, რაც გამოიხატება სწრაფად მზარდ დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებელში. კერძოდ, 2025 წელს, დეპოზიტების დოლარიზაცია წინა წელთან შედარებით, 4.6 პპ-ით შემცირდა და წლის ბოლოს 47.6 პროცენტი შეადგინა. ამასთან, რეზიდენტების დეპოზიტების დოლარიზაცია კიდევ უფრო დაბალია და 2025 წლის ბოლოსათვის 41.3 პროცენტი შეადგინა. ასევე შემცირდა ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად 4.6 და 5.3 პპ-ით და წლის ბოლოს 61.0 და 36.3 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 2.5. საბანკო სექტორის დოლარიზაციის მაჩვენებლები (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

** დოლარიზაციის მაჩვენებლები შეფასებულია 2026 წლის თებერვლის გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით*

2.2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების (გამკაცრება, შერბილება, უცვლელად დატოვება) განხორციელება მონეტარული ოპერაციებით ხდება. მონეტარული ოპერაციების მიზანი ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს შენარჩუნებაა. ამ მიზნის მისაღწევად, ეროვნული ბანკი შემდეგ ინსტრუმენტებს იყენებს: რეფინანსირების სესხები, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ღია ბაზრის ოპერაციები, მთავრობის ფასიანი ქაღალდები, ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა.

ბანკთაშორისი სადეპოზიტო/საკრედიტო ბაზარი წარმოადგენს ფულად ბაზარს, სადაც ბანკები მოკლევადიანი ლიკვიდობით ვაჭრობენ. ეს ბაზარი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგანაც ის მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ფუნქციონირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. საქართველოს ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთებზე ზეგავლენას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით ახდენს.

ფულადი ბაზრის TIBR ინდექსი ერთდღიანი საპროცენტო განაკვეთის „ბენჩმარკს“ წარმოადგენს. იგი ბანკთაშორის ფულად ბაზარზე განხორციელებულ ფაქტიურ გარიგებებს ეფუძნება, რაც, იმავდროულად, ინდექსის მიმართ სანდოობას ზრდის. ასევე, ინდექსის საიმედოობას განაპირობებს ეროვნული ბანკის ჩართულობა ინფორმაციის შეგროვების და ინდექსის გაანგარიშების პროცესში. ბაზარზე საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ინსტრუმენტების „ბენჩმარკად“ (განსაკუთრებით ლარის ცვლადგანაკვეთიან ინსტრუმენტებში) გამოყენებისათვის 2019 წლის 14 მარტიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა TIBR ინდექსზე დაფუძნებული ფულადი ბაზრის TIBR ვადიანი ინდექსების (Term Rates) გამოქვეყნება დაიწყო, რომელიც საპროცენტო რისკების მართვის უფრო ეფექტური საშუალებაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთები (კუპონები, პროცენტები) სხვადასხვა ვადიანობისაა (თვე, კვარტალი, 6 თვე, წელი). განაკვეთების ცვალებადობით წარმოშობილი ფინანსური რისკების მართვისათვის კი შესაბამისი ვადიანობის დაზღვევის მექანიზმებია საჭირო და ფასწარმოქმნისათვის შესაბამისი ვადიანობის ინდექსებს საჭიროებს. ასეთი ინდექსები, თავის მხრივ, გამჭვირვალე მეთოდოლოგიას ეყრდნობა და ბაზრის მონაწილეები აღნიშნულ ინდექსებს, როგორც დამოუკიდებელ წყაროს, ენდობიან.

თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის (TIBR) ინდექსის და TIBR ვადიანი ინდექსების (Term Rates) გაანგარიშების მეთოდოლოგია ინდექსების გაანგარიშებისა და გამოქვეყნების წესებს მოიცავს, რომელიც ფულადი ბაზრების მონაწილეებთან მჭიდრო თანამშრომლობით და EBRD-ის დახმარებით შემუშავდა. აღნიშნული მეთოდოლოგია მონაცემების კონტროლისა და მეთოდოლოგიის გადახედვის პროცედურასაც ითვალისწინებს. TIBR ინდექსები საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველდღიურად, დილის 10 საათზე ქვეყნდება.

2025 წელს ბანკთაშორის ბაზარზე ეროვნული ვალუტით შესრულებული გარიგებების მოცულობა წინა წელთან შედარებით 8.75 პროცენტით გაიზარდა და 67.23 მლრდ ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2025 წლის განმავლობაში არ შეცვლილა, მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა არც ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთებიც, რომლებიც მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთთან ახლოს მოძრაობდა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების ფარგლებში და საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მოკლევადიანი პროგნოზის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკი რეფინანსირების სესხების ყოველკვირეულ და ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტების მოცულობებს განსაზღვრავდა. ეროვნული ბანკი ამ პროცესებს ისე მართავდა, რომ აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის სიახლოვეს შენარჩუნებულიყო.

2.2.1. რეფინანსირების სესხი

საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2025 წლის განმავლობაში ყოველკვირეულად რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს იყენებდა. აღნიშნული ინსტრუმენტის

მიზანი საბანკო სისტემისთვის ადეკვატური ლიკვიდობის მიწოდებაა. რეფინანსირების სესხების საშუალებით საბანკო სექტორისათვის ხელმისაწვდომია მოკლევადიან ლიკვიდობაზე საიმედო და დაბალრისკიანი წვდომა, რაც ფულად ბაზარსა და ფინანსურ სტაბილურობაზე დადებითად მოქმედებს. კერძოდ, ფულად ბაზარზე ლარის ლიკვიდობის რისკები და საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობა მცირდება, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში TIBR საპროცენტო განაკვეთების დინამიკიდან თვალნათლივ ჩანს. ვინაიდან ეროვნული ბანკი ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელია, მას რეფინანსირების ინსტრუმენტით ბანკთაშორის ბაზარზე შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის მიღწევის საშუალება აქვს. აუქციონის მეშვეობით გაცემული რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს ეფუძნება.

2025 წელს მონეტარული ოპერაციების გირაოს ბაზაში შედიოდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები, იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები და კომერციული ბანკების სასესხო აქტივები. სესხის უზრუნველყოფის თითოეული სახეობის აქტივებზე ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი კრიტერიუმები (მაგ. მინიმალური მოცულობა, ნარჩენი ვადიანობა, ვალუტა და სხვა) იყო განსაზღვრული. 2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების წარმოებისათვის კომერციული ბანკები გირაოს ყველა ჩამოთვლილ სახეობას იყენებდნენ.

2.2.2. ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი

სხვა მონეტარული ინსტრუმენტების მსგავსად, ერთთვიანი ინსტრუმენტის მიზანიც ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვაა, რაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაა და შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის რეკომენდაციებთან. ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფი საბანკო სისტემაში მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტს ყოველკვირეულად და ყოველთვიურად აფასებს, რომლის საფუძველზეც ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის კონკრეტულ მოცულობაზე აუქციონი ცხადდება. აუქციონზე ამ ინსტრუმენტის მინიმალური საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს ეფუძნება. გირაოდ კი იგივე ტიპის აქტივები გამოიყენება, რაც რეფინანსირების სესხების შემთხვევაში.

2.2.3. ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები

ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირებისა და ფულადი ბაზრის აქტივობის გაზრდის მიზნით, 2025 წელს ბანკთაშორის ბაზარზე, მსოფლიოში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენებას აგრძელებდა, რაც ბანკთაშორისი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის სტაბილურ ჩარჩოებში მოქცევას უწყობდა ხელს. საპროცენტო განაკვეთის დერეფანი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთიდან გადახრები საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვრის ფორმირებისათვის. ზედა საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისათვის, ხოლო ქვედა საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტისთვის გამოიყენებოდა. 2025 წელს მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის დერეფანი 2.5 პპ-ს შეადგენდა – ერთდღიანი სესხების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება, როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს 0.75 პპ, ხოლო ერთდღიან დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს მინუს 1.75 პპ, რათა კომერციული ბანკებისათვის შენარჩუნებულიყო ბანკთაშორისი დეპოზიტების უპირატესობა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდიან დეპოზიტებთან შედარებით. საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენება ამცირებს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ჭარბ მერყეობას და, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის დაახლოებას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხები საბანკო სექტორისათვის ლიკვიდობის ყველაზე სწრაფ, თუმცა, საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან შედარებით უფრო მაღალი ფასით

მიღების საშუალებას წარმოადგენდა. ერთდღიანი სესხებისათვის მოქმედებდა გირაოს იგივე ბაზა, რაც რეფინანსირების სესხებისათვის.

ერთდღიანი დეპოზიტების ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საკორესპონდენტო ანგარიშზე ეროვნული ვალუტით არსებული ჭარბი ლიკვიდობა დღის ბოლოს განათავსონ საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე, რომელიც საკორესპონდენტო ანგარიშზე შემდგომი სამუშაო დღის დასაწყისშივე უბრუნდებათ. აღნიშნულ ინსტრუმენტს მნიშვნელოვანი როლი აქვს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაციისათვის.


2.2.4. ფასიანი ქაღალდები

2025 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი 3 თვის ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, ხოლო საქართველოს მთავრობა 6 თვის, 1, 3 5, 7 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ფასიან ქაღალდებს უშვებდა. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები კომერციული ბანკების მხრიდან მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა და მათ ხელი შეუწყვეს ლარის შემოსავლიანობის სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას. ეს მრუდი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების შესახებ.

სადეპოზიტო სერტიფიკატები

2025 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი უშვებდა 3-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომლებიც საბანკო სექტორმა გამოიყენა როგორც ლიკვიდობის მართვის მიმზიდველი და ეფექტიანი მოკლევადიანი ინსტრუმენტი. 2025 წლის განმავლობაში გამოცხადებული 13 აუქციონიდან კომერციულმა ბანკებმა ყველა აუქციონზე სრული ოდენობით შეიძინეს გამოტანილი სადეპოზიტო სერტიფიკატები. მთლიანობაში 260 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები განთავსდა და ამავე ღირებულების - დაიფარა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებულ 60 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატებს 3 კომერციული ბანკი ფლობდა.

დიაგრამა N 2.6. სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის დინამიკა 2020-2025 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახელმწიფო ობლიგაციები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკი 152.85 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციებს ფლობდა, რომლებიც წლის განმავლობაში ღია ბაზრის ოპერაციებისათვის არ გამოყენებულა.

სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები


ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების მოცულობის ზრდა. 2025 წელს სა-

ქართველოს ფინანსთა სამინისტრო 6 თვიანი და 1 წლიანი ნარჩენი ვადიანობების დისკონტური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ვალდებულებებისა - და 3, 5, 7, და 10 წლიანი ნარჩენი ვადიანობის კუპონური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ობლიგაციების - ემისიას ახდენდა. ფასიანი ქაღალდების ემისია ეროვნული ვალუტით, დემატერიალიზებული ფორმით ხდებოდა. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება 1,000 ლარია. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გაყიდვა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული აუქციონის მეშვეობით, მრავალი ფასის მეთოდით, „ბლუმბერგის“ სისტემის აუქციონის პლატფორმის გამოყენებით ხორციელდება. აუქციონში მონაწილეობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს, ხოლო მათი მეშვეობით კი, ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს შეუძლია.

2025 წელს სახაზინო ფასიანი ქაღალდების 72 აუქციონი ჩატარდა, რომელთა მეშვეობით 3.44 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები განთავსდა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული 11.3 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელი 11 კომერციული ბანკი, ეროვნული ბანკი, ასევე არასაბანკო ინვესტორები იყვნენ. არასაბანკო ინვესტორთა მფლობელობაში 2.02 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები იყო.

აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ეკონომიკის ზომასთან შედარებით, ჯერ კიდევ მცირეა. ბაზრის ლიკვიდობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობამ 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი „ბენჩმარკ“ ობლიგაციების გამოშვება 2018 წლიდან დაიწყო. ამან სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიის გაზრდა განაპირობა, რაც დეფიციტის დაფინანსებისთვის აღებული საგარეო ვალით წარმოშობილი სავალუტო რისკების შემცირებას უწყობს ხელს.


დიაგრამა N 2.7. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2016-2025 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდები ძირითადად რეზიდენტების მფლობელობაშია. რეზიდენტების მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10.99 მლრდ ლარი შეადგინა. ხოლო არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 340.7 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა N 2.8. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა მფლობელობის მიხედვით 2016-2025 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემისა (CSSS)“ და სხვადასხვა ურთიერთინტეგრირებული სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირების მხარდაჭერასა და უზრუნველყოფას აგრძელებდა. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია ბანკთაშორისი რეპო ბაზარი, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით და კომერციული ბანკების თანხმობით შექმნილ საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებულ რეპო გარიგებების ჩარჩო ხელშეკრულებას ეფუძნება. რეპო გარიგება არის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, შემდგომში იმავე ან ეკვივალენტური ფასიანი ქაღალდების წინასწარ შეთანხმებული პირობებით უკან მიყიდვის ვალდებულებით. რეპო გარიგებების დადებისათვის ბანკები „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემას და „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSSS) სისტემას“ იყენებდნენ. აღნიშნული სისტემების მეშვეობით, 2025 წელს კომერციულ ბანკებს შორის 4,280.7 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდებით 82 რეპო გარიგება განხორციელდა.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული პრაქტიკა და ინფრასტრუქტურა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის შემდგომი გააქტიურების კარგ საფუძველს იძლევა, რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის ზრდა უნდა მოჰყვეს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის პირველადი დილრების სისტემის საპილოტე პროგრამის მიმდინარეობა

სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარების და მთავრობის ვალის მართვის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. ბოლო

წლებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოცულობა ეტაპობრივად იზრდება. 2018 წლიდან ე.წ. „ბენჩმარკ“ ბონდების გამოშვება და მოცულობების ეტაპობრივი ზრდა დაიწყო.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად, ინვესტორთა ბაზის გაფართოებისა და მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული პირველადი დილერის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. პირველადი დილერის ინსტიტუტს შეუძლია მნიშვნელოვანი შუამავლის როლი შეასრულოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემიტენტსა, და ინვესტორებს შორის. თავის მხრივ, მთავრობის ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზარი ხელს შეუწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებას. პირველადი დილერები ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციასა და მეორადი ბაზრის ლიკვიდურობის ზრდაზე ფასების რეგულარული განახლებით და შესაბამისი სავაჭრო და საანგარიშსწორებო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით იზრუნებენ.

საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით, ბოლო წლებში პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები. ერთობლივად მომზადდა და ბაზრის მონაწილეებთან განხილულ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი. საბოლოოდ, საქართველოში მოქმედმა ექვსმა კომერციულმა ბანკმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო პირველადი დილერის საპილოტე პროგრამაში და მათთან ურთიერთგაგების მემორანდუმები გაფორმდა. საპილოტე პროგრამა 2020 წლის ნოემბერში დაიწყო და საწყის ეტაპზე მისი მოქმედების საორიენტაციო ვადა მინიმუმ 1-1.5 წლით განისაზღვრა. პერიოდულად წარმოებს საპილოტე პროგრამის მიმდინარეობის შეფასება, ხოლო მისი შემდგომი განვითარების კვალობაზე საპილოტე პროგრამის შედეგები შეჯამდება და განვითარების სამომავლო გეგმები დაისახება. 2025 წლის განმავლობაში პირველადი დილერების საპილოტე პროგრამაში მონაწილეობას აგრძელებდა ოთხი კომერციული ბანკი.

2.2.5. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ინსტრუმენტით საქართველოს ეროვნული ბანკი დანარჩენი მონეტარული ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების წინაპირობას ქმნის. ბოლო პერიოდში მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები ლარით მოზიდული სახსრებისთვის არ შეცვლილა. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის 2025 წლის განმავლობაში 10-25 პროცენტის ფარგლებში იყო, დასაცავი ნორმა დამოკიდებულია თითოეული კომერციული ბანკის, დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტზე. კერძოდ, რაც უფრო მაღალია თითოეული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაცია, მით მეტია ამ ბანკისთვის სარეზერვო მოთხოვნა. მეორე მხრივ, ნარჩენი ვადიანობების მიხედვით, ეროვნული ვალუტით 1 წელზე მეტი ვადიანობის და უცხოური ვალუტით 2 წელზე მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრები სარეზერვო მოთხოვნებისაგან გათავისუფლებულია.

2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ მინიმალურ რეზერვებს, ეროვნული ბანკი შესაბამის პერიოდში მონეტარული პოლიტიკის არსებულ განაკვეთს არიცხავდა (რაც საანგარიშო პერიოდში არ შეცვლილა და შეადგენდა წლიურ 8%). საქართველოს ეროვნულ ბანკში სარეზერვო ანგარიშებზე აშშ დოლარით განთავსებულ იმ ნაშთებზე, რომელიც აღემატებოდა მინიმალური რეზერვის 2024 წლის 19 დეკემბრამდე არსებული წესის შესაბამისად გაანგარიშებულ ნაშთს, დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა, როგორც აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთზე ან მის ზედა ზღვარზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 50 საბაზისო პუნქტით ნაკლები. ხოლო, სარეზერვო ანგარიშებზე ევროთი განთავსებულ იმ ნაშთებზე, რომელიც აღემატებოდა მინიმალური რეზერვის 2024 წლის 19 დეკემბრამდე არსებული წესის შესაბამისად გაანგარიშებულ ნაშთს, დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა, როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის სადეპოზიტო განაკვეთზე 50 საბაზისო პუნქტით ნაკლები.

2.2.6. საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემის განვითარება

საქართველოს ეროვნულ ბანკში ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა 2010 წლიდან მოქმედებს. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მართვის და ოპერაციების თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური, სწრაფი და დაცული ელექტრონული სისტემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების ოპერაციებს უზრუნველყოფდა.

2018 წლის 3 დეკემბრიდან ამოქმედდა და 2025 წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების განახლებული სისტემა (Georgian Securities Settlement System – GSSS). ახალი სისტემით ფინანსური ბაზრის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მონაწილეებს მაღალი სტანდარტების სრულფასოვანი მომსახურება მიეწოდება. ამ სისტემით როგორ სახელმწიფო, ასევე კერძო ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორება სრულდება. ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციები უფრო სწრაფი, იაფი, მოსახერხებელი და სრულად დაცული გახდა. პროექტი ეროვნული ბანკის და კერძო საფინანსო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია. GSSS სისტემა თავისი ფუნქციებით ინოვაციურია და ისეთ თანამედროვე მიდგომებს მოიცავს, როგორებიცაა ლიკვიდობის მართვის ეფექტიანი მექანიზმები, ნაწილობრივი გადახდები, საპირისპირო ტრანზაქციების გაქვითვა (ნეტ ანგარიშსწორების პრინციპით), ავტომატური დაგირავების და დღის შიდა სესხების მოქნილი მექანიზმები. GSSS სისტემაში კომერციულ ბანკებთან ერთად ჩართულები არიან საბროკერო კომპანიები, რაც მათ სრულიად ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. სისტემა ინტეგრირებულია როგორც საფონდო ბირჟის, ასევე ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმებთან, რაც ვაჭრობის და ანგარიშსწორების მთლიანი ციკლის ავტომატიზაციას უზრუნველყოფს. შედეგად, გარიგების დადებიდან მის ანგარიშსწორებამდე მხოლოდ რამდენიმე წუთი გადის. ახალი სისტემის დანერგვით განახლდა მოქმედი პროცედურები და ანგარიშსწორების წესები, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ პრინციპებს ეფუძნება. ინვესტორების ფასიანი ქაღალდები უფრო საიმედოდ იქნება დაცული და საჭიროებისამებრ მათი ფულად გადაქცევა (გაყიდვის, დაგირავების ან რეპო ოპერაციების გზით) უფრო ადვილი და მოსახერხებელი ხდება. ეს კი უდავოდ ზრდის ქართული კაპიტალის ბაზრის მიმზიდველობას როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის.

ანგარიშსწორების განახლებული GSSS სისტემით ასევე შესაძლებელი გახდა მასში საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ჩართვა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარის ყველა მონაწილისათვის მომსახურების გაწევა, ამ სისტემაში საქართველოში ყველა ტიპის ფასიანი ქაღალდის (კერძო კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციების და აქციების ჩათვლით) რეგისტრაცია და ანგარიშსწორება. სრულად ავტომატიზებული ხდება ამ სისტემაში რეგისტრირებული კერძო ფასიანი ქაღალდის გამოშვების, დაფარვის, ყიდვა-გაყიდვის, რეპოს, კუპონისა და დივიდენდის ანგარიშსწორების ოპერაციები, ასევე მათი ეროვნულ ბანკში და/ან ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს შორის დაგირავება.

განახლებული GSSS სისტემა ხელს უწყობს უცხოური საფინანსო ინსტიტუტების და ინვესტორების საქართველოს ფინანსურ ბაზრებით დაინტერესებას, ვინაიდან ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა უფრო საიმედო და თანამედროვე გახდა.

2.3. სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა

სავალუტო პოლიტიკა

საქართველოში, როგორც მცირე ზომის ღია ტიპის ეკონომიკაში მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი მოქმედებს. ამ რეჟიმის დროს, გაცვლითი კურსი ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებისა და, შესაბამისად, მაკროეკონომიკური ფუნდამენტური ფაქტორების საფუძველზე ყალიბდება.

საქართველოსათვის მცურავი გაცვლითი კურსი ოპტიმალური სავალუტო რეჟიმია. „შეუძლებელი სამეულის“ პრინციპის შესაბამისად, ინფლაციის თარგეთირებისა და კაპიტალის თავისუფალი მობილობის პირობებში აუცილებელია მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის ფუნქციონირება. ერთი მხრივ, საჭიროა კაპიტალის თავისუფალი მობილობა, ვინაიდან

იგი ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდასა და, შედეგად, ეკონომიკის გრძელვადიან ზრდას უწყობს ხელს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია დამოუკიდებული მონეტარული პოლიტიკის არსებობა, რათა მონეტარული პოლიტიკის რეაგირება საქართველოს ეკონომიკური ციკლების შესაბამისად წარიმართოს. დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკა მიზანშეწონილია, რადგანაც საქართველოს ეკონომიკური ციკლები არ ემთხვევა სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ციკლებს. დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკა ანელებს ბიზნეს ციკლით გამოწვეულ ეკონომიკურ მერყეობას. შედეგად, ინფლაცია და დასაქმება უფრო სტაბილურია, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების წინაპირობაა.

2025 წლის განმავლობაში, საერთაშორისო სავალუტო რეზერვების ადეკვატურ დონემდე შესავსებად, ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ინტერვენციებისათვის გამოიყენებოდა წესებზე დაფუძნებული ინტერვენცია BMatch პლატფორმის საშუალებით.

საერთაშორისო სავალუტო რეზერვები ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკი ყოველთვის კონცენტრირებულია რეზერვების დაგროვებაზე, როდესაც სავალუტო ბაზარზე ხელსაყრელი პირობებია.

2025 წლის განმავლობაში, ეკონომიკის ნაკლებად იმპორტ-ინტენსიურმა ზრდამ მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება განაპირობა, პარალელურად კი დეპოზიტების ლარიზაციის ზრდის ტენდენცია გაიზარდა. აღნიშნულმა ძლიერმა მაკროეკონომიკურმა ფუნდამენტურმა ფაქტორებმა ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ამავდროულად, გაუმჯობესებული ფუნდამენტური ფაქტორების ფონზე, ციკლური ფაქტორებით განპირობებული მერყეობაც შემცირდა ბაზარზე. შედეგად, სავალუტო ბაზარზე შექმნილმა ხელსაყრელმა პირობებმა სებ-ს მისცა შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეევსო მთლიანი საერთაშორისო რეზერვები. კერძოდ, 2025 წლის მარტიდან, მთელი წლის განმავლობაში სებ იყენებდა წესებზე დაფუძნებული ინტერვენციების BMatch პლატფორმას და საანგარიშო პერიოდში, სებ-ის სავალუტო ინტერვენციების წმინდა კუმულატიურმა მოცულობამ 2,432.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის მთლიანი საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის დონე. კერძოდ, იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი, რომელიც ასახავს, რამდენი თვის იმპორტის დაფინანსება შეუძლია არსებულ საერთაშორისო რეზერვებს, წლის დასაწყისში არსებული 2.6-დან 3.6-მდე გაუმჯობესდა, ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყენებული რეზერვების ადეკვატურობის საზომი, ARA Metric, რომელიც აფასებს რეზერვების ადეკვატურობას პოტენციური საგარეო შოკების პირობებში, გაიზარდა 82.6 პროცენტიდან 104.8 პროცენტამდე.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებით 2025 წლის ბოლოს, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 4.0 პროცენტით გამყარდა. ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი (NEER), წლიურად საშუალოდ 0.1 პროცენტით, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) 3.4 პროცენტით გაუფასურდა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი მის წონასწორულ დონეს დაუახლოვდა.

საერთაშორისო რეზერვების მართვა

2025 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობა, გასულ წელთან შედარებით, 1.71 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა და 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6.16 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 2.9).

დიაგრამა N 2.9. ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 1997-2025 (მილიარდი აშშ დოლარი, წლის ბოლოს მაჩვენებელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების დინამიკაზე 2025 წელსაც, ტრადიციულად, რამდენიმე ძირითადი ფაქტორი მოქმედებდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციები, საქართველოს მთავრობის ვალის მომსახურება და სავალუტო ხარჯები, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და გრანტები, სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების ცვლილება. ამასთან ერთად, სებ-ის საერთაშორისო რეზერვების მოცულობის დინამიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა გლობალურ ბაზარზე ოქროს ფასის 2025 წლის განმავლობაში დაახლოებით 65 პროცენტიანი ზრდა. აღსანიშნავია, რომ ოქროში ინვესტიციების განხორციელება სებ-მა 2024 წელს დაიწყო, რაც დროულ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან აღნიშნულმა აქტივმა არა მხოლოდ რეზერვების დივერსიფიკაციას შეუწყო ხელი, არამედ გაზარდა მათი მოცულობა და ნაწილობრივ შეამცირა ფინანსური ბაზრების ვოლატილობასთან დაკავშირებული რისკები. გარდა ამისა, ოქროს მაღალი წილი რეზერვებში საერთაშორისო პრაქტიკაშიც მზარდ ტენდენციად რჩება, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური და ინფლაციური რისკების ფონზე.

2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე ნეტო მყიდველი იყო - წმინდა შესყიდვები სავალუტო აუქციონებისა და Bloomberg-ის Bmatch პლატფორმის მეშვეობით 2.43 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. ამავდროულად, სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებამ და სავალუტო ხარჯებმა დაახლოებით 1.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2025 წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და დონორი სახელმწიფოებიდან სხვადასხვა პროგრამების და პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფოს მიერ უცხოური ვალუტით ეროვნულ ბანკში მიღებული გრანტებისა და სესხების ოდენობა დაახლოებით 329.3 მლნ აშშ დოლარი იყო. საერთო ჯამში, ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სებ-ის რეზერვები 2025 წელს 1.71 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა.

2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა კვლავინდებურად კონსერვატული და საკრედიტო რისკების შემცირებაზე ორიენტირებული იყო. საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები განთავსებული იყო აშშ-ისა და ევროზონის ქვეყნების სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებში, ამავე ქვეყნების სახელმწიფო სააგენტოებისა და სუპრანაციონალური საფინანსო ინსტიტუტების მაღალი ლიკვიდურობის მქონე ფასიან ქაღალდებსა და მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო საბანკო დაწესებულებებში. 2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო

რეზერვების მართვიდან მიღებულმა შემოსავალებმა 421.9 მლნ ლარი შეადგინა. 2025 წლის განმავლობაში ფინანსურ ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი შემცირების შედეგად, სებ-ის პორტფელში არსებული ობლიგაციების ფასები გაიზარდა, რაც პოზიტიურად აისახა საერთაშორისო რეზერვებიდან მიღებულ შემოსავლებზე. საპროცენტო განაკვეთების კლების პარალელურად, ობლიგაციების კაპიტალურმა მოგებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სებ-ის შემოსავლების ზრდაში.

2025 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა მსოფლიო ბანკთან სუვერენული ინვესტიციების პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობას. ეროვნული ბანკი ამ პროგრამის წევრი 2009 წელს გახდა და ის ითვალისწინებს ტექნიკურ მხარდაჭერას ეროვნულ ბანკში საერთაშორისო რეზერვების მართვის სფეროს შემდგომი განვითარების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა და ცოდნის დაგროვების მიზნით. ასევე მოიცავს პორტფელისა და რისკების მართვის, ანგარიშსწორების, ბუღალტრული აღრიცხვის, სამართლებრივ და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში მსოფლიო ბანკის მიერ გამოცდილების გაზიარებას.

2025 წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) თანამშრომლობა, რომლის საინვესტიციო პროგრამაში BIS Investment Pool (BISIP) საქართველოს ეროვნული ბანკი 2014 წლის ბოლოს ჩაერთო. აღნიშნული პროგრამა სხვადასხვა ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ერთ პორტფელში გაერთიანებული სახსრების მართვას გულისხმობს. BISIP-ის პროგრამა ასევე რეზერვების მართვის სფეროში დახმარებას და გამოცდილების გაზიარებას მოიცავს.

03.

ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა

ფინანსური სტაბილურობის, როგორც მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზანია. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის მანდატს წარმოადგენს, თუკი ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში არ მოდის ეროვნული ბანკის ძირითადი მანდატის, ფასების სტაბილურობის, შესრულებასთან. ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ფინანსურ სისტემას შესწევს უნარი ბაზრის მონაწილეებს შეუფერხებლად მიაწოდოს მომსახურება როგორც კარგ, ასევე სტრესის პირობებში.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკასა და საფინანსო სექტორის ზედამხედველობას ახორციელებს. სისტემური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით ეროვნული ბანკი ამ რისკების შემცირებისთვის საპასუხო პოლიტიკას შეიმუშავებს, რითაც ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას უწყობს ხელს. ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი, რომელსაც სებ-ის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში მაკროპრუდენციულ პოლიტიკას უწევს კოორდინაციას. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი სისტემურ რისკებსა და მათი შემცირების გზებს აფასებს და აანალიზებს, შესაბამისი მაკროპრუდენციული ზომების გატარების შესახებ გასცემს რეკომენდაციებს და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფად საჭირო ღონისძიებებს უწევს კოორდინაციას.


ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი გამოიყენება. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება შეზღუდოს, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. ბუფერის კონტრციკლურობა ხელს უწყობს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად მიზანს, შეამციროს ფინანსური სტაბილურობის სისტემური რისკები. უარყოფითი შოკების დროს კონტრციკლური ბუფერი ფინანსურ სისტემას უნდა დაეხმაროს, რომ ეკონომიკის დაკრედიტება მკვეთრად არ შეიზღუდოს და ამით როგორც ფინანსური სექტორის, ისე მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობა დამატებით არ გაუარესდეს. ბაზელის კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს პოზიტიური ნეიტრალური კონტრციკლური ბუფერის დაწესებას ისეთ მოულოდნელ შოკებთან გასამკლავებლად, რომლებიც საკრედიტო აქტივობასთან არ არის დაკავშირებული. შესაბამისად ნეიტრალური განაკვეთი უნდა დარჩეს პოზიტიური ნორმალური საკრედიტო აქტივობის პირობებშიც, ხოლო კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის ციკლური კომპონენტი კი სესხების ზრდის ციკლის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით კონტრციკლური ბუფერის ნეიტრალური განაკვეთი 1 პროცენტს შეადგენს, რომლის დაგროვება ბანკების ეტაპობრივად ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული განრიგით მოეთხოვებათ. რაც შეეხება ციკლურ კომპონენტს, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ისეთ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორებიცაა მთლიან შიდა პროდუქტთან სესხების ფარდობისა და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შესაბამისი ინდიკატორები, საკრედიტო ტენდენციები, ფინანსური სექტორის ციკლური პოზიციის სხვადასხვა მაჩვენებლები, ქვეყნის შიდა და საგარეო მაკროფინანსური გარემოს მახასიათებლები და სხვა. მიმდინარე პერიოდში ბანკები კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის ნეიტრალური კომპონენტის ეტაპობრივ დაგროვებას განაგრძობენ და ამ ეტაპზე აღნიშნული ბუფერი 0.5 პროცენტს შეადგენს. ამასთან 2027 წლის 15 მარტისთვის კონტრციკლური ბუფერის ნეიტრალური კომპონენტი ერთ პროცენტს მიაღწევს. 2025 წელს კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის ციკლური კომპონენტის ცვლილების საჭიროება არ გამოკვეთილა.

გარდა კონტრციკლური ბუფერისა, მაკროპრუდენციული პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე კაპიტალის სხვა ბუფერებსაც იყენებს, რომლებიც დანერგილია ბაზელ III-ის ჩარჩოსთან დაახლოების ფარგლებში. მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტებია, ასევე, სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები, სექტორული რისკის წონები და სხვა ინსტრუმენტები.


ეროვნული ბანკი კვლავ აქტიურად განაგრძობს მუშაობას ფინანსური დოლარიზაციის მაღალი დონით გამოწვეული სტრუქტურული რისკების შესამცირებლად. სებ-ის მიერ გატარებული ღონისძიებების ფონზე დოლარიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა დოლარიზაცია და მასთან დაკავშირებული რისკები ფინანსური

სექტორისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ, უმეტესად ცვლადგანაკვეთიან სესხებს, თან ახლავს საპროცენტო და გაცვლითი კურსის რისკები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა უცხოურ ვალუტაში არაჰეჯირებული მსესხებლების მაღალი წილისა და რეგიონის ვალუტების გაცვლითი კურსის გაზრდილი მერყეობის პირობებში. სწორედ დოლარიზაციით გამოწვეული რისკების შერბილების მიზანს ემსახურება ეროვნული ბანკის მიერ დედოლარიზაციის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები. 2025 წელს არსებული მაკროეკონომიკური და მაკროფინანსური გარემოსა და რისკების გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკმა დედოლარიზაციის გრძელვადიანი გეგმის განხორციელება განაგრძო. არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის სესხების 500 000 ლარიანი ლიმიტი, რომელიც 2025 წლის იანვრიდან იყო მოქმედი, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწვეტილებით 2025 წლის 1 აგვისტოდან 750 000 ლარამდე გაიზარდა.[17] უნდა აღინიშნოს, რომ დეპოზიტების დოლარიზაციაც მაღალ დონეზე ნარჩუნდება. ვალდებულებების ლარიზაციის მხარდასაჭერად ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისთვის ლიკვიდობისა და მინიმალური რეზერვების უფრო შეღავათიან მოთხოვნებს იყენებს. საქართველოს ფინანსური სისტემა მდგრადია და ეკონომიკის დაკრედიტებას კვლავაც შეუფერხებლად განაგრძობს. 2025 წლის მონაცემებით, ბანკებს კაპიტალის და ლიკვიდობის ჯანსაღი მაჩვენებლები აქვთ, ამასთან, უმოქმედო სესხების წილი მთლიან სასესხო პორტფელში დაბალ დონეზე ნარჩუნდება. 2025 წლის დეკემბერში სესხების წლიურმა ზრდამ, გაცვლით კურსის ეფექტის გამორიცხვით, 14% შეადგინა, რაც მნიშვნელოვანწილად, ბიზნეს სესხების ზრდით არის განპირობებული. 2025 წლის განმავლობაში არსებულმა ძლიერმა ეკონომიკურმა ზრდამ სესხების მშპ-თან ფარდობის უარყოფითი გაპის დახურვის ტემპი შეანელა, თუმცა სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა კვლავ განაგრძობს გრძელვადიან ტრენდთან დაახლოებას. შესაბამისად, ბანკებისთვის კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის ციკლური კომპონენტის ცვლილების საჭიროება არ გამოიკვეთა. ამასთან, კომერციული ბანკები განაგრძობენ კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის ნეიტრალური კომპონენტის ეტაპობრივ დაგროვებას ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის მიერ განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

დიაგრამა N 3.1. სესხებისა და ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპების შედარება



17. https://nbg.gov.ge/financial-stability/committee



**ნომინალური მშპ-ის ზრდა ბოლო 4 კვარტლის მშპ-ის წლიურ ზრდას ასახავს.*
***სესხები მოიცავს ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტების მიერ გაცემულ სესხებსა და ასევე, კომპანიების მიერ ადგილობრივად გამოშვებულ ობლიგაციებს.*
****სესხების მშპ-თან ფარდობის გაპი წარმოადგენს სესხების მშპ-თან ფარდობის სხვაობას მისი გრძელვადიანი ტრენდიდან. ტრენდის შესაფასებლად, ბაზელის რეკომენდაციის შესაბამისად, გამოყენებულია HP ფილტრი.*

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

ეკონომიკური აქტივობის ნორმალიზების ფონზე, უძრავი ქონების ბაზარზე მდგრადი აქტივობის ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების ცალკეული მოთხოვნები განაახლა. კერძოდ, სებ-მა სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) მაქსიმალური მაჩვენებელი ფიზიკურ პირებზე ლარში გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის დროებით, 5 პროცენტული პუნქტით, 90 პროცენტამდე გაზარდა. ასევე, 10 პროცენტული პუნქტით, 80 პროცენტამდე, გაიზარდა სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი იპოთეკურ სესხებზე საქართველოს ფარგლებს გარედან შემოსავლის მიმღებთათვის. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს იპოთეკურ სესხებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ეკონომიკის ნორმალიზების გარდამავალ ეტაპზე.

3.1. ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება

ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება ფინანსური სტაბილურობის მანდატის ნაწილია, ფინანსური სტაბილურობა კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ ფინანსური სტაბილურობის საკითხების და მაკროპრუდენციული პოლიტიკის აქტუალობა მსოფლიოში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, გაიზარდა. ფინანსური სტაბილურობის გამართული და ქმედითი ჩარჩო ეკონომიკური დაღმასვლის პერიოდშიც კი ფინანსური რესურსების შეუფერხებლად მიწოდებას უზრუნველყოფს და ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით, საჭიროა ფინანსური სტაბილურობის კომპლექსური და სიღრმისეული ანალიზი, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საბანკო სექტორის რისკების შეფასებას, არამედ ის ყურადღებას აქცევს საგარეო ფაქტორებსაც, რომლებიც, როგორც ბოლო წლებმა დაგვანახა, მნიშვნელოვანი რისკების წყარო შეიძლება აღმოჩნდეს. ფინანსური სტაბილურობა, ასევე, ითვალისწინებს მაკროფინანსურ გარემოს, შინამეურნეობებს, კომპანიებს და არასაბანკო ინსტიტუტებს.

ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბებას და განვითარებას ეროვნული ბანკი სხვა ცენტრალური ბანკების საუკეთესო

გამოცდილების გათვალისწინებით ახორციელებს, რისთვისაც ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, პირველ ეტაპს, საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ფინანსური სტაბილურობის კომპლექსური ინდიკატორების შემუშავება და განვითარება წარმოადგენდა. აღნიშნული ინდიკატორები გამოიყენება მაკროპრუდენციული პოლიტიკის შესამუშავებლად. ყოველივე ეს და მაკროპრუდენციული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპები მაკროპრუდენციული პოლიტიკის სტრატეგიაშია წარმოდგენილი. აღნიშნული სტრატეგია მიზნად გადაწყვეტილების მიღების პროცესის, კომუნიკაციისა და საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას ისახავს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი მუდმივ რეჟიმში მუშაობს ანალიტიკური ინსტრუმენტების განვითარებაზე. აღნიშნული ინსტრუმენტები როგორც საერთაშორისო გამოცდილებას, ასევე ქვეყნის სპეციფიურ მახასიათებლებს ეფუძნება.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია მაკროფინანსური მოდელირება. ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს მაკროფინანსური მოდელის განვითარებაზე, რომლის მიზანია ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის რისკების ანალიზი; მაკროფინანსური სცენარების გენერირება და ანალიზი; მაკროეკონომიკური სტრეს-ტესტების ჩატარება; ეს ყველაფერი შესაბამისი მაკროპრუდენციული პოლიტიკის შემუშავების ძირითადი ქვაკუთხედია. ფინანსური სისტემის განვითარება და ამ განვითარების თანმდევი გამოწვევები მაკროფინანსური მოდელის გამოყენების არეალს აფართოებს და მის მიმართ მზარდ მოთხოვნებს წარმოშობს. შესაბამისად, მაკროფინანსური მოდელის განვითარება და დახვეწა უწყვეტი პროცესია, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ დახმარებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ეტაპობრივად გადავიდა ადგილობრივი ანგარიშგების სტანდარტებიდან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს 9). 2023 წლის ივლისიდან ადგილობრივი სტანდარტები სრულად შეიცვალა ფასს 9 სტანდარტებით. ანგარიშგების სტანდარტების ამ ცვლილების გათვალისწინებით, განახლდა “Top-Down” სტრეს-ტესტის მეთოდოლოგიაც. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ფარგლებში, 2025 წლის დასაწყისში, ფასს 9-ის შესაბამისად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად საკრედიტო რისკის მოდელირების ახლებური მიდგომა დაინერგა. აღნიშნული გულისხმობს სესხების დონეებს შორის გადასვლის მოდელირებას Belkin et al. (1998)-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც IMF-ის სამუშაო სტატიაში არის გამოქვეყნებული. ახალი მეთოდოლოგიით, პირველ ეტაპზე სესხების დონეებს შორის გადასვლების მატრიცის მოდელირება ხდება, რომლითაც, საბოლოოდ, მატრიცის ერთი რიცხვით დახასიათება ხორციელდება. მეორე ეტაპი, ისტორიული მატრიცების მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით სატელიტური მოდელის აგებას გულისხმობს, რომელიც მაკროფინანსურ ცვლადებს მატრიცების შეფასებებთან აკავშირებს. მესამე ეტაპი მაკროფინანსური რისკ-სცენარების შესაბამისად სესხების დონეებს შორის გადასვლების მატრიცების მიღებას მოიცავს. მოდელები შინამეურნეობებისა და ბიზნესის სესხების მიხედვით არის ჩაშლილი, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ვალუტაში. ახლებური მიდგომის შესაბამისად განხორციელებული სტრეს-ტესტის შედეგები გამოქვეყნებულია ფინანსური სტაბილურობის 2025 წლის ანგარიშში.

ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გამჭვირვალობის ზრდა და კომუნიკაციის გაუმჯობესებაა. ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შესახებ საზოგადოების ინფორმირების ზრდის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები მუდმივად განახლების რეჟიმშია. კერძოდ, მოცემულია ინფორმაცია ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის ამოცანებისა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტების შესახებ; ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სხდომების კალენდარი, კომიტეტის განცხადებები და გადაწყვეტილებები; ფასს 9-სთან დაკავშირებული საკითხები, მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შესახებ ინფორმაცია და სხვა. ამასთან, საჯარო დისკუსიის წახალისებისა და გამჭვირვალობის ამაღლების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა 2025 წელს ფინანსური სტაბილურობის ბიულეტენის გამოქვეყნება დაიწყო, რომელიც სხვადასხვა სექტორში რისკებისა და სხვა აქტუალური თემების ანალიზს მოიცავს. პირველი გამოცემა შეეხო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა უძრავი ქონების ფასების დინამიკის ანალიზი,

ბათუმის კომერციული უძრავი ქონების ფასების ინდექსი და არაფინანსური კომპანიების გადახდისუნარიანობის ანალიზი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური ანგარიშგების ფასს 9 სტანდარტზე ეფექტურ გადასვლას უწყობს ხელს. ფინანსური კომპანიების მიერ ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და ეფექტიანად წარმოების, ასევე ურთიერთშედარებითობის უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნული ბანკი ფასს 9-ის მიზნებისთვის მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს რისკ-სცენარების დამუშავებას ახორციელებს და მაკროეკონომიკური ტენდენციების რაოდენობრივ შეფასებას რეგულარულად აქვეყნებს, რომელიც შემდგომ, შესაძლოა, ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას იქნეს გამოყენებული. ფასს 9-ის მიზნებისთვის მაკროეკონომიკური საპროგნოზო სცენარები მაკრო-ფინანსურ მოდელს ეფუძნება და, ასევე, დამატებით ანალიზსა და ექსპერტულ შეფასებებს ითვალისწინებს. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სცენარები თავისი შინაარსით კონტრციკლურია, რაც შესაძლო ფინანსური ციკლების შერბილებას უწყობს ხელს. სავაჭრო შეზღუდვების, უპრეცენდენტოდ გაზრდილი ტარიფებისა და გეოპოლიტიკური კონფლიქტების ფონზე გლობალური ეკონომიკური გარემო 2025 წელს მაღალი გაურკვევლობით ხასიათდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსური ინსტიტუტების მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაციით დროულად უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა საპროგნოზო სცენარების ორი განახლება გამოაქვეყნა. აღნიშნულმა, ფინანსურ კომპანიებს შესაძლებლობა მისცა, დროულად აესახათ მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებებში.

პირველი მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის წარმატებით განხორციელების შემდგომ, 2025 წელს, ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების მეორე გზამკვლევი გამოაქვეყნა.[18] მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის აერთიანებს ყველა იმ შესაძლო ღონისძიებას, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით მომდევნო სამი-ოთხი წლის განმავლობაში. გზამკვლევის მთავარი მიზანია შექმნას სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩო, რომელიც მოამზადებს ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის. თანმიმდევრული და თავსებადი ღონისძიებების გატარებით და ადაპტაციისთვის საჭირო დროის მიცემით, გზამკვლევი ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინებას. პირველ გზამკვლევზე დაყრდნობით, მეორე გზამკვლევი მოიცავს ექვს ძირითად მიმართულებას მოიცავს, რომლებიც თავის მხრივ, ძირითად და დამხარე მიმართულებებად არის დაყოფილი. ძირითადი მიმართულებებია: (i) მდგრადი დაფინანსების ნაკადები; (ii) კლიმატის, ბუნებისა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ინტეგრირება და რისკების მართვა; (iii) გამჭვირვალობა, ანგარიშგება და მონაცემების შეგროვება. აღსანიშნავია რომ, მეორე გზამკვლევის ფარგლებში ძირითად მიმართულებებს ახალი მიმართულება დაემატა – მდგრადობის პრინციპებისა და კლიმატთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა ოპერაციებსა და სამუშაო პროცესებში. დამხმარე მიმართულებები - ცნობიერების ამაღლება და კვალიფიკაციის ზრდა და ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინაცია და თანამშრომლობის გაძლიერება - ძირითადი აქტივობების განხორციელებისთვის ხელშემწყობ ფუნქციას ასრულებენ. პირველი გზამკვლევის (2019–2024) მიღწევებზე დაყრდნობით, მეორე გზამკვლევი არსებული რეგულაციების, სახელმძღვანელოებისა და ინსტრუმენტების განახლების, გაუმჯობესებისა და გაძლიერების გარდა, ახალი ინსტრუმენტების შემუშავებასაც მოიცავს. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი აქტივობების ეფექტიან განხორციელებას, მონიტორინგს, შესაბამისობის შეფასებას, ხარვეზების გამოვლენასა და უწყვეტი გაუმჯობესებისთვის უკუკავშირის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

2025 წლის მეორე ნახევარში, ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების რიგით მეხუთე ანგარიში გამოაქვეყნა.[19] ანგარიშში წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციების, გატარებული

18. მდგრადი დაფინანსების მეორე გზამკვლევი". იხილეთ: https://nbg.gov.ge/page/mdgradi-dapinansebis-gzamkvlevi

19. 2025 წლის მდგრადი დაფინანსების ანგარიში". იხილეთ: https://nbg.gov.ge/page/mdgradi-dapinansebis-angarishi

პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების მიმოხილვა. კერძოდ, გაანალიზებულია ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები, აღწერილია მიმდინარე და უახლოეს პერიოდში დაგეგმილი პროექტები და შეჯამებულია კომერციული ბანკების მიერ ESG ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია საქართველოში მწვანე და მდგრადი ობლიგაციების გამოშვებისა და ზოგადად, კაპიტალის ბაზრის ტენდენციები მდგრადი დაფინანსების მიმართულებით.

2025 წლის აგვისტოში, ეროვნულმა ბანკმა მწვანე, სოციალური, მდგრადობისა და მდგრადობასთან დაკავშირებული (GSS+) ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესი დაამტკიცა.[20] ახალი წესის საფუძველზე, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საჯარო ობლიგაციებთან მიმართებით განისაზღვრა „მწვანე ობლიგაციის“, „სოციალური ობლიგაციის“, „მდგრადობის ობლიგაციისა“ და „მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციის“ დასახელების გამოყენების უფლების მინიჭების, შენარჩუნებისა და გაუქმების მოთხოვნები. დაშვებული ეკონომიკური აქტივობების ჩამონათვალი ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიით ან ექვივალენტური საერთაშორისო ტაქსონომიით განისაზღვრება. აღნიშნული რეგულაცია იმ საჯარო ობლიგაციებისათვის, რომლებიც დადგენილ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებენ GSS+ მარკირების გამოყენებას კრძალავს. რეგულაციის მთავარ მიზნანს ე.წ. „greenwashing“- ის (არამწვანე პროექტის/პროდუქტის მწვანედ კლასიფიცირება) პრევენცია, ინვესტორების დაცვა და ბაზრის სანდოობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. გარდა ამისა, რეგულაცია ხელს შეუწყობს კერძო კაპიტალის მდგრადი ინვესტიციებისკენ მიმართვას. ასევე, უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი, სოციალური და სხვა მდგრადი განვითარების მიზნობრიობის მქონე საფინანსო პროდუქტების მეტ გამჭვირვალობას. ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა (IFC, EBRD და მსოფლიო ბანკი) და ადგილობრივი ბაზრის მონაწილეთა აქტიური ჩართულობით მომზადებული ახალი რეგულაცია მიზნად ისახავს კაპიტალის ბაზარზე მდგრადი მიზნობრიობის მქონე ობლიგაციების საჯაროდ გამოშვებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას და ამ გზით საწარმოთა სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნებისა და პროექტების მხარდაჭერას. მწვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესი ძალაში 2026 წლის 1 იანვრიდან შევა.

პარალელურად, 2025 წელს, ეროვნულმა ბანკმა ფინანსური გირავნობის მართვის დებულების ფარგლებში მონეტარული პოლიტიკის ოპერაციების უზრუნველყოფაში მწვანე აქტივები დაამატა.[21] 2026 წლის 1 იანვრიდან გამოშვებული ობლიგაციები, რომლებიც ზემოთხსენებულ წესს სრულად შეესაბამება და ამავდროულად ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 21 აგვისტოს №197/04 ბრძანებით განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და GSS+ ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და გაუქმების წესის შესახებ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ეროვნული ბანკის რეფინანსირების, ღია ბაზრისა და ერთდღიან სესხებზე უზრუნველყოფის შეფასებისას 2.5 პროცენტული პუნქტით ნაკლები დისკონტით ისარგებლებს. აღნიშნული ნაბიჯი ეროვნული ბანკის მონეტარული ჩარჩოს გამწვანებასა და საქართველოში მდგრადი დაფინანსების ინსტრუმენტების განვითარებას უწყობს ხელს.

საქართველოში გენდერული ნიშნით ჩაშლილი მონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად და ქალების საკუთრებაში არსებული და ქალების მიერ მართული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (WMSME) შესახებ მონაცემების სისტემატურად შესაგროვებლად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ინვესტორთა საბჭოსთან, საბანკო ასოციაციასთან და კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობით, მეწარმე ქალის (ქალების საკუთრებაში არსებული და ქალების მიერ მართული საწარმოს) განმარტება და ანგარიშგების ფორმა შეიმუშავა. აღნიშნული ანგარიშგების ფორმა კომერციული ბანკებისგან საწარმოების დაფინანსების შესახებ გენდერული ნიშნით ჩაშლილი მონაცემების შესაგროვებლად შემუშავდა. კომერციული ბანკების მიერ პირველი ანგარიშები 2024 წლის მონაცემების მიხედვით

20. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბრძანება „მწვანე, სოციალური, მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესის დამტკიცების თაობაზე“. იხილეთ: https://nbg.gov.ge/legal-acts/projects/mtsvane-sotsialuri-mdgradi-da-mdgradobastan-dakavshirebuli-obligatsiebis-statusis-minichebis

21. საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირავნობის მართვის დებულება“. იხილეთ: https://shorturl.at/q6uKD

მომზადდა, ხოლო 2026 წლიდან რეგულარული კვარტალური ანგარიშგება დაიწყება, რაც გენდერული ნიშნით ჩაშლილი MSME მონაცემების უწყვეტ მონიტორინგსა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ანგარიშგების ფორმა ისეთ ძირითად ინდიკატორებს მოიცავს როგორიცაა, MSME ბიზნეს მსესხებლების რაოდენობა, სესხების განაცხადებისა და დამტკიცებული სესხების რაოდენობა, არსებული სესხების მოცულობა და ხარისხი და სადეპოზიტო ანგარიშების მოცულობა. გარდა ამისა, ანგარიშგების ფორმა დამატებით ინდიკატორებსაც მოიცავს, როგორიცაა ახალი სესხების გაცემა, უზრუნველყოფილი სესხების რაოდენობა და მოცულობა, საპროცენტო განაკვეთი და სესხების ვადიანობა. 2024 წლის მონაცემების კვლევის დეტალური შედეგები 2025 წლის ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში წარმოდგენილია.[22]

კორპორაციული მართვის კოდექსით დაწესებული მოთხოვნის შესაბამისად, 2025 წელს კომერციულმა ბანკებმა ESG ინფორმაცია ეროვნული ბანკის შაბლონის გამოყენებით მეხუთედ გაამჟღავნეს. ფინანსური ინსტიტუტების მიერ 2021-2025 წლებში შევსებული შაბლონები ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. აღნიშნულ ანგარიშგებას ბანკები ყოველწლიურად ახორციელებენ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ESG საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ინვესტორებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის დასაწყისიდან, ეროვნული ბანკი ESG საკითხების გამჟღავნების ფორმის განახლებაზე მუშაობს. 2021 წლიდან, პილარ 3-ის ყოველწლიური ანგარიშგების ფარგლებში, ბანკები ESG საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ESG საკითხების გამჟღავნების ფორმის გამოყენებით აქვეყნებენ. მიღებული გამოცდილებისა და მდგრადობის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების განვითარების ასახვის მიზნით, ეროვნული ბანკი არსებული ფორმის განახლებას ახორციელებს. განახლებული გამჟღავნების ფორმა წამყვან საერთაშორისო სტანდარტებსა და ჩარჩოებს შეესაბამება, მათ შორის IFRS-ის S1, S2, ESRS, GRI სტანდარტებს, TNFD ჩარჩოსა და ბაზელის კლიმატთან დაკავშირებული ანგარიშგების ჩარჩოს. ფორმა მოიცავს როგორც ხარისხობრივ კითხვებს მმართველობის, სტრატეგიისა და რისკების მართვის შესახებ, ასევე რაოდენობრივ კითხვებს გარდმავლობისა და ფიზიკური რისკების შეფასებისთვის. ფორმის „მაჩვენებლების და მიზნების“ ნაწილი კი განახლებულ საქმიანობის შეფასების ძირითად მაჩვენებლებს ეთმობა, რომელიც გარემოსდაცვით, სოციალურ და მართველობით საკითხებზე დეტალური მაჩვენებლებს აერთიანებს. განახლებული ფორმით ანგარიშგება 2026 წელს დაიწყება და ანგარიშები ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

პირველი მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში 2022 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია[23] და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი (ტაქსონომიის რეგულაცია) დაამტკიცა.[24] 2023 წლის 1 იანვრიდან ბანკები ვალდებულნი არიან ტაქსონომიის რეგულაციით განსაზღვრული მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშების ფორმის გამოყენებით ეროვნულ ბანკს მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგება წარუდგინონ. ასევე, ტაქსონომიის რეგულაციასთან შესაბამისად უნდა მოხდეს მწვანე/სოციალურ/მდგრად სესხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ESG ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმაში. ამ ანგარიშების სიზუსტის უზრუნველსაყოფად და „greenwashing“-ის (არამწვანე პროექტის/პროდუქტის მწვანედ კლასიფიცირება) პრევენციისთვის, ეროვნული ბანკის მიერ 2025 წლის დეკემბერში წარდგენილი სასესხო პორტფელის შეფასება 2026 წელს განხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის მეორე ნახევრიდან, ეროვნული ბანკი მწვანე ტაქსონომიისა და შესაბამისი რეგულაციის განახლებაზე მუშაობს. აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებს ტაქსონომიის კატეგორიების, ტექნიკური კრიტერიუმების გადახედვასა და მათ ქვეყანაში განახლებულ რეგულაციებთან და საერთაშორისო საუკეთესო

22. footnote:საქართველოს ეროვნული ბანკის 2025 წლის ფინანსური სტაბილურობის ანგარიში. იხილეთ: https://nbg.gov.ge/publications/financial-stability-reports

23. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია“. იხილეთ: https://nbg.gov.ge/page/მდგრადი-დაფინანსების-ტაქსონომია

24. იხილეთ: https://nbg.gov.ge/legal-acts/acts

პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანას. განახლებული მწვანე ტაქსონომიისა და შესაბამისი რეგულაციის გამოქვეყნება 2026 წლის ბოლომდე არის დაგეგმილი.

ეროვნული ბანკი, მდგრადი დაფინანსების შესახებ მონაცემების გამჭირვალობის გაზრდისა და ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, 2025 წელს მწვანე სესხების მონაცემთა დაფის განვითარებაზე მუშაობდა. მონაცემთა დაფა წარმოაჩენს დეტალურ მონაცემებს მწვანე სესხებზე, რომელთა ანგარიშგება ტაქსონომიის რეგულაციის ფარგლებში მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგების ფორმის მეშვეობით ხდება. აღნიშნული ინიციატივა გააუმჯობესებს მწვანე სესხების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობასა და გამოყენებადობას დაინტერესებულ მხარეთა უფრო ფართო წრისთვის, მათ შორის პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ფინანსური ინსტიტუტებისა და მკვლევრებისთვის. მწვანე სესხების მონაცემთა დაფა ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე 2026 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნდება.

ეროვნულმა ბანკმა OECD-თან თანამშრომლობით საქართველოს ფინანსურ სექტორში ბუნებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების პროექტი დაიწყო. ეს ერთობლივი ინიციატივა ანალიტიკურ კვლევას, ეროვნული ბანკის რისკის შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებასა და ბანკებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას მოიცავს. პროექტის მთავარი მიზანს საქართველოს ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორში ბუნებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება წარმოადგენს. ახალი ანალიზი ეროვნული ბანკის 2023 წლის კვლევის დასკვნებსა და OECD-ის ზედამხედველობის ჩარჩოს ეყრდნობა, რათა: (i) გამოავლინოს მატერიალური რისკების გადაცემის არხები; (ii) დაადგინოს მოწყვლადი ეკონომიკური სექტორები და კრიტიკული ბუნებრივი კაპიტალის აქტივები; და (iii) ბუნებასთან დაკავშირებული სცენარებისა და „დანახარჯები-გამოშვების“ ცხრილების ანალიზის გამოყენებით შეაფასოს ბუნებრივი შოკებით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური ზემოქმედება. პარალელურად, ბუნებასთან დაკავშირებული რისკების, დამოკიდებულებებისა და მოწყვლადობის შეფასების მიზნით, პროექტი ბანკებისთვის ბუნებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების ბარათის შემუშავებას ითვალისწინებს. რისკების შეფასების ბარათი საქართველოს ეროვნული ბანკის ESG რისკების შეფასების ჩარჩოში ინტეგრირდება და ბანკებს ბუნებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებაში დაეხმარება. კვლევის შედეგების გამოქვეყნება 2026 წლის მეორე ნახევარში არის დაგეგმილი.

ეროვნული ბანკი კვლავ აქტიურად განაგრძობს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებას და ამ მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას.

3.2. გაჯანსაღების და რეზოლუციის ჩარჩო

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლიდან კომერციული ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის ჩარჩოს (შემდგომში - რეზოლუციის ჩარჩო) განვითარებასა და იმპლემენტაციაზე დაიწყო მუშაობა.

აქტიური სამუშაოები გაგრძელდა 2025 წლის განმავლობაშიც, რა დროსაც ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. მსოფლიო ბანკის გუნდმა, მისიის ფარგლებში, სამუშაო შეხვედრები გამართა ეროვნული ბანკის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის, მათ შორის, რეზოლუციისა და ლიკვიდაციის განყოფილების, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა ფინანსური სისტემის მდგრადობის განმტკიცებაზე, კრიზისების პრევენციასა და მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე, საბანკო რეზოლუციო ჩარჩოს სრულყოფაზე.

2025 წელს საბანკო სექტორის თითოეულმა მონაწილემ მოამზადა გაჯანსაღების გეგმები, რომელიც მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას ან/და კრიტიკული ფუნქციების შეფერხებისას, კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კრიტიკული ფუნქციების აღსადგენად და შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს აერთიანებს. ეროვნულმა ბანკმა დოკუმენტები თითოეული ბანკის ჭრილში შეისწავლა და, მარეგულირებელი წესის და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისი უკუკავშირი განახორციელა.

კომერციული ბანკის მხრიდან შემუშავებული გაჯანსაღების გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტი არის კრიტიკული ფუნქციების თვითშეფასება და მათი შეწყვეტის შემთხვევაში ბაზრის სხვა მონაწილეების მხრიდან დროულად ჩანაცვლებადობის შეფასება, კონტრაგენტებსა და რეალურ ეკონომიკაზე ზეგავლენის გათვალისწინებით.

სისტემისთვის კრიტიკულად ფასდება შემდეგი ფუნქციები:

- დეპოზიტების მიღება;
- სესხების გაცემა;
- საგადახდო მომსახურება, ნაღდი ფულის მომსახურება, კლირინგი, საანგარიშსწორებო მომსახურება, შემნახველი მომსახურება;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობა;
- საბითუმო დაფინანსება.

ზემოაღნიშნული გეგმის მიმართ მოთხოვნებს გაჯანსაღების ჩარჩოს შემადგენელი შესაბამისი წესი არეგულირებს. დოკუმენტის ფოკუსში ექცევა: გაჯანსაღების მიზნებისთვის ინდიკატორების მონიშვნა და მათი ზღვრების კალიბრაცია, გაჯანსაღების ზომების განსაზღვრა, ბანკისათვის რელევანტური მკაცრი სტრეს სცენარების გამოყენებით ფინანსური ზიანის მასშტაბისა და გაჯანსაღების ზომ(ებ)ის ეფექტურობის ტესტირება, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. დოკუმენტში ასევე ყურადღება ექცევა მმართველობითი საკითხების მოწესრიგებას, რომლის მიზანია ბანკის მხრიდან ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ადრეული გამოვლენა და შემდგომი ორგანიზებული მართვა.

გაჯანსაღების გეგმის ინდიკატორების სავალდებულო კატეგორიებია:

- კაპიტალი;
- ლიკვიდობა;
- მომგებიანობა;
- აქტივების ხარისხი.


გეგმებზე ეროვნული ბანკის შეფასება ბანკების რისკების მართვის საერთო ჩარჩოში ინტეგრირდება

რეზოლუციის მექანიზმი, რომელიც შესაბამისი სარეზოლუციო ინსტრუმენტებითაა წარმოდგენილი, მძიმე ფინანსურ კრიზისში მყოფი ბანკის რეაბილიტაციის შესაძლებლობას წარმოადგენს. ის გამოიყენება მაშინ, როდესაც გაჯანსაღების ზომების გონივრულ ვადაში განხორციელება ნაკლებად მოსალოდნელია (ან უშედეგოა) და ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტის ასარიდებლად მიზანშეწონილია ფინანსური ინსტიტუტის ფუნქციონირების (კრიტიკული ფუნქციების) შენარჩუნება, ამასთან გადასახადის გადამხდელთა სახსრების გამოყენების საჭიროების შემცირება.

ეროვნული ბანკის სარეზოლუციო უფლებამოსილება აქციონერების ან/და კრედიტორების თანხმობის და წინასწარი შეტყობინების გარეშე შემდეგი სარეზოლუციო ინსტრუმენტების ინდივიდუალურ ან კომბინირებულ გამოყენებას მოიცავს:

- კომერციული ბანკის შერწყმა;
- კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისება;
- კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების დროებითი ბანკისთვის გადაცემა;
- კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია ახალი აქციების გამოშვებით;
- კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით (bail-in).

დიაგრამა N 3.2. სისტემური ბანკების კონცენტრაცია საბანკო ბაზარზე (2025 წლის 31 დეკემბრის მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სექტორის კონიუნქტურა და საბანკო ბაზარზე სისტემური მნიშვნელობის მქონე (სისტემური) ბანკების მაღალი კონცენტრაცია მათი ეკონომიკური ფუნქციების კრიტიკულობას და რეზოლუციის გეგმების არსებობის საჭიროებას ცხადყოფს. ეროვნულმა ბანკმა სისტემური ბანკებისთვის რეზოლუციის გეგმები განაახლა. აგრეთვე, რეზოლუციის გეგმა მომზადდა ერთერთი შედარებით მსხვილი არასისტემური ბანკისთვისაც. რეზოლუციის გეგმებში საკვანძო ელემენტებად მიჩნეულია რეზოლუციის განხორციელების შესაძლებლობის (resolvability) შეფასება და უპირატესი სარეზოლუციო სტრატეგიის განსაზღვრა, შემდეგი ასპექტების მოცვით: გეგმის ტრიგერები, ინსტრუმენტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, რეზოლუციის ფაზები, ძირითადი პროცესები და სხვა. საერთაშორისო მოცემულობის მიხედვით, რეზოლუციის შესაძლებლობის გაფართოვება და ინსტრუმენტების ოპერაციული გამართვა განვითარების გზას გადის და, მათ შორის მოწინავე ქვეყნებშიც, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. რეზოლუციის ჩარჩოს ოპერაციული გამართვისათვის გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა IMF-ისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიმუშავა რეზოლუციის ინსტრუმენტების ე.წ. Playbook-ები. აღნიშნულ საკითხებზე ეროვნული ბანკი მომავალ წელსაც გააგრძელებს აქტიურ სამუშაოებს, მათ შორის კომერციული ბანკების resolvability-ის ხარისხის გაზრდის მიმართულებით.

2025 წელს გეგმიური გრაფიკის მიხედვით და თემატური საკითხების განსახილველად რეზოლუციის ჩარჩოს ფარგლებში შექმნილი რეზოლუციის კომიტეტის სხდომა ჩატარდა. 2025 წლის მანძილზე საბანკო სექტორში რეზოლუციის საჭიროება ან მისი ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები არ გამოვლენილა, ასევე არ შეინიშნებოდა გაჯანსაღების ზომების ამოქმედების საფუძვლები.

2021 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ჩატარებული ფინანსური სექტორი შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში, გაიცა რეკომენდაციები, რომ ეროვნული ბანკის მიერ, სისტემური მნიშვნელობის მქონე კომერციული ბანკებისთვის, დაწესებულიყო არსებული რეზოლუციის ჩარჩოს მიხედვით გათვალისწინებული **დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნა (MREL)**, რაც წარმოადგენს პროცენტულ მაჩვენებელს, რომელიც მიიღება დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების შეფარდებით საზედამხედველო კაპიტალსა და მთლიან ვალდებულებებთან.

ამასთან, 2023 წლის დეკემბრიდან, კომერციული ბანკებისთვის სავალდებულო გახდა

რეკაპიტალიზაციის მიზნით ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტების გამოყენების სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინება ისეთი კაპიტალის ინსტრუმენტების ხელშეკრულებებში, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ არიან დარეგულირებულნი უცხოური კანონმდებლობით, ანალოგიური მოთხოვნა ისეთი ვალდებულებების შემცველ ხელშეკრულებებში, რომლებზეც ვრცელდება „რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 29 დეკემბრის №241/04 ბრძანებით დამტკიცებული წესი, კომერციული ბანკებისთვის ამოქმედდა **2024 წლის პირველი აპრილიდან.** აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნით განსაზღვრული პირობის ხელშეკრულებაში გათვალისწინება არ ახდენს გავლენას კრედიტორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ იერარქიაზე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაცია ემყარება ევროპის **ბანკის გაჯანსაღებისა და რეზოლუციის დირექტივის (BRRD)** ჩარჩოს მიერ გათვალისწინებულ საერთო პრაქტიკას. მოთხოვნის მიზანია, კრიზისული სიტუაციებისთვის, სისტემური ბანკების მიერ წინასწარ ბალანსის იმგვარი სტრუქტურის შექმნა, რომელიც ეროვნულ ბანკს, მისი მანდატის ფარგლებში, საშუალებას მისცემს ეფექტურად მოახდინოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი ბანკის რეკაპიტალიზაცია ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით.

დაშვებული ვალდებულებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) განაკვეთი, სისტემური კომერციული ბანკებისთვის, ქვემოთ მოცემული ოდენობით და ვადების შესაბამისად არის განსაზღვრული:


- 2024 წლის 1 იანვრიდან 10% - ის ოდენობით;
- 2025 წლის 31 დეკემბრიდან 15% - ის ოდენობით;
- 2027 წლის 31 დეკემბრიდან 20% - ის ოდენობით.

ფინანსური სტაბილურობის ხელშესაწყობად ეროვნულმა ბანკმა აღნიშნული მოთხოვნა სისტემური ბანკებისთვის 2024 წლიდან აამოქმედა. 2024 წლიდან, მოთხოვნის შესაბამისად, სისტემური ბანკები ეროვნულ ბანკს შესაბამისი ფორმით ყოველთვიურად წარუდგენენ MREL ანგარიშგებას. **2025 წლის ბოლოს მდგომარეობით კომერციული ბანკების MREL-თან ადეკვატურობის მაჩვენებლები და სისტემაში MREL ინსტრუმენტები შემდეგნაირად გამოიყურება:**

GEL

	31/12/2025	31/12/2025	31/12/2025
	თიბისი	საქართველოს ბანკი	ლიბერთი
MREL რესურსი	8,678,919,525	8,660,240,126	769,731,379
საზედამხედველო კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები (TLOF)	38,715,693,719	42,247,911,662	5,932,047,606
%	22.42%	20.50%	12.98%

დიაგრამა N 3.3. MREL რესურსი ინსტრუმენტების მიხედვით - 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ასევე, 2023 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ დაამტკიცებული სარეზოლუციო ფონდთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, კომერციულ ბანკებს განესაზღვრათ ვალდებულება სარეზოლუციო ფონდში განახორციელონ წინასწარი შენატანები/კონტრიბუციები (ex-ante ფონდი) კანონით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულის მისაღწევად, კერძოდ:

- **ფონდის სამიზნე ნიშნული:** დაზღვეული დეპოზიტების 3%;
- **შენატანები:** ბანკებმა შენატანების განხორციელება დაიწყეს 2025 წლიდან;
- **სამიზნე ნიშნულის მისაღწევად საჭირო ვადა:** 8 წელი (შესაძლოა შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ ფონდში არსებული თანხა იქნება გამოყენებული ან გაიზრდება დეპოზიტების დაზღვევის ლიმიტი);
- **შენატანების მეთოდოლოგია:** სისტემაში კომერციული ბანკების აქტივების წილის პროპორციულად, ინდივიდუალური რისკ პროფილის გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ფონდთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, 2024 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, მათ შორის, საჯარო კონსულტაციების ჩართულობით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 2 სექტემბრის №228/04 ბრძანებით დამტკიცებული „სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანის განხორციელების წესი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2033 წლამდე მისაღწევი სარეზოლუციო ფონდის სამიზნე მაჩვენებელი **302,387,263 ლარით განისაზღვრა.** შესაბამისად, საბანკო სექტორის მიერ 2025 წლის ჯამური წინასწარი შენატანმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით **37,798,407 ლარი** შეადგინა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 2 სექტემბრის №228/04 ბრძანებით დამტკიცებული „სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანის განხორციელების წესის“ დანართი №1-ით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის შესაბამისად წარმოადგენს დაზღვეული დეპოზიტების 2024 წლის ოთხი კვარტლის საშუალო მოცულობის 3%-ის მერვედს (2033 წლამდე მისაღწევი სამიზნე მაჩვენებელი). კომერციულმა ბანკებმა სარეზოლუციო ფონდში წინასწარი ინდივიდუალური შენატანების განხორციელება აღნიშნული წესის შესაბამისად 2025 წლიდან დაიწყეს. 2025 წლის ჯამური წინასწარი შენატანის ოდენობის (წლიური სამიზნე დონე) სარეზოლუციო ფონდში კონტრიბუცია სრულად განხორციელდა კომერციული ბანკების მიერ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 555 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სარეზოლუციო ფონდის ადმინისტრირებას ახორციელებს ეროვნული ბანკი,

რომელიც უფლებამოსილია აღნიშნული ფონდი ადმინისტრირებისთვის გადასცეს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს სარეზოლუციო ფონდში არსებული თანხები ადმინისტრირებისთვის გადაეცა დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მასთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სადაც ადმინისტრირება გულისხმობს ფონდის სახსრების მართვას ინვესტირების მიზნით.

სარეზოლუციო ფონდში, გარდა კომერციული ბანკების მიერ წინასწარი შენატანებისა, შესაძლოა დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური სახსრების აკუმულირებაც (ე.წ. ex-post ფონდი) და მისი შესაბამისად დადგენილი მიზნობრიობით ათვისებაც განხორციელდეს. რეზოლუციის რეჟიმის დასრულების შემდგომ და ფინანსთა სამინისტროს მიერ პროცესის ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში, სარეზოლუციო ფონდის გავლით ათვისებული სახელმწიფო სახსრები ანაზღაურდება მოქმედი კომერციული ბანკების მიერ, დადგენილი პირობებითა და პროპორციულობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

სარეზოლუციო ფონდის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ქვეყნდება ყოველწლიურად მომდევნო წლის პირველ ივლისამდე, „სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანის განხორციელების წესის“ შესაბამისად.

3.3. ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისო კომიტეტი

ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ინფორმაციის რეგულარული მიმოცვლის, ფინანსური კრიზისის მართვის მექანიზმების შემუშავებისა და ეფექტური კოორდინაციის უზრუნველსაყოფად 2020 წელს შეიქმნა თანამშრომლობის ახალი პლატფორმა - ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტი, რომელსაც ფინანსთა მინისტრი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსი და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი წარმოადგენენ. უწყებათაშორის კომიტეტს საქართველოს ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობს, ხოლო სამდივნოს ფუნქციებს ეროვნული ბანკი ასრულებს. დებულების თანახმად, უწყებათაშორისი კომიტეტი სხდომას წელიწადში არანაკლებ ერთხელ ან ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში გამართავს. კომიტეტის ძირითადი ამოცანა ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით კრიზისული სიტუაციებისა და ფინანსური კრიზისის მართვის მექანიზმების შემუშავებაა.

2025 წელსაც ყოველწლიურად განსაზღვრული ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომა ჩატარდა. კომიტეტს ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობდა და მონაწილეობდნენ ეროვნული ბანკის, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი პირები. კომიტეტის წევრებმა ისაუბრეს რეზოლუციის ჩარჩოს განვითარებისა და ევროპულ პრაქტიკასთან დაახლოების გზებზე და ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე. საუბარი ასევე შეეხო უწყებათაშორის საერთო შემუშავებულ და შესამუშავებელ პროცედურულ საკითხებს. ამასთან, წევრებმა მიმოიხილეს სარეზოლუციო ფონდთან დაკავშირებული ზოგადი მაჩვენებლები, მათ შორის, განსაზღვრული სამიზნე ნიშნული, კომერციული ბანკების კონტრიბუციების მეთოდოლოგია და ადმინისტრირების პროცესი. ამავე განხილვის ფარგლებში, კომიტეტზე ისაუბრეს მსოფლიო ბანკის მხრიდან სარეზოლუციო ფონდისთვის პოტენციური პირობითი დაფინანსების გამოყოფის შესაძლებლობაზეც, რაც მიზნად ისახავს ქვეყნის ფინანსური მდგრადობის გაძლიერებას.

გარდა ამისა, კომიტეტის წევრებმა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესრულების სტატუსი განიხილეს და სამომავლო ნაბიჯებზეც იმსჯელეს.

3.4. საფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაცია

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებდა 17 კომერციული ბანკი, 29 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 1 საკრედიტო კავშირი, საგადახდო მომსახურების 36 პროვაიდერი და 10 საბროკერო კომპანია.

2025 წლის განმავლობაში ბანკის ლიკვიდაცია არ დაწყებულა, ბოლო ლიკვიდაცია კი საბანკო სექტორში 2019 წელს დასრულდა.

ეროვნული ბანკი საზედამხედველო სუბიექტების ლიკვიდაციის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ ახორციელებს კრედიტორებისგან მოუკითხავი ფულადი სახსრების სპეციალურ ანგარიშზე აღრიცხვას, მათ ადმინისტრირებას და, მფლობელის გამოვლენის შესაბამისად, ამ თანხების მესაკუთრისთვის დაბრუნების უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკი განკარგავს კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემდგომ აღმოჩენილ აქტივებს (ასეთ თავისებურებას ადგილი ჰქონდა ადრეულ წლებში წარმოებული სალიკვიდაციო პროცესის დასრულების შემდგომ), რომლის რეალიზებიდან მიღებული ფულადი სახსრები, წესისამებრ, ლიკვიდირებული ბანკის დარჩენილ კრედიტორებს შორის, შესაბამისი რიგითობის დაცვით ნაწილდება[25]. 2025 წელს ეროვნული ბანკის წარმოებაში ლიკვიდირებული კომერციული ბანკების ორი ახლად აღმოჩენილი აქტივის განკარგვის საქმისწარმოება მიმდინარეობდა, რომელთაგან ერთის შემთხვევაში, ნაწილობრივ ამოღებული და კრედიტორებზე განაწილებული თანხები წინა წლებშიც გაიცემოდა. ზემოაღნიშნული აქტივების საქმისწარმოება 2026 წელსაც გაგრძელდება.


სალიკვიდაციო ფუნქციების განხორციელებისას ქვემოთ მოცემულ საზედამხედველო სუბიექტებთან მიმართებაში, ეროვნული ბანკი შესაბამისი კანონებითა და ბრძანებებით ხელმძღვანელობს.

ამასთან, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-16 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება გაფართოვდა, კერძოდ, როდესაც ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს ლიკვიდაციის ხარჯების დასაფარავი თანხა არ აქვს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილი გახდა ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის ლიკვიდაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გასცეს თანხა, რამაც ხელი შეუწყო არა ერთი სალიკვიდაციო პროექტის დასრულებას.

გარდა არსებული სამართლებრივი აქტებისა, ეროვნული ბანკი შეიმუშავებს პროცედურებს და შიდა კონტროლის სხვა ტექნიკურ დოკუმენტებს, რომელიც ლიკვიდაციის მიმდინარეობისას მმართველობითი საკითხების გაუმჯობესებას უწყობს ხელს და პროცესებს უფრო ორგანიზებულს და სტანდარტიზებულს ხდის.

25. იმ აქტივის ამოღების შემთხვევაში, რომელიც კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ამ კომერციული ბანკის აქტივი იყო, იგი ავტომატურად ჩაითვლება ლიკვიდირებული კომერციული ბანკის აქტივად და მისი განკარგვის უფლებას იძენს ეროვნული ბანკი („კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37[12] მუხლის მე-15 პუნქტი).

დიაგრამა N 3.4. ფინანსური ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიმდინარეობა 2025 წელს



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკის თანაავტორობით, 2020-2023 წლებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შემუშავდა, რომელიც დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება. საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონებში, და სხვა რამდენიმე ნორმატიულ აქტში. საკანონმდებლო ცვლილებების ამოცანას ეროვნული ბანკის უფლებამოსილების გაფართოება წარმოადგენს, რათა სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების როგორც ლიკვიდაციის, ასევე გადახდისუუნარობის/გაკოტრების, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების საკითხი. აღნიშნული ცვლილებები ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების ერთპიროვნულ უფლებამოსილებას ანიჭებს, რაც ხელს შეუწყობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესის დროულ და ეფექტიან წარმართვას. აღნიშნული საზედამხედველო სუბიექტების ლიკვიდატორს, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებით ადმინისტრატორს ეროვნული ბანკი დანიშნავს და ისინი ანგარიშვალდებულნი ეროვნული ბანკის წინაშე იქნებიან. კანონპროექტის დამტკიცების შედეგად განმტკიცდება ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართულებით.

04.

საბანკო ზედამხედველობა

4.1. საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება

2025 წელს ეროვნული ბანკი კვლავ განაგრძობდა საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწასა და განვითარებას და ამ მიზნით აქტიურად ეწეოდა როგორც კვლევით, ისე მეთოდოლოგიურ საქმიანობას.

გასული წლების მსგავსად, 2025 წელსაც, ეროვნულმა ბანკმა 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის 2025 წლის გამოცემა გამოაქვეყნა. ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტები სტრატეგიის 2025 წლის გამოცემაში უცვლელი დარჩა, ხოლო უკვე შესრულებული ამოცანებისა და დაწყებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წლიურ გამოცემაში დეტალურად აისახა. სტრატეგიის ყოველწლიური დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს მომდევნო 12 თვის პერიოდში დაგეგმილ ძირითად ამოცანებსა და სამოქმედო გეგმის ცვლილებაზე აკეთებდა და ამავდროულად, 2024 წლის ჭრილში აქტივობების შესრულების შესახებ განახლებულ ინფორმაციას მოიცავდა. ეროვნული ბანკი 2025 წელს თავის საქმიანობას კვლავ შემდეგი საზედამხედველო პრიორიტეტების გათვალისწინებით წარმართავდა:

- საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება;
- საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა;
- ფინანსური ინოვაციების წახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება;
- საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება;
- ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა.

ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მუშაობა ახალ სამწლიან საზედამხედველო სტრატეგიაზე, რომლის ფარგლებშიც 2026-2028 წლებისთვის ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტები და შესაბამისი სამოქმედო გეგმა განისაზღვრება. საგულისხმოა, რომ გასული წლების მსგავსად, ეროვნული ბანკი საზედამხედველო სტრატეგიის ახალი დოკუმენტის შემუშავებას საჯარო კონსულტაციების ფორმატში, დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით გეგმავს, უშუალოდ დოკუმენტის გამოქვეყნება კი 2026 წლის პირველ ნახევარში იგეგმება. ამასთან, ახალი საზედამხედველო სტრატეგიის ფარგლებში შეჯამდება 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება/სტატუსები და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, იხილონ 2025 წლის ჩათვლით განხორციელებული აქტივობების შესახებ კიდევ უფრო დეტალური ინფორმაცია.

„ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2025 წელსაც განხორციელდა დამატებითი ზედამხედველობის გამოყენების საკითხის ხელახალი ყოველწლიური შეფასება სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან ერთად, რომლის შედეგების თანახმადაც, საქართველოში ოპერირებადი არცერთი ჯგუფი ამჯერადაც არ მოხვდა ფინანსური კონგლომერატის დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში. აქვე, აღსანიშნავია, რომ 2025 წლის მანძილზე, ეროვნული ბანკი აქტიურად აგრძელებდა მუშაობას საბანკო ჯგუფის კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოს შემუშავებაზე, რაც კონგლომერატების ზედამხედველობის ჩარჩოს მსგავსად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას წარმოადგენს.

2025 წელს ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიერ კანონმდებლობის, მათ შორის, მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის შესაბამისი საზედამხედველო ზომების და სანქციის - ფულადი ჯარიმის გამოყენება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში დამკვიდრებული და აპრობირებული პრაქტიკაა. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად მიიჩნევა, რომ მარეგულირებელი ორგანოს მიერ ამა თუ იმ დარღვევისთვის განსაზღვრული ფულადი ჯარიმა უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და ჰქონდეს პრევენციული ეფექტი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ფულადი ჯარიმა განისაზღვროს როგორც დარღვევის, ისე საზედამხედველო სუბიექტის ზომის და განვითარების დონის პროპორციულად. ყოვე-

ლივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განხორციელებული ცვლილება მიზნად ისახავდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას და ფულადი ჯარიმის შესაძლო მაქსიმალური ოდენობის გაზრდას, ისეთი მნიშვნელოვანი შემთხვევებისთვის, როდესაც სახეზეა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან ეროვნული ბანკის შესაბამის სამართლებრივ აქტზე თანდართული ნებისმიერი პირობის ან შეზღუდვის დარღვევა და მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის, ეროვნული ბანკის ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება) ან/და ეროვნული ბანკის მოთხოვნებითა და წერილობითი მითითებით აკრძალული ოპერაციების წარმოება ან/და დაწესებული შეზღუდვების, ლიმიტების, მოთხოვნების და აკრძალვების შეუსრულებლობა. კერძოდ, ჩამოთვლილ შემთხვევებში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, კომერციული ბანკს დააკისროს ფულადი ჯარიმა დარღვევის გამოვლენის მომენტისათვის ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული საზედამხედველო კაპიტალის 0.01%, 0.05%, 0.1%, 0.5% ან 1%-ის ოდენობით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ფულადი ჯარიმის ოდენობა კვლავ განისაზღვრება დარღვევის სერიოზულობის ან/და კომერციული ბანკის აქტივებისთვის მიყენებული ზარალის ან/და შესაძლო საფრთხიდან გამომდინარე და ყოველი შემთხვევა ინდივიდუალური შესწავლის საგანია.

2025 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა კონტრაჰენტის საკრედიტო რისკის მართვის დებულება და შესაბამისი გამომდინარე ცვლილებები. აღნიშნული დებულება ეფუძნება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტისა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული მოთხოვნების შესახებ 575/2013 რეგულაციის ფარგლებში დადგენილ კონტრაჰენტის რისკის მართვის ჩარჩოს. ახალი დებულების მიზანია ქართულ საბანკო სექტორში დერივატივების გაზრდილი მოცულობით ფორმირებული რისკების მეტად მართებულად ასახვა და შესაბამისი მართვა. კერძოდ, აღნიშნული დებულების მიღებით დერივატივების მართვის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომა ჩანაცვლდა რისკებზე დაფუძნებული მიდგომით. ახალი დებულების ფარგლებში ტრანზაქციის კარგი ხარისხის უზრუნველყოფის და მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე კონტრაგენტების არსებობის შემთხვევაში, ბანკებს შეუძლიათ შეამცირონ მოთხოვნილი კაპიტალი და პირიქით. ახალი რეგულაციის მიხედვით, კონტრაგენტის რისკით შეწონილი აქტივების დათვლისთვის, აქტივებთან შეფარდებით დერივატივების წილიდან გამომდინარე, ბანკებს შეეძლებათ გამოიყენონ სამი მიდგომა: სტანდარტიზებული, გამარტივებული სტანდარტიზებული და საწყისი რისკის პოზიციის მეთოდი. აღსანიშნავია, რომ ახალ დებულებაზე მუშაობა მიმდინარეობდა სექტორთან და საბანკო ასოციაციასთან კონსულტაციებით და შემუშავებული მოდელის დანერგვისთვის ბანკებს ჰქონდათ წელიწადზე მეტი დრო.

გასულ წელს ცვლილებები შევიდა კომერციული ბანკებისთვის და მიკრობანკებისთვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციებში. აღნიშნული ინსტრუქციების მიზნებისთვის ახლებური მოწესრიგებით განიმარტა კრედიტის მნიშვნელობა. ამასთან, ცვლილებით დაზუსტდა, რომ თუ კრედიტის თანხა არ აღემატება 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, უძრავი ქონების ინსპექტირება შესაძლებელია განხორციელდეს კომერციული ბანკის/მიკრობანკის უფლებამოსილი პირის, მათ შორის, შემფასებლის დამხმარის მიერ. ხოლო თუ კრედიტის თანხა აღემატება 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, უძრავი ქონების ინსპექტირება სავალდებულოა განხორციელდეს შესაბამისი უძრავი ქონების შეფასების მომზადებაზე პასუხისმგებელი შემფასებლის მიერ. ორივე შემთხვევაში, კრედიტის თანხაში გაითვალისწინება იმავე ბანკში ყველა იმ კრედიტის ჯამური ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაფასებელი უძრავი ქონებით. ასევე, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც კრედიტის თანხა აღემატება 200,000 (ორას ათასი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში და უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების პირველადი შეფასების ფარგლებში უძრავი ქონების ინსპექტირება არ განხორციელებულა უშუალოდ შემფასებლის მიერ, მითითებული ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, სავალდებულოა განხორციელდეს შესაბამისი უძრავი ქონების გადაფასება და შემფასებლის მიერ უძრავი ქონების ინსპექტირება.

2025 წელს ცვლილება შევიდა პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესში. კერძოდ, წესით ისედაც განსაზღვრული იყო ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, საკუთარი შეხე-

დულებისამებრ, პერიოდულად, კომერციული ბანკის რისკის პროფილისა და სხვადასხვა სტრესული სიტუაციების ალბათობის ან/და რეალიზაციის შედეგად შეცვალოს კომერციული ბანკისათვის დაწესებული ბუფერები, რაც გულისხმობს ეროვნული ბანკის უფლებას - გადაწყვეტილება მიიღოს ინდივიდუალური შემთხვევების ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბუფერების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს ცალკეული გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე, წესიდან წაიშალა ის პუნქტები, რომელთა მიხედვით პილარ 2-ის ფარგლებში კაპიტალის მოთხოვნის შემცირების მოცულობა დაითვლება კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით.

2025 წელს ამოქმედდა კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის ნორმა, რომლის შესაბამისადაც, კიდევ უფრო გაიზარდა გენდერული მრავალფეროვნების მოთხოვნა და ბანკებს წარმოეშვათ ვალდებულება, 2025 წლის 1 ივნისიდან დაიცვან სამეთვალყურეო საბჭოებში განსხვავებული სქესის ლიმიტი - არანაკლებ 40 პროცენტის ოდენობით. რაც შეეხება მიკრობანკებს, ხსენებული 40 პროცენტიანი მოთხოვნის დაცვა მათ 2026 წლის 1-ლი ივლისიდან ევალებათ. ამასთან, იმ საბანკო დაწესებულებებს, რომელთა სამეთვალყურეო საბჭოებიც ბანკის ზომისა და საქმიანობის მასშტაბების გათვალისწინებით 3 წევრისგან შედგება, გამონაკლისის სახით, განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა 33 პროცენტიანი მოთხოვნის დაცვა ევალებათ.

ამასთანავე, ცვლილებები განხორციელდა კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსებში და დაზუსტდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნა. კერძოდ, ცვლილებების მიხედვით, ანაზღაურებებს შორის 30%-იანი ლიმიტის დათვლის მიზნებისთვის აღარ გაითვალისწინება სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი თავმჯდომარისა და ნულოვანი ანაზღაურების მქონე წევრთა ანაზღაურებები.

2025 წელს ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობდა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტების მომზადებაზე. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს საბანკო საქმიანობის/მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემასთან, კომერციული ბანკის/მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის შემძენთა/მფლობელთა და კომერციული ბანკის/მიკრობანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული მოთხოვნების საერთაშორისო პრაქტიკასთან კიდევ უფრო დაახლოებას, რაც თავის მხრივ მოთხოვნების დახვეწას და შეფასების პროცესში მეტ სიცხადეს უზრუნველყოფს. გარდა აღნიშნულისა, ზუსტდება რიგი საკითხები, მათ შორის, კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ნებადართულ საქმიანობასთან მიმართებით. ამავდროულად, საბანკო სექტორში კონკურენციის წახალისების მიზნით, იგეგმება მიკრობანკის საქმიანობისთვის განსაზღვრული ცალკეული მოთხოვნების შემსუბუქება და უფრო ცხადად ჩამოყალიბება, მიკრობანკებს გაუჩნდებათ უძრავი ქონების იჯარით გაცემისა და საფინანსო ბაზარზე საშუამავლო მომსახურების გაწევის უფლება. ამასთანავე, კანონპროექტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ცვლილებაა მიკრობანკებისთვის სესხის მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გაცემის შეზღუდვის გაუქმება, რაც მათ კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის. ასევე, განისაზღვრება, რომ მიკრობანკის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 50 პროცენტისა უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხებისგან ან/და იმ სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროც სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია, რაც „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედ რედაქციასთან მიმართებით მოთხოვნის 20%-ით შემსუბუქებას წარმოადგენს. გარდა აღნიშნულისა, ზემოხსენებული კანონპროექტები ითვალისწინებს რიგ საკითხებს, რაც კონკურენციისა და უცხოური სანდო ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების წახალისებაზე არის ორიენტირებული. აღნიშნული ცვლილებების მომზადების პროცესში, კონსულტაციების ფორმატში, აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც შესაბამისი სექტორის წარმომადგენლები, ისე საბანკო ასოციაცია.

წინა წლების მსგავსად, ეროვნული ბანკი 2025 წელსაც აქტიურად განაგრძობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“ (FSAP) ფარგლებში ეროვნული ბანკის

საზედამხედველო ჩარჩოს შემდგომი განვითარებისა და დახვეწის კუთხით მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობას, ისევე, როგორც ევროპულ და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას. მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარების კუთხით ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებები არსებითად ეფუძნება აღნიშნული პრაქტიკისა და სტანდარტების კვლევისა და ეროვნული საჭიროებების სინთეზურ ანალიზს.

გარდა მარეგულირებელი ჩარჩოს მუდმივი განვითარებისა, ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს როგორც პრაქტიკული, ისე მეთოდოლოგიური კუთხით საზედამხედველო პროცესების დახვეწასა და მაღალი სტანდარტების შენარჩუნებაზე.

4.2. კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკი

2025 წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი განგრძობით რეჟიმში აკვირდებოდა და იკვლევდა საბანკო სექტორში არსებული კორპორაციული მართვის სტანდარტების მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის საკითხს. აღნიშნული, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავდა საბანკო დაწესებულებების მმართველი ორგანოების საქმიანობის შესწავლასა და შეფასებას, რაც გულისხმობდა როგორც მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულების მონიტორინგს, ისე თავად საბანკო დაწესებულებების დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობების კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის შემოწმებას. ეროვნული ბანკის მიერ, წლის განმავლობაში აქტიურად ფასდებოდა ზემოხსენებულ ორგანოებში ერთობლივი შესაფერისობის საკითხი, საბანკო დაწესებულებების მმართველი ორგანოების წევრთა კომპეტენციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით. ამასთან, საბანკო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების საქმიანობის შეფასების პროცესში, ეროვნული ბანკის მიერ გაანალიზდა სამეთვალყურეო საბჭოს შეფასების დოკუმენტები. აღნიშნული შეფასების დასკვნები, სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებული იქნა რისკების შეფასების საერთო პროგრამის (CRAPE - General Risk Assessment Program) ფარგლებშიც.

2025 წლის მანძილზე, კორპორაციული მართვის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ შეფასდა საბანკო დაწესებულებების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსითა და შესაბამისი ინსტრუქციის საფუძველზე იდენტიფიცირებული მატერიალური რისკის ამღები პირების სიები. აღნიშნულ პროცესში, დეტალურად გაანალიზდა ბანკების ორგანიზაციული სტრუქტურები და ცალკეული მატერიალური რისკის ამღები პირებისთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული კრიტიკულად მნიშვნელოვანია კორპორაციული მართვის კოდექსების შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ანაზღაურების პოლიტიკების პრაქტიკაში სათანადოდ იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით. ეროვნული ბანკი 2025 წლის განმავლობაში აქტიურად აკვირდებოდა ბანკების სამეთვალყურეო საბჭოების მიერ ბანკში არსებული ანაზღაურების სისტემების ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობასა და მონიტორინგს. ამასთან, გასულ წელს გარკვეული ცვლილებები შევიდა კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსებში და დაზუსტდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნა. კერძოდ, ცვლილებების მიხედვით, ანაზღაურებებს შორის 30%-იანი ლიმიტის დათვლის მიზნებისთვის აღარ გაითვალისწინება სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი თავმჯდომარისა და ნულოვანი ანაზღაურების მქონე წევრთა ანაზღაურებები. შესაბამისად, განსახილველ წელს ეროვნული ბანკის მხრიდან სისტემურად შემოწმდა დაზუსტებულ მოთხოვნასთან კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების შესაბამისობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატში გენდერული მრავალფეროვნების გაუმჯობესების მიზნით, „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში“ 2022 წლის 24 აგვისტოს შევიდა ცვლილებები, რომლითაც კიდევ უფრო გაიზარდა გენდერული მრავალფეროვნების მოთხოვნა. კერძოდ, არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივნისისა, ბანკები ვალდებულნი იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოებში განსხვავებული სქესის წილი არანაკლებ 33 პროცენტი ყოფილიყო, ხოლო არაუგვიანეს 2025 წლის 1 ივნისისა - არანაკლებ 40 პროცენტი.

რაც შეეხება მიკრობანკებს, განსხვავებული სქესის 40 პროცენტიანი მოთხოვნის დაცვა მათ 2026 წლის 1-ლი ივლისიდან ევალებათ. ვინაიდან კომერციული ბანკების შემთხვევაში 2025 წლის 1-ლი ივნისიდან 40 პროცენტამდე გაიზარდა განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა წილის მოთხოვნა, ეროვნული ბანკის მხრიდან აქტიურად მოწმდებოდა კომერციული ბანკების აღნიშნულ მოთხოვნასთან შესაბამისობის საკითხი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2025 წელს კორპორაციული მართვის კოდექსებში ამ მოთხოვნის ირგვლივაც შევიდა ცვლილება და დაზუსტდა, რომ იმ საბანკო დაწესებულებებს, რომელთა სამეთვალყურეო საბჭოებიც ბანკის ზომისა და საქმიანობის მასშტაბების გათვალისწინებით 3 წევრისგან შედგება, განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა 33 პროცენტიანი მოთხოვნის დაცვა ევალებათ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული მართვის კოდექსები ითვალისწინებს რეკომენდაციას დირექტორატის წევრთა არანაკლებ 33 პროცენტის განსხვავებული სქესის წარმომადგენლებით დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა 40 პროცენტი, ხოლო დირექტორატის წევრთა დაახლოებით 20 პროცენტი დაკომპლექტებულია განსხვავებული სქესის წარმომადგენლებით.

ამასთან, 2025 წელს, კორპორაციული მართვის მოთხოვნებთან ბანკების შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ეროვნული ბანკი აქტიურად ეცნობოდა და იკვლევდა ბანკების შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშებს. აღნიშნულის საშუალებით, ერთი მხრივ, ბანკებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება ხდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, თავად შიდა აუდიტის სამსახურის, როგორც დაცვის მესამე ხაზის საქმიანობის ეფექტურობა ფასდებოდა.

ბანკების კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკის შეფასება ეროვნული ბანკის რისკების შეფასების საერთო პროგრამის ნაწილია. ჯგუფის სტრუქტურის შეფასება მოიცავს როგორც ბანკის მფლობელობის სტრუქტურას, ინვესტიციებთან დაკავშირებულ რისკებსა და საბანკო ჯგუფის წევრებთან განხორციელებულ ტრანზაქციებს, ისე ბანკების ინვესტიციებისა და საინვესტიციო საქმიანობის რისკების შეფასებას. შეფასების ფარგლებში, ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს საქართველოში წარმოდგენილი საერთაშორისო საბანკო ჯგუფების მშობელ ქვეყნებში განვითარებული პროცესების მონიტორინგსა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ინვესტორების შეფასებას.

2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებდა საბანკო ჯგუფების სტრუქტურის შეფასებასაც, მათ შორის, საქართველოში ლიცენზირებული ბანკების მშობელ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შეფასებას და არსებული რისკების ბანკზე გადმოცემის შეფასებას.

მიმდინარე წელს სს „ტერაბანკმა“ განახორციელა 87%-იანი ინვესტიცია და მის ქვეშ არსებული სალიზინგო პორტფელი გადავიდა სს „ტერა ლიზინგთან“, რომელიც ახალი იურიდიული სუბიექტია ფინანსურ ბაზარზე. 2025 წელს, სს „კრედო ბანკმა“ გაზარდა ინვესტიცია საქართველოში რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერ - შპს „ქიფზ.მი“-ში და ამჟამად მისი 49%-იანი წილის მფლობელია.

ამასთან, ეროვნული ბანკი განაგრძობს კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოს შემუშავებაზე მუშაობას, რომლის მანდატიც ეროვნულ ბანკს 2017 წლის ბოლოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მიენიჭა. 2025 წელს ეროვნულ ბანკს აღნიშნული მიმართულებით კონსულტაცია გაუწიეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა, რომელთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად ეროვნული ბანკი განაგრძობს კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოს შემუშავების პროცესს. კონსოლიდირებული ზედამხედველობის დანერგვა, რაც გულისხმობს ზედამხედველობას საბანკო ჯგუფის დონეზე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბანკო სექტორის სტაბილურობის შენარჩუნებას, საბანკო ჯგუფისა და საბანკო ჯგუფთან დაკავშირებულ პირთაგან მომდინარე რისკებისა და საბანკო ჯგუფზე მათი გავლენის შეფასების შედეგად.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორში 17 კომერციული ბანკი და ორი მიკრობანკი ფუნქციონირებს, მათ შორის, აღსანიშნავია, რომ 2025 წლის თებერვალში სს „კრისტალმა“ მიკრობანკის ლიცენზია მიიღო და სისტემას მეორე მიკრობანკი შეემატა. ამავე პერიოდში არარეზიდენტი მესაკუთრეების მონა-

წილეობა ბანკების და მიკრობანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით, 88.9 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალში - 87.8 პროცენტს შეადგენს.

4.2.1. კომერციული ბანკების/მიკრობანკების ლიცენზირების, ადმინისტრატორებისა და მნიშვნელოვანი წილის შემძენის/მფლობელის შესაფერისობის შემოწმების პროცესი

2022-2023 წლებში, საბანკო საქმიანობის ლიცენზია მიიღო სამმა ციფრულმა ბანკმა - სს „ჰეშ ბანკმა“, სს „პეისერა ბანკ საქართველომ“ და სს „პეივ ბანკ ჯორჯიამ“. აღნიშნული ბანკები საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შემდგომ, საწყის ეტაპზე, სატესტო რეჟიმში მუშაობდნენ, თუმცა სს „პეისერა ბანკ საქართველოს" - 2023 წელს, ხოლო სს „ჰეშ ბანკსა“ და სს „პეივ ბანკ ჯორჯიას“ - 2024 წელს რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლება მიეცათ. 2025 წლის მანძილზე ეს ბანკები კვლავ პირობითი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობდნენ და განაგრძობდნენ ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესრულებას, მათ შორის, კაპიტალის გაზრდას. აღსანიშნავია, რომ სს „ჰეშ ბანკის“ მიზანი ციფრულ ბანკად ფუნქციონირებაა, რათა საბანკო სერვისების მიწოდება ძირითადად ელექტრონული არხებით განახორციელოს. ის მიზნად ისახავს, ციფრულ სტრატეგიაზე გადასასვლელად გაანაწყოს ბაზრის როგორც ტრადიციული, ასევე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მომხმარებელი. სს „პეივ ბანკ ჯორჯიას“ მიზანიც ციფრულ ბანკად ფუნქციონირებაა, რომელიც აპირებს ფინანსური პროდუქტების გაერთიანებას და მათ ციფრულ აქტივებთან და ანგარიშების პროგრამირებადობასთან დაკავშირებას. ბანკი მიზნად ისახავს ტექნოლოგიურად განვითარებული კომპანიების მომსახურებას. რაც შეეხება სს „პეისერა ბანკ საქართველოს", მისი ბიზნეს მოდელი ევროკავშირის ფინანსურ სისტემასთან ინტეგრაციას ეფუძნება და მომხმარებლებისთვის ინოვაციური ციფრული პროდუქტების შეთავაზებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ეროვნულ ბანკს შესაბამისი სალიცენზიო განაცხადებით მომართეს მიკრობანკის ლიცენზიის მაძიებელმა პირებმა, ხოლო 2024 წლის 5 დეკემბერს ეროვნულმა ბანკმა სს „მიკრობანკ ემბისიზე" (MBC) მიკრობანკის საქმიანობის პირველი ლიცენზია გასცა.

2025 წლის თებერვალში მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია გაიცა ასევე, სს „მიკრობანკ კრისტალზე“. 2025 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, მიკრობანკების ჯამური აქტივების მოცულობა დაახლოებით 867 მილიონ ლარს შეადგენს. აღნიშნული კომპანიები, წლების განმავლობაში წარმოადგენდნენ მოწინავე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ხოლო მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებით, შესაძლებლობა მიეცათ მნიშვნელოვნად შემცირებული დანახარჯების გათვალისწინებით, რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა მოეპოვებინათ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

კანონის თანახმად, ლიცენზირებული მიკრობანკის ბიზნესმოდელი ეფუძნება სამეწარმეო საქმიანობიდან (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან) შემოსავლის მიმღები პირების დაკრედიტებას, ასევე, მიზნად ისახავს მოსახლეობის ფინანსურ ჩართულობას, განსაკუთრებით ქვეყნის რეგიონებში. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონკურენციის ზრდის პროცესს და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის პროგრესს.

2025 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღებით დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციები და უწყებაში შემოსული სალიცენზიო განაცხადების განხილვა, რაც 2026 წელსაც გაგრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო საქმიანობის პირობითი ლიცენზიის (ე.წ. ციფრული ბანკის ლიცენზია) ინსტიტუტის მიმართ ინტერესი მზარდია სუბიექტების მხრიდან.

2025 წლის მანძილზე კვლავ აქტიურად ხორციელდებოდა კომერციული ბანკების ადმინისტრატორად დასანიშნი პირების შესაბამისობის შემოწმება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №151/04 ბრძანებით დამტკიცებულ „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნულის ფარგლებში, ხსენებულ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა 26 ადმინისტრატორის შესაფერისობაზე გასცა თანხმობა.

ამასთან, ბანკის ადმინისტრატორთა მხრიდან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა 2025 წელ-

საც აქტიურად განაგრძო მუშაობა, რაც ძირითადად გულისხმობდა ზემოხსენებული დებულების ამოქმედებამდე კომერციულ ბანკებში უკვე დანიშნული ადმინისტრატორების დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას და კომერციული ბანკებისათვის შესაბამისი უკუკავშირის გაზიარებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ გადაიხედა რამდენიმე კომერციული ბანკის მხრიდან ადმინისტრატორად მიჩნეული პოზიციების სია, რომლის ფარგლებშიც კომერციულ ბანკებს მიეცათ გარკვეული რეკომენდაციები. შედეგად, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გაფართოვდა ბანკის ადმინისტრატორთა სია და განხორციელდა ამ სიაში დამატებული პირების შესაბამისობის შემოწმება კანონმდებლობითა და დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

2025 წელს, ეროვნული ბანკის მიერ ასევე განხილულ იქნა კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის მსურველ პირთა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №153/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ დებულებით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, რომლის ფარგლებშიც, იაპონურმა სოციალური გავლენის მქონე ჰოლდინგმა Cojo & Company, Inc.-მ კრედო ბანკის დამატებით 16.52%-იანი წილის შეძენაზე ეროვნული ბანკის თანხმობა მიიღო. 2025 წლის ბოლო მონაცემებით Cojo & Company, Inc ჯამურად კრედო ბანკის 33.22%-ს ფლობს.

აგრეთვე, 2025 წლის განმავლობაში, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №153/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ დებულებით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა, სამუშაოები გასწია კომერციული ბანკების ისეთი მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პირების შესაფერისობის შემოწმების მიმართულებითაც, რომლებმაც კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილი ხსენებული დებულების ამოქმედებამდე შეიძინეს. აღნიშნული პროცესი კვლავ გრძელდება.

4.3. კაპიტალის ადეკვატურობა

საქართველოს საბანკო სისტემა 2025 წლის ბოლოსათვის, ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში, კაპიტალის ადეკვატურ დონეს კვლავაც ინარჩუნებდა.

2022 წლის ნოემბერში ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა, ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის (BCBS) რეკომენდაციების გათვალისწინებით[26], კონტრციკლური ბუფერის დაწესების ჩარჩოს განახლების გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული გულისხმობს სტრესული პერიოდებისთვის კაპიტალის ბუფერების დაგროვების მიზნით ნეიტრალური პოზიტიური კონტრციკლური ბუფერის დაწესებას. აღნიშნული განახლებული ჩარჩოს შესაბამისად, 2025 წლის 15 მარტისთვის ბანკებმა დააკმაყოფილეს კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის განაკვეთის 0.5%-ის ოდენობით დაწესების მოთხოვნა, ხოლო სამომავლოდ ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ ბუფერის მოთხოვნა: 2026 წლის 15 მარტისთვის - 0.75%-ის ოდენობით, ხოლო 2027 წლის 15 მარტისთვის - 1%-ის ოდენობით.

2025 წელს განახლდა სტრეს ტესტის სახელმძღვანელო და ჩატარდა სტრეს ტესტის სავარჯიშო. ეროვნული ბანკის მიერ განხორციელდა შედეგების შესწავლა, თუმცა ამ ეტაპზე სტრეს ტესტის ბუფერი არცერთი ბანკისთვის არ დაწესებულა და კვლავ 0%-ს შეადგენს.

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სისტემური მნიშვნელობის მქონე სამი კომერციული ბანკია ფინანსურ სექტორში, რომლებიც არიან სს „საქართველოს ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“ და სს „ლიბერთი ბანკი“. სისტემურობის ბუფერის მოთხოვნა განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული კომერციული ბანკის მიმართ. აღნიშნული სისტემურობის ბუფერის მოთხოვნები 2025 წელს არ შეცვლილა და 2024 წლის მოთხოვნის ანალოგიურია. კერძოდ, 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებს განსაზღვრული ჰქონდათ

26. Buffer usability and cyclicality in the Basel framework, October, 2022 - https://www.bis.org/bcbs/publ/d542.pdf


შემდეგი მოთხოვნები: სს „საქართველოს ბანკს“ - 3%-ის, სს „თიბისი ბანკს“ - 2.5%-ის და სს „ლიბერთი ბანკს“ - 0.5%-ის ოდენობით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) დაფუძნებული რიცხვების მიხედვით, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 19.9 პროცენტს, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი - 22.2 პროცენტს შეადგენს, რაც ჯამურ მოთხოვნებზე, შესაბამისად, 3.0 და 2.4 პპ-ით მეტია.

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით სისტემის ჯამურმა მოგებამ 3.3 მილიარდი შეადგინა და 213 მილიონით აღემატება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მოგების მაღალი მაჩვენებელის შესაბამისად, 2025 წლის დეკემბერში ბანკების საოპერაციო რისკის პოზიციები გაიზარდა 1.42 მილიარდით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კვლავ მაღალია ლევერიჯის კოეფიციენტი[27], რომელიც 15.19 პროცენტს უტოლდება და მოთხოვნას 10.19 პპ-ით აღემატება.

დიაგრამა N 4.1. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის განმავლობაში ბანკები აქტიურად ახორციელებდნენ კაპიტალის ინსტრუმენტების მოზიდვას, როგორც მეორადი კაპიტალის, ასევე დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების სახით. კერძოდ, 2025 წლის განმავლობაში, დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტი გამოუშვა სამმა ბანკმა. მათ შორის, სს „კრედო ბანკმა“ და სს „პაშა ბანკმა საქართველომ“ პირველად გამოუშვეს აღნიშნული ინსტრუმენტი.

2018 წელს წმინდა CRAPE ბუფერი ამოქმედდა, რომელიც რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის უწყვეტი ციკლის ფარგლებში განისაზღვრება და რომლის მიზანიც კომერციული ბანკების რისკების შეფასებაა. CRAPE-ის საფუძველზე თითოეული კომერციული ბანკის რისკის პროფილი ფასდება. 2025 წლის ნოემბრის თვეში ეროვნულმა ბანკმა კიდევ ერთხელ განაახლა წმინდა CRAPE ბუფერები, რის შემდეგაც ინდივიდუალური CRAPE ბუფერების მოცულობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.5-5.7 პროცენტის შუალედში განისაზღვრა.

27. კაპიტალის შეფარდება აქტივებთან.

დიაგრამა N 4.2. პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.4. ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა

კომერციული ბანკების საზედამხედველო ანგარიშგებები ეყრდნობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS). 2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი განგრძობითად ახორციელებდა საზედამხედველო ანგარიშგების ხარისხისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) შესაბამისობის მონიტორინგს. ასევე, მუშაობდა საანგარიშგებო ჩარჩოს განვითარებაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ევროპის საანგარიშებო ჩარჩოს და ადგილობრივი საზედამხედველო საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავდა FINREP ფინანსური ანგარიშგების უახლეს ტაქსონომიაზე გადასვლისთვის სამუშაოების ჩატარებას, რომლის შესაბამისადაც ბანკები ანგარიშგებას გააგრძელებენ 2026 წლიდან.

ამასთან, 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა მიმოიხილა კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი წლიური აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, რაც მოიცავდა ფასს-თან და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას, რასთან დაკავშირებითაც გასცა სათანადო რეკომენდაციები.


კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე შესაბამის ბრძანებებთან მიმართებით, წლის მანძილზე ეროვნული ბანკი განგრძობითად ახორციელებდა ბანკების მიერ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

4.5. საკრედიტო რისკი

2025 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 71.3 მილიარდ ლარს მიაღწია და მისი წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე (2025 წლის ბოლოს არსებული კურსით), 14 პროცენტი იყო[28].

28. მონაცემები აღნიშნულ ქვეთავში არ მოიცავს VTB ბანკის, მიკრობანკი კრისტალის, მიკრობანკი ემბისის ინფორმაციას.

დიაგრამა N 4.3. მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელს საკრედიტო პორტფელის შემადგენლობა სეგმენტების ჭრილში მცირედით შეცვლილია, კერძოდ, წლის მანძილზე გაიზარდა კორპორატიული და საცალო სეგმენტის წილი, ხოლო მიკრო და მცირე და საშუალო სეგმენტების წილი მთლიან პორტფელში შემცირდა. 2025 წლის მანძილზე გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ შესყიდული სხვადასხვა კორპორატიული კლიენტების ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ამ ეფექტის გათვალისწინებით და რეკლასიფიკაციის ეფექტის გარეშე კორპორატიული სეგმენტის პორტფელის ზრდა 16.3 პროცენტს შეადგენს.


ცხრილი 4.1. საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2025 წლის ბოლოს არსებული კურსით)

	დეკ-24		დეკ-25		ცვლილება ფიქსირებული კურსით%	ცვლილება ფიქსირებული კურსით და რეკლასიფიკაციის ეფექტის გარეშე %
	მლნ ლარი	წილი %	მლნ ლარი	წილი %		
კორპორატიული სეგმენტი	22,050	35%	25,505	36%	15.7%	14.9%
მცირე და საშუალო სეგმენტი	9,980	16%	10,630	15%	6.5%	6.3%
მიკრო სეგმენტი	7,942	13%	8,627	12%	8.6%	10.9%
საცალო სეგმენტი	22,511	36%	26,401	37%	17.3%	17.3%
სულ:	62,484	100%	71,164	100%	13.9%	13.9%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2025 წელს, თვის შიგნით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები თითქმის ყველა სეგმენტში მცირედით გაიზარდა 2024 წელთან შედარებით, გარდა ეროვნულ ვალუტაში გაცემული საცალო სეგმენტის სესხებისა, ამასთან ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე ზრდა უფრო მეტი დაფიქსირდა ვიდრე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებზე, რაც ძირითადად განპირობებული იყო 2025 წლის მანძილზე ლარში მოზიდული სახსრების გაძვირებით.

დიაგრამა N 4.4. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.5. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ სეგმენტში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.6. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო და მიკრო სეგმენტში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.7. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო სეგმენტში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის დეკემბრის ბოლოს, ციკლური სექტორების (უძრავი ქონების დეველოპმენტი, უძრავი ქონების მენეჯმენტი, სასტუმროები და ტურიზმი, რესტორნები და კვების ობიექტები, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 17.8 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის დეკემბრის თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.4 პპ-ით ნაკლებია, რაც ძირითადად გამოწვეულია დანარჩენი საკრედიტო პორტფელის უფრო სწრაფი ზრდით ვიდრე ციკლური სექტორების.


ცხრილი 4.2. საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება 2025 წელი

სექტორი ბანკთაშორისი სესხების გარდა (მილიონი ლარი)	წილი მთლიან პორტფელში	ფინანსური ინსტრუმენტის ძირი	ფინანსური ინსტრუმენტის ამორტიზირებული ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
სახელმწიფო ორგანიზაციები	0.2%	163	164		0.3%
საფინანსო ინსტიტუტები	2.4%	1,687	1,698	5	0.3%
საბითუმო ლომბარდი	0.4%	262	263	1	0.3%
უძრავი ქონების დეველოპმენტი	6.4%	4,554	4,587	37	0.8%
უძრავი ქონების მენეჯმენტი	5.5%	3,929	3,980	29	0.7%
სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	1.7%	1,245	1,260	33	2.6%
სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	2.8%	2,008	2,059	23	1.1%
სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობა	3.9%	2,779	2,794	23	0.8%
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	2.6%	1,879	1,895	76	4.0%
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის წარმოება და ვაჭრობა	1.2%	855	860	11	1.3%
ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	0.9%	605	609	5	0.8%
ვაჭრობა (სხვა)	3.0%	2,170	2,201	49	2.2%
წარმოება (სხვა)	1.3%	936	944	23	2.4%
სასტუმროები და ტურიზმი	4.2%	2,968	3,017	41	1.4%
რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	1.3%	944	958	13	1.3%
მძიმე მრეწველობა	1.2%	884	899	28	3.1%
ბენზინგასამართი სადგურები და ბენზინის იმპორტიორები	1.2%	828	832	5	0.6%
ენერგეტიკა	3.9%	2,801	2,834	8	0.3%
ავტომობილების დილერები	0.4%	286	289	2	0.5%
ჯანდაცვა	1.5%	1,078	1,087	26	2.4%
ფარმაცევტიკა	0.3%	246	248	1	0.5%
ტელეკომუნიკაცია	0.4%	254	279	1	0.3%
სერვისი	5.7%	4,069	4,109	54	1.3%
სოფლის მეურნეობის სექტორი	4.7%	3,318	3,405	98	2.9%
სხვა	0.7%	495	510	7	1.3%

საცალო პროდუქტები	**42.0%**	**29,919**	**30,227**	**513**	**1.7%**
სატრანსპორტო სესხები	0.3%	213	215	4	2.1%
სამომხმარებლო სესხები	20.5%	14,558	14,603	401	2.7%
სწრაფი სესხები (Pay Day Loans)	0.0%			.0	14.1%
მომენტალური განვადება	0.9%	662	685	22	3.2%
ოვერდრაფტები	0.1%	69	73	10	13.7%
საკრედიტო ბარათები	0.8%	576	587	25	4.2%
იპოთეკური სესხები - დასრულებული უძრავი ქონების შეძენა	14.3%	10,179	10,350	40	0.4%
იპოთეკური სესხები - მშენებლობა, მშენებლობის პროცესში მყოფი უძრავი ქონების შეძენა	3.0%	2,103	2,133	5	0.2%
იპოთეკური სესხები - უძრავი ქონების რემონტისათვის	1.5%	1,060	1,076	4	0.4%
საცალო ლომბარდული სესხები	0.7%	490	496	2	0.4%
სტუდენტური სესხები	0.0%	8	9	.2	2.0%
საკრედიტო პორტფელი	**100.0%**	**71,164**	**72,008**	**1,110**	**1.5%**

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.8. ციკლური სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელს, საცალო პროდუქტების ზრდის ტემპმა, 2024 წელთან შედარებით, მოიმატა. ზრდა დაფიქსირდა ყველა პროდუქტში, გარდა სწრაფი სესხებისა (Pay Day Loans) და ოვერდრაფტებისა. ამასთან, ფიქსირებული კურსის გათვალისწინებით, საცალო პროდუქტების ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების დაკრედიტების ზრდა იყო, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ჯამში იპოთეკური სესხები.


ცხრილი 4.3. საცალო პროდუქტების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2025 წლის ბოლოს არსებული კურსით)

პროდუქტი	დეკ-24		დეკ-25		ცვლილება, % ფიქსირებული კურსით	ცვლილება, მლნ ლარი	ცვლილება, % ფიქსირებული კურსით და რეკლასიფიკაციით
	მლნ ლარი	წილი, %	მლნ ლარი	წილი, %			
საცალო პროდუქტები	25,398	100%	29,919	100%	17.8%	4,521	17.8%
სატრანსპორტო სესხები	209	0.8%	213	0.7%	1.7%	4	1.7%
სამომხმარებლო სესხები	11,824	46.6%	14,558	48.7%	23.1%	2,734	23.1%
სწრაფი სესხები (Pay Day Loans)		0.0%		0.0%	-69.6%		-69.6%
მომენტალური განვადება	530	2.1%	662	2.2%	24.8%	132	24.8%
ოვერდრაფტები	73	0.3%	69	0.2%	-4.7%	-3	-4.7%
საკრედიტო ბარათები	471	1.9%	576	1.9%	22.4%	105	22.4%
იპოთეკური სესხები - დასრულებული უძრავი ქონების შეძენა	9,184	36.2%	10,179	34.0%	10.8%	995	10.8%
იპოთეკური სესხები - მშენებლობა, მშენებლობის პროცესში მყოფი უძრავი ქონების შეძენა	1,797	7.1%	2,103	7.0%	17.0%	306	17.0%
იპოთეკური სესხები - უძრავი ქონების რემონტისათვის	955	3.8%	1,060	3.5%	11.1%	106	11.1%
საცალო ლომბარდული სესხები	347	1.4%	490	1.6%	41.1%	143	41.1%
სტუდენტური სესხები	8	0.0%	8	0.0%	0.6%		0.6%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წინა წელთან შედარებით, საცალო პროდუქტების პორტფელის სტრუქტურა შეიცვალა, რაც სამომხმარებლო სესხების წილის ზრდაში და იპოთეკური სესხების - წილის შემცირებაში გამოიხატა. იპოთეკური სესხების წილის შემცირება, ძირითადად გამოწვეულია სამომხმარებლო სესხების უფრო მაღალი ზრდის ტემპით, ვიდრე იპოთეკური სესხების ზრდა.

დიაგრამა N 4.9. სეგმენტების ნაშთები ვალუტების ჭრილში 2025 წლის ბოლო მდგომარეობით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.10. საცალო პროდუქტების პორტფელის კომპოზიცია ვალუტების ჭრილში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელს ჯამურად მნიშვნელოვნად არ შეცვლილა უმოქმედო სესხების მაჩვენებელი 2024 წელთან შედარებით, თუმცა საცალო სეგმენტისგან განსხვავებით სადაც კლება დაფიქსირდა, დანარჩენ 3 სეგმენტში უმოქმედო სესხების წილმა მოიმატა. აღსანიშნავია, რომ IFRS დარეზერვებაზე გადასვლის შემდგომ პორტფელის ხარისხის ერთჯერადი გაუმჯობესების ეფექტის საკომპენსაციოდ ბანკებს კაპიტალზე დამატებითი CRA ბუფერის დაცვა მოეთხოვებათ.

ცხრილი 4.4. საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით დეკ 2025

კატეგორია (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	ძირი თანხა მლნ ლარი	ამორტიზირებული ღირებულება მლნ ლარი	წილი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
1-ი საკრედიტო რისკის დონე	65,404	66,037	91.9%	0.4%
მე-2 საკრედიტო რისკის დონე	3,978	4,045	5.6%	5.3%
უმოქმედო სესხები	1,782	1,926	2.5%	32.8%
სულ:	71,164	72,008	100.0%	1.5%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ცხრილი 4.5. პორტფელის ხარისხი სეგმენტების მიხედვით დეკ 2025

სეგმენტი	უმოქმედო სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
კორპორატიული	2.16%	1.04%
მცირე და საშუალო	5.24%	1.80%
მიკრო	2.40%	2.36%
საცალო	1.77%	1.65%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რაც შეეხება, საცალო საკრედიტო პორტფელის ხარისხს, მთლიანი საცალო პროდუქტების პორტფელში მცირედით შემცირდა უმოქმედო სესხების წილი, რაც ძირითადად რაც პორტფელის ზრდით და იპოთეკური სესხების ხარისხის გაუმჯობესებით არის განპირობებული. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტული წილი პორტფელში ყველა საცალო პროდუქტისთვის გარდა სატრანსპორტო, მომენტალური განვადების და სტუდენტური სესხებისა შემცირებულია, პორტფელის ჩამოწერის და ზრდის ეფექტის გათვალისწინებით.


დიაგრამა N 4.11. საცალო პორტფელის ხარისხი და რეზერვის წილი პროდუქტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2024 წელთან შედარებით, 2025 წელსაც საცალო პროდუქტების პორტფელისთვის მცირედით შემცირდა საკრედიტო რისკის ხარჯი, რაც მეტწილად განპირობებულია პორტფელის ზრდით.

დიაგრამა N 4.12. საკრედიტო რისკის ხარჯის[29] ცვლილება (დეკ-2024 - დეკ-2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 4.13. საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

29. რეზერვის და წმინდა ჩამოწერის ფარდობა პორტფელის და წმინდა ჩამოწერის ჯამთან.


დიაგრამა N 4.14. რესტრუქტურიზებული და საყურადღებოდ მოდიფიცირებული სესხების წილი ვალუტების მიხედვით მთლიან სასესხო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2025 წლის ბოლოს მცირედით გაიზარდა რესტრუქტურიზებული და საყურადღებოდ მოდიფიცირებული სესხების პორტფელი, რაც უმეტეს წილად კორპორატიული სესხებში შესაბამისი პორტფელის ზრდითაა განპირობებული.

დიაგრამა N 4.15. უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით ბიზნეს სესხებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.16. უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით იპოთეკურ სესხებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 4.17. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა[30]



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

30. მოიცავს საერთო რეზერვს


დიაგრამა N 4.18. ცვლად განაკვეთიანი სესხების მოცულობა და თანაფარდობა (წმინდა სესხებთან) [31]



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელს წმინდა ჩამოწერილი სესხების მოცულობა 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 19.2 პროცენტით გაიზარდა. ზრდა ფიქსირდება როგორც ჩამოწერილ აქტივებში, ისე ჩამოწერილი აქტივების ამოღებაში, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებადაა გაზრდილი, ვიდრე აქტივების ჩამოწერა.


დიაგრამა N 4.19. სესხების ჩამოწერა და ამოღება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

31. წმინდა სესხები - სესხის მოცულობა შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოკლების შემდეგ.


დიაგრამა N 4.20. პრობლემური აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, დასაკუთრებული ქონების წილის მოცულობა მთლიან დაბანდებებში (სესხებს დამატებული დასაკუთრებული ქონება) მცირედით შემცირდა, რაც თავის მხრივ სესხების დასაკუთრებულ ქონებასთან შედარებით უფრო სწრაფი ზრდითაა განპირობებული.

დიაგრამა N 4.21. დასაკუთრებული აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


4.6. საბაზრო რისკი

4.6.1. სავალუტო რისკი

2025 წლის განმავლობაში წლიური საშუალო ლარის კურსი დოლართან და ევროსთან მიმართებით წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაუფასურდა. დოლართან მიმართებით საშუალოწლიური კურსის გაუფასურება ძირითადად განპირობებული იყო პირველ კვარტალში მოკლევადიანი ფაქტორებით. პირველი კვარტლის შემდეგ, წლის განმავლობაში ლარის კურსი დოლართან მიმართებით სტაბილურად მყარდებოდა. ევროსთან მიმართებით ლარის კურსის გაუფასურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროს გამყარება დოლართან მიმართებით. წლის განმავლობაში ბანკები სტაბილური სავალუტო პოზიციებით განაგრძობდნენ საქმიანობას და შესაბამისობაში იყვნენ ყველა ვალუტის საერთო კრებსითი პოზიციის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ 20%-იან ლიმიტთან. 2025 წლის ბოლოს ყველა ბანკის საერთო კრებსითი სავალუტო პოზიცია დახურულია და მისი ფარდობა საზედამხედველო კაპიტალთან შეადგენს 0 პროცენტს. 2025 წელს, წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია საბალანსო ღია სავალუტო პოზიცია, მაშინ როცა კრებსითი ღია სავალუტო პოზიცია მეტნაკლებად იგივე დონეზე ნარჩუნდება. აღნიშნული ტენდენცია დადებითად მეტყველებს საბანკო სისტემაში საბალანსო აქტივ-ვალდებულებების კურსის მიმართ მდგრადობაზე.

2025 წელს საქართველოს საბანკო სისტემაში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივ-ვალდებულებების საშუალო წლიური წილი მცირედით შემცირდა წინა წელთან შედარებით და შეადგენს შესაბამისად 43-50 პროცენტს. შესაბამისად, სავალუტო რისკის ფაქტორი ქართული ბანკებისთვის მცირედით შემცირდა, თუმცა, კვლავ მნიშვნელოვანი რჩება. ღია სავალუტო პოზიციაში უცხოური ვალუტის აქტივების რეზერვის ასახვის მიდგომების დახვეწის მიზნით, 2023 წლის ივლისიდან საბანკო სექტორი სავალუტო პოზიციას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად აღრიცხავს, რაც უცხოური ვალუტის აქტივის შესაძლო დანაკარგის რეზერვების სრულად დაქვითვას გულისხმობს.

დიაგრამა N 4.22. კომერციული ბანკების საბალანსო და კრებსითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023 წლის ივლისიდან მოცემულია IFRS აღრიცხვის შესაბამისი მონაცემები

4.6.2. საპროცენტო რისკი


2025 წელს რეფინანსირების განაკვეთი არ შეცვლილა. ამასთან, წლის განმავლობაში გრძელდებოდა აშშ დოლარის და ევროს საერთაშორისო განაკვეთების შემცირება. საპროცენტო განაკვეთების მსგავსი მერყეობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ბანკებში საპროცენტო რისკის რეგულარული მონიტორინგისა და ადეკვატური შეფასების მნიშვნელობას.

საქართველოში მოქმედ ბანკებს სავაჭროდ განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები თითქმის არ გააჩნიათ. თუმცა, ის ბანკები, რომელთაც სავაჭრო წიგნი[32] აქვთ, ვალდებული არიან შესაბამისი პროცედურები შეიმუშაონ და ეროვნულ ბანკთან ანგარიშგება აწარმოონ. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად, პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობა გამოვლინდება, სავაჭრო წიგნის რისკის მართვისათვის განკუთვნილი რეგულაცია ამოქმედდება.

მიმდინარე ეტაპზე, მთლიანი ბალანსისთვის საბანკო წიგნის საპროცენტო რისკისთვის განკუთვნილი რეგულაცია და მიდგომები გამოიყენება. საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის შესახებ ჩარჩოს მიზანია საბანკო წიგნში წარმოშობილი საპროცენტო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მართვა და მასთან დაკავშირებული ლიმიტების დაცვა. საპროცენტო რისკი საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ ბანკის მგრძნობელობას გამოხატავს. იგი ეხება ბანკის კაპიტალსა და შემოსავლებზე მოქმედ ახლანდელ ან სამომავლო რისკს, რომელიც საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად წარმოიშვება და საბანკო წიგნის პოზიციებზე ახდენს გავლენას. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად იცვლება მომავალი ფულადი ნაკადების წმინდა ახლანდელი ღირებულება და ნარჩენი ვადიანობები, რაც ცვლის შესაბამის აქტივებს, ვალდებულებებს, გარესაბალანსო მუხლებსა და მათ ეკონომიკურ ღირებულებას (EVE). ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალზეც (NII) აისახება, რაც საპროცენტო რისკის მიმართ მგრძნობიარე შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების შედეგია. აღნიშნული რისკის მართვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის მომგებიანობასა და კაპიტალზე.

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო რისკის არსებული მიდგომის საფუძველზე, სისტემის ეკონომიკური ღირებულებისა (EVE) და წმინდა საპროცენტო შემოსავლის (NII) ცვლილების პირველად კაპიტალთან ფარდობა, შესაბამისად, 7.3 და 2.3 პროცენტს შეადგენს. 2025 წლის განმავლობაში არსებული მაჩვენებლები მაქსიმალურ საზედამხედველო ლიმიტზე მნიშვნელოვნად ნაკლები რჩება.

დიაგრამა N 4.23. კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) ცვლილების შეფარდება პირველად კაპიტალთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

32. სავაჭრო წიგნი მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც კომერციული ბანკი ფლობს:
ა) მოკლევადიან პერიოდში გაყიდვის მიზნით;
ბ) ფასის მოსალოდნელი ცვლილების გამო გადაფასებით მიღებული მოგების მოლოდინით;
გ) მისი გამოყენებით არბიტრაჟის გზით შემოსავლების მისაღებად;
დ) „ა“-„გ“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის შეძენილი ინსტრუმენტების რისკის პოზიციების დასაზღვევად.

4.7.
მოგებიანობის რისკი

2025 წელს უკუგებამ საშუალო აქტივებსა და კაპიტალზე[33], შესაბამისად, 3.3 და 22.3 პროცენტი შეადგინა. 2024 წლის ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენდა 3.6 და 23.9 პროცენტს. მიმდინარე წელსაც საბანკო სისტემის მაჩვენებლები სტაბილურობით ხასიათდება და აქციონერებისთვის კაპიტალზე მისაღებ უკუგების დონეს აკმაყოფილებს.


დიაგრამა N 4.24. უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023 წლის ივლისიდან გათვალისწინებულია IFRS აღრიცხვის შესაბამისი მონაცემები

2025 წელს აღსანიშნავია საბანკო სისტემის მომგებიანობაზე მოქმედი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. წლის განმავლობაში გაზრდილი საკრედიტო აქტივობის ფონზე წმინდა საპროცენტო შემოსავლები 20 პროცენტით გაიზარდა. არასაპროცენტო ხარჯების 17 პროცენტიანი ზრდის გათვალისწინებით, ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 35.9 პროცენტიდან 37.6 პროცენტამდე გაიზარდა. ხარჯების აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი კი კვლავ 2.6 პროცენტიან ნიშნულზეა.

დიაგრამა N 4.25. ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023 წლის ივლისიდან გათვალისწინებულია IFRS აღრიცხვის შესაბამისი მონაცემები

33. ROE - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო სააქციო კაპიტალთან, ხოლო ROA - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო აქტივებთან. ამ გაანგარიშებებში, NBC-ური წმინდა მოგება დათვლილია როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის ჯამს გამოკლებული სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის თანხა, გაუთვალისწინებელი შემოსავლებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ. IFRS-ული წმინდა მოგება დათვლილია როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლებისა (ხარჯები) და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების (ხარჯები) ჯამს გამოკლებული მოსალოდნელი ზარალი და გაუფასურება, მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ.


საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას, ცალკეული ინსტიტუტების ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის ანალიზს, მომგებიანობის რისკის შესაბამისი მიტიგანტების შეფასებას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მასშტაბის ეფექტის, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობისა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების ფაქტორებს. გრძელდება ბანკების პროდუქტების ფასდადების მონიტორინგი.

4.8. ლიკვიდობის რისკი

4.8.1 ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა

2025 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა მთლიან აქტივებთან მიმართებით სტაბილური იყო და წლის ბოლოს გაიზარდა, რისი მიზეზიც ძირითადად გირაოს ბაზის გაზრდა იყო, კერძოდ სების „გირაოს დებულების“ განახლების შედეგად ეროვნულში დაგირავებადად უფრო მეტი აქტივი ჩაითვალა. შედეგად, ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 26 პროცენტამდე აღწევს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 41 პროცენტის დასაფარად.


დიაგრამა N 4.26. ლიკვიდური აქტივების დონე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2025 წლის განმავლობაში მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა როგორც ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), ასევე წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR), რომელიც წლის ბოლო მდგომარეობით 130 პროცენტს აღწევს.

დიაგრამა N 4.27. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა (10 დღის მცურავი საშუალო)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 4.28. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2025 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების გეპის სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებდა როგორც 1 წლამდე, ისე 1 წელზე მეტ დროის კალათებში.

დიაგრამა N 4.29. ლიკვიდობის გეპი - აქტივების თანაფარდობა ვალდებულებებთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.30. ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.2. ვალდებულებების სტრუქტურა

ვალდებულების სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებს. წინა წელთან შედარებით თითქმის უცვლელია როგორც მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშების, ისე გრძლევადიანი ვალდებულებების ჭრილში. ამასთან, ბანკები ვალდებულების სტრუქტურის რისკების შესაბამისი ლიკვიდური აქტივების საკმაოდ კომფორტულ დონეს ინარჩუნებენ.

დიაგრამა N 4.31. ვალდებულებების სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.3. საცალო დაფინანსება

2025 წლის განმავლობაში არასაბანკო დეპოზიტები 10 მლრდ ლარით (15 პპ-ით, ხოლო გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 17.5 პპ-ით) გაიზარდა და დეკემბრისათვის დაახლოებით 67.1 მლრდ ლარი შეადგინა. დეპოზიტარების სტრუქტურის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრების ზრდა, შესაბამისად, 12.9 პროცენტი და 17.7 პროცენტი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, შესაბამისად, 15.9 და 19.4 პროცენტი) იყო. 2025 წლის განმავლობაში გაიზარდა დეპოზიტების ლარიზაცია და დეკემბრის ბოლოსთვის 52 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 4.32. არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში 2025 წლის განმავლობაში 0.8 პპ-ით შემცირდა და დეკემბრის ბოლოსთვის 17.5 პპ შეადგინა. წარმოშობის მიხედვით, არარეზიდენტების მთლიან დეპოზიტებში რუსეთის რეზიდენტების წილი 37 პროცენტს შეადგენს. ამავდროულად, ჯამურად ეს დეპოზიტები კვლავ დივერსიფიცირებულია, როგორც ქვეყნების, ისე დეპოზიტების ტიპების მიხედვით, რაც რისკიანობის კუთხით დადებითი ფაქტორია. ამ ტიპის დაფინანსებაზე ჭარბი დამოკიდებულების პრევენციის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი არარეზიდენტებისგან მოზიდული


დეპოზიტებისთვის[34] დამატებითი ლიკვიდობის მოთხოვნას ინარჩუნებს. არარეზიდენტების დეპოზიტების მაღალი წილის მქონე ბანკებში დამატებითი ლიკვიდობის საჭიროება ამ ტიპის დეპოზიტების პორტფელის მოზიდვის სტიმულს ამცირებს.

დიაგრამა N 4.33. არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 4.34. არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2025 წლის დეკემბერი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

34 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის კალკულაციის მიზნით, არარეზიდენტების დეპოზიტებს რეზიდენტებთან შედარებით უფრო მაღალი ლიკვიდობის მოთხოვნები მიეყენებათ. ლიკვიდობის მიზნებისთვის არარეზიდენტად ითვლება უცხოური პასპორტის მქონე პირი.

დიაგრამა N 4.35. არარეზიდენტების დეპოზიტები ქვეყნების ჭრილში (2025 წლის დეკემბერი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.4. საბითუმო დაფინანსება

2025 წლის განმავლობაში სესხების დეპოზიტებთან თანაფარდობის კოეფიციენტები ჯამურად სტაბილური იყო. კოეფიციენტი შემცირებულია ლარში და მცირედით გაზრდილია უცხოურ ვალუტაში, რაც იმით არის გამოწვეული, რომ წლის განმავლობაში, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში ლარში დეპოზიტების ზრდა აჭარბებდა სესხების ზრდას, ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხების ზრდა აღემატებოდა დეპოზიტების ზრდას. აღსანიშნავია, რომ ლარის სესხებისა და დეპოზიტებისთვის დათვლილი სესხების დეპოზიტებთან ფარდობის კოეფიციენტი კვლავ აჭარბებს უცხოური ვალუტით სესხებისა და დეპოზიტებისთვის დათვლილ შესაბამის მაჩვენებელს. აღნიშნული გარკვეულწილად განპირობებულია სავალუტო რისკებისა და ლარიზაციის ღონისძიებების შედეგად ლარის სესხების მაღალი ზრდის ტემპით.

დიაგრამა N 4.36. მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან ვალუტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.9. მაკროპრუდენციული რისკები

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს სისტემური რისკების ისეთ მაჩვენებლებზე დაკვირვებას, რომლებმაც, შესაძლოა, საბანკო სექტორზე მატერიალური გავლენა იქონიოს. აღნიშნული რისკების შესახებ ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშის სხვადასხვა თავშიც არის მოცემული. ამ მიმართულებით გასული წლის მთავარ გამოწვევად რჩება რეგიონში შექმნილი გაურკვევლობა და შედეგად წარმოქმნილი ფინანსური სექტორის სტაბილურობის რისკების შეფასება და შესაბამისი მაკროპრუდენციული და საზედამხედველო პოლიტიკების შემუშავება და განხორციელება.

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს მაკროპრუდენციულ ზედამხედველობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: უცხოური ვალუტით გაცემული სესხების გამო არაჰეჯირებული მსესხებლებისათვის ვალის გაზრდილი ტვირთი; მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის ჭარბვალიანობა; მძაფრი კონკურენცია ბიზნეს და იპოთეკურ დაკრედიტებაში პროდუქტებზე ფასდადების არასრულყოფილი მოდელების ფონზე; კიბერრისკები და თაღლითობები სისტემის მასშტაბით; ფინანსურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არარეგულირებადი ფინანსური შუამავლობის პოტენციური ზრდა; რეგიონში არსებული საფრთხეები და ა.შ.


2025 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აღნიშნული რისკების მიტიგაციის მიზნით:

- ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) მაქსიმალური მაჩვენებელი ფიზიკურ პირებზე ლარში გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის დროებით 5 პროცენტული პუნქტით, 90%-მდე, გაიზარდა. ასევე, 10 პროცენტული პუნქტით, 80%-მდე, გაზარდა სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი იპოთეკურ სესხებზე საქართველოს ფარგლებს გარედან შემოსავლის მიმღებთათვის. აღნიშნულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო იპოთეკურ სესხებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.
- ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის სესხების ზღვარი 500 000-დან 750 000 ლარამდე გაიზარდა. გადაწყვეტილება ძალაში 1 აგვისტოდან შევიდა.
- კოვიდ 19-ის კრიზისის დასაწყისში გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენა 2022 წლის 1 იანვარს დაიწყო და 2025 წელს დასრულდა;
- 2024 წელს, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიცვალა კონტრციკლურის ბუფერის დაგროვების განრიგი. კერძოდ, კომერციულ ბანკებს კონტრციკლური ბუფერის დაგროვება შემდეგი გრაფიკით მოუწევთ: 2024 წლის 15 მარტისთვის - 0.25 პროცენტი, 2025 წლის 15 მარტისთვის - 0.5 პროცენტი, 2026 წლის 15 მარტისთვის - 0.75 პროცენტი, 2027 წლის 15 მარტისთვის - 1 პროცენტი.
- საბანკო სისტემის მდგრადობისა და მომავალზე ორიენტირებული მაკროპრუდენციული პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლიდან, პერიოდულად ატარებს საზედამხედველო "Bottom-up" სტრეს ტესტებს. ეს უკანასკნელი, საბანკო სისტემის მთავარი გამოწვევების იდენტიფიკაციისა და მიტიგაციის შესაძლო გზების ძიების საშუალებას აძლევს როგორც მარეგულირებელს, ისე თავად კომერციულ ბანკს. შესაბამისად, მძიმე სტრესის მიმართ მოწყვლადი ბანკების გამოვლენა და მათთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი კაპიტალის ბუფერის „წმინდა სტრესს ტესტის ბუფერის" დაწესება, საბანკო სისტემას საერთო ჯამში უფრო სტაბილურს გახდის. 2025 წელს ჩატარებული "bottom-up" სტრეს ტესტის შედეგების მიხედვით, ქართული საბანკო სისტემა ჯამურად კაპიტალის საკმარისი ბუფერებით ფუნქციონირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემისთვის არსებული ბუფერები და სტრესის დროს პოტენციურად გამოთავისუფლებადი კონსერვაციის და კონტრციკლური ბუფერები, ასევე უცხოურ ვალუტაში არაჰეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის მესამედი, საკმარისი იქნება სტრესის შედეგად მიღებული დანაკარგების დასაფარად. შესაბამისად, კაპიტალის ჰიპოთეტური მძიმე დანაკარგები სისტემის სტაბილურობას და მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის[35].

35. "საზედამხედველო "bottom-up" სტრეს ტესტი, როგორც საბანკო სექტორის შოკების მიმართ მდგრადობის ანალიზის ინსტრუმენტი". იხილეთ: https://nbg.gov.ge/fm

ფინანსური სექტორისთვის გამოწვევად რჩება დეპოზიტების დოლარიზაცია, რომელიც, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება. ეს პარამეტრი განსხვავდება კლიენტების და დეპოზიტების ტიპების მიხედვით. დოლარიზაცია ფიზიკური პირების დეპოზიტებში უფრო მაღალია; შედარებით დაბალი კი, იურიდიული პირების ანგარიშებზეა, რაც კომპანიების საოპერაციო საქმიანობაში ლარის საჭიროებიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაციას შემცირების ტენდენცია აქვს, ის საყურადღებო დონეზე, კერძოდ 58 პროცენტამდე ნიშნულზეა. დეპოზიტების აღნიშნული ტიპი მთლიანი პორტფელის ყველაზე მსხვილი მუხლია და რადგანაც მისი დოლარიზაციის ტრენდი მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაციაზე დიდ გავლენას ახდენს, ის ფიზიკური პირების მხრიდან სავალუტო კურსის მიმართ მოლოდინების კარგი საზომია.

დიაგრამა N 4.37. დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკა (ფიქსირებული გაცვლითი კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი;

**2023 წლის ივლისიდან გათვალისწინებულია IFRS აღრიცხვის შესაბამისი მონაცემები*

ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეული საკრედიტო რისკისთვის ეროვნული ბანკი პრუდენციულ მიდგომას ინარჩუნებს. კერძოდ, არაჰეჯირებულ მსესხებლებზე გაცემული უცხოური ვალუტის სესხებისთვის დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა მოქმედებს, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში, დამატებით, უფრო კონსერვატული საკრედიტო სტანდარტებია დაწესებული. ვალდებულებების ლარიზაციის მხარდასაჭერად კი, ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისთვის ლიკვიდობის და მინიმალური რეზერვების უფრო შეღავათიან მოთხოვნებს იყენებს.

4.10. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამომდინარეობს გაუმართავი/არაეფექტიანი შიდა პროცესებიდან, ადამიანებისგან, სისტემებიდან ან გარეშე მოვლენებიდან. საოპერაციო რისკების მართვაში გარეშე რისკების ზეგავლენის ანალიზი ერთ-ერთი უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენ. მათი გათვალისწინება და პროაქტიული მზადყოფნა გარეშე მოვლენებით გამოწვეული რისკების

შემცირებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მიმდინარე წელს კვლავ აქტუალურია საერთაშორისო გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ასევე ქვეყნის შიდა სამოქალაქო ვითარება. ამ თვალსაზრისით, აქტუალური საოპერაციო რისკები ფოკუსირდება საოპერაციო მდგრადობის, ბიზნესის უწყვეტობის, აუთსორსინგის, მესამე მხარის და მათ შორის ეკონომიკის და სხვა სექტორებზე დამოკიდებულების, ციფრული ტრანსფორმაციის რისკებზე, ასევე საყურადღებოა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებულ თანამედროვე გამოწვევები.

ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს კომერციულ ბანკებთან და მიკრობანკებთან ბიზნესის უწყვეტობის მართვის პრინციპების, კრიტიკული სცენარების შესაბამისი გეგმის გამართულობაზე, პერიოდული ტესტირების ჩატარებასა და შედეგების მიხედვით ბიზნეს-უწყვეტობის შენარჩუნების მაკორექტირებელი ღონისძიებების დანერგვაზე. ბიზნეს უწყვეტობის მართვის ფარგლებში, ეროვნული ბანკი საკვანძო მნიშვნელობას ანიჭებს, რომ კომერციულ ბანკებს და მიკრობანკებს გააჩნდეთ პროაქტიული და მომავალზე ორიენტირებული საოპერაციო მდგრადობისა და ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, მოულოდნელი შემთხვევების, საქმიანობის შეფერხების და/ან უბედური შემთხვევების დროს ოპერაციების დროულად აღდგენის მზადყოფნისთვის.

საბანკო პროცესების მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია, კომერციულ ბანკებმა და მიკრობანკებმა მუდმივმოქმედ რეჟიმში უზრუნველყონ ბიზნესის უწყვეტობის ჩატარება სხვადასხვა კრიტიკული სცენარების მიხედვით, რაც მათ შორის მოიცავს ევაკუაციის ტესტირებას და აუთსორსინგულ პროცესებს. სებ-ი ახორციელებს კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ტესტირების მონიტორინგს, როგორ დისტანციურად, ისე პროცესზე ადგილზე დაკვირვებით.

სებ-ის საოპერაციო რისკების მიმართულება ასევე ჩართულია კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების გაჯანსაღების გეგმის შეფასებაში, საოპერაციო რისკების მიმართულებით.

სებ-ი განაგრძობს კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს შეფასებას და გეგმის შესაბამისად ახორციელებს ადგილზე შემოწმებებს. 2025 წელს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს ციკლური შემოწმების ფარგლებში, პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენდა საოპერაციო მდგრადობა, აუთსორსინგული პროცესები, რისკის მონიტორინგისა და შერბილების ინსტრუმენტები, სიზუსტის რისკი, რისკის პროფილის შეფასება და რისკის ჯანსაღი კულტურის ინსტიტუციონალიზაცია. სებ-ი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ კომერციულმა ბანკებმა და მიკრობანკებმა ორგანიზაციის მასშტაბით დანერგონ და გამოიყენონ საოპერაციო რისკების მართვის ერთიანი მეთოდოლოგია, მათ შორის უზრუნველყონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური რისკების მართვის პროცესების ინტეგრირება და მათი შესაბამისობა საოპერაციო რისკების მართვის პრინციპებსა და მეთოდოლოგიასთან.

სებ-ი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მხრიდან აუთსორსინგული ურთიერთობების წამოწყების ეტაპზე შესაბამისი კომპანიების/პროდუქტების შეფასების პროცესს, აგრეთვე აუთსორსინგული პროცესების მონიტორინგის და პერიოდული გადაფასების საკითხს, მათ შორის გეგმიურ და რისკზე დაფუძნებული მიდგომით. გასულ წელს კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მონიტორინგის ფარგლებში კი, მუდმივ რეჟიმში აფასებდა მათთვის გაცემული საზედამხედველო მოთხოვნების მიმდინარე სტატუსს.

საფინანსო ინსტიტუტებში საოპერაციო რისკების მართვის გაძლიერებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების მიზნით, მიმდინარე წელს განხორციელდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისია, რომლის ფარგლებშიც მოხდა საოპერაციო რისკების მართვის რეგულაციის ბაზელის უახლეს პრინციპებთან შესაბამისობის განხილვა, საოპერაციო რისკების სტრეს ტესტებისა და მონაცემთა ეფექტურად აგრეგაციისა და ანგარიშგებების წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა. გაზიარებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება საოპერაციო რისკების მართვის საზედამხედველო პროცესის შესრულებაში.

სებ-ი განაგრძობს საოპერაციო რისკების მართვის მიდგომების გაფართოებას და სრულყოფას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად. ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა

ბაზელის საოპერაციო რისკების მართვის პრინციპების განახლებული დოკუმენტისა და რისკების შესახებ მონაცემთა ეფექტურად აგრეგაციისა და ანგარიშგებების წარმოების პრინციპების დოკუმენტის იმპლემენტაციაზე, საქართველოს კომერციული ბანკებისთვის და მიკრობანკებისთვის.

2025 წელს სებ-ის საოპერაციო რისკების ზედამხედველობის განყოფილების გუნდი აქტიურად იყო ჩართული და მხარს უჭერდა საოპერაციო რისკების მიმართულებით ფინანსური ტექნოლოგიების, ინოვაციური საბანკო პროდუქტების, პროცესების გაციფრულებისა და ციფრული ბანკინგის უსაფრთხო და მდგრად განვითარებას საქართველოს ფინანსურ სექტორში. გასული წლის მანძილზე, სებ-ი განაგრძობდა საზედამხედველო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიური პროდუქტების, ღია ბანკინგის, ციფრული ბანკინგის, პირის დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესებთან დაკავშირებული საოპერაციო რისკების ანალიზსა და შეფასებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს, ფინანსურ სექტორში საოპერაციო რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და საოპერაციო რისკების მართვის პრინციპებზე ორიენტირებული სტანდარტის დამკვიდრებას, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციული რისკის კულტურის განვითარებასა და საოპერაციო მდგრადობის გაუმჯობესებას. კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ იზრუნონ ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებზე, როგორც ბანკის თანამშრომლებისთვის, ისე მომხმარებლებისთვის. ამასთანავე, ამ მიმართულებით, სხვადასხვა არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების, სტარტაპებისა და ფინანსური ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიების გაციფრულების ხელშეწყობის ფარგლებში, ხორციელდება საოპერაციო რისკების მართვის პრაქტიკისა და შეფასების დანერგვაზე რეკომენდაციების გაზიარება.

ფინანსურ სექტორში აქტიურად ვითარდება დისტანციური მომსახურებებისა და გაციფრულების პროცესები, სადაც აუცილებელი ფაქტორია თაღლითობისა და ტექნოლოგიური რისკების მიმართულებით კონტროლის მექანიზმების დანერგვა და მუდმივი გაუმჯობესება. სებ-ი კომერციულ ბანკებთან და მიკრობანკებთან ერთად, მუშაობას განაგრძობს იმისათვის, რომ ბანკებს გააჩნდეთ სათანადო და მოქნილი კონტროლის მექანიზმები, განვითარდეს და დაინერგოს თაღლითობის მონიტორინგის გაუმჯობესებული მართვის ინსტრუმენტები და საინფორმაციო სისტემები, მათ შორის ქცევაზე ორიენტირებული ანალიტიკური მართვის სისტემები. საქართველოს ეროვნული ბანკისთვის საგადახდო ბარათებთან და ციფრულ არხებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის თაღლითობის მოვლენების აღმოჩენისა და აღკვეთის პროცესების განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია.

მსხვილი საოპერაციო მოვლენების, მათ შორის კიბერრისკის სისტემური გავრცელების პრევენციისა და დროული ინფორმირების უზრუნველსაყოფად დანერგილია და აქტიურად გამოიყენება, ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის ცენტრი, საქართველოს კომერციულ ბანკებთან/მიკრობანკებთან დახურული საკომუნიკაციო პლატფორმის სახით.

2025 წელს კვლავ აქტუალური იყო საოპერაციო რისკის პროგნოზირების ინსტრუმენტების გაფართოება. ამ მხრივ, მიმდინარეობს საოპერაციო რისკების სტრეს ტესტების შესწავლა და კვლევა, რაც ნეგატიური სცენარის დადგომის შემთხვევაში ორგანიზაციის კაპიტალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე მოვლენის მოსალოდნელი ზეგავლენის განსაზღვრის და მისი შემცირების შესაძლებლობას იძლევა. გამომდინარე აქედან, მეტი მნიშვნელობა ენიჭება პოტენციური თუ რეალური საოპერაციო რისკების დანაკარგების ისტორიული მონაცემების აღრიცხვას და სრულყოფას, საოპერაციო რისკების მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ ანალიზსა და სისტემური ზეგავლენის შეფასებას. სებ-ი რეკომენდაციების სახით ყურადღებას ამახვილებს ადამიანური შეცდომით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაციაზე, ხელით შესრულებული პროცესებისა და კონტროლების გაუმჯობესებაზე, ასევე დანაკარგების აღმოჩენისა და აღრიცხვის ავტომატიზაციაზე. სებ-ი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბანკო სექტორში მონაცემთა ხარისხისა და სიზუსტის რისკის დაცვის მიმართულებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ახორციელებს ფინანსური მონაცემების სიზუსტის, მთლიანობისა და ხარისხის შეფასებას საბანკო სექტორში. მონაცემთა ხარისხის მართვის ფარგლებში, ყურადღება ეთმობა ფინანსურ

ანგარიშგებასთან დაკავშირებული ბიზნეს პროცესების გამართულობას, ანალიტიკური ინსტრუმენტების გაუმჯობესებას, ანგარიშგების პროცესების ავტომატიზაციის დონის ზრდას და დაკავშირებული საინფორმაციო სისტემების კომპლექსურობის შემცირებას.


4.10.1. საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში

ადგილობრივი საბანკო სისტემა გამოირჩევა საბანკო პროდუქტებისა და სერვისების შედარებით დაბალი სირთულით და კომპლექსურობით, თუმცა ტენდენციურია საინფორმაციო სისტემებზე დამოკიდებულების ზრდა, რაც ზრდის ფინანსური სექტორის თანმდევ საოპერაციო რისკს. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მსგავსად, 2025 წლის მანძილზე ციფრული მომსახურების რაოდენობრივი ზრდა და ფინანსური სექტორის გაციფრულების სამომავლო სტრატეგიები.

2025 წელს, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანმა საოპერაციო დანაკარგმა 32.6 მილიონი ლარი შეადგინა. ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლის მთლიან დანაკარგზე 3 პროცენტით მეტია. მთლიანი დანაკარგი იმ სახის დანაკარგს წარმოადგენს, რომელიც საოპერაციო მოვლენასთან დაკავშირებულ თავდაპირველ თანხობრივ მაჩვენებელს უკავშირდება, საოპერაციო დანაკარგის ყოველგვარ ანაზღაურება/დაბრუნებამდე.

2025 წელს დაფიქსირდა საოპერაციო დანაკარგის 17,360 მოვლენა, რაც 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით 17 პროცენტით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების ანგარიშგების ფარგლებში, კომერციული ბანკი ვალდებულია აღრიცხოს ყველა საოპერაციო დანაკარგის მოვლენა, რომლის მთლიანი დანაკარგი უდრის ან აღემატება 10 ლარს. დიაგრამა N 4.38 2025 წლის მთლიანი საოპერაციო დანაკარგის დინამიკას ასახავს.


დიაგრამა N 4.38.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი;

დიაგრამა N 4.39 ასახავს მთლიანი საოპერაციო დანაკარგის დინამიკას ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2021-2025წწ.). გასათვალისწინებელია, რომ წლის ბოლოსკენ ისტორიულად უფრო მეტი საოპერაციო მოვლენები აღირიცხება, ვიდრე წლის სხვა დროს, რაც დიდწილად საანგარიშგებო წლის დასრულებასთან არის დაკავშირებული.


დიაგრამა N 4.39. ბოლო ხუთი წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა (2021-2025 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი;

ფინანსური სისტემის საოპერაციო რისკის განსასაზღვრად, ერთ-ერთ ყველაზე კარგ საზომს საოპერაციო რისკის დანაკარგის ინდიკატორი წარმოადგენს. მოცემული მაჩვენებელი გამოითვლება ფინანსური სისტემის მთლიანი საოპერაციო დანაკარგის მთლიან შემოსავალთან შეფარდებით. 2025 წელს, ჯამური წლიური მთლიანი დანაკარგების შეფარდება ბაზელ 2-ის მიხედვით დათვლილ მთლიან შემოსავალთან 0.46 პროცენტს შეადგენდა. დიაგრამა N4.40-ში წარმოდგენილია საქართველოს საბანკო სექტორის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა თვეების მიხედვით.


დიაგრამა N 4.40. 2025 წლის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა (საოპერაციო დანაკარგი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი;

2025 წელს, 2024 წლის მსგავსად, საოპერაციო დანაკარგები, ძირითადად, საცალო საბანკო მომსახურებისა და, გარკვეულწილად, კომერციულ საბანკო მომსახურების ბიზნესის ხაზებში ფიქსირდებოდა. საცალო საბანკო მომსახურების ბიზნესის ხაზი, უშუალოდ საცალო საბანკო მომსახურებასთან ერთად, ასევე მოიცავს საგადახდო ბარათებთან დაკავშირებულ საოპერაციო დანაკარგებსაც. თუ საოპერაციო დანაკარგებს მოვლენათა კატეგორიების მიხედვით დავყოფთ, დანაკარგების ყველაზე დიდი წილი თანხობრივად (მთლიანი დანაკარგების 38 პროცენტი), პროცესების მართვის კატეგორიაში დაფიქსირდა, ხოლო სიდიდით მეორე კატეგორია (34 პროცენტი ხვედრითი წილით) გარე თაღლითობაზე მოდიოდა.

დიაგრამა N 4.41. საბანკო სისტემის 2025 წლის მთლიანი დანაპარგის განაწილება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი;

4.11. კიბერრისკი

კიბერუსაფრთხოების აქტუალურობა ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებისა და დიჯიტალიზაციის აღმავალი დინამიკის კვალდაკვალ მატულობს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ტრადიციულ კიბერრისკებთან ერთად მნიშვნელოვან გამოწვევად სახელდება ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამებიდან მომდინარე უსაფრთხოების საკითხები. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2024 წლის ანგარიშში, რომელიც ეხება ფინანსურ სტაბილურობას, ყურადღება არის გამახვილებული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით პოტენციური კიბერინციდენტების, შეტევების განხორციელებაზე. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ ასევე მახვილდება ყურადღება კვანტური კომპიუტინგის მნიშვნელობაზე. ეროვნული ბანკის მხრიდან 2025 წელს დაიწყო და მომდევნო წელს განხორციელდება მონიტორინგი ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დინამიკაზე, რაც თავის ლოგიკურ გაგრძელებას ჰპოვებს შესაბამისი მარეგულირებელი წესის განსაზღვრაში.

2025 წლის მანძილზე კიბერრისკების საზედამხედველო სფეროს დაემატა ასევე არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, რაც ლოგიკური გაგრძელებაა საფინანსო სექტორში კიბერუსაფრთხოების ფართო სურათის შესაქმნელად.

საქართველოს საფინანსო სექტორში 2025 წლის ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო საკითხად, მსგავსად წინა წლებისა, კვლავ რჩება მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების რისკების სათანადოდ მართვა. ეროვნული ბანკის კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდის მიერ გაიცა რიგგარეშე საზედამხედველო მითითებები და გაფრთხილებები, რომელთა მიზანიც იყო კომერციული ბანკების მიერ დამატებითი ღონისძიებების გატარება და რწმუნების მოპოვება მესამე მხარეების კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკი აკვირდება საბანკო სექტორში არსებულ კიბერრისკებსა და მათი გადავრცელების შესაძლებლობებს. საზედამხედველო სუბიექტების მიერ კიბერუსაფრთხოების ინციდენტის დროული აღმოჩენა, აღმოფხვრითი ღონისძიებების, შეტევის ანალიზისა და სათანადო მაკორექტირებელი ქმედებების

ეფექტური განხორციელება ადასტურებს მათ შესაძლებლობებსა და მზაობას გაუმკლავდნენ როგორც მძიმე, ასევე მცირე თუმცა განმეორებად ინციდენტებს. ეროვნული ბანკი საბანკო სექტორში ინციდენტების გადავრცელების მიზნით ახორციელებს ინფორმაციის მყისიერ შეტყობინებას შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.

2025 წლის განმავლობაში კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდმა კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განახორციელა კომერციული ბანკების ციკლური შეფასებები. შეფასებები ძირითადად წარიმართა ადგილზე ფიზიკური ვიზიტების ფარგლებში. გამოვლინილი ხარვეზების გამოსასწორებლად განისაზღვრა სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნები, რომელთა მონიტორინგი წარმოადგენს ეროვნული ბანკის მხრიდან დისტანციური ზედამხედველობის მნიშვნელოვან კომპონენტს.

თანამედროვე გამოწვევების და კონტექსტის გათვალისწინებით, ძირითადი გასაუმჯობესებელი მიმართულებები მოიცავდა კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პროცესების ეფექტურობის ზრდას, რისკების მართვის პრაქტიკის, მათ შორის მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების რისკების მართვის გაუმჯობესებას, ინფორმაციის დაცვის მიზნით დანერგილი პროცესებისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტების ეფექტიანობას, ცნობიერების ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვასა და ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებაში დასაქმებული ადამიანური რესურსების გაძლიერებას სათანადო კომპეტენციებით. ასევე, საყურადღებოა ბიზნესის უწყვეტობისა და მზადყოფნის გეგმების არსებობა და მათი ეფექტიანობა პოტენციურად მასშტაბური კიბერინციდენტის დადგომისას.

ზემოაღნიშნული საზედამხედველო მოთხოვნების გარდა, კომერციულ ბანკებს დამატებით ევალებათ კიბერუსაფრთხოების აუდიტისა და შეღწევადობის ტესტირებების განხორციელება, რაც სხვადასხვა სისუსტეების აღმოფხვრას და კიბერრისკების შემცირებას ემსახურება. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი სათანადო დარგობრივი ტესტირებების/აუდიტების ჩატარებასა და ხარისხის კონტროლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

კიბერრისკის ზედამხედველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კიბერინციდენტების მართვისთვის საჭირო ეფექტური პროცესებისა და მექანიზმების არსებობა. ამ მიმართულებით კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდი კვლავ განაგრძობს კიბერინციდენტების შესახებ კომერციული ბანკებიდან სავალდებულო წესით მიღებული ანგარიშების გაანალიზებას და კვარტალური ანგარიშების წარმოებას, რაც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალური ბანკის, ასევე ყველა ბანკის ჭრილში წარმოჩინდეს კიბერინციდენტების ტენდენციების დინამიკა.

2025 წლის ფარგლებში, მსგავსად წინა წლისა, საბანკო სექტორში ძირითადად ფიქსირდებოდა ე.წ. ფიშინგ-ინციდენტები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არასათანადო მართვის შედეგად დამდგარი სისტემების შეფერხებების შემთხვევები და მომსახურების შეფერხების განაწილებული (DDos) შეტევები, რომლის შედეგადაც ჰაკერები ახორციელებდნენ მომხმარებლების კონფიდენციალური და სენსიტიური ინფორმაციის მოპარვას და შემდგომ სათავისოდ გამოყენებას (ფიშინგის შემთხვევაში) და გარკვეული დროის მანძილზე კომერციული ბანკების სერვისების შეფერხებას ან შეფერხების მცდელობას (DDos შეტევების შემთხვევაში).

კომერციულ ბანკებისგან დარეპორტებული ინციდენტების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნდა არაერთი განცხადება და გაიცა სათანადო საზედამხედველო მითითება ინფორმაციის გაზიარების პორტალზე. კიბერსაფრთხეების შესახებ აქტუალური ინფორმაციის არსებობა და მისი გაზიარება დაინტერესებულ მხარეთა შორის აღიარებული მნიშვნელოვანი პრაქტიკაა, რაც ემსახურება კიბერრისკის ეფექტურ მართვას. პლატფორმა უზრუნველყოფს წევრებისთვის კიბერსაფრთხეების შესახებ ინფორმაციის დროული, ზუსტი და ქმედითი გაფრთხილებების გაზიარების შესაძლებლობას. პლატფორმაზე კიბერსაფრთხეების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ეხმარება პლატფორმის წევრებს აქტუალური ტენდენციების, მოსალოდნელი საფრთხეებისა და წარსული გამოცდილების ცოდნის მიღებაში, რაც შესაძლებელია გამოყენებული იქნას კიბერრისკის პრევენციისთვის.

ეროვნული ბანკის კიბერრისკების ზედამხედველობის გუნდმა 2025 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს იუსტიის სამინისტროს სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსთან, რომლის მიზანია ჩამოყალიბდეს მარეგულირებლებს შო-

რის კიბერუსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის პრაქტიკა, რაც დამყარებული იქნება ეროვნულ ბანკსა და იუსტიციის სამინისტროს შორის გაფორმებულ მემორანდუმზე.

4.11.1. კიბერრისკის მიმართულებით გადადგმული საზედამხედველო ნაბიჯები

როგორც უკვე ცნობილია, კიბერრისკის ზედამხედველობის პრაქტიკის ექსპერტიზისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით 2024 წელს ეროვნულმა ბანკმა მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისია, რომლის ფარგლებშიც ასევე განხორციელდა სებ-ში ექსპერტთა ერთკვირიანი ვიზიტი. სსფ-მა 2024 წლის ბოლოს გამოაქვეყნა ტექნიკური დახმარების მისიის ანგარიში 2 წლიანი თანამშრომლობის პროექტით.

2025 წელს კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდი აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მხარდაჭერის მისიის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების პაკეტზე. კერძოდ, აღნიშნული პაკეტიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კიბერუსაფრთხოების მართვის რეგულაციისა და კიბერუსაფრთხოების ინციდენტების შესახებ ეროვნულ ბანკთან ანგარიშგების წესების მნიშვნელოვნად ახალ საფეხურზე აყვანა, რაც უმეტესწილად ეფუძნება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებას.

ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, აუდიტორული დასკვნების ხარისხზე, ხოლო, მეორე მხრივ, დასკვნებში წარმოდგენილი ხარვეზების შემდგომ გამოსწორებაზე საზედამხედველო სუბიექტების მიერ. შესაბამისად, აუდიტის შემდგომ ღონისძიებებზე ეროვნული ბანკის მხრიდან მონიტორინგის განხორციელება პრაქტიკაში გამოყენებულია დამატებით საზედამხედველო ინსტრუმენტად. ამას გარდა, 2025 წელს ჩატარდა შეხვედრები გარე აუდიტორულ კომპანიებთან, რომლებსაც ჰქონდათ შესაძლებლობა საკუთარი ხედვა გაეზიარებინათ როგორც კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს, ასევე აუდიტის სახელმძღვანელოსთან მიმართებაში.

გასულ წლებში საფინანსო სექტორმა, განსაკუთრებით კი საბანკო დაწესებულებებმა, აქტიურად დაიწყეს ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურებების გამოყენება. 2024 წლის მონაცემებით საბანკო სექტორის კრიტიკული ფუნქციების 42%, ხოლო 2025 წლის მონაცემებით 53% გატანილია ღრუბლოვან გარემოში.

როგორც ცნობილია, 2023 წელს გამოიცა „მიკრობანკების კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ ბრძანება, რომლის დანართსაც წარმოადგენს „მიკრობანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის სახელმძღვანელო“. მიკრობანკად ლიცენზირების მსურველი სუბიექტისთვის აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შემუშავდა კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფის გეგმა-გრაფიკი. კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდის აქტიური ჩართულობით 2024 წელს პირველი მიკრობანკის ლიცენზია გაიცა. 2025 წლის მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა მიკრობანკებთან დისტანციური საზედამხედველო პროცესი.

ციფრულ ბანკად ლიცენზირებისთვის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების სათანადოდ უზრუნველყოფა კვლავ აქტუალური საკითხია. 2025 წლის მანძილზე ეროვნული ბანკის კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდი კვლავ აქტიურად მონაწილეობდა ციფრული ბანკების როგორც ზედამხედველობის, ასევე ახალი სუბიექტის ლიცენზირების პროცესში.

2025 წელიც, მსგავსად წინა წლისა, კვლავ გამოირჩეოდა ფინანსურ სექტორში ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების დანერგვით, რომელიც სულ უფრო მეტად ეფუძნება ახალ ტექნოლოგიურ გადაწყვეტებს. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ბანკს გააჩნია ტექნოლოგიურად ნეიტრალური საზედამხედველო სტრატეგია, რაც საზედამხედველო სუბიექტებს მნიშვნელოვნად უმსუბუქებს ახალი ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენებას.

როგორც უკვე ცნობილია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი, რომლის ფარგლებშიც, ბიუროსა და პლატფორმისთვის, სხვა მოთხოვნათა შორის, ასევე დადგენილია მოთხოვნები საინფორმაციო სისტემების მიმართ. 2025 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სს კრედიტინფო საქართველოს კიბერუსაფრთხოების პრაქტიკას, გაიცა შესაბამისი მითითებები.

2025 წელს ასევე მზარდი იყო ღია ბანკინგში ჩართვის მსურველთა მომართვიანობა. აღნიშნული პროცესი რეგულირდება სებ-ის ბრძანებით, სადაც კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნები ასევე გათვალისწინებულია. სწორედ აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაფუძნებით ხორციელდებოდა აპლიკანტი ორგანიზაციებიდან მიღებული განაცხადების განხილვა, დამატებითი მითითებების გაცემა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

ვინაიდან კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი კომპეტენციის მქონე კიბერუფსართხოების სპეციალისტების არსებობა კიბერრისკის ზედამხედველობის პროცესებში, ასევე სათანადო ხელშეწყობა მათი კარიერული განვითარებისთვის. კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდმა 2025 წლის განმავლობაში წარმატებით განახორციელა სტაჟირების პროგრამა და გაზარდა გუნდი. გუნდის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დარგობრივ სემინარსა და ტრენინგში, აღსანიშნავია, რომ გუნდის წევრები ფლობენ საერთაშორისოდ აღიარებულ დარგობრივ სერტიფიკატებს.

4.12. ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება

4.12.1. ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობა

საფინანსო სექტორში ინოვაციების და ინოვაციური ორგანიზაციების წილი მზარდია, რასაც, როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე ახალი რისკებიც მოაქვს. პარალელურად, საფინანსო სექტორი მთელ მსოფლიოში ეკონომიკის ყველაზე მეტად რეგულირებად სექტორად რჩება. უფრო მეტიც, ამ რეგულირებას მზარდი ტენდენცია აქვს. შედეგად, თანამედროვე საზედამხედველო ჩარჩო საკმაოდ მოცულობითი, ტექნიკური და კომპლექსურია, განსაკუთრებით ახალი საფინანსო სტარტაპებისთვის. აღნიშნულის ფონზე, საფინანსო სექტორის მარეგულირებლებისათვის ფინტექ იდეების მქონე ინოვატორების წახალისება და ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა საზედამხედველო მიდგომას ავითარებს და ფინტექ საქმიანობისათვის საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნას უწყობს ხელს.

ფინანსური ინოვაციის ოფისი[36]

ფინანსური ინოვაციების ოფისი საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფინანსური ტექნოლოგიების ინოვატორთა საზოგადოებას შორის კომუნიკაციის საშუალებაა. ფინანსური ინოვაციების ოფისის მისიაა ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიან ინოვაციებს ფინანსურ სექტორში და დაეხმაროს ფინტექ ორგანიზაციებს/სტარტაპებს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების საზედამხედველო მიდგომის გაცნობაში.

2025 წლის განმავლობაში ფინანსური ინოვაციების ოფისის ფარგლებში ასამდე პირს გაეწია დახმარება და კონსულტაცია, ასევე ჩატარდა მნიშვნელოვანი შეხვედრები ინოვაციური იდეების მქონე პირებთან. შეიქმნა ინოვაციების ოფისის შიდა რეესტრი, სადაც დეტალურად ხდება აღნიშნული შეხვედრებისა და გაწეული კონსულტაციების აღრიცხვა და შემდგომი ანალიზი.

ფინანსურ სექტორში არსებულ ინოვაციებთან დაკავშირებით ინოვაციების ოფისი წლის მანძილზე მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, არსებული სიახლეების და საზედამხედველო მიდგომების გასაცნობად.

რეგულირების ლაბორატორია

რეგულირების ლაბორატორია (Regulatory Sandbox) წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობისა და განვითარების მიმართულებით. ის საშუალებას იძლევა ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის ტესტირება რეალურ გარემოში განხორციელდეს, რაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ახალი ტექნოლოგიების და ბიზნეს მოდელების ეფექტური დანერგვისა და მათი რეგულირების პროცესის შემუშავებისას. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს პრაქტიკულ ანალიზს და რეალურ პირობებში ინოვაციების დანერგვისას საჭირო რეგულაციების შესაბამისობას. 2025 წელს რეგულირების ლაბორატორიის „რეალურ გარემოში ტესტირების“ ეტაპზე გადავიდა ორი

36. ინფორმაცია ფინანსური ინოვაციების ოფისის შესახებ იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე, ზედამხედველობის სექციაში https://www.nbg.gov.ge/index.php?m=742

ახალი სუბიექტი, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ განსხვავებული შინაარსის ინოვაციური პროექტები. აღნიშნული პროექტები მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა კრიპტოვალუტით უზრუნველყოფილი სესხები და ონლაინ ვალუტის გადაცვლის სერვისი.

ამასთან, 2025 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამიზნე სენდბოქსების ინიციირებას. აქტიური ბაზრის კვლევისა და საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლის საფუძველზე გამოცხადდა სამიზნე სენდბოქსები ტოკენიზებული დეპოზიტების, სახალხო დაფინანსების (crowdfunding) და ხელოვნური ინტელექტის (AI) მიმართულებით. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს სხვა, ახალი მიმართულებებით, მათ შორის ტოკენიზებული ბონდების სენდბოქსის გამოცხადებაზე მუშაობა.

გარდა ამისა, 2025 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ჩართულობით დაიწყო აქტიური მუშაობა საერთაშორისო (cross-border) რეგულირების სენდბოქსის შექმნაზე, რომელიც ხორციელდება აზერბაიჯანის ცენტრალურ ბანკთან თანამშრომლობით. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს ფინტექ ეკოსისტემის განვითარებას რეგიონულ დონეზე, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების ტესტირებას საზღვრის მიღმა, უსაფრთხო და რეგულირებად გარემოში. საერთაშორისო სენდბოქსის მიმართულებით დაგეგმილია რეგიონში სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების დაწყებაც.

ფინტექის განვითარების ეროვნული სტრატეგია

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინტექის განვითარების 2027-2031 წლების ეროვნული სტრატეგია მოამზადა. სტრატეგიის მიზანია დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, რათა თანმიმდევრული და კოორდინირებული ნაბიჯები გადაიდგას ინკლუზიური და ინოვაციური ფინტექ ეკოსისტემის განვითარებისკენ. სტრატეგია მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით მომზადდა.

საქართველოს ფინტექ სტრატეგიის ხედვა ფინტექისთვის ხელსაყრელი რეგულაციური გარემოსა და თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებას გულისხმობს, რაც ფინანსურ სერვისებში პასუხისმგებლიან ინოვაციებსა და კონკურენციას წაახალისებს და დაეხმარება საქართველოს, გახდეს წამყვანი ფინტექ ჰაბი შუა დერეფნის რეგიონში.

საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგიული ხედვა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. **პროაქტიული მარეგულირებელი პოლიტიკის გატარება**
   აღნიშნული მიმართულება ფინანსურ სექტორში რეგულაციით ხელშეწყობილი ინოვაციების (regulatory-driven innovation) დანერგვას ისახავს მიზნად. სტრატეგიული მნიშვნელობისაა ისეთი რეგულაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბაზარზე ახალი მონაწილეებისთვის შესვლის ბარიერების შემცირებას და ახალი/პოტენციური მონაწილეებისთვის ინოვაციური იდეების რეალურ გარემოში ტესტირების შესაძლებლობის მიცემას.
2. **თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარება**
   მეორე მიმართულება ფოკუსირებულია ფინანსურ სექტორში ტექნოლოგიებით ხელშეწყობილი ინოვაციების (technology-driven innovation) განვითარებაზე. კერძოდ, პრიორიტეტია ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც უკვე გამოცდილი ფინანსური ინფრასტრუქტურის დანერგვას/განახლებას (მაგალითად, მყისიერი გადახდების სისტემა (IPS)), ისე ახალი ტექნოლოგიების კვლევასა და ბაზარზე მათი ეფექტიანი დანერგვისა და გამოყენების ხელშეწყობას.
3. **„საქართველოს მიღმა“ („Beyond-Georgia“) ფინტექ-ეკოსისტემის ხელშეწყობა.**
   საქართველოს, როგორც პატარა, ღია ეკონომიკის ქვეყანას, ბაზრის მასშტაბირების შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. შესაბამისად, აქცენტი კეთდება ისეთ ინიციატივებზე, რომლებიც ფინტექის ბაზრის მხარდაჭერის კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. საბოლოოდ, აღნიშნულის მიზანი საქართველოს რეგიონულ ფინტექ ჰაბად ჩამოყალიბებაა.

ფინტექ სტრატეგია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა. აღნიშნული პროცესი დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კომუნიკაციისა და კონსულტაციების გზით წარიმართა.

ამასთან, 2025 წლის 20 ივნისს სასტუმრო „პარაგრაფში“ ეროვნული ბანკის ორგანიზებით საქართველოს ფინტექ სტრატეგიის შესახებ ერთდღიანი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო დაინტერესებულ მხარეებთან ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების მნიშვნელობის კომუნიკაცია და სტრატეგიის ირგვლივ კერძო-საჯარო თანამშრომლობის ხელშეწყობა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მთავრობის ადმინისტრაციის, შესაბამისი საჯარო უწყებებისა და კერძო ფინანსური სექტორის წარმომადგენლები. ასევე, მოწვეული იყვნენ სტუმრები მსოფლიო ბანკიდან და IFC-იდან (International Finance Corporation).

ფინტექ სტრატეგიის შემუშავების პროცესის შემდგომი ნაბიჯები მოიცავს შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით სტრატეგიის საბოლოო ვერსიის მომზადებასა და საქართველოს მთავრობის მიერ მის დამტკიცებას.

საკრედიტო რეესტრი

საკრედიტო რეესტრი, რომელიც მსოფლიო ბანკის სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნა, წარმოადგენს მონაცემთა ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვებას. ეროვნულ ბანკში მონაცემების მოწოდება ყოველთვიურად ხდება და შემდეგ მონაცემთა ჯგუფებს მოიცავს:

- საკრედიტო ვალდებულების დეტალები,
- საკრედიტო ვალდებულების უზრუნველყოფის მონაცემები,
- ინფორმაცია რეფინანსირებულ სესხებზე,
- ინფორმაცია ინვესტიციების შესახებ,
- ინფორმაცია უარყოფილი საკრედიტო განაცხადების შესახებ,
- ინფორმაცია საანგარიშგებო თვის განმავლობაში დახურული სესხების შესახებ.

2025 წელს გაგრძელდა საკრედიტო რეესტრის მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუშაობა, მათ შორის მონაცემთა ვალიდაციისა და კონტროლის მექანიზმების გაძლიერება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მონაცემთა სისრულისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რეესტრში ასახული ინფორმაციის სანდოობა.

წლის განმავლობაში საკრედიტო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით მზადდებოდა სხვადასხვა ანგარიშგებები, ასევე ანალიტიკური და საზედამხედველო რეპორტები კონკრეტული საჭიროებებისთვის.

საკრედიტო რეესტრი კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს საკრედიტო რისკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად და მისი ფუნქციონალი აქტიურად გამოიყენება, როგორც ანალიტიკური, ასევე საზედამხედველო მიზნებისთვის.

2026 წელს დაგეგმილია კომერციული ბანკებისთვის აგრეგირებული რეპორტების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მიერ ანალიტიკური პროცესების გაუმჯობესებას, მონაცემთა ეფექტიან გამოყენებასა და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებას. ასევე, გაგრძელდება მონაცემთა ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და შიდა მიზნებისთვის ახალი ანალიტიკური და საზედამხედველო რეპორტების გენერირება.

4.12.2 მოდელის რისკი

საფინანსო სექტორში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა სტატისტიკური მოდელების გამოყენება სულ უფრო ფართო სახეს იძენს. ასეთი მოდელები სესხის გაცემის, კლიენტის საკრედიტო რისკის პროფილის შესწავლის, ფინანსური დანაკარგების შეფასების და რისკების მართვის პროცესებში ფართოდ გამოიყენება. განსაკუთრებით იზრდება სტატისტიკური მოდელების გამოყენება საცალო, მიკრო და მცირე ბიზნესის სექტორის დაკრედიტებისას. ბოლო დროს ისეთი მოდელების დანერგვა გახშირდა, რომლებიც მანქანური სწავლების და ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს ეფუძნება. ეს, ერთი მხრივ, მოდელის ეფექტიანობას ზრდის, მაგრამ მეორე მხრივ, შედეგების ინტერპრეტაციას, ანალიზს და რისკის შეფასებას ართულებს.

სექტორში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, დღის წესრიგში მოდელის ეთიკური გამოყენების ჩარჩოს შემუშავების აუცილებლობა დადგა. საპასუხოდ, დებულებაში მოდელის განვითარების, დანერგვისა და გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი ეთიკის პრინციპები და მოდელის შესაძლო არაეთიკური გამოყენების შემცირების გზები განისაზღვრა. ეს ცვლილება ძირითადად მომხმარებელზეა გამიზნული. ეთიკის პრინციპების გარეშე აგებულმა მოდელმა შესაძლოა მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფი უსამართლოდ დააკლასიფიციროს და მისი უფლებები შეზღუდოს; მეორე ცვლილება რისკზე დაფუძნებული მიდგომის გაფართოებას ეხება – დებულების ცვლილების ფარგლებში, შემუშავდა რისკიანობის მიხედვით მოდელების რანჟირების/დაჯგუფების მეთოდოლოგია; მესამე ცვლილება ეხება მოდელის გამომყენებელი სუბიექტების მიერ სტატისტიკური მეთოდის საშუალებით მოდელის გამჭვირვალობისა და ინტერპრეტირებადობის უზრუნველყოფას. განსაკუთრებით საყურადღებოა ე.წ Large Language Model (LLM) და Natural Language Processing (NLP) ტექნიკებზე დაფუძნებული ჩატბოტების და ვირტუალური ასისტენტების დანერგვის მზარდი ტემპი; 2026 წელს დაგეგმილია დებულების განახლება და დამატებითი მოთხოვნების გაწერა მომხმარებელთა დაცვის, მონაცემთა კონფიდენციალურობისა და მოდელის სანდოობის უზრუნველსაყოფად, როგორიცაა მომხმარებლის ინფორმირება AI-სთან ინტერაქციის შესახებ, ადამიანის ჩართულობა მაღალი რისკის შემთხვევაში, მცდარი პასუხების პრევენცია, კონტროლირებადი მონაცემთა წყაროების გამოყენება, უსაფრთხოების ტესტირება, უწყვეტი მონიტორინგი, გამოყენების მკაფიო საზღვრების განსაზღვრა, მესამე მხარის მოდელების შეფასება და მოდელის ფუნქციონირების, შეზღუდვებისა და რისკების სათანადო დოკუმენტირება.


ეროვნულ ბანკში IFRS 9 სტანდარტის შემოღებასთან დაკავშირებით საფინანსო ინსტიტუტებში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვის მოდელები ინერგება. მოდელის სირთულიდან და ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგავლენიდან გამომდინარე, ეს მოდელები მაღალი რისკის მატარებლებია. 2023 წელს დაიწყო აღნიშნული მოდელებისა და მეთოდოლოგიების გარჩევა და კომერციულ ბანკებთან უკვე შედგა უკუკავშირი. ამ პერიოდის განმავლობაში მოდელების ანალიზის პროცესში; მაქსიმალურად განხორციელდა იმ ხარვეზების იდენტიფიკაცია, რასაც შეუძლია მოდელის რისკის წარმოშობა. ეს პროცესი განგრძობითია და 2026 წელის მიზნებში გაწერილია ბანკების მიერ მოდელებში განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების შეფასება.

4.12.3. საკრედიტო საინფორმაციო ბიურო/პლატფორმა

საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება როგორც ბიუროს, ისე მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირთა მიერ მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესრულების და შესაბამისობის ზედამხედველობა.


2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებს სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო „კრედიტინფო საქართველო“, რომელთან სახელშეკრულებო ურთიერთობაშიც ამ პერიოდისთვის იმყოფებოდა 176 სესხის გამცემი ორგანიზაცია და არასავალდებულო წესით ჩართული 19 ორგანიზაცია. აღნიშნული მაჩვენებელი ბუნებრივად ცვალებადია, რაზედაც სესხის გამცემი ორგანიზაციების პერიოდულად რეგისტრაციის და გაუქმების პროცესი ახდენს გავლენას.

დიაგრამა N 4.42. „პრედიტინფო საქართველოში“ ჩართული ორგანიზაციების პორტფელის მიმოხილვა (2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.43. ფიზიკური პირების რაოდენობა აქტიური სესხებით (2025)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკის ჩართულობა. საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში არსებულ მომხმარებელთა მონაცემების სიზუსტის უზრუნველსაყოფად მუდმივად ხორციელდება მონიტორინგი როგორც საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, ისე მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესაბამისი საზედამხედველო სტრუქტურული ერთეულის მიერ. პერიოდულად ხდება მომხმარებელთა მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების შესწავლა და საჭიროებისამებრ მათზე რეაგირება.

რეგულირების პროცესში, სექტორზე განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, პერიოდულად ხორციელდება შესაბამისი ნორმატიული აქტების გადახედვა და ამ სფეროში ჩართული სუბიექტების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, მათში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. 2025 წლის მიწურულს დაიწყო მუშაობა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს სარეგულაციოდ დადგენილ წესებში ცვლილებების ფორმირება, სადაც განსახორციელებელ მნიშვნელოვან ცვლილებებთან ერთად, მიზანშეწონილად ჩაითვალა, 2022 წელს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო - პლატფორმად დაშვებული სუბიექტის ზედამხედველობისთვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენა. ამასთან, 2025 წლის ბოლოს კიბერუსაფრთხოების მართვის წესში დაგეგმილმა ცვლილებებმა მოიცვა, ამ მიმართულებით საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ზედამხედველობა.


კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ზედამხედველობასთან, არის საერთაშორისო ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ მონაცემები, რომელზეც სებ-ის მიერ სარეგულაციო ცვლილება განხორციელდა 2023 წელს. აღნიშნულ მონაცემთა ბაზა მზარდია, რომლის მიზანიც იყო ფულადი გზავნილის მიმღებ პირებს გაუმარტივოს სესხის აღება, ხოლო ფინანსურ ინსტიტუტებს დაკრედიტების პროცესი.

დიაგრამა N 4.44. განაღდებული საერთაშორისო ფულადი გზავნილების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.45. გზავნილების მიმღები პირების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას, სისტემატიურად ხდება, როგორც საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, ისე სესხის გამცემი ორგანიზაციების ზემოაღნიშნულ წესებთან შესაბამისობის შემოწმება და პროცესში გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, შესაძლებელია შესაბამისი სანქციების დაკისრება, რომელიც ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზეც. ამასთან, სანქციის დაკისრება შესაძლებელია ასევე მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის შედეგად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე.

4.12.4. ღია ბანკინგი/ფინანსები

ღია ბანკინგი თანამედროვე ციფრული ფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია, რომელიც მომხმარებელს საბანკო სერვისებზე მოქნილ და უსაფრთხო წვდომას სთავაზობს ღია API (Application Programming Interface) ინტეგრაციის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა გაცვლას ბანკებს, ფინანსურ ინსტიტუტებსა და ფინტექ კომპანიებს შორის. ეს მოდელი ხელს უწყობს ინოვაციებს და ზრდის სექტორის ეფექტიანობას.

ღია ბანკინგის პროექტზე მუშაობა საქართველოს ეროვნულ ბანკში 2019 წელს დაიწყო. 2020 წლის დასაწყისში საქართველოს საბანკო ასოციაციის ფარგლებში შეიქმნა ღია ბანკინგის კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვისთვის საჭირო საერთო სტანდარტის შემუშავება და პროექტის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. 2021 წლის 31 მარტიდან საქართველოში ღია ბანკინგის სერვისები უკვე ხელმისაწვდომია. 2024 წლის ჩათვლით დაინერგა შემდეგი API სერვისები: საგადახდო ანგარიშების ინფორმაციის გაცვლა, გადახდის ინიციირების სერვისი, ღია ბანკინგის გამოყენებით დისტანციური იდენტიფიკაციის განხორციელების სერვისი, მასობრივი გადახდების (Bulk Payments) სერვისი, მრავალჯერადი/განმეორებითი გადახდების ინიციირების სერვისი, მომავლის თარიღით გადახდის ინიციირების სერვისი, ცვლადი განმეორებადი გადახდები, დეპოზიტებზე ინფორმაციის გაზიარების სერვისი და სესხებზე ინფორმაციის გაზიარების სერვისი.

2025 წელს კვლავ გრძელდებოდა აქტიური მუშაობა საქართველოში როგორც ღია ბანკინგის სერვისების გაფართოების, ასევე ფინტექ კომპანიების ღია ბანკინგში ჩართვის მიმართულებით. 2025 წელს ღია ბანკინგში ჩართვაზე საქართველოს ეროვნული ბანკისგან ოფიციალური თანხმობა 4-მა არასაბანკო სუბიექტმა მიიღო. პარალელურად, სერვისების შემდგომი განვითარების მიზნით, 2025 წლის დეკემბერში დასრულდა მუშაობა 2 ახალი API სერვისის ტექნიკურ სტანდარტზე. აღნიშნული სერვისებია: რესურსის სტატუსის შეტყობინების (Resource Status Notification) API სერვისი და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურებაში შეტყობინებების API სერვისი (Push Account Information Service), რომელთა დანერგვაც იგეგმება 2026 წლის განმავლობაში.


ახალი API სერვისები საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით ხორციელდება და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ფინანსური ეკოსისტემის მოდერნიზაციაში, მათ შორის, კონკურენტუნარიანობისა და გამჭირვალობის გაზრდაში. გარდა ამისა, ახალი API სერვისების დანერგვა ასევე, ხელს შეუწყობს განსხვავებული ბიზნეს მოდელების შექმნას. მიმდინარეობს კონსულტაციები საბანკო/არასაბანკო სექტორთან და მოთხოვნის შესაბამისად განისაზღვრება ახალი API სერვისები.

წინა წლების მსგავსად, 2025 წელსაც ღია ბანკინგის შესაძლებლობებისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით არაერთი ინდივიდუალური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ როგორც, ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სუბიექტები, ასევე ფინტექ კომპანიები, რაც ხელს უწყობს ღია ბანკინგის ეკოსისტემის ფორმირებას და მონაწილე სუბიექტებისთვის ღია ბანკინგის სარგებელზე ინფორმაციის მიწოდებას.

ღია ბანკინგის მიმართ ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა არასაბანკო სექტორში. 2025 წელს ღია ბანკინგში ჩაერთო ოთხი არასაბანკო სუბიექტი, ორჯერ მეტი ვიდრე წინა წელს. ეს ტენდენცია ცხადყოფს, რომ ღია ბანკინგის სერვისები სულ უფრო მოთხოვნადი ხდება სხვადასხვა ტიპის ფინანსური მომსახურების პროვაიდერებისთვის.


ასევე, 2025 წელს დაიწყო ღია ბანკინგის API სერვისების მესამე მხარის პროვაიდერების მხრიდან გამოყენების ჯამური სტატისტიკური მონაცემების საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები, განსაკუთრებით გადახდის ინიციირების სერვისის და მომხმარებლის იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის (Onboarding) სერვისის სტატისტიკური მონაცემები, მთელი წლის განმავლობაში უმეტესწილად სულ მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2025 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, ღია ბანკინგის სერვისების 8,385,506 ჯამური გამოყენება დაფიქსირდა. ეს მასშტაბი ადასტურებს, რომ სისტემა მყარ და საიმედო ფუნდამენტად ჩამოყალიბდა, რომელიც ყოველდღიური ციფრული სერვისების შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს.

დიაგრამა N 4.46. ღია ბანკინგის საშუალებით ინიციირებული გადახდების ჯამური რაოდენობა (2025)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.47. ღია ფინანსების სისტემაში ონბორდინგის სერვისის გამოყენების ჯამური რაოდენობა (2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.48. ღია ბანკინგის საშუალებით საგადახდო ანგარიშების ინფორმაციის გაზიარების სერვისის გამოყენების/აქტიური მოთხოვნების ჯამური რაოდენობა (2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ღია ბანკინგის განვითარების შემდეგი ეტაპი ღია ფინანსებზე გადასვლაა, რაც ღია ბანკინგის კონცეფციის სხვა არასაბანკო სექტორებზე გავრცელებას და მეტად ფართო ფინანსური მონაცემების მიმოცვლას მოიაზრებს. ღია ფინანსები საშუალებას მისცემს მომხმარებლებს, არა მხოლოდ საბანკო ანგარიშების, არამედ დაზღვევის, ინვესტიციების, საპენსიო ფონდებისა და სხვა ფინანსური სერვისების მონაცემების მართვისა და გამოყენების შესაძლებლობა ჰქონდეთ ერთიან, უსაფრთხო და რეგულირებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში.

2025 წელს კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში შევიდა მუშაობა ღია ფინანსების დანერგვის მიმართულებით, გაიმართა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ორგანიზაციასთან, ასევე დონორ ორგანიზაციებთან, მათ შორის მსოფლიო ბანკთან. შედეგად, აღნიშნული პროექტის ხელშეწყობის მიზნით დაიწყო ღია ფინანსების განვითარებისთვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების მისაღებად საერთაშორისო ტენდერის მოსამზადებელი სამუშაოები. აღნიშნული ტენდერის ფარგლებში იგეგმება საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა ღია ფინანსების განვითარებისთვის საჭირო საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებების პაკეტის, ასევე ღია ფინანსების მოდელის და ეკოსისტემის არქიტექტურის დიზაინის შემუშავებისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ღია ბანკინგის/ფინანსების ეკოსისტემის გაძლიერებას, მონაცემთა უსაფრთხოებისა და რეგულირების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ფინანსური სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციასა და ინოვაციური სერვისების განვითარებას.

4.13. ინფორმაციის დამუშავება და საზედამხედველო ტექნოლოგიები

2025 წელს მნიშვნელოვანი განახლება განხორციელდა FINREP ანგარიშგების მიმართულებით, კერძოდ, განხორციელდა გადასვლა XBRL ტაქსონომიის 3.2 ვერსიაზე, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა უფრო დეტალურ და შესაბამის სტრუქტურირებას ევროკავშირის სტანდარტებთან. ამასთან, განახლდა მწვანე სესხების ანგარიშგების ტაქსონომიაც და დაიწყო ახალი ვერსიის საფუძველზე მონაცემების მიღება, რაც გარემოსდაცვითი მიმართულებით მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის გაძლიერებას ემსახურება.

IFRS სტანდარტით ანგარიშგებების მიღება კვლავ რჩებოდა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად. კომერციული ბანკების მხრიდან საზედამხედველო მონაცემი მიიღებოდა ტრადიციულ ფორმატით, ნაწილი კი - XBRL ფორმატით. პარალელურად, გრძელდებოდა ადგილობრივი ანგარიშგებებისათვის XBRL ტაქსონომიის განვითარება, რაც ხელს უწყობს მონაცემთა სტანდარტიზაციის გაღრმავებასა და რეგულაციური მოთხოვნების უფრო გამჭვირვალე შესრულებას.

საზედამხედველო პროცესების გაუმჯობესების მიზნით, ეროვნული ბანკი აგრძელებდა შიდა დეველოპმენტით შექმნილი აპლიკაციის განვითარებას. აღნიშნული პლატფორმა უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავებას, ანალიზსა და საზედამხედველო საქმიანობის ეფექტიან მართვას, ხოლო მისი უწყვეტი განახლება ზრდის სისტემის მოქნილობასა და ფუნქციურ შესაძლებლობებს.

მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული მონაცემთა ანალიზის მიმართულებით. განხორციელდა სესხების შესახებ გრანულარული მონაცემების შეგროვება, რაც საშუალებას იძლევა მონაცემთა უფრო ღრმა და დეტალური ანალიზი. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა დეშბორდები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება საზედამხედველო პროცესში და ხელს უწყობს რისკების დროულ იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტილებების მიღებას.

Power BI პლატფორმის გამოყენება კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიტიკის პროცესებში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მოქნილ, ინტერაქტიულ და მომხმარებელზე მორგებულ წარმოდგენას.

საქართველოს ეროვნული ბანკი 2025 წელს აქტიურად მუშაობდა ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა ანალიტიკის ინსტრუმენტების საზედამხედველო პროცესებში ინტეგრაციის მიმართულებით, რაც ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს.

აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს Text-to-SQL მოდელის შემუშავება, რომელიც მომავალში საშუალებას მისცემს ანალიტიკოსებსა და საზედამხედველო სპეციალისტებს ბუნებრივი ენის გამოყენებით მოიძიონ და დაამუშავონ სტრუქტურირებული მონაცემები მონაცემთა ბაზებიდან SQL-ის ღრმა ცოდნის გარეშე, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

მანქანური სწავლების მიმართულებით, ეროვნული ბანკში შევიმუშავეთ ML მოდელი CAMEL ჩარჩოს გამოყენებით.

საზედამხედველო ანგარიშგების ვიზუალიზაციის კუთხით, ეროვნული ბანკი იყენებს Python-ზე დაფუძნებულ ინსტრუმენტებს AI-ის კომპონენტებთან ერთობლიობაში, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის ანგარიშების ავტომატიზებულ ვიზუალიზაციასა და ინტერპრეტაციას. აღნიშნული მიდგომა ავსებს Power BI-ის პლატფორმას და საზედამხედველო პროცესში ჩართულ მხარეებს სთავაზობს მოქნილ, მონაცემებზე ორიენტირებულ ანალიტიკურ შესაძლებლობებს.

მიმდინარე ინიციატივები ერთობლიობაში მიმართულია ინტეგრირებული AI-ზე გამდიდრებული საზედამხედველო ეკოსისტემის ჩამოყალიბებისკენ, რაც ხელს შეუწყობს მონაცემთა სტადარტიზაციასთან და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებულ ეროვნული ბანკის სტრატეგიულ მიზნებს.

05.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

5.1. ნორმატიული ბაზის სრულყოფა

საბაზრო ქცევის ზედამხედველობის სტრატეგია

ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლების, საბაზრო ქცევის ზედამხედველობის განვითარებისა და მომხმარებლებზე მორგებული გარემოს დახვეწის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2025 წელს საბაზრო ქცევის ზედამხედველობის სტრატეგია დაამტკიცა. სტრატეგიის მიღება ხელს უწყობს მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და გეგმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ასევე, აღნიშნული მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ეფექტიან დაგეგმვასა და სამომავლო აქტივობებზე ფინანსური ორგანიზაციების ინფორმირებულობის ზრდას. დოკუმენტი განსაზღვრავს საბაზრო ქცევის ზედამხედველობის პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს, ასევე, შეფასების ინდიკატორებსა და მათი მონიტორინგის პროცესს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკის 2025-2027 წლების პრიორიტეტები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის გაძლიერება;
- საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან/პრაქტიკებთან დაახლოება;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა.

2025-2027 წლების საბაზრო ქცევის ზედამხედველობის სტრატეგიის ფარგლებში ყურადღების გამახვილება მოხდება შემდეგ საკითხებზე:

- საფინანსო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული რისკების შეფასების გაუმჯობესება; აღნიშნული მიმართულებით, დაკვირვება მოხდება სხვადასხვა ინდიკატორზე, სექტორში გამოვლენილ დარღვევებზე და მოხდება კრიტიკული რისკების იდენტიფიცირება.
- იდენტიფიცირებულ რისკებზე პროაქტიული რეაგირება, რაც, მათ შორის, გულისხმობს ფინანსური ორგანიზაციების შემოწმებას, რაც თავის მხრივ, გამოავლენს იმ პრაქტიკებსა და მიდგომებს, რაც შესაძლოა ზრდიდეს მომხმარებლების უფლებების დაცვის მიმართულებით რისკებს. აღნიშნული შემოწმებების შედეგების გათვალისწინებით კი, შესაძლოა დაიხვეწოს როგორც არსებული მარეგულირებელი ჩარჩო, ასევე, დაიგეგმოს ის ღონისძიებები, რაც საჭიროა არსებული თუ სამომავლო რისკების შემცირებისთვის.
- საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფარგლებში არსებული პრაქტიკებისა და საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს აღსრულების მონიტორინგის მიზნით, რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამისი პროცედურებისა და მიდგომების შემუშავება და დანერგვა.
- რისკების მიტიგაციის მიზნით, მომხმარებლის სხვადასხვა სეგმენტზე მორგებული მიდგომების დანერგვა, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოწყვლად სეგმენტს.
- იდენტიფიცირებული რისკებისა და სისუსტეების, საზედამხედველო ზომებისა და სხვა მატერიალური საკითხების თაობაზე ფინანსურ ორგანიზაციებთან (მათ შორის, უმაღლეს მენეჯმენტთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან) პირდაპირი და ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა.
- ფინანსურ ორგანიზაციებში შიდა კონტროლის/შიდა აუდიტის ჩართულობა მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ პროცესებში და იდენტიფიცირებულ ხარვეზებსა და სისუსტეებზე მათ მიერ შესაბამისი რეაგირება.
- გამოვლენილი გამოწვევებისა და იდენტიფიცირებული მომხმარებლების საჭიროების მიხედვით, ფინანსური განათლების მიმართულებით, მათ შორის, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ნაწილში, სხვადასხვა აქტივობის ინიციირება.

5.1.1. მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი

2025 წელს ცვლილებები შევიდა 2021 წლის 9 მარტის N32/04 ბრძანებით დამტკიცებულ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაც-

ვის წესში“ (შემდგომში - „წესი”). კერძოდ, წესის გარკვეული მოთხოვნები მათ შორის, გავრცელდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზეც. უფრო კონკრეტულად კი, საგადახდო მომსახურების პოვაიდერები 2025 წლის 15 აპრილიდან ვალდებულნი არიან მიიღონ, შეისწავლონ და აღრიცხონ მომხმარებელთა მხრიდან დაფიქსირებული პრეტენზიები. ასევე, პროვაიდერები ვალდებულნი არიან ამავე წესით განსაზღვრულ ვადაში განახორციელონ მომხმარებლებთან უკუკავშირი და მომხმარებელთა პრეტენზიების ანგარიშგებები ყოველთვიურად მიაწოდონ საქართველოს ეროვნულ ბანკს. აღნიშნული ანგარიშგებების შესწავლას, თავის მხრივ, ახდენს მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი როგორც სისტემურ, ასევე, ინდივიდუალურ დონეზე. ასევე, მითითებულ ანგარიშგებებში აღრიცხული ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ბანკს საშუალებას მისცემს უკეთ გააანალიზოს სექტორში არსებული პრობლემები და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, მათ შორის, რეგულაციის გაფართოვების კუთხით.

დამატებით, კონკურენტული გარემოს გაძლიერებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლების მიზნით, ზემოხსენებულ წესში შესული ცვლილებების მიხედვით, 2025 წლის 1 მაისიდან ფიზიკური პირებისთვის, ასევე, ორ მილიონ ლარამდე მოცულობის ჯამური ვალდებულებების მქონე იურიდიული პირებისთვის, სესხის/კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში, სესხის/კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიოს მაქსიმალური ოდენობა ნაცვლად მანამდე არსებული 2%-ისა, 0.5%-მდე შემცირდა. ამდენად, ცვლილებების შედეგად შემცირდა ვალდებულების ერთი ფინანსური ორგანიზაციიდან მეორეში გადატანის ხარჯი, რაც ხელს უწყობს ფინანსურ ორგანიზაციებს შორის კონკურენციის გაძლიერებასა და მომხმარებლებისთვის მეტად ხელსაყრელი პირობების შეთავაზებას.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ცვლილებებით პირველად, დოკუმენტალურ ოპერაციებზე (აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია, აქცეპტები და სხვა), წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ზედა ზღვარი 2%-ის ოდენობით განისაზღვრა. ვინაიდან ეს საკითხი დოკუმენტალურ ოპერაციებთან მიმართებით ცვლილებებამდე რეგულირებული არ იყო და პრაქტიკაში უფრო მაღალი საკომისიოების დაწესების შემთხვევებიც გვხვდებოდა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიზანშეწონილად ჩათვალა მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში შესაბამისი ცვლილებები შესულიყო.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მუშაობა ევროკავშირის იპოთეკური სესხების დირექტივის გარკვეული მოთხოვნების მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში ასახვასთან დაკავშირებით, მათ შორის, იპოთეკური სესხების ხელშეკრულებების სტანდარტიზაციაზე, რაც 2026 წელსაც გაგრძელდება.

დამატებით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, 2025 წლის იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ქვეყნდება ინფორმაცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ფინანსური ორგანიზაციების მიმართ გამოყენებული სანქციებისს (ფულადი ჯარიმა) შესახებ. აღნიშნული ხელს უწყობს საზოგადოებაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული დარღვევების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და, ასევე, ხელს უწყობს ფინანსური ორგანიზაციების მოტივაციის ზრდას უკეთ შეესაბამებოდნენ არსებულ მარეგულირებელ მოთხოვნებს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება საფინანსო სექტორის მიერ შეთავაზებული პროდუქტების მომხმარებელთა ინტერესებსა და საჭიროებებთან შესაბამისობის კრიტერიუმების განსაზღვრა. აღნიშნული, მათ შორის, გამოწვევაა მსოფლიო მასშტაბით და მნიშვნელოვანია როგორც მომხმარებელთა დაცვისთვის, ასევე, ფინანსური ორგანიზაციების რისკების მართვისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მუშაობა დაიწყო მომხმარებელზე მორგებული პროდუქტების შექმნის კრიტერიუმების განმსაზღვრელი გზამკვლევის შემუშავებაზე, რისი დასრულებაც 2026 წელს იგეგმება.

5.1.2. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით მარეგულირებელ უწყებათა შორის თანამშრომლობა

მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მარეგულირებელ უწყებათა შორის თანამშრომლობა უკვე არაერთი წელია გრძელდება, რის ფარგლებშიც, 2025 წლის განმავლობაში საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთან და სხვა მარეგულირებელ უწყებებთან ერთად უკვე მესამედ აღინიშნა მომხმარებლის უფლებების დაცვის კვირეული, ასევე, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებების დაცვა“. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, როგორც სექტორის წარმომადგენლებისთვის, ასევე, მომხმარებლებისთვის, სხვადასხვა ფორმატით მიწოდებულ იქნა ინფორმაცია ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ.

გარდა ამისა, 2025 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი გაწევრიანდა საერთაშორისო ორგანიზაცია FinCoNet-ში (International Financial Consumer Protection Organization), რომელიც ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანიზაციების გაერთიანებას წარმოადგენს. FinCoNet ხელს უწყობს ჯანსაღი საბაზრო ქცევის ჩამოყალიბებასა და მომხმარებელთა ძლიერ დაცვას ფინანსური ბაზრის ეფექტიანი და ეფექტური ზედამხედველობის მეშვეობით, მომხმარებელთა დაცვის საზედამხედველო სტანდარტებისა და პრაქტიკის განვითარებასა და გაძლიერებას, ასევე, წევრებს შორის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გაცვლას. ამდენად, აღნიშნული ორგანიზაციის წევრობა საქართველოს ეროვნულ ბანკს დაეხმარება საბაზრო ქცევის მიმართულებით წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებული მიდგომების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებასა და შესაბამისი გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში.

5.2. საფინანსო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების დისტანციური და ადგილზე შემოწმება; თემატური შემოწმებები

ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მიზნით, ბაზარზე არსებული გამოწვევების დაკვირვების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი 2025 წელსაც აქტიურად აგრძელებდა მის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების დისტანციურ და ადგილზე შემოწმებებს. ასევე, საბაზრო ქცევის ზედამხედველობის კუთხით განხორციელდა თემატური შემოწმებებიც. კერძოდ კი, თემატური შემოწმებები განხორციელდა სესხის ამოღების პროცესთან მიმართებით, მათ შორის 2022 წლის 17 თებერვლის #14/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის“ (შემდგომში - „ეთიკის კოდექსი“) მოთხოვნების ფინანსური ორგანიზაციების მიერ დაცვის მონიტორინგის მიზნით. აღნიშნულ თემაზე 2025 წელს ადგილზე შემოწმდა 10 (ათი) ფინანსური ორგანიზაცია, ხოლო შემოწმების შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები გაზიარდა თითოეულ ორგანიზაციასთან ინდივიდუალურად, ასევე, გამოყენებულ იქნა შესაბამისი საზედამხედველო ღონისძიებები. ამასთან, 2026 წლიდან იგეგმება თემატური შემოწმებების ფარგლებში გამოვლენილი პრაქტიკების შესახებ კონსოლიდირებული ინფორმაციის გასაჯაროება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული ადგილზე და დისტანციური, ასევე, თემატური შემოწმებების ფარგლებში 2025 წელს ფინანსურ ორგანიზაციებთან გაიგზავნა 56 წერილობითი მითითება, მათ შორის წერილობითი მითითება გაეგზავნა 8 (რვა) კომერციულ ბანკს, 2 (ორი) მიკრობანკს, 6 (ექვსი) მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და 17 (ჩვიდმეტი) სესხის გამცემ სუბიექტს. ასევე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჯამურად 301,000 (სამასერთი ათასი) ლარით დაჯარიმდა 4 (ოთხი) კომერციული ბანკი, 5 (ხუთი) მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და 9 (ცხრა) სესხის გამცემი სუბიექტი. აღნიშნული სანქციების (ფულადი ჯარიმა) შესახებ ინფორმაცია

განთავსებულია შემდგ ბმულზე: https://nbg.gov.ge/page/momkhmarebelta-uplebebis-datsva.

მისტიური მყიდველის კვლევა

2024 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფონდი „შპარკასე საქართველოსთვის“ დაფინანსებითა და კვლევითი კომპანია “ეისითი კვლევის“ ჩართულობით ფინანსურ სექტორში მისტიური მყიდველის კვლევა ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდა გარკვეული ტიპის ნაკლოვანებები, რასთან დაკავშირებითაც, შესაბამის ფინანსურ ორგანიზაციებთან განხორციელდა კომუნიკაცია და მათთან ერთად 2025 წელსაც აქტიურად გაგრძელდა მუშაობა აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრასა და პრაქტიკების გაუმჯობესებაზე.

მომხმარებლების მომართვიანობა


საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა მომართვებზე რეაგირების განყოფილებაში 2025 წელს ჯამში 6,325 მომართვა დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 27%-იანი კლებაა. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია სხვადასხვა საკითხის ფინანსურ სექტორში სისტემურ დონეზე მოგვარებით, ასევე, პანდემიის შედეგად არსებული გამოწვევების ეფექტის ამოწურვით. ამდენად, ზემოხსენებული ნიშნული კოვიდ-პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელს დაუბრუნდა.

წინა წლების მსგავსად, მომართვების უმრავლესობა სატელეფონო არხით დაფიქსირდა და 4,508 ერთეული (71.27%) შეადგინა. აღნიშნული არხის შემდეგ ყველაზე მეტად აქტუალურია ელექტრონული ფოსტა და ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე მომართვის დაფიქსირებისთვის განკუთვნილი შესაბამისი გვერდი. ამ არხებით ჯამში 1,232 (19.48%), წერილობით 347 (5.49%), სოციალური ქსელით 65 (1.02%), ხოლო პირადი ვიზიტის გზით 173 მომართვა (2.74%) დაფიქსირდა.

შინაარსის მიხედვით 2025 წელს ყველაზე მეტი მომართვა ეხებოდა ადმინისტრაცია/მომსახურებას, ასევე, აქტუალური იყო რესტრუქტურიზაციასთან და ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული მომართვები. ყველაზე ხშირად მომართვები პრობლემურ და სამომხმარებლო სესხებსა და მიმდინარე ანგარიშებს ეხებოდა.

ორგანიზაციის ტიპის მიხედვით ყველაზე მეტი მომართვა კომერციულ ბანკებთან მიმართებაში ფიქსირდება, რაც მათი მომხმარებლების რაოდენობიდან გამომდინარეა (იხილეთ დიაგრამა)

დიაგრამა N 5.1. საქართველოს ეროვნულ ბანკში დაფიქსირებული მომართვები ორგანიზაციის ტიპისა და კვარტლების მიხედვით, 2025 წელი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

5.2.1 საკრედიტო საინფორმაციო ბიურო

საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების რეგულირების კუთხით საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი კვლავ აგრძელებდა ბიუროში დაფიქსირებული პრეტენზიების ანგარიშგებების შესწავლასა და შესაბამისი ხარვეზებისა და პრაქტიკების გამოვლენას. 2025 წელს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჯამში მომხმარებელთა 67,718 პრეტენზია დაფიქსირდა, საიდანაც მომხმარებლების იდენტიფიცირება და, შესაბამისად, მათთვის პასუხის დაბრუნება მოხდა 14,069 პრეტენზიაზე, ხოლო, არაიდენტიფიცირებული მომხმარებლების შემთხვევაში (53,649) ბიუროს მხრიდან საკითხების შესწავლა მოხდა, თუმცა, უკუკავშირი ვერ განხორციელდა. 2024 წელთან შედარებით პრეტენზიების რაოდენობა შემცირებულია დაახლოებით 43%-ით, რაც ძირითად შემთხვევაში არაიდენტიფიცირებული მომხმარებლების მხრიდან დაფიქსირებული პრეტენზიების შემცირებითაა გამოწვეული.

შინაარსის მიხედვით ბიუროში დაფიქსირებული პრეტენზიებიდან ყველაზე აქტუალური შემდეგი საკითხებია: საკრედიტო ქულასთან დაკავშირებული პრეტენზიები, სესხების დაფარვის შესახებ ინფორმაციის ასახვის დროსთან დაკავშირებული პრეტენზიები, ასევე, ბიუროში ასახული ინფორმაციის სიზუსტესთან და მომხმარებლების თანხმობის გარეშე ინფორმაციის გადამოწმებასთან დაკავშირებული პრეტენზიები.

აღნიშნული პრეტენზიების შესწავლისას ხარვეზები გამოვლინდა არამხოლოდ უშუალოდ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში, არამედ, ფინანსურ ორგანიზაციებშიც, რის საფუძველზეც, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ახდენდა ორგანული კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში რეაგირებას.


5.3. ფინანსურ ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების მონაცემები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მოთხოვნების შესაბამისად ფინანსური ორგანიზაციები მომხმარებლების მიერ მათთან დაფიქსირებული პრეტენზიების შესახებ ანგარიშგებას ყოველთვიურად აწვდიან საქართველოს ეროვნულ ბანკს, რაც კონსოლიდირებული ფორმით ყოველთვიურად ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე.

საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ფინანსური ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ანგარიშგებების მიხედვით, 2025 წელს კომერციულ ბანკებში ჯამურად 31,029 პრეტენზია დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 8%-ით არის გაზრდილი. აღნიშნული ზრდა ძირითადად საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული პრეტენზიების ზრდით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ კომერციულ ბანკებში პრეტენზიების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში ძირითად შემთხვევაში მზარდია, რაც საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ მომხმარებლების ცნობადობის, ასევე, პროდუქტების მრავალფეროვნების ზრდით არის განპირობებული.


წინა წლების მსგავსად, კომერციულ ბანკებში ხასიათის მიხედვით კვლავ ყველაზე აქტუალურია ტრანზაქციებთან, ადმინისტრაცია/მომსახურებასთან და ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება პროდუქტის ტიპებს, ყველაზე ხშირად პრეტენზიები მიმდინარე ანგარიშებთან/სადებეტო ბარათებთან, სამომხმარებლო სესხებთან და საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ საფუძვლიანი პრეტენზიების რაოდენობა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში დაახლოებით 21%-ს შეადგენს.

დიაგრამა N 5.2. კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.3. კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება ხასიათის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.4. კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში 2025 წელს ჯამურად 658 პრეტენზია დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 17.5%-ით ნაკლებია. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია რამდენიმე ფინანსური ორგანიზაციის სტატუსის ცვლილებით, ასევე, გარკვეული ტიპის ხარვეზების აღმოფხვრით.


2025 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში შინაარსის მიხედვით დაფიქსირებული პრეტენზიების დაახლოებით 43% ადმინისტრაცია/მომსახურებას ეხებოდა, ხოლო 41% - ჯარიმებსა და ვადაგადაცილების საკომისიოებს. რაც შეეხება პრეტენზიების განაწილებას პროდუქტების მიხედვით, ყველაზე მეტი პრეტენზია ეხებოდა სალომბარდე სესხს (82%), ასევე, აქტუალური იყო ავტო სესხებთან დაკავშირებული საკითხებიც. ამასთან, 2025 წელს საფუძვლიანი პრეტენზიების წილი მთლიანი პრეტენზიების დაახლოებით 55%-ს შეადგენდა.

დიაგრამა N 5.5. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.6. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება ხასიათის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.7. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება სტატუსების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელს სესხის გამცემ სუბიექტებში ჯამში 610 პრეტენზია დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 58%-ით არის შემცირებული. ამასთან, პრეტენზიების რაოდენობის შემცირება დაკავშირებულია კონკრეტული მიმართულებით საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა მხრიდან თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასთან, რის გამოც, გაუმჯობესდა მომხმარებლების მომსახურების ხარისხი, შესაბამისად, მომხმარებლებიც უფრო ნაკლებად გამოთქვამენ უკმაყოფილებას.


სესხის გამცემ სუბიექტებში ხასიათის მიხედვით პრეტენზიების უმრავლესობა, კერძოდ, დაახლოებით 84%, ეთიკის კოდექსთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, ხოლო, პროდუქტის ტიპის მიხედვით კი, პრეტენზია ყველაზე ხშირად სამომხმარებლო და სალომბარდე სესხებთან დაკავშირებით ფიქსირდება. საფუძვლიანი პრეტენზიების წილი კი საკმაოდ დაბალია და 1%-ზე ნაკლებს შეადგენს.

დიაგრამა N 5.8. სესხის გამცემ სუბიექტებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.9. სესხის გამცემ სუბიექტებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება ხასიათის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.10. სესხის გამცემ სუბიექტებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის აპრილიდან დეკემბრის თვის ჩათვლით საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან მომხმარებლების მხრიდან ჯამურად 26,149 პრეტენზია დაფიქსირდა, რომელთა ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 96%, დაკავშირებულია საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მხრიდან გადახდის ოპერაციის დაგვიანებით ან არასწორად შესრულებასთან.

06.

ფინანსური განათლება

6.1. ფინანსური განათლება

2025 წლის განმავლობაში საქართველოში ფინანსური განათლების გავრცელება „ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია 2023"-ის შესაბამისად ხორციელდებოდა. წლის მთავარი აქცენტები იყო ლარის 30 წლის იუბილე და რეგიონების მოსახლეობა, რაც, შესაბამისად, აისახა კიდეც განხორციელებულ აქტივობებსა და შემუშავებულ რესურსებშიც.

უკვე ტრადიციულ პროექტებს 2025 წლის განმავლობაში არაერთი სიახლე შეემატა: მათ შორის, აღსანიშნავია ლარის 30 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სასწავლო რესურსები და აქტივობები, კონკურსები, ბეჭდური მასალა, ფინანსური განათლების ინტერაქციული სპექტაკლი.

2025 წელს ეროვნული ბანკის ორგანიზებით 9 თემატური კონკურსი ჩატარდა. მათ შორის, სტუდენტური კონკურსი „მარეგულირებლის დილემა", „ფინედუს კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში", გამოცხადდა კონკურსი „ეროვნული ჯილდო მასწავლებლებისთვის".

2025 წელი შექმნილი ბეჭდური საგანმანათლებლო მასალების სიმრავლითაც ხასიათდება. კერძოდ, შემუშავდა და დაიბეჭდა 8 ახალი სახეობის რესურსი, მათ შორის, სამაგიდო თამაშები, ფაზლები, კომიქსები. აღსანიშნავია, რომ კონკურსის „ფინედუს კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში" ფარგლებში ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალა 21 რეგიონული სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსდა, მათი გამოყენებით კი არაერთი აქტივობა განხორციელდა.

აღსანიშნავია 2025 წლის კიდევ ერთი სიახლე - ფინანსური განათლების პირველი სპექტაკლი, „წინ და წინ: ფინანსობანა", რომელიც საპილოტე გასტროლებით საქართველოს 7 ქალაქის მოსწავლეების წინაშე წარსდგა.

გარდა ამისა, დასრულდა 2024 წელს დაწყებული პროექტი „ფინედუს ტრენერი", რომლის ფარგლებში რეგიონებიდან წინასწარ შერჩეულმა და გადამზადებულმა ტრენერებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან თემატური საგანმანათლებლო შეხვედრები ჩაატარეს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო პროექტებში ჩაერთო 20,000 მდე პირდაპირი ბენეფიციარი.

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის საქმიანობა

2025 წელს ფინანსური განათლების პროექტები და აქტივობები ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში ამავე სტრატეგიის მართვის კომიტეტის მიერ შეთანხმებული პრიორიტეტების შესაბამისად განხორციელდა.

27 თებერვალს საქართველოს ეროვნულ ბანკში ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის რიგით მე-9 სხდომა გაიმართა. მასში ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის წევრები - საჯარო, სამოქალაქო, საგანმანათლებლო და კერძო კომერციული სექტორების წარმომადგენლები და, ასევე, დაინტერესებული კომერციული ბანკები მონაწილეობდნენ.

სხდომაზე 2024 წლის ფინანსური განათლების აქტივობები შეჯამდა და 2025 წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები გამოიკვეთა. მონაწილეებმა არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობების გაფართოებაზე იმსჯელეს, ასევე, სამომავლო საქმიანობის გეგმები დასახეს, რომლებიც წლის განმავლობაში ორგანიზებული არაერთი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში დაკონკრეტდა და განხორციელდა.

ფინანსური განათლების პლატფორმა ფინედუ, www.finedu.gov.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა, www.finedu.gov.ge (შემდგომში ფინედუ) და შესაბამისი სოციალური ქსელების არხები (Facebook, Instagram, LinkedIn, YouTube და TikTok) 2025 წლის განმავლობაშიც ფინანსური განათლების გავრცელების ერთ-ერთი მთავარი და მოქნილი მედიაინსტრუმენტი იყო.

წლიდან წლამდე ვებგვერდი ახალი შინაარსით ივსებოდა, მათ შორის, როგორც ტექსტური და ვიდეო საგანმანათლებლო მასალით, ისე ფინანსური განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების, კონკურსებისა და საინფორმაციო კამპანიების შესახებ ინფორმაციით.

2025 წლის განმავლობაში ფინედუს ვებგვერდს 170 ათასამდე უნიკალური მომხმარებელი ესტუმრა. მაღალი იყო აქტივობა სოციალურ ქსელებშიც: ფეისბუქით 2 მილიონზე მეტ მომხმარებელს მისწვდა, ინსტაგრამისა და ლინკდინის გვერდების გამომწერების რაოდენობამ კი 6,000-ს მიაღწია.

საინფორმაციო კამპანიები სოციალურ ქსელში

2025 წლის განმავლობაში ფინედუზე ფინანსური განათლების ძირითადი თემების პოპულარიზაციისა და ცნობიერების ასამაღლებელი რამდენიმე თემატური საინფორმაციო კამპანია განხორციელდა. მათი ნაწილი სამიზნე სეგმენტებისთვის იყო განკუთვნილი, ნაწილი - ამა თუ იმ თემის ფართო აუდიტორიისთვის გაცნობის მიზნით ჩატარდა.

ქალებისადმი მიძღვნილი კამპანიები მათ გაძლიერებისა და ფინანსური განათლების ამაღლების იდეას ატარებდა. 3-8 მარტს ფინედუს პლატფორმაზე ქალების კვირეული გამოცხადდა, ხოლო 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით ფინედუ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კამპანიას შეუერთდა. გამოქვეყნდა მასალები ქალებში სამეწარმეო საქმიანობის წასახალისებლადაც.

გარდა ამისა, განხორციელდა მცირე თემატური კამპანიები, რომლებიც, მიეძღვნა 22 აპრილს - დედამიწის საერთაშორისო დღეს, 27 ივნისს - მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო დღეს, 17 ნოემბერს - სტუდენტთა საერთაშორისო დღეს, 19 ნოემბერს - მეწარმე ქალთა საერთაშორისო დღეს.

ფინედუს ფეისბუქარხის პირდაპირი ჩართვები - „ექსპერტი ფინედუზე"

2025 წელსაც გაგრძელდა 2021 წელს დაწყებული ფეისბუქის პროექტი „ექსპერტი ფინედუზე", რომელიც აუდიტორიას მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხების ობიექტურ და კომპეტენტურ გაშუქებას სთავაზობდა. მოწვეული პროფესიონალები ფინანსებსა და ფინანსურ გადაწყვეტილებებზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოქმედ ფაქტორებს განიხილავდნენ.

2025 წელს პროექტის „ექსპერტი ფინედუზე" 7 სესია გაიმართა, რომლებშიც სპიკერებად მოწვეულმა საქართველოს ეროვნული ბანკისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სასაუბრო თემებით მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხები მიმოიხილეს.

ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები

უკვე წლებია, ფინანსური განათლების გავრცელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სხვადასხვა თემატური კამპანიას. 2025 წლის განმავლობაშიც ფინედუ ვებგვერდისა და სოციალური არხების გამოყენებით ცნობიერების ასამაღლებელ არაერთ საერთაშორისო თარიღს გამოეხმაურა. მათ შორის იყო: ფულის გლობალური კვირეული, დაზოგვის მსოფლიო დღე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე, დაზღვევის დღე საქართველოში, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, კიბერუსაფრთხოების თვე.

ფულის გლობალური კვირეული

ფულის გლობალურ კვირეულს საფუძველი 2012 წელს ჩაეყარა და ყოველწლიურად 170-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება. მისი მიზანი ბავშვებსა და ახალგაზრდებში ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო თემებისადმი ინტერესის გაღვივება, ცნობიერების ამაღლება და პოპულარიზებაა.

2025 წელს ფულის გლობალური კვირეულის დევიზი იყო: „დაფიქრდი, სანამ აჰყვები, მართე ფული გონივრულად" (Think before you follow, Wise money tommorow), სლოგანი - „ისწავლე. დაზოგე. გამოიმუშავე" (Learn.Save.Earn.), ხოლო მთავარ თემებად - ფული, ფულთან დაკავშირებულ საკითხები, გონივრული ხარჯვა და ფინანსური უსაფრთხოება გამოცხადდა.

ამ საერთაშორისო ღონისძიებას საქართველო 2025 წელს მეთერთმეტედ შეუერთდა. კამპანია, რომელიც 17 მარტიდან 11 აპრილამდე მიმდინარეობდა, ტრადიციულად, ფინედუს ორგანიზებით წარიმართა, სხვადასხვა რესურსით კი მასში ჩართულები იყვნენ პარტნიორი ორგანიზაციები: საქართველოს საბანკო ასოციაცია, სს „თიბისი ბანკი", სს „ბაზისბანკი", სს „ტერაბანკი", სს „კრედო ბანკი", სს „მიკრობანკი ემბისი" და ეროვნული სასახლე.

ფულის გლობალური კვირეულის ფარგლებში ჩატარდა 2 ღონისძიება:

- „მოიწვიე ფინედუ კლასში" - სახალისო და თამაშზე დაფუძნებული ღია გაკვეთი-

ლები საქართველოს ეროვნული ბანკისა და პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლების მონაწილეობით. პროექტის ფარგლებში III-XII კლასებს ფინედუს დესპანის სტატუსით ესტუმრნენ და მოსწავლეებს ფინანსური განათლების თემებთან დაკავშირებული ღია გაკვეთილები ჩაუტარეს. პროექტში საქართველოს ეროვნული ბანკის 40-მდე და სს „თიბისი ბანკი", სს „ბაზისბანკის", სს „ტერაბანკის", სს „კრედო ბანკისა" და სს „მიკრობანკი ემბისის" 50-მდე თანამშრომელი ჩაერთო. მთელი საქართველოს მასშტაბით ღია გაკვეთილი ჯამურად 72 სკოლის 110 კლასში, 2,722 მოსწავლეს ჩაუტარდა, საიდანაც 68% რეგიონების სკოლებიდან იყო. გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეებს სპეციალური საგანმანათლებლო მასალა, მათ შორის, სამაგიდე თამაშები, ხოლო პროექტში ჩართულ პედაგოგებს მხარდაჭერის სერტიფიკატები გადაეცათ;

- ნახატების კონკურსი „ლარი 30 წლისაა" - მასში საქართველოში მცხოვრები 6-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები მონაწილეობდნენ, რომელთაც 30 ლარიანი ბანკნოტის ნახატის შექმნა ევალებოდათ. საკონკურსოდ 560 ნამუშევარი შემოვიდა, საიდანაც საბოლოოდ 4 გამარჯვებული შეირჩა. გამარჯვებულებს სერტიფიკატები, ფულადი პრიზები და საგანმანათლებლო მასალა გადაეცათ. პროექტის მხარდამჭერები იყვნენ სს „ბაზისბანკი", სს „ტერაბანკი", სს „კრედო ბანკი" და საქართველოს საბანკო ასოციაცია.

დაზოგვის მსოფლიო დღე

დაზოგვის მსოფლიო დღე, 31 ოქტომბერი, რომელიც დაარსებიდან უკვე 101 წელს ითვლის, 2025 წელს საქართველოში მეთოთხმეტედ აღინიშნა. ინიციატივის მიზანი მოსახლეობაში, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებში, დაზოგვის სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და დაზოგვის წახალისებაა.

დაზოგვის მსოფლიო დღის მხარდასაჭერად ღონისძიება „მოიწვიე ფინედუ კლასში" სხვადასხვა ფორმატით განხორციელდა და ამჯერად გაკვეთილები V-XII კლასების მოსწავლეებს ჩაუტარდათ. წელს პირველად ფინედუს დესპანის როლი ეროვნული ბანკის თანამშრომლების შვილებმაც მოირგეს - მათ სახალისო და საინტერესო ღია გაკვეთილი თავისსავე სკოლაში თანატოლებს ჩაუტარეს. გარდა ამისა, დესპანების როლით გაკვეთილები სკოლის მასწავლებლებმაც ჩაატარეს. აღნიშნული ინიციატივა კონკურსის ფორმატით ჩატარდა, რომელსაც 30 გამარჯვებული ჰყავდა. მასწავლებლები წიგნების გამომცემლობების ვაუჩერებით დაჯილდოვდნენ. კონკურსი სს „ბაზისბანკისა" და სს „კრედო ბანკის" მხარდაჭერით ჩატარდა.

2025 წლის ამ კამპანიის ფარგლებში ჩატარებულმა გაკვეთილებმა მთელი საქართველოს მასშტაბით 250-მდე კლასის 5,700-მდე მოსწავლე მოიცვა, აქედან 75% - რეგიონების სკოლებიდან.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე

15 მარტს მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნას 1983 წელს ჩაეყარა საფუძველი. 2025 წელს კამპანიაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან ერთად საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი უწყებები და საფინანსო სექტორი მეხუთედ მონაწილეობდნენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ გამართულ IV საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, ეროვნული ბანკის და სხვა მარეგულირებელი უწყებების ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა.

პანელურ დისკუსიაში ფინანსური განათლების განყოფილების წარმომადგენელმა ბავშვების ფინანსური განათლების ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებზე ისაუბრა, მათ შორის, არაფორმალური განათლების ისეთ პროექტებზე, როგორებიცაა „სკოლა-ბანკი" და „მოიწვიე ფინედუ კლასში". საინფორმაციო კამპანიის პირდაპირი მიზანი მომხმარებლებში საკუთარი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო.

გარდა ამისა, ფინედუს ფეისბუქგვერდზე 10-დან 15 მარტის ჩათვლით პერიოდში მომხმარებელთა უფლებების შესახებ თემატური მინიკონკურსი ჩატარდა. მონაწილეებს შეთავაზებულ „თავსატეხებში" სხვადასხვა დებულების სიზუსტის შეფასება ევალებოდათ.

დაზღვევის დღე საქართველოში

ეროვნული ბანკის და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით, საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის მხარდაჭერითა და სადაზღვევო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით, 2022 წლიდან 2 მაისს საქართველოში დაზღვევის დღე აღინიშნება. ამ დღის დაარსების მიზანი საზოგადოებაში დაზღვევის შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო.

2025 წელს დაზღვევის დღის აღნიშვნას ეროვნული ბანკი ფინედუს ციფრულ პლატფორმებზე საინფორმაციო კამპანიით გამოეხმაურა, რომლის ფარგლებში, ასევე, ჩატარდა პოსტერების ღია კონკურსი „თუ მომავალი დაზღვეულია". კონკურსი სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან ერთად და სს „ბაზისბანკის", სს „პსპ დაზღვევას", სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას", სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელის", სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგისა" და სს „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას" მხარდაჭერით ჩატარდა. კონკურსში 300-მდე ნამუშევარი შემოვიდა. სულ 6 გამარჯვებული გამოვლინდა, რომლებსაც კონკურსის მხარდამჭერებისგან ფულადი პრიზები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

ეროვნული ბანკი ფინედუს ინიციატივითა და ორგანიზებით 2025 წელს უკვე მეხუთედ გამოეხმაურა 12 აგვისტოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს. სწორედ ამ თარიღში გამოცხადდა გუნდების კონკურსი „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის", რომლის ფარგლებში 15-25 წლის მონაწილეებისგან შემდგარ გუნდებს დაევალათ თავიანთი თაობის ახალგაზრდებზე მორგებული ფინანსური განათლების გავრცელების პროექტების შექმნა. კონკურსში 22-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, საბოლოოდ კი 17 ოქტომბერს სამი გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა. გამარჯვებულმა გუნდებმა ფულადი პრიზები მიიღეს. კონკურსის მხარდამჭერები იყვნენ: სს „თიბისი ბანკი", სს „ბაზისბანკი" და საქართველოს საბანკო ასოციაცია.

კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების თვე

2004 წლიდან ოქტომბერი მსოფლიო მასშტაბით კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების თვეა. ყოველწლიური საინფორმაციო კამპანიის მიზანია საზოგადოებას შეახსენოს ონლაინ უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელობა, მიაწოდოს ინფორმაცია, როგორ დაიცვან პერსონალური მონაცემები და თავიდან აიცილონ კიბერშეტევები. საქართველოს საფინანსო სექტორი ეროვნული ბანკის ინიციატივით აღნიშნულ კამპანიას 2025 წელს უკვე მეხუთედ შეუერთდა.

13 ოქტომბერს ფინედუს ინიციატივით, სს „ბაზისბანკისა" და საქართველოს საბანკო ასოციაციის მხარდაჭერით გამოცხადდა ღია კონკურსი სახელწოდებით „კიბერუსაფრთხოება იუმორით". მასში მონაწილეობა საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ფიზიკურ პირს შეეძლო. კონკურსანტებს კიბერუსაფრთხოებისა და ფინანსური უსაფრთხოების თემებზე შემოქმედებითი და იუმორისტული ვიზუალური მასალის შექმნა ევალებოდათ. 140 საკონკურსე ნაშრომიდან 30 ოქტომბერს ოთხი გამარჯვებული გამოვლინდა. კონკურსის მხარდამჭერი სს „ბაზისბანკი" იყო.

კონკურსები ფინანსური განათლების თემაზე

მოქალაქეებში ფინანსური განათლების მიმართ დაინტერესების ამაღლებისა და საკითხების პოპულარულ ენაზე მიწოდების მიზნით ეროვნული ბანკი ფინედუს არხების მეშვეობით სხვადასხვა თემატურ კონკურსს 2025 წლის განმავლობაშიც აცხადებდა. გარდა ზემოაღნიშნული კონკურსებისა, რომლებიც ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა კამპანიის ფარგლებში ჩატარდა, სხვა მინიკონკურსებთან ერთად, აღსანიშნავია ქვემოთ მოცემული კონკურსებიც.

კონკურსი - „ფინანსური ასოციაციობანა"

კონკურსი „ფინანსური ასოციაციობანა" მასწავლებლების მიერ, ამავე სახელწოდების სამაგიდო თამაშის გამოყენებით, ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო აქტივობის ჩატარებას ითვალისწინებდა. საკონკურსო ნამუშევრები 2025 წლის 15 მარტამდე მიიღებოდა. 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომპანია „თამაშობანას" წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჟიურიმ ორი გამარჯვებელი მასწავლებელი გამოავლინა. გამარჯვებულებს და მათს მოსწავლეებს სს „საქართველოს ბანკის" მიერ დაფინანსებული საპრიზო ფონდის ფარგლებში „თამაშობანა მზიურის" გასართობ-საგანმანათლებლო ცენტრში ექსკურსიისა და სპექტაკლზე დასწრების ვაუჩერი, ასევე, საქართვე-

ლოს ეროვნული ბანკის საკოლექციო მონეტები გადაეცათ.

კონკურსის ფარგლებში შემოსული საკლასო აქტივობების აღწერები ფინედუს ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რაც დამატებითი რესურსი იქნება დაინტერესებული მასწავლებლებისთვის.

კონკურსი - „ფინედუს კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"

23 აპრილს, წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღეს, ფინედუმ სს „ბაზისბანკისა“ და სს „მიკრობანკი ემბისის“ მხარდაჭერით სკოლებისა და მასწავლებლებისათვის კონკურსი სახელწოდებით „ფინედუს კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში" გამოაცხადა. კონკურსი საქართველოს რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფინანსური განათლების თემებზე ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა და მასში მონაწილეობის მიღება თბილისის გარდა საქართველოს ნებისმიერი საჯარო თუ კერძო სკოლის მასწავლებლებს შეეძლოთ.

კონკურსის პირობების თანახმად, დაინტერესებულ მასწავლებლებს სკოლის ბიბლიოთეკაში ფინანსური განათლების კუთხის შექმნის საჭიროების დამასაბუთებელი პროექტის წარმოდგენა ევალებოდათ. 63 კონკურსანტიდან საბოლოოდ 21-მა სკოლამ გაიმარჯვა. გამარჯვებულ სკოლებს „ფინედუს კუთხის" შესაქმნელად საგანმანათლებლო მასალები მიეწოდათ. მოგვიანებით კი ყველა სკოლაში ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა საგანმანათლებლო შეხვედრებიც ჩაატარეს.

ფინანსური განათლების ეროვნული ჯილდო

2025 წლის 9 სექტემბერს ეროვნულმა ბანკმა სს „ბაზისბანკის" მხარდაჭერით კონკურსი „ფინანსური განათლების ეროვნული ჯილდო" გამოაცხადა, კონკურსის მიზანი სკოლებში ფინანსური განათლების დანერგვაში გამორჩეული მასწავლებლების გამოვლენა და დაჯილდოება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფინანსური განათლების გაძლიერება, მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლება და ინოვაციური სასწავლო მეთოდების წახალისება იყო.

კონკურსი, რომელის პირობების თანახმად საკონკურსო განაცხადის მიღების ვადად 2026 წლის 15 მაისიდან 15 ივნისამდე პერიოდი განისაზღვრა, ორ ეტაპად წარიმართება. პირველი ეტაპი, რომელიც 2026 წლის 1 სექტემბერს ჩატარდება 5 ფინალისტს გამოავლენს, ხოლო ეროვნული ჯილდოს მფლობელი მასწავლებელი 9 სექტემბერს გამოცხადდება. კონკურსის გამარჯვებულს ფულად პრიზს სს „ბაზისბანკი" გადასცემს.

კონკურსი სტუდენტებისთვის, „მარეგულირებლის დილემა"

9 ოქტომბერს ფინედუმ სს „თიბისი ბანკის", სს „ბაზისბანკის", სს „კრედო ბანკისა" და სს „მიკრობანკი ემბისის" მხარდაჭერით სტუდენტური კონკურსი „მარეგულირებლის დილემა" გამოაცხადა. კონკურსის მიზანი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტებში საფინანსო სისტემისა და ცენტრალური ბანკის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებების წახალისება იყო. კონკურსი სამ ეტაპად - განაცხადების წარდგენა, პირველი რაუნდი და ფინალური რაუნდი - მიმდინარეობდა. პირველ რაუნდში 20 გუნდი მონაწილეობდა. 5 დეკემბერს, ფინალურ რაუნდში, სამი გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა, რომლებსაც კონკურსის მხარდამჭერებისგან ფულადი პრიზები გადაეცათ.

ინტერაქციული საგანმანათლებლო მასალა, ფინანსური განათლების სპექტაკლი

2025 წელი გამორჩეული იყო შექმნილი საგანმანათლებლო მასალის სიმრავლით. სხვადასხვა მიზნობრივი სეგმენტისთვის განკუთვნილი ბეჭდური რესურსები სახალისოდ, თამაშით სწავლების მეთოდებს დაეფუძნა. მასალების ონლაინ ვერსიები ატვირთული და ხელმისაწვდომია ფინედუს ვებგვერდზე.

„წინ და წინ: ფინანსობანა" - პირველი საბავშვო ინტერაქციული სპექტაკლი ფინანსებზე

ეროვნული ბანკის ინიციატივითა და შინაარსობრივი მხარდაჭერით კომპანია „თამაშობანამ" ფინანსური განათლების თემაზე პირველი ქართული საბავშვო ინტერაქციული სპექტაკლი „წინ და წინ: ფინანსობანა" შექმნა. სპექტაკლის პრემიერისა და რეგიონებში გასტროლების მხარდამჭერები გახდნენ სს „ლიბერთი ბანკი", სს „საქართველოს ბანკი", სს „თიბისი ბანკი“ და სს „ბაზისბანკი". სპექტაკლს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ესწრებოდნენ. ინტერაქციული თე-

ატრალურ წარმოდგენაზე ისინი დაზოგვის, მეწარმეობის, ფინანსური მიზნებისა და ფინანსური უსაფრთხოების საკითხებს გაეცნენ. წარმოდგენები ნოემბერში ბათუმში, ოზურგეთში, ქუთაისში, გორში, გურჯაანში, თელავსა და ბორჯომში გაიმართა და მას საქართველოს 7 ქალაქში ჯამურად 8-დან 12 წლამდე ასაკის 1,000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

კომიქსები ფინანსური განათლების შესახებ

ეროვნული ბანკის ინიციატივით, ასევე, სს „ბაზისბანკის", მისო „კრისტალის", სს „თიბისი ბანკის", სს „საქართველოს ბანკის", სს "კრედო ბანკისა" და სს „ლიბერთი ბანკის" მხარდაჭერით ოთხი საბავშვო კომიქსი - „ბიუჯეტირება და დაზოგვა", „ინვესტიციების მართვა", „მეწარმეობა" და „ფინანსების მცველები" შეიქმნა. კომიქსები მოზარდებს ფინანსური განათლების საკვანძო საკითხებს სახალისოდ, მათი თანატოლი გმირების ისტორიების მეშვეობით აცნობს.

სამაგიდო თამაში „ფინანსური სისტემის გზამკვლევი"

„ფინანსური სისტემის გზამკვლევი" 15+ წლის ასაკის მომხმარებლებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო სამაგიდო თამაშია, რომელიც მოთამაშეებს ფინანსური სისტემის მონაწილე ორგანიზაციების ფუნქციებს აცნობს.

სამაგიდო თამაში „გამოიცანი სიტყვა"

„გამოიცანი სიტყვა" საგანმანათლებლო სამაგიდო თამაშია, რომელიც 12+ წლის ასაკის მოზარდებისთვის შეიქმნა. თამაში 30 ბარათისგან შედგება და ფინანსური წიგნიერების სახალისო და ინტერაქციული გზით სწავლებას უწყობს ხელს.

ფაზლები ლარის სხვადასხვა ბანკნოტის გამოსახულებით

ლარის ბანკნოტების გამოსახულებიანი ფაზლები 8+ წლის ასაკის მოზარდებს ქართული ფულის უკეთ გაცნობაში ეხმარება.

კროსვორდების კრებული

შემეცნებითი კროსვორდების კრებული მცირე ზომის ბროშურაა, რომელიც 12+ წლის ასაკის მოზარდებისთვისაა განკუთვნილი. აღნიშნული მასალა ახალგაზრდებს ფინანსური ტერმინების შესწავლასა და განმტკიცებაში ეხმარება.

ფლაერები - „ჩემი ფინანსური მეგზური"

ბიუჯეტირება, დაზოგვა, სესხება, საბანკო ტერმინები, ფინანსური უსაფრთხოება, მომხმარებლის უფლებები, ფინანსური სისტემა და ფული, ცხოვრებისეული სიტუაციები, მეწარმეები - ეს იმ თემების ჩამონათვალია, რომელთა შესახებაც ფლაერები შემუშავდა. ფინანსური განათლების საკვანძო საკითხების გარდა მასზე მოცემულია QR კოდები, რომელთა დახმარებითაც მკითხველი გადამისამართდება ფინედუს გვერდზე თემასთან დაკავშირებულ რჩევების გასაცნობად.

საგანმანათლებლო აქტივობები მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის

2025 წლის განმავლობაში ფინედუს საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და ტრენინგებში 394 მასწავლებელი ჩაერთო. გარდა ამისა, წლის განმავლობაში ამ სეგმენტისთვის არაერთი ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის, ფინანსური განათლების კლუბების ვიზიტები ეროვნულ ბანკში, ტრენინგები რეგიონებში, უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში, ასევე, სხვა კერძო ინიციატივების მხარდაჭერა.

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების ტრენინგები

2025 წლის განმავლობაში გრძელდებოდა საგნის „მოქალაქეობა" მასწავლებლებისთვის ტრენინგები. 5 დღიანი (15 სთ.) ტრენინგსესიები ორ ფორმატში, ონლაინ და პირისპირ ჩატარდა. სესიებზე განხილული იყო VII-IX კლასებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ფინანსური და ეკონომიკური საკითხები. წლის განმავლობაში აღნიშნული ტრენინგებით 112 მასწავლებელი გადამზადდა.

მასწავლებელთა ტრენინგები - „სკოლა-ბანკი"

2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი პროექტით „სკოლა-ბანკი" მასწავლებლების გადამზადებასაც განაგრძობდა. აღნიშნული სატრენინგო მოდული საქართველოს ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „Aflatoun International"-ის მიერ VII-IX კლასის მოსწავლეებისთვის შემუშავებული ფინანსური განათლების პროგრამაა. 2025 წლის განმავლობაში ტრენინგებს ჯამურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონის და ქალაქის სკოლების 89 მასწავლებელი დაესწრო.

ფინანსური განათლების კლუბების სტუმრობები ეროვნულ ბანკში

ეროვნული ბანკის სპეციალური პროექტის ფარგლებში სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში არსებული ფინანსური განათლების კლუბებისათვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებზე მოწვევის შეთავაზება დაინიცირდა. ინიციატივა გათვალისწინებული იყო VIII-XII კლასის მოსწავლეებისა და პროფესიული სასწავლებლების 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის. ინიციატივის ფარგლებში საგანმანათლებლო სესიები საქართველოს ეროვნული ბანკის სათავო ოფისსა და საკასო ცენტრში ჩატარდა და მას ჯამში 114 მოსწავლე დაესწრო.

ლექცია ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU)

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით და ფინედუს მხარდაჭერით პროექტის „KIU-ს საბავშვო უნივერსიტეტი“ ფარგლებში საჯარო ლექცია ჩატარდა. ლექციას იმერეთის რეგიონის IX-XII კლასების 400-მდე მოსწავლე დაესწრო.

კერძო ინიციატივების მხარდაჭერა

2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი ფინანსური განათლების თემაზე განხორციელებულ სხვადასხვა კერძო ინიციატივასაც უჭერდა მხარს.

ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების განყოფილების წარმომადგენელი საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და სს „ტერაბანკის“ ორგანიზებით 6-10 დეკემბერს გამართულ ახალგაზრდულ ჰაკათონში ჩაერთო და მონაწილეებს ფინანსური განათლებისა და ფინანსური უსაფრთხოების თემებზე ესაუბრა.

აღნიშნულის ფარგლებში ფინანსური განათლების განყოფილების თანამშრომელი ორგანიზაცია „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს" მოსწავლეთა კონკურსის „წლის მოსწავლეთა კომპანია 2025"-ის ფინალში ჟიურის სტატუსით ჩაერთო და ყველა ფინალისტს საგანმანათლებლო მასალა გადასცა. 15 ივნისს კი საერთაშორისო კონკურსის SACE Ceorgia 2025-ის ფინალის ღონისძიებაში მიიღო მონაწილება და მონაწილეებს ფინანსური განათლების მნიშვნელობაზე ესაუბრა, მონაწილეებს კი საგანმანათლებლო მასალა გადასცა. ღონისძიებას 9 ფინალისტი გუნდის 50-მდე მონაწილე ესწრებოდა.

2025 წლის ფარგლებში მხარდაჭერილ პროექტებს შორის იყო, ასევე, ორგანიზაცია „ნოვატორთა აუდიტორიის" „ინტელექტიადა 2025 - ზამთრის სეზონის" მიერ ჩატარებული ინტელექტუალური თამაშების ღონისძიება. ის იმერეთის რეგიონის მასშტაბით ჩატარდა და კერძო და საჯარო სკოლების 127-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ფინედუ პროექტში ფინანსური განათლების თემატური შეკითხვებით წარდგა. სპეციალური შეკითხვები V-VII და VII-IX კლასების 500-მდე მოსწავლისათვის ორ კატეგორიაში მომზადდა. გამარჯვებულებს კი ბრენდირებული ნივთები და საგანმანათლებლო მასალა გადაეცათ.

თემატური შეხვედრები და ტრენინგები ახალგაზრდებთან

ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა 2025 წლის განმავლობაში სხვადასხვა საგანმანათლებლო შეხვედრა ჩაატარეს.

ივლისში საგანმანათლებლო შეხვედრა შაორის ახალგაზრდულ ბანაკში ჩატარდა, სადაც ორ ნაკადად გამართულ შეხვედრებს 200-მდე ახალგაზრდა დაესწრო.

სტუდენტების საერთაშორისო დღის კამპანიის ფარგლებში „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა“ და „მარნეულის კოლეჯის" სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგკურსი სახელწოდებით „ფინანსური განათლების გზამკვლევი სტუდენტებისთვის".

საგანმანათლებლო აქტივობები რეგიონის მოსახლეობისთვის - „პროექტი ფინედუს ტრენერი“

2025 წელს რეგიონების მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სხვადასხვა აქტივობის დროს. მათ შორის ცალკე აღსანიშნავია ე.წ. მულტიპლიკატორების პროექტი „ფინედუს ტრენერი“. აღნიშნული პროექტი 2024 წელს სს „საქართველოს ბანკის“ მხარდაჭერით დაიწყო და რეგიონის მოსახლეობაზე ადგილობრივი წარმომადგენლების საშუალებით წვდომას ისახავდა მიზნად. პროექტის ფარგლებში შერჩეულმა და გადამზადებულმა 11-მა ტრენერმა კი 2025 წლის განმავლობაში რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობასთან 89 შეხვედრა ჩაატარა, სადაც დამსწრეთა რაოდენობამ 967 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ სოფლების უმეტესობა, რომელშიც შეხვედრები ჩატარდა, საზღვრისპირა იყო.

ფინანსური განათლების აქტივობები ემიგრანტებისათვის

ემიგრანტებისა და მათი ოჯახების სეგმენტი ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ერთერთი პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფია. ამ ჯგუფის საჭიროებებისა და გამოწვევების საპასუხოდ 2025 წელს არაერთი საგანმანათლებლო აქტივობა და სამუშაო შეხვედრა განხორციელდა, მათ შორის, „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) - გაეროს მიგრაციის სააგენტოს მისია საქართველოშის“ მიერ ორგანიზებული სამუშაო ჯგუფების ფარგლებში.

საინფორმაციო შეხვედრა იტალიაში მცხოვრები ემიგრანტებისათვის

21 სექტემბერს იტალიის ქალაქ ფლორენციაში ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების განყოფილების/ფინედუს წარმომადგენელი ქართველ ემიგრანტებს შეხვედა. იტალია პირველი ქვეყანა იყო, სადაც ფინედუს წარმომადგენელმა ემიგრანტებთან პირისპირ შეხვედრა გამართა. მონაწილეებს ფინანსური განათლების მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ: ბიუჯეტის დაგეგმვა, თანხის დაზოგვა, საბანკო და ფინანსური პროდუქტები, ფინანსური მიზნების მიღწევის მექანიზმები და ა.შ. თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაფართოების საშუალება ჰქონდათ. შეხვედრა ინტერაქციულად წარიმართა - დასმულ შეკითხვებზე მონაწილეებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს. დასასრულს კი მათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები დაურიგდათ. პროექტი სს „საქართველოს ბანკის“ მხარდაჭერით განხორციელდა.

ფინანსური განათლების ვებინარები და ტრენინგები ემიგრანტებთან

15 ოქტომბერს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების განყოფილების/ფინედუს წარმომადგენელი სს „ტერაბანკის“ მიერ ემიგრანტებისთვის ორგანიზებულ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ვებინარში ჩაერთო და მონაწილეებს ფინანსური განათლების სხვადასხვა საკითხზე ესაუბრა.

ემიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი საინფორმაციო-საგანმანათლებლო ტრენინგი ქალაქ ქუთაისში, მოგვიანებით კი ონლაინ ფორმატითაც ჩატარდა. მოწვეულნი იყვნენ, ასევე, წარმომადგენლები ორგანიზაციებიდან: სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და სს „საქართველოს ბანკი“.

პანელური შეხვედრა ემიგრანტებისთვის

18 დეკემბერს, მიგრანტთა საერთაშორისო დღეს, ფეისბუქის პირდაპირი ეთერის (ე.წ. Facebook Live-ის) ფორმატში ჩატარდა პანელური შეხვედრა თემაზე „საინვესტიციო და სამეწარმეო შესაძლებლობები ემიგრანტებისთვის“. პანელზე ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს „თიბისი კაპიტალის“, „გალტ ენდ თაგარტის“, „ფორსაით ინვესტმენტ გრუპის“ და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ წარმომადგენლებმაც.

საქართველოს ეროვნული ბანკი OECD-ს მიერ ორგანიზებულ ფინანსური განათლების საერთაშორისო კონფერენციაზე

7-9 ოქტომბერს ეროვნული ბანკის თანამშრომლებმა ფინანსური განათლების თემაზე გამართულ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. კონფერენცია ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (OECD/INFE) ორგანიზებით გაიმართა. კონფერენციის მთავარი თემა „ფინანსური განათლების ტენდენციები და გამოწვევები" იყო. ღონისძიებაში სხვადასხვა ქვეყნის 50-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ვორქშოფი თემაზე - „ფინანსური განათლება სოფლებისა და მოშორებული რეგიონების მოსახლეობისთვის", რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები და საქართველოს გამოცდილება გაუზიარეს.

6.2 სტრატეგიული პროექტები

„საგანმანათლებლო სივრცე“- ცოდნის გაზიარების ონლაინ პლატფორმა

2025 წელს აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა „საგანმანათლებლო სივრცის“ ონლაინ პლატფორმის პროექტზე. ონლაინ სწავლების პლატფორმის მიზანია ხელი შეუწყოს პროფესიული ცოდნის გაზიარებას, გააძლიეროს

რეგიონში არსებული შესაძლებლობები და საგანმანათლებლო რესურსები გახადოს დისტანციურად ხელმისაწვდომი ფართო აუდიტორიისთვის. ამასთანავე, პლატფორმა ცოდნის გაზიარებას უფრო თანამიმდევრულ პროცესად აქცევს.

მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, პროექტი გადავიდა განვითარების მომდევნო ეტაპზე — დაიწყო ონლაინ სწავლების პლატფორმის შექმნა, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური ბაზის გამართვა და პროგრამული უზრუნველყოფა. პარალელურად, მიმდინარეობდა სასწავლო მასალების ადაპტაცია, კურიკულუმების მომზადება, სასწავლო პროგრამების სტრუქტურირება და ინტერაქციული ფორმატების შექმნა (ტესტები და სხვ.).

2025 წელს პლატფორმა სატესტო რეჟიმზე გადასასვლელად მომზადდა. 2026 წლის ბოლომდე დაგეგმილია დემო ვერსიის გაშვება და გატესტვა, ფუნქციონალის შემოწმება, სასწავლო რესურსების ინტეგრაცია და პლატფორმის გამოყენების პრაქტიკული სცენარების გამოცდა, რათა მომავალში უზრუნველყოფილი იყოს მისი ეფექტიანი და მასშტაბური დანერგვა.

საგანმანათლებლო პროგრამა არასაბანკო სექტორისთვის

ეროვნულმა ბანკმა საგანმანათლებლო სივრცის პროექტის ფარგლებში არასაბანკო სექტორის წარმომადგენლებისთვის სემინარების სერია გამართა თემაზე: „არასაბანკო სექტორის მდგრადობა: გამჭვირვალობა და ანგარიშგება“.

სემინარები ჩატარდა როგორც რეგიონებში (ქუთაისი, ბათუმი), ასევე თბილისში და მოიცვა 200-მდე ვალუტის გადამცვლელი პუნქტის წარმომადგენელი.

სასწავლო პროგრამა მოიცავდა არასაბანკო სექტორის მარეგულირებელ მოთხოვნებს, ფინანსური ანგარიშგებისა და ელექტრონული პორტალის გამოყენებას, საოპერაციო რისკების მართვას, კორპორატიულ მართვას და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) პრევენციულ ზომებს.

სემინარები ინტერაქციულ ფორმატში ჩატარდა და მიზნად ისახავდა სექტორში პროფესიული ცოდნის გაღრმავებას, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის გაძლიერებასა და საფინანსო სექტორის სტაბილურობის ხელშეწყობას.

საერთაშორისო თანამშრომლობა

2025 წელს, სტრატეგიული პროექტების განყოფილების ჩართულობით, ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვნად გააძლიერა თანამშრომლობა პარტნიორ ცენტრალურ ბანკებთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და აფრიკაში. თანამშრომლობა მოიცავდა მონეტარული პოლიტიკის, მაკროეკონომიკური ანალიზის, ფინანსური სტაბილურობის, საბანკო რეზოლუციის ჩარჩოების, ზედამხედველობისა და AML პრაქტიკების, რისკების მართვის, ფინტექისა და საზედამხედველო ტექნოლოგიების, ასევე კაპიტალის ბაზრების განვითარების საკითხებზე გამოცდილების გაცვლას.

ამას გარდა, გამოცდილების გაზიარების მიზნით, სტრატეგიული პროექტების განყოფილების თანამშრომლები სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ სომხეთის ცენტრალური ბანკის დილიჯანის ტრენინგ ცენტრს. შეხვედრის ფარგლებში, განხილული იყო სასწავლო ცენტრის მართვის სტრატეგიული მიდგომები და ადმინისტრაციული და საოპერაციო გადაწყვეტილებები.

პარტნიორობა CCAMTAC-თან

ეროვნულმა ბანკმა აქტიურად განაგრძო თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კავკასიის, ცენტრალური აზიისა და მონღოლეთის შესაძლებლობების განვითარების რეგიონულ ცენტრთან (CCAMTAC). თანამშრომლობა CCAMTAC-თან მოიცავს სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს რეგიონის ქვეყნების ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებისთვის, მაკროეკონომიკურ პროგნოზირებასთან, საბანკო ზედამხედველობასა და სტატისტიკასთან დაკავშირებულ ტექნიკურ მხარდაჭერას, ასევე ცოდნისა და გამოცდილების აქტიურ გაზიარებას.

2025 წელს, აღნიშნული მჭიდრო თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა. ივნისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა CCAMTAC-ის მმართველი კომიტეტის ორდღიან შეხვედრას თავმჯდომარე ქვეყნის რანგში უმასპინძლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მმართველი კომიტეტის წევრები სხვადასხვა ქვეყნიდან, ასევე - CCAMTAC-ის დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაში მო-

ნაწილეობდნენ სსფ-ის შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე სუბირ ლალი და სსფ-ის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ენდრიუ ჯუველი. შეხვედრაზე შეჯამდა ცენტრის საქმიანობა, განიხილეს მომავალი წლის სამუშაო პროგრამა და რეგიონული თანამშრომლობის პრიორიტეტები. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ბანკთან ერთად ღონისძიების მასპინძელი და თანაორგანიზატორი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საგანმანათლებლო ღონისძიებები ექსპერტთა ჯგუფისთვის

ეროვნულმა ბანკმა, ორგანიზება გაუწია სემინარს თემაზე: „გლობალური ეკონომიკური ტენდენციების ზეგავლენა და რისკები“, რომელიც პროფესიონალებსა და აკადემიურ წრეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და მათთვის ჯანსაღი სადისკუსიო პლატფორმის შეთავაზებას ისახავდა მიზნად. ღონისძიების ფარგლებში განიხილეს რეგიონალური გამოწვევები და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის გზები. სემინარის მიზანი არსებული ეკონომიკური ტენდენციების გამოკვეთა და სამომავლო რისკების ანალიზი იყო. პრეზენტაციები წარადგინეს მსოფლიო ეკონომიკის წამყვანმა ექსპერტებმა და სებ-ის საერთაშორისო მრჩევლებმა - დუგლას ლაქსტონმა (Saddlepoint Research-ის დამფუძნებელი და მაკროეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის ექსპერტი) და დავიდ ვავრამ (OQResearch-ის მმართველი პარტნიორი, მაკროეკონომიკური მოდელირების დიდი გამოცდილებით). სემინარს ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, საფინანსო სექტორის, ანალიტიკური ცენტრების, კვლევითი ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების 80-მდე წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დისკუსიებით საქართველოს ეროვნული ბანკი ხელს უწყობს პროფესიონალებსა და აკადემიურ წრეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და მათთვის ჯანსაღი სადისკუსიო პლატფორმის შეთავაზებას.

ცოდნის გაზიარება სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებისთვის

2025 წელს ეროვნულმა ბანკმა, გამოცდილების გაზიარების მიზნით, 3 ქვეყნის ცენტრალური ბანკის 30-მდე წარმომადგენელს უმასპინძლა:

- ყირგიზეთის ეროვნული ბანკი – 1-5 აპრილს გამართული შეხვედრები შეეხებოდა მონეტარულ პოლიტიკას, მაკროეკონომიკურ-ანალიზსა და სტატისტიკას, ასევე ცენტრალიზებულ რისკების მართვას, ოპერაციულ რისკებსა და ბიზნესის უწყვეტობის მართვას.
- ტაჯიკეთის ეროვნული ბანკი – 2-5 ივნისს მსოფლიო ბანკის ხაზინის RAMP პროგრამის ხელშეწყობით, გაიმართა შეხვედრები ფინანსური ბაზრების, ცენტრალიზებული რისკების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და შიდა აუდიტის საკითხებზე.
- კენიის ცენტრალური ბანკი – 24-26 სექტემბერს სამუშაო შეხვედრები გაიმართა ფინანსური ბაზრების, მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის საკითხებზე.

„საგანმანათლებლო სივრცის“ პროექტის ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო პარტნიორებს გაუზიარა გამოცდილება მონეტარული პოლიტიკის განხორციელების, ფინანსური ბაზრების მართვის, რეზერვებისა და აქტივების მართვის, საბაზრო და საკრედიტო რისკების მართვის, ფინანსური ანგარიშგების სისტემებისა და კიბერრისკების მართვის საკითხებზე.

ბოლო წლებში აღნიშნული პროექტის ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა უმასპინძლა ასევე ყაზახეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებს, ჩატარდა სემინარი ფინანსური პროგრამირებისა და პოლიტიკის საკითხებზე, რომელშიც საქართველოს საჯარო სექტორის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

07.

არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობა

7.1. არასაბანკო სექტორის ზოგადი მიმოხილვა

არასაბანკო საფინანსო სექტორი ხასიათდება სტრუქტურული მრავალფეროვნებით და აერთიანებს როგორც მცირე მასშტაბის, ვიწრო მიმართულებაზე ორიენტირებულ ინსტიტუტებს, ისე ფართო სპექტრის მომსახურების მქონე მსხვილ ორგანიზაციებს. მათ შორის, განსხვავებულია როგორც ბიზნეს-მოდელები, რისკის მართვის დონე, ასევე, დაფინანსების წყაროები და კაპიტალის სტრუქტურა.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არასაბანკო საფინანსო სექტორი წარმოდგენილია 29 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით, 141 სესხის გამცემი სუბიექტით, 510 ვალუტის გადამცვლელი პუნქტით და 1 საკრედიტო კავშირით.

საფინანსო სექტორში, არასაბანკო სექტორის მთლიანი აქტივების 2.7%-იანი წილის მიუხედავად, თანხით 3 მილიარდი ლარი, მნიშვნელოვანია ამ სექტორის როლი ქვეყნის მასშტაბით როგორც ფინანსური ჩართულობის გაძლიერების, ისე დასაქმების კუთხით. კერძოდ, მსესხებლების რაოდენობა მთლიანი საფინანსო სექტორის - 36%, თანამშრომელთა რაოდენობა - 18%, ხოლო ფილიალების რაოდენობა - 43%-ა. ფართო გეოგრაფიული დაფარვა, ქვეყნის მასშტაბით, ფილიალების ჩათვლით 1,378 ერთეული, უზრუნველყოფს ფინანსური სერვისების მიწოდებას იმ ლოკაციებზე, სადაც საბანკო ინფრასტრუქტურა ნაკლებად ხელმისაწვდომია.

მიკროსაფინანსო სექტორის თანმიმდევრული საზედამხედველო ჩარჩოს ჩამოყალიბებამ და კაპიტალის, კორპორაციული მმართველობისა და გამჭვირვალობის მიმართ გამკაცრებულმა მოთხოვნებმა ხელი შეუწყო იმ ორგანიზაციების გამოკვეთას, რომლებიც მზად იყვნენ საქმიანობის უფრო მაღალრეგულატორულ სტანდარტებზე გადასასვლელად.

საფინანსო სექტორის სტრუქტურულ ჭრილში გამოიკვეთა კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის არსებული ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოების განსხვავებით განპირობებული გეპი, ამასთანავე, მიკროსაფინანსო სექტორში მოქმედი ინსტიტუტების განსხვავებული რისკ-პროფილისა და საქმიანობის მასშტაბის პირობებში, სექტორმა შეიძინა მრავალფეროვანი და სტრუქტურულად დიფერენცირებული სახე. აღნიშნული გარემოება ქმნიდა ისეთი ინსტიტუციური ფორმის შექმნის საჭიროებას, რომელიც შეძლებდა ამ ორ სეგმენტს შორის გარდამავალი რგოლის ფუნქციის შესრულებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული მიკრობანკის მოდელი სწორედ აღნიშნული სტრუქტურული გეპის შევსებას ისახავდა მიზნად.

2024 წლიდან დაიწყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ტრანსფორმაციის პროცესი მიკრობანკებად. შედეგად, ორმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მიიღო მიკრობანკის ლიცენზია, მათ შორის, ერთმა 2025 წელს. აღნიშნულმა ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სექტორის გარკვეულ მაჩვენებლებზე, მათ შორის, საკრედიტო პორტფელისა და ვალდებულებების სტრუქტურაზე.

მიკროსაფინანსო სექტორის სტაბილური ზრდისა და რისკების მართვის მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწის პარალელურად, 2025 წლის მეორე ნახევარში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გასაცემი მიკრორკრედიტის მაქსიმალური ზღვრის 100 ათასიდან 200 ათას ლარამდე ზრდის თაობაზე. აღნიშნული ცვლილება ემსახურებოდა მცირე ბიზნესების მზარდი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

გარდა ამისა, მოქმედ რეგულაციებში 2025 წელს შევიდა ცვლილებები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მართვისა და გამართული საოპერაციო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება როგორც რისკების მართვის გაუმჯობესებას და გამჭვირვალობის სტანდარტის ამაღლებას, ისე ანგარიშვალდებულების ზრდას და მდგრად განვითარებას.

სისტემებისა და პროცესების დახვეწის გზით, არასაბანკო საფინანსო სექტორი კვლავ განაგრძობს განვითარებას და დინამიურ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტაციას. სექტორი აქტიურად ავითარებს დისტანციურ და ონლაინ მომსახურების არხებს, ნერგავს ციფრულ ინოვაციებს და ოპერაციული პროცესების ავტომატიზაციის გზით ზრდის ეფექტიანობას.

მომხმარებელთა მომსახურების დივერსიფიკაციის, ოპერაციების გამჭვირვალობის ზრდისა და ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაძლიერების მიზნით, 2025 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა ახალი ტიპის საქმიანობის ნებართვა უნაღდო ფორმით ვალუტის გაცვლის ოპერაციების განხორციელებისთვის და შეიმუშავა შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო.

აღნიშნული ჩარჩოს ფარგლებში, ცალკეული ნებართვის მეშვეობით მკაფიოდ გაიმიჯნა ნაღდი და უნაღდო ფორმით ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის რეგულირების საკითხები, რაც უზრუნველყოფს ბაზრის უფრო სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე ფუნქციონირებას.


ამასთან, განისაზღვრა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და საქმიანობის უფლების გაცემის პირობები, მათი ოპერაციული ვალდებულებები, ანგარიშგების სტანდარტები და სხვა დაკავშირებული მარეგულირებელი მოთხოვნები, რაც ხელს უწყობს სექტორის ეფექტიან ზედამხედველობასა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას. 2025 წელს რეგისტრაცია გაიარა ერთმა უნაღდო ფორმით ვალუტის გადაცვლის განმახორციელებელმა პუნქტმა.

მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და საანგარიშგებო მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით, დისტანციური ზედამხედველობის პარალელურად, 2025 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა არასაბანკო დაწესებულებების ინსპექტირების პროცესი.

7.2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

2025 წლის განმავლობაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 2 ერთეულით შემცირდა და 29 ერთეული შეადგინა. აქედან, ერთი მსხვილი ორგანიზაცია მიკრო ბანკად ტრანსფორმირდა, რაც სექტორის მაჩვენებლებზე შესაბამისად აისახა.


დიაგრამა N 7.1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ფილიალების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში მიკროსაფინანსო სექტორი წარმოდგენილია 379 ლოკაციაზე, საიდანაც 244 ერთეული ფუნქციონირებს რეგიონებში. ამგვარი გეოგრაფიული განაწილება ხელს უწყობს როგორც მოსახლეობის, ისე მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის ფინანსურ ჩართულობას, ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერასა და რეგიონული განვითარების სტიმულირებას.


დიაგრამა N 7.2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალების განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელის სტრუქტურულ განაწილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სექტორიდან ისეთი ორგანიზაციების გასვლამ და მიკრობანკებად გარდაქმნამ, რომლებიც იურიდიული პირების დაკრედიტებაზე იყვნენ მეტწილად ორიენტირებულნი. შედეგად, სექტორში დარჩენილი ორგანიზაციები ძირითადად ემსახურებიან ფიზიკურ პირებს.


დიაგრამა N 7.3. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მსესხებელთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მსესხებლების რაოდენობის მიხედვით, რეგიონალური დაფარვის კუთხით, კვლავ ლიდერია თბილისი 176 ათასი მსესხებლით, რაც სექტორის მსესხებელთა საერთო რაოდენობის 42%-ია.

დიაგრამა N 7.4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მსესხებლების განაწილება რეგიონების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო სექტორი საკმაოდ არაერთგვაროვანია, რადგან იგი შედგება მცირე ორგანიზაციებისგან და ქსელური, მაღალი რეგიონალური დაფარვის მქონე მსხვილი ორგანიზაციებისგან.

პანდემიისა და პოსტპანდემიურ პერიოდში სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, მათ შორის რეგიონებშიც, რაც ხაზს უსვამს სექტორის როლს ქვეყნის მასშტაბით დასაქმების ხელშეწყობაში.


დიაგრამა N 7.5. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თანამშრომელთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანია, რომ 2025 წელს მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიკრობანკად გარდაქმნის მიუხედავად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა შეინარჩუნეს მთლიანი აქტივების ზრდის დინამიკა და წლიურმა ზრდის ტემპმა ამ ეფექტის გარეშე 32% შეადგინა.


დიაგრამა N 7.6. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელის ფაქტიურმა მაჩვენებელმა კლება განიცადა, თუმცა, მიკრობანკის ეფექტის გარეშე, სექტორში დარჩენილი ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და წლიურმა ზრდამ 30%, ხოლო საკრედიტო პორტფელის მთლიანმა მოცულობამ 1.9 მილიარდი ლარი შეადგინა.

დიაგრამა N 7.7. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტორის დაკრედიტების ძირითად მიმართულებას კვლავ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები წარმოადგენს. პორტფელის 71% (1.34 მილიარდი ლარი) ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილ სესხებზე მოდის. შესაბამისად, ამ მაჩვენებლის მაღალი წლიური ზრდის ტემპი (მიკრობანკის ეფექტის გარეშე) დიდწილად საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასის ზრდით არის განპირობებული. იმის გათვალისწინებით, რომ ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები მაღალმოთხოვნადია, სწრაფად გაიცემა და მომხმარებლებისთვის შედარებით მარტივად ხელმისაწვდომია, ოქროს ფასის ზრდა მყისიერად აისახა პორტფელის ზრდის დინამიკაზე.

საკრედიტო პორტფელის დანარჩენი 8% კი სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-მომსახურების სექტორსა და იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე მოდის, თანხით 551 მილიონი ლარი.


დიაგრამა N 7.8. საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელის ხარისხი დინამიკაში ინარჩუნებს გაუმჯობესების ტენდენციას, რაც დაბალი საკრედიტო რისკის მქონე ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი პორტფელის დიდი წილით არის განპირობებული.

დიაგრამა N 7.9. საკრედიტო პორტფელის ხარისხი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო სექტორში სესხებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი სტაბილურად 25%-ის ფარგლებში ნარჩუნდება და აღემატება კომერციული ბანკების საცალო სეგმენტის ანალოგიურ მაჩვენებლებს, რაც განპირობებულია სექტორის ოპერაციული და დაფინანსების სტრუქტურის თავისებურებებით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ძირითადად გასცემენ მცირე მოცულობისა და მოკლევადიან სესხებს, რის შედეგადაც თითოეულ სესხზე მოდის შედარებით მაღალი ადმინისტრაციული და მომსახურების ხარჯი. ამასთან, სესხების მასობრივი და დივერსიფიცირებული პორტფელის მართვა მოითხოვს ინტენსიურ საოპერაციო პროცესებს, რაც ზრდის ერთეულზე დანახარჯს.

დამატებით, სექტორს, კომერციული ბანკებისგან განსხვავებით, შეზღუდული აქვს შედარებით იაფი ფინანსური რესურსების (მაგალითად, დეპოზიტების) მოზიდვის შესაძლებლობა და მეტად არის დამოკიდებული ალტერნატიულ, შედარებით ძვირ წყაროებზე, რაც ზრდის დაფინანსების თვითღირებულებას.


დიაგრამა N 7.10. საკრედიტო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების შემზღუდველი საკანონმდებლო მოთხოვნის უზრუნველყოფით, სექტორში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები მილევად რეჟიმშია და 2025 წლის ბოლოს მხოლოდ 10.7 მლნ ლარს შეადგენს


დიაგრამა N 7.11. საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის ბოლოსთვის თითქმის უცვლელია ვალდებულებების მოცულობა და მისი წილი დაფინანსების სტრუქტურაში.


დიაგრამა N 7.12. დაფინანსების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის ბოლოს მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანი მოზიდული სახსრები 1.36 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც წინა წელთან შედარებით 21.6 მილიონი ლარით ნაკლებია. ვალდებულებების სტრუქტურაში კვლავ დომინანტურ პოზიციას იკავებს საფინანსო ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები, თუმცა, მათი მოცულობა წლის განმავლობაში 69.7 მილიონი ლარით შემცირდა. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად, 61.6 მლნ ლარით გაიზარდა საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდების მოცულობა, რაც მიუთითებს სექტორის მხრიდან კაპიტალის ბაზრის გამოყენების ზრდაზე და დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის ტენდენციაზე.


დიაგრამა N 7.13. ნასესხები სახსრების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კრედიტორი ფიზიკური პირების უცვლელი რაოდენობის ფონზე, წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ გაიზარდა კრედიტორი ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრების მოცულობა.


დიაგრამა N 7.14. ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ერთი მისოს მიკრობანკად ტრანსფორმაციის ეფექტია სექტორში არარეზიდენტი კრედიტორებისგან მოზიდული სახსრების მკვეთრი შემცირება.

დიაგრამა N 7.15. არარეზიდენტების სახსრები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 7.16. არარეზიდენტების სახსრები ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

არარეზიდენტებისგან მოზიდული სახსრების წილის შემცირების პარალელურად შემცირდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების მოცულობაც. რის შედეგადაც ვალდებულებების დოლარიზაციის მაჩვენებელი ისტორიულ მინიმუმზეა, რაც ხელს უწყობს სექტორის მდგრადობას სავალუტო შოკების მიმართ.

დიაგრამა N 7.17. მოზიდული სახსრები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელს სექტორი კვლავ მაღალკაპიტალიზებული რჩება. საზედამხედველო კაპიტალის მდგრადობა ძირითადად გაუნაწილებელი მოების აქტიური რეინვესტირების ხარჯზე ნარჩუნდება. შესაბამისად დაბალია ლევერიჯის (ვალდებულებები/კაპიტალი) მაჩვენებელი და იგი სტაბილურად 2-ის ფარგლებშია.

საზედამხედველო კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებები ძირითადად სექტორიდან ერთი მისოს მიკრობანკად რეგისტრაციას უკავშირდება.


დიაგრამა N 7.18. საზედამხედველო კაპიტალის სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტორში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად კაპიტალის სტრუქტურაში შემცირდა არარეზიდენტების წილი.


დიაგრამა N 7.19. კაპიტალის სტრუქტურა რეზიდენტობის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის კლების მიუხედავად, სექტორის წმინდა მოგების ჯამური მაჩვენებელი მზარდი და მნიშვნელოვანია, რომ 29 ორგანიზაციიდან 26-მა 2025 წელი მოგებით დაასრულა.


დიაგრამა N 7.20. წმინდა მოგების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელსაც სექტორი ინარჩუნებს სტაბილურად მაღალ მარჟას და 15%-ის ფარგლებშია.

დიაგრამა N 7.21. მომგებიანობის მაჩვენებლები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტორი სტაბილურად ინარჩუნებს სპრედს 14-15%-ის ფარგლებში, რაც შემოსავლიანობისა და სახსრების ღირებულების მეტნაკლები სტაბილურობით არის განპირობებული.

2025 წელს ერთი მისოს მიკრობანკად ტრანსფორმაციამ გამოიწვია კაპიტალის შემცირება, ხოლო სექტორის დარჩენილმა ორგანიზაციებმა მოგების ზრდა დააფიქსირეს, რაც ერთობლიობაში აისახა როგორც კაპიტალზე (ROE), ისე აქტივებზე (ROA) უკუგების გაუმჯობესებაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებლები პანდემიის შემდგომ პერიოდში სტაბილურად შენარჩუნებულია და რჩება აქციონერებისთვის მიმზიდველ დონეზე, რაც მიუთითებს სექტორის მდგრად მომგებიანობაზე.


დიაგრამა N 7.22. უკუგება აქტივებზე და კაპიტალზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ხარჯების როგორც შემოსავლებთან, ისე აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტების შემცირება მიუთითებს სექტორის უფრო ეფექტიან მართვაზე და ოპერაციული ეფექტიანობის ზრდაზე, რამაც დადებითად იმოქმედა სექტორის საერთო მომგებიანობაზე.

დიაგრამა N 7.23. ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

7.3. სესხის გამცემი სუბიექტები

2025 წელს სესხის გამცემი სუბიექტების სექტორი შემცირდა 17 ერთეულით და წარმოდგენილია 141 ორგანიზაციით, ფილიალების ჩათვლით 278 ლოკაციაზე. რაოდენობის კლებას, მათი მცირე ზომის გამო, უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია სექტორის ჯამურ მაჩვენებელზე.


დიაგრამა N 7.24. სესხის გამცემი სუბიექტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხის გამცემი სუბიექტების მთლიანი აქტივები 18%-ით გაიზარდა და 697 მლნ ლარი შეადგინა, რაც სტრუქტურაში წმინდა საკრედიტო პორტფელის 16%-იან ზრდას უკავშირდება.


დიაგრამა N 7.25. მთლიანი აქტივების და წმინდა სესხების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არასაბანკო სექტორის მსესხებლების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი სესხის გამცემ სუბიექტებზე მოდის და ძირითადად, ფიზიკური პირებითაა წარმოდგენილი, ვინაიდან ამ სექტორის სპეციფიკა უმეტესწილად გრანულარული/მცირე ზომის სამომხმარებლო და ლომბარდული პროდუქტების მიწოდებაა. გარდა ამისა, სესხის გამცემი ორგანიზაციები პრობლემური სამომხმარებლო სესხების ამოღების მიმართულებითაც ოპერირებენ.


დიაგრამა N 7.26. სესხის გამცემი სუბიექტები და მსესხებელთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხის გამცემი სუბიექტების სექტორის დაფინანსების მოცულობამ არსებითი ზრდა აჩვენა. უნდა აღინიშნოს, რომ სექტორი აძლიერებს საკუთარი სახსრებით დაფინანსების როლს და ამცირებს გარე რესურსებზე დამოკიდებულებას, შესაბამისად, კაპიტალიზაციის ზრდის ხარჯზე ფინანსური მდგრადობა გამტკიცებულია.


დიაგრამა N 7.27. სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხის გამცემი სუბიექტების სექტორის მომგებიანობა 2023–2025 წლებში მერყეობით ხასიათდებოდა. 2025 წელს საპროცენტო მარჟა შემცირდა 11.6%-მდე, თუმცა კაპიტალზე (ROE) და აქტივებზე (ROA) უკუგება გაუმჯობესდა და შესაბამისად 22.5% და 10.6% შეადგინა. საერთო ჯამში, მიუხედავად მარჟის შემცირებისა, სექტორი ინარჩუნებს მაღალ მომგებიანობას, რაც მიუთითებს ეფექტიანობის ზრდასა და მოგების გენერირების უნარის შენარჩუნებაზე.

დიაგრამა N 7.28. სესხის გამცემი სუბიექტების მოგებიანობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

7.4. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები

2025 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 61 ახალი ვალუტის გადამცვლელი პუნქტი და გაიცა 44 ფილიალის საქმიანობის ნებართვა. 56 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს რეგისტრაცია გაუუქმდა, ხოლო 44-ს შეუწყდა ფილიალის საქმიანობის ნებართვა. გაუქმებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან 50-ს რეგისტრაცია საკუთარი განცხადების საფუძველზე გაუუქმდა, რომელთა უმრავლესობაც თბილისში იყო. დანარჩენ პუნქტებს რეგისტრაცია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო გაუუქმდა.


31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობამ 510 შეადგინა, რომლებიც ფილიალებთან ერთად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 718 ლოკაციაზე არიან განთავსებულნი.

დიაგრამა N 7.29. ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფილიალების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 7.30. ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

7.5. საკრედიტო კავშირები

2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით საკრედიტო კავშირის წევრთა რაოდენობის მაქსიმალური ლიმიტი დადგინდა და საკრედიტო კავშირის საქმიანობის პრინციპები განისაზღვრა, რაც ერთი და იმავე თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანებას გულისხმობდა. აღნიშნული ცვლილებები ამ სექტორში დამკვიდრებული არაჯანსაღი პრაქტიკის აღმოფხვრას ემსახურებოდა, რაც საკრედიტო კავშირების მიერ წევრებისგან დეპოზიტების მოზიდვის გზით კოოპერატივის მიზნებისათვის შეუსაბამო საკრედიტო საქმიანობის დაფინანსებას ითვალისწინებდა.

აღნიშნული რეგულაციების შედეგად, სექტორი მნიშვნელოვნად შემცირდა და 2025 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბაზარზე ფუნქციონირებას მხოლოდ ერთი საკრედიტო კავშირი განაგრძობდა, რომლის აქტივების ოდენობა 0.5 მილიონ ლარს შეადგენს.

ინსპექტირება

ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით, გაგრძელდა ადგილზე ინსპექტირების პროცესი. 2025 წელს ჯამურად შემოწმდა 193 სუბიექტი 243 ლოკაციაზე. შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა შესაბამისი საზედამხედველო ღონისძიებები, მათ შორის ფულადი ჯარიმა დაეკისრა 55 სუბიექტს, ჯამურად თანხით 544 ათასი ლარი, ხოლო რეგისტრაცია გაუუქმდა 10 სუბიექტს.

08.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი

8.1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განსავითარებლად განხორციელებული აქტივობები და ბაზრის გამჭირვალობის ხარისხის ასამაღლებლად გატარებული ღონისძიებები

2025 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისა და მისი გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიმართულებით. გატარებულ იქნა რიგი მარეგულირებელი და საზედამხედველო ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებული იყო ბაზრის სტაბილურობის გაძლიერებაზე, ინვესტორთა დაცვასა და ფინანსური სისტემის მდგრადი განვითარების მხარდაჭერაზე.

2025 წელს ეროვნულმა ბანკმა მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწისა და მისი ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა, მათ შორის:

- მნიშვნელოვანი წილის მფლობელებისა და მმართველი ორგანოს წევრების შესაფერისობის მოთხოვნების გაძლიერების მიზნით ცვლილებები განხორციელდა სამ კანონქვემდებარე აქტში[37]. საზედამხედველო პრაქტიკაზე დაყრდნობითა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით განხორციელებული ცვლილებები აყალიბებს ერთიან მიდგომას აქტივების მმართველი კომპანიების, საბროკერო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების მმართველი ორგანოს წევრებისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელების შესაფერისობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. აღნიშნული რეფორმები მიზნად ისახავს ბაზრის მონაწილეთა ლიცენზირებისა და ზედამხედველობის პროცესში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას, ასევე მარეგულირებელი ჩარჩოს დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან[38];
- 2025 წლის 21 აგვისტოს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №197/04 ბრძანებით დამტკიცდა „მწვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესი“. აღნიშნული წესი ვრცელდება ობლიგაციებზე, რომლებიც საჯარო ფასიანი ქაღალდებია, აგრეთვე, ობლიგაციებზე, რომელთა საჯარო შეთავაზება ან საქართველოში ლიცენზირებულ საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვება მოთხოვნილია ეროვნული ბანკისთვის წარდგენილი ემისიის პროსპექტით. წესი განსაზღვრავს ობლიგაციისთვის „მწვანე ობლიგაციის“, „სოციალური ობლიგაციის“, „მდგრადობის ობლიგაციის“ ან „მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციის“ სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების პირობებს. წესში გაზიარებულია მწვანე, გარემოს დაცვის თვალსაზრისით მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების მიმართ ევროკავშირში მოქმედი ჩარჩოს ძირითადი პრინციპები[39];
- 2025 წლის 28 თებერვალს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №51/04 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის

37. - „საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანება;

- „აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №167/04 ბრძანება;

- „საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 11 ნოემბრის №198/04 ბრძანება.

38. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 15 მაისის დირექტივა 2014/65/EU ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრების შესახებ, რომლითაც იცვლება დირექტივები 2002/92/EC და 2011/61/EU; კომისიის 2016 წლის 14 ივლისის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2017/1943, რომელიც ავსებს ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივას 2014/65/EU და ადგენს მარეგულირებელ ტექნიკურ სტანდარტებს საინვესტიციო კომპანიების ავტორიზაციისათვის საჭირო ინფორმაციისა და მოთხოვნების შესახებ; კომისიის 2017 წლის 11 ივლისის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2017/1946, რომელიც ავსებს ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივებს 2004/39/EC და 2014/65/EU და ადგენს მარეგულირებელ ტექნიკურ სტანდარტებს იმ ინფორმაციის ამომწურავი ჩამონათვალის შესახებ, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი პოტენციური შემძენის მიერ საინვესტიციო კომპანიაში მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ შეტყობინებაში.

39. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის (EU) 2023/2631 რეგულაცია „ევროპის მწვანე ობლიგაციების შესახებ და იმ ობლიგაციებზე ინფორმაციის ნებაყოფლობითი გამუღავნების თაობაზე, რომლებიც შეთავაზებულია, როგორც გარემოს დაცვის თვალსაზრისით მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული“.

იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი წესი“. აღნიშნული წესი განსაზღვრავს მოთხოვნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის მიმართ, საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორების შესაფერისობის კრიტერიუმებს და მათი კანდიდატურების ეროვნულ ბანკთან შეთანხმების პროცედურას, მოთხოვნებს საპენსიო ფონდის კომიტეტების საქმიანობასთან დაკავშირებით და სპეციალური ფუნქციების განმახორციელებელი პირების მიმართ, მოთხოვნებს საპენსიო ფონდის საინვესტიციო, საოპერაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს წევრების, აღმასრულებელი დირექტორებისა და თანამშრომლების მიმართ მოქმედ ეთიკის პრინციპებს, საპენსიო ფონდის მონაწილეთა პრეტენზიების განხილვისა და მონაწილეთა უფლებების დაცვის წესებს, საპენსიო ფონდის დოკუმენტაციისა და ჩანაწერების წარმოების, საპენსიო ფონდის ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს, სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის პრინციპებსა და სანქციებთან დაკავშირებულ საკითხებს.

2025 წელს, ეროვნული ბანკის ძალისხმევითა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობით, განახლდა ანგარიშგების პორტალი (www.reportal.ge), რის საფუძველზეც საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს მიეცათ ერთი ფანჯრის პრინციპით უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის გამუღავნების შესაძლებლობა. კერძოდ, განახლებული ვებ-გვერდის საშუალებით, შესაძლებელი გახდა არამხოლოდ წლიური და ნახევარწლიური ანგარიშის, არამედ სხვა სახის რეგულირებადი ინფორმაციის გამოქვეყნება, როგორიცაა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში, ინსაიდერული ინფორმაცია და ინვესტორთათვის განკუთვნილი, სხვა სახის შეტყობინებები.

2025 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ყოველთვიურად განახლებადი ინტერაქციული სტატისტიკა ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული საჯარო კორპორაციული ობლიგაციების შესახებ. ამასთან, ინტერაქციულ სტატისტიკას დაემატა ადგილობრივ ბაზარზე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების სტატისტიკური მონაცემები. ეროვნული ბანკის მიერ ამ მიმართულებით გაწეული სამუშაოები აუმჯობესებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას.

2025 წელს კაპიტალის ბაზარზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ანალიტიკური კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით, გამოქვეყნდა კაპიტალის ბაზრის მიმომხილველი პერიოდული ანგარიშები. ანგარიშები ასახავდა საქართველოს კაპიტალის ბაზრის მდგომარეობას 2024 წლის მეოთხე კვარტლისა და 2025 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით. პუბლიკაციის მიზანია, ბაზრის მონაწილეებს, მკვლევრებსა და ფართო საზოგადოებას მიაწოდოს მონაცემებზე დაფუძნებული ინფორმაცია საქართველოს კაპიტალის ბაზრის ძირითად ტენდენციებზე, სტრუქტურულ თავისებურებებზე, ზრდის პოტენციალსა და არსებულ გამოწვევებზე.

აგრეთვე, 2025 წელს ეროვნული ბანკის აქტიური თანამონაწილეობით, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან და ბუღალტრული რეფორმის ბენეფიციართა ფონდთან ერთად, ორგანიზებულ იქნა საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო - BARTA 2025. BARTA-ს მთავარი მიზანია კომპანიების ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება, რათა გაძლიერდეს ნდობა ინვესტორებსა და მომხმარებლებს შორის.

2025 წელს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის სუბიექტების სიას დაემატა 3 რეგისტრირებული აქტივების მმართველი კომპანია, 1 ლიცენზირებული საბროკერო კომპანია და 2 რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდი. აგრეთვე, დამატებით ოთხმა ახალმა (დებიუტანტმა) კომპანიამ გამოუშვა საჯარო ფასიანი ქაღალდები.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებისათვის დაკისრებული ჯარიმების

თაობაზე ინფორმაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

2025 წელს, წლიური ანგარიშგების წარუდგენლობის გამო დაჯარიმდა 1 საბროკერო კომპანია, 2 საფონდო ბირჟა და ცენტრალური დეპოზიტარი; მიმდინარე ანგარიშგების/შეტყობინების წარუდგენლობის გამო დაჯარიმდა 1 საბროკერო კომპანია და ცენტრალური დეპოზიტარი; ეთიკის კოდექსის (საბაზრო ქცევის მარეგულირებელი) მოთხოვნების დარღვევისთვის დაჯარიმდა 1 საბროკერო კომპანია, ხოლო ლისტინგის წესების დარღვევისთვის დაჯარიმდა 1 საფონდო ბირჟა. ასევე, საკუთარი განცხადების საფუძველზე ლიცენზია ჩამოერთვა 1 საბროკერო კომპანიას.

2024 წლის წლიური ანგარიშგების წარუდგენლობისთვის/დარღვევებით წარდგენისთვის საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების მიმართ გამოიცა 6 ჯარიმა და ერთი გაფრთხილება, ხოლო 2023 წლის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევისათვის დამატებით დაჯარიმდა 2 ემიტენტი. საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებული 2024 წლის პერიოდის ანგარიშის გამოქვეყნების ვალდებულების დარღვევისათვის ასევე გამოიცა გაფრთხილებები 8 ემიტენტის მიმართ.

8.2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაჩვენებლები

მსგავსად წინა წლებისა, ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზარმა ზრდა 2025 წელსაც განაგრძო. რიგი საკანონმდებლო/მარეგულირებელი რეფორმების განვითარება და ახალი პროდუქტების დანერგვა ხელს შეუწყობს ამ დინამიკის შენარჩუნებასა და კაპიტალის ბაზრის შემდგომ განვითარებას.


ობლიგაციების ბაზარი

2025 წელს არა-სამთავრობო ობლიგაციების ბაზარზე[40] ზრდადი ტენდენცია შენარჩუნდა. წინა წელთან შედარებით, ბაზარი გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით (2024 წლის 31 დეკემბრის კურსით) 10.2%-ით გაიზარდა და წლის ბოლოს 5,877 მილიონ ლარს მიაღწია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 5.66%-ს შეადგენდა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული ობლიგაციების ნაშთი, 2025 წელს, 5.1%-ით შემცირდა და წლის ბოლოს, არა-სამთავრობო ობლიგაციების ჯამური ნაშთის 52.2% შეადგინა. რაც შეეხება კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის სეგმენტს[41], წლიურმა ზრდის ტემპმა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით (2024 წლის 31 დეკემბრის კურსით) 33.2% შეადგინა. შედეგად, 2025 წლის ბოლოს, კორპორაციული ობლიგაციების (როგორც საჯარო, ისე კერძო შეთავაზების საფუძველზე გამოშვებული) ბაზრის ზომამ 2,811 მილიონ ლარს მიაღწია, რაც არა-სამთავრობო ობლიგაციების ჯამური ნაშთის 47.8%-ს შეადგენდა. საშუალოდ, ბოლო 5 წელიწადში, კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის ზრდის ტემპმა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით (2020 წლის 31 დეკემბრის კურსით) 31.2%-ს მიაღწია.

40. მონაცემები მოიცავს ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებულ საჯარო კორპორაციულ ობლიგაციებს, ეროვნული ბანკისთვის ცნობილ კერძო კორპორაციულ ობლიგაციებს და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (IFI) მიერ ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებულ საჯარო და კერძო ობლიგაციებს. მონაცემები არ შეიცავს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ორმაგად დალისტულ ("Dual Listing") არასამთავრობო სასესხო ფასიან ქაღალდებსა და სადეპოზიტო სერტიფიკატებს.

41. მონაცემები მოიცავს ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებულ როგორც საჯარო, ისე ეროვნული ბანკის მიერ ISIN მინიჭებულ კერძო კორპორაციულ ობლიგაციებს. მონაცემი არ მოიცავს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ორმაგად დალისტულ ("Dual Listing") არასამთავრობო სასესხო ფასიან ქაღალდებსა და სადეპოზიტო სერტიფიკატებს (არსებობის შემთხვევაში).


დიაგრამა N 8.1. არა-სამთავრობო ობლიგაციების ნაშთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რაც შეეხება საჯარო კორპორაციული ობლიგაციების ბაზარს, 2025 წელს 14-მა ემიტენტმა (2024: 11) გამოუშვა საჯარო კორპორაციული ობლიგაციები. ამათგან 4 ემიტენტი ობლიგაციების ბაზარს პირველად შემოუერთდა (2024: 5). 2025 წელს გამოვიდა 20 ობლიგაცია (2024: 21), 1,581 მილიონი ლარის (2024: 480 მილიონი ლარი) ჯამური ღირებულებით, რომელთაგან ხუთ (3 მწვანე, 1 სოციალური და 1 მდგრადობასთან დაკავშირებული), 752 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციას გააჩნდა GSSS სტატუსი[42].

დიაგრამა N 8.2. საჯარო კორპორაციული ობლიგაციების განთავსებები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შედეგად, საჯაროდ განთავსებული კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის ნაშთმა, 2025 წლის ბოლოს 2,698 მილიონ ლარს მიაღწია (2024: 2,050 მილიონი), რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 2.60%-ს შეადგენდა (2024: 2.23%). აქედან, ლარში დენომინირებული საჯარო კორპორაციული ობლიგაციების წილი 54% იყო (2024: 33%).

42. GSSS (Green, Social, Sustainability, Sustainability-linked) სტატუსის მქონე ობლიგაციებში მოიაზრება მწვანე, სოციალური, მდგრადობის ან მდგრადობასთან დაკავშირებული სტატუსის მქონე ობლიგაციები.


დიაგრამა N 8.3. საჯარო კორპორაციული ობლიგაციების ნაშთები ვალუტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2025 წელს გამოშვებული კორპორაციული ობლიგაციების ჯამური ღირებულების 79% განთავსებული იყო საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგის მქონე ემიტენტების მიერ (2024: 55%). რეიტინგის მქონე ემიტენტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების ღირებულების 47% განთავსებული იყო BB/BB- რეიტინგის მქონე ემიტენტების მიერ (2024: 60%), ხოლო 53% - B+ რეიტინგის მქონე ემიტენტების მიერ.

დიაგრამა N 8.4. საჯარო კორპორაციული ობლიგაციების განთავსებები ემიტენტის საკრედიტო რეიტინგის მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2025 წლის ბოლოს, საჯარო კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის მოცულობის უმეტეს ნაწილს - 66%-ს (2024: 61%) არა-ფინანსური პროფილის ემიტენტები იკავებდნენ. ბაზარი დივერსიფიცირებული იყო ინდუსტრიების მიხედვითაც და მოიცავდა ემიტენტებს 13 ინდუსტრიიდან. კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების მიხედვით, ბაზრის ყველაზე დიდი წილი 21%-ით სხვა ფინანსური სერვისების სექტორმა დაიკავა (2024: 13%), ხოლო სიდიდით

შემდეგი სამი სექტორი - ავტომობილების, ჯანდაცვის აქტივობებისა და უძრავი ქონების მართვის სექტორები, - ერთობლივად საჯარო კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის 39%-ს წარმოადგენდა.


დიაგრამა N 8.5 .საჯარო კორპორაციული ობლიგაციების განაწილება სექტორებისა და ინდუსტრიების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის განმავლობაში, ადგილობრივი სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზარი 16.3%-ით გაიზარდა (2024: 18.5%) და წლის ბოლოს 11.4 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 11.0%-ს შეადგენდა (2024: 10.7%).


დიაგრამა N 8.6. ადგილობრივი სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2025 წლის ბოლოს, წინა წლის მსგავსად, სახაზინო ობლიგაციების უდიდეს წილს ფლობდნენ კომერციული ბანკები, საქართველოს ეროვნული ბანკი[43] და საპენსიო ფონდი.

დიაგრამა N 8.7. ადგილობრივი სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები მფლობელების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


2025 წლის განმავლობაში მეორადი ბაზრის აქტივობის მაჩვენებელი[44] ობლიგაციების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტისთვის განსხვავებულია. უცხოური ვალუტით დენომინირებული საჯარო კორპორაციული ობლიგაციებისათვის ეს მაჩვენებელი 10.9%-ს შეადგენდა (2024: 15.9%), ხოლო ლარში დენომინირებული ობლიგაციებისთვის - 0.2%-ს. რაც შეეხება ადგილობრივ სახაზინო ფასიან ქაღალდებს, მეორადი ბაზრის აქტივობის მაჩვენებელმა 3.4% (2024: 2.5%) შეადგინა[45].

43. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2018 წლიდან 2023 წლამდე, ღია ბაზრის ოპერაციების ფარგლებში ახორციელებდა სახაზინო ობლიგაციების შესყიდვას მეორად ბაზარზე; აღნიშნული ოპერაციები ამ ეტაპზე შეჩერებულია.

44. მონაცემი გამოითვლება წლის განმავლობაში მეორად ბაზარზე განხორციელებული გარიგებების ღირებულების შეფარდებით ობლიგაციების საშუალო-წლიურ ნაშთთან.

45. სახაზინო ობლიგაციების ლიკვიდურობის შემცირება უმეტესად გამოწვეულია ეროვნული ბანკის მიერ მეორად ბაზარზე, ღია ბაზრის ოპერაციების ფარგლებში, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის შეჩერებით.

დიაგრამა N 8.8. საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის აქტივობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა

8.3. ბაზრის მონაწილეების მიმოხილვა

2025 წლის ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე 2 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 10 საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების 3 დამოუკიდებელი რეგისტრატორი[46] საქმიანობდა. აღსანიშნავია, რომ 10 საბროკერო კომპანიიდან 2 საფონდო ბირჟის წევრი არ იყო.

საბროკერო კომპანიები


საბროკერო კომპანიების კლიენტების საბროკერო ანგარიშებზე რიცხული აქტივების ჯამური ღირებულება 2025 წლის ბოლოს 14.6 მილიარდ ლარს შეადგენდა, საიდანაც, ფულადი სახსრები ჯამურად დაახლოებით 0.5 მილიარდი ლარი, ხოლო ფასიანი ქაღალდები - 14.1 მილიარდი ლარი იყო. ეს უკანასკნელი, 2024 წელთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით (2024 წლის 31 დეკემბრის კურსით) 19%-ით გაიზარდა. აღნიშნული ზრდა, მსგავსად წინა წლისა, უმეტესწილად, ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს უკავშირდება და მეტწილად წილობრივი ფასიანი ქაღალდების ხარჯზე მოხდა. აქვე აღსანიშნავია, რომ კლიენტების ფასიანი ქაღალდების ნაშთის 26%-ს (2024:20%) არარეზიდენტი ინვესტორების ანგარიშები შეადგენდა.

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საბროკერო კომპანიებისა და ბანკების საბროკერო მომსახურების მიმღები კლიენტების ჯამური რაოდენობა 215 920-ს შეადგენდა[47]. აქედან, საბროკერო კომპანიების ჯამური კლიენტების რაოდენობა 154 862 იყო, რაც 2024 წლის 31 დეკემბერთან შედარებით 53%-იანი ზრდის მაჩვენებელია. რაც შეეხება ბანკების საბროკერო მომსახურების მიმღები კლიენტების რაოდენობას, 2025 წლის 31 დეკემბერს, წინა წელთან შედარებით, 22%-იანი ზრდა აჩვენა და 61 058-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ საბროკერო კომპანიებისა და ბანკების საბროკერო მომსახურების მიმღები კლიენტების ჯამური რაოდენობის ძირითადი ნაწილი (98%) რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე მოდიოდა. ამასთანავე, 2025 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საბროკერო კომპანიების კლიენტის ფასიანი ქაღალდების ნაშთის 96% და კლიენტების რაოდენობის 98% ორ უმსხვილეს საბროკერო კომპანიაში იყო კონცენტრირებული.

46. რეგისტრატორები ჯამში აწარმოებდნენ 684 ემიტენტის - 726 წილობრივი და 18 სასესხო ფასიანი ქაღალდების რეესტრს, სადაც გახსნილი იყო 89 263 აქციონერის და ობლიგაციის მფლობელის (მათ შორის ნომინალური მფლობელის) ანგარიშები.


47. აღნიშნულ ჯამურ მონაცემში შესაძლოა ერთი კლიენტი ასახული იყო ორჯერ ან მეტჯერ, თუ აღნიშნულ კლიენტს საბროკერო ანგარიშები გახსნილი აქვს რამდენიმე საბროკერო კომპანიაში/ბანკში

დიაგრამა N 8.9. ადგილობრივ საბროკერო კომპანიებში გახსნილ ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ღირებულება კლიენტის ტიპისა და გამოშვების ადგილის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

დიაგრამა N 8.10. ადგილობრივ საბროკერო კომპანიებში გახსნილ ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ღირებულება გამოშვების ადგილისა და ფასიანი ქაღალდის ტიპის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საფონდო ბირჟა


2025 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 17 ემიტენტის, ხოლო თბილისის საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 2 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი იყო დაშვებული. საანგარიშო პერიოდში სავაჭრო სესიებსა და ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულებამ დაახლოებით 174 მილიონი ლარი შეადგინა (9.9 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიებზე, ჯამურად, დაახლოებით 0.03 მლნ ლარის ღირებულების გარიგება დაიდო, ხოლო ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების ღირებულებამ 173.7 მილიონი ლარი შეადგინა.

ცხრილი 8.1 ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით

	გარიგებების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების ღირებულება (ლარი)	
წელი	**2025**	**2024**	**2025**	**2024**	**2025**	**2024**
საბირჟო	9	42	386,578	931,647	26,905	357,528
დაფიქსირებული	491	360	9,532,031	6,531,321	173,659,947	224,245,684
სულ	**500**	**402**	**9,918,609**	**7,462,968**	**173,686,852**	**224,603,212**


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 8.11. ბირჟის სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები



წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

დიაგრამა N 8.12. ბირჟის სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა



წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

8.4. საქართველოს საპენსიო ფონდის საქმიანობის მიმოხილვა

საკანონმდებლო ჩარჩოს განახლება

2025 წლის 1 მაისს მნიშვნელოვანი ცვლილებები ამოქმედდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავდა საპენსიო ფონდის მმართველობითი სისტემის დახვეწას და გაუმჯობესებას.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიქმნა საპენსიო ფონდის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო - მმართველობითი საბჭო, რომელიც აქამდე არსებული საინვესტიციო და სამეთვალყურეო საბჭოების ნაცვლად ჩამოყალიბდა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს წევრების რაოდენობა, პროფესიონალ წევრთა შერჩევის წესები და პროცედურები, მათი განათლების, სამუშაო გამოცდილების დამატებითი კრიტერიუმები და სხვა მოთხოვნები. შესაბამისად, დაკომპლექტდა მმართველობითი საბჭო 9 წევრის შემადგენლობით. მმართველობითმა საბჭომ ასევე ჩამოაყალიბა შესაბამისი კომიტეტები (რისკის კომიტეტი, საინვესტიციო კომიტეტი, აუდიტის კომიტეტი, ანაზღაურების კომიტეტი) და დაამტკიცა საპენსიო ფონდის განახლებული დებულება.

კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით ასევე განისაზღვრა საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ახალი წესი, რომლის თანახმად 2025 წლის 1 მაისიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე საპენსიო შენატანების განხორციელება ხდება მხოლოდ შემოსავლების სამსახურის საშემოსავლო დეკლარაციის მეშვეობით, შესაბამისი თანხის საპენსიო ფონდის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე არსებობის შემთხვევაში. ასევე დადგინდა 2025 წლის 1 მაისამდე პერიოდის ვალდებულებების გასწორების წესი წლიური მაკორექტირებელი დეკლარაციების საშუალებით, საპენსიო სქემაში ნებაყოფლობითი ან ხელახალი გაწევრიანების პროცედურა, დამსაქმებლების მიერ ვალდებულების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები და საპენსიო შენატანის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის, ჯარიმისა და საურავის დაკისრებისა და აღსრულების წესები.


2025 წელს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა საპენსიო ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს საპენსიო ფონდის საქმიანობის რეგულირების ძირითად ჩარჩოს. კერძოდ, აღნიშნული სამართლებრივი აქტი არეგულირებს საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორების შესაფერისობის კრიტერიუმებსა და მათი კანდიდატურების ეროვნულ ბანკთან შეთანხმების პროცედურას, საპენსიო ფონდის კომიტეტების საქმიანობას და სპეციალური ფუნქციების განმახორციელებელი პირების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, მარეგულირებელი ჩარჩო ადგენს საპენსიო ფონდის საინვესტიციო, საოპერაციო და ადმინისტრაციული საქმიანობის წესებს, მმართველობითი საბჭოს წევრების, აღმასრულებელი დირექტორებისა და თანამშრომლებისთვის მოქმედ ეთიკის პრინციპებს, მონაწილეთა პრეტენზიების განხილვისა და მათი უფლებების დაცვის მექანიზმებს, აგრეთვე საპენსიო ფონდის დოკუმენტაციისა და ჩანაწერების წარმოების ვალდებულებებსა და ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის გამოყენების პირობებს და საპენსიო ფონდის, მისი აღმასრულებელი დირექტორების, მმართველობითი საბჭოს წევრების ან თანამშრომლების მიმართ სანქციების გამოყენების წესს.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ეროვნული ბანკის საზედამხედველო როლი. უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წლამდე ეროვნული ბანკის საზედამხედველო მანდატი იყო მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობის ზედამხედველობით შემოსაზღვრული და არ ფარავდა საპენსიო ფონდის ადმინისტრაციულ/საოპერაციო და სხვა ფუნქციების ზედამხედველობას.

საინვესტიციო საქმიანობის შედეგები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის მოცულობამ 8.23 მილიარდი ლარი შეადგინა. 2025 წლის ჭრილში საპენსიო ფონდის წმინდა ამონაგები 796 მილიონი ლარი იყო, ხოლო საპენსიო ფონდში განხორციელებული წმინდა შენატანები 1.37 მილიარდი ლარი.

დიაგრამა N 8.13. საპენსიო აქტივები წლების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საპენსიო ფონდი

საპენსიო ფონდის კონსერვატიული პორტფელის წმინდა ნომინალურმა ამონაგებმა ფონდის დაარსებიდან (2019 წლის 1 იანვარი) 2025 წლის დეკემბრის ჩათვლით 96.60% (გაწლიურებული 10.14%), ხოლო რეალურმა ამონაგებმა (ინფლაციის გათვალისწინებით) იმავე პერიოდში 34.77% (გაწლიურებული 4.35%) შეადგინა. საპენსიო ფონდის დაბალანსებული და დინამიკური პორტფელების წმინდა ნომინალურმა ამონაგებმა აღნიშნული პორტფელების ამოქმედებიდან (2023 წლის 6 აგვისტო) 2025 წლის დეკემბრის ჩათვლით 34.29% (გაწლიურებული 13.05%) და 37.71% (გაწლიურებული 14.24%), ხოლო რეალურმა ამონაგებმა (ინფლაციის გათვალისწინებით) იმავე პერიოდში 24.54% (გაწლიურებული 9.57%) და 27.72% (გაწლიურებული 10.72%) შეადგინა. რაც შეეხება ინდივიდუალური პორტფელების მიხედვით 2025 წლის ამონაგებს, კონსერვატიული პორტფელისთვის რეალური ამონაგები იყო 7.53%, დაბალანსებული პორტფელისთვის 8.97%, ხოლო დინამიკურისთვის 10.78%.

რაც შეეხება მთლიანი საპენსიო აქტივების განაწილებას, 2025 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით 51.8 მლნ. ლარი დინამიკურ პორტფელში, 46.8 მლნ. ლარი - დაბალანსებულში, ხოლო, 8,132 მლნ. ლარი - კონსერვატიულ პორტფელში იყო განთავსებული.

დიაგრამა N 8.14. საპენსიო ფონდის აქტივები პორტფელების მიხედვით, 31 დეკემბერი, 2025



წყარო: საქართველოს ერ ოვნული ბანკი, საქართველოს საპენსიო ფონდი


2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო პორტფელებში აქტივები განაწილებული იყო შემდეგნაირად:

კონსერვატიული საინვესტიციო პორტფელი: პორტფელის 2.1% განთავსებული იყო მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე, 16.4% - ადგილობრივ სახაზინო ობლიგაციებში, 18.9% - გლობალურ აქციებში, 0.5% - ევროობლიგაციებში, 2.0% - ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში, 2.9% - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ობლიგაციებში, ხოლო ადგილობრივ სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაბრებში 57.3% იყო განთავსებული.

დაბალანსებული საინვესტიციო პორტფელი: პორტფელის 1.3% განთავსებული იყო მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე, 4.1% - ადგილობრივ სახაზინო ობლიგაციებში, 37.6% - გლობალურ აქციებში, 0.5% - ევროობლიგაციებში, 2.2% - ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში, 1.1% - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ობლიგაციებში, ხოლო ადგილობრივ სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაბრებში 53.2% იყო განთავსებული.

დინამიკური საინვესტიციო პორტფელი: პორტფელის 1.4% განთავსებული იყო მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე, 4.1% - ადგილობრივ სახაზინო ობლიგაციებში, 57.0% - გლობალურ აქციებში, 1.0% - ევროობლიგაციებში, 1.8% - ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში, 1.0% - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ობლიგაციებში, ხოლო ადგილობრივ სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაბრებში 33.7% იყო განთავსებული.


დიაგრამა N 8.15. საპენსიო ფონდის პორტფელების დეკომპოზიცია ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით, 31 დეკემბერი, 2025



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საპენსიო ფონდი

საპენსიო ფონდის საინვესტიციო პორტფელებს შორის ერთ-ერთი მთავარი სხვაობა პორტფელებში გლობალური აქციების პროპორციაა. დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით, დინამიკურ პორტფელში აქციების წილი 57%, დაბალანსებულში 37.6%, ხოლო კონსერვატიულში 18.9% იყო. თავის მხრივ, საპენსიო აქტივებში არსებული აქციები დივერსიფიცირებულია გეოგრაფიული თვალსაზრისით. დეკემბრის ბოლო მონაცემებით, საპენსიო ფონდის არსებული აქციების 46.1% მოდიოდა აშშ-ის ბაზარზე, 18.0% - აზიაზე, 18.1% - ევროპაზე, 16.0% - განვითარებად ბაზრებზე, ხოლო 1.8% - ლათინურ ამერიკაზე.


დიაგრამა N 8.16. საპენსიო აქტივებში არსებული აქციების გეოგრაფიული განაწილება, 31 დეკემბერი, 2025



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საპენსიო ფონდი

რაც შეეხება უცხო ვალუტის წილს, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აშშ დოლარში დენომინირებული აქტივების წილი კონსერვატიულ პორტფელში იყო 19.4%, 38.2% დაბალანსებულში, ხოლო 58.1% - დინამიკურში.


დიაგრამა N 8.17. პორტფელებში აქტივების განაწილება ვალუტების მიხედვით, 31 დეკემბერი, 2025



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საპენსიო ფონდი

2025 წლის მანძილზე მოქმედებდა 2024 წელს დამტკიცებული საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით გაწერილი საპენსიო ფონდის შემდეგი ბენჩმარკ პორტფელები:

დიაგრამა N 8.18. 2025 წელს მოქმედი საპენსიო ფონდის ბენჩმარკ პორტფელები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საპენსიო ფონდი

პენსიის გაცემის სტატისტიკა

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაგროვებითი პენსიით ისარგებლა 26,820-მა პირმა, მათზე პენსიის სახით გაიცა 124 მილიონი ლარი. ჯამურად საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ აქტიურ მონაწილეთა რაოდენობა 1.52 მლნ ადამიანს აღემატება და 119 ათას კომპანიაზე მეტია ჩართული.

8.5. ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების მარეგულირებელი ჩარჩოს განახლება

2025 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზეც ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების, საპენსიო კომპანიების, აგრეთვე საპენსიო სქემის მმართველი მზღვეველების ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ხოლო, საპენსიო სქემების აქტივების მმართველ კომპანიებს და სპეციალიზებულ დეპოზიტარებს ზედამხედველობს ეროვნული ბანკი.

2025 წელს სამმა ლიცენზირებულმა აქტივების მმართველმა კომპანიამ მოიპოვა მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე ეროვნული ბანკისგან თანხმობა ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების აქტივების მართვის მიზნით.

ამ ეტაპზე ბაზარზე ორი სადაზღვევო კომპანიის მიერ დაფუძნებული ორი ნებაყოფლობითი საპენსიო სქემა და დამატებით ერთი საპენსიო კომპანიის ნებაყოფლობითი საპენსიო სქემა ფუნქციონირებს.

8.6. აქტივების მმართველი კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მიმოხილვა

2020 წელს სრულად განახლდა საინვესტიციო ფონდების მარეგულირებელი ჩარჩო და შესაბამისობაში მოვიდა ევროკავშირის დირექტივებთან. გარდა ამისა, ბოლო წლებში ეროვნული ბანკის და კერძო სექტორის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობდა ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. აღნიშნული ინიციატივების შედეგად ბაზარი გააქტიურდა და დინამიკურად გაიზარდა. მნიშვნელოვანი ზრდით გამოირჩეოდა 2025 წელი, როდესაც საინვესტიციო ფონდების მართვის ქვეშ არსებული აქტივების ჯამური მოცულობა წინა წელთან შედარებით 2.3-ჯერ გაიზარდა და 472 მილიონ


ლარს მიაღწია. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტიციის განმახორციელებელი ფონდები, ასევე კერძო და ვენჩურული კაპიტალის, „შერეული“ და სხვა ტიპის ფონდები.

2025 წელს დარეგისტრირდა 2 საინვესტიციო ფონდი და 3 აქტივების მმართველი კომპანია.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში ოპერირებდა 21 საინვესტიციო ფონდი და 11 აქტივების მმართველი კომპანია.

აგრეთვე, ამ ეტაპზე, ბაზარზე 3 მონაწილე (კომერციული ბანკი) არის წარმოდგენილი სპეციალიზებული დეპოზიტარის სერვისით.

დიაგრამა N 8.19. საინვესტიციო ფონდები და აქტივების მართველი კომპანიები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

09.

ფულის გათეთრების ინსპექტირება და ზედამხედველობა

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საზედამხედველო ჩარჩოს“ შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელდა საზედამხედველო ღონისძიებები, რომელსაც როგორც სექტორული, ისე თითოეული ფინანსური ინსტიტუტის რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესი დაედო საფუძვლად.

რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების მიზნით, 2025 წლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა, ცხრილში მითითებული თითოეული სუბიექტისგან (დიაგრამა N9.1) ორჯერ მიიღო და დაამუშავა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგება.

ცხრილი 9.1. დისტანციური ზედამხედველობა, 2025 წ.

საფინანსო სექტორი	**რაოდენობა**
კომერციული ბანკი	16
მიკრობანკი	2
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	29
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	36
საბროკერო კომპანია	10
საინვესტიციო ფონდი	5
აქტივების მმართველი კომპანია	11
ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი	3
საკრედიტო კავშირი	1
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	537
სესხის გამცემი სუბიექტი	141

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების კონტროლის სისტემების კანონმდებლობასთან, ასევე, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის დისტანციურად შეფასების მიზნით, 2025 წელს განხორციელდა კომერციული ბანკების შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარების გამოთხოვა და შესაბამისი ანალიზის მომზადება. ზემოაღნიშნულთან ერთად, ფინანსური ინსტიტუტების მიერ საკუთარ ორგანიზაციაში არსებული რისკების აღქმისა და ამ რისკების მიტიგაციისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტმა შეაფასა კომერციული ბანკების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების დოკუმენტები.

ხაზგასასმელია, რომ 2025 წელს, გაგრძელდა მუშაობა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საზედამხედველო ჩარჩოს შემდგომ განვითარებასა და დახვეწაზე.

აღსანიშნავია საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობის კუთხით განხორციელებული ქმედებები. კერძოდ, სანქციების რისკების შემცირებისა და კონტროლის მიზნით, 2025 წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი იღებდა და ამუშავებდა ფინანსური ინსტიტუტების მიერ წარდგენილ შესაბამის ანგარიშგებებს. ამასთან, 2025 წელს, სანქციების, აგრეთვე, ირანთან დაკავშირებით გაცემული მითითების მოთხოვნების შესრულების შემოწმების მიზნით ფინანსური ინსტიტუტების ადგილზე ინსპექტირება განხორციელდა.

2025 წლის განმავლობაში განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებები, ასევე, მოიცავდა კომპლექსურ, თემატურ, სპეციალურ, საკონტროლო და სწრაფი ტიპის (ე.წ. Quick Check) ადგილზე ინსპექტირებებსა და დისტანციურ follow-up შემოწმებებს. საანგარიშგებო წელს, სექტორების მიხედვით იდენტიფიცირებული საფრთხეებისა და რისკების შესაბამისად, ადგილზე შემოწმებისას, აქცენტი შემდეგი თემების შესწავლაზე გაკეთდა:

კომერციული ბანკების შემთხვევაში:

- დისტანციური არხებით კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი;
- კლიენტების (განსაკუთრებით, მომეტებული რისკის მატარებელი საქმიანობის მქონე და სხვადასხვა ნიშნით რისკის მატარებელი კლი-

ენტების) რისკის მიხედვით კლასიფიკაციის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- ოფშორულ და მაღალი რისკის იურისდიქციებს მიკუთვნებული შესაბამისი სახელმწიფოებიდან ოპერაციის მოცულობისა და უცხოური საწარმოს რეგისტრაციის სახელმწიფოსთან დაკავშირებული გეოგრაფიული არეალის რისკ-ფაქტორების პროპორციული პრევენციული ღონისძიებების გატარების საკითხი;
- ნაღდი ფულის წარმომავლობის დადგენის პროცესის ეფექტიანობა, ანგარიშებზე თანხის ნაღდი ფორმით განთავსების შემთხვევაში;
- საეჭვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, ფიქტიური კომპანიების/ტრანზიტული დანიშნულებით კომპანიების გამოყენების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა (მათ, შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/PF) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, საქველმოქმედო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ბანკის ცოდნა).

საგადახდო მომსახურების პროვაიდერების შემთხვევაში:
- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- საეჭვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტურობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა);
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსების სისწორე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში:
- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- საეჭვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტურობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა).

ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების შემთხვევაში:
- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2025 წლის განმავლობაში, ფინანსური სექტორის 50 წარმომადგენელი შემოწმდა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2025 წელს ყურადღება დაეთმო საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობის დადგენის პროცესს.

2025 წელს, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობამ ჯამურად 9 588 950 ლარი შეადგინა.

ცხრილი 9.2. ჯარიმების მოცულობა, 2025 წ.

საფინანსო სექტორი	ჯარიმის მოცულობა (ლარი)
კომერციული ბანკი	330 000
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	287 200
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	60 000
ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი	470 000
საბროკერო კომპანია	71 600
საინვესტიციო ფონდი	4 000
აქტივების მმართველი კომპანია	2 000
სესხის გამცემი სუბიექტი	497 000
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	7 867 150

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ადგილზე ინსპექტირების შედეგად დაკისრებული ფულადი ჯარიმების გარდა, 2025 წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მიმართ აქტიურად გამოიყენებოდა მაკორექტირებელი ღონისძიებები. იდენტიფიცირებული სისუსტეების დაუყოვნებლივი აღმოფხვრისა და საფინანსო სექტორის წარმომადგენლების შესაბამისობის დონის ამაღლების მიზნით, ადგილზე ინსპექტირების შედეგების გათვალისწინებით, 2025 წელს, არაერთი რეკომენდაცია გაიცა.

ცხრილი 9.3. რეკომენდაციების რაოდენობა, 2025 წ.

საფინანსო სექტორი	რეკომენდაციების რაოდენობა
კომერციული ბანკი	20
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	44
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	28
ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი	6
საბროკერო კომპანიები	18
აქტივების მმართველი კომპანია	7
სესხის გამცემი სუბიექტი	67
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	125

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სექტორებში შესაბამისობის კულტურის ამაღლების, საზედამხედველო მოლოდინების გაზიარებისა და რისკების აღქმის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავება და განახლება, საუკეთესო საერთაშორისო საზედამხედველო პრაქტიკის დანერგვის მიზნით.

2025 წელს დამტკიცდა „კომერციული ბანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის დისტანციური ზედამხედველობის განახლებული სახელმძღვანელო“, მიკრობანკებისთვის კი შემუშავდა „მიკრობანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის დისტანციური ზედამხედველობის სახელმძღვანელო“.

საერთაშორისო სტანდარტებსა და ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, ცვლილებები განხორციელდა „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შეწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ოქტომბრის №189/04 ბრძანებაში. ამავე მიზნით განახლდა „ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესი“, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებსა და სტანდარტებს ანგარიშვალდებული პირის მიერ პირის დისტანციური იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის შემთხვევაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ინსტიტუტების შესაბამისობის კონტროლის სისტემის შეფასების მიზნებისთვის, განახლდა *„ანგარიშვალდებული პირების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარის შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი“*. ხაზგასასმელია, რომ ზემოაღნიშნული წესის დამტკიცებამდე კითხვარის წარდგენის ვალდებულება გააჩნდათ მხოლოდ კომერციულ ბანკებს. ხსენებული წესით კი შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარის წარდგენის ვალდებულება დამატებით დაეკისრათ მიკრობანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, საბროკერო კომპანიებს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებს, აქტივების მმართველ კომპანიებს, საინვესტიციო ფონდებსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრევენციული საზედამხედველო ზომების განხორციელებას, რაც საზედამხედველო მოლოდინების შესახებ საფინანსო სექტორის

წარმომადგენლების სისტემატურ ინფორმირება-სა და მათი შესაბამისობის დონის ამაღლებას უზრუნველყოფს. ამ მიზნით, მეთოდური სახელ-მძღვანელოებისა და საზედამხედველო დოკუ-მენტების გაცნობისა და პრაქტიკაში ეფექტურად დანერგვის, ასევე მიმდინარე გამოწვევების ეფექტურად მართვის მიზნით, 2025 წლის გან-მავლობაში, აქტიურად მიმდინარეობდა საფი-ნანსო სექტორის წარმომადგენლების სწავლება. სწავლების თემატიკა და შეხვედრაზე დამსწრე პირების რაოდენობა სექტორების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი 9.4. სწავლების თემატიკა, 2025 წ.

სწავლების თემატიკა	კომერციული ბანკები/ მიკრობანკები	საგადახდო მომსახურების პროვაიდერები	მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	საინვესტიციო ფონდები/აქტივების მმართველი კომპანიები	საბროკერო კომპანიები	ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები	ვალუტის გადამცვლელი პუნქტები
ანგარიშვალდებული პირების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარის შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის განახლებული წესის განხილვა	18	25	20	7	7	3	-
არასაბანკო სექტორის ცნობიერების ამაღლება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და წარდგენის კუთხით	-	-	-	-	-	-	144

თემატური სწავლების პარალელურად, 2025 წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. აქტიურად იმართებოდა ინ-დივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები ინ-ფორმაციის გაზიარებისა და საზედამხედველო მოლოდინების გაცნობის მიზნით. ამასთან, აღსა-ნიშნავია, რომ, წლის განმავლობაში, საფინან-სო სექტორის წარმომადგენლები ყოველდღიურ რეჟიმში იღებდნენ შესაბამის უკუკავშირს მათ-თვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მეთოდური სახელმძღვანელოების პრაქტიკაში ეფექტურად დანერგვის შესახებ.

10.

საგადახდო სისტემების ოვერსაიტი

საგადახდო სისტემები წარმოადგენს ფინანსური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების ეფექტიან, უსაფრთხო და უწყვეტ მიმოქცევას ეკონომიკაში. მათი გამართული ფუნქციონირება კრიტიკულია ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის, რადგან ამცირებს სისტემურ რისკებს და ზრდის ფინანსური ტრანზაქციების სანდოობას.

ცენტრალური ბანკისთვის საგადახდო სისტემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეფექტიანი და საიმედო საგადახდო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ლიკვიდობის დროულ გადანაწილებას ფინანსურ სისტემაში და ხელს უწყობს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. ამავდროულად, ცენტრალური ბანკების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს საგადახდო სისტემების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, მათზე ზედამხედველობის (ოვერსაიტის) განხორციელება და მათი განვითარების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვით.

ამასთან, ისევე, როგორც ბევრი ცენტრალური ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი აცნობიერებს რომ საგადახდო სისტემების განვითარების მიზანი არა მხოლოდ ტექნიკური სანდოობა, არამედ მოქნილი, ინოვაციური და უსაფრთხო საცალო გადახდების საბაზისო ინფრასტრუქტურის და კანონმდებლობის უზრუნველყოფა — რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია ყოველდღიური ეკონომიკური აქტივობებისთვის და ფინანსური ჩართულობის გაზრდისთვის.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საცალო გადახდების სფეროს განვითარებას, ვინაიდან ისინი პირდაპირ უკავშირდება მომხმარებლების (ფიზიკური და იურიდიული პირების) ყოველდღიურ ეკონომიკურ აქტივობას. ეფექტიანი და მომხმარებელზე ორიენტირებული საცალო გადახდების სისტემები, როგორც აღინიშნა, ზრდის ფინანსურ ჩართულობას, ამყარებს ნდობას ეროვნული ვალუტისა და გადახდის ინსტრუმენტების მიმართ და წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის შეუფერხებელი ფუნქციონირების მნიშვნელოვან წინაპირობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგადახდო სისტემების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაში. ამ მიმართულებით იგი ერთდროულად მოქმედებს როგორც ზედამხედველი, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის მარეგულირებელ ჩარჩოს, ზრუნავს საგადახდო მომსახურების გამჭვირვალობის ზრდაზე და მათ მიმართ ნდობის განმტკიცებაზე, ასევე როგორც ოპერატორი, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი საგადახდო ინფრასტრუქტურის - დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის - ფუნქციონირებას და ხელს უწყობს ფინანსური ბაზრის გამართულ მუშაობას, ასევე მუშაობს ახალი საგადახდო ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვიტარებაზე.

2025 წლის განმავლობაში მნიშნელოვანი სამუშაო შესრულდა ეროვნული ბანკის საკუთარი საგადახდო ინფრასტრუქტურის განახლების მხრივ. კერძოდ აქტიური ტესტირების ფაზაში გადავიდა ახალი RTGS სისტემა, რომელიც თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს საგადახდო სისტემებს საქართველოში, გაამარტივებს არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერების წვდომას ეროვნული ბანკის საგადახდო სისტემებზე და უზრუნველყოფს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების (ISO20022) სრულ ადაპტაციას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის საგადახდო სისტემის თავსებადობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, გლობალურ საგადახდო ინფრასტრუქტურებთან. ახალი RTGS სისტემის რეალურ გარემოში ოპერირება 2026 წლის მეორე კვარტალშია გათვალისწინებული.

გარდა ამისა, ინტენსიური განვითარების ფაზაში გადავიდა საქართველოს ეროვნული ბანკის სრულიად ახალი მყისიერი გადახდების სისტემა, რომელიც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში საცალო საგადახდო სისტემის განვითარებისათვის და ხელს შეუწყობს ახალი, ინოვაციური საგადახდო მომსახურების განვითარებას, გაზრდის გადახდების ეფექტიანობასა და ეფექტურობას, რაც დადებითად აისახება როგორც მომხმარებლებზე, ასევე ბიზნესებზეც.

საგადახდო სისტემების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი ზედამხედველობა (ოვერსაიტი) წარმოებს უწყვეტ პროცესად, რომელიც მიმართულია საგადახდო ინფრასტრუქტურის საერ-

თაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისკენ, საგადახდო სისტემებში არსებული და მათზე მოქმედი რისკების ეფექტიან მართვაზე, ხოლო მთლიანად ქვეყნის საგადახდო სისტემის საიმედობისა და სანდოობის განმტკიცებაზე. საგადახდო სისტემების ოვერსაიტის ჩარჩოს ქმნის 2023 წელს მიღებული „საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხედველობის (ოვერსაიტის) წესი“, რომელიც ვრცელდება როგორც მნიშვნელოვან, ასევე სხვა დანარჩენ საგადახდო სისტემებზე და შესაბამისობაშია საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტისა და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (CPSS-IOSCO) ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპებთან (PFMI) და ასევე ევროპის ცენტრალური ბანკის საგადახდო სისტემების ოვერსაიტის მოთხოვნებთან. 2025 წელს, წინა წლის მსგავსად, ეროვნულმა ბანკმა ნორმატიული აქტით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი მიანიჭა 6 სისტემას. მათგან ერთი - საქართველოს ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემა - აღიარებული იქნა სისტემურად მნიშვნელოვან საგადახდო სისტემად, ხოლო დანარჩენი 5 სისტემა კი - გამორჩეულად მნიშვნელოვან საგადახდო სისტემებად.

გადახდის ციფრული არხების და ინსტრუმენტების განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მომხმარებელების მხრიდან მათი გამოყენებაც დაყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ციფრული გადახდების განვითარებასთან ერთად აქტიურად დაიწყო რამდენიმე მიმართულების მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა ნდობის გაძლიერებას, საფრთხეების პრევენციას და გადახდის სისტემების ეფექტიანობას. დაწყებული აქტივობებია: თანამედროვე გადახდის მეთოდების დანერგვა, როგორიცაა გადახდები მობილურის ნომრით და QR კოდების გამოყენებით, თაღლითობის პრევენციული მექანიზმების შემუშავება, მათ შორის გადამხდელის მიერ მიმღების გადამოწმების მექანიზმის (Verification of Payee) დანერგვა, აგრეთვე საგადახდო სისტემის დონეზე თაღლითური ოპერაციების ანალიტიკური სისტემის შექმნა, რომელიც დაეხმარება საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს საეჭვო ან თაღლითური ტრანზაქციების დროულ იდენტიფიკაციას. მომხმარებელთა მხარდაჭერის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა შექმნა სპეციალური პლატფორმა ტარიფების გამჭვირვალობისა და შედარებისათვის, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ადვილად შეადარონ სხვადასხვა სერვისის ფასები და აირჩიონ მათთვის ყველაზე ხელსაყრელი მომსახურება. აღნიშნული წარმოადგენს საგადახდო ანგარიშების შესახებ ევროკავშირის დირექტივის (Payment Accounts Directive – PAD) ნაწილის იმპლემენტაციას. ამავდროულად, 2023 წლის დეკემბერში, ევროდირექტივის (PSD2) იმპლემენტაციის ფარგლებში, საქართველოში ამოქმედდა დავების განმხილველი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საგადახდო მომსახურების მომხმარებელთა დავების სწრაფ, ეფექტურ და უფასო განხილვას. აღნიშნული ღონისძიებების ერთობლიობა ხელს უწყობს ინოვაციური, უსაფრთხო და მომხმარებელზე ორიენტირებული საგადახდო სერვისების განვითარებას, ფინანსური ჩართულობის ზრდასა და შეუფერხებელ ეკონომიკური აქტივობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 ნოემბრის N298/04 განკარგულებით დამტკიცებული „მნიშვნელოვანი სისტემის ქვეკატეგორიების განსაზღვრისა და საგადახდო სისტემისთვის მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესის“ (შემდგომში - მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესი) შესაბამისად ეროვნული ბანკი საქართველოში მოქმედ სისტემებს ყოფს სამ კატეგორიად: სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემები, გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემები და სხვა საგადახდო სისტემები. აღნიშნული კლასიფიკაცია სრულად თანხვედრაშია ევროპის ცენტრალური ბანკის მიდგომასთან.

ეროვნული ბანკი ყოველწლიურად, 1 აპრილამდე, აფასებს როგორც მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მქონე საგადახდო სისტემების, აგრეთვე საქართველოში მოქმედი სხვა საგადახდო სისტემების წლიურ მონაცემებს და მათი აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემთხვევაში ახორციელებს მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭებას შესაბამისი სისტემისთვის. შესაბამისად, 2025 წლის 1 აპრილს, წინა წლის მსგავსად, ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსი მიანიჭა ექვს საგადახდო სისტემას. მათგან ერთი - ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემა - აღიარებული იქნა **სისტემურად** მნიშვნელოვან საგადახდო სისტემად, ხოლო დანარჩენი ხუთი კი - **გამორჩეულად** მნიშვნელოვან საგადახდო სისტემებად. გამორჩეულად მნიშვნელოვანი სა-

გადახდო სისტემებიდან სს „გაერთიანებული ფინანსური კორპორაციის“ და სს „ჯორჯიან ქარდის“ საბარათე საგადახდო სისტემებს, აგრეთვე სს „საქართველოს ბანკისა“ და სს „თიბისი ბანკის“ შიდა საგადახდო სისტემებს აღნიშნული სტატუსი მიენიჭათ შესაბამის ბაზარზე მათი მნიშვნელოვანი წილიდან (რომელიც აღემატება 25%) გამომდინარე. რაც შეეხება სს „ლიბერთი ბანკის“ საბარათე საგადახდო სისტემას, იგი აღიარებული იქნა გამორჩეულად მნიშვნელოვან სისტემად მისი საშუალებით განხორციელებული სოციალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მომსახურებებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანი სისტემების რეესტრი გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე (მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემები). საგადახდო სისტემების მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს აღნიშნულ სისტემებზე ზედამხედველობას (ოვერსაიტს), რაც მოიცავს საგადახდო სისტემების ოპერატორების თვითშეფასების ანგარიშგებების განხილვასა და რეკომენდაციების მიცემას და მათი შესრულების მონიტორინგს. ეროვნული ბანკი ახორციელებს როგორც ინდივიდუალურ, ისე ერთობლივ განხილვებს სისტემის ოპერატორებთან, მხარს უჭერს მათ მეთოდოლოგიური განვითარების პროცესში და უზიარებს საკუთარ, როგორც სისტემის ოპერატორის, გამოცდილებას.

10.1. მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემები

საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების საკომისიოების გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და მომხმარებელთა ინფორმირებულობის გაძლიერებას. პროექტი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მარტივად შეადარონ სხვადასხვა საგადახდო მომსახურებების ტარიფები, გამოითვალონ ამ მომსახურებების სარგებლობის საფასური ვებ-გვერდზე განთავსებული კალკულატორების მეშვეობით, ოპერატიულად მიიღონ ინფორმაცია. ვალუტის მიმდინარე და ისტორიული გაცვლითი კურსების შესახებ. აღნიშნული პროექტი გაამარტივებს წვდომას საგადახდო მომსახურებებზე და გააძლიერებს კონკურენციას ბაზარზე. აღნიშნული ინიციატივა, ასევე, წარმოადგენს ევროკავშირის საგადახდო ანგარიშების შესახებ დირექტივის (PAD) ნაწილის განხორციელებას.

2025 წელს დასრულდა პროექტით გათვალისწინებული სისტემის ძირითადი კომპონენტების შემუშავება. კომერციული ბანკებისთვის ჩატარდა ტრენინგი და ტარიფების პორტალზე შეივსო კომერციული ბანკების ძირითადი საგადახდო მომსახურების ტარიფები.

გარდა აღნიშნულისა, პროექტის განხორციელების მიზნით მომზადდა სამართლებრივი აქტები და დოკუმენტაცია:

- მარეგულირებელი აქტის პროექტები, რომელიც განსაზღვრავს საკომისიოების და ვალუტის გაცვლითი კურსების ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების წესს;
- ტარიფების შედარების ვებ-გვერდის დეტალური აღწერა და კალკულატორების მუშაობის ლოგიკა;
- მომხმარებლის სახელმძღვანელო, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ტარიფების შედარების გვერდით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები;
- ჩამოყალიბდა საგადახდო ანგარიშთან დაკავშირებული მომსახურებების ჩამონათვალი და მათი სტანდარტული ტერმინოლოგია, რომლის გამოყენებაც საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის სავალდებულო იქნება მომხმარებლებთან ურთიერთობისას.

პროექტის კომპლექსურობიდან და მასშტაბიდან გამომდინარე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ტარიფების შედარების ვებ-გვერდი 2026 წელს ეტაპობრივად დაინერგოს - ჯერ საპილოტე რეჟიმში, ხოლო შემდეგ ფართო მასშტაბური წვდომის რეჟიმში.

საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული დავები

2023 წლის დეკემბრიდან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მომხმარებელსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის დავებს განიხილავს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისია. იგი დავებს განიხილავს სრულიად უსასყიდლოდ, ხოლო ადმინისტრაციული წარმოებისას ის ეყრდნობა შეჯიბრებითობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს. კანონმდებლობა დავის განხილ-

ვისთვის განსაზღვრავს არაუმეტეს 90 კალენდარულ დღეს. დავის სირთულიდან და სპეციფიკიდან, აგრეთვე დავის მსვლელობიდან და მოსაკვლევი საკითხების მასშტაბიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვადა არაუმეტეს 30 კალენდარული დღით გახანგრძლივდეს.

საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის საქმიანობის პირველი 2 წელი მნიშვნელოვანი შედეგებით გამოირჩოდა, რაც ნათლად მიუთითებს მისი ეფექტიანობისა და ეფექტურობის ხარისხზე. კონკრეტულად, მიღებული საჩივრები და მიღწეული შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

- კომისიამ მიიღო 158 საჩივარი, საიდანაც 111 საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. დანარჩენ შემთხვევაში, გამოიკვეთა კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები საჩივრის განუხილველად დატოვებისათვის, მათ შორის, დავის საგნის ღირებულება სცდებოდა კანონმდებლობით დაშვებულ ზღვარს, მომხმარებელმა გაითხოვა საჩივარი, ან არ გამოასწორა ხარვეზი, ასევე, საკითხი სცდებოდა კომისიის კომპეტენციას. აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს მომხმარებელთა მზარდ ნდობაზე კომისიის მიმართ და მის შესაძლებლობაზე უზრუნველყოს თითოეულ საჩივარზე სისტემური და ოპერატიული რეაგირება.
- წარმოებაში მიღებული საჩივრებიდან დასრულებულია 96 დავა, რომელთაგან 75 (78%) მომხმარებლების სასარგებლოდ დასრულდა. აღნიშნული ასახავს კომისიის მოქმედების ეფექტურობას მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.
- წარმოებაში მიღებული დავების ფარგლებში მოთხოვნილი ჯამური თანხის მოცულობამ გადააჭარბა 1 მილიონ ლარს (მოიცავს უცხოური ვალუტის ექვივალენტს), რაც მიუთითებს კომისიის მიერ განხილული საქმეების მნიშვნელოვან ფინანსურ მასშტაბზე და მის გადაწყვეტილებათა არსებით გავლენაზე მომხმარებლებისთვის.
- ასანაზღაურებლად დარჩენილი თანხა 213 000 ლარი, საიდანაც დაახლოებით 211 000 ₾ მოდის კომერციული ბანკების მიერ სასამართლოში გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებზე.
- კომისიის საქმიანობის ფარგლებში უკვე ფაქტობრივად ანაზღაურებული/ჩარიცხული თანხის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 412 000 ლარი, რაც ადასტურებს კომისიის გადაწყვეტილებების პრაქტიკულ ეფექტიანობას და ხელს უწყობს მომხმარებელთა ნდობის გაძლიერებას როგორც საგადახდო მომსახურებების, ისე მათი დამცავი მექანიზმების მიმართ.
- კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად ასანაზღაურებლად დარჩენილი თანხების ჯამია 213 000 ლარი, საიდანაც დაახლოებით 211 000 ლარი მოდის კომერციული ბანკების მიერ სასამართლოში გასაჩივრებულ კომისიის გადაწყვეტილებებზე. ამ ციფრებით გამოიხატება კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სერიოზულობა და მათი გავლენა ფინანსურ საკითხებზე. ამ ეტაპისთვის არც ერთ საქმეზე სასამართლო განხილვა არ არის დასრულებული.

აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ კომისია წარმოადგენს ქმედით, შედეგზე ორიენტირებულ და დამოუკიდებელ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ზრდის საგადახდო ბაზრის გამჭვირვალობას და ნდობას, ხელს უწყობს სწორი საბანკო პრაქტიკის დამკვიდრებას; შესაბამისად, იგი წარმოადგენს სპეფიციური დავების სწრაფი, სამართლიანი და დეტალური განხილვის ეფექტურ მექანიზმს.

კომისიის საქმიანობის ანალიზი ასევე მოიცავს მომხმარებელთა პროფილის შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა უკეთ შეფასდეს კომისიის მომსახურების ხელმისაწვდომობა, ჩართულობის დონე და მომხმარებელთა ქცევითი თავისებურებები. კერძოდ, ქვემოთ მოცემული სტატისტიკა ასახავს იმ მომხმარებლების ძირითად დემოგრაფიულ და ქცევით მახასიათებლებს, რომლებმაც მიმართეს კომისიას და იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას მათი ჩართულობისა და განხილვებში დამოუკიდებელი მონაწილეობის ხარისხის შესახებ:

- მომხმარებლების 95% საქართველოს მოქალაქეა.
- მათგან 49% ქალია, ხოლო 51% - მამაკაცი.
- მომხმარებლების საშუალო ასაკია 46 წელი (ქალების შემთხვევაში 42 წელი, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში 50 წელი).
- ყველაზე დაბალი ასაკია 21 წელი, ხოლო ყველაზე მაღალი - 73 წელი.
- დავისას მომხმარებლების 93% თავად წარმოადგენდა თავს, ხოლო, დანარჩენს წარმომადგენელი ჰყავდა.

აღნიშნულიმიუთითებსიმაზე,რომკომისიაშიდავის წარმოება მარტივია, სწრაფი, ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებული, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ პიროვნებას დაიცვას თავისი უფლება დამატებითი ხარჯების ან დიდი ძალისხმევის გარეშე.

10.2. RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციები


ლარით ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ძირითად მექანიზმს ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS სისტემა) წარმოადგენს. 2025 წელს, წინა წლის მსგავსად, ეროვნული ბანკის RTGS სისტემას მიენიჭა სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი.

2025 წელს RTGS სისტემაში 2 ახალი მონაწილე ჩაერთო, შესაბამისად, საანგარიშო წლის დეკემბრის მდგომარეობით მისი მონაწილეები იყვნენ: საქართველოში ლიცენზირებული 19 კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. RTGS სისტემაში მუშავდება როგორც დიდი თანხობრივი ოდენობის ბანკთაშორისი გადახდები, ასევე მონაწილეების კლიენტების საცალო გადახდები. გარდა ამისა, RTGS სისტემა უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემებისა (CSSS) და საერთაშორისო საბარათე სისტემებში დამუშავებული ოპერაციების ანგარიშსწორებასაც. RTGS სისტემას გააჩნია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად შექმნილი ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომლის ტესტირება წინასწარ დამუშავებული სცენარების მიხედვით რეგულარულად ხორციელდება. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს სისტემის ფუნქციონირებისას წარმოშობილი ტექნიკური თუ გარე ფაქტორებით გამოწვეული შეფერხებების შემთხვევაში სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას, ამცირებს დანაკარგების რისკებსა და მინიმუმამდე დაჰყავს სისტემის ხელმიუწვდომლობის დრო. 2025 წელს, წინა წლების მსგავსად, RTGS სისტემის მუშაობის უწყვეტობის მაღალი ხარისხი იყო უზრუნველყოფილი. კერძოდ, სისტემის მონაწილეებისათვის ხელმისაწვდომობა 99.8 პროცენტს აღემატებოდა, რაც მნიშვნელოვანია RTGS სისტემის, როგორც სხვა სისტემების (CSSS-ის და საბარათე სისტემების) ანგარიშსწორების აგენტის როლის გათვალისწინებით.

2025 წელს RTGS სისტემით 52.9 მილიონი გადახდის ოპერაცია განხორციელდა, თანხობრივად 515.7 მილიარდი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, რაოდენობრივად 1.7 პროცენტით მეტია ხოლო თანხობრივად 7.5 პროცენტით ნაკლები. თანხობრივი კლება გამოწვეულია კომერციული ბანკების მიერ ავტომატური დღის შიდა სესხისა და მოთხოვნადი ერთდღიანი სესხების ოპერაციების შემცირებით. აღნიშნული ინსტრუმენტი წარმოადგენს კომერციული ბანკების მიერ ლიკვიდობის მართვის საშუალებას და ასახავს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის ფულადი სახსრების მოძრაობას. 2025 წელს, წინა წელთან შედარებით ამ ტიპის ტრანზაქციების წლიური მაჩვენებელი შემცირდა 38 პროცენტით, რამაც ასევე გავლენა იქონია ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის ოპერაციების დინამიკაზე და გამოიწვია მისი შემცირება 19 პროცენტით (იხ. დიაგრამა 3). თუ ლიკვიდობის მართვის ამ ოპერაციებს არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ RTGS ოპერაციების თანხობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტით არის გაზრდილი 2024 წელთან შედარებით. საყურადღებოა, რომ კომერციულ ბანკებს შორის ტრანზაქციების თანხა 2025 წელს გაიზარდა 10.7 პროცენტით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 157 მილიარდი ლარი. რაც შეეხება რაოდენობრივ მაჩვენებლებს, კომერციულ ბანკებს შორის ოპერაციების რაოდენობა შემცირდა 8.5 პროცენტით და შეადგინა 28.1 მილიონი, ხოლო კომერციულ ბანკებსა და სახელმწიფო ხაზინას შორის ოპერაციების რაოდენობა პირიქით გაიზარდა 16.3 პროცენტით და 24.6 მილიონ ოპერაციას მიაღწია.


RTGS სისტემით განხორციელებული გადახდების თანხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დინამიკა იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე N10.1-4.

დიაგრამა N 10.1. RTGS სისტემის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვები (2015-2025 წწ.)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 10.2. RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2025 წელი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 10.3. RTGS ოპერაციების თანხა მონაწილეების მიხედვით (2015-2025 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 10.4. RTGS ოპერაციების რაოდენობა მონაწილეების მიხედვით (2015-2025 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიუხედავად იმისა, რომ 2025 წელს, სხვა სისტემების საბოლოო ანგარიშსწორების ოპერაციების თანხა 24.7 პროცენტით შემცირდა, მისმა წილმა, სულ RTGS სისტემით შესრულებულ ოპერაციებში 31.2 პროცენტი (იხ. დიაგრამა N10.5) შეადგინა. შესაბამისად, წინა წლების მსგავსად, RTGS სისტემის როლი, სხვა სისტემებისთვის ანგარიშსწორების განმახორციელებლად კვლავ მნიშვნელოვანია. კლება განპირობებული იყო ზემოთ აღნიშნული ლიკვიდობის მართვის ოპერაციების (ერთდღიანი და დღის შიდა სესხები) თანხის კლებით.


დიაგრამა N 10.5. RTGS ოპერაციების თანხა ანგარიშსწორების მიხედვით (2015-2025 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


RTGS სისტემა არა მარტო დიდი თანხობრივი მოცულობის (საბითუმო), არამედ საცალო გადახდების კუთხითაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. 2025 წელს კომერციული ბანკების კლიენტების გადახდების წილმა, სულ RTGS გადახდებში, თანხობრივად 28.8 პროცენტი და რაოდენობრივად 81.8 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საცალო გადახდების რაოდენობის ყველაზე დიდი წილი (44 პროცენტი) 10-დან 100 ლარამდე გადახდებზე მოდის, ხოლო შემდეგ (33 პროცენტი) 100-დან 1000 ლარამდე გადახდებზე (იხ. დიაგრამა N10.6 და დიაგრამა N10.7).

დიაგრამა N 10.6. ბანკის კლიენტების გადახდების რაოდენობა თანხობრივი ზღვრების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 10.7. ბანკის კლიენტების გადახდების რაოდენობის განაწილება თანხობრივი ზღვრების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

10.3. გადახდის ელექტრონული საშუალებები

უნაღდო გადახდების ეფექტიანობის, მოქნილობისა და სისწრაფის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გადახდის ელექტრონული საშუალებების განვითარებაა. ინოვაციებისა და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელს უწყობს ახალი პროდუქტების შექმნას, რომლებიც უკეთესად პასუხობს თანამედროვე მომხმარებლების საჭიროებებს.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში უნაღდო გადახდების ბაზარი საქართველოში ხასიათდებოდა გადახდის ელექტრონული საშუალებების გამოყენების განუხრელი ზრდით. ამასთან ტრადიციულად, ყველაზე ხშირად გამოყენებულ გადახდის ელექტრონულ საშუალებას წარმოადგენს საბარათე ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული უნაღდო გადახდების რაოდენობა 19.2 პროცენტით გაიზარდა და მთლიანად უნაღდო გადახდების რაოდენობის 71.6 პროცენტს შეადგენს, რაც 1 პროცენტული პუნქტით მეტია 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამასთან სულ სავაჭრო-მომსახურების ობიექტებში გადახდების პოს-ტერმინალების გამოყენებით შესრულებული საბარათე გადახდების თანხის 95 პროცენტი და რაოდენობის 97 პროცენტი შეადგენდა უკონტაქტო საბარათე გადახდებს, რაც მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

რიგით მეორე ყველაზე ხშირად გამოყენებადი გადახდის საშუალება 2025 წელსაც კვლავ მობილური ბანკია. აღნიშნულმა არხმა გადახდებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა: ყოველი მეოთხე უნაღდო გადახდა განხორციელდა მობილური ბანკის მეშვეობით. მობილური ბანკის მეშვეობით ინიციირებული გადახდების რაოდენობის ზრდამ საანგარიშო პერიოდში წინა წელთან შედარებით 15.8 პროცენტი შეადგინა და მისმა წილმა უნაღდო გადახდების მთლიან რაოდენობაში 24.7 პროცენტს მიაღწია. ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ სულ რაღაც 10 წლის წინ მობილური ბანკის მეშვეობით ინიციირებული გადახდების რაოდენობის წილი 1 პროცენტს არ აღემატებოდა, რაც ცხადყოფს მისი სწრაფი პოპულარიზაციის ტენდენციას. ასეთი დინამიკა მიუთითებს, რომ მობილური ბანკი მომხმარებლისთვის უკვე დამკვიდრებულ, მოსახერხებელ და გამართულ საგადახდო საშუალებად ითვლება, რომელსაც მომავალში დიდი პოტენციალი აქვს უნაღდო გადახდების განვითარების კუთხით.

2025 წელს 12.8 პროცენტით გაიზარდა ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით ინიციირებული გადახდები და შეადგინა უნაღდო გადახდების მთლიანი რაოდენობის 2.9 პროცენტი, რითაც ის წინა წლის


მსგავსად უნაღდო გადახდების რაოდენობის მიხედვით მესამე ადგილზეა საბარათე და მობილური ბანკით გადახდების შემდეგ. რაც შეეხება არადისტანციურად, ბანკის ოფისებიდან ინიციირებულ გადახდებს, მათი რაოდენობა 2025 წელს წინა წელთა შედარებით 4.9 პროცენტით შემცირდა და გადახდების მთლიანი რაოდენობის 0.8 პროცენტი შეადგინა.

თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, განსხვავებით რაოდენობრივი მაჩვენებლებისგან, უნაღდო გადახდების განხორციელების საშუალებებიდან ყველაზე მეტად გამოყენებულია ინტერნეტ-ბანკი. 2025 წელს ინტერნეტ-ბანკით შესრულებული გადახდების თანხა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7.1 პროცენტით და უნაღდო გადახდების მთლიანი თანხის 53 პროცენტი შეადგინა, რაც ერთი პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ბაზრის წილის ამგვარი შემცირება განპირობებული იყო სხვა გადახდის მეთოდების - მობილური ბანკის და საგადახდო ბარათის - ოთხჯერ უფრო მეტი ზრდის ტემპით. კერძოდ, მობილური ბანკის საშუალებით განხორციელებული გადახდების თანხა 2025 წელს გაიზარდა 29.2 პროცენტით, რაც ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი არის უნაღდო გადახდების სხვა საშუალებებთან შედარებით, და მთლიანად უნაღდო გადახდების 25 პროცენტი შეადგინა, რაც 4 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ მობილური ბანკით შესრულებული გადახდების თანხის წლიური ზრდის ტემპი 2025 წელს გაიზარდა 11 პროცენტული პუნქტით. რაც შეეხება საგადახდო ბარათებით შესრულებულ გადახდებს, მათი თანხა 2025 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 25.4 პროცენტით და უნაღდო გადახდების მთლიანი თანხის 11 პროცენტი შეადგინა, რაც 1 პროცენტული პუნქტით მეტია 2024 წელთან შედარებით. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში განუხრელად მცირდება არადისტინაციური/ბანკის ფილიალიდან ინიციირებული გადახდების თანხის წილი მთლიან უნაღდო გადახდებში. ამასთან 2025 წელს წინა წელთან შედარებით მათი საშუალებით შესრულებული გადახდების თანხა შემცირდა 19.6 პროცენტით, რაც ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი შემცირებაა. აღნიშნულ წელს არადისტანციური გადახდების თანხის წილმა მთლიან უნაღდო გადახდებში შეადგინა 9 პროცენტი, რაც 3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

უნაღდო გადახდების სტატისტიკური მონაცემები, მათი ინიციირების საშუალებების ჭრილში, ნაჩვენებია დიაგრამებზე N10.8 და N10.9.


დიაგრამა N 10.8. საქართველოში უნაღდო გადახდის ინიციირების საშუალებების გამოყენება 2012-2025 წლებში

(თანხობრივი წილები)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

(რაოდენობრივი წილები)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 10.9. საქართველოში უნაღდო გადახდების განაწილება მათი ინიციირების საშუალებების მიხედვით (2025 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უნაღდო გადახდების ინიციირების საშუალებების გამოყენების დინამიკიდან ჩანს, რომ 2016-2017 წლებში წილობრივი გადანაწილება დიდწილად განპირობებული იყო მობილური ბანკის პოპულარობის სწრაფი ზრდით, რამაც განაპირობა მისი მეორე ყველაზე ხშირად გამოყენებულ საშუალებად ჩამოყალიბება როგორც გადახდების თანხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ თანხობრივი თვალსაზრისით საგადახდო ბარათებით შესრულებული გადახდების წილი ამავე პერიოდში ასევე განუხრელად იზრდებოდა, ის მაინც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა მობილური ბანკით გადახდების რაოდენობის ზრდას და საგადახდო ბარათების წილი სულ უნაღდო გადახდების რაოდენობაში შემცირდა. მობილური ბანკით და საგადახდო ბარათებით შესრულებული გადახდების თანხის წილი სულ

უნაღდო გადახდებში იზრდებოდა ინტერნეტ-ბანკითა და არადისტანციური საშუალებებით განხორციელებული გადახდების წილის შემცირების ხარჯზე (2025 წელს 2017 წელთან შედარებით მობილური ბანკით და საგადახდო ბარათებით გადახდების თანხის წილი გაზრდილია შესაბამისად 23 და 8 პროცენტული პუნქტით). რაც შეეხება რაოდენობრივ მაჩვენებლებს, იზრდებოდა მხოლოდ მობილური ბანკით გადახდების წილი სულ უნაღდო გადახდებში ყველა სხვა საშუალებებით შესრულებული გადახდების წილის შემცირების ხარჯზე (2025 წელს 2017 წელთან შედარებით მობილური ბანკით გადახდების თანხის წილი გაიზარდა 23 პროცენტული პუნქტით, ხოლო საგადახდო ბარათებით, ინტერნეტ-ბანკითა და არა დისტანციური საშუალებებით შესრულებული გადახდების თანხის წილი შემცირდა შესაბამისად 3, 13 და 6 პროცენტული პუნქტით).

10.4. საბარათე ინსტრუმენტების ბაზარი


საბარათე ოპერაციის ინიციირების საშუალებებს შორის სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს მობილური აპლიკაციები, როგორიცაა Google Pay და Apple Pay. 2025 წლის მდგომარეობით 2024 წელთან შედარებით მობილური აპლიკაციებით შესრულებული ოპერაციები 44 პროცენტით გაიზარდა რაოდენობრივად, ხოლო თანხობრივად 47 პროცენტით, 2025 წელს მობილური აპლიკაციით შესრულებული ოპერაციების ჯამურმა თანხამ 7.1 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი გადახდების 21 პროცენტს შეადგენს.

2025 წელს საბარათე ინსტრუმენტით ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების თანხის წლიური ზრდის ტემპი შეადგენდა 5.2 პროცენტს, რაც 5.5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2024 წლის ზრდის მაჩვენებელზე. აღნიშნული ზრდა 2015 წლიდან დღემდე ყველაზე დაბალი შედეგია და პანდემიის პერიოდის მაჩვენებელსაც კი ჩამორჩება.


რაც შეეხება უნაღდო საბარათე გადახდის ოპერაციების თანხას, მისი წლიური ზრდის ტემპი 2025 წელს კვლავ მნიშვნელოვნად აღემატებოდა ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების თანხის ზრდის მაჩვენებელს და შეადგენდა 21.2 პროცენტს, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან ახლოსაა. საყურადღებოა, რომ მობილური აპლიკაციებით შესრულებული გადახდების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება ბარათებით შესრულებული მთლიანი გადახდების ზრდის ტემპს. რაც მიანიშნებს მობილური აპლიკაციით გადახდების მზარდ პოპულარობაზე გადახდის სხვა მეთოდებთან შედარებით.

ანალოგიური ტენდენცია აღინიშნება საბარათე ინსტრუმენტით შესრულებული ოპერაციების რაოდენობის მხრივაც: 2025 წელს ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების რაოდენობის შემცირებამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 1.5 პროცენტი, რაც 2.8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საბარათე ინსტრუმენტით უნაღდო გადახდების რაოდენობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების შესაბამის მაჩვენებელს და შეადგინა 17.9 პროცენტს.

დიაგრამა N 10.10. საბარათე ოპერაციების ყოველწლიური ზრდა, თანხობრივად და რაოდენობრივად




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ნაღდი ფულის გატანისა და უნაღდო გადახდების ზემოთ აღნიშნული დინამიკა მიუთითებს უნაღდო გადახდების სულ უფრო მეტად გამოყენების ტენდენციაზე. ბოლო 10 წლის განმავლობაში უნაღდო გადახდების წილი სულ საბარათე ოპერაციებში სტაბილურად იზრდება როგორც თანხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. ამასთან, უნაღდო საბარათე გადახდების რაოდენობა უკვე 2015 წლიდან აჭარბებდა ნაღდი ფულის გატანის ოპერაციებს, ხოლო 2025 წელს უნაღდო გადახდების რაოდენობის წილმა მთლიან საბარათე გადახდებში 92 პროცენტი შეადგინა. თანხობრივი თვალსაზრისით, იგი მცირედით ჩამორჩება ნაღდი ფულის გატანის ოპერაციებს და 2025 წელს შეადგინა სულ საბარათე გადახდების თანხის 49%, რაც 4 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. გასული წლის წლიური ანგარიშის მიხედვით, წინა წლებში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ საგადახდო ბარათებით უნაღდო გადახდები თანხობრივად ნაღდი ფულის გატანის ოპერაციებს 2–3 წელიწადში გადააჭარბებდა (იხ. დიაგრამა N10.11). თუმცა მიმდინარე დინამიკა მიუთითებს, რომ აღნიშნული გარდატეხა მოსალოდნელზე უფრო ადრე შეიძლება განხორციელდეს. (იხ. დიაგრამა N10.11)

დიაგრამა N 10.11. საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ნაღდი ფულის გატანისა და უნაღდო გადახდების წილის დინამიკა 2013-2025 წლებში






წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელს საქართველოში გამოშვებული საბარათე ინსტრუმენტებით სულ შესრულდა 1.28 მილიარდი ოპერაცია საერთო თანხით 101.7 მილიარდი ლარი. აქედან, ქვეყნის შიგნით შესრულდა ოპერაციების რაოდენობის 93 პროცენტი და თანხის 88 პროცენტი, რაც უმნიშვნელოდ განსხვავდება გასული წლის ანალოგიური მაჩვენებლებისგან. აღსანიშნავია, რომ უცხოეთში ქართული ბარათებით განხორციელებულ ოპერაციებში მნიშვნელოვნად მაღალია უნაღდო გადახდების წილი (როგორც რაოდენობრივად, ასევე თანხობრივად) განსხვავებით ამავე ბარათებით საქართველოში შესრულებულ ოპერაციებთან. კერძოდ, 2025 წლის მონაცემებით უცხოეთში ქართული ბარათებით განხორციელებული ოპერაციების საერთო თანხაში ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების წილი შეადგენს 7.7 პროცენტს (რაოდენობრივი მაჩვენებლებით 1 პროცენტს), ხოლო ქართული ბარათებით საქართველოში - განხორციელებული ოპერაციების 56 პროცენტს (რაოდენობრივად 8.8 პროცენტს) შეადგენს ნაღდი თანხის გატანის ოპერაციები. (იხ. დიაგრამა N10.12).

დიაგრამა N 10.12. საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ნაღდი ფულის გატანისა და გადახდის პოს-ტერმინალებით გადახდების წილის დინამიკა საზღვარგარეთ და საქართველოში 2020-2025 წლებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელს საქართველოსა და უცხოეთში განხორციელებული უნაღდო გადახდის ოპერაციების რაოდენობაში ელექტრონული კომერციის ოპერაციების წილი უმნიშვნელოდ შეიცვალა და შეადგინა რაოდენობის 23 პროცენტი, ხოლო თანხობრივი მაჩვენებლებით 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შეადგინა თანხის 47 პროცენტი. ამასთან, საზღვარგარეთ ელ. კომერციის გადახდების რაოდენობრივი წილი სულ ელ. კომერციის ოპერაციებში 2.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით და შეადგინა 19.7 პროცენტი. უმნიშვნელოდ შემცირდა უცხოეთში ელ. კომერციის ოპერაციების თანხობრივი წილი და შეადგინა სულ ელ. კომერციის გადახდების 27.7 პროცენტი, რაც 0.5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

რაც შეეხება გადახდის ფიზიკური პოს-ტერმინალების მეშვეობით საზღვარგარეთ შესრულებულ გადახდებს, მათი წილი გადახდის პოს-ტერმინალებით შესრულებულ მთლიან გადახდებში პრაქტიკულად არ შეცვლილა და შეადგინა მხოლოდ 14 პროცენტი თანხობრივი და 3.8 პროცენტი რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით (უნაღდო გადახდის ოპერაციების დინამიკა იხ. დიაგრამა N 10.13).


დიაგრამა N 10.13. საქართველოში გამოშვებული ბარათებით შესრულებული უნაღდო გადახდის ოპერაციების დინამიკა 2018-2024 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გამოშვებულმა სადებეტო და საკრედიტო საგადახდო ბარათების რაოდენობამ 11.6 მილიონი შეადგინა, რაც 13 პროცენტით მეტია 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. გამოშვებული ბარათების 7 პროცენტი საკრედიტო ბარათია. ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობა შეადგენს 3.1-ს. საქართველოში გამოშვებული ბარათების უდიდესი წილი უჭირავს საერთაშორისო საბარათე სქემების ბარათებს (სულ გამოშვებული ბარათების 95 პროცენტი). გამოშვებული საგადახდო ბარათების დინამიკა წლებისა და საბარათე სქემების მიხედვით გამოსახულია დიაგრამა N10.14-ზე.


დიაგრამა N 10.14. კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათების რაოდენობა საბარათე სქემების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წელს აქტიური ბარათების თვის საშუალო რაოდენობა შეადგენდა 5.6 მილიონს, რაც გამოშვებული ბარათების თვის საშუალო მაჩვენებლის 51.2 პროცენტს შეადგენს. 2025 წელს ერთი აქტიური ბარათით თვეში საშუალოდ შესრულებული ოპერაციების რაოდენობა შეადგენდა 19-ს, თანხობრივად კი 1.51 ათას ლარს, რაც უმნიშვნელოდ აღემატება 2024 წლის მაჩვენებელს აქტიური ბარათით საშუალოდ თვეში განხორციელებული გადახდების რაოდენობისა და თანხის დინამიკა იხ. დიაგრამა N 10.15-ში.


დიაგრამა N 10.15. აქტიური ბარათით თვეში საშუალოდ განხორციელებული გადახდების რაოდენობა და თანხა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში განთავსებული იყო დაახლოებით 127.4 ათასი გადახდის პოს-ტერმინალი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8 პროცენტით მეტია. გადახდის პოს-ტერმინალების 59.4 პროცენტი განლაგებულია დედაქალაქში. მიუხედავად ასეთი კონცენტრაციისა, ბოლო 5 წლის განმავლობაში შეიმჩნევა თბილისში განლაგებული გადახდის პოს-ტერმინალების წილის შემცირების ტენდენცია, რაც რეგიონებში პოს-ტერმინალების ქსელის გაფართოებაზე მიუთითებს

დიაგრამა N 10.16. თბილისში განლაგებული გადახდის პოს-ტერმინალების რაოდენობის წილი სულ გადახდის პოს-ტერმინალებში (2019-2025 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოში განლაგებული საბარათე მოწყობილობებით (პოს-ტერმინალებსა და ბანკომატებში) 2025 წელს ჯამურად 1 მილიარდი ოპერაცია შესრულდა, თანხობრივად 95.6 მილიარდი ლარი. აღნიშნული მაჩვენებლები რაოდენობრივად 17 პროცენტით, ხოლო თანხობრივად 16 პროცენტით აღემატება წინა, 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. 2025 წლის ოპერაციების რაოდენობის 96 პროცენტი და თანხის 95 პროცენტი ქართული საბარათე ინსტრუმენტებით შესრულდა, დანარჩენი კი უცხოური საბარათე ინსტრუმენტებით შესრულებული ოპერაციებია. შესრულებული საბარათე ოპერაციების რაოდენობის 89 პროცენტი (თანხის 42 პროცენტი) არის უნაღდო გადახდის ოპერაციები.

უცხოური ბარათის მფლობელების მიერ საქართველოში უნაღდო გადახდებით დახარჯული თანხა 2024 წლის 2.8 მილიარდიდან 2025 წელს 3.4 მილიარდამდე გაიზარდა. საზღვარგარეთ ქართული ბარათებით განხორციელებული გადახდების მოცულობამ 2025 წელს 3.6 მილიარდი შეადგინა, რაც 0.5 მილიარდით აღემატება 2024 წლის მაჩვენებელს. ამავე პერიოდში, მისმა წილმა ქართული ბარათებით განხორციელებულ მთლიან გადახდებში 14.4 პროცენტი შეადგინა.

მსგავსი ტენდენცია იკვეთება ტრანზაქციების რაოდენობის მიხედვითაც. 2025 წელს ქართული ბარათებით საზღვარგარეთ შესრულებული უნაღდო გადახდების რაოდენობა 33.3 მილიონ ტრანზაქციას, ხოლო საქართველოში უცხოური ბარათებით განხორციელებული გადახდები 34.3 მილიონს შეადგენდა.


10.5. არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერები


პროვაიდერების გადახდები (გარდა ელექტრონული ფულით ოპერაციებისა)

2025 წელს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ 15.3 მილიარდი ლარის მოცულობის 107.4 მილიონი ოპერაცია განხორციელდა. 2024 წელთან შედარებით გადახდების რაოდენობა შემცირდა 9.7 პროცენტით, ხოლო თანხა გაიზრდა 7.6 პროცენტით. პროვაიდერების გადახდების (გარდა ელექტრონული ფულისა) დინამიკა მოცემულია დიაგრამა N10.17-ზე.

გადახდის განსახორციელებლად ყველაზე ხშირად, ტრადიციულად, თვითმომსახურების კიოსკები იყო გამოყენებული, რომლებითაც ნაღდი ფულით ელექტრონული გადახდის ინიციირებაა შესაძლებელი. 2024 წლის მსგავსად, 2025 წელს კიოსკების მეშვეობით გადახდების რაოდენობის 94 პროცენტი და თანხის 98 პროცენტი განხორციელდა.

დიაგრამა N 10.17. საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდები (გარდა ელექტრონული ფულისა)





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გადახდები ელექტრონული ფულით

ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების ბაზარზე 2025 წელს, ტრადიციულად, განსაკუთრებული ადგილი წინასწარი გადახდის სატრანსპორტო ბარათებს უკავია. მათი გამოყენებით განხორციელებული ერთი გადახდის საშუალო თანხა 0.47 ლარს შეადგენს, რაც რადიკალურად განსხვავდება სხვა ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდებისაგან. საყურადღებოა, რომ სატრანსპორტო ბარათები აქტიურად გამოიყენება საქალაქო საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადასახდელად, რის გამოც, მათი მეშვეობით განხორციელებული გადახდების რაოდენობა, სხვა ელექტრონული ფულით განხორციელებულ გადახდების რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება და სულ ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების რაოდენობის 98 პროცენტს, ხოლო თანხის - 39 პროცენტს შეადგენს. 2025 წელს ელექტრონული ფულის პროვაიდერების მიერ (გარდა სატრანსპორტო გადახდებისა) 113.5 მილიონი ლარის მოცულობის 0.7 მილიონი გადახდა განხორციელდა.

11.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაცია

საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციის დეპარტამენტი 2025 წლის განმავლობაში აქტიურად ახორციელებდა საზედამხედველო ფუნქციებს, რომელიც მოიცავს: დაინტერესებული პირების რეგისტრაციას საგადახდო მომსახურების და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებად, კანონმდებლობით განსაზღვრული ცვლილებების რეგისტრაციას, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების პრუდენციულ ზედამხედველობას და საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწას. ეროვნული ბანკი საზედამხედველო საქმიანობასთან ერთად მუდმივად უწყობს ხელს ახალი საგადახდო სერვისების და ინოვაციური პროდუქტების განვითარებას. ამ მხრივ, იგი მუდმივ კომუნიკაციაშია ბაზრის მონაწილეებთან და სწავლობს მათ საჭიროებებს. სწორედ ამ ურთიერთობის ფარგლებში, 2025 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სერვისში ჩართვის პროექტი, რომლის დანერგვის შემდეგაც, მათ შესაძლებლობა მიეცემათ კომერციული ბანკის დახმარების გარეშე განახორციელონ სისტემის მონაწილეებს შორის გადარიცხვები[48].

საგადახდო მომსახურების ბაზრის განვითარებასთან ერთად გადახდის პროცესები უფრო მარტივი და მოსახერხებელი ხდება. კიდევ უფრო იზრდება იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რიცხვი, რომლებიც მომხმარებლებს ღია ბანკინგის სერვისებს სთავაზობენ, რაც ხელს უწყობს საგადახდო მომსახურების სისწრაფის, უსაფრთხოების და ინოვაციების განვითარებას. ამავე დროს ვითარდება საგადახდო მომსახურების პროვაიდერების და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების პარტნიორობის არეალი, რაც ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, აღნიშნული სუბიექტების ერთმანეთთან თანამშრომლობაში გამოიხატება. აღნიშნულის მიზანია მხარეებმა შექმნან კომბინირებული მომსახურების სქემები ვირტუალური აქტივის ფულად სახსრებში გადაცვლის წინაპირობით, რომელიც მათ მომხმარებლებს ალტერნატიული გადახდების განხორციელების საშუალებას სთავაზობს.

ვირტუალური აქტივის მომსახურების ეკოსისტემის როგორც გლობალური ასევე ადგილობრივი დინამიკა მზარდი და სწრაფად განვითარებადია. მათ შორის, იკვეთება ახალი სახის მომსახურებები/პროდუქტები და იზრდება ამ მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობა. ამასთანავე, აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობასთან დაკავშირებით. სწორედ ამ პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზზე მიმდინარეობდა 2025 წლის განმავლობაში მუშაობა, რათა შექმნილიყო მყარი საფუძველი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების სრული რეგულირებისთვის. 2025 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის ინიციირება განხორციელდა, რომელიც ეხებოდა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საზედამხედველო ჩარჩოს გაფართოებას.

2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო პარტნიორებთან. კერძოდ, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის საგადახდო მომსახურების საკითხებზე მომუშავე გუნდს, საგადახდო მომსახურების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარების საკითხებზე მხარდაჭერა გაეწია. ასევე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ყაზახეთის ცენტრალური ბანკის სპეციალისტებისთვის მიმდინარეობდა ტექნიკური დახმარება, ხოლო კორეის ცენტრალურ ბანკთან ერთად სამუშაოები ჩატარდა საქართველოში საგადახდო სისტემაში უნაღდო გადახდების როლის შეფასებასა და მათი წახალისების მექანიზმებზე.

2025 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგულირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო კომისიას (IOSCO) შორის გაფორმებული მრავალმხრივი ურთიერთგაგების მემორანდუმის (MMoU) ფარგლებში, ორგანიზაციის თანადგო-

48. დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS) წარმოადგენს ბანკთაშორისი ანგარიშსწორების მექანიზმს ქვეყნის შიგნით, რომლის მონაწილეებს დღეისათვის წარმოადგენენ მხოლოდ კომერციული ბანკები და სახელმწიფო ხაზინა.

მით განახორციელდა არსებული რეგულირების თვითშეფასება და თემატური შეფასების (thematic review) დოკუმენტი მომზადდა. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს IOSCO-მ გამოსცა 18 პრინციპზე დაფუძნებული და შედეგზე ორიენტირებული რეკომენდაცია, რომელიც მოიცავს ექვს ძირითად სფეროს ვირტუალურ აქტივებთან მიმართებაში. აღნიშნული პრინციპები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საქმიანობის და ფუნქციების ვერტიკალური ინტეგრაციის შედეგად წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტი, ბაზრის მანიპულირება და თაღლითობა, ტრანსსასაზღვრო რისკები და მარეგულირებელი თანამშრომლობა, მომხმარებელთა აქტივების შენახვა და დაცვა, საოპერაციო და ტექნოლოგიური რისკი და წვდომის უფლებები[49].

სტაბილური ვირტუალური აქტივის ემიტენტის რეგულირების საკითხებზე ეროვნული ბანკისთვის მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა განახორციელეს ტექნიკური დახმარება. ასევე საგულისხმოა ეუთოს (OSCE) და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის ვირტუალური აქტივების ზედამხედველობისა და რეგულირების საკითხებში თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა არაერთი ტრენინგი.

2025 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 22-23 ოქტომბერს თბილისში ჩატარებული ფორუმი - CFTN Tbilisi Finance Summit, სადაც დიდი ადგილი დაეთმო ვირტუალური აქტივის მომსახურების სფეროს კრიტიკულ საკითხებს და საკანონმდებლო ინიციატივებს.

საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და ინოვაციური ფინანსური პროდუქტების განვითარებისთვის ხელსაყრელი ეკოსისტემის შექმნაზე. ეფექტური რეგულაციებისა და ზედამხედველობის მეშვეობით, იგი უზრუნველყოფს როგორც ახალი ტექნოლოგიების და მომსახურებების დანერგვას და განვითარებას, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, რაც ამყარებს სექტორისადმი მომხმარებელთა ნდობას და აძლიერებს მათ ჩართულობას.

2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი განაგრძობდა მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფას, როგორც ვირტუალური აქტივის მომსახურების ბაზრის გამჭვირვალობის ხელშეწყობის, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით. 2025 წლის დეკემბერში, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის კუთხით განხორციელდა ცვლილებები. კერძოდ, კანონის მე-2 მუხლის „ჰ[13]“ ქვეპუნქტში დაზუსტდა ვირტუალური აქტივის მომსახურებები და ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება ნორმატიული აქტით განსაზღვროს ვირტუალური აქტივის მომსახურების სახეები. აღნიშნული ცვლილება გამოიწვია ვირტუალური აქტივის სექტორში არსებულმა დინამიკამ, სადაც ახალი სერვისებისა და პროდუქტების შექმნისა თუ დანერგვის პროცესი მზარდი დინამიკით ხასიათდება, რის გამოც შეუძლებელია კანონში სრულად იყოს გათვალისწინებული მომსახურებათა ჩამონათვალი. ასევე, ცვლილება შევიდა ორგანული კანონის 52[5]-ე მუხლში და გაფართოვდა ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება, რომელიც მოიცავს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიერ შესასრულებელი მოთხოვნების განსაზღვრის უფლებას, რომელიც მათ შორის მოიცავს მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის და მისი გაანგარიშების წესის დადგენას, კაპიტალის და აქტივების მიმართ მოთხოვნების, რისკების მართვის სტანდარტების, რისკების ჩარჩოს შესახებ და სხვა დამატებითი მოთხოვნების დადგენის უფლებამოსილებას. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებზე გავრცელების მიზნით, ცვლილებები განხორციელდა ორგანულ კანონში, მათ შორის 48-ე მუხლის მე-12 პუნქტში, რომლითაც ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერისათვის დაადგინოს მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული წესი/წესები.

49. საქართველოს ეროვნული ბანკი IOSCO-ს სრული წევრი 2021 წელს გახდა, ამჟამად ამ ორგანიზაციის წევრობის სტატუსით მსოფლიოს მასშტაბით 134 საზედამხედველო ორგანო სარგებლობს. აღნიშნული ორგანიზაციის ძირითადი მიზნები ინვესტორთა დაცვა, ბაზრის გამჭირვალობის უზრუნველყოფა და სისტემური რისკების შემცირების გზით ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერაა.

ზემოთაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, 2025 წელს მუშაობა მიმდინარეობდა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიერ სტაბილური ვირტუალური აქტივის პირველადი შეთავაზების წესის პროექტზე. პროექტის მიზანი იყო საქართველოში სტაბილური ვირტუალური აქტივის პირველად შეთავაზებასთან (მათ შორის, გამოშვებასთან) დაკავშირებული უსაფრთხო და გამჭვირვალე რეგულირების და საზედამხედველო ჩარჩოს ჩამოყალიბება. პროექტზე მუშაობის პერიოდში შესწავლილ იქნა სხვადასხვა ქვეყნის (აშშ-ს Genius Act , დუბაის VARA, ევროკავშირის MiCA და სხვა) საუკეთესო პრაქტიკა. განისაზღვრა ახალი ტერმინები, სარეზერვო აქტივების კომპოზიცია და კაპიტალის მოთხოვნები. ეროვნული ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტების ჩართულობით, ერთობლივი მუშაობა მიმდინარეობდა რისკების მართვის ჩარჩოს შემადგენელი კომპონენტების ჩამოყალიბებაზე, დადგინდა სტაბილური ვირტუალური აქტივის ემიტენტის ვალდებულებები, შეთავაზების დოკუმენტის სტრუქტურა, შინაარსი და სხვა. წესის პროექტის დამტკიცება დაგეგმილია 2026 წლის დასაწყისში. წესის დანერგვა უზრუნველყოფს საქართველოში სტაბილური ვირტუალური აქტივების ეკოსისტემის სამართლებრივ განსაზღვრულობას და მდგრად განვითარებას; მომხმარებელთა უფლებების და ინტერესების დაცვის გაძლიერებას; ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების სექტორში რისკების მართვის სტანდარტების გაუმჯობესებას და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის ზრდას.

2025 წლის განმავლობაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში, საქართველოს ეროვნულ ბანკში ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის გარეშე მომხმარებლებს სთავაზობდნენ ვირტუალური აქტივის მომსახურებას და მომხმარებლები შეცდომაში შეჰყავდათ. აღნიშნულის თაობაზე, ეროვნულმა ბანკმა, 2025 წლის ოქტომბერში, ინტერნეტ სივრცეში გაავრცელა განცხადება, რომლითაც მოქალაქეებს მოუწოდა, არ ისარგებლონ არარეგისტრირებული სუბიექტების ვირტუალური აქტივის მომსახურებით. მომხმარებლისთვის დამატებითი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესში“ განხორციელდა ცვლილება. კერძოდ, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს დაეკისრა ვალდებულება, მის მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევის ყველა სივრცეში/არხში (სათავო ოფისი, ფილიალი, თვითმომსახურების კიოსკი, ვებგვერდი, აპლიკაცია და სხვა), მომხმარებლისთვის თვალსაჩინო ადგილას და ფორმით განათავსოს ან მარტივად ხელმისაწვდომი გახადოს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ცვლილებამ ხელი შეუწყო მომხმარებლის ინფორმირებულობის ზრდას და ამ გზით მათი ინტერესების დაცვას, რამაც თავის მხრივ, უზრუნველყო ეროვნული ბანკის მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნის პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულების პროცესი.

გასულ წელს ცვლილება განხორციელდა „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნულ ბანკს გაუჩნდა უფლებამოსილება, რომ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებული პირისგან აღარ მოითხოვოს ადმინისტრატორების ან/და მნიშვნელოვანი წილის როგორც პირდაპირი/არაპირდაპირი, ასევე ბენეფიციარი მესაკუთრეების/მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირის შესახებ ის ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რაც უკვე წარდგენილი იყო საქართველოს ეროვნულ ბანკში და გავლილი ჰქონდა სულ მცირე ამ ბრძანების შესაბამისი ან/და უფრო კომპლექსური შესაფერისობის შემოწმება. აღნიშნულმა ცვლილებამ დაინტერესებულ პირებს გაუმარტივა რეგისტრაციის პროცესი და შეამცირა მათ მიერ წარმოსადგენი სარეგისტრაციო დოკუმენტების რაოდენობა.

2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 25 ივნისის №92/01 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო სექტორის წარმომადგენლისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების, აღსრულების პროცედურისა და აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციების განსაზღვრის წესში“ განსახორციელებელ ცვლი-

ლებებზე მიმდინარეობდა მუშაობა. ცვლილების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმების აღსრულების მონიტორინგი და აღსრულების პროცედურების ეფექტური და თანმიმდევრული განხორციელება. წესში შესული ცვლილებები ძალაში შევა 2026 წელს.

2025 წლის თებერვალში ცვლილებები შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანებით დამტკიცებულ „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესში“. აღნიშნული ცვლილებით წესის მე-11 მუხლს დაემატა მითითებითი ნორმა, რომლის მიხედვითაც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საჩივრის შესახებ ჩანაწერები აწარმოოს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მე-13[1] მუხლის შესაბამისად. განხორციელებული ცვლილების შედეგად დაზუსტდა მომხმარებლის საჩივრების მიღებისა და განხილვის წესი, საჩივრის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და საჩივრის შესახებ ჩანაწერების ელექტრონული ფორმით შენახვის ვადები.

2025 წლის განმავლობაში მუშაობა ასევე მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული ბანკის საგადახდო სისტემებში ჩართვის წესის შექმნაზე, რომელიც ასევე ითვალისწინებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ეროვნული ბანკის დროის რეალური რეჟიმის ანგარიშსწორების სისტემაში ჩართვას. აღსანიშნავია, რომ საფინანსო სექტორი ამ წარმომადგენლებისთვის ეროვნული ბანკის საგადახდო სისტემაში ჩართვა შეამცირებს მათ ბაზარზე შესვლის ბარიერებს და ხელს შეუწყობს ინოვაციური ფინანსური პროდუქტების/სერვისების განვითარებას. კერძოდ, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს საშუალება მიეცემათ ფართო მასებს შესთავაზონ ახალი ელექტრონული გადახდის სერვისები (როგორიცაა მაგ. მობილური ფული, პირდაპირი დებეტი და ა.შ.). ასევე, შემცირდება მათი კომერციულ ბანკებზე დამოკიდებულება. კომერციული ბანკი ზოგჯერ ზღუდავს საფინანსო სექტორის წარმომადგენელი კონკურენტი იურიდიული პირების საგადახდო სისტემაზე ხელმისაწვდომობას და ამავე იურიდიული პირების მიერ მომხმარებლებისთვის საგადახდო მომსახურების გაწევისას უნაღდო ოპერაციების განხორციელებას. აღნიშნული ცვლილება გაზრდის კონკურენციას საგადახდო სფეროში. წესის პროექტის მიხედვით, თავდაპირველად RTGS სისტემაში ჩართვის უფლება მხოლოდ მნიშვნელოვან საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს მიეცემა, თუ ისინი დააკმაყოფილებენ საოპერაციო, კიბერუსაფრთხოების, ფულის გათეთრების და წესით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის ასევე სავალდებულო ხდება საგადახდო ანგარიშების საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის (IBAN) ფორმატში გენერირება 2026 წლის 1 ივლისამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ამ სუბიექტებს ეკრძალებათ სხვა სახის ანგარიშის ნომრის გამოყენება გადახდის ოპერაციების განსახორციელებლად. ცვლილება მომზადდა „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებაში“ შესაბამისი ჩანაწერების საფუძველზე, რომელიც ძალაში შევა 2026 წლიდან.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერები

საგადახდო მომსახურების პროვაიდერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფინანსური სექტორის სტაბილურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაში ისევე, როგორც ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საგადახდო მომსახურებების სახეები, რომელსაც აღნიშნული სუბიექტები ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე, განსაზღვრულია საქართველოს კანონით „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“, რომელიც 2012 წლის პირველი ივლისიდან მოქმედებს. აღნიშნული კანონი ასევე განსაზღვრავს საგადახდო მომსახურების რეგულირების და ზედამხედველობის პრინციპებს და ეროვნული ბანკის, როგორც მარეგულირებლის და ზედამხედველის როლს და ფუნქციებს.

2025 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულია 36 საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ლიკვიდაციის პროცესს გადის 2 პროვაიდერი, სულ წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 2 საგადახდო მომსახურების პროვაიდერი. წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა განახორციელა ორი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სრულფასოვანი შემოწმება პროვაიდერის ოფისში.

ცხრილი 11.1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერების შესახებ ინფორმაცია (2025 წ.)

2025 წლის მაჩვენებლები	**რეგისტრირებული პროვაიდერების რაოდენობა**
რაოდენობა წლის დასაწყისში	34
რეგისტრაცია გაიარა	2
რეგისტრაცია გაუქმდა	0
რაოდენობა წლის ბოლოს	36
ლიკვიდაციის პროცესშია	2
დასრულდა ლიკვიდაცია	0

რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერებიდან 27 ახორციელებდა ექვაირინგის მომსახურებას, ხოლო 27 ელექტრონული ფულის გამოშვებას/გადახდის ოპერაციებს ელექტრონული ფულის მეშვეობით. პროვაიდერები ასევე ახორციელებდნენ ფულადი გზავნილის[50] მომსახურებებს და საგადახდო ინსტრუმენტის, მათ შორის, საგადახდო ბარათის გამოშვებას და მათი მეშვეობით ოპერაციების მომსახურებებს[51].

2025 წელს გაიზარდა ეროვნულ ბანკთან მიმართვები ღია ბანკინგის მომსახურების დანერგვის მოთხოვნით. ღია ბანკინგი ხელს უწყობს ინოვაციური ფინანსური სერვისების განვითარებას, ბაზარზე კონკურენციის ზრდას და წარმოადგენს ფინანსური სექტორის განვითარების თანამედროვე მიმართულებას, რომელიც გულისხმობს ანგარიშის ინფორმაციაზე უსაფრთხო და სტანდარტიზებულ წვდომას და ამ ანგარიშიდან საგადახდო ოპერაციის ინიციირებას მომხმარებლის წინასწარი თანხმობის საფუძველზე. 2025 წლის ბოლო მონაცემებით ხუთი საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ახორციელებდა ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის და ხუთი პროვაიდერი - გადახდის ინიციირების მომსახურებას. მათგან წლის განმავლობაში აღნიშნული სერვისების განხორციელების უფლება/უფლებები მოიპოვა სამმა პროვაიდერმა.

2025 წლიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მნიშვნელოვანი საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისგან ფინანსური ანგარიშგებების მიღება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის პირველი მაისის №79/04 ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის წესის“ შესაბამისად. კერძოდ, აღნიშნული წესის მიხედვით, პროვაიდერი ვალდებულია ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი ფინანსური აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად და ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 15 ივლისამდე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს გასული წლის წლიური ფინანსური ანგარიშგება. მნიშვნელოვანი პროვაიდერი ასევე ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს კვარტალური ანგარიშგების ფორმები. 2025 წლის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებულია 14 მნიშვნელოვანი საგადახდო მომსახურების პროვაიდერი.

50. სულ 20 პროვაიდერი


51. სულ 14 პროვაიდერი

ცხრილი 11.2. პროვაიდერების საქმიანობა შესრულებული საგადახდო მომსახურებების მიხედვით

N	საგადახდო მომსახურება	პროვაიდერების რაოდენობა, რომლებიც ასრულებენ შესაბამის საგადახდო მომსახურებას
1	გადახდის განხორციელება მომხმარებლის საკუთარი თანხის ფარგლებში საგადახდო ბარათის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით	12
2	საგადახდო ინსტრუმენტის, მათ შორის ელექტრონული ფულის ინსტრუმენტის გამოშვება	14
3	ექვაირინგი	27
4	ფულადი გზავნილი	20
5	ელექტრონული ფულის გამოშვება, გადახდის ოპერაციების განხორციელება ელექტრონული ფულის მეშვეობით, მობილური ტელეფონით, ინტერნეტით ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით	27
6	გადახდის ინიციირების მომსახურება	5
7	ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება	5

2025 წლის განმავლობაში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელდა 193 მლნ გადახდის ოპერაცია თანხობრივად 15.6 მილიარდი ლარი. გასულ, 2024 წელთან შედარებით ოპერაციების რაოდენობა შემცირდა 10%-ით, ხოლო თანხა გაიზარდა 6%-ით. წლების მიხედვით ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ შესრულებული გადახდის ოპერაციების დინამიკა გამოსახულია გრაფიკ N11.1-ზე:

დიაგრამა N 11.1. რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული ოპერაციების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ელექტრონული ფულით გადახდებმა შეადგინა სულ შესრულებული ოპერაციების 44% რაოდენობრივად და 2% თანხობრივად[52]. თვითმომსახურების კიოსკების მეშვეობით განხორციელებულმა ოპერაციებმა შეადგინა სულ პროვაიდერების მიერ შესრულებული ოპერაციების რაოდენობის 52% და თანხის 96%. აღსანიშნავია, რომ კიოსკების მეშვეობით პროვაიდერები მომხმარებლებს ძირითადად სთავაზობენ ფულადი გზავნილების და ექვაირინგის მომსახურებებს. 2025 წლის განმავლობაში, 2024 წელთან შედარებით თვითმომსახურების კიოსკებით შესრულებული ოპერაციების რაოდენობა შემცირდა 13%-ით, ხოლო თანხა გაიზარდა 8%-ით. სულ გასული წლის განმავლობაში კიოსკებით შესრულებული ოპერაციების რაოდენობამ შეადგინა 100.5 მლნ ოპერაცია, თანხობრივად 14.9 მილიარდი ლარი. 2025 წლის დეკემბრის თვის ბოლოს მონაცემებით, სულ კიოსკების რაოდენობამ ქვეყანაში შეადგინა 13.8 ათასი ერთეული, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის თვითმომსახურების კიოსკების რაოდენობასთან შედარებით 5%-ით ნაკლებია.

2025 წლის ბოლოსთვის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გამოშვებული წინასწარი გადახდის ბარათების ჯამური რაოდენობა იყო 7.9 მლნ, რაც 2024 წლის განმავლობაში გამოშვებული წინასწარი გადახდის ბარათების რაოდენობასთან შედარებით - 7%-ით მეტია. პროვაიდერების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათების 93% არის სატრანსპორტო და სოციალური ბარათები.

2025 წლის განმავლობაში პროვაიდერების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათებით სულ განხორციელდა 143 მლნ საბარათე ოპერაცია, რამაც თანხობრივად შეადგინა 448 მლნ ლარი. სატრანსპორტო და სოციალური ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა სულ საბარათე ოპერაციებში შეადგინა 98% რაოდენობრივად და 8% თანხობრივად. ასევე აღსანიშნავია, რომ სულ საბარათე ოპერაციების რაოდენობის 99.98%, ხოლო თანხის 98.06% განხორციელდა ქვეყნის შიგნით.

ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერები

ეროვნული ბანკი, 2023 წლიდან აქტიურად ახორციელებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციას. 2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკში რეგისტრაცია გაიარა 12-მა სუბიექტმა და წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული ვირტუალური აქტივის პროვაიდერების რაოდენობამ შეადგინა 32.

ვირტუალური აქტივის მომსახურების სექტორის განვითარებასთან ერთად იზრდება კომერციული ბანკების ჩართულობა აღნიშნულ სფეროში. თუმცა, მათი როლი ძირითადად რჩება ინფრასტრუქტურული ხასიათის. მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, კომერციულ ბანკებს/მიკრობანკებს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ვირტუალური აქტივის მომსახურება შეუძლიათ განახორციელონ და მათი საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საბანკო მომსახურების უზრუნველყოფაზე. 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა განიხილა რამდენიმე კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილი ვირტუალური აქტივის მომსახურების სქემა.

რეგისტრირებული ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერების უმრავლესობა ახორციელებს ვირტუალური აქტივის გადაცვლის ოპერაციებს როგორც ფიატ ვალუტაში, ასევე სხვა ვირტუალურ აქტივში. ასევე, მცირე რაოდენობა მომხმარებელს სთავაზობდა ვირტუალური აქტივის საფულეებს (ვირტუალური აქტივის შენახვას), სავაჭრო პლატფორმის ადმინისტრირებას და დახურული ქსელის (ე.წ. CLOSE LOOP) სტაბილური ვირტუალური აქტივის პირველად შეთავაზებას.

2025 წელს საქართველოში საქმიანობის უფლება მოიპოვა ერთმა გლობალურმა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერმა. შესაბამისად სექტორის მხრიდან ახალი მოთხოვნები წარმოიშვა, მათ შორის, სტეიკინგზე, მარჟით ვაჭრობაზე, ფიზიკურ პირებზე ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიერ სესხის გაცემაზე. ერთ-ერთი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის პროექტი წარდგენილ იქნა სებ-ის რეგულირების ლაბორატორიაში და დაიწყო განხილვები.

ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობს ეკოსისტემასთან დიალოგის, „სამუშაო გარემოს“ და კვლევის გზით რათა უზრუნველყოს, რომ რეგულირება პროპორციული და მომავალზე ორიენტირებული იყოს. არსებული გამოწვევის მოგვარებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ზემოთაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები და ძლიერი პრუდენციული რეგულირება, რაც ასევე მნიშვნელოვანი იქნება სექტორის მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად.

52. ელექტრონული ფულის ოპერაციებში შედის მხოლოდ ელექტრონული ფულით გადახდები და არ შედის ელექტრონული ფულის გამოშვების და დაფარვის ოპერაციები

12.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

2025 წელი გამოირჩეოდა ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ცვლილებებითა და მასშტაბური ინიციატივების განხორციელებით. წლის განმავლობაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, კრიტიკული სისტემების დანერგვასა და ოპერაციული პროცესების გაუმჯობესებაზე.

განხორციელებული პროექტები მიზნად ისახავდა ორგანიზაციის ტექნოლოგიური გარემოს მოდერნიზაციას, სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდას, ასევე უსაფრთხოების სტანდარტების გამკაცრებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბანკო სისტემების განვითარებას, მაღალი დატვირთვის მქონე პლატფორმების სტაბილურობასა და უწყვეტ ფუნქციონირებას.

საინფორმაციო დეპარტამენტის განყოფილებები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ტექნოლოგიური ეკოსისტემის გაძლიერების პროცესში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნული ბანკის IT გარემოს განვითარებაში.

IT პროცესების გაუმჯობესება და სერვისების მართვის სისტემის დანერგვა

IT დეპარტამენტის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს სერვისების მართვის სისტემის განვითარება ISO 20000 სტანდარტთან შესაბამისობაში. აღნიშნული პროცესის ფარგლებში მიმდინარეობს იმ პროცესებისა და პრაქტიკების დანერგვა და გაუმჯობესება, რომლებიც განსაზღვრულია როგორც საერთაშორისო სტანდარტებით, ასევე IT სერვისების მართვის საუკეთესო პრაქტიკებით (ITIL).

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არსებული IT პროცესების კომპლექსური გადახედვა და გაუმჯობესება, მათ შორის:

- პროცესების დეტალური დოკუმენტირება;
- ეფექტიანი კონტროლების დანერგვა;
- პროცესების შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკებთან.

განახლებული და დანერგილი პროცესებია:

- პრობლემების მართვა;
- ცვლილებების მართვა;
- სერვისის დონის შეთანხმებების (SLA) მართვა.

პრობლემების მართვის პროცესის დანერგვა

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა პრობლემების მართვის პროცედურა, რომელიც განსაზღვრას პრობლემების სასიცოცხლო ციკლის მართვის ეტაპებს, შესრულების თანმიმდევრობასა და მის აღმოფხვრაზე პასუხისმგებელ პირებს.

პროცესი უზრუნველყოფს:

- IT პრობლემების დროულ გამოვლენასა და ეფექტიან მართვას;
- ინციდენტების ძირეული და პოტენციური მიზეზების იდენტიფიცირებას;
- პრობლემების პრევენციას ადრეულ ეტაპზე;
- ბიზნეს პროცესებზე ნეგატიური ზეგავლენის მინიმიზაციას.

ცვლილებების მართვის პროცესის დანერგვა

სერვისების მართვის სისტემის განვითარების ფარგლებში დაინერგა ცვლილებების მართვის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს IT გარემოში ცვლილებების კონტროლირებად და სტრუქტურირებულ მართვას.

აღნიშნული პროცესის შედეგად:

- უზრუნველყოფილია ცვლილებების უსაფრთხო და მართვადი დანერგვა რეალურ გარემოში;
- შენარჩუნებულია IT სერვისების უწყვეტობა;
- მინიმუმამდეა დაყვანილი სისტემებსა და სერვისებში შეფერხებების რისკი.

სერვისის დონის შეთანხმებების (SLA) მართვა

სერვისის დონის მართვის პროცესის ფარგლებში განისაზღვრა IT სერვისების მიწოდებისა და მხარდაჭერის ძირითადი პარამეტრები, რაც უზრუნველყოფს მოლოდინების ეფექტიან მართვას ბიზნესსა და IT ერთეულებს შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- კრიტიკული და არაკრიტიკული IT სერვისებისთვის SLA დოკუმენტების ცალკე განსაზღვრა;

- ბიზნეს ერთეულებთან შეთანხმებით ინციდენტების აღმოფხვრის მიზნობრივი დროების განსაზღვრა;
- სერვისების პრიორიტეტიზაციის მკაფიო კრიტერიუმების ჩამოყალიბება.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სერვისების მიწოდების გამჭვირვალობას, ეფექტიანობასა და კონტროლირებადობას.

ოპერაციული სისტემების განახლება

2024 წელს კომპანია Microsoft-ის მიერ დაანონსებული Windows 10-ის მხარდაჭერის შეწყვეტის გათვალისწინებით, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის კომიტეტის გადაწყვეტილებით განხორციელდა ოპერაციული სისტემების ეტაპობრივი განახლება.

მომსახურების განყოფილების მიერ განხორციელებულმა სამუშაოებმა უზრუნველყო:
- სისტემების შესაბამისობა თანამედროვე უსაფრთხოების სტანდარტებთან;
- სამუშაო გარემოს სტაბილურობის ზრდა;
- ტექნიკური მხარდაჭერის გაუმჯობესება.

IT ინფრასტრუქტურის მართვის სისტემის (Endpoint Central) დანერგვა

საანგარიშო პერიოდში დაიწყო IT ინფრასტრუქტურის მართვის სისტემის – Endpoint Central-ის დანერგვა, რომელიც წარმოადგენს ცენტრალიზებულ პლატფორმას კომპიუტერული მოწყობილობების სამართავად (სერვერები, ლეპტოპები, დესკტოპები).

სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს:
- IT პროცესების ავტომატიზაციას;
- ოპერაციული ეფექტიანობის ზრდას;
- IT აქტივებისა და რესურსების ცენტრალიზებულ მართვას.

ფუნქციონალური შესაძლებლობები მოიცავს:
- ოპერაციული სისტემებისა და პროგრამების განახლებების მართვას;
- პროგრამული უზრუნველყოფის დისტანციურ ინსტალაციას;
- აქტივებისა და ლიცენზიების აღრიცხვას;
- პროგრამების გამოყენების მონიტორინგს;
- მომხმარებლების დისტანციურ ტექნიკურ მხარდაჭერას.

საანგარიშო პერიოდში აპლიკაციების ადმინისტრირების განყოფილება ფოკუსირებული იყო საბანკო და ფინანსური სისტემების განვითარებასა და გაუმჯობესებაზე. განხორციელდა არაერთი ტექნოლოგიური გადაწყვეტილება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბანკის ძირითადი საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობას, პროცესების ოპტიმიზაციასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

SWIFT-ის სისტემის განახლება და ახალი გარემოს გამართვა

საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად ახორციელებს მსოფლიოს ბანკთაშორისი ფინანსური სატელეკომუნიკაციო საზოგადოების (SWIFT) მიერ მომხმარებელთა უსაფრთხოების პროგრამის (Customer Security Programme – CSP) ჩარჩოსთან შესაბამისობის თვითშეფასების პროცესს. 2025 წლის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და თვითშეფასების პროცესის წარმატებით დასრულების მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის აპლიკაციების მართვის და ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილებების მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები.

SWIFT წარმოადგენს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ კრიტიკულ ბიზნეს სისტემას, რომლის უსაფრთხო და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა აპლიკაციების ადმინისტრირების განყოფილების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელდა SWIFT-ის სისტემის სრული განახლება და მისი ახალ ინფრასტრუქტურულ გარემოში გადატანა.

პროექტის ფარგლებში:
- სისტემა განახლდა ბოლო ვერსიამდე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფუნქციონალის დანერგვის მიზნით;
- განხორციელდა შეტყობინებების მიგრაცია საერთაშორისო ISO 20022 სტანდარტის შესაბამის ფორმატზე;
- დაოპტიმიზირდა სისტემის წარმადობა, რაც ზრდის ტრანზაქციების დამუშავების სისწრაფეს და ამცირებს შეფერხებების რისკს;
- დაინერგა უსაფრთხოების ახალი მექანიზმები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კიბერუსაფრთხოების რისკებს.

SWIFT-ის შეტყობინებების მარშრუტიზაციის სისტემის დანერგვა

ბანკში წარმატებით დაინერგა და სრულად გაიმართა SWIFT-ის შეტყობინებების მარშრუტიზაციის სისტემა (Alliance Gateway), რომელიც წარმოადგენს SWIFT-ის ოფიციალურ გადაწყვეტას მონაცემთა უსაფრთხო და ეფექტიანი მიმოცვლისთვის.

აღნიშნული სისტემის დანერგვამ უზრუნველყო:
- ეროვნული ბანკის ინფრასტრუქტურიდან SWIFT-ის ქსელთან პირდაპირი კომუნიკაცია შუამავლური კომპონენტების გარეშე, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხო მიმოცვლას და ეფექტიან მართვას;
- ეროვნული ბანკის ინფრასტრუქტურიდან SWIFT-ის ქსელთან პირდაპირი კომუნიკაცია, შემომავალი და გამავალი ყველა შეტყობინების მიმოცვლა შუამავლური კომპონენტების გარეშე, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხო მიმოცვლას და ეფექტიან მართვას;
- უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს SWIFT-ის შეტყობინებების კონფიდენციალურობას, მთლიანობასა და ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული განახლება წარმოადგენს SWIFT-ის სისტემის მოდერნიზაციის ნაწილს და მიმართულია უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და ოპერაციული პროცესების ეფექტიანობის გაუმჯობესებისკენ.

დოკუმენტების არქივაციის სისტემის დანერგვა

მატერიალური საარქივო დოკუმენტების გაციფრულების პროექტის ფარგლებში ბანკში წარმატებით დაინერგა დოკუმენტების არქივაციის პროგრამული უზრუნველყოფა.

აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს:
- დოკუმენტების ცენტრალიზებულ და ციფრულ მართვას;
- ინფორმაციის დაცულობასა და ხელმისაწვდომობას;
- ოპერაციული რისკების შემცირებას;
- შიდა პროცესების ეფექტიანობის ზრდას.

საწარმოო რესურსების მართვისა და დაგეგმვის ერთიანი სისტემის (ERP) განახლება

განახლდა საწარმოო რესურსების მართვისა და დაგეგმვის ერთიანი სისტემა (ERP), რომელიც ბანკის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს აძლევს მნიშვნელოვანი პროცესების ავტომატიზაციის საშუალებას.

განახლებამ უზრუნველყო:
- ფუნქციონალის გაფართოება და გაუმჯობესება;
- უსაფრთხოების დონის ამაღლება;
- სისტემის სტაბილურობის და წარმადობის გაუმჯობესება.

ძირითადი საბანკო სისტემის (ALTA B6) განვითარება

წლის განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელდა ძირითადი საბანკო სისტემის (ALTA B6) განახლება, რაც მიმართული იყო მისი სტაბილურობის, პროდუქტიულობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ.

განახლების ფარგლებში:
- გაიზარდა საბანკო ოპერაციების დამუშავების სისწრაფე და ეფექტიანობა;
- გაუმჯობესდა სისტემის ინტეგრაცია სხვა ფინანსურ და საგადახდო სისტემებთან;
- განხორციელდა ტექნოლოგიური კომპონენტების განახლება.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის (HRMS) განახლება

გასულ წელს, ასევე, წარმატებით განახლდა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (HRMS), რომელშიც აისახა ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებული მოდელი. გატარებული ცვლილებების შედეგად გაუმჯობესდა სისტემაში არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოება.

განხორციელებული ტექნოლოგიური ინიციატივები წარმოადგენს ბანკის ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს. აღნიშნული განახლებები უზრუნველყოფს უსაფრთხო, სწრაფ და მაღალტექნოლოგიურ საბანკო გარემოს, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და შიდა პროცესების ეფექტიან ავტომატიზაციას.

2025 წელს მონაცემთა მართვის და პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილებამ განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც მიმართული იყო ბანკში დანერგილი

ელექტრონული სისტემების ფუნქციონალის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიური პროექტების ეფექტიანი იმპლემენტაციისკენ. განხორციელებული სამუშაოები მოიცავდა როგორც არსებული სისტემების ოპტიმიზაციას, ასევე ახალი მოდულებისა და სერვისების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა მართვის პროცესების ეფექტიანობასა და სანდოობას.

SebStat (MTD) სისტემის განვითარება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის განახლება. პროექტის ფარგლებში:

- დაინერგა ახალი MTD მონაცემთა ოჯახი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, ყოველდღიური ფულადი გზავნილების აღრიცხვის მიზნით;
- განხორციელდა შესაბამისი ვერსიის მიგრაცია სატესტო გარემოდან რეალურ გარემოში.

შეტყობინებების დაგზავნის სერვისის გაფართოება:

მონაცემთა მართვისა და პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების მიერ შემუშავებული შეტყობინებების დაგზავნის სერვისის ფუნქციონალი გაფართოვდა და წარმატებით დაინერგა პრეზიდენტის აპარატის კანცელარიის განყოფილებაში.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად:
- სისტემა ადაპტირდა კონკრეტულ ბიზნეს-პროცესებზე;
- დაინერგა შეტყობინებების შაბლონებზე დაფუძნებული კომუნიკაცია;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქალაქეებთან კომუნიკაციის ოპერატიულობა და ეფექტიანობა.

დაშვების მართვის სისტემის განვითარება

დაშვების მართვის არსებული სისტემა გაფართოვდა და წარმატებით ინტეგრირდა ახალ საოფისე სივრცეში.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად:
- უზრუნველყოფილია თანამშრომელთა გადაადგილების ცენტრალიზებული მართვა;
- გამარტივდა წვდომის კონტროლი სხვადასხვა ლოკაციაზე;
- გაიზარდა ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობა.

ITRS სისტემის ოპტიმიზაცია

საერთაშორისო გადარიცხვების ანგარიშგების სისტემაში (ITRS), მონაცემთა მოცულობის მკვეთრი ზრდის გათვალისწინებით, განხორციელდა მონაცემთა დამუშავების პროცესების ოპტიმიზაცია. შედეგად:

- გაუმჯობესდა მონაცემთა დამუშავების სისწრაფე;
- გაიზარდა სტატისტიკური ანალიზის ეფექტიანობა;
- ოპტიმიზირდა მონაცემთა შენახვისა და მართვის პროცესი.

სისტემების მოდერნიზაცია და მონაცემთა ინფრასტრუქტურის განვითარება

2025 წელს განხორციელდა სისტემების მასშტაბური მოდერნიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სისტემების წარმადობის, უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფას.

ძირითადი მიმართულებები, რომლებშიც განხორციელდა ცვლილებები:
- **სისტემების განახლება** - სერვერებისა და ბაზების უახლეს ვერსიებზე მიგრაცია, რაც უზრუნველყოფს სტაბილურობასა და თანამედროვე ტექნოლოგიებთან თავსებადობას;
- **ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება** - თანამედროვე მონაცემთა საცავების დანერგვა, რაც ამარტივებს რეპორტინგსა და ანალიტიკურ პროცესებს;
- **უსაფრთხოების გაძლიერება** - მონაცემთა ბაზების აუდიტის მექანიზმების დანერგვა კიბერ-ინციდენტების დროული აღმოჩენისა და პრევენციის მიზნით.
- **კრიტიკული სისტემების ოპტიმიზაცია** - RTGS და WSS სისტემებში მონაცემთა არქივაციის შედეგად გაიზარდა აპლიკაციების წარმადობა.

ISAC პორტალის განვითარება

ISAC პორტალს დაემატა კომპლექსური ძებნის ფუნქციონალი, რომელიც კომერციული ბანკებიდან მიღებული მონაცემების გაფართოებული ფილტრაციით ძებნის შესაძლებლობას იძლევა.

ახალი შესაძლებლობები მოიცავს:

- მონაცემების ძებნას ბანკის, კატეგორიისა და რეგისტრაციის თარიღის მიხედვით;
- ძიების შედეგების ექსპორტს;
- მონაცემთა ანალიზის პროცესის დაჩქარებას და გამარტივებას.

ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილებამ განახორციელა IT ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რაც მოიცავდა მონაცემთა ცენტრებისა და სასერვერო სისტემების განახლებას, რაც ხელს უწყობს სისტემების მდგრადობისა და უსაფრთხოების ამაღლებას. ასევე, განყოფილებამ შეიმუშავა მდგრადი ტექნოლოგიური არქიტექტურა, რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნული ბანკის თანამედროვე მოთხოვნებს.

კრიტიკული ინფრასტრუქტურული სისტემების განახლება

განახლდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფები, მათ შორის:

- მომხმარებელთა მართვის სისტემა;
- ინტერნეტისა და ელ.ფოსტის ფილტრაციის სისტემები;
- მონაცემთა რეზერვირებისა და არქივაციის სისტემა;
- სერვერული ინფრასტრუქტურის ძირითადი კომპონენტები.

აღნიშნული განახლებები უზრუნველყოფს IT სერვისების უწყვეტობასა და ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალ დონეს.

ვირტუალური ინფრასტრუქტურის განახლება და მიგრაცია

პროექტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ვირტუალური ინფრასტრუქტურის სრული განახლება და ახალი, მაღალი წარმადობის აპარატურული კომპლექსის დანერგვა. განხორციელდა ახალი, გაცილებით მძლავრი ტექნიკის შეძენა, რომელიც მინიმუმ რამდენიმე წლით უზრუნველყოფს ეროვნული ბანკის აპარატურულ მოთხოვნებს.

განხორციელებული პროექტის შედეგები:

- განახლდა სერვერული და დისკური კომპლექსი მონაცემთა დამუშავების ცენტრებში;
- დაინერგა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფუნქციონალის მქონე ვირტუალური გარემო;
- განხორციელდა ძირითადი სისტემების მიგრაცია ახალ პლატფორმაზე;
- წარმატებით ჩატარდა სტრეს-ტესტირება და ავარიული სცენარების სიმულაცია.

მყისიერი გადახდების სისტემის (IPS) ინფრასტრუქტურა

პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა მყისიერი გადახდების სისტემის (IPS) უწყვეტი და სტაბილური ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა, როგორც ფიზიკურ, ისე ვირტუალურ დონეზე.

ფიზიკურ დონეზე განხორციელდა მაღალი წარმადობის სერვერული რესურსების განთავსება და ქსელური კომპონენტების ოპტიმიზაცია, რაც უზრუნველყოფს სისტემის მაღალ ხელმისაწვდომობას და მდგრადობას.

ვირტუალიზაციის დონეზე შეიქმნა იზოლირებული, მაღალი ხელმისაწვდომობის (High Availability) გარემო, რომელიც სპეციალურად IPS-ის სპეციფიკურ მოთხოვნებზეა მორგებული. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს რესურსების მოქნილ მართვას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ტრანზაქციების დიდი ნაკადის რეალურ დროში დამუშავებისთვის.

ინფრასტრუქტურის ასეთმა კომბინირებულმა გამართვამ შექმნა საიმედო ბაზა მომენტალური გადახდების ეკოსისტემისთვის. სისტემა სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოებისა და წარმადობის თანამედროვე სტანდარტებს, რაც გარანტიას იძლევა, რომ გადახდების პროცესი იქნება დაცული, სწრაფი და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი.

- განხორციელდა სერვერული და დისკური კომპლექსის განთავსება მონაცემთა დამუშავების ცენტრებში;
- განხორციელდა ახალი ვირტუალური გარემოს ინსტალაცია და გამართვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფუნქციონალით;
- ჩატარდა აპარატურულ-პროგრამული ტესტირება სხვადასხვა სცენარებით, რომელიც გამორიცხავდა შემდეგში ავარიული სცენარის შემთხვევაში IPS-ის ფუნქციონალის შეფერხებას.

უსაფრთხოების (ვიდეო სათვალთვალო) სისტემების ინფრასტრუქტურის განახლება

მზარდი ბიზნეს მოთხოვნების გათვალისწინებით განხორციელდა უსაფრთხოების სისტემების ინფრასტრუქტურის სრული მოდერნიზაცია. დაინერგა ახალი ფიზიკური სერვერები და დიდი მოცულობის დისკური მასივები, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სისტემის წარმადობა და საიმედოობა.

SWIFT-ის ინფრასტრუქტურის გაძლიერება

SWIFT-ის განახლების პროექტის ფარგლებში განყოფილების თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ HSM მოწყობილობების ქსელურ კონფიგურაციაში, პარამეტრების გაწერასა და ფიზიკურ მონტაჟში. შედეგად, წარმატებით დაინერგა და სრულად გაიმართა SWIFT-ის შეტყობინებების მარშრუტიზაციის სისტემა.

აღნიშნული ინფრასტრუქტურული განახლების შედეგად, ორგანიზაციამ მიიღო უმაღლესი დონის საბანკო უსაფრთხოების გარემო. HSM მოდულების ინტეგრაციამ უზრუნველყო SWIFT-ის საგადახდო სისტემებთან კომუნიკაციის მაღალი დონით დაცულობა, სტაბილურობა და საერთაშორისო ფინანსურ სტანდარტებთან შესაბამისობა.

ახალი სისტემების (RTGS, IPS, VASP) ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

ახალი პროექტების ფარგლებში, ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა ვირტუალური სერვერები.

დამატებით, RTGS სისტემისთვის დაინერგა სერთიფიკატების ავტორიზაციის სისტემა, რომელიც წარმატებით ინტეგრირდა არსებულ ინფრასტრუქტურაში.

საკომუნიკაციო სისტემების განახლება (VOIP)

ბანკშიარსებულისატელეფონოინფრასტრუქტურის განახლების შედეგად, დაინერგა თანამედროვე VOIP პლატფორმა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სერვისის ხარისხი და სატელეფონო სისტემის საიმედოობა.

ახალი სისტემის ფარგლებში დაინერგა ისეთი თანამედროვე ფუნქციები, რომლებიც მანამდე მიუწვდომელი იყო, მათ შორის:

- გაუმჯობესებული ინტერაქციული ხმოვანი მენიუ;
- ზარების ეფექტური მართვის მექანიზმები;
- ინტეგრაცია სხვა კორპორატიულ სისტემებთან.

განახლების შედეგად გაიზარდა ორგანიზაციის ოპერაციული ეფექტურობა და კომუნიკაციის ხარისხი, მინიმუმამდე შემცირდა ტექნიკური შეფერხებების რისკი და შეიქმნა თანამედროვე, დაცული საკომუნიკაციო გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება მიმდინარე ტექნოლოგიურ სტანდარტებს.

ქსელური უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის განახლება

განხორციელდა ბანკის ქსელური უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის სრული მოდერნიზაცია. განახლდა ბრანდმაუერები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ქსელის წარმადობა და დაცულობა.

დაინერგა თანამედროვე უსაფრთხოების მექანიზმები, მათ შორის:

- აპლიკაციების დონის კონტროლი;
- მომხმარებელთა იდენტიფიკაცია;
- რეალურ დროში საფრთხეების პრევენცია.

სამუშაოების დასკვნით ეტაპზე მოხდა არსებული კონფიგურაციების ოპტიმიზაცია და მიგრაცია ახალ პლატფორმაზე, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა სისტემის შეფერხების დრო. შედეგად, შეიქმნა უფრო მოქნილი და დაცული გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე კორპორატიულ სტანდარტებს და მზად არის მომავალი ტექნოლოგიური გამოწვევებისთვის.

მონაცემთა რეზერვირების სისტემის განახლება

პროექტის ფარგლებში განხორციელდა მონაცემთა სარეზერვო ასლების მართვის სისტემის სრული განახლება.

გაუმჯობესდა დედუპლიკაციის კოეფიციენტი და შემცირდა სარეზერვო ოპერაციების ხანგრძლივობა. გაზრდილი ტევადობა იძლევა მონაცემთა შენახვის პერიოდის (Retention) გახანგრძლივების შესაძლებლობას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბიზნესის უწყვეტობისა და მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტების დასაცავად.

ცენტრალური კომუტატორების განახლება

ქსელური ინფრასტრუქტურის განახლების ფარგლებში, განხორციელდა ცენტრალური კომუტატორების განახლება.

ახალი თაობის კომუტატორების დანერგვით, ქსელური სიჩქარე და საერთო წარმადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც აღმოფხვრა დაბრკოლებები (bottlenecks) და უზრუნველყო მონაცემთა სწრაფი და სტაბილური მიმოცვლა.

მოდერნიზაციის შედეგად, ორგანიზაციამ მიიღო მასშტაბირებადი და მაღალტექნოლოგიური ქსელური ბირთვი. ახალი კომუტატორები იძლევა თავისუფალი პორტების რეზერვს მომავალი გაფართოებისთვის და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე კორპორატიული ქსელის მაღალ სტანდარტებს, რაც სისტემის საიმედოობის გარანტიაა.

TOR კომუტატორების განახლება

მონაცემთა ცენტრის ინფრასტრუქტურის განახლების ფარგლებში, წარმატებით განხორციელდა „Top-of-Rack (TOR)“ კომუტატორების ჩანაცვლება. აღნიშნული ცვლილება კრიტიკულად აუცილებელი იყო ახალი თაობის სერვერული მოწყობილობების მაღალი წარმადობის დასაკმაყოფილებლად.

ახალი კომუტატორების დანერგვით მნიშვნელოვნად გაიზარდა თითოეული სერვერის კავშირის სიჩქარე და გამტარუნარიანობა. სისტემამ უზრუნველყო მონაცემთა სწრაფი მიმოცვლა და მინიმალური დაყოვნება (latency), რაც პირდაპირ აისახა კრიტიკული აპლიკაციებისა და ვირტუალიზებული გარემოს სტაბილურობაზე.

მოდერნიზაციის შედეგად, სერვერულ კარადებში შეიქმნა მაღალტექნოლოგიური და მასშტაბირებადი ქსელური შრე. ახალი ინფრასტრუქტურა სრულად თავსებადია თანამედროვე გამოთვლით რესურსებთან, რაც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, მაქსიმალური ეფექტურობით გამოიყენოს სერვერული სიმძლავრეები და უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავების მაღალი ტემპი.

DWDM ქსელური მოწყობილობების დანერგვა

მონაცემთა ცენტრებს შორის კავშირის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგა DWDM (Dense Wavelength Division Multiplexing) ტექნოლოგია. DWDM-ის დანერგვით, ერთ წყვილ ოპტიკურ ბოჭკოში რამდენიმე დამოუკიდებელი არხის შექმნა გახდა შესაძლებელი, რამაც რესურსი მნიშვნელოვნად გაზარდა.

ახალმა სისტემამ საშუალება მოგვცა, განგვეხორციელებინა ქსელური ტრაფიკის მკაცრი სეგმენტირება. კერძოდ, ცალკეული პროექტების სერვერული ინფრასტრუქტურისთვის გამოიყო იზოლირებული სეგმენტები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ნაკადების მაღალ გამტარუნარიანობასა და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტს. ამგვარმა მიდგომამ აღმოფხვრა „ვიწრო ადგილები“ და სისტემა გახდა სრულად მასშტაბირებადი.

ინფრასტრუქტურის ეს განახლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო მონაცემთა ცენტრების სინქრონიზაციისა და ბიზნესის უწყვეტობისთვის. DWDM მოწყობილობების გამოყენებით, ორგანიზაციამ მიიღო მაღალსიჩქარიანი, საიმედო და მოქნილი მაგისტრალური კავშირი, რომელიც მზად არის მომავალი ტექნოლოგიური გაფართოებისთვის დამატებითი ფიზიკური კაბელირების საჭიროების გარეშე.


ეროვნული ბანკის მომხმარებელთა მხარდაჭერა

ეროვნულ ბანკში ფუნქციონირებს მომხმარებელთა მხარდაჭერის ცენტრალიზებული მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ერთიანი საკონტაქტო წერტილის (Single Point of Contact) პრინციპზე. აღნიშნული ფუნქცია რეალიზებულია სერვის დესკის სისტემის მეშვეობით, სადაც ხდება მომხმარებელთა მოთხოვნების (Service Request) და ინციდენტების (Incident) რეგისტრაცია, კლასიფიკაცია, პრიორიტეტიზაცია და მათი შესრულების მონიტორინგი.

სერვის დესკის სისტემა უზრუნველყოფს IT სერვისების მართვის პროცესების სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე წარმართვას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებას, ისე რეაგირების დროის შემცირებას და მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდას.

2025 წლის განმავლობაში სერვის დესკის პორტალზე დარეგისტრირდა 6367 მომართვა. ბანკის თანამშრომლების მხრიდან, ყველაზე მაღალი მომართვიანობით სერვისული ტიპის მოთხოვნები გამოირჩეოდა.


დიაგრამა N 12.1.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის განყოფილებებს შორის მომართვიანობის გადანაწილების ტენდენცია უცვლელია. მომართვების 62% მომსახურების განყოფილების კომპეტენციაში შემავალ საკითხებს ეხებოდა. ინციდენტებისა და სერვისული მოთხოვნების რაოდენობა განყოფილებების მიხედვით ასე გადანაწილდა:


დიაგრამა N 12.2.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის განმავლობაში შენარჩუნდა გასული წლების ტენდენცია და მომხმარებელთა მოთხოვნები კატეგორიების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:


დიაგრამა N 12.3.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ინციდენტების სტატისტიკაც თანაზომიერია სერვისების აქტუალობის შესაბამისად:

დიაგრამა N 12.4.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ წარმატებით განახორციელა ფართომასშტაბიანი ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია, რომელიც მოიცავდა როგორც კრიტიკული საინფორმაციო სისტემების განვითარებას, ისე ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების და საკომუნიკაციო გარემოს სრულფასოვან მოდერნიზაციას.

განხორციელებული პროექტები ერთიანობაში ემსახურება ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებს - ოპერაციული ეფექტურობის ზრდას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ციფრული სერვისების განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ ინიციატივებს, როგორიცაა მომენტალური გადახდების სისტემის (IPS) დანერგვა და ახალი ფინანსური პლატფორმების (RTGS, VASP) მხარდაჭერა, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს ორგანიზაციის როლს ფინანსურ ეკოსისტემაში.

ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებულმა განახლებებმა უზრუნველყო მაღალი ხელმისაწვდომობა, მასშტაბირებადობა და უსაფრთხოების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა. პარალელურად, სისტემების ინტეგრაციამ და პროცესების ოპტიმიზაციამ გაზარდა როგორც შიდა ოპერაციების ეფექტიანობა, ისე მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების სისწრაფე და საიმედოობა.

მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული ცვლილებები არ წარმოადგენს მხოლოდ მიმდინარე საჭიროებებზე რეაგირებას, არამედ ქმნის მდგრად ტექნოლოგიურ საფუძველს ორგანიზაციის გრძელვადიანი განვითარებისათვის. დანერგილი არქიტექტურა და მართვის პრაქტიკები უზრუნველყოფს მოქნილობას, რაც საშუალებას იძლევა ორგანიზაციამ ეფექტურად უპასუხოს მომავალ ტექნოლოგიურ და ბიზნეს გამოწვევებს.

შედეგად, ორგანიზაცია გადადის განვითარების ახალ ეტაპზე - უფრო ძლიერი, უსაფრთხო და თანამედროვე IT ეკოსისტემით, რომელიც მზად არის მზარდი დატვირთვების, ახალი სერვისებისა და ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერისთვის.


13.

საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია

საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტი საანგარიშგებო წლის განმავლობაში აგრძელებდა ქვეყნის ეკონომიკის ფულის ნიშნებით უზრუნველყოფას, ეროვნული ვალუტის მიმოქცევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის ფულის ნიშნების ხარისხის მართვას, ყალბი ფულის ნიშნების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას და ეროვნული ვალუტის პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ოდენობამ 7,442.2 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის ბანკნოტები - 7,215.5 მლნ ლარი, ხოლო მონეტები - 226.7 მლნ ლარი იყო (2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალის ხვედრით წილს თანხებისა და რაოდენობის მიხედვით აჩვენებს დიაგრამა N 13.1).

დიაგრამა N 13.1. მიმოქცევაში ბანკნოტების ხვედრითი წილები ნომინალების მიხედვით*




**მიმოქცევაში არსებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების ჩათვლით, რომელთა დამზადებაც აღარ ხდება ამავე ნომინალის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ.*

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობა წლის დასაწყისთან შედარებით 825.2 მლნ ლარით, ანუ 12.5 პროცენტით გაიზარდა (2021-2025 წლებში ეროვნული ვალუტის - ლარის მიმოქცევის დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა N 13.2).


დიაგრამა N 13.2. ნაღდი ფული მიმოქცევაში (2021-2025 წლები)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის განმავლობაში მიმოქცევაში ბანკნოტების თანხობრივი რაოდენობა 805.9 მლნ ლარით გაიზარდა და მიმოქცევაში არსებული ფულის მთლიან მოცულობაში მისმა ხვედრითმა წილმა 97 პროცენტი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, 9.3 პროცენტით გაიზარდა მიმოქცევაში არსებული მონეტების თანხობრივი რაოდენობა და მისმა ხვედრითმა წილმა მთლიან მიმოქცევაში 3 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 13.3).

დიაგრამა N 13.3. მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალისა და მონეტების ხვედრითი წილები (2021-2025 წლები)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

*მიმოქცევაში არსებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების ჩათვლით, რომელთა დამზადებაც აღარ ხდება ამავე ნომინალის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ.

საანგარიშო პერიოდშიც გრძელდებოდა 2016 წლამდე ემისიის ლარის ბანკნოტების ახალი მოდიფიკაციის 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტებით მიმოქცევის

განახლების პროცესი. კერძოდ, საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, განახლებული 5 ლარის ნომინალის ბანკნოტი მიმოქცევაში ამ ნომინალის ბანკნოტის 91.4 პროცენტს, 10 ლარიანი ბანკნოტი - 79.2 პროცენტს, 20 ლარიანი - 96.3 პროცენტს, 50 ლარიანი - 97.8 პროცენტს, ხოლო 100 ლარიანი - 99.2 პროცენტს შეადგენს (იხ. დიაგრამა N 13.4).

დიაგრამა N 13.4. 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში, მოდიფიკაციების მიხედვით (პროცენტი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, ძველი მოდიფიკაციის (2016 წლამდე) ბანკნოტების ფურცლობრივი რაოდენობის ხვედრითი წილი, მთლიანად მიმოქცევაში არსებულ იმავე ნომინალების ახალი მოდიფიკაციის ბანკნოტებთან მიმართებაში, მხოლოდ 4.6 პროცენტს შეადგენს (გასულ წელს ეს მაჩვენებელი 5.2 პროცენტი იყო).

ამ პერიოდში მიმოქცევაში 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტების თანხობრივი ოდენობა 9.8 პროცენტით გაიზარდა და წლის ბოლოს 157.2 მლნ ლარი შეადგინა. უმნიშვნელოა 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების მიმოქცევიდან ამოღების მაჩვენებელი, რადგანაც მიმოქცევაში ამ ნომინალის მონეტების დამკვიდრების შემდეგ, შესაბამისად, ბანკნოტების რაოდენობა მიმოქცევაში საგრძნობლად შემცირებულია (ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიმოქცევიდან ამოღებულია მხოლოდ 1.8 ათასი ლარის ოდენობის ორივე ნომინალის ბანკნოტი).

2024 წელთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის - თეთრის მონეტების თანხობრივი რაოდენობა 8.5 პროცენტით გაიზარდა (მოთხოვნა გაიზარდა ყველა ნომინალის თეთრის მონეტებზე, განსაკუთრებით კი 20 თეთრიან მონეტაზე - 9.6 პროცენტი).

ქვეყნის ეკონომიკის ნაღდი ფულით შეუფერხებელი უზრუნველყოფისა და ეროვნული ბანკის სარეზერვო მარაგების შევსების მიზნით, საანგარიშო პერიოდში:

- 2025 წელს მოგვეწოდა მონეტების დამამზადებელ საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მიმოქცევის დანიშნულების 10, 50 თეთრის და ერთი ლარის ნომინალის მონეტების სრული ოდენობის მეორე ნახევარი. ამასთანავე, წარიმართა სამუშაოები მიმოქცევის დანიშნულების სხვა ნომინალის მონეტის დასამზადებლად. საანგარიშო პერიოდში დასრულდა აღნიშნული მონეტის დამზადების პროცესი და მოგვეწოდა მისი პირველი ნაწილი. ამ მონეტების დარჩენილი ოდენობის მოწოდება დაგეგმილია 2026 წელს.
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მიმოქცევის დანიშნულების სამი სხვადასხვა ნომინალის ლარის ბანკნოტის დასამზადებლად პარტნიორების შერჩე-

ვის პროცედურები, გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებები პარტნიორად შერჩეულ საწარმოებთან და დაიწყო მათ დასამზადებლად შესაბამისი სამუშაოები. ბანკნოტების დამზადების პროცესის დასრულება და მათი პირველი ნაწილის მოწოდება დაგეგმილია 2026 წელს.

საქართველოს ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში საკოლექციო და საინვესტიციო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებას განაგრძობდა (დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ - „საკოლექციო და საინვესტიციო დანიშნულების პროდუქცია“).

2025 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკებიდან შემოტანილი ნაღდი ეროვნული ვალუტა შემცირდა და თანხამ 8,444.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 23.1 პროცენტით ნაკლებია 2024 წლის მაჩვენებელზე.

აღნიშული კლება განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ გასულ 2020-2024 წლებში ფუნქციონირებდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებში რეგისტრირებული საკასო ცენტრის დროებითი საცავები და შესაბამისად, კომერციული ბანკების მიერ მათ საკორესპოდენტო ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანა და სხვა კომერციული ბანკების ნაღდი ფულზე მოთხოვნის დაკმაყოფილება მათი მეშვეობითაც ხორციელდებოდა.


კომერციული ბანკების მიერ შემოტანილი ლარის ბანკნოტების ფურცლობრივი რაოდენობის 1.3 პროცენტს 2016 წლამდე ემისიის ბანკნოტები შეადგენს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მიმოქცევაში ამ ემისიის ბანკნოტების მნიშვნელოვნად შემცირებაზე. შემოტანილი ლარის ბანკნოტების თანხობრივი ხვედრითი წილის 78.1 პროცენტი 50 და 100 ლარის ნომინალის ახალი მოდიფიკაციის ბანკნოტებზე მოდის და შესაბამისად 30.1 და 48 პროცენტს შეადგენს.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომერციული ბანკებიდან მიღებული იქნა ასევე უცხოური ვალუტის ბანკნოტები - 43.5 მლნ აშშ დოლარისა და 6 მლნ ევროს ოდენობით.

ამავე პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკიდან გაცემულმა თანხებმა 9,272.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 20.5 პროცენტით ნაკლებია 2024 წლის ამავე მაჩვენებელზე. გასულმა ეროვნული ვალუტის თანხამ შემოსულ თანხებს 827.8 მლნ ლარით, ანუ 9.8 პროცენტით გადააჭარბა. გაცემული მთლიანი თანხის 99.3 პროცენტი ბანკნოტებზე მოდის. წლის განმავლობაში, ლარის ბანკნოტებს შორის მეტად მოთხოვნადი იყო 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები, რომელთა ხვედრითი წილი, წლის განმავლობაში კომერციულ ბანკებზე გაცემული ლარის ბანკნოტების საერთო თანხის 79.6 პროცენტს შეადგენდა.

2021-2025 წლებში საკასო ცენტრში შემოსული და საკასო ცენტრიდან გაცემული ლარის ბანკნოტების/მონეტების დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა N13.5.

დიაგრამა N 13.5. საკასო ცენტრის შემოსავალ-გასავლები 2021-2025 წლებში.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო წლის განმავლობაში, კომერციული ბანკების მოთხოვნის შესაბამისად, გაცემული იქნა უცხოური ვალუტა - 35 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემაში ფულის ნიშნების გადათვლა-დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და ვარგისი ბანკნოტების დახარისხების განსაზღვრულ დონესთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საკასო ცენტრში არსებულ „BPS-M7“ ტიპის ფულის დამამუშავებელ-დამხარისხებელ აგრეგატებს არანაკლებ ორ თვეში ერთხელ უტარდებოდათ შემოწმებები.

2025 წელს, საკასო-საემისიო საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, განახლდა ფულის ნიშნების დამამუშავებელი ტექნიკა. შეძენილი და დაინსტალირებული იქნა 12 ცალი მონეტების სათვლელი მანქანა CashMAX CMX20.

ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის გადაზიდვის ოპერაციების უსაფრთხოდ და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, 2025 წელს:

- საკასო ცენტრის ინკასატორებს გეგმიურად, ორჯერ ჩაუტარდათ პრაქტიკული სწავლება სროლებში;
- საქართველოს ეროვნული ბანკის კუთვნილ ფასეულობათა გადასაზიდ ჯავშნიან ავტომანქანას ჩაუტარდა ყოველწლიური დიაგნოსტიკა და ტექდათვალიერება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა მუშაობას როგორც მიმოქცევის ასევე საკოლექციო დანიშნულების ლარის ბანკნოტებისა და მონეტების სათანადო ხარისხით დამზადების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით, შესწავლილი და შეთანხმებული იქნა შესაბამისი დამამზადებელი საწარმოებისგან მიღებული შემდეგი სასიგნალო ნიმუშები:

- მიმოქცევის დანიშნულების მონეტის სასიგნალო ნიმუშები;
- საინვესტიციო დანიშნულების 10 ლარის, 25 ლარის, 50 ლარის, 100 ლარის, 300 ლარის და 1000 ლარის ნომინალის ოქროს საინვესტიციო მონეტების სასიგნალო ნიმუშები;
- „ხელბურთი 2026“-ის თემაზე მიძღვნილი საკოლექციო ვერცხლის 1 ლარის ნომინალის მონეტის ნიმუში;
- ლარის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პოლიმერული ბანკნოტის ნიმუშები;
- მიმოქცევის დანიშნულების ორი სხვადასხვა ნომინალის ბანკნოტის საცდელი ნიმუშები.

საანგარიშო პერიოდში ასევე განხორციელდა შესაბამისი დამამზადებელი საწარმოებისაგან მიღებული:

- მიმოქცევის დანიშნულების ერთ-ერთი ნომინალის მონეტების ხარისხის კონტროლი;
- „ევრო 2024“ თემისადმი მიძღვნილი 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტების მეორე პარტიის ხარისხის კონტროლი;
- საინვესტიციო დანიშნულების 10 ლარის, 25 ლარის, 50 ლარის, 100 ლარის, 300 ლარის და 1000 ლარის ნომინალის ოქროს მონეტების ხარისხის კონტროლი;
- წუნდებული მონეტების სანაცვლო საკოლექციო დანიშნულების მეფე ფარნავაზ პირველისა და მეფე ბაგრატ III-ისადმი მიძღვნილი 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტების ხარისხის კონტროლი;
- „ხელბურთი 2026“-ის თემაზე მიძღვნილი ვერცხლის საკოლექციო მონეტების ხარისხის კონტროლი;
- ლარის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პოლიმერული ბანკნოტების ხარისხის კონტროლი.

დეფექტური და უხარისხო ფულადი ნიშნების მიმოქცევაში მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით, საანგარიშო პერიოდში დასრულდა მიღებული 10 და 20 თეთრის ნომინალის მონეტების სრული ოდენობის, ასევე, 50 თეთრისა და 1 ლარის ნომინალის მონეტების პირველი პარტიის გადათვლა-დახარისხების პროცესი. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს 50 თეთრის და 1 ლარის ნომინალის მონეტების მე-2 პარტიისა და ასევე, მიმოქცევის დანიშნულების სხვა ნომინალის მონეტების გადათვლა-დახარისხების პროცესი.

გასული წლის განმავლობაში გრძელდებოდა ფულის ნიშნების ექსპერტიზის სამუშაოები. კერძოდ, ექსპერტიზა ჩატარდა კომერციული ბანკებიდან, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, სამართალდამცავი ორგანოებიდან და ფიზიკური პირების მიერ შემოტანილ 6 573 ცალ საეჭვო ფულის ნიშანზე, რომლის შედეგებიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები.


ცხრილი 13.1. 2025 წელს შემოტანილი საეჭვო ფულის ნიშნების ექსპერტიზის შედეგები (ცალი):

	საეჭვო	ყალბი	ნამდვილი	არგადახდითი
ლარის ბანკნოტები	3099	687	1331	1081
ლარის მონეტები	27	11	16	-
აშშ დოლარი	3113	2014	1099	-
ევრო	186	123	63	-
სხვა უცხოური ვალუტა	148	132	16	-
სულ	6573	2967	2525	1081

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ყალბი ბანკნოტები/მონეტები ნომინალების მიხედვით პროცენტულად შემდეგნაირად აისახება:


დიაგრამა N 13.6. 2025 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები და მონეტები (პროცენტი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2025 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა 2024 წელთან შედარებით შემცირდა 10.7 პროცენტით. დოლარების ყალბი ბანკნოტების რაოდენობა გაიზარდა 8.9 პროცენტით, ხოლო, ევროს ყალბი ბანკნოტების რაოდენობა შემცირდა 23.6 პროცენტით. ასევე, სხვა უცხოური ყალბი ვალუტა შემცირდა 32.3 პროცენტით. რაც შეეხება ლარის ყალბ მონეტებს, 2024 წელთან შედარებით მათი რაოდენობა უმნიშვნელოა (შემცირდა 99.7 პროცენტით). ნომინალების მიხედვით 2021 - 2025 წლების პერიოდში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტებისა და მონეტების რაოდენობას გვიჩვენებს დიაგრამა N13.7 და დიაგრამა N13.8.

დიაგრამა N 13.7. 2021-2025 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 13.8. 2021-2025 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი მონეტები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის განმავლობაში კვლავ ყურადღება ექცეოდა ნაღდი ფულით ოპერაციების შემსრულებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლებას. ფულის ნიშნების დამცავი მექანიზმების სწავლების, ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ვარგისიანობის განსაზღვრისა და ნაღდ ფულთან მუშაობის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სწავლება ჩაუტარდა 78 დაინტერესებულ პირს. დამზადდა სწავლებისათვის საჭირო ეროვნული ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების დამცავი ნიშნების ბუკლეტები.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა როგორც საკოლექციო (მათ შორის საინვესტიციო მონეტები) და ნუმიზმატიკური დანიშნულების პროდუქციის, ისე ოქროს ზოდების რეალიზაცია. კერძოდ, 2025 წლის განმავლობაში რეალიზებული იქნა:

- საკოლექციო დანიშნულების ბანკნოტები და მონეტები (მათ შორის საინვესტიციო მონეტები) - 36.9 ათასი ერთეული;
- ნუმიზმატიკური და სხვა დანიშნულების პროდუქცია - 1.6 ათასი ერთეული;
- ოქროს ზოდები - 1.5 ათასი ერთეული.


სულ რეალიზებულ იქნა 40.1 ათასი ერთეული პროდუქცია, მათ შორის:

- საკასო ცენტრის სალაროდან - 28.1 ათასი ერთეული;
- ყვარლის ფულის მუზეუმის სალაროდან - 851 ერთეული;
- დისტანციური არხებით - 11.1 ათასი ერთეული.

საანგარიშო პერიოდში რეალიზებული პროდუქცია წინა, 2024 წელთან შედარებით, დაახლოებით 1.7-ჯერაა გაზრდილი. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია ამ პერიოდში სამ ახალ თემაზე საკოლექციო დანიშნულების მონეტების („ბაკურიანი 2025“ თემაზე ვერცხლის საკოლექციო მონეტა, „ევრო 2024“ თემაზე ოქროსა და ვერცხლის საკოლექციო მონეტები და „ლარი 30 წლის“ თემაზე ოქროს, ვერცხლის და სპილენძ-ნიკელის საკოლექციო მონეტები) რეალიზაციის დაწყებით.

2021-2025 წლებში საკოლექციო (მათ შორის საინვესტიციო მონეტები), ნუმიზმატიკური დანიშნულების პროდუქციისა და ოქროს ზოდების რეალიზაციის დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა N 13.9.

დიაგრამა N 13.9. 2021-2025 წლებში რეალიზებული პროდუქცია (რაოდენობა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქართული ფულისა და საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის ისტორიის, ასევე, მისი ძირითადი საქმიანობის გაცნობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი, საზოგადოებას საგანმანათლებლო კურსებს სთავაზობდა.

2025 წლის განმავლობაში ფულის მუზეუმში 98 საგანმანათლებლო ტური (ექსკურსია) ჩატარდა, რომელიც ქართული ნუმიზმატიკის მიმოხილვას და უშუალოდ ექსპონატების დათვალიერებას მოიცავდა. კურსი 1582-მა მოსწავლემ და 114-მა პედაგოგმა მოისმინა.

2025 წლის მაისში, მუზეუმების საერთაშორისო დღისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ფულის მუზეუმმა გამოფენას „სახელმწიფო ბანკის ისტორიის უცნობი ფურცლები (1919-1921 წლები)“ უმასპინძლა. აღნიშნული გამოფენის ფარგლებში დამთვალიერებელი გაეცნო ამ წლებში, საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის, მუშაობისა და 1918-1921 წლებში საქართველოს საფინანსო-ეკონომიკურ ისტორიას.

2025 წლის განმავლობაში ფულის მუზეუმმა უმასპინძლა სტუდენტთა საგანმანათლებლო-შემეცნებით შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 343 სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი გაეცნო ქართული ფულისა და საბანკო საქმის ისტორიას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუზეუმს სულ 4293 ვიზიტორი (მათ შორის 4052 ადგილობრივი და 241 უცხოელი) ესტუმრა.

2025 წელს ლარის მიმოქცევაში გასვლიდან 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ეროვნული ბანკის ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, მუზეუმის ჩართულობით, მოეწყო ქართული ფულის ისტორიის 26 საუკუნოვანი პერიოდის შესახებ გამოფენა, სადაც ექსპონირებულ იქნა ქართული ისტორიული მონეტები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები, XIX-XX საუკუნეების ფასიანი ქაღალდები, სახელმწიფო ბანკის ისტორიული დოკუმენტები, ლარის ბანკნოტები და მონეტები, ასევე, ლარის ბანკნოტების დიზაინის ისტორიის ფოტოები. ფულის მუზეუმი, კომპეტენციების ფარგლებში, ჩართული იყო, ასევე, ლარის 30 წლის აღსანიშნავი კლიპის მომზადებასა და ბრენდირებული საინფორმაციო-სარეკლამო პროდუქციის შექმნაში. საიუბილეო წლის განმავლობაში გამოიცა ქართული ფულისა და ლარის კატალოგები.

გარდა ზემოაღნიშნული აქტივობებისა, ფულის მუზეუმმა დახმარება გაუწია საქართველოს ფოსტას საიუბილეო მარკების პროექტში „ქართული ფული ეროვნული ვალუტა - 30 წელი“.

საკოლექციო და საინვესტიციო დანიშნულების პროდუქცია

ევრო 2024

2025 წელს მოხდა „ევრო 2024“-ის თემაზე საკოლექციო დანიშნულების მონეტების დარჩენილი ნაწილის დამზადება-მოწოდება და დაიწყო ოქროსა და ვერცხლის მონეტების რეალიზაცია.



დიზაინი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ბაკურიანი 2025

2025 წელს დაიწყო „ბაკურიანი 2025“-ის თემაზე საკოლექციო დანიშნულების მონეტების გამოშვება და რეალიზაცია.

ავერსი



რევერსი



დიზაინი: ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი

მონეტის **ავერსზე** გამოსახულია მოთხილამურის გამოსახულება და ნომინალის დასახელება „5 ლარი“ (ფერადი დეტალები) დათოვლილი მთის ფონზე. კიდეზე რკალისებურად დატანილია მოვლენის აღმნიშვნელი წარწერები „ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი“ და „ბაკურიანი 2025“, ერთმანეთისგან გამოყოფილი ფიფქებით.

მონეტის **რევერსზე** გამოსახულია ფესტივალის ლოგო (ფერადი დეტალი) დათოვლილი მთის ფონზე და წარწერა „საქართველო“, “Georgia”, რომელთა შორის დატანილია ფიფქები.

ლარის 30 წლის იუბილე

- 2025 წელს დაიწყო ლარის 30 წლის იუბილის თემაზე საკოლექციო დანიშნულების **ოქროს, ვერცხლისა და სპილენძ-ნიკელის მონეტების** გამოშვება-რეალიზაცია.

ვერცხლი

ავერსი



რევერსი



ოქრო



სპილენძ-ნიკელი



დიზაინი: მარიამ ჩაჩანიძე, შორენა ჩაჩანიძე

მონეტის **ავერსზე** მარჯვენა მხარეს გამოსახულია ლარის ბანკნოტებზე დატანილი დამცავი ნიშნები ორნამენტების სახით, მარცხენა მხარეს - სტილიზებული წარწერა „30 წელი“ (ვერცხლის მონეტაზე აღნიშნული დეტალი ფერადია), ხოლო შუა ნაწილში - წარწერა „ქართული ლარი“.

მონეტის **რევერსზე** ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრის „5“-სა და ლარის სიმბოლოს „₾“-ის კომბინაცია, წარწერა „ხუთი ლარი“, რომელსაც წრიულად გარს ერტყმის მზის სხივების სიმბოლური გამოსახულების სახით წარმოდგენილი ხაზები. ასევე, დატანილია წარწერები: „საქართველო“, „Georgia“, „1995-2025“, რომელთა შორის გამოსახულია თეთრის მონეტების რევერსზე არსებული დეტალი.

- საანგარიშო პერიოდში წარიმართა და დასრულდა ლარის 30 წლის თემაზე საკოლექციო დანიშნულების ბანკნოტის დამზადება-მოწოდების პროცესი. მათი გამოშვება-რეალიზაცია დაგეგმილია უახლოეს მომავალში.

• ხელბურთი 2026

2025 წელს განხორციელდა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ნაკრების ევროპის 2026 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობისადმი მიძღვნილი საკოლექციო დანიშნულების 3000 ცალი ვერცხლის მონეტის დამზადება და მათი სრული ოდენობის მოწოდება. მონეტების გამოშვება-რეალიზაცია დაიწყება 2026 წლის იანვარში.

• საქართველოს რადიო

2025 წელს დაიწყო „საქართველოს რადიოს“ თემაზე საკოლექციო დანიშნულების ვერცხლის მონეტის გამოსაშვებად მოსამზადებელი სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით მომზადდა შესაბამისი დიზაინის ესკიზი. მონეტების დამზადება-გამოშვება დაგეგმილია 2026 წელს.

• საინვესტიციო დანიშნულების ოქროს მონეტები

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საინვესტიციო დანიშნულების 10 ლარის (1/10 უნცია) ნომინალის 500 ცალი, 25 ლარის (1/4 უნცია) ნომინალის 500 ცალი, 50 ლარის (1/2 უნცია) ნომინალის 200 ცალი, 100 ლარის (1 უნცია) ნომინალის 300 ცალი, 300 ლარის (5 უნცია) ნომინალის 30 ცალი და 1000 ლარის (10 უნცია) ნომინალის 10 ცალი ოქროს მონეტის დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის პროცედურები, გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება პარტნიორად შერჩეულ პოლონეთის ზარაფხანასთან და წარიმართა შესაბამისი სამუშაოები მწარმოებელთან მათი დამზადების მიზნით. საანგარიშო პერიოდში დასრულდა აღნიშნული მონეტების სრული ოდენობის დამზადება - მოწოდება.

• ოქროს ზოდები

2025 წელს უზრუნველყოფილი იქნა 1 კგ-იანი უმაღლესი სინჯის ოქროს სტანდარტიზირებული ზოდების შესყიდვა-მიღება LBMA-ის მიერ აკრედიტებული საწარმოსგან.

14.

შიდა აუდიტი და რისკების ცენტრალიზებული მართვა

14.1. შიდა აუდიტის სამსახური

შიდა აუდიტის სამსახურის მარწმუნებელი მომსახურების 2025 წლის გეგმა შემუშავდა რისკზე დაფუძნებული აუდიტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად და ძირითადად დაეყრდნო ორგანიზაციის რისკების რეესტრის მონაცემებს. ამასთან, წლიური გეგმის შედგენის პროცესში, აუდიტის ობიექტების პრიორიტეტიზაციის დროს, მხედველობაში იქნა მიღებული: ობიექტის რისკის რეიტინგი, ბოლო აუდიტის განხორციელების თარიღები, წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგების მიხედვით მინიჭებული შეფასებები და აუდიტის ციკლი. ასევე, მომზადდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტის გეგმა, საკონსულტაციო მომსახურების გეგმა და საორიენტაციო, გრძელვადიანი გეგმა. ამასთან, წლიური დაგეგმვის ფარგლებში განხორციელდა აუდიტის ობიექტების უნივერსის (ნუსხის) გადახედვა. ასევე, დაგეგმვის დინამიური პრინციპის გათვალისწინებით, განხორციელდა წლიური სამუშაო გეგმის ექვსთვიანი ინტერვალით გადახედვა.

საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა 2025 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 27 აუდიტი/მიმოხილვა და შესაბამისი შედეგების კომუნიკაცია მოხდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან და საბჭოსთან არსებულ აუდიტის კომიტეტთან. ამასთან, რეკომენდაციების შესრულების დინამიური მონიტორინგის ფარგლებში, შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებდა სხვადასხვა აუდიტის შედეგად გაწეული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის გადამოწმებას, განახლებას და შესაბამის ანგარიშგებას. პროცესი წარიმართებოდა აუდიტისა და რისკის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, რომელიც იძლევა აუდიტის ობიექტის მესაკუთრეთა მიერ მონაცემების განახლების, მტკიცებულებების ატვირთვის და სისტემაში განთავსებული ინფორმაციის კონსოლიდირების შესაძლებლობას. მონიტორინგის პროცესში, გადამოწმდა აქტიური რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, განახლდა მათი სტატუსები და განხორციელდა შესაბამისი ანგარიშგება ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან და აუდიტის კომიტეტთან.

ასევე, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ პერიოდული და წლიური შემაჯამებელი ანგარიშები წარედგინა, როგორც ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას, აგრეთვე აუდიტის კომიტეტს. ამასთან, აუდიტის კომიტეტთან ანგარიშგება განხორციელდა ინდივიდუალური ანგარიშების პრეზენტაციის ფორმატშიც.

შიდა აუდიტის სამსახური, მისი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით, აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნული ბანკის საბჭოსთან არსებულ აუდიტის კომიტეტთან. 2025 წლის მანძილზე გაიმართა აუდიტის კომიტეტის 11 სხდომა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა, როგორც მარწმუნებელი მომსახურების კუთხით განხორციელებული საქმიანობის შედეგები, ასევე შიდა აუდიტის ფუნქციასთან დაკავშირებული თემატური საკითხები. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, აუდიტის კომიტეტის მხრიდან აქტიური მონიტორინგი მიმდინარეობდა ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულების მიერ რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებზე.

არსებული პრაქტიკის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურს შესაბამისი კომუნიკაცია ჰქონდა გარე აუდიტორულ კომპანიის წარმომადგენლებთან, საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში. გარე აუდიტორს წარედგინა მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტები.

საანგარიშო პერიოდში, მასერთიფიცირებელი კომპანიის მიერ ჩატარდა ეროვნული ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ISO 27001 საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის სასერთიფიკაციო აუდიტი. აღნიშნულ პროცესში, შესაბამისი მონაწილეობა მიიღო შიდა აუდიტის სამსახურმა.

საანგარიშო წლის განმავლობაში, შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებდა ჩართულობას მონაცემთა ანალიზის სამუშაო ჯგუფში (Central Bank Data Analytics Working Group (CBDAWG), რომელშიც შედიან კანადის, შვეიცარიის, ნიდერლანდების, მაროკოს, გერმანიისა და საფრანგეთის ცენტრალური ბანკების შიდა აუდიტორები). აღნიშნულის ფარგლებში, გაიმართა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, სადაც მონაწილეობა მიიღეს შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმაც.

ეროვნულ ბანკში შიდა აუდიტის მიმართულე-

ბით დაგროვილი ცოდნის და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის გათვალისწინებით, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა სამუშაო გამოცდილება გაუზიარეს სხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკის წარმომადგენლებს და ასევე, საქართველოს ერთ-ერთი სახელმწიფო უწყების შიდა აუდიტორებს.

2025 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ განახლებული საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო (The International Professional Practices Framework (IPPF)) და შიდა აუდიტის გლობალური სტანდარტი (The Clobal Internal Audit Standards). აღნიშნული ცვლილებების საქმიანობაში ასახვა მნიშვნელოვანი გამოწვევაა, იმის გათვალისწინებით, რომ შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან წინა პერიოდებში განხორციელებული საქმიანობის ხარისხის სრული გარე შეფასების შედეგების მიხედვით, ორივე შემთხვევაში (2016 და 2022 წელს) საერთაშორისო ექსპერტების მიერ სებ-ის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობას მიენიჭა უმაღლესი კატეგორია - „შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო ჩარჩოსთან და ეთიკის კოდექსთან ზოგადად შესაბამისი (Generally Conforms with International Professional Practice Framework (IPPF) and the Code of Ethics of the Institute of Internal Auditors (IIA))“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებდა მოსამზადებელ სამუშაოებს ახალ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიმართულებით. შიდა/გარე შეფასებისათვის მოსამზადებელი გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების პროგრესის თაობაზე განხორციელდა შესაბამისი ანგარიშგება.

ამასთან, უწყვეტი პროფესიული განვითარების პრინციპის გათვალისწინებით, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ როგორც ეროვნული ბანკის, ისე პარტნიორი ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამართულ სხვადასხვა სემინარებსა და ტრენინგებში.

საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურმა მოამზადა სტრატეგიის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა სამსახურის 2026-2028 წლების სტრატეგიული მიზნები. ამასთან, შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებდა მუშაობას სამსახურის მეთოდოლოგიური დოკუმენტების შემუშავებისა და განახლების მიმართულებით. კერძოდ, განახლდა შიდა აუდიტის სახელმძღვანელო - დაგროვილი გამოცდილების, სტრუქტურული ცვლილებისა და შიდა აუდიტის ახალი სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, მოხდა არსებული პროცედურული დოკუმენტების გადახედვა. ამასთან, განხორციელდა ბოლო პერიოდში მიღებული ინსტრუქციული ხასიათის დოკუმენტების კონსოლიდაცია. ასევე, გადაიხედა და განახლდა ეროვნული ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შიდა აუდიტის სახელმძღვანელო. გარდა ამისა, განახლდა შიდა აუდიტის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა, რომლის მიზანია შიდა აუდიტის ფუნქციის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა. ასევე, შიდა აუდიტორებისათვის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის, შემუშავდა შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამა.

14.2. არაფინანსური რისკების მართვა

ეროვნულ ბანკში დანერგილია რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს არაფინანსური რისკების — მათ შორის საოპერაციო და რეპუტაციული რისკების — იდენტიფიცირების, ანალიზის, შეფასების, შესაბამისი საპასუხო ღონისძიებების განსაზღვრის, მონიტორინგისა და ანგარიშგების ერთიან, თანმიმდევრულ და სისტემურ მიდგომას. აღნიშნული ჩარჩო ეფუძნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და შესაბამისობაშია COSO ERM და ISO 31000 სტანდარტებით განსაზღვრულ პრინციპებთან.

რისკების მართვის პროცესში ეროვნული ბანკი იყენებს „სამხაზიან მოდელს“, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის სხვადასხვა რგოლს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, ასევე მათ შორის ეფექტიან ურთიერთქმედებას. აღნიშნული მოდელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კორპორაციული მართვის გაძლიერებაში და ანგარიშვალდებულების სისტემის განმტკიცებაში.

„სამხაზიანი მოდელის“ ფარგლებში პირველი ხაზი წარმოდგენილია სტრუქტურული ერთეულებით, რომლებიც რისკის მფლობელებად გვევლინებიან და პასუხისმგებელნი არიან რისკების ყოველდღიურ მართვაზე. მეორე ხაზი წარმოდგენილია რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების მართვის ჩარჩოს კოორდინაციას, მეთოდოლოგიურ მხარდაჭერასა და ზედამხედველობას. მესამე ხაზი წარმოდგენილია შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, რომელიც დამოუკიდებლად აფასებს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობას.

რისკების მართვის ჩარჩოს შესაბამისად, 2025 წლის განმავლობაში რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი განაგრძობდა ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების სისტემურ იდენტიფიცირებასა და ანალიზს. იდენტიფიცირებული რისკების შეფასება ხორციელდებოდა მათი ალბათობისა და შესაძლო ზეგავლენის ანალიზის საფუძველზე და არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის გათვალისწინებით. აღნიშნული პროცესის ფარგლებში რეგულარულად ახლდებოდა ბანკის რისკების რეესტრი, რაც უზრუნველყოფდა როგორც შიდა, ისე გარე გარემოში მიმდინარე ცვლილებების ასახვას. რისკების შეფასების პროცესის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, ეროვნული ბანკი იყენებს რისკებისა და კონტროლების თვითშეფასების მეთოდოლოგიას (Risk and Control Self-Assessment – RCSA), რომელიც უზრუნველყოფს ბანკის თითოეული ფუნქციური მიმართულების ფარგლებში რისკებისა და შესაბამისი კონტროლების სტრუქტურირებულ შეფასებას.

ეროვნულ ბანკში მოქმედი მოდელების რისკის მართვის ჩარჩოს ფარგლებში, შექმნილია მოდელების რეესტრი, რომელიც მოიცავს თითოეულ მოდელთან დაკავშირებულ ძირითად პარამეტრებს, მათ შეფასებასა და შესაბამისი რისკის დონის განსაზღვრას. 2025 წლის განმავლობაში გაგრძელდა მუშაობა მოდელების სტანდარტიზებულ ფორმატში დოკუმენტირებაზე, ასევე მათთან დაკავშირებული არაფინანსური რისკების იდენტიფიცირებასა და აღნიშნული რისკების რეესტრში ასახვაზე.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა საოპერაციო რისკების მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის - ინციდენტების მართვის სისტემის გამოყენება. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ბიზნეს-პროცესებთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიცირებას, რეგისტრაციასა და ანალიზს, რაც ხელს უწყობს პროცესებში არსებული სისუსტეების გამოვლენასა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას, მსგავსი ინციდენტების განმეორების ალბათობის შემცირების მიზნით.

ეროვნული ბანკის პროცესების ეფექტიანი ადმინისტრირების, მათი ფორმალიზებისა და ინსტიტუციური ცოდნის შენარჩუნების მიზნით, ბანკი სისტემატურად შეიმუშავებს და აახლებს შიდა პროცედურებს. მიმდინარე წელს აქტიურად მიმდინარეობდა როგორც არსებული შიდა პროცედურების განახლება, ასევე ახალი პროცედურების შემუშავება. აღნიშნული პროცესი წარმოადგენს რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩოს მხარდაჭერის, ასევე ეფექტიანი შიდა კონტროლის გარემოს შექმნისა და შენარჩუნების მნიშვნელოვან მექანიზმს.

რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო ასევე მოიცავს არაფინანსური რისკების მისაღები დონის (Risk Appetite) განსაზღვრას, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს ეროვნული ბანკის საბჭო. ზოგადად, ეროვნული ბანკი ინარჩუნებს კონსერვატიულ მიდგომას არაფინანსური რისკების მიმართ, რის შედეგადაც განსაზღვრული რისკის მადა დაბალი რისკის დონეს შეესაბამება. აღნიშნული პარამეტრების შენარჩუნების მიზნით, ბანკი უზრუნველყოფს შესაბამისი რესურსების გამოყოფას და შიდა კონტროლის გარემოს უწყვეტ გაუმჯობესებას.

ორგანიზაციაში რისკის კულტურისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2025 წელს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფისთვის ჩატარდა ტრენინგები რისკებისა და ინციდენტების მართვის საკითხებზე. ტრენინგები მოიცავდა როგორც ბანკში მოქმედი შესაბამისი წესებისა და პროცედურების მიმოხილვას, ასევე შესაბამისი სისტემების გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებს.

საანგარიშო პერიოდში, ასევე გაგრძელდა ეროვნული ბანკის მიერ რისკების მართვის სფეროში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საერთაშორისო დონეზე გაზიარება. აღნიშნული პრაქტიკა განხორციელდა როგორც ადგილზე

და დისტანციურად გამართული შეხვედრების ფარგლებში, ასევე საერთაშორისო სემინარებისა და კონფერენციების საშუალებით.

14.3. ბიზნესის უწყვეტობის მართვა

საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის მქონე ორგანიზაცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კრიტიკული სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფასა და ინსტიტუციური მდგრადობის განმტკიცებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ბანკი სისტემატურად გეგმავს, ახორციელებს და მონიტორინგს უწევს ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია კრიტიკული სერვისების უწყვეტი მიწოდებისა და ორგანიზაციის ოპერაციული მდგრადობის უზრუნველყოფისკენ.

ბიზნესის უწყვეტობის მართვის ჩარჩოს ფარგლებში, ეროვნული ბანკი რეგულარულად აფასებს ადამიანური, ტექნოლოგიური და ლოჯისტიკური რესურსების მზადყოფნას. ამ მიზნით ტარდება სხვადასხვა ტიპის ტესტირება და პრაქტიკული სავარჯიშო, რომელიც მიმართულია კრიტიკული პროცესების ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველყოფასა და ორგანიზაციის მზადყოფნის შეფასებისკენ სხვადასხვა შესაძლო სცენარის პირობებში. 2025 წლის განმავლობაში გაგრძელდა სამუშაოები აღნიშნული რესურსების მდგრადობის შეფასებისა და ბიზნესის უწყვეტობის გეგმების პრაქტიკული შემოწმების მიმართულებით.

2025 წელს ასევე გაგრძელდა ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზის (Business Impact Analysis – BIA) განხორციელება, რომელიც წარმოადგენს ბიზნესის უწყვეტობის მართვის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. აღნიშნული პროცესი გულისხმობს ბანკის კრიტიკული სერვისების მიწოდების პროცესებისთვის საჭირო რესურსების სისტემურ განსაზღვრას და მათ ანალიზს. BIA-ის ფარგლებში იდენტიფიცირდება კრიტიკული სერვისების მიწოდებისთვის აუცილებელი ტექნიკური, ადამიანური და ლოჯისტიკური რესურსები, ასევე ის მესამე მხარეები, რომლებიც მონაწილეობენ აღნიშნული სერვისების მიწოდების პროცესში.

ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზი ასევე უზრუნველყოფს იმ პოტენციური საფრთხეების შეფასებას, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს სერვისების მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეწყვეტა. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება კრიტიკული სერვისების მიწოდების შეწყვეტისადმი ორგანიზაციის ამტანობის დროითი პარამეტრები, ასევე სერვისების ტექნიკური აღდგენისათვის საჭირო მიზნობრივი დროის მაჩვენებლები.

საანგარიშო პერიოდში ასევე ჩატარდა სხვადასხვა ტიპის ტესტირება და ტრენინგი, რომლებიც მიმართული იყო თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისკენ ბიზნესის უწყვეტობის მართვის საკითხებზე და კრიზისული სიტუაციების მართვის პროცესში კოორდინაციის გაუმჯობესებისკენ. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს თანამშრომელთა მზადყოფნის გაზრდას და კრიზისულ სიტუაციებზე ეფექტიანი რეაგირების უნარის გაძლიერებას.

2025 წელს, ეროვნული ბანკი აქტიურად მონაწილეობდა უწყებათაშორის სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში - „დიდგორი 2025“, რომელიც მიზნად ისახავდა კრიზისული სიტუაციების, საგანგებო და საომარი მდგომარეობის პირობებში სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების დახვეწას. სწავლება მიმდინარეობდა წინასწარ განსაზღვრული იმიტირებული სცენარის საფუძველზე და მოიცავდა როგორც საშტაბო, ასევე საველე კომპონენტებს. ეროვნული ბანკის მონაწილეობა განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო საფინანსო-ეკონომიკური მიმართულების მართვის თვალსაზრისით. ბანკის წარმომადგენლებმა აქტიური წვლილი შეიტანეს ფინანსურ-ეკონომიკური კომპონენტის ფარგლებში შესაბამისი სცენარებისა და ე.წ. „ინჯექტების“ შემუშავებაში, რომელთა საფუძველზეც სწავლების აღსრულების ფაზაში განხორციელდა სხვადასხვა საპასუხო ღონისძიება. აღნიშნულმა სწავლებამ ხელი შეუწყო კრიზისულ გარემოში ფინანსური სისტემის ფუნქციონირების უწყვეტობისა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმების პრაქტიკულ შემოწმებას და კიდევ ერთხელ გამოკვეთა ეროვნული ბანკის მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებული თანამშრომლობის გაძლიერებაში, ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერასა და ქვეყნის ინსტიტუციური მედეგობის განმტკიცებაში.

15.

საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

საზოგადოებასთან ურთიერთობა

2025 წელი საქართველოს ეროვნული ბანკისთვის საიუბილეო წელი იყო. მთელი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი მრავალფეროვანი აქტივობებით აღნიშნავდა ეროვნული ვალუტის - ლარის მიმოქცევაში შესვლიდან 30 წლის იუბილეს. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკში მიმდინარე ყველა საკომუნიკაციო აქტივობა ლარის საიუბილეო თარიღის კამპანიის ფარგლებში მიმდინარეობდა.

ამ მოვლენის აღსანიშნავად დაიგეგმა ფართომასშტაბიანი საკომუნიკაციო კამპანია, რომლის მთავარი მიზანი იყო კიდევ ერთხელ წარმოეჩინა საზოგადოებისთვის ლარის - როგორც კულტურული იდენტობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის სიმბოლოს - მნიშვნელობა. კამპანია გაერთიანებული იყო საერთო მესიჯით - „ლარი 30 - საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის სიმბოლო“.




კამპანიის ფარგლებში გაიმართა მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია „ნდობიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე“, რომელშიც 30 ქვეყნის 300-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელები და საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლები.



პარალელურად შეიქმნა საიუბილეო საკოლექციო მონეტა და ბანკნოტი, გამოიცა ქართული ვალუტის სრული კატალოგი და ლარის სპეციალური გამოცემა, გაიმართა საფოსტო მარკის პრეზენტაცია და მომზადდა ეროვნული ბანკის პირველი მმართველის, იასონ ლორთქიფანიძის ბიოგრაფიული დოკუმენტური ფილმი, აღდგა სებ-ის სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალის - „მონეტარული ეკონომიკის“ გამოცემა, რომელიც 25 წლის წინ დაარსდა და თავდაპირველად გამოიცემოდა ჟურნალ „ბანკის“, შემდგომში კი „ეკონომიკა და საბანკო საქმის“ სახელწოდებით.



საიუბილეო თარიღისთვის ასევე შეიქმნა სპეციალური ლოგო, ბრენდბუქი და საიმიჯო რგოლი.



განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო კამპანიის საიმიჯო ვიდეო, რომლის მთავარი მიზანი ლარის წარსულის, აწმყოსა და მომავლის წარმოჩენა იყო. ვიდეო მოგვითხრობს ლარის მემკვიდრეობაზე, მის დღევანდელ როლსა და რწმენაზე, რომ ლარი მხოლოდ ფული არ არის - ის არის იმ ერის სიმბოლო, რომელიც თავისუფლების ფასს აცნობიერებს. ვიდეო მომზადდა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.





ვიდეო გადაიცემოდა ქართულ ტელეარხებზე. საიმიჯო რგოლს სოციალურ ქსელში დღემდე 1 მილიონზე მეტი ნახვა აქვს და საქართველოს ეროვნული ბანკის Facebook გვერდზე 500,000-ზე მეტ ადამიანამდე მიაღწია.

კრეატიული კონცეფციის საფუძველზე შეიქმნა ბრენდირებული პროდუქცია, სოციალური მედიისთვის მომზადდა თემატური პოსტები, რომლის ვიზუალური დიზაინი შთაგონებული იყო ლარის ბანკნოტებზე გამოსახული ძირითადი ელემენტებით.



ამ ინიციატივების მიზანი იყო ლარის განვითარების გზის გაცოცხლება და ქართული ვალუტის 26-საუკუნოვანი ისტორიის ფართო აუდიტორიამდე მიტანა.

წელს, ეკონომისტთა VII ეროვნულ სამეცნიერო კონფერენცია - „ეროვნული ვალუტის როლი საქართველოს ეკონომიკაში“ ლარის მიმოქცევაში შესვლიდან 30 წლის იუბილეს მიეძღვნა.



ღონისძიების ფარგლებში ცნობილმა ეკონომისტებმა და საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა ეკონომიკურ გლობალიზაციასა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

დამატებით, საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმამ Finedu-მ, რამდენიმე კომერციული ბანკის მხარდაჭერით ჩაატარა ხატვის კონკურსი „ლარი 30 წლისაა“. კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ 6-დან 18 წლამდე ბავშვებსა და მოზარდებს. კონკურსში 550-ზე მეტი ნამუშევარმა მიიღო მონაწილეობა, ნამუშევრები ასახავდა ახალგაზრდა თაობის ხედვას ლარზე.



ლარის საიუბილეო კამპანია საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დასამახსოვრებელი ინიციატივაა, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას, რატომ არის ლარი ჩვენი ეროვნული იდენტობის განუყოფელი ნაწილი.



2025 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების საზოგადოებისთვის ოპერატიულად მიწოდების მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობა წარიმართება სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების გამოყენებით.

ეროვნული ბანკი ოპერატიულად ავრცელებდა პრესრელიზებსა და სტატისტიკურ მონაცემებს. მართავდა შესაბამის თემებზე კონფერენციებს, პრესკონფერენციებს, სემინარებსა და ანალიტიკოსებთან შეხვედრებს. მიმდინარე საკომუნიკაციო აქტივობების პარალელურად, სხვადასხვა სატელევიზიო არხზე აქტიურად შუქდებოდა ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ აქტუალური თემები, სადაც გადაცემების სტუმრები ეროვნული ბანკის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ.

აღსანიშნია, რომ ეროვნული ბანკის ვებგვერდს ყოველდღიურად უამრავი მომხმარებელი სტუმრობს, მათ შორის, საფინანსო სექტორის, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მედია, დარგის ექსპერტები, ანალიტიკოსები, ნუმიზმატები, სტუდენტები და სხვა. ინფორმაციას რეგულარულად ეცნობიან არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც - უცხოელი პარტნიორები, ინვესტორები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები და სხვა. ამას მოწმობს ვებგვერდის აქტიური მომხმარებლების მზარდი სტატისტიკა, რომელიც 1.2 მილიონზე მეტია.

ციფრული მედიის მნიშვნელობიდან და მზარდი პოტენციური აუდიტორიიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის ციფრულ არხებში 2025 წლის განმავლობაში რეგულარულად ქვეყნდებოდა მომხმარებლისთვის რელევანტური და საინტერესო ინფორმაცია, მათ შორის - ისტორიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, ინფორმაციული და შემეცნებითი აქტივობები.

შედეგად, 2025 წელს, მხოლოდ სებ-ის „Meta"-ს ციფრულ პლატფორმებზე პოტენციური აუდიტორიის აბსოლუტურ უმრავლესობას, 70%-ს მივწვდით, კონტენტის ინტერაქციამ 375 000-ს, ნახვების ოდენობამ კი 21.5 მილიონს გადააჭარბა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა მაღალი ჩართულობით გამოირჩეოდა, სებ-ის პროფესიულ სოციალურ ქსელ „ლინკდინზე" გამოქვეყნებული აქტივობებიც, სადაც ნახვების ოდენობამ 1.2 მლნ-ს გადააჭარბა.

საქართველოს ეროვნული ბანკი, სხვა წლების მსგავსად, ყოველთვიურად გამოსცემდა „თვის მიმოხილვას", ყოველკვარტლურად გამოსცემდა „მონეტარული პოლიტიკის ანგარიშს", ანალიტიკურ ანგარიშებს „ფინანსური სექტორის ინდიკატორები" და „მიმდინარე მაკროეკონომიკური ინდიკატორები", ოპერატიულად აქვეყნებდა სტატისტიკურ მონაცემებს და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის პრესრელიზებს. ამასთან, ეროვნულმა ბანკმა, 2025 წელს, მოამზადა და სტამბური წესით გამოსცა „საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2024. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემათა ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე: https://nbg.gov.ge/publications/annual-reports

საერთაშორისო აუდიტორიის ოპერატიულად ინფორმირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან კოორდინირებული თანამშრომლობით, ყოველთვიურად საინფორმაციო ბიულეტენს აქვეყნებდა.

ბიულეტენში აღწერილია გასული თვის რელევანტური და საინტერესო აქტივობები, ღონისძიებები თუ ინიციატივები. საინფორმაციო ბიულეტენი მიეწოდება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მედიას, როგორიცაა: IMF, ADB, EBRD, IFC, WORLD BANK, CENTRAL BANKING, THE BANKER, FINANCIAL TIMES, EUROMONEY და სხვა.

2025 წელს ეროვნულმა ბანკმა კვლავ გააგრძელა მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე მუშაობა, რომელიც საზოგადოების ნდობის ამაღლებასა და ინფლაციური მოლოდინების მართვისკენ იყო მიმართული.

ამ მიზნით, ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო ღონისძიებას - „გლობალური ეკონომიკური ტენდენციების ზეგავლენა და რისკები“ უმასპინძლა. შეხვედრის მიზანი არსებული ეკონომიკური ტენდენციების გამოკვეთა და სამომავლო რისკების ანალიზი იყო. პრეზენტაციები წარადგინეს მსოფლიო ეკონომიკის წამყვანმა ექსპერტებმა და სებ-ის საერთაშორისო მრჩევლებმა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დისკუსიებით საქართველოს ეროვნული ბანკი ხელს უწყობს პროფესიონალებსა და აკადემიურ წრეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და მათთვის ჯანსაღი სადისკუსიო პლატფორმის შეთავაზებას.



საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობას. 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა პირველად უმასპინძლა მაღალი რანგის საერთაშორისო ღონისძიებას - „თბილისის ფინანსურ სამიტს“, რომელიც „აბრეშუმის გზის“ ფორუმის ფარგლებში გაიმართა და გააერთიანა რეგიონის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები, საერთაშორისო ინვესტორები, ფინანსური ინსტიტუტები და ფინტექ ინდუსტრიის ლიდერები.



სამიტის მთავარი თემა იყო მომავლის ფინანსური ტექნოლოგიები, ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება და შუა დერეფნის პოზიციონირება, როგორც გლობალური ვაჭრობისა და ციფრული ფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჰაბი.

ღონისძიებას 50-ზე მეტი ქვეყნის 1 000-ზე მეტი დელეგატი დაესწრო, ხოლო თავად სამიტი გახდა სინგაპურის გლობალური ფინანსური და ტექნოლოგიური ქსელის (GFTN) ღონისძიებების სერიის ნაწილი, რითაც საქართველო საერთაშორისო ფინტექ ეკოსისტემაში ინტეგრირდა.



სტრატეგიული კომუნიკაციების გუნდმა უზრუნველყო სამიტის ირგვლივ მასშტაბური საკომუნიკაციო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება. კამპანიის მიზანი იყო როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აუდიტორიის ინფორმირება, ღონისძიების როგორც მნიშვნელოვანი „ნეთვორქინგ“ პლატფორმის პოზიციონირება და ცნობადობის ზრდა, საქართველოს წარმოჩენა რეგიონულ ფინანსურ ჰაბად და ეროვნული ბანკის, როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორის როლის გაძლიერება.



სამიტი ფართოდ გაშუქდა ონლაინ და ტრადიციულ მედიაში, მათ შორის ტელევიზიასა და რადიოში. მომზადდა ინტერვიუები საერთაშორისო სპიკერებთან, ასევე ონლაინ მედიაში გავრცელდა მათი შეფასებები სამიტისა და საქართველოს, როგორც ფინანსური ტექნოლოგიების ჰაბის პოტენციალის შესახებ. კამპანიის მსვლელობის პერიოდში სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით ჯამში ნახვების რაოდენობამ 4 მილიონს გადააჭარბა. ფინანსური განათლების ამაღლება ეროვნული ბანკის პრიორიტეტია, რამდენადაც ის არის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა მოსახლეობის და ქვეყნის ფინანსური კეთილდღეობისათვის.

2025 წელს ეროვნული ბანკისა და მისი საგანმანათლებლო პლატფორმა „ფინედუს“ ინიციატივით, საფინანსო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ასეულობით სკოლის მხარდაჭერით, საქართველო მსოფლიო დაზოგვის კვირეულს შეუერთდა. დაზოგვის მსოფლიო დღის აღნიშვნა ლარის 30 წლის იუბილეს მიეძღვნა. დაზოგვის დღის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების თანამშრომლები მთელი საქართველოს მასშტაბით V-XII კლასელებს ესტუმრნენ თამაშზე დაფუძნებული სწავლების ფორმატით, 5 700-მდე მოსწავლეს სახალისო და შემეცნებითი ღია გაკვეთილები ჩაუტარეს.

ასევე, თბილისისა და რეგიონების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის ფინანსური განათლების თემაზე სემინარი გაიმართა. შეხვედრის მიზანი სტუდენტებისთვის სებ-ის ფუნქციების, მიმართულებებისა და საფინანსო სექტორის საქმიანობის უკეთ გაცნობა იყო. სემინარის ფარგლებში ჩატარდა სესიები ისეთ თემებზე, როგორებიცაა ფინანსური ბაზრების სტაბილურობა, მომხმარებელთა უფლებები, ფინანსური რეზერვების მართვა, ფულის გათეთრებასთან ბრძოლა, საბანკო და არასაბანკო ზედამხედველობის რეგულირება და სხვა.



ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, მთელი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი სატელევიზიო მედიისა და ციფრული მედია არხების საშუალებით ინფორმაციას აწვდიდა და აფრთხილებდა მომხმარებლებს ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული, შესაძლო ფინანსური თაღლითობების შესახებ.

2025 წელს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში ეროვნული ბანკის თანაორგანიზატორობით კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ, საქართველოში მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.



გასულ წლების მსგავსად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2025 წელსაც უმასპინძლა ბანკირის პროფესიულ დღეს, რომელიც ლარის შემოღების 30 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიების ფარგლებში, პროფესიული მიღწევებისა და განსაკუთრებული სამსახურებრივი ღვაწლისთვის, საპატიო სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ როგორც სებ-ის 30 წელზე მეტი სტაჟის მქონე თანამშრომლებს, ასევე კომერციული ბანკების წარმომადგენლებს. ბანკირის დღე 2021 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება.

2025 წლის განმავლობაში საზედამხედველო მანდატისა და სტრატეგიული პრიორიტეტების ეფექტიანად შესრულების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებთან, საბანკო ასოციაციასთან, გარე აუდიტორებთან, საჯარო დაწესებულებებთან, მედია საშუალებებთან, სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან.



აღნიშნული მანდატის ფარგლებში, ქალ მეწარმეთა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ახალი ანგარიშგების მეთოდოლოგია დანერგა, რომელიც უზრუნველყოფს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების შესახებ სქესის ნიშნით ჩაშლილი მონაცემების სისტემურ შეგროვებასა და გამოქვეყნებას. აღნიშნული ინიციატივა ხელშეუწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და გააძლიერებს ქალთა ეკონომიკურ როლს გრძელვადიან პრესპექტივაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მიერ 2025 წელს განხორციელებული მრავალმხრივი და მასშტაბური აქტივობები ნათლად ასახავს ინსტიტუციის პრიორიტეტს გამჭვირვალობის, ეფექტიანი კომუნიკაციისა და საზოგადოების ნდობის განმტკიცების მიმართულებით. საიუბილეო წლის ფარგლებში განხორციელებულმა კამპანიებმა, საერთაშორისო და ადგილობრივმა ინიციატივებმა, ასევე ციფრულ და ტრადიციულ არხებში აქტიურმა კომუნიკაციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი როგორც ეროვნული ბანკის რეპუტაციის გაძლიერებას, ისე ლარის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის სიმბოლოს აღქმის ზრდას.

სტრატეგიული კომუნიკაციების თანმიმდევრული და მიზანმიმართული პოლიტიკა მომავალშიც დარჩება ეროვნული ბანკის საქმიანობის მნიშვნელოვან პრიორიტეტად.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. წლის მანძილზე, ეროვნულმა ბანკმა უმასპინძლა სხვადასხვა მაღალი რანგის კონფერენციას, გაიმართა ორმხრივი შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის, სხვა ცენტრალური ბანკების, ფინანსური ინსტიტუტებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ლარის მიმოქცევაში შესვლიდან 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით თბილისში მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში მსოფლიოს 30-მდე ქვეყნის 300-ზე მეტი სტუმარი მონაწილეობდა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის, სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების, მსხვილი საერთაშორისო კომპანიების, საქართველოს საფინანსო სექტორისა და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები. პანელური დისკუსიების მონაწილეები მსჯელობდნენ ისეთ თემებზე, როგორიცაა გლობალური ფინანსური სისტემები და მონეტარული პოლიტიკა, ინიციატივები საფინანსო სექტორში, ახალი გამოწვევები და ცენტრალური ბანკების როლი რეგიონული თანამშრომლობის განვითარებაში.

2025 წელს, ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობდა სინგაპურის ცენტრალური ბანკის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაცია CFTN-თან. 2025 წლის 22-23 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და CFTN-ის ერთობლივი ორგანიზებით, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში პირველად გაიმართა „თბილისის ფინანსური სამიტი“. სამიტში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულმა ფინტექ ინდუსტრიისა და ფინანსური სექტორის ლიდერებმა, ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელმა პირებმა, მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა. „თბილისის ფინანსური სამიტის“ მთავარი თემა მომავლის ფინანსური ტექნოლოგიები, რეგიონის ინოვაციური ინფრასტრუქტურისა და შუა დერეფნის, როგორც გლობალური ვაჭრობისა და ციფრული ფინანსების მთავარი ჰაბის განვითარება იყო. სამიტს 50-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი და 1000-ზე მეტი დელეგატი დაესწრო. ღონისძიების ფარგლებში ეროვნული ბანკის მენეჯმენტმა პანელურ დისკუსიებში მიიღო მონაწილეობა. ნათია თურნავა სამიტის მონაწილე მსოფლიოს წამყვან საინვესტიციო ფონდებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შეხვდა .

2025 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივითა და ორგანიზებით, საერთაშორისო კონფერენცია „ფინანსური ტექნოლოგიების განვითარება - გამოწვევები და პერსპექტივები“ ჩატარდა. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ფინტექის განვითარების სტრატეგიის პრეზენტაცია, რომელიც მსოფლიო ბანკთან პარტნიორობით მომზადდა და ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით გრძელვადიან ხედვას აერთიანებს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კავკასიის, ცენტრალური აზიისა და მონღოლეთის შესაძლებლობების განვითარების რეგიონული ცენტრის (CCAMTAC) მმართველი კომიტეტის შეხვედრასაც უმასპინძლეს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსფ-ის შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე სუბირ ლალი და სსფ-ის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ენდრიუ ჯუველი. შეხვედრაზე შეაჯამეს ცენტრის საქმიანობა და განიხილეს მომავალი წლის სამუშაო პროგრამა.

ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით, სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა საქართველოს მაკროეკონომიკური პერსპექტივების, საბანკო სექტორში მიმდინარე ტენდენციებისა და იპოთეკური ობლიგაციების ბაზრის განვითარების საკითხებზე თბილისში საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა, სახელწოდებით - „საქართველოს სუვერენული, საბანკო და იპოთეკური ობლიგაციების ბრიფინგი".

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წლის მანძილზე არაერთი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა სხვადასხვა ცენტრალურ ბანკსა და ორგანიზაციასთან. საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ჩინეთის ცენტრალურ ბანკს შორის, ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისა და გაძლიერების მიზნით, ურთიერთგაგების მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომლითაც მხარეები თანხმდებიან მონეტარული პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობაზე, ასევე ფინანსური ტექნოლოგიების, საგადახდო სისტემებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სფეროებში ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებაზე. შეთანხმებას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნათია თურნავამ და ჩინეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა პან გონგშენგმა მოაწერეს ხელი. ჩინეთის ცენტრალურ ბანკთან მემორანდუმი ეროვნული ბანკის დელეგაციის ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა.

2025 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის დელეგაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკსაც ეწვია. გაიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნათია თურნავასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის ტალეჰ კაზიმოვის შეხვედრა. მხარეებმა განიხილეს მონეტარული პოლიტიკის, ტრანსსასაზღვრო გადახდების ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და ფინტექ სფეროში რეგიონული თანამშრომლობის საკითხები. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებს შორის ასევე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმით მხარეები თანხმდებიან ორი ქვეყნის ფინანსური სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში თანამშრომლობაზე, მათ შორის, ფინანსური ტექნოლოგიების, მონეტარული პოლიტიკის, საგადახდო სისტემების და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სფეროებში.

კორეის ცენტრალურ ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს ეწვია კორეის ცენტრალური ბანკის და კორეის საფინანსო სატელეკომუნიკაციო და საკლირინგო ინსტიტუტის (KFTC) წარმომადგენლობითი დელეგაცია. საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კორეის ცენტრალურ ბანკს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც ოფიციალურად გაფორმდა უნაღდო გადახდების განვითარების პროექტში პარტნიორობა. შეთანხმების ფარგლებში, სამხრეთ კორეის ცენტრალური ბანკის და KFTC-ის ორგანიზებით, ქალაქ სეულში შედგა საქართველოს ეროვნული ბანკის საგადახდო სისტემების გუნდის ვიზიტი, რომელსაც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ეკატერინე გალდავა ხელმძღვანელობდა.

ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არაერთ ცენტრალურ ბანკს გაუწია ტექნიკური დახმარება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და სომხეთის ცენტრალურ ბანკებს. ასევე, სებ-ის წარმომადგნელები ოფიციალური ვიზიტით მიწვეულნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკში გამოცდილებისა და ცოდნის გასაზიარებლად.

აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მენეჯმენტი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით შეხვედრებს სხვადასხვა მაღალი რანგის წარმომადგენლებთან მართავდა. ნათია თურნავამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წევრი ქვეყნების ჯგუფის დირექტორთან

ტამაშ ვოჟნიტსთან გაცნობითი შეხვედრა გამართა, რომელზეც საუბარი შეეხო საქართველოს ეროვნულ ბანკსა და EBRD-ს შორის მრავალწლიანი თანამშრომლობის საკითხებს.

სებ-ის პრეზიდენტი ნათია თურნავა და ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი აშშ-ში 15-მდე საინვესტიციო და აქტივების მმართველ კომპანიას შეხვდნენ. შეხვედრები 2026 წელს საქართველოს მიერ ევრობონდის რეფინანსირებისთვის მზადების სამუშაოს ფარგლებში JP Morgan-ის, Societe General-ის, CITI-ისა და ICBC-ის ორგანიზებით შედგა, სადაც დეტალურად განიხილეს საქართველოს მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები, სამომავლო პროგნოზები, საერთაშორისო ბაზრები და საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო.

2025 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ჩინეთის ტრანსსასაზღვრო ბანკთაშორისი გადახდების სისტემის (CIPS) პრეზიდენტთან ფუ ჰუანგთან შეხვედრა გამართა. მხარეებმა ეროვნულ ბანკსა და CIPS-ს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტებისთვის CIPS-ის გლობალურ ქსელთან წვდომის ხელშეწყობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში წლის მანძილზე რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. შეხვედრების ფარგლებში სებ-ის მენეჯმენტი მხარეებს ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური ტენდენციების, ფინანსური სტაბილურობისა და საფინანსო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა.

2025 წელს ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ნათია თურნავა, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, საქართველოს მხრიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და „შავიზღვისპირა ქვეყნების ვაჭრობისა და განვითარების ბანკის“ (BSTDB) მმართველად, ხოლო „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ (EBRD) ალტერნატიულ მმართველად დაინიშნა.

2025 წლის იანვარში ნათია თურნავამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე სებ-ის მენეჯმენტმა სსფ-ის მისიის წევრებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ფინანსურ სტაბილურობასა და ძირითად მაკროეკონომიკურ ტენდენციებზე.

2025 წლის აპრილში საქართველოს ეროვნული ბანკის დელეგაციამ ვაშინგტონში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის საგაზაფხულო შეხვედრებშიც მიიღო მონაწილეობა. შეხვედრები გაიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ცენტრალური აზიისა და შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორთან ჯიჰად აზურთან, სსფ-ის მმართველი დირექტორის მოადგილესთან, ბო ლისთან და საქართველოში სსფ-ის მისიის ხელმძღვანელთან ალეხანდრო ჰაჟდენბერგთან. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ქართული საბანკო სექტორის მდგრადობას და მაღალ მომგებიანობას, ძლიერ კაპიტალის და ლიკვიდობის ბუფერებს.

სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიური შეხვედრების ფარგლებში, ნათია თურნავას და სებ-ის მენეჯმენტის სხვა წევრებს ასევე ჰქონდათ მაღალი დონის შეხვედრები ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის წარმომადგენლებთან, მსოფლიო ბანკის ხაზინის RAMP-ის პროგრამის წარმომადგენლებთან, სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან იერუნ კლიკთან და ალტერნატიულ დირექტორთან მარნიქს ვან რეისთან, ყაზახეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ტიმურ სულეიმენოვთან, თურქეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტთან ფატიჰ კარაჰანთან და საერთაშორისო ინვესტორებთან.

2025 წელს, ნათია თურნავამ ლონდონში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოველწლიურ შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა და ფინანსურ ორგანიზაციებს საქართველოს მაკროეკონომიკური გარემო და პროგნოზები გააცნო.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნათია თურნავა და ვიცე-პრეზიდენტი ნინო ჯელაძე საერთაშორისო სავალუტო ფონდის კავკასიის, ცენტრალური აზიისა და მონღოლეთის რეგიონული შესაძლებლობების განვითარების ცენტრის (CCAMTAC) წევრებს შეხვდნენ. მისიას საბანკო ზედამხედველობის მიმართულებით IMF-

ის რეზიდენტი მრჩეველი სერდარ გუნერი და IMF-ის ექსპერტი ლინდა ვან გური წარმოადგენდნენ.

2025 წლის ოქტომბერში ნათია თურნავამ, საქართველოს დელეგაციასთან ერთად, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა. ორმხრივი შეხვედრა გაიმართა ინდოეთის სარეზერვო ბანკის პრეზიდენტთან სანჯაი მალჰოტრასთან. შეხვედრისას გადაწყდა, რომ საქართველოსა და ინდოეთის ცენტრალურ ბანკებს შორის გაფორმდეს ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც მოიცავს ცენტრალური ბანკის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას, მათ შორის, მონეტარული პოლიტიკის, საგადახდო სისტემების, ფინანსური სექტორის ზედამხედველობისა და მარეგულირებელი ჩარჩოს მიმართულებით. ვიზიტის ფარგლებში ასევე გაიმართა შეხვედრები ამერიკული საინვესტიციო კომპანიების - J.P. Morgan-ის, Citibank - ისა და Bank of America-ს ინვესტორებთან.

წლის ბოლოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის საკითხები, ქვეყნის ეკონომიკაში არსებული ვითარება და საშუალოვადიანი პროგნოზები.

მთელი წლის მანძილზე ეროვნული ბანკის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა მაღალი რანგის საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში. 2025 წელს ნათია თურნავამ მონაწილეობა მიიღო ლამფალუსის კონფერენციაში - „გეოეკონომიკის ეპოქა: ცენტრალური ბანკის ევოლუცია“, რომელსაც ყოველწლიურად უნგრეთის ეროვნული ბანკი მასპინძლობს. ღონისძიება უნგრეთის ცენტრალური ბანკის დაარსების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ასევე მონაწილეობა მიიღო ვენაში გამრთულ Invisso (ყოფილი Euromoney) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საერთაშორისო ფორუმში. პრეზიდენტმა პანელურ დისკუსიაში - „ცენტრალური ბანკები გლობალური შოკების შემდეგ“ - ისაუბრა არსებულ გამოწვევებსა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ ზომებზე. ვენაში ვიზიტის ფარგლებში ნათია თურნავამ ასევე მონაწილეობა მიიღო Raiffeisen Bank-ის მიერ ორგანიზებული შეხვედრაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მსხვილ ინვესტორებთან. პრეზიდენტმა ინვესტორებს წარუდგინა პრეზენტაცია საქართველოში არსებული სტაბილური მაკროეკონომიკური ვითარებისა და საინვესტიციო გარემოს შესახებ.

ეკატერინე მიქაბაძემ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ასტანას საერთაშორისო საფინანსო ცენტრის (AIFC) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში - „ასტანას ფინანსური დღეები 2025“ მიიღო მონაწილეობა.

ნათია თურნავამ ამსტერდამში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნიდერლანდის, ბელგიისა და ლუქსემბურგის ჯგუფის წევრი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველებისთვის გამართულ კონფერენციაში, სახელწოდებით „გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის დაძლევა“ მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის მიმდინარეობისას პრეზიდენტი ასევე შეხვდა IMF-ის აღმასრულებელ დირექტორს იერუნ კლიკსა და ალტერნატიულ დირექტორს მარნიქს ვან რეის, რომლებთანაც მიმდინარე საკითხები და სამომავლო თანამშრომლობა განიხილა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებაში „ბლოკჩეინს მიღმა“ მიიღო მონაწილეობა, რომლის მთავარი თემაც საბანკო, საფინანსო და ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიური ინოვაციების განხილვა იყო. პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას საფინანსო სექტორში ინოვაციების ხელშეწყობაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა ცენტრალური ბანკების როლს ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების კუთხით.
საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ნინო ჯელაძემ, ერ-რიადში IMF-ის საუდის არაბეთის რეგიონული ოფისის მხარდაჭერით ორგანიზებულ ყოველწლიურ ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

ეროვნული ბანკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ეკატერინე მიქაბაძემ კატარის დედაქალაქ დოჰაში გამართულ ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) რიგით 50-ე წლიურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ნათია თურნავამ რეიკიავიკის ეკონომიკურ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ისლანდიის ცენტრალური ბანკის ორგანიზებით და ნორსვესტერნის უნივერსიტეტის საერთაშორისო მაკროეკონომიკის ცენტრთან თანამშრომლობით

ყოველწლიურად იმართება. მთავარი სადისკუსიო საკითხები იყო მაკროეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის გამოწვევები.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბაზელში გამართულ საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) რიგით 95-ე წლიურ შეხვედრაშიც მონაწილეობდა, რომლის მთავარ განსახილველ თემას წარმოადგენდა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბაზრებისა და განვითარებადი ეკონომიკების გამოცდილება ტრანსსასაზღვრო გადახდების გაფართოების მიმართულებით. ყოველწლიური შეხვედრების ფარგლებში ნათია თურნავა ასევე დაესწრო BIS-ის 24-ე წლიურ კონფერენციას „ცენტრალური ბანკები გაციფრულებისა და ფრაგმენტაციის პერიოდში“.

ნათია თურნავა, ფინანსთა მინისტრ ლაშა ხუციშვილთან ერთად ლუქსემბურგში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო ბანკის (WB) წევრი ქვეყნების ჯგუფის შეხვედრის გახსნის ოფიციალურ სესიას დაესწრო. პრეზიდენტმა შეხვედრის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში „ცენტრალური ბანკების როლი მწვანე ეკონომიკაში“ მიიღო მონაწილეობა. დისკუსიამდე სებ-ის პრეზიდენტმა მოდერატორობა გაუწია სესიას, სახელწოდებით „ცენტრალური ბანკების როლი მწვანე ეკონომიკაში“.

საქართველოს ეროვნული ბანკის დელეგაციამ ვიცე-პრეზიდენტ ეკატერინე გალდავას ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო Point Zero Forum 2025-ში შვეიცარიის ქალაქ ციურიხში. ღონისძიებას უმასპინძლა შვეიცარიის საერთაშორისო ფინანსების სახელმწიფო სამდივნომ (SIF) და ორგანიზაცია CFTN-მა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ეკატერინე გალდავამ, ბრაზილიაში მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ „გლობალური გადახდების კვირეული 2025“-ში მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი SWIFT-ის მიერ ორგანიზებულ SIBOS-ის საერთაშორისო კონფერენციაზე მთავარი მომხსენებლის რანგში წარსდგა. ნათია თურნავამ სიტყვით გამოსვლისას ფინანსური სერვისების სფეროში ინოვაციების დანერგვის კუთხით საქართველოს გამოცდილებასა და ხედვებზე ისაუბრა. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა SWIFT-თანაც, სადაც განიხილეს თანამშრომლობის სამომავლო გეგმები. სებ-ის პრეზიდენტი ასევე ეწვია ფრანკფურტის საფონდო ბირჟას, სადაც Deutsche Börse Group-ის წევრ კომპანია 360T-ის მთავარ ოფიცერს და ჩინური ტრანსსასაზღვრო საგადახდო სისტემის - CIPS-ის წარმომადგენლებს შეხვდა.

ნინო ჯელაძემ სარაევოში OECD/INFE-ის მიერ ორგანიზებულ ფინანსური განათლების საერთაშორისო კონფერენციაში - „ფინანსური განათლების ტენდენციები და გამოწვევები“ - მიიღო მონაწილეობა. ვიცე-პრეზიდენტმა პანელურ დისკუსიაში „ფინანსური განათლების მნიშვნელობა ძლიერი ეკონომიკური ზრდისთვის“ მიიღო მონაწილეობა.

სებ-ის პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო ტირანაში, ალბანეთის ბანკის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გამართულ პანელურ დისკუსიაში, სახელწოდებით „ნაკლები ვაჭრობისა და შემცირებული კაპიტალის სამყარო: გლობალური ეკონომიკის გარდაქმნა?”.

ეკატერინე მიქაბაძემ ციურიხში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ორგანიზებულ მაღალი დონის რეგიონულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა სახელწოდებით - „ცენტრალური ბანკის მმართველობა და პოლიტიკის ჩარჩოები ცვალებად გარემოში“.

16.

ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება

სტატისტიკური ინფორმაცია თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ

2025 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნულ ბანკში 665 თანამშრომელი იყო დასაქმებული, რომელთაგან 535 - საჯარო მოხელეს წარმოადგენდა. თანამშრომელთა მთლიანი რაოდენობის 55.49 % -ს ქალები შეადგენდნენ, ხოლო 44.51% -ს მამაკაცები. თანამშრომელთა საშუალო ასაკი 41 წელია.

ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდისა და ბანკის სტრატეგიული მიზნების შესრულების მიზნით, „საქართველოს ეროვნული ბანკის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2015 წლის 8 აპრილის №10 განკარგულებაში განხორციელებული ცვლილებები:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2025 წლის 10 მარტის N8 განკარგულების შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა **ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტში**: საქმიანობის მოცულობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, საერთაშორისო სანქციების იმპლემენტაციის და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ინსპექტირებისა და დისტანციური ზედამხედველობის განყოფილებიდან განცალკევდა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის მიმართულება, ხოლო კომერციული ბანკების, მიკრობანკებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ინსპექტირების განყოფილებიდან განცალკევდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ინსპექტირების მიმართულება.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა შემდეგი განყოფილებები:

- არასაბანკო დაწესებულებების ინსპექტირების განყოფილება
- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ინსპექტირების განყოფილება
- მეთოდოლოგიისა და დისტანციური ზედამხედველობის განყოფილება
- საერთაშორისო სანქციების იმპლემენტაციის განყოფილება
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილება

• კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ინსპექტირების განყოფილების ფუნქციებად განისაზღვრა:

ა) კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების და ამ მიზნით გატარებული ღონისძიებების შემოწმება/შემოწმების პროცესში მონაწილეობის მიღება;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, იმ კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების შემოწმება, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ეროვნული ბანკის, სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას, მათ შორის, მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას, ინფორმაციის სრულად წარდგენას ან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ წარდგენილი ინფორმაცია შეიცავს უზუსტობებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში, კომერციული ბანკისა და მიკრობანკის მმართველობით ან/და მფლობელობით სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებისას, შემოწმების ჩატარება, შემოწმების პროცესში მონაწილეობის მიღება ან/და ეროვნულ ბანკში წარდგენილი დოკუმენტების შეფასებაში მონაწილეობის მიღება, იმის განსასაზღვრად ახალი მმართველობის/მფლობელობის პირობებში კომერციული ბანკის/მიკრობანკის მიერ დანერგილი/განხორციელებული ღონისძიებები რამდენად შეესაბამება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს;

დ) ნებისმიერი ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით არსებული იმ შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღება, დამუშავება და გაანალიზება, რაც აუცილებელია თავისი ფუნქციების სრულყოფილად შესასრულებლად;

ე) შემოწმების შედეგად კომერციულ ბანკებსა და

მიკრობანკებში გამოვლენილ დარღვევებზე, ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე სათანადო მოთხოვნების და რეკომენდაციების დაწესების, საზედამხედველო ღონისძიებების ან/და სანქციების გამოყენებაზე წინადადებების მომზადება და წარდგენა;

ვ) შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ანალიზი და შემოწმების პროცესში გამოყენებული საზედამხედველო მიდგომების განზოგადება;

ზ) შემოწმების შედეგად დაწესებული მოთხოვნების, სავალდებულო ან/და სარეკომენდაციო ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;

თ) საზედამხედველო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

• საერთაშორისო სანქციების იმპლემენტაციის განყოფილების ფუნქციებად განისაზღვრა:

ა) ანგარიშვალდებული პირების მიერ საერთაშორისო ფინანსური სანქციების მოთხოვნების იმპლემენტაციისათვის საჭირო მეთოდოლოგიური საქმიანობის განხორციელება;

ბ) საერთაშორისო ფინანსური სანქციების მოთხოვნების დაცვის კონტროლის მიზნით, ანგარიშვალდებული პირების ადგილზე ინსპექტირება და შემოწმების შედეგად აღმოჩენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე სათანადო მოთხოვნების და რეკომენდაციების დაწესების, საზედამხედველო ღონისძიებების ან/და სანქციების გამოყენების თაობაზე წინადადებების მომზადება და წარდგენა;

გ) საერთაშორისო ფინანსური სანქციების მოთხოვნების იმპლემენტაციის საკითხებზე ეროვნული ბანკის სხვა სტრუქტურული ერთულების მხარდაჭერა;

დ) საერთაშორისო ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის შესახებ ანგარიშვალდებული პირებისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვა, შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება, სექტორებში არსებული რისკების შეფასება და საჭირო საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე წინადადებების მომზადება;

ე) საერთაშორისო ფინანსური სანქციების შესახებ შემოსულ კორესპონდენციებზე შესაბამისი პასუხების მომზადება და ეროვნული ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან განხილვა;

ვ) საერთაშორისო ფინანსური სანქციების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან შეხვედრებში მონაწილეობის მიღება;

ზ) საერთაშორისო ფინანსური სანქციების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ანგარიშვალდებული პირებისათვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება.

• საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილების ფუნქციებად განისაზღვრა:

ა) საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების და ამ მიზნით გატარებული ღონისძიებების შემოწმება/შემოწმების პროცესში მონაწილეობის მიღება; ბ) საჭიროების შემთხვევაში, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების შემოწმება, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ეროვნული ბანკის, სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას, მათ შორის, მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას, ინფორმაციის სრულად წარდგენას ან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ წარდგენილი ინფორმაცია შეიცავს უზუსტობებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების მმართველობით ან/და მფლობელობით სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებისას, შემოწმების ჩატარება, შემოწმების პროცესში ან/და ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვაში მონაწილეობის მიღება, იმის განსასაზღვრად ახალი მმართველობის/მფლობელობის პირობებში საგადახდო მომსახურების პროვაიდერების/ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების მიერ დანერგილი/განხორციელებული ღო-

ნისძიებები რამდენად შეესაბამება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს;

დ) ნებისმიერი ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით არსებული იმ შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღება, დამუშავება და გაანალიზება, რაც აუცილებელია თავისი ფუნქციების სრულყოფილად შესასრულებლად;

ე) შემოწმების შედეგად, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების დარღვევებზე, ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე სათანადო მოთხოვნების და რეკომენდაციების დაწესების, საზედამხედველო ღონისძიებების ან/და სანქციების გამოყენებაზე წინადადებების მომზადება და წარდგენა;

ვ) შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ანალიზი და შემოწმების პროცესში გამოყენებული საზედამხედველო მიდგომების განზოგადება;

ზ) ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის ზედამხედველობისთვის საჭირო მეთოდოლოგიური საქმიანობის განხორციელება;

თ) ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ შემოსულ კორესპონდენციებზე შესაბამისი პასუხების მომზადება და ეროვნული ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან განხილვა;

ი) ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის ზედამხედველობის საკითხებზე ეროვნული ბანკის სხვა სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერა;

კ) ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის შესახებ ანგარიშვალდებული პირებისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვა, შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება, სექტორებში არსებული რისკების შეფასება და საჭირო საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე წინადადებების მომზადება.“.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2025 წლის 11 აპრილის №9 განკარგულების შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა **ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტის საპენსიო ფონდების ზედამხედველობის განყოფილებაში.** განკარგულების თანახმად, განყოფილების ფუნქციებად განისაზღვრა:

ა) სსიპ საქართველოს საპენსიო ფონდის საქმიანობის ზედამხედველობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე საპენსიო ფონდის დირექტორების და მათი მოადგილეების (ან პირების, რომლებსაც ეკისრებათ დირექტორის მოადგილის მოვალეობის შესრულება) პოზიციაზე დასანიშნი პირების, აგრეთვე, აღნიშნულ პირთა შესაბამის პოზიციაზე ყოფნის მთლიანი პერიოდის განმავლობაში შესაფერისობის შეფასება/განხილვა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

გ) საპენსიო ფონდის დებულების, საპენსიო ფონდის კომიტეტების წესდებების, რისკის მართვის ჩარჩოს, საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა პოლიტიკის დოკუმენტების შეფასება და წინადადებების მომზადება;

დ) საპენსიო ფონდის სპეციალურ ფუნქციებთან დაკავშირებული საქმიანობების აუთსორსინგული მომსახურებისთვის გადაცემასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის განხილვა და თანხმობის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად წინადადებების მომზადება;

ე) კომერციული ბანკების, მიკრობანკების, აქტივების მმართველი კომპანიების (საპენსიო ფონდთან დაკავშირებით მათ მიერ საშუამავლო საქმიანობის განხორციელების, მათ შორის, კომერციული ბანკების, მიკრობანკების მიერ სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციის შესრულების ფარგლებში) საქმიანობის ზედამხედველობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) საზედამხედველო გეგმის შემუშავება, აგრეთვე, საჭიროებიდან გამომდინარე, თემატური ან სრულმასშტაბიანი შემოწმების ჩატარება, შემოწმების აქტის მომზადება და წარდგენა;

ზ) საპენსიო ფონდის მიერ წარდგენილი ანგარიშგებების საფუძველზე მისი საქმიანობის ანალიზი, შეფასება, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა;

თ) საპენსიო ფონდის მიმართ დაწესებული სავა-

ლდებულო და სარეკომენდაციო ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;

ი) კორესპონდენციის განხილვა და პასუხების მომზადება;

კ) საპენსიო ფონდის საზედამხედველო ჩარჩოს განსაზღვრაში მონაწილეობა, საჭიროების მიხედვით, მარეგულირებელ ჩარჩოში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების შეთავაზება და წარდგენა;

ლ) საპენსიო ფონდის შემოწმების გეგმისა და შესაბამისი საზედამხედველო ღონისძიებების ეროვნული ბანკის სპეციალიზებული რისკების დეპარტამენტთან კოორდინაცია;

მ) კომერციული ბანკების, მიკრობანკების, აქტივების მმართველი კომპანიების („ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საპენსიო სქემებთან დაკავშირებით მათ მიერ საშუამავლო საქმიანობის განხორციელების, მათ შორის, კომერციული ბანკების, მიკრობანკების მიერ სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციის შესრულების ფარგლებში) საქმიანობის ზედამხედველობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ნ) საპენსიო ფონდში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და გაუქმების, ასევე, დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნისა და განთავისუფლების საკითხების მომზადება და განხორციელება;

ო) საპენსიო ფონდის საქმიანობაში დარღვევების გამოვლენა, სანქციის გამოყენების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადება და წარდგენა;

პ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

2025 წელს ეროვნული ბანკი აგრძელებდა თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას. თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკებისა და საფინანსო ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ კურსებს და სემინარებს დაესწრო სებ-ის 239 თანამშრომელი.

2025 წელს პრეზიდენტის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები და სასწავლო აქტივობები სებ-ის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებისთვის.

- კომუნიკაციები და რთული სიტუაციების მართვა
- დროის მართვის თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები
- უკუკავშირი და გუნდის მშენებლობის პროცესი
- "ვებ-პლატფორმა AI-ს ინსტრუმენტებისთვის" და "ChatGPT-ის გამოყენება"
- შრომით ურთიერთობებში პერსონალური ინფორმაციის დაცვა

გარდა აღნიშნული ტრენინგებისა, დაიგეგმა და განხორციელდა შიდა ტრენინგები, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ბანკის თანამშრომლებისთვის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის, მიმდინარე პროცესების და მიღწევების გაცნობა.

ფინანსური სექტორის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ხელს უწყობს საფინანსო სექტორის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით, ლუქსემბურგის საფინანსო ტექნოლოგიების გადაცემის კვლევითი სააგენტოს ექსპერტებმა 2025 წელს თბილისში ჩაატარეს 2 ტრენინგი, ხოლო დისტანციურად - 1 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ეროვნული ბანკის, ასევე კომერციული ბანკების თანამშრომლებმა. ჯამში სემინარებს დაესწრო 79 მონაწილე.

საქართველოს ეროვნულ ბანკში დასაქმებისთვის კონკურსის ჩატარება

ეროვნულ ბანკში დასაქმებისთვის 2025 წელს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ ჩაატარა 52 კონკურსი, კონკურსების ფარგლებში პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობებზე სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში შეირჩა 35 თანამშრომელი.

ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

პროფესიული გამოცდილების შეძენისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზ-

ნით 2025 წლის განავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში სტაჟირება გაიარა 51-მა პირმა.

საქართველოს ეროვნულ ბანკში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი განახორციელდა დამატებით ასევე საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილების შესაბამისად.

აღნიშნულ სტაჟირების კონკურში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების 333 - მა სტუდენტმა.

სტაჟირების კონკურსის შედეგად შეირჩა 9 სტაჟიორი, რომლებმაც სტაჟირება გაიარეს საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის, სტრატეგიული კომუნიკაციებისა და სპეციალიზებული რისკების დეპარტამენტებში, ასევე შიდა აუდიტის სამსახურში და პრეზიდენტის აპარატის კანცელარიის განყოფილებაში.

ჯანსაღი კორპორატიული კულტურის განვითარება

2025 წელს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა ჯანსაღი კორპორატიული კულტურის განვითარება. გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბების მიზნით ეროვნული ბანკის თანამშრომლებისთვის დაორგანიზდა და განხორციელდა არაერთი სამოტივაციო, სპორტული, შემეცნებითი, გუნდის შეკვრის და სოციალური ღონისძიება.

დამკვიდრდა მოხალისეობის კულტურა, რის შედეგადაც თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ 2 მაშტაბურ საერთაშორისო ღონისძიებაში.

სებ-ის ინსტიტუციური განვითარება

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების სისტემების დანერგვისა და განვითარების მიზნით 2025 წელს შემუშავდა საქართველოს ეროვნული ბანკის ადამიანური რესურსების მართვის (HR) 2026-2029 წლების სტრატეგიის დოკუმენტის პროექტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ორგანიზაციულ განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მოტივაციასა და აღიარების სისტემების, სტრატეგიული სამუშაო ძალის შენარჩუნებასა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების დანერგვა და განვითარება.

სტრატეგიით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებებია:

- ავტომატიზაცია და გაციფრულება
- ტალანტების მართვა და განვითარება
- თანამშრომელთა ჩართულობის განვითარება
- ორგანიზაციული კულტურის განვითარება
- სამოტივაციო სქემების განვითრება
- სოციალური პაკეტების შემუშავება თანამშრომლებისთვის
- მრავალფეროვანი, თანასწორი და ინკლუზიური გარემოს შექმნა

პრეზიდენტის აპარატის კანცელარიის განყოფილებაში 2025 წელს განხორციელებული პროექტები:

ეროვნული ბანკის არქივის გაციფრულება

პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის აპარატის კანცელარიის განყოფილების საარქივო საცავში განთავსებული მატერიალური დოკუმენტების აღრიცხვა/შენახვისა და მათთან მუშობის პროცესის ავტომატიზაცია და სისტემატიზაცია.

პროექტის განხორციელების მიზნით 2025 წელს შეიქმნა და დაინერგა **„DS დოკუმენტების ელექტრონული არქივის“** პროგრამული უზრუნველყოფა. ამავე წლის განმავლობაში გაციფრულდა ბანკის საარქივო საცავში არსებული დოკუმენტების 35%.

ეროვნული ბანკის მისაღების (რისეფშენის) და ქოლ-ცენტრის მოდერნიზაცია

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის აპარატის მისაღების (რისეფშენის) და ქოლ-ცენტრის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, 2025 წელს განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- შემუშავდა სპეციფიკური სასაუბრო სკრიპტები
- ჩამოყალიბდა ერთიანი კომუნიკაციის სტანდარტები
- შემუშავდა კომუნიკაციის პრაქტიკული გზამკვლევი
- ჩატარდა მიმღებისა და ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგები და განხორციელდა ინდივიდუალური ქოუჩინგ სესიები , რომელთა ფარგლებშიც დამუშავდა:
  - სატელეფონო კომუნიკაციის ტექნიკები
  - რთული მომხმარებლის მართვა
  - ემპათიური კომუნიკაცია
  - მომსახურების სტანდარტები

17.

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება

საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტები

კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების საზედამხედველო ჩარჩოს რეგულირება

საქართველოს საბანკო სისტემაში დერივატივების გამოყენების სწრაფი ზრდის პარალელურად, ყოვლისმომცველი რისკზე დამყარებული მიდგომის შემოღების მიზნით, რომელიც ეფუძნება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტისა და 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული მოთხოვნების შესახებ №575/2013 რეგულაციით დადგენილ კონტრაჰენტის რისკის მართვის ჩარჩოს, მიღებულ იქნა **„კონტრაჰენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 31 იანვრის №8/04 ბრძანება,** რომელიც მოიცავს როგორც საპროცენტო და სავალუტო დერივატივებს, ასევე კაპიტალის, საკრედიტო და რეალური საქონლის დერივატივებს. ბრძანებით გათვალისწინებული კონტრაჰენტის საკრედიტო რისკის განსაზღვრის განახლებული მიდგომა უფრო ზუსტად ასახავს როგორც დერივატივის ინჰერენტულ რისკებს, ასევე კონტრაჰენტის საკრედიტო რისკს. აღნიშნული ბრძანებიდან გამომდინარე ცვლილებები შევიდა:

- **„კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანებაში;**
- **„მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №111/04 ბრძანებაში;**
- **„კომერციული ბანკებისთვის ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის №214/04 ბრძანებაში;**
- **„მიკრობანკებისთვის ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №109/04 ბრძანებაში;**
- **„ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის №26/04 ბრძანებაში;**
- **„მიკრობანკებისთვის ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №107/04 ბრძანებაში;**
- **„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში;**
- **„მიკრობანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №110/04 ბრძანებაში.**

ცვლილებები შევიდა **„კომერციული ბანკებისათვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 14 მაისის №84/04 ბრძანებასა და „მიკრობანკებისათვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №118/04 ბრძანებაში.** ცვლილებები განპირობებულია კომერციული ბანკებისთვის და მიკრობანკებისთვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციით გათვალისწინებული უძრავი ქონების შეფასების პროცესის/პრინციპების დახვეწისა და ცალკეული საკითხების დაზუსტების საჭიროებით, კერძოდ, განიმარტა კრედიტის მნიშვნელობა, ასევე დაზუსტდა, რომ თუ კრედიტის თანხა არ აღემატება 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, უძრავი ქონების ინსპექტირება შესაძლებელია განხორციელდეს კომერციული ბანკის/მიკრობანკის უფლებამოსილი პირის, მათ შორის, შემფასებლის დამხმარის მიერ. ხოლო თუ კრედიტის თანხა აღემატება 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, უძრავი ქონების ინსპექტირება სავალდებულოა

განხორციელდეს შესაბამისი უძრავი ქონების შეფასების მომზადებაზე პასუხისმგებელი შემფასებლის მიერ.

კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიერ „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით ღია ბანკინგის მიმართულებით დადგენილი მოთხოვნებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 მაისის №80/04 ბრძანებით დამტკიცებული „ღია ბანკინგში ჩართვის წესით“ დადგენილი მოთხოვნების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ცვლილება შევიდა **„კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებასა და „მიკრობანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №123/04 ბრძანებაში.** ცვლილებებით კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის განისაზღვრა ფულადი ჯარიმები „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე-22[3] მუხლების (ღია ბანკინგის მიმართულებით დადგენილი მოთხოვნების) და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 მაისის №80/04 ბრძანებით დამტკიცებული „ღია ბანკინგში ჩართვის წესით“ დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის, აგრეთვე, აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი წერილობითი მითითების შეუსრულებლობისთვის (მათ შორის, განმეორებით და მრავალჯერადად შეუსრულებლობისთვის). ფულადი ჯარიმის კონკრეტული ოდენობები განისაზღვრა არსებული პრაქტიკისა და დარღვევის მნიშვნელობის/სერიოზულობის გათვალისწინებით.

ცვლილებები შევიდა **„კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის №215/04 ბრძანებაში და „მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №112/04 ბრძანებაში.** ცვლილებებით დაზუსტდა კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებებს შორის სხვაობებთან დაკავშირებით დაწესებული ლიმიტის შესახებ. გარდა ზემოაღნიშნულისა, განისაზღვრა კომერციული ბანკის/მიკრობანკის ვალდებულება, კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით განსაზღვროს ანაზღაურება კომერციული ბანკის/მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრებისთვის, რომლებიც კომერციულ ბანკში/მიკრობანკში გაწეული საქმიანობისთვის ანაზღაურებას იღებენ ჯგუფის წევრი საწარმოსგან (მაგალითად, სათავო საწარმოსგან). ამასთან, ცვლილებებით დაზუსტდა, რომ თუ კომერციული ბანკის/მიკრობანკის საქმიანობის მასშტაბებისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან, სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ 1 (ერთი) წევრი უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.

საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის სამართლებრივ აქტზე თანდართული ნებისმიერი პირობის ან შეზღუდვის დარღვევისა და მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება) ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებითა და წერილობითი მითითებით აკრძალული ოპერაციების წარმოების ან/და დაწესებული შეზღუდვების, ლიმიტების, მოთხოვნების და აკრძალვების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფულადი ჯარიმის შესაძლო მაქსიმალური ოდენობის გაზრდის მიზნით, ცვლილება შევიდა **„კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში.** ცვლილების თანახმად, ზემოხსენებულ შემთხვევებში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება, კომერციულ ბანკს დააკისროს ფულადი ჯარიმა დარღვევის გამოვლენის მომენტისათვის ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული საზედამხედველო კაპიტალის 0.01%-ის, 0.05%-ის ან 0.1%-ის გარდა 0.5%-ის ან 1%-ის ოდენობით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ფულადი ჯარიმის ოდენობა კვლავ განისაზღვრება დარღვევის

სერიოზულობის ან/და კომერციული ბანკის აქტივებისთვის მიყენებული ზარალის ან/და შესაძლო საფრთხიდან გამომდინარე.

ცვლილება შევიდა **„პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესი“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №176/04 ბრძანებაში.** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №176/04 ბრძანებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებისამებრ, პერიოდულად, კომერციული ბანკის რისკის პროფილისა და სხვადასხვა სტრესული სიტუაციების ალბათობის ან/და რეალიზაციის შედეგად შეცვალოს კომერციული ბანკისთვის დაწესებული ბუფერები. აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობდა საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებას, გადაწყვეტილება მიეღო ინდივიდუალური შემთხვევების ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ცვლილებებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №176/04 ბრძანებით დამტკიცებული წესიდან ამოღებულ იქნა ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად პილარ 2-ის ჯამური კაპიტალის შემცირების შესაძლებლობას. აღნიშნული დანაწესების მიხედვით, პილარ 2-ის ფარგლებში კაპიტალის მოთხოვნის შემცირების მოცულობა დაითვლებოდა კომერციული ბანკის მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით. იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროების შემთხვევებში, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ბუფერების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს ცალკეული გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე, აღარ არსებობდა ზემოხსენებული ნორმებით განსაზღვრული საკითხების რეგულირების საჭიროება.

მიღებულ იქნა **„საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 12 მარტის №66/04 ბრძანება.** აღნიშნული განპირობებულია სს „მიკრობანკი კრისტალისთვის“ IBAN კოდის მინიჭების საჭიროებით, რათა მან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძლოს საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის (IBAN) გამოყენება.

არასაბანკო დაწესებულებების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა

ფინანსურ ინსტიტუტებში ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მართვისა და გამართული საოპერაციო გარემოს არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს როგორც რისკების მართვის ეფექტური ჩარჩოს ჩამოყალიბებას, ისე ორგანიზაციის უფრო გამართულ ფუნქციონირებასა და მდგრად განვითარებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ცვლილება შევიდა **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებაში.** ცვლილებებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაუდგინდა კორპორაციული მართვისა და საოპერაციო რისკების მართვის მოთხოვნები. ცვლილებებით გათვალისწინებულ იქნა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან არსებული აუდიტის კომიტეტის/სხვა კომიტეტების, დირექტორის/დირექტორატის დაკომპლექტების საკითხები, მათი ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები. დამატებით, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, განისაზღვრა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 000 (ორასი ათას) ლარს, ნაცვლად 100 000 (ასი ათასი) ლარისა. ამასთან, რისკის მიტიგაციის მიზნით დადგინდა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული ყველა იმ სესხის ჯამური ოდენობა, რომელიც აღემატება 100 000 (ასი ათას) ლარს, არ უნდა იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალის 50%-ზე მეტი.

ცვლილება შევიდა **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში**

რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №58/04 ბრძანებაში. ცვლილებებით დაზუსტდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი ცალკეული ნორმები, მათ შორის, სარეგისტრაციო მოთხოვნები, პარტნიორთა/აქციონერთა და ბენეფიციარ მესაკუთრეთა, ისევე როგორც ადმინისტრატორთა მიმართ არსებული მოთხოვნები. საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილების გათვალისწინებით, დაკონკრეტდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციაზე უარისა და რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები. ამასთან, შესაბამისი ცვლილებები შევიდა და დაიხვეწა წესის დანართები. ცვლილებებით განისაზღვრა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოზე ვრცელდება როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები, ისე „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებით დადგენილი დამატებითი მოთხოვნები.

ლიკვიდაციის პროცესის მეტად დახვეწის და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, ცვლილება შევიდა **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 14 თებერვლის №34/04 ბრძანებაში.** ცვლილებით ბრძანებით დამტკიცებულ წესს დაემატა მუხლი, რომლითაც განისაზღვრა დამოუკიდებელი აუდიტორის შერჩევის კრიტერიუმები, მათ შორის, საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მომსახურების დივერსიფიკაციის, ოპერაციების გამჭვირვალობისა და ბაზარზე კონკურენციის ზრდის მიზნით, მიღებულ იქნა **„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის №167/04 ბრძანება,** რომლითაც დარეგულირდა უნაღდო ფორმით ვალუტის გადაცვლის საქმიანობა. ბრძანებით განისაზღვრა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და საქმიანობის უფლების გაცემის პირობები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ვალდებულებები, ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ რეგულაციები არსებითად არ შეცვლილა მოქმედი ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისთვის, რომლებიც მხოლოდ ვალუტის ნაღდი ფორმით გადაცვლის ოპერაციებით გააგრძელებენ საქმიანობას. თუმცა, დამატებით, უნაღდო ფორმით ვალუტის გადაცვლის მომსახურების განხორციელების მიზნით, მათ უნდა დააკმაყოფილონ ბრძანებით ვალუტის უნაღდო ფორმით გადაცვლის განსახორციელებლად განსაზღვრული მოთხოვნები და მიიღონ შესაბამისი საქმიანობის უფლება საქართველოს ეროვნული ბანკისგან. აღნიშნული ბრძანებიდან გამომდინარე ცვლილებები შევიდა:

- **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებაში.** ცვლილებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რომელიც დისტანციური/ციფრული არხების საშუალებით განახორციელებს საქმიანობას, უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების რისკების მართვის ეფექტური ჩარჩო, რომელიც უნდა იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ზომისა და სირთულის შესაფერისი და შესაბამისობაში უნდა იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაწეულ საქმიანობასთან და ბიზნესგანვითარების სტრატეგიასთან. კიბერუსაფრთხოების რისკების მატერიალიზების თავიდან აცილების მიზნით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს კიბერრისკების მართვა შესაბამისი მექანიზმებით და სათანადო დოკუმენტაციის/ინფორმაციის ეროვნულ ბანკში წარდგენა. ამასთან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს საოპერაციო რისკების მოვლენებისა და დანაკარგების შესახებ ანგარიშგება. დამატებით, ვალუტის უნაღდო ფორმით გადაცვლის ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას განესაზღვრა ვალდებულება ამ ოპერაციების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ფულად სახსრებთან დაკავშირებით და სხვ.;
- **„ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და მათი დირექტორების მიმართ ფულადი**

ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №17/04 ბრძანებაში. ცვლილებით, ჩამოთვლილ დარღვევებს დაემატა შესაბამისი მუხლები, რომლებითაც უნაღდო ფორმით ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ვალდებულებები მოწესრიგდა;

- **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №16/04 ბრძანებაში.** ცვლილებით, განისაზღვრა ფულადი ჯარიმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ეროვნული ბანკის ნებისმიერი დებულებით, წესით, დადგენილებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- **„NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის №69/04 ბრძანებაში.** ცვლილების შესაბამისად, ანგარიშგების დეფინიციას დაემატა ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის NBFI სისტემის მეშვეობით წარსადგენი ანგარიშები.

ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა

მდგრადი განვითარების გამოწვევებზე რეაგირების საჭიროებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი პოლიტიკის ახალ რეალობასთან მორგების აუცილებლობამ განაპირობა **„მწვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 21 აგვისტოს №197/04 ბრძანების მიღება.** აღნიშნული ბრძანების მიზანია, დაარეგულიროს საქართველოს კაპიტალის ბაზარზე მდგრადი მიზნობრიობის მქონე ობლიგაციების საჯაროდ გამოშვების საკითხები და ამით ხელი შეუწყოს საწარმოთა მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების იმპლემენტაციას. კერძოდ, ბრძანებით განისაზღვრა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საჯარო ობლიგაციებთან მიმართებით „მწვანე ობლიგაციის“, „სოციალური ობლიგაციის“, „მდგრადობის ობლიგაციის“ და „მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციის“ დასახელების გამოყენების უფლების მინიჭების, შენარჩუნებისა და გაუქმების მოთხოვნები.

ბრძანება საქართველოს ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების (მწვანე და სოციალური) ტაქსონომიების მიზნების განხორციელებას ემსახურება და საქართველოს ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ნაწილი გახდა. ბრძანების თანახმად, დაწესდა საჯაროდ გამოსაშვები ობლიგაციებისთვის მწვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული სტატუსის განსაზღვრისა და შენარჩუნების მექანიზმები.

ბრძანების თანახმად, ფინანსური ინსტრუმენტისთვის მწვანე, სოციალური ან მდგრადობის ობლიგაციის სტატუსის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელია, რომ ობლიგაციით დაფინანსებული ან რეფინანსირებული აქტივობა/აქტივობები შეესაბამებოდეს ამავე ბრძანებით განსაზღვრულ ერთ ან მეტ ეკონომიკურ საქმიანობას/საქმიანობებს. შესაბამისი სტატუსის მოპოვება დამოკიდებულია საერთაშორისო აღიარების მქონე გარე ექსპერტების (დადებით) შეფასებაზე. ფასიანი ქაღალდებისთვის ზემოაღნიშნული სტატუსის მოპოვების მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკს ემისიის პროსპექტთან ერთად წარედინება გარე ექსპერტის მიმოხილვა. ასევე, ემიტენტმა ემისიის პროსპექტში უნდა გაამჟღავნოს ობლიგაციების (ადმინისტრირების) ჩარჩო, წლიური ანგარიშების გამოქვეყნების ვადები/ვებგვერდი და სხვა მატერიალური ინფორმაცია.

ბრძანებით აგრეთვე განისაზღვრა საანგარიშგებო მოთხოვნები, რომლებიც უნდა შეასრულოს ემიტენტმა სტატუსის შენარჩუნების მიზნით. ემიტენტის მიერ საანგარიშგებო ან სხვა დამატებითი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის სერიოზულობისა და პოტენციური რისკის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააუქმოს ობლიგაციისთვის მინიჭებული სტატუსი. ამასთან,

ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გამოიყენოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით და მათ საფუძველზე გამოცემული სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი საზედამხედველო ზომები და სანქციები (მათ შორის, ფულადი ჯარიმები).

მიღებულ იქნა **„აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №167/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 5 აგვისტოს №190/04 ბრძანება და „საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 5 აგვისტოს №191/04 ბრძანება.** ბრძანებების შესაბამისად, დამატებით დაზუსტდა მოთხოვნები ლიცენზირების ეტაპზე მმართველ ორგანოში დასანიშნი კანდიდატისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელის მიერ წარსადგენ დოკუმენტებთან დაკავშირებით. კერძოდ, განისაზღვრა დამატებითი მოთხოვნები ნასამართლობის შესახებ ცნობის, მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შემოსავლის წყაროსა და მისი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის, ასევე, მმართველი ორგანოს წევრობის კანდიდატის მიერ რეკომენდაციების წარდგენასთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, ახლებურად ჩამოყალიბდა მმართველ ორგანოში დასანიშნი კანდიდატისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შესაფერისობის კრიტერიუმები.

ამასთან, განახლდა წესების დანართები. დანართი №2-ის შესაბამისად აქტივების მმართველი კომპანიის/საბროკერო კომპანიის მმართველ ორგანოში დასანიშნი კანდიდატი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი შეავსებს განახლებულ შესაფერისობის დეკლარაციის ფორმას, რაც მოიცავს ზოგად ინფორმაციას როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის შესახებ. გარდა ამისა, დაემატა შემდეგი დანართები:

- დანართი №4, რომელიც განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციისა და იმ მონაცემების წარდგენის ფორმას, რომელიც ასახავს კანდიდატის მიერ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ იგი ერთდროულად არის ერთი ან რამდენიმე სხვა კომპანიის თანამშრომელი;
- დანართი №5, რომელიც ადგენს მმართველ ორგანოში დასანიშნი კანდიდატის შემოწმებასთან დაკავშირებული წერილობითი დასტურის ფორმას, რომელსაც ლიცენზიის მაძიებელი, რეგისტრაციის/აღიარების მსურველი წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს;
- დანართი №6, რომელიც განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელსაც უნდა მოიცავდეს მმართველ ორგანოში დასანიშნი კანდიდატის/მნიშვნელოვანი წილის მფლობელის მიერ წარსადგენი პირადი რეზიუმე. აღსანიშნავია, რომ დანართი არ არის ამომწურავი და პირს შეუძლია დამატებითი ინფორმაციის წარდგენაც.

ზემოაღნიშნული ბრძანებებიდან გამომდინარე ცვლილებები შევიდა **„საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 11 ნოემბრის №198/04 ბრძანებაში და „საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციის, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №170/04 ბრძანებაში.**

მიღებულ იქნა **„რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებისა და ფლობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 18 სექტემბრის №206/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 8 აპრილის №90/04 ბრძანება.** ბრძანებით მოწესრიგდა რეორგანიზაციის შედეგად ფასიანი ქაღალდების რეესტრში უფლებამონაცვლეობის ასახვისა და ახალი ფასიანი ქაღალდის მფლობელის რეგისტრაციის პროცესი.

ცვლილება შევიდა **„საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 22 თებერვლის №20/01 ბრძანებაში.** ცვლილებით ახლებურად ჩამოყალიბდა სატენდერო შეთავაზების განცხადების გამოქვეყნების წესი, დაზუსტდა სატენდერო შეთავაზების განცხადების გამოქვეყნებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელებისთვის გაზიარების საშუალებები, რითაც აღნიშნული წესი დაუახლოვდა ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ ინფორმაციის გასაჯაროების მოქმედ სტანდარტს.

საქართველოს საპენსიო ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა

საქართველოს პარლამენტის მიერ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 27 ივნისს მიღებული ცვლილებების, ასევე, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში თანმდევი ცვლილებების საფუძველზე, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სსიპ საქართველოს საპენსიო ფონდის (შემდგომში - საპენსიო ფონდი) საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის მანდატი, მიღებულ იქნა **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 28 თებერვლის №51/04 ბრძანება,** რომლის თანახმად, დარეგულირდა საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორების შესაფერისობის კრიტერიუმები და მათი კანდიდატურების საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმების პროცედურა, საპენსიო ფონდის კომიტეტების საქმიანობა და მოთხოვნები სპეციალური ფუნქციების განმახორციელებელი პირების მიმართ, საპენსიო ფონდის საინვესტიციო, საოპერაციო და ადმინისტრაციული საქმიანობა, საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს წევრების, აღმასრულებელი დირექტორებისა და თანამშრომლების მიმართ მოქმედი ეთიკის პრინციპები, საპენსიო ფონდის მონაწილეთა პრეტენზიების განხილვისა და მონაწილეთა უფლებების დაცვის წესები, საპენსიო ფონდის დოკუმენტაციისა და ჩანაწერების წარმოების ვალდებულებები, საპენსიო ფონდის მიმართ მოქმედი ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნები, სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმი და საპენსიო ფონდის, მისი აღმასრულებელი დირექტორების, მმართველობითი საბჭოს წევრების ან თანამშრომლების მიმართ სანქციების გამოყენების წესი.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მარეგულირებელი კანონმდებლობა

ცვლილება შევიდა **„NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის №69/04 ბრძანებაში.** ცვლილება განპირობებულია ანგარიშგების წარდგენის პროცედურის გამარტივების საჭიროებით. კერძოდ, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ „საგადახდო მომსახურების შესახებ ანგარიშგების ფორმებისა და მისი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 4 ივლისის №99/04 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ისა და „საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №79/04 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ისა და №2-ის შესაბამისად ანგარიშგების NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალით წარდგენისას სავალდებულო აღარ იქნება ანგარიშგების ელექტრონული ხელმოწერით (თოქენით) დადასტურება. შესაბამისად, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს არ ექნებათ ელექტრონული ხელმოწერისთვის საჭირო თოქენის შეძენის ვალდებულება. აღნიშნულის შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდება საზედამხედველო სუბიექტის მიერ ანგარიშგების წარდგენის პროცედურა, აგრეთვე, დაიზოგება მათი ფინანსური რესურსი.

ცვლილება შევიდა **„მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის**

პრეზიდენტის 2020 წლის 2 სექტემბრის №156/04 ბრძანებაში, რომლის თანახმად, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (ემიტენტი და ექვაირერი) ვალდებულია არაუგვიანეს 2027 წლის 1 იანვრისა, უზრუნველყოს ელექტრონული კომერციის ოპერაციებისთვის წესის მოთხოვნების შესაბამისი მექანიზმების, ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული სხვა უსაფრთხო მოდელის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება წესის მიზნების შესრულება, მათ შორის, ელექტრონული კომერციის ოპერაციებთან დაკავშირებული თაღლითობისა და სხვა უკანონო ქმედების რისკების შემცირება. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების დადგენილ ვადაში ეფექტურად უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრა ვალდებულება, რომ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებმა (ემიტენტი და ექვაირერი) ერთობლივად, არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისისა, საქართველოს ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინონ შესაბამის მოდელი და წინადადება/წინადადებები ელექტრონული კომერციის ოპერაციებისთვის ზემოაღნიშნული მექანიზმებისა და მოდელის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მიღებულ იქნა **„საგადახდო მომსახურების შესახებ ანგარიშგების ფორმებისა და მისი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 4 ივლისის №99/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 1 აპრილის №85/04 ბრძანება.** აღნიშნული ბრძანების მიღება განპირობებულია საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებით, რომლის შედეგადაც შეიცვალა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული. შესაბამისად, ცვლილების თანახმად, ანგარიშგების შევსებისას ახალი ვალუტის გამოყენების შემთხვევაში, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული იქნება დადგენილ ვადაში დაუკავშირდეს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

ლიკვიდაციის პროცესის მეტად დახვეწის და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, ცვლილება შევიდა **„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 5 ივნისის №144/04 ბრძანებაში.** ცვლილებით საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 5 ივნისის №144/04 ბრძანებით დამტკიცებულ წესს დაემატა მუხლი, რომლითაც განისაზღვრა დამოუკიდებელი აუდიტორის შერჩევის კრიტერიუმები, მათ შორის, საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მომხმარებლის ინფორმირებულობის ზრდისა და ამ გზით მათი ინტერესების დაცვის, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნის პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ცვლილება შევიდა **„ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანებაში,** რომლის მიხედვით, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია, მის მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევის ყველა სივრცეში/არხში (სათავო ოფისი, ფილიალი, თვითმომსახურების კიოსკი, ვებგვერდი, აპლიკაცია და სხვა), მომხმარებლისთვის თვალსაჩინო ადგილას და ფორმით განათავსოს/მარტივად ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობა

მიღებულ იქნა **„ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 აპრილის №104/04 ბრძანება.** ბრძანების მიღება განპირობებული იყო „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით, რომლის შესაბამისად, ბრძანებაში გათვალისწინებულ იქნა როგორც ტერმინოლოგიური ცვლილებები, ასევე, ვირტუალური აქტივის მომ-

სახურების პროვაიდერების საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარების საკითხი. ბრძანებით, ერთი მხრივ, ძალადაკარგულად გამოცხადდა „ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 30 მარტის №48/04 ბრძანება და, მეორე მხრივ, არსებული საკანონმდებლო რეგულაციებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, მოწესრიგდა საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება საფინანსო სექტორში პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების პროცესში, აღნიშნული პროცესის დანერგვის პროცედურები, მისი განხორციელების ეტაპები, პროცესის შეწყვეტის, ასევე, იდენტიფიცირებული/ვერიფიცირებული კლიენტის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის განახლების პროცესი და აუთსორსინგული მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, აუთსორსინგული მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის პირობები.

ცვლილება შევიდა **„ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ოქტომბრის №189/04 ბრძანებაში.** ცვლილება განპირობებული იყო „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირთა წრის გაფართოებით, ასევე, აღნიშნულ კანონში განხორციელებული სხვა ცვლილებებით, რომლითაც შეიცვალა რისკების კლასიფიკაციის არსებული სისტემა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების „მაღალი“ და „დაბალი“ რისკის კატეგორიები ჩანაცვლდა „მომეტებული“ და „ნაკლები“ რისკის დონეებით. ცვლილებები ასევე განაპირობა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ოქტომბრის №189/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის პრაქტიკაში გამოყენების შედეგად გამოვლენილი საკითხების დახვეწისა და შესაბამისად, გარკვეული დებულებების მოდიფიცირების აუცილებლობამ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ცვლილებებით ერთი მხრივ, უზრუნველყოფილ იქნა ბრძანების კანონთან შესაბამისობა, ხოლო მეორე მხრივ, დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით და რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებულ ფინანსურ ინსტიტუტს გაუმარტივდა კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი.

დისტანციური ზედამხედველობის პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მიღებულ იქნა **„ანგარიშვალდებული პირების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარის შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 16 დეკემბრის №287/04 ბრძანება,** რომლითაც კომერციული ბანკების შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვართან ერთად, კითხვარის ფორმები დამატებით შემუშავდა სხვა ანგარიშვალდებული პირებისთვის, კერძოდ, მიკრობანკებისთვის, საბროკერო კომპანიებისთვის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისთვის, აქტივების მმართველი კომპანიებისთვის, საინვესტიციო ფონდებისთვის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის.

მიღებულ იქნა **„აქტივების მმართველი კომპანიისა და მისი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 8 ივლისის №166/04 ბრძანება,** რომელმაც განსაზღვრა აქტივების მმართველი კომპანიისა და მისი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრებისა და აღსრულების საკითხები.

ბრძანების შემუშავების მიზანი იყო აქტივების მმართველი კომპანიების, როგორც „ფულის

გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირების, ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველყოფა ფულადი ჯარიმების განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების გზით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი დაადგენდა, რომ აქტივების მმართველმა კომპანიამ დაარღვია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, საქართველოს ეროვნული ბანკის შემოწმების/ზედამხედველობის შედეგად განსაზღვრული მოთხოვნები, წერილობითი მითითებები ან/და არ შეასრულა სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითებები.

საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიმართ სანქციების დაკისრების მიმართულებით ერთგვაროვანი მიდგომის უზრუნველყოფის, არსებული წესების დახვეწისა და დამრღვევი პირის მიმართ დარღვევის სერიოზულობის შესაბამისი სანქციის გამოყენების შესაძლებლობის გაჩენის მიზნით, დღის წესრიგში დადგა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტების მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების ნაცვლად ან ფულადი ჯარიმის დაკისრების შემდეგ, იმავე დარღვევაზე სხვა სანქციის გამოყენების საჭიროება, რათა შეფარდებული სანქცია შეესაბამებოდეს გამოვლენილ დარღვევას და არ შეფერხდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების საქმიანობა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ცვლილება შევიდა შემდეგ ნორმატიულ აქტებში:

- **„ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 29 მაისის №133/04 ბრძანება;**
- **„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 13 ივნისის №87/04 ბრძანება;**
- **„სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №218/04 ბრძანება;**
- **„პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანება;**
- **„ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და მათი დირექტორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №17/04 ბრძანება;**
- **„არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 8 ოქტომბრის №257 ბრძანება.**

ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტებში ცვლილებებით, საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის

მიმართულებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის თავის ზედამხედველობას დაქვემდებარებული შესაბამისი სუბიექტის ან/და მისი ადმინისტრატორის/მმართველი ორგანოს წევრის/ხელმძღვანელის მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების შემდეგ, იმავე მოთხოვნის შეუსრულებლობისას ან ფულადი ჯარიმის დაკისრების ნაცვლად, გამოიყენოს სხვა სანქციები.

იმ შემთხვევაში, თუ სესხის გამცემი სუბიექტი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი, საინვესტიციო ფონდი, საბროკერო კომპანია, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, მიკრობანკი, კომერციული ბანკი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი და აქტივების მმართველი კომპანია არ ახორციელებს რისკის დონის შესაბამისად, აგრეთვე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობითა და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, პირის შესახებ ინფორმაციის განახლებას ან/და ხელმძღვანელობისგან პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების ან/და გაგრძელების თაობაზე ნებართვის მიღებას (გარდა პოლიტიკურად აქტიური პირისა), მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, დაზუსტება, რომ აღნიშნული სუბიექტი შესაბამისი თანხით დაჯარიმდება თითოეულ პირთან მიმართებაში. ხსენებულის უზრუნველსაყოფად მიღებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შემდეგი ბრძანებები:

- **„სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №218/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №299/04 ბრძანება;**
- **„არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 8 ოქტომბრის №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №300/04 ბრძანება;**
- **„საინვესტიციო ფონდებისა და მისი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 ივნისის №70/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №301/04 ბრძანება;**
- **„პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №302/04 ბრძანება;**
- **„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 13 ივნისის №87/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №303/04 ბრძანება;**

- **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №16/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №304/04 ბრძანება;**
- **„მიკრობანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №123/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №305/04 ბრძანება;**
- **„კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №306/04 ბრძანება;**
- **„ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და მათი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №17/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №307/04 ბრძანება;**
- **„ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 29 მაისის №133/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №308/04 ბრძანება;**
- **„აქტივების მმართველი კომპანიისა და მისი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 8 ივლისის №166/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 დეკემბრის №309/04 ბრძანება.**

ცვლილებები შევიდა **„ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 აპრილის №104/04 ბრძანებაში.** ცვლილების თანახმად, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ოფშორული ზონის ქვეყნებში დასაშვები იქნება ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოფშორული ზონა ამავდროულად ევროკავშირის/შენგენის ზონის წევრია, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ ოფშორული ზონა ამავდროულად არის წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული ქვეყნების სიაში, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს როგორც ცალკეული ქვეყნების ჩამონათვალს, ასევე შენგენის/ევროკავშირის ზონის ქვეყნებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, **„ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 29 აპრილის №104/04 ბრძანებაში** განხორციელდა კიდევ ერთი ცვლილება, რაც განპირობებული იყო ბრძანებით დამტკიცებული წესის ცალკეულ მოთხოვნასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ვადის დაზუსტების

საჭიროებით. კერძოდ, ანგარიშვალდებულ პირებს, პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელებისას, აუთსორსინგული მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებლის მხარეს ინფორმაციის/ინფორმაციული აქტივის, მათ შორის, სარეზერვო ასლების შენახვასთან/წაშლასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის წარდგენის ვალდებულების შესრულების ვადად განესაზღვრათ არაუგვიანეს 2026 წლის 1 თებერვალი.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული რეგულაციების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად განახლების მიზნით, მიღებულ იქნა **„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 27 თებერვლის №49/04 ბრძანება,** რომლითაც განისაზღვრა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ საჩივრების სტატისტიკის ყოველთვიურად საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარსადგენი მახასიათებლების ნუსხა, რაც საქართველოს ეროვნულ ბანკს მისცემს შესაძლებლობას, გააანალიზოს რამდენად სწორად რეაგირებენ მომხმარებლების საჩივრებზე საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, ასევე, არსებობს თუ არა ამ მიმართულებით ხარვეზები ორგანიზაციებში, მათ შორის, სისტემურ დონეზე. გამომდინარე ცვლილება შევიდა **„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანებაში.**

სექტორში კონკურენტული გარემოს გაძლიერებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლების მიზნით, ცვლილება შევიდა **„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებაში** და მომხმარებელი ფიზიკური პირისთვის, ასევე, მომხმარებლისთვის (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა კონკრეტულ ფინანსურ ორგანიზაციაში არ აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, სესხის/კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში, წინსწრებით დაფარვის საკომისიო განისაზღვრა დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ით. წინსწრებით დაფარვის საკომისიო, ასევე, განისაზღვრა დოკუმენტალურ ოპერაციებზე (აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია, აქცეპტები და სხვ.).

სხვა სამართლებრივი აქტები

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქციაა ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო,მდგრადდაეფექტიანფუნქციონირებას. საგადახდო სისტემებისთვის დამახასიათებელ რისკებს შორისაა საოპერაციო რისკები, აგრეთვე, სისტემის ტექნიკური შეფერხებები. ხარვეზების დიაგნოსტირებისთვის, ხარვეზების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა აუცილებელი გახდეს საგადახდო სისტემების პროგრამულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მწარმოებლების ან/და საგადახდო სისტემის ტექნიკურ გამართულობაზე პასუხისმგებელი კონტრაჰენტებისთვის (არაქართული მხარე), სისტემაში არსებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა ფორმით გაზიარება. შესაძლოა, გაზიარებული ინფორმაცია მოიცავდეს, მათ შორის, პერსონალურ მონაცემებს, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა ჩათვლით.

საქართველოს კანონმდებლობით პერსონალური მონაცემების გადაცემა შესაძლოა განხორციელდეს როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნებში, ასევე, ისეთ სახელმწიფოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ მიიჩნევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნად. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არმქონე ქვეყანაში დასაშვებია, თუ მონაცემთა

გადაცემა გათვალისწინებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტით. შესაბამისად, მიღებულ იქნა **„საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საგადახდო სისტემების ოპერირებისას პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 26 სექტემბრის №230/04 ბრძანება,** რომლითაც განისაზღვრა მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის პირობები, მათ შორის, საგადახდო სისტემების პროგრამულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მწარმოებლის ან/და ტექნიკურ გამართულობაზე პასუხისმგებელი კონტრაჰენტის მიერ ინფორმაციის დაცვის ვალდებულება, ასევე, მონაცემთა დამუშავების მიზანი და ფარგლები, მოწესრიგდა მონაცემთა შემდგომი გადაცემის საკითხიც.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის 2025 წლის 26 თებერვლის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მიღებულ იქნა **„ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 27 თებერვლის №47/04 ბრძანება.** ეკონომიკური აქტივობის ნორმალიზაციის ფონზე, უძრავი ქონების ბაზარზე მდგრადი აქტივობის შენარჩუნების მიზნით, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) მაქსიმალური მაჩვენებელი ლარში გაცემული იპოთეკური და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხებისთვის 85%-დან 90%-მდე გაიზარდა, რაც ხელს შეუწყობს სესხებზე ხელმისაწვდომობას. ბრძანებით ასევე გათვალისწინებულია სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) მოთხოვნის შემსუბუქება იმ მსესხებლებისთვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ საქართველოს ფარგლებს გარეთ. აღნიშნული პირებისთვის, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (LTV), რომელიც დაცული უნდა იყოს ფულადი სახსრების სახით არსებული თანამონაწილეობით, იპოთეკურ სესხებზე ნაცვლად 70%-სა, განისაზღვრა 80%-ით. ამასთან, შეიცვალა სესხის მაქსიმალური ხანგრძლივობის განსაზღვრის პრინციპი უცხოური ვალუტით გაცემული 20 წლამდე იპოთეკური სესხებისთვის. უცხოურ ვალუტაში იპოთეკური სესხის მაქსიმუმ 20 წლით გაცემისთვის საკმარისი იქნება მსესხებელს გააჩნდეს იპოთეკური სესხების (გარდა არაუმეტეს 10 წლის ვადით გაცემული იპოთეკური სესხებისა) მომსახურებისთვის საკმარისი შემოსავალი სესხის ვალუტაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის 2025 წლის 28 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რომელიც ეხებოდა არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის სესხების ზღვრის გაზრდას, მიღებულ იქნა **„სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ 750 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 21 ივლისის №176/04 ბრძანება.** აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებების ფონზე დოლარიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა ეს უკანასკნელი და მასთან დაკავშირებული სტრუქტურული რისკები ფინანსური სექტორისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. გაცხადებული პოლიტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი ინდუსტრიასთან კოორდინაციით, მაკროეკონომიკური გარემოსა და რისკების გათვალისწინებით, დედოლარიზაციის გრძელვადიანი გეგმის განხორციელებას განაგრძობს. საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 21 ივლისის №176/04 ბრძანებით არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის სესხების ზღვარი 500 000-დან 750 000 ლარამდე გაიზარდა. დამატებით, ბრძანებით დაზუსტდა, რომ წესი ასევე ვრცელდება საბანკო გარანტიის/აკრედიტივის საფუძველზე წარმოშობილი, სესხის გამცემი ორგანიზაციისთვის გრაფიკით გადასახდელი თანხის გადახდის შემთხვევაზე.

2018 წლის აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს ფულადი ბაზრის ძირითად ინდექსს - თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს (TIBR). საფინანსო ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2019 და 2021 წელს შემოღებულ იქნა TIBR ვადიანი ინდექსი და TIBR ნაზარდი ინდექსი.

განვლილი წლების განმავლობაში პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, 2025 წელს განხორციელდა TIBR ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შეფასება და გაუმჯობესების საშუალებების ძიება, რომლის შედეგად მიღებულ იქნა **„TIBR ინდექსების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 12 ოქტომბრის №146/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 22 დეკემბრის №291/04 ბრძანება.** ბრძანების შესაბამისად, TIBR განაკვეთის გაანგარიშებაში მონაწილეობას მიიღებს ამ წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი ბანკთაშორისი გარიგებების მოცულობის 80%, ნაცვლად აქამდე არსებული გარიგებების რაოდენობის 70%-ისა. გარდა ამისა, დაიხვეწა TIBR განაკვეთის გაანგარიშების სარეზერვო გეგმის გაანგარიშების მეთოდოლოგია, შედეგად, TIBR განაკვეთი უფრო ზუსტად და დროულად ასახავს ბანკთაშორის ფულად ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთს და მის ცვლილებებს.

მიღებულ იქნა **„საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 23 მაისის №125/04 ბრძანება** და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 25 მაისის №110/04 ბრძანება. ძველი დებულებისგან განსხვავებით, ახალ დებულებაში აღარ არის მითითება კონკრეტულად მხოლოდ საფინანსო სექტორში ინოვაციური ფინანსური მომსახურებისა და პროდუქტის შეთავაზებაზე. შესაბამისად, ახალი დებულებით რეგულირების ლაბორატორიის გამოყენება აგრეთვე შეუძლიათ საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ იმ სუბიექტებს, რომლებიც საფინანსო სექტორის წარმომადგენლები არ არიან და რომლებსაც სურთ ინოვაციური მომსახურების ან/და პროდუქტის შეთავაზება, თუმცა, აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნული ბანკის არსებულ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს თანხმობას. ახალი დებულებით, ასევე დადგინდა საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, განმცხადებელს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია რეგულირების ლაბორატორიაში იდეის ტესტირების ეტაპის შედეგების შესაფასებლად. გარდა ამისა, განისაზღვრა განმცხადებლის ვალდებულება, თვალსაჩინო ფორმით მოახდინოს მომხმარებლის ინფორმირება მისი მომსახურების ან/და პროდუქტის რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში რეალურ გარემოში გამოყენების ტესტირების შესახებ. აგრეთვე, თუ განმცხადებელი ტესტირების ეტაპის დასრულებამდე გამოთქვამს სურვილს რეგულირების ლაბორატორიიდან გასვლის შესახებ, იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე, შესაბამისი მიზეზის მითითებით, წერილობით აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს. ახალი დებულება აგრეთვე ადგენს მომსახურების ან/და პროდუქტის რეალურ გარემოში გამოყენების ტესტირების მაქსიმალურ ვადას – 1 (ერთ) წელს, რომელიც, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, საჭიროებისამებრ, შეიძლება გახანგრძლივდეს არაუმეტეს 1 (ერთი) წლით (მათ შორის, რამდენჯერმე).

მიღებულ იქნა **„საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის – სებსტატის გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 26 ნოემბრის №112/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 25 ივნისის №144/04 ბრძანება,** რომლის შემუშავების მიზანი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის - სებსტატის გაფართოება. ცვლილების თანახმად, ბრძანებას დაემატა ახალი დანართი „ყოველდღიური ფულადი გზავნილების სტატისტიკის“ MTD მონაცემთა ოჯახი, რის საფუძველზეც გაფართოვდა საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა, კერძოდ, გაფართოვდა:

- ფულადი გზავნილების სტატისტიკის მაჩვენებელთა წრე, რაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში ფულადი შემოდინებების სიღრმისეული ანალიზისთვის, სავალუტო ბაზრის მონიტორინგისა და საგადასახდელო ბალანსის ინფორმაციული ბაზის სრულყოფისთვის;
- ანგარიშვალდებული ფინანსური ინსტი-

ტუტების წრე, რაც გულისხმობს კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების გარდა, ფულადი გზავნილების შესახებ ინფორმაციის მიღებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგანაც. ამასთან, ცვლილების თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ინტეგრაცია განხორციელდა სებსტატის სისტემაში, რაც მნიშვნელოვანია მათი სტატისტიკური საქმიანობის ეტაპობრივი გაციფრულების თვალსაზრისით.

ცვლილებები შევიდა **„საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებაში** და განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების ელექტრონულ აუქციონზე რეალიზაციის შესაძლებლობა. განხორციელებული ცვლილებებით, საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების რეალიზაცია შესაძლებელია ელექტრონული აუქციონის გზით, აუქციონის სისტემის – www.eauction.ge-ის საშუალებით, აუქციონის სისტემის – www.eauction.ge-ის პროცედურისა და წესების, ასევე ამ ბრძანების შესაბამისი დებულებების შესაბამისად. ცვლილებით აგრეთვე განისაზღვრა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შესაძლებელია სარეალიზაციო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრა დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) შეფასებაში მითითებულ თანხაზე მეტი ოდენობით.

18.

სტატისტიკური საქმიანობა

18.1. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა

2025 წელს საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის საკონსულტაციო კომიტეტის (Monetary and Financial Statistics Advisory Committee) წევრი ქვეყანა გახდა. აღნიშნული კომიტეტი აერთიანებს საერთაშორისო ექსპერტებს, რომლებიც განიხილავენ მონეტარული და ფინანსური სექტორის სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ საკითხებსა და მიმდინარე გამოწვევებს. აღნიშნულ ფორმატში მონაწილეობა ეროვნულ ბანკს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების განვითარებას და საკუთარ საქმიანობაში გაითვალისწინოს თანამედროვე მეთოდოლოგიური პრაქტიკა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა გააგრძელა 2024 წლის აპრილ–მაისში ჩატარებული ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორებისა (FSIs) და მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის (MFS) ტექნიკური დახმარების მისიის რეკომენდაციების განხორციელება. შეთანხმებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2025 წელს მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული მეთოდოლოგიური ჩარჩოს გაუმჯობესებისა და სექტორული დაფარვის გაფართოების მიმართულებით. კერძოდ, გადაიხედა და განახლდა ცენტრალური ბანკის სექტორული საბალანსო უწყისის მეთოდოლოგია, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის უახლეს სტანდარტებთან. ასევე, განხორციელდა საბანკო სექტორის საბალანსო უწყისის მეთოდოლოგიის საფუძვლიანი გადახედვა, მათ შორის ისტორიული მონაცემების გადათვლა და ჰარმონიზაცია, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობასა და მონაცემთა შედარებადობას.

ამასთან, მნიშვნელოვნად გაფართოვდა სხვა ფინანსური კორპორაციების (OFC) სექტორის დაფარვა საპენსიო ფონდის ინტეგრირების გზით, რაც ზრდის აღნიშნული სექტორის ანალიტიკურ ღირებულებას და უზრუნველყოფს ფინანსური სექტორის უფრო სრულყოფილ წარმოდგენას.

ამავე კონტექსტში, ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების (FSIs) შემუშავებისა და გამოქვეყნების პროცესი კიდევ უფრო დაიხვეწა და გაფართოვდა. განხორციელდა საბანკო სექტორის FSIs-ის მეთოდოლოგიური გადახედვა და მისი სრულ შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტანდარტებთან. ასევე განახლდა მონაცემთა გავრცელების ჩარჩო და არსებულ ცხრილებს დაემატა ორი ახალი ცხრილი, რომლებიც მოიცავს საპენსიო ფონდისა და სადაზღვევო კომპანიების მონაცემებს, რაც უზრუნველყოფს ფინანსური სექტორის ინსტიტუციური დაფარვის გაფართოებას.

FSI-ის მიზნებისთვის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიისა და რეკომენდაციების შესაბამისად, დაინერგა საბანკო სექტორის კონცენტრაციისა და განაწილების მაჩვენებლები (Concentration and Distribution Measures – CDM), რაც აფართოებს ფინანსური სექტორის სტრუქტურის ანალიზის შესაძლებლობებს.

ამასთან, მიმდინარეობს დამატებითი მონაცემთა წყაროების შესწავლა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორებისა (FSIs) და ფინანსური ანგარიშების (Financial Accounts) წარმოების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით არაფინანსური კორპორაციების (NFC) სექტორის მიმართულებით. ამ კონტექსტში ეროვნული ბანკი სწავლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მიერ შეგროვებული მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას. მიმდინარე სამუშაოები მიმართულია აღნიშნული მონაცემების ხელმისაწვდომობისა და სტატისტიკური მიზნებისთვის მათი გამოყენებადობის შეფასებისკენ.

მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ფულადი გზავნილების შესახებ სტატისტიკის ახალი მონაცემთა ოჯახის დანერგვის დასრულება ეროვნული ბანკის სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების სისტემაში (სებსტატი). განახლებული სისტემის მიხედვით, ფინანსური ინსტიტუტები ეროვნულ ბანკს მონაცემებს ყოველთვიურად აწვდიან ტრანზაქციების დონეზე (ყოველდღიური დეტალიზაციით). მონაცემთა შეგროვება დაიწყო 2026 წლის იანვრიდან. ტრანზაქციების მოცულობის გარდა, მონაცემთა გაფართოებული ბაზა მოიცავს დამატებით ანალიტიკურ ჭრილებს, მათ შორის მიმღებ სექტორს, ასაკობრივ ჯგუფს, სქესსა და

მუნიციპალიტეტს. ანალოგიური დეტალიზაცია ხელმისაწვდომი იქნება გზავნილების გამგზავნთა შესახებაც. აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვნად გააფართოებს ფულადი გზავნილების ანალიზის შესაძლებლობას.

მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტმა განაგრძო მონაცემთა ვიზუალიზაციის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენების გაფართოება სტატისტიკური მონაცემების გავრცელების მიმართულებით. წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, შემუშავდა და გამოქვეყნდა რამდენიმე ინტერაქტიული (BI) საინფორმაციო დაფა. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემების პირველადი წარმოება შესაბამის დეპარტამენტებში ხორციელდება, მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მონაწილეობით განხორციელდა მონაცემთა არქიტექტურის დაგეგმვა, მონაცემთა ამოღების, დამუშავებისა და ტრანსფორმაციის პროცესების განვითარება და ინტერაქტიული ვიზუალიზაციის ინსტრუმენტების შექმნა. ახალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციებისა და მწვანე სესხების პორტფელის შესახებ ინტერაქტიული საინფორმაციო დაფები, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მონაცემთა ხელმისაწვდომობასა და ანალიტიკურ გამოყენებადობას.





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ამავე მიმართულებით, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ფასების ინდექსების სექციაში ექსელის ფორმატში გამოქვეყნებული ცხრილები ჩანაცვლდა ინტერაქტიული რეპორტებით, რის შედეგადაც მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია განახლებული და უფრო მოქნილი ფორმით წარმოდგენილი ინფორმაცია, მათ შორის წლიური და საშუალო წლიური ინფლაცია, ყოველთვიური ინფლაცია, ასევე სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასების ინდექსები.

2025 წელს განხორციელდა წინასწარი შესწავლითი და საცდელი სამუშაოები თანამედროვე სტატისტიკური მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შესაძლო გამოყენების მიმართულებით, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის Statistical Data and Metadata eXchange (SDMX) ჩარჩოსა და პროგრამული ინტერფეისების (API) გამოყენებას. აღნიშნული მიზნით შეიქმნა სატესტო გარემო, რომელიც გამოიყენება მონაცემთა სტრუქტურებისა და შესაბამისი ელემენტების ტესტირებისათვის. პარალელურად, მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ შესაბამის სასწავლო პროგრამებში, რაც ემსახურება აღნიშნული მიმართულებით ცოდნის გაღრმავებას. სამუშაოებს ამ ეტაპზე აქვს საცდელი და სასწავლო ხასიათი და გაგრძელდება მომდევნო პერიოდშიც. ასევე, დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო SDMX-ის გლობალურ კონფერენციაში, რაც დაეხმარა მიმდინარე მიდგომებისა და პრაქტიკის უკეთ გაცნობაში.

წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაძლიერდა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის წარმოებაში გამოყენებული მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების პროცესები. შემუშავდა ახალი პროცედურები მონაცემთა ამოღების, მომზადებისა და ტრანსფორმაციისთვის, რაც უზრუნველყოფს დიდი მოცულობის მონაცემების ეფექტიან ინტეგრაციას მონაცემთა ბაზებში.

აღნიშნულმა სამუშაოებმა ხელი შეუწყო მონაცემთა მართვისა და დამუშავების პროცესების შემდგომ დახვეწასა და სტატისტიკური წარმოების ეფექტიანობის ზრდას.

2025 წელს, ასევე დაიწყო საპილოტე სამუშაოები მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენების შესაძლებლობის შესასწავლად, სტატისტიკური მონაცემების ხარისხის კონტროლისა და ვალიდაციის პროცესების გასაუმჯობესებლად. ფინანსური სექტორის მონაცემთა მოცულობისა და სირთულის ზრდის პირობებში, მოწინავე ანალიტიკური ინსტრუმენტები დამატებით შესაძლებლობას ქმნის მონაცემებში შესაძლო ანომალიების გამოვლენისა და ვალიდაციის პროცესების ეფექტიანობის გასაზრდელად.

18.2. საგადასახდელო ბალანსი და საგარეო სექტორის სტატისტიკა

2025 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის კომიტეტის (BOPCOM) წევრი ქვეყანა გახდა https://www.imf.org/external/bopage/bopindex.htm. აღნიშნული კომიტეტი აერთიანებს საერთაშორისო ექსპერტებს, რომლებიც საკონსულტაციო მხარდაჭერას უწევენ საგადასახდელო ბალანსის წარმოებისა და შესაბამისი მეთოდოლოგიის მიმართულებით, ასევე კომიტეტი პასუხისმგებელია საგარეო სექტორის სტატისტიკის მეთოდოლოგიური სტანდარტების შემუშავებასა და უწყვეტ განვითარებაზე. მომდევნო წლებში კომიტეტი ფოკუსირებული იქნება მსოფლიო მასშტაბით ახალი მეთოდოლოგიის („ინტეგრირებული საგადასახდელო ბალანსი და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია - BPM7“) დანერგვაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეროვნული ბანკის თანამშრომლების წევრობა ევროსტატის საგადასახდელო ბალანსის სამუშაო ჯგუფში (BOPWG) და აღნიშნულ ფორმატში ევროსტატთან თანამშრომლობა, მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა საქართველოსთვის საგარეო სექტორის სტატისტიკის მიმართულებით ევროკავშირის სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოებასა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანად შესრულებაში. თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯები მოიცავს BPM7-ის მეთოდოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინაციას და სამუშაო ჯგუფში აქტიურ დისკუსიებს, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის და საერთაშორისო დონეზე შესადარისი საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოებას.

19.

კიბერუსაფრთხოება

ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება - ეროვნული ბანკის ფუნქციებიდან გამომდინარე ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რომლის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ მუდმივად ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

უსაფრთხოების დეპარტამენტის ორგანიზებით წარმატებით ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის საკონტროლო აუდიტის პროცესი, რომელიც ISO 27001 სტანდარტით სერტიფიცირებას ითვალისწინებს. საკონტროლო აუდიტი განახორციელა გერმანულმა მასერტიფიცირებელმა ორგანომ TUV SUD. ეროვნულმა ბანკმა სერტიფიცირება გასულ წელს გაიარა განახლებული სტანდარტის – ISO/IEC 27001:2022 ვერსიის შესაბამისად.

კიბერ უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკი დროულად ფლობდეს ინფორმაციას მისი აქტივების, თანამშრომლებისა და მათი პერსონალური მონაცემების შესაძლო გაჟონვის ფაქტებზე, ასევე ეროვნული ბანკის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის გარე პერიმეტრის დომეინებთან დაკავშირებული სხვადასხვა საფრთხეების შესახებ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ დაინერგა კიბერ საფრთხეების დაზვერვის (Cyber Threat Intelligence) სისტემა.

2025 წელს ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების განყოფილების მიერ მთელი ბანკის მასშტაბით ჩატარდა კიბერ უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების სავალდებულო ტრენინგი. ტრენინგზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უსაფრთხოებას და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში არსებულ სხვა თანამედროვე გამოწვევებს. გარდა აღნიშნულისა, თანამშრომლების კიბერცნობიერების დონისა და ინციდენტზე რეაგირების დროის შემოწმების მიზნით, განხორციელდა ე.წ. „ფიშინგ“ სიმულაცია.

პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულება - არსებითი ნაბიჯები გადაიდგა პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფისთვის, კერძოდ, გამოიცა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 26 სექტემბრის №230/04 ბრძანება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საგადახდო სისტემების ოპერირებისას პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“; გადამუშავდა და საზედამხედველო ორგანოს წარედგინა პერსონალური მონაცემების აღრიცხვის დოკუმენტი; გადამუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს ეროვნულ ბანკში აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი.

გაიმართა და დაიხვეწა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის მონაცემთა დაცვის პოლიტიკა. მათ შორის, გამჭვირვალობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტის დაცვით, არაერთი პროექტის ფარგლებში, შემუშავდა მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებისა და თანხმობის ფორმები. ასევე, გადამუშავდა უფლებამოსილ პირთან დასადები ხელშეკრულების პროექტები, განხორციელდა ეროვნული ბანკის რიგი მარეგულირებელი აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან თავსებადობის კუთხით.

20.

ფინანსური ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 285

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნ 286 - 288

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 289 -290
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 291 - 292
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 293 - 294
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 295 - 296
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 297 – 357

საქართველოს ეროვნული ბანკი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საქართველოს ეროვნული ბანკის („ბანკი") ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის, საიმედო, შესადარის და აღქმად ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ბანკის უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით მუშაობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომლებიც წარმოადგენენ და განმარტავენ ბანკის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფენ ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების ფასს აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოში მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტების) შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაცემად 2026 წლის 24 აპრილს.

ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე
ნათელა თურნავა

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

შპს "KPMG Georgia"
მე-5 სართული, GMT პლაზა
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
თბილისი, საქართველო0105
IN 404437695
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი : www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისოსტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობაპასუხს აგებს სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს წლიურ ანგარიშში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორის დასკვნას აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მის შესახებ.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული სხვა ინფორმაციის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს .

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ არსებობს აღნიშნული სხვა ინფორმაციის არსებითი უზუსტობა, ჩვენ გვაქვს ამ ფაქტის მოხსენების ვალდებულება. ამ თვალსაზრისით, ჩვენ არაფერი გვაქვს მოსახსენებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების მიმართ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ბანკის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვახდენთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებების გააზრებას, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ბანკის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არარაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არარის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნინო ჩიხლაძე

შპს "KPMG Georgia"
24 აპრილი 2026 წელი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2025	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2024
საპროცენტო შემოსავალი საერთაშორისო რეზერვების მართვის ოპერაციებიდან			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		81,750	82,203
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		282,097	309,042
სხვა		38,023	47,936
		401,870	**439,181**
საპროცენტო შემოსავალი მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებიდან			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		536,318	334,180
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		136,760	175,679
		673,078	**509,859**
სხვა საპროცენტო შემოსავალი			
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით		708	4,356
		708	**4,356**
სულ საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით		**1,075,656**	**953,396**
საპროცენტო ხარჯი მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებიდან			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		(4,772)	(5,124)
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(124,559)	(90,237)
		(129,331)	**(95,361)**
სხვა საპროცენტო ხარჯები			
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ		(73,248)	(101,102)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		(870)	(714)
საიჯარო ვალდებულებები		(444)	(286)
		(74,562)	**(102,102)**
სულ საპროცენტო ხარჯი		**(203,893)**	**(197,463)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**871,763**	**755,933**
გაუფასურების (ხარჯი)/ამობრუნება	29	(1,694)	821
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების შემდეგ		**870,069**	**756,754**
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან:			
- მოგება საკურსო სხვაობებიდან		879,333	447,385
- მოგება სავაჭრო ოპერაციებიდან		17,995	13,120
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები	4	5,522	5,410
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები	4	(3,332)	(5,872)

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2025	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2024
წმინდა რეალიზებული მოგება/(ზარალი) ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		14,540	(29,097)
წმინდა რეალიზებული მოგება ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		2,855	16,766
წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		5,734	(13,370)
სხვა შემოსავლები	5	16,924	429,250
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)		**939,571**	**863,592**
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	6	(69,989)	(59,443)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(25,780)	(19,251)
ფულის ბეჭდვის ხარჯი		(12,235)	(17,076)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(9,216)	(8,034)
სხვა ხარჯები	5	(11,607)	(412,381)
არასაპროცენტო ხარჯი		**(128,827)**	**(516,185)**
წლის მოგება		**1,680,813**	**1,104,161**
სხვა სრული შემოსავალი			
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირებულ იქნას მოგებაში ან ზარალში:			
რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება იმ ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		38,993	21,342
რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში		(14,540)	29,097
სულ სხვა სრული შემოსავალი		**24,453**	**50,439**
სულ წლის სრული შემოსავალი		**1,705,266**	**1,154,600**

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 287-დან 355-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 24 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე
ნათელა თურნავა

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები:			
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
საერთაშორისო რეზერვები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	3,515,685	3,289,907
მონეტარული ოქრო	8	2,701,336	1,681,645
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	10	1,285,611	1,273,804
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	11	7,325	5,488
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	295,507	291,431
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	13	8,794,308	5,944,958
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
სხვა აქტივები	18	10	2,545
		16,599,782	**12,489,778**
აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	9	6,167,078	7,003,577
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	11	3,483	2,520
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	13	1,496,259	1,871,247
სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
ინვესტიციები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	14	-	41,010
გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი	15	6,543	8,435
ძირითადი საშუალებები	16	110,443	86,704
არამატერიალური აქტივები	17	8,988	10,058
სხვა აქტივები	18	32,855	11,649
		7,825,649	**9,035,200**
სულ აქტივები		**24,425,431**	**21,524,978**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგებისა.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ვალდებულებები და კაპიტალი:			
ვალდებულებები:			
უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	19	5,863,318	6,369,707
სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	19	6,749	17,835
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	20	400,569	428,426
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	10	2,093,371	2,259,246
სხვა ვალდებულებები	18	80,820	66,195
		8,444,827	**9,141,409**
ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები			
მიმოქცევაში გაშვებული ფული	22	7,442,164	6,617,018
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	23	59,350	59,384
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	19	1,746,732	695,619
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებები	11	-	2,143
სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	20	1,672,488	1,018,824
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	10	1,972	1,870
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	21	17,645	1,528
სხვა ვალდებულებები	18	605,822	686,511
		11,546,173	**9,082,897**
სულ ვალდებულებები		**19,991,000**	**18,224,306**
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		15,000	15,000
სარეზერვო ფონდი		1,377,774	1,153,535
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი		3,006,898	2,127,565
სხვა გადაფასების რეზერვი		23,663	17,929
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვი		11,096	(13,357)
გაუნაწილებელი მოგება		-	-
სულ კაპიტალი	24	**4,434,431**	**3,300,672**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**24,425,431**	**21,524,978**

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 287-დან 355-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 24 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე
ნათელა თურნავა

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	სხვა გადაფასების რეზერვი	რეალ. ღირ. შეფ. სხვა სრულ შემოს. ასახ. ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2024	**15,000**	**1,153,535**	**1,680,180**	**31,299**	**(63,796)**	**-**	**2,816,218**
სულ სრული შემოსავალი							
წლის მოგება						1,104,161	**1,104,161**
სხვა სრული შემოსავალი							
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:							
რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასებიდან წლის განმავლობაში	-	-	-	-	21,342	-	**21,342**
რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციებიდან, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-	29,097	-	**29,097**
სულ სხვა სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**-**	**50,439**	**-**	**50,439**
სულ წლის სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**-**	**50,439**	**1,104,161**	**1,154,600**
კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები							
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2024 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 24)	-	-	-	-	-	(670,146)	**(670,146)**
გადატანა უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 24)	-	-	447,385	-	-	(447,385)	-
გადატანა სხვა გადაფასების რეზერვიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 24)	-	-	-	(13,370)	-	13,370	-
სულ კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები	**-**	**-**	**447,385**	**(13,370)**	**-**	**(1,104,161)**	**(670,146)**
31 დეკემბერი 2024	**15,000**	**1,153,535**	**2,127,565**	**17,929**	**(13,357)**	**-**	**3,300,672**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	სხვა გადაფასების რეზერვი	რეალ. ღირ. შეფ. სხვა სრულ შემოს. ასახ. ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
სულ სრული შემოსავალი							
წლის მოგება	-	-	-	-	-	1,680,813	**1,680,813**
სხვა სრული შემოსავალი							
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:							
რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასებიდან წლის განმავლობაში	-	-	-	-	38,993	-	**38,993**
რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციებიდან, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-	(14,540)	-	**(14,540)**
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	**24,453**	-	**24,453**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	-	-	**24,453**	**1,680,813**	**1,705,266**
კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები							
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2025 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 24)	-	-	-	-	-	(571,507)	**(571,507)**
გადატანა საერთო სარეზერვო ფონდში 2025 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 24)	-	224,239	-	-	-	(224,239)	-
გადატანა უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 24)	-	-	879,333	-	-	(879,333)	-
გადატანა სხვა გადაფასების რეზერვში, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 24)	-	-	-	5,734	-	(5,734)	-
სულ კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები	-	**224,239**	**879,333**	**5,734**	-	(1,680,813)	**(571,507)**
31 დეკემბერი 2025	**15,000**	**1,377,774**	**3,006,898**	**23,663**	**11,096**	-	**4,434,431**

* საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 287-დან 355-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 24 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე
ნათელა თურნავა

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2025	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2024
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მიღებული პროცენტი		1,028,350	882,949
გადახდილი პროცენტი		(204,784)	(199,645)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		5,522	5,410
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო		(3,332)	(5,872)
წმინდა რეალიზებული მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან		17,995	13,120
სხვა მიღებული შემოსავალი		17,301	429,180
სხვა გაწეული ხარჯები		(1,025)	(410,360)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები		(69,989)	(59,443)
ფულის ბეჭდვაზე გადახდილი ხარჯი		(10,391)	(17,200)
სხვა გადახდილი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(34,447)	(12,542)
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**745,200**	**625,597**
წმინდა (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		834,532	(3,261,837)
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში		(345)	(38,106)
აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით		34	(1,014)
სხვა აქტივები		(21,535)	(1,720)
წმინდა ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
მიმოქცევაში გაშვებული ფული		825,146	682,880
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		636,322	846,514
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ		594,661	(991,091)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		16,118	(6,050)
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებები		(2,143)	2,143
სხვა ვალდებულებები		21,651	22,347
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		**3,649,641**	**(2,120,337)**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2025	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2024
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(14,547)	(39,808)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3,094)	(2,945)
იჯარის მიხედვით გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის ზრდა		-	(2,300)
მონეტარული ოქროს შესყიდვა		-	(1,362,109)
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების შესყიდვა		(8,865,235)	(5,042,878)
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების დაფარვით მიღებული შემოსავალი		6,372,281	10,083,488
ფულადი სახსრების წმინდა (გადინება)/შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან		**(2,510,595)**	**3,633,448**
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:			
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხის გადარიცხვა	24, 27	(670,146)	(302,877)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება		255,195	255,034
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		(255,756)	(255,361)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(918)	(924)
საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის თანხების დაბრუნება	10, 27	(183,930)	(110,575)
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საფინანსო საქმიანობიდან		**(855,555)**	**(414,703)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	7	**3,289,907**	**2,123,328**
წმინდა ფულადი მოძრაობა საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებიდან		283,491	1,098,408
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისთვის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(57,713)	68,171
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	7	**3,515,685**	**3,289,907**

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 287-დან 355-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 24 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარე
ნათელა თურნავა

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ორგანიზაცია

საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში ,,ბანკი") წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და საქართველოს მთავრობის ბანკირსა და ფისკალურ აგენტს. ბანკი შეიქმნა 1991 წლის 2 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე. ამჟამად ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ეროვნული ბანკის" შესახებ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს (შემდგომში ,,კანონი").

ბანკის ძირითადი ამოცანა და პასუხისმგებლობა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, ფინანსური სექტორის სტაბილურობა და ეფექტურობა, ეროვნული ვალუტის ემისია და საერთაშორისო რეზერვების მართვაა. ეს პასუხისმგებლობები განიხილება ქვემოთ აღწერილი ფუნქციების შემადგენელ ნაწილად.

მონეტარული პოლიტიკა

ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ზომიერი და პროგნოზირებადი ინფლაციის განაკვეთის არსებობას, რომელიც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი ახორციელებს ფინანსური სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერას და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, თუ ამ უკანასკნელი მიზნების განხორციელება თანხვედრაშია მთავარ მიზანთან - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფასთან. მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკა მიზნად ისახავს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

ზედამხედველობა და ფინანსური სტაბილურობა

ბანკის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ამ მიზნების განხორციელებისთვის ეროვნული ბანკს აქვს უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური და ფასიანი ქაღალდების ბაზრების სხვადასხვა წარმომადგენლების - კომერციული ბანკების, მიკრობანკების, საბანკო ჯგუფების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, საინვესტიციო ფონდების, საგადახდო სისტემის ოპერატორების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, სესხის გამცემი სუბიექტების, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების და საქართველოს საპენსიო სააგენტოს საქმიანობას.

საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი საზედამხედველო ჩარჩოს ფარგლებში ხელს უწყობს მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. ამასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობისა და ფიზიკური პირების კეთილდღეობის ხედვით, სამთავრობო სტრუქტურებიდან, კერძო ფინანსური სექტორიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, ბანკმა განავითარა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური ჩართულობის მიმართულებით გაწეული ძალისხმევის შემავსებელი ნაწილი.

ვალუტის ემისია

მხოლოდ ბანკს აქვს მიმოქცევისათვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტების და მონეტების დამზადებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი ემისიის უფლება. ბანკი განსაზღვრავს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინს, მასალასა და სხვა მახასიათებლებს, ბანკნოტების ბეჭდვა და მონეტების დამზადება ხდება წამყვანი საერთაშორისო მომწოდებლების მიერ.

საერთაშორისო რეზერვების მართვა

სავალუტო პოლიტიკისა და ოპერაციების მიზნებისთვის, ბანკი ფლობს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რეზერვების პორტფელს, რაც განკუთვნილია, მაგალითად ფინანსური კრიზისის პერიოდში საგარეო შოკების ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფით, საქართველოს მთავრობისათვის და ასევე ბანკისთვის უცხოური ვალუტით გადახდების შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობისთვის.

საგადახდო სისტემები

ბანკი ახორციელებს ქვეყანაში უდიდესი საგადახდო სისტემის ,,დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა“-ის (RTGS) ოპერირებას, რომელიც უზრუნველყოფს ბანკთაშორის ანგარიშსწორებას და საქართველოს მთავრობის გადახდებს ეროვნულ ვალუტაში.

ხელმძღვანელობა

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საბჭო (შემდგომში „საბჭო“) შედგება შემდეგი წევრებისაგან:

თანამდებობა	სახელი, გვარი (2025)	სახელი, გვარი (2024)
თავმჯდომარე	ნათელა თურნავა (პრეზიდენტი)	ნათელა თურნავა (პირველი ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი)
წევრი	ეკატერინე მიქაბაძე (პირველი ვიცე-პრეზიდენტი)	ეკატერინე მიქაბაძე (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	ეკატერინე გალდავა (ვიცე-პრეზიდენტი)	ეკატერინე გალდავა (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	ნინო ჯელაძე (ვიცე-პრეზიდენტი)	-
წევრი	ნანა ყეინიშვილი	ნანა ყეინიშვილი
წევრი	თეიმურაზ ხომერიკი	თეიმურაზ ხომერიკი
წევრი	ოთარ შამუგია	-
წევრი	ვახტანგ ბურკიაშვილი	-
წევრი	ლევან ძნელაძე	-

საბჭო შედგება 9 წევრებისგან. ნათელა თურნავა არის ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს თავმჯდომარე.

ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1, 0114, თბილისი, საქართველო. 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს სალარო მომსახურების ერთი ცენტრი. 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკში დასაქმებული იყო 665 და 626 თანამშრომელი, შესაბამისად.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეკონომიკური და ბუღალტრული აღრიცხვის ფარგლებში, რომელიც სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ პოზიციას და ამავდროულად ხელს უწყობს ბანკის ოპერაციების ეკონომიკურ ანალიზს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები გაყოფილია უცხოურ და ეროვნულ ვალუტებად (წარმოდგენილია შესაბამისი სათაურების ქვეშ), რაც უკეთ ასახავს ბანკის ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსსა და რისკებს. ბანკის აქტივები უცხოურ ვალუტაში ძირითადად დაკავშირებულია

ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვის ფუნქციასთან. ამავდროულად, ბანკის აქტივები და ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში აღიარებულია იმ ოპერაციების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია მონეტარული პოლიტიკის გატარებასთან, ფულის მიმოქცევაში გაშვებასთან და კანონით განსაზღვრულ ბანკის სხვა ფუნქციებთან. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო რეზერვებისა და მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკური კონცეფცია დამატებით ნაჩვენებია საერთაშორისო რეზერვებისა და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ქვე-სათაურების ქვეშ, შესაბამისად. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება განცალკევებით წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლებს/ხარჯებს და არასაპროცენტო შემოსავლებს/ხარჯებს ბანკის ოპერაციების მიხედვით. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდის გამოყენებით.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, ინვესტიციებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და მონეტარული ოქროსი, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მონეტარული ოქრო

მონეტარული ოქროს განსაზღვრების, აღრიცხვის და წარდგენის მიდგომების ჩამოყალიბებისას, ბანკი აცნობიერებს, რომ ფასს სტანდარტები არ ითვალისწინებს სპეციფიკურ განმარტებებს ამ საკითხთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ბანკი მოქმედებს ბასს 8 *„საღრიცხვო პოლიტიკები, ცვლილებები საღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“*-ის 10-12 პუნქტების შესაბამისად და აყალიბებს საკუთარ მიდგომა ამ მიმართულებით, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

სამუშაო და ანგარიშგების წარდგენის ვალუტა

ვინაიდან ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს ღია ბაზრის ოპერაციების მნიშვნელოვან როლს მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაში, მისი ძირითადი საქმიანობა, შესაბამისად, არის ლარის ბანკნოტებისა და მონეტების გამოშვება, რომელიც საქართველოს ეროვნული ვალუტაა და რომელიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სამუშაო და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს. მაშასადამე, ყველა ნაშთი და ოპერაცია, რომელიც ასახულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში განიხილება როგორც „უცხოური ვალუტა“. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში გარდა შემთხვევებისა, როდესაც სხვანაირად არის მითითებული.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა არის გამოყენებული ამ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის და ბანკი მას იყენებს თანამიმდევრულად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი მხარის ფინანსურ აქტივს ასევე მეორე მხარის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ბანკის ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელში წარმოდგენილია ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში, უცხოური ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (სუპრა-ნაციონალური) და სახელმწიფო სააგენტოების მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) ანგარიშები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიმართ, ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს, სსფ-სა და ადგილობრივი კომერციული ბანკების მიმართ და სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს აღრიცხავს ფასს 9 – *„ფინანსური ინსტრუმენტები“* შესაბამისად და წარადგენს ამ ინსტრუმენტებს ფასს 7 - *,,ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“* და ფასს 13 - *,,რეალური ღირებულებით შეფასება“* შესაბამისად.

კლასიფიკაცია

ბანკი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგ კატეგორიებად: შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით (AC), შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). კლასიფიკაცია დამოკიდებულია ბიზნეს მოდელზე, რომლის მიხედვითაც იმართება ფინანსური აქტივები და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. ბანკის ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარების მომენტში.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ არის კლასიფიცირებული როგორც შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

– საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
– ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სავალო ფინანსური ინსტრუმენტი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ არის კლასიფიცირებული როგორც შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტების შემოსულობა და ზარალი, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გარდა შემდეგისა, რაც აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმავე სახით როგორც აქტივებისთვის, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით:

- საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და მისი ანულირება; და
- სავალუტო კურსების ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი

როდესაც ხდება იმ სავალო ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების მომენტში, ბანკს შეუძლია იმ ფინანსურ აქტივს, რომელიც სხვა მხრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რათა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საკუთარი ინიციატივით, მიანიჭოს კატეგორია „რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რაც სხვა მხრივ წარმოიქმნებოდა.

ბიზნესმოდელის შეფასება

ბანკი პორტფელის დონეზე აფასებს იმ ბიზნესმოდელის მიზანს, რომლის პირობებშიც ის ფლობს აქტივს, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ იმართება საქმიანობა და თუ როგორ მიეწოდება ინფორმაცია ხელმძღვანელობას. გაითვალისწინება შემდეგი ინფორმაცია:

- პორტფელის ფლობის მიზანი;
- გაყიდვების (როგოც წარსული, ისე მომავალი) სიხშირე, მოცულობა და დრო;
- ის, თუ როგორ ხდება ბიზნესმოდელისა და ფინანსური აქტივების შედეგების შეფასება და ანგარიშგება ბანკის ხელმძღვანელობასთან;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესმოდელის შედეგებზე, კერძოდ, თუ როგორ იმართება ეს რისკები (რათა მიზანი მიღწეულ იქნას);
- თუ რამდენად შეადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (მაგალითად, საპროცენტო შემოსავალი) პორტფელზე უკუგების მნიშვნელოვან ნაწილს;

შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ძირი თანხა განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების (მაგალითად ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟა.

იმის შეფასებისას, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ბანკი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. აღნიშნული მოიცავს შეფასებას, თუ რამდენად შეიცავს ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელსაც შეუძლია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადის ან მოცულობის შეცვლა ისე, რომ აღარ კმაყოფილდებოდეს ეს მდგომარეობა. შეფასებისას ბანკი ითვალისწინებს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების მოცულობას და ვადას;
- ლევერიჯის მახასიათებლებს;
- წინასწარი გადახდის და ვადის გაგრძელების პირობებს;
- პირობებს, რომლებიც ზღუდავენ ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (მაგალითად, რეგრესის უფლების არმქონე შეთანხმებები), და
- მახასიათებლებს, რომლებიც ახდენენ ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურების მოდიფიცირებას - ანუ საპროცენტო განაკვეთების პერიოდული განახლება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარება

ბანკი ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივის და ვალდებულებების ჩვეულებრივი ყიდვის ან გაყიდვის აღიარება ხდება განაღდების დღის მდგომარეობით აღრიცხვის გამოყენებით.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც არ აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენას ან ფინანსური ვალდებულების ემისიას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგებაში ან ზარალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მათი შემდგომი შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა გამჟღავნებულია ქვემოთ, შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ბანკი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ის სხვა საწარმოს გადასცემს ფინანსურ აქტივებს და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, ან თუ ბანკი არ გადასცემს და არ ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ რისკებს და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე. თუ ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და ასევე მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულიად შეწყვეტისას სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგებისა ან ზარალის ჯამს შორის, ექვემდებარება აღიარებას მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ბანკი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი), ბანკი ანაწილებს ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც გრძელდება მონაწილეობის პროპორციულად და იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც უკვე შეწყდა, ამ ნაწილების გადაცემის განხორციელების დღისათვის არსებულ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. მოგებაში ან ზარალში აღიარდება სხვაობა შეწყვეტილ ნაწილზე გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და შეწყვეტილ ნაწილზე მიღებული კომპენსაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული შემოსულობის ან ზარალის ჯამს შორის, რომელიც გადანაწილებული იყო სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ნაწილზე. აკუმულირებული შემოსავალი ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, გადანაწილდება იმ ნაწილებს შორის, რომელთა აღიარებაც გრძელდება და რომელთა აღიარებაც უკვე შეწყდა ამ ნაწილების შესაბამის რეალურ ღირებულებებზე დაყრდნობით.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება, ან ვადა გაუვა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება იმავე მსესხებლისაგან მიღებულ მეორე ვალდებულებას, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია განიხილება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ანულირება და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ ან გადახდილ თანხას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

შეფასების პრინციპები

რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის ძირითად ბაზარზე ან მისი არარსებობის შემთხვევაში უფრო საიმედო ბაზარზე, რომელიც ბანკისათვის ხელმისაწვდომია მოცემული დღისათვის. ვალდებულების რეალური ღირებულება ასახავს მისი გადაუხდელობის რისკს.

ბანკი ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას აფასებს ამ ინსტრუმენტისათვის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასების გამოყენებით იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ბაზარი არის აქტიური, თუ გარიგებები წარმოებს საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ფასების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღებას.

იმ შემთხვევაში, თუ აქტიურ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასები, ბანკი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ შესაბამისი ბაზრის მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობიან არადაკვირვებად მონაცემებს. შერჩეული შეფასების ტექნიკა ითვალისწინებს ყველა ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ არსებულ პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელი არის გარიგების ღირებულება, ანუ მიღებული და გადახდილი თანხების რეალური ღირებულება. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან და რეალური ღირებულების დადგენა ვერ ხერხდება ვერც კოტირებული ფასების საშუალებით აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივის ან ვალდებულებისათვის, ვერც შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს, ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და სხვაობა გარიგების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის გადავადდება. შემდგომში ეს სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში ფინანსური ინსტრუმენტის სიცოცხლის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს მომენტისა, როდესაც შესაძლებელი გახდება შეფასება ან ტრანზაქცია დაიხურება.

რეალური ღირებულების დასადგენად ბანკი იყენებს კოტირებულ საბაზრო ფასებს. კოტირებული საბაზრო ფასები საერთაშორისო ფასიანი ქაღალდებისათვის მიიღება ყოველდღიურად ბლუმბერგის სისტემიდან და ეფუძნება მიმდინარე მიწოდების ფასებს. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ეს ფასები საკმარისად ასახავს ფასიანი ქაღალდების ღირებულებას საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე მომენტისათვის არსებულ საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით და სრულად შეესაბამება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო პოლიტიკას.

თუ არ არსებობს აქტიური ბაზარი ინვესტიციებისთვის, ბანკი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს წმინდა ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების ანალიზისა და შეფასების სხვა სათანადო მეთოდების საშუალებით. შეფასების ტექნიკები მოიცავს საფონდო ბირჟაზე გათვითცნობიერებულ და სურვილის მქონე მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით დადებული უკანასკნელი გარიგებების გამოყენებას, არსებითად ისეთივე სხვა ინსტრუმენტის მიმდინარე რეალური ღირებულების გამოყენებას და დისკონტირებული ფულადი სახსრების ანალიზს, რომელიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობა ორგანიზაციის სპეციფიკურ მონაცემებს.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომელიც მიიღება შემდეგნაირად: ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ღირებულებას თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული ძირითადი გადასახდელი თანხები, დამატებული ან გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაზარდი რეზერვი. პრემია და დისკონტი, საწყისი ხარჯების ჩათვლით, გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და მისი ამორტიზაცია ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში დენომინირებულს უცხოურ ვალუტაში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო ანგარიშებზე და გაცემის დღიდან ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის საწყისი ვადის მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, ვადიან დეპოზიტების ჩათვლით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შემდგომ შეფასებულნი არიან ამორტიზებული ღირებულებით.

მონეტარული ოქრო

მონეტარული ოქრო არის ოქრო, რომელსაც ფლობს ბანკი და განსაზღვრავს როგორც საერთაშორისო რეზერვების ნაწილს. მონეტარულ ოქროს ბანკი შეიძლება ფლობდეს როგორც ოქროს ზოდების სახით, ისე არარეზიდენტთან ოქროს ანგარიშების (allocated ან unallocated) სახით, რომლებიც იძლევა მოთხოვნის უფლებას ოქროს მოწოდებაზე. მონეტარული ოქროს ზოდების სისუფთავის ხარისხი არის არანაკლებ 995/1000.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მონეტარული ოქრო განიხილება, როგორც უცხოური ვალუტის აქტივი და წარმოდგენილია ცალკე პუნქტად საერთაშორისო რეზერვების შემადგენლობაში. მონეტარული ოქრო ფასდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და ფასდება ყოველდღიურად, ლონდონის ოქროს ბირჟაზე (London Bullion Market Association - LBMA) გადაფასების თარიღის დღის დახურვის ფასის საფუძველზე. მონეტარული ოქროსთვის ბანკი იყენებს ისეთივე სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელსაც ის იყენებს უცხოური ვალუტებისთვის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის ისე, ანგარიშგების მიზნებისთვის. შესაბამისად ღირებულების ცვლილება აღირიცხება მოგებაში ან ზარალში, როგორც არარეალიზებული შემოსულობა/ზარალი უცხოური ვალუტებთან დაკავშირებულ საკურსო სხვაობასთან ერთად. სხვაობა გაყიდვის ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში როგორც რეალიზებული შემოსულობა/ზარალი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წევრობა

„კანონის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, ეროვნულ ბანკს, როგორც საქართველოს წარმომადგენელს, აქვს უფლება აიღოს ვალდებულებანი და აწარმოოს საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად “IMF”, მსოფლიო ბანკი) მუშაობაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული ოპერაციები, რაც ასევე მოიცავს ამ ორგანიზაციებისათვის საწევრო შენატანების გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკი ფლობს სესხებს, დეპოზიტებს, მიმდინარე ანგარიშებს და სხვა მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ სხვადასხვა პერიოდულობით. ბიზნესმოდელის მიზანი, რომლის პირობებშიც იმართება ეს ფინანსური აქტივები, მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით. ამ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ამ კატეგორიაში მოიაზრება მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და სხვა ფინანსური აქტივები. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ბანკის ინვესტიციები აგრეთვე მოიცავს საქართველოს მთავრობის ფასიან ქაღალდებს.

იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტის პრემია და დისკონტი, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულების გამოთვლის მეშვეობით. დარიცხული პროცენტი აღიარდება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესაბამის მუხლებში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი ითვალისწინებს თანდაყოლილი განაკვეთის გამოყენებას, რომლის მიხედვითაც ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე, ისე რომ პროცენტი აღიარდეს მუდმივი შემოსავლიანობის მქონე განაკვეთის საფუძველზე.

რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები

ბანკის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შედგება საერთაშორისო რეზერვების ნაწილისგან, რომელიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ, რაც წარმოადგენს ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში (BISIP CNY). ბიზნესმოდელის მიზანი, რომლის მიხედვითაც იმართება ინვესტიცია, მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით. თუმცა, სახელშეკრულებო პირობები არ წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებში ისეთ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკი უცხოური ფასიანი ქაღალდების პორტფელის საპროცენტო რისკის მართვისათვის იყენებს საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსულ კონტრაქტებს და ოფციონებს, რომლებით ვაჭრობაც მიმდინარეობს საზღვარგარეთის ბირჟებზე. ბირჟაზე ნავაჭრი საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსული კონტრაქტები არის პროცენტის მატარებელ ინსტრუმენტზე მიბმული ფიუჩერსული კონტრაქტები, რომლებიც ბანკს საშუალებას აძლევს პროცენტის მატარებელ ინსტრუმენტზე დააფიქსიროს ფასი მომავალი თარიღისათვის. ბირჟაზე ნავაჭრი საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსული კონტრაქტების ოფციონი წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მფლობელს მიიღოს სარგებელი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისაგან. ბანკი ასევე იყენებს უცხოური ვალუტის წარმოებულ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში არსებულ ინვესტიციებზე სავალუტო რისკის მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთების ფიუჩერსები და ოფციონები კლასიფიცირდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით“. წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით კონტრაქტის დადების თარიღისათვის და შემდგომ ანგარიშგების ყოველი თარიღისათვის გადაფასდება რეალური ღირებულებით. ანგარიშგების თარიღისათვის რეალური ღირებულება ეფუძნება ბლუმბერგით მიღებულ მიწოდების ფასებს და მიღებული გადაფასების მოგება/ზარალი აისახება არარეალიზებული მოგება/ზარალის მუხლით მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წარმოებული ინსტრუმენტები ასახულია აქტივებად თუ მათი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებებად, თუ რეალური ღირებულება უარყოფითია.

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები

ბანკის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს საქართველოს და უცხო ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოური სახელმწიფო სააგენტოების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს. ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ ბანკის საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ნაწილს ან მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს. აღნიშნული სავალო ფასიანი ქაღალდები იმართება იმ ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანიც მიიღწევა როგორც ფინანსური აქტივების ფლობით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით. სავალო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ბანკის ზარალის რეზერვი შეფასებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა, რომლებისთვისაც ზარალის რეზერვი შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ოდენობით:

- სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ანგარიშგების თარიღისთვის დაბალი საკრედიტო რისკის მქონეა;
- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ბანკი მიიჩნევს რომ სავალო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მათი საკრედიტო რისკის რეიტინგი საერთაშორისოდ მიღებული „საინვესტიციო რანგის მქონეს“ განმარტების ეკვივალენტურია. ბანკის მკაცრი საინვესტიციო პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს მხოლოდ უმაღლესი საკრედიტო რანგის მქონე ინვესტიციების ფლობას, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც ბანკი ფლობს როგორც საერთაშორისო რეზერვებს, განიხილება დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ. გარდა ამისა, ბანკი, საქართველოს მთავრობის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, რომლებიც დენომინირებულია ლარში, განიხილავს როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მქონეს. ასეთი მიდგომა ასახავს ზოგად დაშვებას, რომ სახელმწიფოს ვალი დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში მიიჩნევა დეფოლტის მინიმალური რისკის მატარებლად (ჩვეულებრივ მოიხსენიება როგორც „ურისკო“ ბაზრის მონაწილეთა გადმოსახედიდან), ისევე როგორც იმ ფაქტს, რომ, ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის არსებული განსაკუთრებული კავშირის გამო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბანკში გახსნილი აქვს თავისი ძირითადი მიმდინარე ანგარიში. ბანკი არ იყენებს გამონაკლისს დაბალი საკრედიტო რისკის დაშვების თაობაზე არც ერთი სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოანგარიშება

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ზარალს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევის შედეგად. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილ სიდიდეს. ის ფასდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღისთვისე: მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (მაგალითად სხვაობა ბანკისთვის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც ბანკი მოელის). ფულადი სახსრების დეფიციტი ფასდება ისტორიულ კორპორაციულ და სახელმწიფო დეფოლტისა და აღდგენის განაკვეთებზე დაყრდნობით;
- ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია საანგარიშგებო თარიღისთვის: სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის;

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

თითოეულ საანგარიშგებო თარიღზე ბანკი აფასებს, რამდენად არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და სავალო ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ფინანსური აქტივი მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივად, თუ მომხდარია ერთი ან მეტი ისეთი მოვლენა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულებებს განეკუთვნება, მაგალითად, დაკვირვებადი მონაცემები შემდეგი მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან მსესხებელი საწარმოს მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;
- სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, როგორიცაა, მაგალითად დეფოლტი ან გადახდის ვადაგადაცილება;
- ბანკის მიერ სესხის ან ავანსის რესტრუქტურიზაცია, იმ პირობებით რომლებსაც ,სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი დაიწყებს გაკოტრების პროცედურას, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;
- მოცემული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სიძნელეების გამო;

ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც ვადაგადაცილებულია 90 დღით ან მეტით, ითვლება რომ დეფოლტირებულია, გარდა საქართველოს მთავრობის მიმართ არსებული მოთხოვნისა, რომელიც ჩაითვლებოდა დეფოლტირებულად 180 დღეზე მეტი დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. ეს წარმოადგენს ფასს 9-ით გათვალისწინებული ვარაუდის უარყოფას, რომ დეფოლტი არ დგება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ფინანსური აქტივი 90 დღით გახდება ვადაგადაცილებული. თუმცა, ეს მიდგომა ასახავს მთავრობის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესის გარემოებებს და ბანკის განსაკუთრებულ ურთიერთობას სახელმწიფოსთან, გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი მოქმედებს როგორც მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები: აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან გამოქვითვის სახით;
- სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ზარალის რეზერვი არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის მუხლში რამეთუ ამ აქტივების საბალანსო ღირებულება არის მათი რეალური ღირებულება. თუმცა, ზარალის რეზერვი გამჟღავნებულია და აღიარებულია იმ ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ჩამოწერა

ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული აქტივები ჩამოიწერება (ნაწილობრივ ან სრულად) მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი, მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურდება. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს შემთხვევებს, როდესაც ბანკი დაასკვნის, რომ მსესხებელს არ გააჩნია აქტივები ან შემოსავლის წყარო, რომელთაც შეეძლოთ საკმარისი ფულადი ნაკადების გენერირება იმ თანხების დასაფარად, რაც ჩამოწერას ექვემდებარება. შეფასება კეთდება ინდივიდუალური აქტივის დონეზე.

ადრე ჩამოწერილი თანხების ანაზღაურება ჩართულია ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის/(აღდგენის) მუხლში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება, როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო მოთხოვნების გამო ბანკს აქვს ვალდებულება გადასცეს ნაღდი ფული ან სხვა ფინანსური აქტივები ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელს. ასეთი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს მთავრობის, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების და კლიენტების მიმართ, გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, ვალდებულებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი თავდაპირველად აისახება მიღებული სახსრების რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. პირველადი ასახვის შემდგომ ეს ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული მოიცავს ბანკის მიერ კანონისა და მისი, როგორც ცენტრალური ბანკის ფუნქციის ფარგლებში გამოშვებულ ბანკნოტებსა და მონეტებს. მიმოქცევაში არსებული ბანკნოტები და მონეტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული ბანკის სალაროში ნაღდი ფულის ოდენობით.

ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ხარჯები აისახება ხარჯებში მათი გაწევისთანავე.

კომერციული ბანკებისგან უკან დაბრუნებული ბანკნოტები და მონეტები ამოიღება მიმოქცევაში არსებული ფულადი სახსრებიდან და მათი მდგომარეობიდან ან სტატუსიდან გამომდინარე, ხდება მათი განადგურება ან ბანკის სარეზერვო ფონდებში შენახვა, რომელიც არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ანარიცხები (წარმოდგენილი სხვა ვალდებულებებში)

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები, რომელნიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და, სავარაუდოდ, ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია განხორციელდეს ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

არამონეტარული ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები (წარმოდგენილი სხვა აქტივებში)

ოქროს საინვესტიციო მონეტები და ოქროს ზოდები აღიარებას და შემდგომ შეფასებას ექვემდებარება ბასს 2 – *„სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების“* შესაბამისად. ოქროს საინვესტიციო მონეტები და ოქროს ზოდები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით დამზადების, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების გათვალისწინებით. შემდგომში მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. საინვესტიციო მონეტების და ზოდების გაყიდვისას, შესაბამისი შემოსავალი და ხარჯი აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სხვა სამახსოვრო მონეტებზე გაწეული ხარჯები აღიარებას გაწევისთანავე ექვემდებარება როგორც მიმდინარე ხარჯები და აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

თუ ძირითადი საშუალებების რომელიმე კომპონენტს აქვს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა , მაშინ იგი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ქვემუხლში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება მათი ისტორიული ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი შეძენის დღიდან ან საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის იმ მომენტიდან როდესაც აქტივის შექმნა დასრულებულია და ის მზად არის გამოყენებისთვის. ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

	%
შენობა-ნაგებობები	2
კომპიუტერები, საკომუნიკაციო და საოფისე მოწყობილობები	6.6 – 33.3
სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	6.6 – 33.3

რემონტისა და შენახვის ხარჯები აისახება მათი გაწევისთანავე და მიეკუთვნება სხვა ხარჯებს, გარდა შემთხვევებისა როდესაც ისინი კაპიტალიზაციას ექვემდებარებიან.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს აღემატება თუ არა მათი საბალანსო ღირებულება მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს: გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და არსებულ გამოყენების ღირებულებას შორის. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებად ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის, რომ გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სისტემატურად გადანაწილდეს დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები ინდივიდუალურად აღირიცხება და თვითღირებულებით აისახება თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ფასდება როგორც შეზღუდული, ან განუსაზღვრელი ვადის მქონე. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია 5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და მათი შემოწმება გაუფასურებაზე ხდება გაუფასურების ნებისმიერი მაჩვენებლის არსებობისას. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხორციელდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

იჯარა

ბანკმა დროდადრო შესაძლოა, ისარგებლოს აქტივების იჯარით ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

ბანკი გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს თავდაპირველი საიჯარო ვალდებულების ოდენობას, რომელიც კორექტირებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით, ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებულ ღირებულებას, რაც საჭიროა აქტივის დემონტაჟისთვის და გაუმჯობესებების ამოღებისთვის.

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი შემდგომში ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან იჯარის ვადის დასრულების თარიღამდე პერიოდში. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი დამატებით პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების გარკვეული ხელახალი შეფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის გადაუხდელი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რისთვისაც დისკონტირებისას გამოიყენება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, ან თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა მარტივად შეუძლებელია - მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზოგადად, დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ის ხელახლა ფასდება, როდესაც იცვლება მომავალი საიჯარო გადახდები, ან როდესაც იცვლება იმის შეფასება, გამოიყენებს თუ არა ბანკი იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის უფლებას. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება შესაბამისად, ან იმ შემთხვევაში, თუ გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება ნულამდეა შემცირებული, შესაბამისი ოდენობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბანკი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს წარადგენს ცალკე მუხლად, ხოლო საიჯარო ვალდებულებებს - „სხვა ვალდებულებების“ მუხლში.

ბანკმა აირჩია, რომ არ აღიაროს გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარით სარგებლობისას ან მოკლევადიანი იჯარის შემთხვევაში. ბანკი ასეთ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯად, წრფივად, იჯარის ვადის განმავლობაში.

საგადასახადო დაბეგვრა

კანონის თანახმად, ბანკის აქტივები, ქონება და შემოსავალი, ისევე როგორც მისი საქმიანობა და ოპერაციები არ ექვემდებარება დაბეგვრას და სხვა მოსაკრებლების გადახდას.

პირობითი ვალდებულებები / აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა აისახება შენიშვნებში, ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, მაგრამ აისახება შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ივარაუდება ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როდესაც ბანკი შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების (მაგალითად, აქტივის) კონტრაჰენტებისთვის გადაცემით. აქტივი გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) კონტრაჰენტი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს.

საპროცენტო და მასთან გათანაბრებული შემოსავლები და ხარჯები

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ამოწურვამდე ან უფრო მოკლე ვადაში, შესაბამის ვითარებაში, მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრების დისკონტირებას ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშების დროს გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობა (მაგ. წინასწარი გადახდები) და მოცულია ფინანსურ ინსტრუმენტთან პირდაპირ დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ არ არის გათვალისწინებული მომავალი საკრედიტო დანაკარგები. მისაღები ან გადასახდელი თანხების გადახედვის შემთხვევაში კორექტირდება ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება. გადახედილი საბალანსო ღირებულების თანხა გაანგარიშდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე და საბალანსო ღირებულების ცვლილების თანხა აღიარდება, როგორც საპროცენტო შემოსავლები ან ხარჯები.

საპროცენტო შემოსავლის აღიარების საფუძველი

თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება იმ ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულების მიმართ (საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით შემცირების გარეშე), რომლებისთვისაც:

- საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ;
- საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მაგრამ რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული;

იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება წმინდა საბალანსო ღირებულების მიმართ (საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით შემცირების შემდეგ).

ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე უარყოფითი საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების წარდგენა

უარყოფითი პროცენტი ფინანსურ აქტივებზე განიხილება, როგორც ხარჯი და წარდგენილია საპროცენტო ხარჯების ქვეშ, განცალკევებულად. ანალოგიურად, უარყოფითი პროცენტი ფინანსურ ვალდებულებებზე განიხილება, როგორც შემოსავალი და წარდგენილია საპროცენტო შემოსავლების ქვეშ, განცალკევებულად.

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

ბანკი გამოიმუშავებს გასამრჯელოებს და საკომისიო შემოსავლებს კონტრაჰენტებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევის საფუძველზე. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები მოიცავს ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციების და გადარიცხვების საკომისიოს, რომლებიც აღიარდება შემოსავლად მომსახურების გაწევისთანავე. გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები მოიცავს ნაღდი ფულის ოპერაციებს, ანგარიშსწორების საკომისიო ხარჯებს და გარე მენეჯერისათვის გადახდილ საკომისიოს, რომლებიც მომსახურების გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაყვანა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აისახება სამუშაო ვალუტაში, გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა ხდება ანგარიშგების თარიღისათვის დაფიქსირებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაყვანა ხორციელდება თავდაპირველი გარიგებისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაყვანით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა მოგებაში/(ზარალში) - არარეალიზებული მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან.

სხვაობა კონტრაქტით გათვალისწინებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებების გაცვლით კურსებსა და ბანკში გარიგების თარიღისათვის არსებულ კურსებს შორის აისახება წმინდა მოგებაში/(ზარალში) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან.

გაცვლითი კურსები

ქვემოთ მოცემულია ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა წლის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024
ლარი/1 აშშ დოლარი (USD)	2.6951	2.8068
ლარი/1 ევრო (EUR)	3.1737	2.9306
ლარი/10 ჩინური იუანი (CNY)	3.8556	3.8452
ლარი/1 კანადური დოლარი (CAD)	1.9695	1.9511
ლარი/1 ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR)	3.6909	3.6604

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით იმ შემთხვევაში თუ ბანკს აქვს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვა და ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს. ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღრიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ბანკს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება. 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა არ მომხდარა.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ბანკი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს.

ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების განუსაზღვრელობის წყაროები

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი საჭიროებს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გავლენა აქვს ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და შემოსავლების და ხარჯების წარმოდგენილ ოდენობებზე აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისთვის. დაშვებები და შეფასებები მუდმივად განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისგან სხვადასხვა პირობებში და არსებითი დაშვებების შემთხვევაში.

კრიტიკული განსჯისა და შეფასების მნიშვნელოვანი სფეროები აღწერილია შემდეგ განმარტებით შენიშვნებში:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია: ბიზნესმოდელის შეფასება, რომლის პირობებშიც ფლობს ბანკი აქტივებს და იმის შეფასება თუ რამდენად შეიცავს სახელშეკრულებო პირობები ისეთი ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას - შენიშვნა 3
- გამონაკლისი დაბალი საკრედიტო რისკის დაშვებასთან დაკავშირებით და იმ ვარაუდის უარყოფა, რომ დეფოლტი არ დგება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ფინანსური აქტივი 90 დღით გახდება ვადაგადაცილებული - შენიშვნა 3
- მონეტარული ოქროს აღრიცხვა და ანგარიშგება - შენიშვნა 3
- ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება რეალური ღირებულებით - შენიშვნა 28

ახალი და განახლებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (ფასს) გამოყენება

შემდგომ ცვლილებებს, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

– ვალუტის გაცვლის შეზღუდულობა (ცვლილებები ბასს 21-ში)

არ არის მოსალოდნელი, რომ შემდგომ ცვლილებას ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე. გაცხადებული ცვლილებები ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ნებადართულია მათი ვადამდელი გამოყენება;

– ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს ბუნებაზე დამოკიდებულ ელეტქროენერგიას (ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში) - ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან;
– შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (ფასს 19) - ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან;

– ჰიპერინფლაციურ წარდგენის ვალუტაზე გადაყვანა (ცვლილებები ბასს 21-ში) - ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან.

ბანკი შემდგომი ახალი და შეცვლილი სტანდარტების ზეგავლენის განხილვის პროცესშია:

– ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ცვლილებები ფასს 9-ში და ფასს 7-ში) - ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან: *ცვლილება ეხება ფინანსური ვალდებულებების ანგარიშსწორებას ელექტრონული საგადახდო სისტემის მეშვეობით, ასევე ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს;*
– ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (ტომი 11) - ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან: სხვა ცვლილებებთან ერთად ცვლილებები ეხება ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: *განმარტებითი შენიშვნები“-ს (შემოსულობა ან ზარალი აღირების შეწყვეტისას, რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის გადავადებული სხვაობის განმარტებითი შენიშვნა, საკრედიტო რისკის განმარტებითი შენიშვნები)* და *ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“-ს (საიჯარო ვალდებულების აღიარების შეწყვეტა, გარიგების ფასი);*
– ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები (ფასს 18) - ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან: *ახალი სტანდარტის მიხედვით საწარმოებს მოეთხოვებათ შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიცირება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში 5 კატეგორიად (საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადის და შეწყვეტილი ოპერაციების) და აგრეთვე ახლად განსაზღვრული ქვეჯამების წარდგენა. აგრეთვე ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული შედეგების შეფასების მაჩვენებლები (MPM) უნდა გამჟღავნდეს ცალკე განმარტებით შენიშვნაში.*

4. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2025	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2024
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები:		
ფულადი სახსრების გადარიცხვა	4,678	4,664
სალაროს ოპერაციები	833	733
სხვა	11	13
სულ გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები:	**5,522**	**5,410**
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:		
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(170)	(2,298)
ანგარიშსწორების ოპერაციები	(1,386)	(1,826)
გარე მენეჯერისთვის გადახდილი გასამრჯელო	(1,776)	(1,748)
სულ გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:	**(3,332)**	**(5,872)**

ბანკი ფლობს და მართავს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემას, რომელიც არის ბანკთაშორისი გადახდის სისტემა ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისთვის. ფულადი სახსრების გადარიცხვა წარმოადგენს ანგარიშსწორების საკომისიო გადასახადს, რომელიც გადახდილია მონაწილეების მიერ ანგარიშსწორების შესრულების დროს.

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2025	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2024
სამახსოვრო მონეტებისა და არამონეტარული ოქროს ზოდების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	16,810	428,592
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	37	548
სხვა	77	110
სხვა შემოსავლები	**16,924**	**429,250**

სხვა ხარჯები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2025	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2024
სამახსოვრო მონეტებთან და არამონეტარულ ოქროსთან დაკავშირებული ხარჯი	(7,333)	(410,856)
სხვა	(4,274)	(1,525)
სხვა შემოსავლები	**(11,607)**	**(412,381)**

6. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2025	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2024
ხელფასები და პრემიები	64,993	55,187
ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი	4,996	4,256
სულ პერსონალის ხარჯები	**69,989**	**59,443**
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	5,483	4,741
სოციალური დახმარების ხარჯები	4,229	3,396
წარმომადგენლობითი ხარჯები	3,221	785
საინფორმაციო მომსახურების გამოწერა	3,085	2,841
კომუნალური ხარჯები	2,184	2,088
სამივლინებო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	1,616	1,025
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	1,347	573
უსაფრთხოება	1,220	897
პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები	703	460
რეკლამის ხარჯები	460	174
საწვავის ხარჯები	250	230
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	241	353
სხვა	1,741	1,688
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**25,780**	**19,251**
ცვეთის ხარჯი (შენიშვნები 16)	6,275	5,062
ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 17)	2,941	2,972
სულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	**9,216**	**8,034**

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	405,308	370,606
მიმდინარე ანგარიშები	74,357	374,452
ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო ინსტიტუტებში	3,036,020	2,544,849
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**3,515,685**	**3,289,907**

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2,549,353 და 2,574,314 ათასი ლარი, შესაბამისად, განთავსებული იყო მიმდინარე ანგარიშებზე და 90 დღემდე ვადიან დეპოზიტებზე რვა (2024 წელს - ექვს) საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ კომერციულ ბანკსა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ინსტიტუტებში განთავსებულ დეპოზიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი შეადგენდა 1.98% - 4.06% და 2.94%-4.66% (შესაბამისად).

8. მონეტარული ოქრო

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი ფლობდა მონეტარულ ოქროს შემდეგი მოცულობით:

	უნცია	უნციის ფასი აშშ დოლარში	სულ ღირებულება ათას აშშ დოლარში	სულ ღირებულება ათას ლარებში
31 დეკემბერი, 2025	229,478	4,367.80	1,002,314	2,701,336
31 დეკემბერი, 2024	229,478	2,610.85	599,133	1,681,645

2024 წელს ბანკმა შეისყიდა 229,478 უნცია მონეტარული ოქრო (ზოდები) 500,001 ათას აშშ დოლარად, რომლის ღირებულებაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,681,645 ათას ლარს. მონეტარული ოქროს ღირებულების ცვლილებამ 2025 წლის განმავლობაში შეადგინა წმინდა არარეალიზებული მოგება 1,019,691 ათასი ლარის ოდენობით (2024: წმინდა არარეალიზებული მოგება 319,536 ათასი ლარის ოდენობით), რაც ჩართულია უცხოული ვალუტის გადაფასებით გამოწვეულ წმინდა არარეალიზებულ მოგებაში.

9. მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით		
რეფინანსირების სესხები	4,160,913	4,456,310
ერთთვიანი ღია საბაზრო ოპერაციების ინსტრუმენტები	2,006,165	752,305
ერთდღიანი სესხები	-	1,794,962
სულ მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	**6,167,078**	**7,003,577**

რეფინანსირების სესხები წარმოადგენს ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომლებიც გაიცემა საქართველოს კომერციულ ბანკებზე ლიკვიდობის მიზნებით და გააჩნია 7 დღიანი ვადიანობა. რეფინანსირების სესხის მსგავსად, მონეტარული პოლიტიკის ერთთვიანი ღია საბაზრო ოპერაციების ინსტრუმენტის და ერთდღიანი სესხების მეშვეობით ბანკი აწვდის მოკლევადიან ლიკვიდურობას ეროვნულ საბანკო სისტემას საჭიროების შემთხვევაში.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ქონდა რეფინანსირების სესხები გაცემული სამ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 4,150,910 ათასი ლარის ოდენობით, 8.0% - 8.05% წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით და სამ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 4,259,029 ათასი ლარის ოდენობით, 8.188%-8.71% წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით, შესაბამისად.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთთვიანი ღია ბაზრის ინსტრუმენტის კონცენტრაცია შეადგენდა 1,868,741 ათასი ლარის მოთხოვნას ორი კომერციული ბანკის მიმართ, 8.032% - 8.045% წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით და 554,507 ათასი ლარის მოთხოვნას ორი კომერციული ბანკის მიმართ, 8.57%-8.65% წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით, შესაბამისად.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონდა გაცემული ერთდღიანი სესხები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთდღიანი სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 1,789,829 ათასი ლარის მოთხოვნას ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 8.75%.

რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული არცერთი მოთხოვნისთვის არ არის საკრედიტო რისკი არსებითად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. საკრედიტო რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია აგრეთვე იხილეთ 29-ე განმარტებით შენიშვნაში.

გირაო და სხვა სასესხო უზრუნველყოფა

სესხის უზრუნველყოფის ტიპი და კრიტერიუმები თითოეული უზრუნველყოფის ტიპისთვის განისაზღვრება ბანკის საბჭოს მიერ.

უზრუნველყოფად მიღებული აქტივებია: ა) საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; ბ) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; გ) რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა სავალო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც გამოშვებულია საქართველოში ოპერირებადი კომერციული ბანკების მიერ; დ) კომერციული ბანკების სასესხო აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს; განსაკუთრებულ შემთხვევებში, ეროვნული ბანკის საბჭომ შესაძლოა, განსაზღვროს სხვა ტიპის აქტივი სესხის უზრუნველყოფისთვის; ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პერიოდულად განსაზღვრავს უზრუნველყოფის თითოეული სახეობის დასაკავებელ თანხას (ჰეარქათს) უფლებამოსილი აქტივების ნომინალურ ღირებულების მიმართ. კანონის თანახმად საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება მოვალის აქტივების ხარჯზე.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან უზრუნველყოფად მიღებული ფინანსური აქტივების სახეობები და რეალური ღირებულებები იყო შემდეგნაირი:

	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები)	2,846,815	4,033,005
კომერციული ბანკების სასესხო პორტფელი	4,346,720	2,722,025
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და განვითარების ბანკების მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული ობლიგაციები:		
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	-	640,017
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	-	484,165
კერძო სექტორის მიერ გამოშვებული ობლიგაციები	59,738	135,088
	7,253,273	**8,014,300**

ბანკი ახორციელებს უზრუნველყოფის ღირებულების მონიტორინგს, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას არსებული ხელშეკრულების ფარგლებში და ასევე ახდენს უზრუნველყოფის ღირებულების მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შემოწმებისას. 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მიერ გამოშვებული არც ერთი ფინანსური ინსტრუმენტი უზრუნველყოფის სახით არ იყო გამოყენებული.

10. SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

ნაშთები საერთაშორისო სავალუტო ფონდის („სსფ“) მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024
აქტივები:		
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	1,285,611	1,273,804
ვალდებულებები:		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები		
მიმდინარე ანგარიში №1	1,961	1,860
მიმდინარე ანგარიში №2	11	10
	1,972	**1,870**
საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სესხები		
გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში (EFF)	811,921	987,118
ზოგადი SDR-ის სახსრების განაწილება	1,160,799	1,152,355
სპეციალური SDR-ის სახსრების განაწილება	120,651	119,773
	2,093,371	**2,259,246**
სულ ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	**2,095,343**	**2,261,116**
გარე საბალანსო ნაშთები		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა	784,533	744,115
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ბანკის მიერ შესანახად ფლობილი ფასიანი ქაღალდები	(2,013,295)	(2,171,875)

SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

SDR-ის ანგარიში წარმოადგენს ბანკის ანგარიშს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელიც გამოიყენება სესხებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ანგარიშსწორებისათვის. SDR-ის ანგარიში ძირითადად შეადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ხელშეკრულების თანახმად მიღებულ SDR სახსრების განაწილებას. SDR-ის ანგარიშზე დარიცხული პროცენტის გაანგარიშება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ყოველკვირეულად დადგენილი განაკვეთით, რომელიც ეფუძნება ძირითად ფულად ბაზრებზე არსებულ მოკლევადიან საბაზრო განაკვეთებს. 2025 და 2024 წლების განმავლობაში ნომინალურმა წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 2.657%-3.236% და 3.159%-4.136% შესაბამისად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები

ბანკს მოეთხოვება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორი ანგარიშის ფლობა: მიმდინარე ანგარიში #1 და მიმდინარე ანგარიში #2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში #1 გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საოპერაციო ანგარიშსწორებისათვის, ხოლო მიმდინარე ანგარიში #2 განკუთვნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ლარში წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები მოიცავს „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ (EFF) ფარგლებში მიღებულ სესხს 811,921 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 987,118 ათასი ლარი). EFF პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში ყოვლისმომცველი პროგრამის განხორციელებას, რაც გულისხმობს მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ზრდის ხელშეწყობის მიზნით სტრუქტურული რეფორმების გატარებას. 36-თვიანი „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ პროგრამა დამტკიცდა 2017 წლის 12 აპრილს 210.4 მილიონი SDR-ის ოდენობით (კვოტის 100 პროცენტი). 2020 წლის 14 აპრილს დამტკიცდა ხელმისაწვდომობის ზრდა კვოტის 130 პროცენტის ოდენობით, რის შედეგადაც ჯამური ხელმისაწვდომობა EFF-ის ფარგლებში გაიზარდა 484 მილიონ SDR-მდე (კვოტის 230 პროცენტი). 2025 და 2024 წელს ბანკს პროგრამის ფარგლებში თანხები არ აუთვისებია. დაფარვები დაიწყო 2021 წლიდან და სესხის სრული დაფარვა დაგეგმილია 2031 წლისთვის. სასესხო განაკვეთი მიბმულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე (ცნობილი როგორც საბაზისო განაკვეთი), რომელიც წარმოადგენს SDR-ის საპროცენტო განაკვეთს, რომელმაც 2025 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 3.264% (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 3.759%).

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები დენომინირებულია SDR-ში.

SDR სახსრების განაწილება

SDR სახსრების განაწილება წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უზრუნველყოფის გარეშე, საპროცენტო განაკვეთის მქონე SDR სახსრების განაწილებას ზოგადი და სპეციალური სახსრების სახით. სახსრების ზოგადი განაწილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ხელშეკრულების თანახმად ხორციელდება SDR განყოფილების ყველა წევრისათვის კვოტის პროპორციულად. საქართველოსთვის სახსრების ზოგადი განაწილება განხორციელდა 2009 წელს (111,419 ათასი SDR) და 2021 წელს (201,658 ათასი SDR). 2009 წელს ძალაში შევიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების მეოთხე ცვლილება SDR სახსრების სპეციალურ, ერთჯერად განაწილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც განხორციელდა 32,540 ათასი SDR-ის სპეციალური განაწილება საქართველოსთვის. წევრები და განსაზღვრული მფლობელები უფლებამოსილნი არიან SDR სახსრები გამოიყენონ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ოპერაციების განსახორციელებლად. ბანკი სახსრების განაწილებას მიიჩნევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებად.

საქართველო, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი და სახსრების მიმღები ქვეყანა, ვალდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე იმ თანხით, რომელიც უტოლდება მასზე განაწილებულ წმინდა აკუმულირებულ სახსრებს და ნებისმიერ სხვა თანხას, რომელიც ექვემდებარება გადახდას წევრობის შეწყვეტის, ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის SDR განყოფილების გაუქმების შემთხვევაში.

SDR სახსრების განაწილების საპროცენტო განაკვეთი 2025 და 2024 წლებში მერყეობდა წლიურ 2.657%-3.236% და 3.159%-4.136% დიაპაზონში, შესაბამისად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა 210,400 ათასი SDR, წარმოადგენს საქართველოს საწევრო შენატანს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელსაც არ ერიცხება საპროცენტო განაკვეთი და მოქმედია 2016 წლის 26 იანვრიდან, მას შემდეგ რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭომ, ფონდის უმაღლესმა მმართველმა საბჭომ, დაასრულა მე-14 კვოტების გადაფასება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოიზიდავს სახსრებს წევრი ქვეყნებიდან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველ წევრ ქვეყანას მიეკუთვნება კვოტა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის შედარებით მდგომარეობას მსოფლიო ეკონომიკაში. წევრების კვოტა ასახავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მათი ფინანსურ და ორგანიზაციული ურთიერთობის ძირითად ასპექტებს. გამომდინარე იქიდან რომ ბანკი წარმოადგენს ქვეყნის ფისკალურ წარმომადგენელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობაში ინსტრუმენტი არ არის წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ბანკის მიერ შესანახად ფლობილი ფასიანი ქაღალდები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასიანი ქაღალდი (სულ 2,013,295 ათასი ლარი) შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 784,533 ათასი ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 1,228,762 ათასი ლარისაგან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასიანი ქაღალდი (სულ 2,171,875 ათასი ლარი) შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 744,115 ათასი ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 1,427,760 ათასი ლარისაგან.

ფასიანი ქაღალდი საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ იქნა 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტასთან მიმართებაში. უზრუნველყოფის სახით არსებული ფასიანი ქაღალდი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული სახსრების მთლიან ნომინალურ ღირებულებას. ფასიან ქაღალდს ბანკი ფლობს შენახვის მიზნით, შედეგად მისი აღრიცხვა ხდება გარე-საბალანსო ანგარიშზე და წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

11. წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები

	რეალური ღირებულება	ნომინალური ღირებულება	რეალური ღირებულება	ნომინალური ღირებულება
	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2024
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, საერთაშორისო რეზერვების მართვის ფარგლებში				
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსი:				
ფიუჩერსის მარჟა	7,611		8,785	
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსები				
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსები	(286)	1, 134,098	(3,297)	1,554,967
წმინდა პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსზე	**(286)**	**1,134,098**	**(3,297)**	**1,554,967**
ნეტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, საერთაშორისო რეზერვების მართვის ფარგლებში	**7,325**	**1,134,098**	**5,488**	**1,554,967**
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, მონეტარული ოპერაციების ფარგლებში				
სავალუტო სვოპები				
სავალუტო სვოპებთან დაკავშირებული აქტივები	3,483	-	2,520	-
სავალუტო სვოპებთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	-	(2,143)	-
მისაღები ოდენობა	-	259,518	-	530,019
გადასახდელი ოდენობა	-	(256,035)	-	(529,642)
ნეტო სავალუტო სვოპი	**3,483**	**3,483**	**377**	**377**
სულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, მონეტარული ოპერაციების ფარგლებში	**3,483**	**3,483**	**377**	**377**

ბანკი ვაჭრობს ევროდოლარის SOFR-ზე (უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთი) მიბმული ფიუჩერსებით 2023 წლიდან, მას შემდეგ რაც პორტფელის აქტიური მართვის ფარგლებში მოხდა ევროდოლარის ფიუჩერსებიდან გადასვლა. SOFR ეფუძნება ტრანზაქციებს სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ბაზარზე, მაშინ როდესაც SOFR-ზე მიბმული ფიუჩერსები კოტირებულია ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟაზე და ისინი არის სტანდარტიზებული ინსტრუმენტები, კლირინგი ხდება ცენტრალიზებულად.

SOFR-ზე მიბმული ფიუჩერსული კონტრაქტის დასრულებისას გამოიყენება ერთდღიანი განაკვეთების დაგროვებადი საშუალო მაჩვენებელი კონტრაქტის ვადის გასვლამდე, როგორც წესი, ბოლო სამთვიან პერიოდზე (საბაზისო პერიოდი). SOFR-ზე მიბმული ფიუჩერსული კონტრაქტები წარმოადგენენ შემოსავლიანობის მრუდის ერთმანეთის მიმდევრობით არსებულ სამთვიან ფორვარდულ მონაკვეთებს უზრუნველყოფილი სესხებისთვის. SOFR-ის ფიუჩერსებით ვაჭრობისას, ბანკი დგას მხოლოდ "საკლირინგო სახლის" საკრედიტო რისკის წინაშე, სადაც ხდება ფიუჩერსების ყიდვისა და გაყიდვის ურთიერთგადაფარვა.

ბანკი იყენებს SOFR-ის ფიუჩერსულ კონტრაქტებს რისკის მართვის მიზნებისთვის. აღნიშნული, როგორც წესი, გულისხმობს, აშშ-ს სამთავრობო ან საკრედიტო რისკის მქონე (სააგენტოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული) ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას და შესაბამისი მოცულობის საპირისპირო პოზიციის SOFR-ის ფიუჩერსულ კონტრაქტებში გახსნას (მაგალითად დურაცია და მრუდი). ამგვარი სტრატეგიების მთავარ მიზანს წარმოადგენს პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკების შემცირება და საკრედიტო სპრედებიდან სარგებლის მიღება.

ბანკის პორტფელში არსებული SOFR-ის ფიუჩერსები არ არის განკუთვნილი სავაჭრო მიზნებისთვის; ისინი წარმოადგენენ რისკის მართვის ინსტრუმენტებს; ბანკი არ აპირებს მოგების მიღებას მათი ფასების ხელსაყრელი მოძრაობიდან. ფიუჩერსულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი განიხილება, როგორც მინიმალური, ვინაიდან გაცვლის ფულადი ზღვარის მოთხოვნები უზრუნველყოფენ იმას, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები შესრულდება და ანგარიშსწორება განხორციელდება ნეტო საფუძველზე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ ფლობილ SOFR-ის ფიუჩერსულ კონტრაქტებზე ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი შეადგენს 2.91%-3.375%-ს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2.91% - 4.085%-ს)

12. ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ. აღნიშნული წარმოადგენს ბანკის მიერ განთავსებულ ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში („Pool"-ში) (BISIP CNY), რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვების ინვესტიციების სამართავად არსებულ ფონდს (რომელიც შედგება ჩინური სახელმწიფო ობლიგაციებისგან - CGB-ებისგან) და რომლის მთავარი მიზანიცაა ბანკისთვის გამოცდილების გაზიარება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ფონდში კვოტის მფლობელებმა შესაძლოა მოითხოვონ საკუთარი ინვესტიციის გამოტანა ნაწილობრივ ან სრულად ნებისმიერ დროს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისთვის სამართავად გადაცემულმა სახსრებმა შეადგინა 295,507 ათასი ლარი (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 291,431 ათასი ლარი).

13. ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციებმა შეფასებულმა რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეადგინა:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები		
US Department of Treasury, Washington	5,534,857	3,271,057
Government of France	524,515	232,574
Government of Germany	94,632	56,605
Government of Finland	93,565	28,784
Government of Belgium	61,823	28,428
Government of Austria	32,051	29,491
Government of Denmark	31,950	31,169
Government of the Netherlands	31,561	28,678
Government of Portugal	15,697	-
Government of Canada, Ottawa	2,755	252,386
	6,423,406	**3,959,172**
სუპრანაციონალური ფასიანი ქაღალდები		
Corporation Andina de Fomento, Supranational	245,949	-
International Bank for Reconstruction & Development, Washington	182,465	123,844
European Investment Bank, Luxembourg	136,065	85,627
African Development Bank, Abidjan	109,934	68,792
Asian Development Bank, Manila	98,953	121,729
Inter-American Investment Corporation	83,727	19,533
Inter-American Development Bank, Washington D.C.	65,143	110,563
European Union	16,196	30,362
EUROFIMA, Basel	3,281	1,727
OPEC Fund for International Development	2,784	1,141
CAEITGU	2,236	-
Nordic Investment Bank	-	56,236
European Bank for Reconstruction and Development	-	22,137
	946,733	**641,691**
სააგენტოს და სხვა ფასიანი ქაღალდები		
Caisse D'Amortissement de la Dette Sociale	185,221	48,104
Korean Development Bank	116,623	59,993
PSP Capital Inc	101,023	19,591
Svensk Exportkredit AB, Stocholm	90,874	77,559
Kreditanstalt fuer Wiederaufbau, Frankfurt	85,476	83,211
Province of Ontario Canada, Toronto	79,516	59,988
Caisse Des Depots et Consignations	74,579	53,285
Export-Import Bank of Korea	59,005	41,739
Province of British Columbia Canada	58,921	19,341
CPPIB Capital Inc, Toronto	53,763	146,199
Kommunalbanken AS	50,777	92,898
Bank Nederlandse Gemeenten, Den Haag	47,875	63,300
Royal Bank of Canada	46,783	34,235
NRW Bank	43,442	55,112
Kommuninvest I Sverige AB, Orebro	38,352	41,496
Agence Francaise de Developpement	36,840	37,152
Japan Bank for International Cooperation, Otemachi	34,957	55,145
OMERS Finance Trust	25,514	25,655
National Bank of Canada	24,485	-
National Australia Bank Ltd	22,946	-
CDP Financial In, Montreal	8,824	36,582
Nederlandse Waterschapsbank N.V.	5,471	24,042
Oesterreichische Kontrollbank AG, Vienna	3,559	42,661
Landeskreditbank Baden-Wuerttemberg Foerderbank	2,806	35,376
Province of Alberta Canada	-	48,272
Other	126,537	143,159
	1,424,169	**1,344,095**
სულ ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით უცხოურ ვალუტაში	**8,794,308**	**5,944,958**
სავაჭრო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში		
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	1,496,259	1,871,247
სულ ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	**1,496,259**	**1,871,247**

რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების საპროცენტო (კუპონური) განაკვეთების და დაფარვის ვადების ანალიზი იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2025		31 დეკემბერი, 2024	
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში:	**წლიური საპროცენტო განაკვეთი**	**დაფარვის ვადა**	**წლიური საპროცენტო განაკვეთი**	**დაფარვის ვადა**
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	0.125%-4.625%	2026-2030	0.125%-5.00%	2025-2027
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები	0.25%-4.875%	2026-2030	0.5%-4.875%	2025-2027
სააგენტოს და სხვა ფასიანი ქაღალდები	0.01%-5.375%	2026-2030	0.25%-5.375%	2025-2028
დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში:				
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	8.125%-10.25%	2026-2030	8.125%-10.5%	2025-2030

ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება RAMP პროგრამის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რეზერვების ნაწილის მსოფლიო ბანკის ხაზინისთვის (გარე მენეჯერი) სამართავად გადაცემას, რომელიც სპეციალიზებულია პორტფელის მართვაზე. გარე მენეჯერისათვის სამართავად სახსრების გადაცემის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბანკისთვის ნოუ-ჰაუს გადაცემა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. მენეჯერი კონტრაქტის საფუძველზე იღებს მართვის გასამრჯელოს, რომელიც გამოითვლება გადაცემული სახსრების ნეტო აქტივების ღირებულების საფუძველზე. გარე მენეჯერის პორტფელში არსებული აქტივები ბანკის სახელზეა, გლობალური მეურვის („ქასთოდიანის“) პასუხისმგებლობის ქვეშ, შერჩეული სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ინვესტირებისა და რეინვესტირების მიზნით. ბანკს შეუძლია, დროდადრო, შეატყობინოს გარე მენეჯერს, საინვესტიციო თანხის დამატების ან შემცირების შესახებ. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, RAMP პროგრამის ფარგლებში სამართავად გადაცემული სახსრების რეალური ღირებულება შეადგენს 656,285 ათას ლარს (2024: 671,949 ათას ლარს).

არცერთი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ არის არსებითად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იხილეთ შენიშვნა 29.

14. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები

	31 დეკემბერი, 2025		31 დეკემბერი, 2024	
	საბალანსო ღირებულება	**ნომინალური ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**	**ნომინალური ღირებულება**
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები				
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	-	-	41,010	40,846
სულ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	**-**	**-**	**41,010**	**40,846**

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციების საპროცენტო (კუპონური) განაკვეთები და დაფარვის ვადები იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2025		31 დეკემბერი, 2024	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	**დაფარვის ვადა**	**წლიური საპროცენტო განაკვეთი.**	**დაფარვის ვადა**
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	-	-	8.505%	2025

საქართველოს მთავრობის სავალო ფასიანი ქაღალდები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში წარმოადგენდა საქართველოს მთავრობასა და ბანკს შორის 2006 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სამთავრობო სესხის სავალო ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შედეგად, ფულადი გადახდების განხორციელების გარეშე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიან ქაღალდებს. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები გამოშვებულ იქნა ექსკლუზიურად ბანკისათვის და იყო არა-გადაცემადი და არასავაჭრო ინსტრუმენტი. შესაბამისად ისინი აღირიცხებოდა ამორტიზებული ღირებულებით. სამთავრობო სავალო ფასიანი ქაღალდების გადახდა ხდებოდა ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების გზით 40,000 ათასი ლარის ოდენობით ყოველწლიურად, რომლებიც კლასიფიცირდებოდა როგორც ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი ექვემდებარებოდა ყოველწლიურ გადახედვას არსებული საბაზრო განაკვეთების გათვალისწინებით.

15. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი

ბანკი სარგებლობს შენობის იჯარით პერონალის ნაწილისთვის ადმინისტრაციული მიზნებისთვის და აღიარებს შესაბამის გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას:

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის ნაშთის ცვლილებები მოცემულია ქვემოთ:

	2025	2024
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**8,435**	**483**
გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის დამატება	-	9,459
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(1,892)	(1,507)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,543**	**8,435**

საიჯარო ვალდებულების დაუფარავი ნაშთის ცვლილებები მოცემულია ქვემოთ:

	2025	2024
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**6,552**	**519**
საიჯარო ვალდებულების დამატება	-	7,159
საპროცენტო ხარჯი წლის განმავლობაში	444	286
გადახდები წლის განმავლობაში	(1,362)	(1,210)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ეფექტი	(245)	(202)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,389**	**6,552**

16. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულებით:					
1 იანვარი, 2024	**52,848**	**20,443**	**29,517**	**36**	**102,844**
შესყიდვა	24,119	5,993	3,424	6,752	40,288
გასვლა	-	(276)	(2,410)	(36)	(2,722)
31 დეკემბერი, 2024	**76,967**	**26,160**	**30,531**	**6,752**	**140,410**
შესყიდვა	-	28,466	1,526	35	30,027
გასვლა	-	(3,428)	(515)	-	(3,943)
31 დეკემბერი, 2025	**76,967**	**51,198**	**31,542**	**6,787**	**166,494**
დაგროვილი ცვეთა:					
1 იანვარი, 2024	**(11,495)**	**(17,139)**	**(22,635)**	**-**	**(51,269)**
ცვეთის დარიცხვა	(1,055)	(1,486)	(2,522)	-	(5,063)
გასვლა	-	272	2,354	-	2,626
31 დეკემბერი, 2024	**(12,550)**	**(18,353)**	**(22,803)**	**-**	**(53,706)**
ცვეთის დარიცხვა	(1,053)	(2,226)	(2,996)	-	(6,275)
გასვლა	-	3,416	514	-	3,930
31 დეკემბერი, 2025	**(13,603)**	**(17,163)**	**(25,285)**	**-**	**(56,051)**
საბალანსო ღირებულება (წმინდა):					
31 დეკემბერი, 2025	**63,364**	**34,035**	**6,257**	**6,787**	**110,443**
31 დეკემბერი, 2024	**64,417**	**7,807**	**7,728**	**6,752**	**86,704**

17. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა
თვითღირებულებით:	
1 იანვარი, 2024	**24,466**
შესყიდვა	3,795
გასვლა	(111)
31 დეკემბერი, 2024	**28,150**
შესყიდვა	1,871
გასვლა	-
31 დეკემბერი, 2025	**30,021**
დაგროვილი ამორტიზაცია:	
1 იანვარი, 2024	**(15,232)**
წლის დარიცხვა	(2,971)
გასვლა	111
31 დეკემბერი, 2024	**(18,092)**
წლის დარიცხვა	(2,941)
გასვლა	-
31 დეკემბერი, 2025	**(21,033)**
საბალანსო ღირებულება (წმინდა)	
31 დეკემბერი, 2025	**8,988**
31 დეკემბერი, 2024	**10,058**

18. სხვა აქტივები და ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში:		
წინასწარი გადახდები	-	2,473
სხვა	10	72
სულ სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	**10**	**2,545**
სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში:		
სამახსოვრო ოქროს მონეტები და ოქროს ზოდები	26,159	8,490
წინასწარი გადახდები	5,940	2,390
მარაგები	602	511
თანამშრომლებზე წინა წლებში გაცემული სესხები	49	62
სხვა მოთხოვნები	153	231
	32,903	**11,684**
სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვი	(48)	(35)
სულ სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	**32,855**	**11,649**

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ფინანსური აქტივები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, შეადგენს 164 ათას და 2,804 ათას ლარს, შესაბამისად.

სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოადგენს თანამშრომლებზე წინა წლებში გაცემული სესხების და სხვა დებიტორების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მოსალონელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია 29-ე განმარტებით შენიშვნაში.

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024
სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	5,977	10,169
სხვა ვალდებულებები	74,843	56,026
მთლიანი სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	**80,820**	**66,195**
სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში		
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადასარიცხი მოგება	571,507	670,146
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	21,560	4,240
ვალდებულება რეალიზებულ ბანკნოტებსა და მონეტებზე	2,217	2,109
საიჯარო ვალდებულება (განმარტებითი შენიშვნა 15)	5,389	6,552
გადავადებული შემოსავალი	476	59
სხვა ვალდებულებები	4,673	3,405
მთლიანი სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	**605,822**	**686,511**
სულ სხვა ვალდებულებები	**686,642**	**752,706**

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის სხვა ფინანსური ვალდებულებები შეადგენს 114,663 ათას ლარს და 82,500 ათას ლარს, შესაბამისად.

19. ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით		
საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	928,238	486,952
ერთდღიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	818,494	208,667
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	**1,746,732**	**695,619**
ბანკების სავალდებულო რეზერვები უცხოურ ვალუტაში	5,863,318	6,369,707
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	**7,610,050**	**7,065,326**
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, სხვა		
საკორესპონდენტო ანგარიშები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	6,749	17,835
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, სხვა	**6,749**	**17,835**
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	**7,616,799**	**7,083,161**

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებებში შედის 5,682,618 ათასი ლარის და 5,465,146 ათასი ლარის (შესაბამისად) ოდენობის სამი უმსხვილესი რეზიდენტი კომერციული ბანკის ნაშთები, რომლებიც შეადგენს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მთლიანი ვალდებულების 74.61% და 77.16%-ს (შესაბამისად).

რეზიდენტ კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში განათავსონ მინიმალური სარეზერვო ნაშთები. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალდებულო რეზერვები წარმოადგენს რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 5 პროცენტს (2024: 5%), და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 10-დან 25 პროცენტამდე, რაც დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის დონეზე (2024: 10%-დან 20%-მდე). ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრები, რომელთა დარჩენილი დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს და უცხოურ ვალუტაში დენომირებული მოზიდული სახსრები, რომელთა დარჩენილი დაფარვის ვადა აღემატება 2 წელს, არიან განთავისუფლებული სავალდებულო რეზერვის მოთხოვნისაგან.

უცხოური ვალუტის ნასესხები სახსრების შემთხვევაში, დარჩენილი დაფარვის ვადით 1-2 წელი, მინიმალური სარეზერვო ნაშთები შეადგენს 10-დან 20 პროცენტამდე, რაც დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის დონეზე (2024: 10%-დან 20%-მდე). სავალდებულო რეზერვებზე 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური ანაზღაურების განაკვეთი ლარში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე შესაბამისად შეადგენს 8.0% და 8.0% პროცენტს, ხოლო აშშ დოლარში/ევროში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე 3.25%/1.5% და 4.00%/2.5%, შესაბამისად.

20. ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ

ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ შედგება:

	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ:		
მიმდინარე ანგარიშები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	400,569	428,426
მიმდინარე ანგარიშები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	1,672,488	1,018,824
სულ ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	**2,073,057**	**1,447,250**

21. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

ვალდებულებები კლიენტების მიმართ შედგება:

	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024
ვალდებულებები კლიენტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:		
ვალდებულება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიმართ	17,103	1,003
ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ	542	525
სულ ვალდებულებები კლიენტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:	**17,645**	**1,528**

22. მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ გამოშვებულ საქართველოს ეროვნულ ვალუტას. 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მოძრაობა წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2025	2024
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**6,617,018**	**5,934,138**
მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები	9,260,235	11,658,142
მიმოქცევაში გაშვებული მონეტები	64,133	103,831
მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტები	(8,454,358)	(10,997,498)
მიმოქცევიდან ამოღებული მონეტები	(44,864)	(81,595)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,442,164**	**6,617,018**

23. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სადეპოზიტო სერთიფიკატები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7.89%-8.10%	22 იანვარი - 19 მარტი 2026	60,000	59,350
სადეპოზიტო სერთიფიკატები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7.47%-7.56%	23 იანვარი - 20 მარტი 2025	60,000	59,384

24. კაპიტალი

კანონის შესაბამისად, ბანკის კაპიტალი მოიცავს ბანკის გაცხადებულ და მთლიანად გადახდილ კაპიტალსა და სარეზერვო ფონდს.

საწესდებო კაპიტალი

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საწესდებო კაპიტალი სრულად არის შეტანილი და შეადგენს 15,000 ათას ლარს.

კაპიტალის მართვა

ბანკი განსაზღვრავს კაპიტალს როგორც საკუთარ კაპიტალს ფასს სტანდარტების თანახმად. კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, ყოველი საფინანსო წლისათვის ბანკის წმინდა მოგება გამოიანგარიშება, როგორც წმინდა საოპერაციო მოგების ან ზარალის და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა მოგების ან ზარალის ჯამი. წმინდა საოპერაციო მოგება ან ზარალი მიიღება საანგარიშგებო წლის შემოსავლის თანხიდან ძირითადი საქმიანობის წარმართვისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების გამოქვითვით. გაუნაწილებელი მოგება კანონის მოთხოვნებისა და საბჭოს მიერ დამტკიცების შესაბამისად, გადადის სხვადასხვა რეზერვებში. წლიური ანგარიშის ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ საფინანსო წლის დარჩენილი წმინდა მოგება უნდა გადაირიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე ბანკის საფინანსო წლის დასრულებიდან 6 თვის ვადაში.

სარეზერვო ფონდი

კანონში შეტანილი ცვლილების (მუხლი 25) თანახმად, ბანკის საერთო სარეზერვო ფონდმა უნდა შეადგინოს სარეზერვო ფულის (ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში და კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში) 15 პროცენტი. ბანკის საერთო სარეზერვო ფონდი იქმნება წლის რეალიზებული მოგებიდან, რომელიც წარმოადგენს წლის წმინდა მოგებას სავალუტო და სხვა გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგების და ზარალის გამოკლებით. ბანკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების დარჩენილი თანხით საერთო სარეზერვო ფონდის მოცულობის შესაბამისი ფინანსური წლის ბოლოს არსებული სარეზერვო ფულის ოდენობის 15 პროცენტზე ნაკლები ოდენობით შევსების შესახებ.

სარეზერვო ფონდი გამოიყენება მხოლოდ ბანკის ზარალის საკომპენსაციოდ. სარეზერვო ფონდში თანხების გადატანის შემდეგ, ბანკის რეალიზებული მოგების ნარჩენი ნაშთი უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2025 წელს ბანკმა საერთო სარეზერვო ფონდში რეალიზებული მოგებიდან გადაიტანა 224,239 ათასი ლარი (2024: ნული ლარი).

კანონის 25-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე, 2025 წლის რეალიზებული მოგების ნარჩენი ოდენობა, 571,507 ათასი ლარი გაუნაწილდა ფინანსთა სამინისტროს და გადაირიცხება საფინანსო წლის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში. 2024 წლის რეალიზებული მოგების ნარჩენი ოდენობა - 670,146 ათასი ლარი - რომელიც გაუნაწილდა ფინანსთა სამინისტროს, გადაირიცხა 2025 წელს.

უცხოური ვალუტის და სხვა გადაფასების რეზერვი

კანონის 25(ა) მუხლის თანახმად, უცხოური ვალუტის გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგება მიემართება უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში და რეალური ღირებულებით აღრიცხული მოგებაში ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივების საბაზრო ფასების ცვლილებების წმინდა არარეალიზებული მოგება მიემართება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ გადაფასების რეზერვში. ეს სპეციალური რეზერვები გამოიყენება შესაბამისი ზარალების დასაფარად მომავალში.

2025 წელს უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული წმინდა არარეალიზებული მოგება 879,333 ათასი ლარის ოდენობით გაუნაწილებელი მოეგბიდან მიიმართა უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერში (2024 წელს: არარეალიზებული მოგება 447,385 ათასი ლარის ოდენობით). 2025 წელს სხვა გადაფასებების ცვლილებით გამოწვეული მოგება 5,734 ათასი ლარის ოდენობით გაუნაწილებელი მოგებიდან მიიმართა სხვა გადაფასების რეზერვში (2024 წელს: სხვა გადაფასებების ცვლილებით გამოწვეული ზარალი 13,370 ათასი ლარის ოდენობით კომპენსირდა სხვა გადაფასების რეზერვიდან).

რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვი

აღნიშნული რეზერვი წარმოადგენს იმ ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილებას, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

25. ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში არის მხარე ფინანსური ინსტრუმენტებისა რომელიც დაკავშირებულია გარესაბალანსო ვალდებულებებთან. ბანკი გარესაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში ხელმძღვანელობს რისკების მართვის იმავე პოლიტიკით, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია არსებითი ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე.

საოპერაციო გარემო

როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც, როგორც წესი, ახასიათებს უფრო მომწიფებულ საბაზრო ეკონომიკას. ამიტომ, განსაკუთრებით მკვეთრმა ცვლილებებმა საოპერაციო გარემოში (გლობალური გარემოს ჩათვლით) შეიძლება იქონიოს ისეთი გავლენა ბანკის ოპერაციების შედეგზე და ფინანსურ მდგომარეობაზე რომელიც ამჟამად ვერ განისაზღვრება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ და ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, რამაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფორმები საბანკო, იურიდიულ, საგადასახადო, მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით და ასევე, სხვადასხვა ღონისძიებები ეკონომიკის ლიკვიდურობისთვის საჭირო მოთხოვნების შესრულებისა და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციისთვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, რეალური ზრდის მაღალ ტემპებს და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. არსებული ტენდენცია იძლევა საფუძველს, რომ ეკონომიკის ზრდა მთლიანობაში კვლავაც გაგრძელდება.

ამასთან, საქართველოს ეკონომიკის სამომავლო განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზემოთხსენებულ რეფორმებზე და საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული ფინანსური თუ მონეტარული ზომების ეფექტურობაზე.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა საჭირო ღონისძიება განხორციელდა მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით ბანკის როლის ხელშეწყობის მიზნით.

სასამართლო დავები

ბანკის მიმდინარე სასამართლო პროცესებთან და საჩივრებთან მიმართებაში ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამგვარი სასამართლო პროცესებიდან წარმოშობილი ვალდებულება, თუ ასეთს ადგილი ექნება, არ იქონიებს არსებით გავლენას ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი, რომელიც შესაძლოა მომავალში მოხდეს და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული დანაკარგების ანარიცხები.

საკრედიტო და პირობითი ვალდებულებები

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია რაიმე არსებითი საკრედიტო და პირობითი ვალდებულება.

26. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბანკი, როგორც სახელმწიფო ორგანო, დაკავშირებულია საქართველოს მთავრობასთან. თავისი პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, ბანკი ინარჩუნებს სტრუქტურულ და ფუნქციურ დამოუკიდებლობას საქართველოს მთავრობისგან, იქიდან გამომდინარე რომ ბანკს შეუძლია თავისი ხელმძღვანელობით და მართვით თავად დააფინანსოს ბანკის ოპერაციები გარე დახმარების გარეშე.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმებიან ის პიროვნებები, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება და აკისრიათ პასუხისმგებლობა დაგეგმონ, განკარგონ და აკონტროლონ ბანკის საქმიანობა, პირდაპირ თუ არა პირდაპირ. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას შეადგენენ: საბჭოს წევრები, აღმასრულებელი დირექტორი და დეპარტამენტების უფროსები.

ბანკი, ჩვეულებრივი საქმიანობის წარმართვის პროცესში შედის გარიგებებში დაკავშირებულ მხარეებთან და არსებითი ოპერაციები და ნაშთები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ურთიერთდამოკიდებულების შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე დაყრდნობით.

ბანკის გარიგებები და მიმდინარე ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

	2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი		2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	
	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლის მიხედვით	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლის მიხედვით
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება:				
- თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებელი	(9,226)	(69,989)	(7,526)	(59,443)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2025 დაკავშირებული მხარეების ნაშთები	31 დეკემბერი, 2025 სულ კატეგორია	31 დეკემბერი, 2024 დაკავშირებული მხარეების ნაშთები	31 დეკემბერი, 2024 სულ კატეგორია
აქტივები:					
ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ინვესტიციები რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით-*საქართველოს მთავრობა*	13	1,496,259	1,496,259	1,871,247	1,871,247
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები ეროვნულ ვალუტაში-*საქართველოს მთავრობა*	14	-	-	41,010	41,010
თანამშრომლებზე გაცემული სესხები-*უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა*	18	19	49	27	62
ვალდებულებები:					
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	20	2,073,057	2,073,057	1,447,250	1,447,250
სხვა ვალდებულებები - *საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადასარიცხი მოგება*	18	571,507	571,507	670,146	670,146
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება					
საპროცენტო შემოსავალი		137,466	1,075,656	180,035	953,396
- საქართველოს მთავრობა		*137,465*		*180,034*	
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა		*1*		*1*	

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებამ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა არარეალიზებული მოგება 1,182 ათასი ლარის ოდენობით (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: არარეალიზებული მოგება 15,347 ათასი ლარის ოდენობით).

27. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

ვალდებულებების ცვლილებების რეკონსილაცია საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან:

		ფულადი მოძრაობა				არაფულადი მოძრაობა				
	შენიშვნა	1 იანვარი 2025	გადახდილი პროცენტი	ფულადი სახსრების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან	ფულადი სახსრების გადინება საფინანსო საქმიანობიდან	დარიცხული პროცენტი	საკურსო სხვაობები	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2025 წლის მოგებიდან	საწყისი აღიარება და სხვა მოძრაობა	31 დეკემბერი 2025
საფინანსო საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები:										
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	23	59,384	(4,245)	255,195	(255,756)	4,772	-	-	-	59,350
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	10	2,261,116	(74,389)	-	(183,930)	73,248	19,298	-	-	2,095,343
სხვა ვალდებულებები - *საიჯარო ვალდებულება*	15	6,552	(444)	-	(918)	444	-	-	(245)	5,389
სხვა ვალდებულებები - *საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადასარიცხი მოგება*	24	670,146	-	-	(670,146)	-	-	571,507	-	571,507

		ფულადი მოძრაობა				არაფულადი მოძრაობა				
	შენიშვნა	1 იანვარი 2024	გადახდილი პროცენტი	ფულადი სახსრების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან	ფულადი სახსრების გადინება საფინანსო საქმიანობიდან	დარიცხული პროცენტი	საკურსო სხვაობები	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2024 წლის მოგებიდან	საწყისი აღიარება და სხვა მოძრაობა	31 დეკემბერი 2024
საფინანსო საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები:										
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	59,225	(4,638)	255,034	(255,361)	5,124	-	-	-	59,384
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	10	2,341,363	(104,462)	-	(110,575)	101,102	33,688	-	-	2,261,116
სხვა ვალდებულებები - *საიჯარო ვალდებულება*	15	519	(286)	-	(924)	286	(202)	-	7,159	6,552
სხვა ვალდებულებები - *საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადასარიცხი მოგება*	24	302,877	-	-	(302,877)	-	-	670,146	-	670,146

28. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს სტანდარტების თანახმად რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან იქნება გადახდილი ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკის ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულებით აღრიცხვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. მომდევნო ცხრილი იძლევა ინფორმაციას თუ როგორ განისაზღვრება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება (კერძოდ შეფასების ტექნიკები და გამოყენებული მონაცემები).

წარდგენის მიზნით, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები დაყოფილია რეალური ღირებულების იერარქიის სამი დონის მიხედვით, რაც დაფუძნებულია რეალური ღირებულების დასადგენად გათვალისწინებული შემავალი მონაცემების დაკვირვებადობის ხარისხზე:

- აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (**დონე 1**) – შეფასება დაფუძნებულია აქტიურ ბაზრებზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებზე, ბანკის წვდომის შესაძლებლობის შესაბამისად. ამ სახის ფინანსურ ინსტრუმენტებზე შეფასების კორექტირებები არ ვრცელდება, რადგან შეფასება დაფუძნებულია კოტირებულ ფასებზე, რომლებიც მზა სახით და საკმარისი სიხშირით გვხვდება აქტიურ ბაზარზე, ამ პროდუქტების შეფასება არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი შეფასების საგანს. ეს დონე მოიცავს საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და მონეტარულ ოქროს. ინსტრუმენტები ფასდება ყოველდღიურად, ბლუმბერგის დღის საბოლოო ე.წ. „შეთავაზებული ფასების“ მიხედვით.
- შეფასების ტექნიკა, რომელიც იყენებს დაკვირვებად მონაცემებს. (**დონე 2**) - შეფასება რომელიც ემყარება მონაცემებს, გარდა კოტირებული ფასებისა რომელიც გამოიყენებოდა 1-ელ დონეში, რომლებიც დაკვირვებადია აქტივისა და ვალდებულებებისთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ. მე-2 დონე მოიცავს შემდეგს:

  ა) კოტირებული ფასები მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის აქტიურ ბაზრებზე;
  ბ) კოტირებული ფასები იდენტური ან მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის არა აქტიურ ბაზრებზე;
  გ) აქტივებსა და ვალდებულებებზე არა კოტირებული ფასების მქონე მონაცემი, რომლის დაკვირვებაც შესაძლებელია, მაგალითად:
    - საპროცენტო განაკვეთები და სარგებლის მრუდები, რომლებიც დაკვირვებადია კოტირებული ინტერვალებისთვის
    - ნაგულისხმები მერყეობა, და
    - საკრედიტო „სპრედი“.
  დ) ბაზრით გამყარებული მონაცემები

  საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, კლასიფიცირებული როგორც ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მიეკუთვნება მე-2 დონეს და ითვლება დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით, უფრო კონკრეტულად კი საბაზრო სარგებლის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული მსგავსი ფასიანი ქაღალდებისთვის. რეალური ღირებულების შესაფასებლად, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი გამოიყენება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის სარგებლის მრუდზე დაყრდნობით, რომელიც შეესაბამება დარჩენილ ვადიანობას.

- შეფასების ტექნიკა, რომლის შემავალი მონაცემები არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს (**დონე 3**) – შეფასება დაფუძნებულია ყველა იმ მონაცემზე, რომელიც მნიშველოვან გავლენას ახდენს რეალურ ღირებულებაზე და არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. ბანკს არ გააჩნია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს.

ბანკს მიაჩნია, რომ სააღრიცხვო შეფასება, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასთან, როდესაც არ არის ხელმისაწვდომი კოტირებული საბაზრო ფასები ან სხვა დაკვირვებადი მონაცემები არის მნიშვნელოვანი წყარო გაურკვევლობებისა შეფასებებში რადგან: (i) ის არის მიდრეკილი პერიოდული ცვლილებებისკენ, საჭიროებს მენეჯმენტისგან დაშვებებს საპროცენტო განაკვეთებზე, ცვალებადობაზე, გაცვლით კურსებზე, კონტრაჰენტის საკრედიტო რეიტინგზე, შეფასების კორექტირებებზე და ტრანზაქციების სპეციფიურ ფუნქციებზე და (ii) შეფასების ცვლილებამ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ აქტივებსა და მოგებაზე ან ზარალზე.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, შეფასების დონეების მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თანხები მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ღირებულებებით:

		რეალური ღირებულება		რეალური ღირებულების იერარქიის დონეები	შეფასების ტექნიკები და ძირითადი მონაცემები	არა-დაკვირვებადი მნიშვნელოვანი მონაცემები
	შენიშვნები	2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ფინანსური აქტივები						
საერთაშორისო რეზერვები						
მონეტარული ოქრო	8	2,701,336	1,681,645	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება
წარმოებული ფინანსური აქტივები	11	7,325	5,488	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	295,507	291,431	დონე 1*	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	13	8,794,308	5,944,958	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები						
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	13	1,496,259	1,871,247	დონე 2	საბაზრო საპროცენტო განაკვეთი მსგავსი ინტრუმენტების-თვის	არ მიესადაგება
წარმოებული ფინანსური აქტივები	11	3,483	2,520	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება
ფინანსური ვალდებულებები						
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	11	-	2,143	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება

**ბანკის ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით წარმოადგენს საერთაშორისო რეზერვების იმ ნაწილს, რომელიც სამართავად არის გადაცემული საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისთვის და შედგება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში (BISIP CNY) განთავსებული ინვესტიციებისგან. აღნიშნული ინვესტიციები წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომელთათვისაც არსებობს აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები რაზე წვდომაც ბანკს აქვს იდენტურ აქტივებისა თუ ვალდებულებებისთვის. შესაბამისად, რეალური ღირებულების იერარქიაში ინვესტიციის რეალური ღირებულება მიჩნეულია როგორც დონე 1.*

2025 წლის 31 დეკემბრით და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ადგილი არ ჰქონია გადატანას პირველ, მეორე და მესამე დონეებს შორის.

სხვა სრულ შემოსავალში შესული მოგება და ზარალი უკავშირდება ინვესტიციებს, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და მისი ანგარიშგება ხდება როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვის ცვლილება.

მოგებაში ან ზარალში გაერთიანებული წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ფასიანი ქაღალდებისა და წარმოებული ინსტრუმენტებიდან უკავშირდება წარმოებული ფინანსური აქტივებისა და სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ცვლილებებს რეალურ ღირებულებაში საანგარიშგებო პერიოდში.

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით განმეორებით საფუძველზე (ამასთან აუცილებელია რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები)

ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას, იმ შემთხვევაში თუ მათ გააჩნიათ ხანმოკლე დაფარვის ვადა. ეს დაშვება ასევე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებსა და ანგარიშებს დაფარვის ვადის გარეშე.

მიჩნეულია, რომ ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივებისა (საქართველოს სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირებული როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები) და ვალდებულებების (სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან) შემთხვევაში საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას. დამატებით ბანკის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მისი სპეციფიკური თვისებიდან გამომდინარე წარმოადგენს ცალკე სესხების სეგმენტს, რომლებიც გაიცემა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიერ განვითარებადი ქყვეყნებისთვის ხელშეწყობის მიზნით. შედეგად ეს სესხები განიხილება როგორც "გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით" მიღებული.

29. რისკების მართვა

შესავალი

ბანკის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის რისკებთან. ეს რისკები მოიცავს ფინანსურ რისკებს საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკების სახით. აგრეთვე ბანკის საქმიანობა დაკავშირებულია არაფინანსური რისკების ფართო სპექტრთან. ბანკის უნიკალური როლიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ბანკის მიერ რისკების მართვა და კონტროლი დაფუძნებულია არა მარტო ორგანიზაციული რისკისა და მოგების შესახებ მოსაზრებებზე, არამედ, ის მხედველობაში იღებს ეროვნულ ინტერესს, შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პასუხისმგებლობების მიხედვით. ბანკის ხედვით რისკების მართვის სისტემა წარმოადგენს მმართველობის პროცესის განუყოფელ ნაწილს და ძლიერი კორპორაციული მმართველობის არსებით კომპონენტს.

ბანკის საბჭო, საბოლოო ჯამში, პასუხისმგებელია რისკების მართვის ჩარჩოს და მნიშვნელოვანი რისკების მართვის პროცესის ზედამხედველობაზე და ასევე რისკების მართვის პოლიტიკების და პროცედურების გადახედვაზე. ეფექტური და ეფექტიანი რისკის მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად ბანკში შემუშავებულია დაცვის სამხაზიანი მოდელი. ეს მოდელი სტრუქტურული ერთეულებისთვის, რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტისა და შიდააუდიტორული სამსახურისთვის გამოყოფს მკაფიო როლებსა და პასუხისმგებლობებს.

დაცვის პირველი ხაზი: მართვა სტრუქტურული ერთეულის დონეზე

დაცვის პირველი ხაზი (ბანკის დეპარტამენტები) პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებაზე, შეფასებასა და რისკების მართვაზე სტრუქტურული ერთეულის დონეზე ადეკვატური და ეფექტური კონტროლის მექანიზმების შემუშავების, დანერგვასა და შენარჩუნების გზით.

დაცვის მეორე ხაზი: რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი

დაცვის მეორე ხაზი (რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი) პასუხისმგებელია ეფექტური არაფინანსური რისკების მართვის ჩარჩოს შემუშავებასა და დანერგვაზე, რომელიც შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტებთან და მიდგომებთან. რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკების, მექანიზმების და რისკის მართვის პროცესების დამოუკიდებელ და პროაქტიულ შეფასებას და ბიზნეს უწყვეტობის მხარდაჭერას. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ბანკის პრეზიდენტთან.

დაცვის მესამე ხაზი: შიდააუდიტორული სამსახური

შიდააუდიტორული სამსახური წარმოადგენს დაცვის მესამე ხაზს, რომლიც უზრუნველყოფს რისკების მართვისა და შიდა კონტროლების სისტემების ეფექტურობას და ადეკვატურობას. შიდა აუდიტი რეგულარულად ამოწმებს, როგორც შიდა კონტროლების ადეკვატურობას, ასევე ბანკის პროცესების შესაბამისობას პროცედურებთან და შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს წარუდგენს საბჭოს თავმჯდომარეს.

რისკის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურა

რისკის ტიპი	მართვის დონე	სახელმძღვანელო მითითებების პოლიტიკის ავტორი	ზედამხედველობა
ფინანსური რისკები	დეპარტამენტის დონეზე	მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტი	საბჭო
რაფინანსური რისკები	დეპარტამენტის დონეზე	რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი	შიდა აუდიტი, აუდიტის კომიტეტი

ფინანსური რისკები

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს მონეტარული პოლიტიკის მიზნების მიღწევისა და საერთაშორისო რეზერვების მართვის მიზნით. ამ ორ პორტფელს განსხვავებული რისკის პოლიტიკა და მახასიათებლები აქვს და ორივე მათგანი იმართება ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ. ქვემოთ მოცემულ ფინანსური რისკების დახასიათებაში წარმოდგენილია ძირითადი რისკები, რომლის წინაშეც დგას ამ ორ პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები და ამ რისკების მართვის პოლიტიკა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლისთვისაც არ ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები:

აქტივები უცხოურ ვალუტაში	**შენიშვნა**	**მაქსიმალური რისკი 31 დეკემბერი, 2025**	**მაქსიმალური რისკი 31 დეკემბერი, 2024**
საერთაშორისო რეზერვები			
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	11	7,325	5,488
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	295,507	291,431
აქტივები ეროვნულ ვალუტაში			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	11	3,483	2,520
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი		**306,315**	**299,439**

საკრედიტო რისკი იმ ინსტრუმენტებისათვის, რომლებზედაც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებებით.

საერთაშორისო რეზერვების პორტფელი

კანონის მიხედვით, ბანკი უფლებამოსილია იქონიოს და მართოს საერთაშორისო რეზერვების პორტფელი. ბანკი პორტფელს იყენებს მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკის წარმოებისა და შიდა და უცხოური გადახდების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. რეზერვები ასევე გამოიყენება ქვეყნის გარე რისკებისგან დასაცავად, რაც გულისხმობს საკმარისი ლიკვიდობის შენარჩუნებას ფინანსური კრიზისის დროს შოკის დასაძლევად. შესაბამისად, საერთაშორისო რეზერვების ფლობის სხვადასხვა მიზნებია უსაფრთხოების, ლიკვიდობისა და მომგებიანობის უზრუნველყოფა. ამასთან, საერთაშორისო სარეზერვო პორტფელში შემავალი აქტივები ინვესტირდება კონსერვატიულ საფუძვლებზე, ლიკვიდობასა და კაპიტალის შენარჩუნებაზე აქცენტირებით. მაგალითად, ბანკის საინვესტიციო სახელმძღვანელოში პრიორიტეტი ენიჭება კაპიტალის შენარჩუნებას და რეზერვების მაღალ ლიკვიდობას. როდესაც ეს წინაპირობები სრულდება, უნდა მოხდეს მოგების მაქსიმიზაცია.

პორტფელის მართვა ხდება საინვესტიციო სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ბანკის საბჭოს მიერ. ბანკის რეზერვების მართვის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) პასუხისმგებელია აქტივების სტრატეგიული გადანაწილების მიხედვით რისკის შემცირებისთვის საჭირო ზომების დანერგვასა და მონიტორინგზე. ასევე კომიტეტმა უნდა მიიღოს რწმუნება იმისა, რომ ბანკის საქმიანობა ხდება რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. კომიტეტის ჩვეულებრივი საქმიანობა მოიცავს ყოველთვიური ანგარიშების მიმოხილვას, კონტრაგენტების სიის დამოწმებას და სტრატეგიული ცვლილებების დამოწმებას საბჭოში წარდგენამდე. ბანკის რისკის მართვისა და კონტროლის განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“) პასუხისმგებელია საერთო რისკების ყოველდღიურ მართვასა და დადგენილ პარამეტრებთან შესაბამისობაზე, რაც უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მართვისა და ანგარიშგებისათვის საჭირო საერთო პრინციპებისა და მეთოდების შემუშავებას.

მონეტარული პოლიტიკის პორტფელი

მონეტარული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი საშუალებებია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორიცაა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, სესხები გაცემული კომერციულ ბანკებზე, სადეპოზიტო სერტიფიკატები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პასუხისმგებელია დანერგოს და მონიტორინგი გაუწიოს რისკის შემცირების საშუალებებს, მაგალითად როგორიცაა უზრუნველყოფის მოთხოვნები რეფინანსირების სესხებისთვის.

ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები - საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგით შეფასებული

საერთაშორისო რეზერვების ოპერაციებში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის გაკონტროლებისთვის, „სტრატეგიული აქტივების გადანაწილება“ ზღუდავს საკრედიტო რისკს ქვეყნების, კონტრაჰენტების და ემიტენტების მიხედვით, საკონცენტრაციო ლიმიტებისა და მინიმალური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგების დაწესებით (Standard & Poor's, Moody's და Fitch-სააგენტოების მიხედვით). მაგალითად, საინვესტიციო სახელმძღვანელო ნათლად განსაზღვრავს საკრედიტო რეიტინგის მინიმალურ დონედ A- რეიტინგს სავალო ინსტრუმენტებში (ობლიგაციები, თამასუქები), ისევე როგორც ბანკთაშორის დეპოზიტებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებისას. ამასთან, ნოსტრო ანგარიშების კონტრაჰენტებისთვის მინიმალური საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენს BBB-ს.

გარდა ამისა, საინვესტიციო სახელმძღვანელო ასევე ზღუდავს ინსტრუმენტების ინვესტირებას არასაბაზისო ფინანსურ ინსტრუმენტებში. პორტფელი დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში ფიქსირებულ და ცვალებად-განაკვეთიან ფასიანი ქაღალდებში (სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები, „სააგენტოს“, მათ შორის რეგიონალური მთავრობებისა და სუპრანაციონალური ფასიანი ქაღალდები) და სხვა ძლიერ ლიკვიდურ, და უსაფრთხო ინსტრუმენტებში.

კონტრაჰენტების შერჩევისას ბანკი ითვალისწინებს მათ საკრედიტო რეიტინგს, ქვეყანას, აქტივებისა და კაპიტალის მოცულობას, საერთაშორისო ბაზრებზე და კორპორატიულ კლიენტებთან მუშაობის გამოცდილებას და ასევე მათთვის შეთავაზებული მომსახურებისა და ინსტრუმენტების დიაპაზონს. ზემოთ ხსენებული სარეიტინგო სააგენტოების მიერ ბანკის კონტრაჰენტის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგის კლების შემთხვევაში, კონტრაჰენტი ამოღებული იქნება დაშვებული კონტრაჰენტების სიიდან.

როდესაც სხვადასხვა საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოები (Standard & Poor's, Moody's და Fitch) აქტივებისთვის განსაზღვრავენ განსხვავებულ საკრედიტო რეიტინგებს, საკრედიტო რისკის შესაფასებლად გამოიყენება მეორე საუკეთესო საკრედიტო რეიტინგი.

საკრედიტო ხარისხის ანალიზი

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით, საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული იმ ფინანსური აქტივების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგებიდან მეორე საუკეთესოს მიხედვით:

	31 დეკემბერი 2025				31 დეკემბერი 2024			
მეორე საუკეთესო საკრედიტო რეიტინგი (საკრედიტო რეიტინგების დიაპაზონი)	**12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი**	**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - არა გაუფასურებული**	**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული**	**სულ**	**12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი**	**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - არა გაუფასურებული**	**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული**	**სულ**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)								
AAA („AA+“-დან „AAA“-მდე)	197,883	-	-	197,883	337,965	-	-	337,965
AA („A+“-დან „AAA“-მდე)	1,589,773	-	-	1,589,773	1,709,572	-	-	1,709,572
A („A-“-დან „AA-“-მდე)	1,322,721	-	-	1,322,721	871,764	-	-	871,764
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**3,110,377**	**-**	**-**	**3,110,377**	**2,919,301**	-	-	**2,919,301**
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**3,110,377**	**-**	**-**	**3,110,377**	**2,919,301**	-	-	**2,919,301**
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში								
AAA	1,285,611	-	-	1,285,611	1,273,804	-	-	1,273,804
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**1,285,611**	**-**	**-**	**1,285,611**	**1,273,804**	**-**	**-**	**1,273,804**
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**1,285,611**	**-**	**-**	**1,285,611**	**1,273,804**	**-**	**-**	**1,273,804**
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით								
AAA („AA+“-დან „AAA“-მდე)	1,165,644	-	-	1,165,644	1,553,261	-	-	1,553,261
AA („A+“-დან „AAA“-მდე)	6,750,479	-	-	6,750,479	4,333,978	-	-	4,333,978
A („A“-დან „AA“-მდე)	878,185	-	-	878,185	57,719	-	-	57,719
წმინდა საბალანსო ღირებულება - **რეალური ღირებულება**	**8,794,308**	**-**	**-**	**8,794,308**	**5,944,958**	**-**	**-**	**5,944,958**
ზარალის რეზერვი (აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში)	(2,652)	-	-	(2,652)	(971)	-	-	(971)

ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები - შიდა რეიტინგით შეფასებული

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ღია ბაზრის ოპერაციებთან და ინსტრუმენტებთან, რომელთა მეშვეობითაც ფინანსურ სისტემაში ხდება ლიკვიდობის მიწოდება. ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელი შედგება ექსკლუზიურად საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ფასიანი ქაღალდებისაგან, რომლებიც მიჩნეულია დაბალი საკრედიტო რისკის მქონე აქტივებად. საბანკო ინსტიტუტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული რისკის შესამცირებლად, ბანკი ითხოვს უზრუნველყოფას, რომელსაც მისთვის მისაღები საკრედიტო ხარისხი ექნება. უზრუნველყოფის შეფასება ხდება მათი მიღებისას არსებული საბაზრო ფასით და შეფასებაზე შეიძლება გავრცელდეს დისკონტი ან „ჰეარკატი“ ინსტრუმენტის სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე და სესხები გაცემულია მხოლოდ მაღალი კრედიტუნარიანობის მქონე კონტრაგენტებზე. 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების საკრედიტო რეიტინგი შეფასდა, როგორც AAA, შიდა სარეიტინგო სქემის მიხედვით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის, შიდა შეფასება AAA შეესაბამება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ განსაზღვრულ B-BB რეიტინგს).

ბანკი მისი ფინანსური აქტივების (გარდა საერთაშორისო რეზერვებისა) კლასიფიცირებას შიდა შემუშავებული რეიტინგების საფუძველზე შემდეგი სახით ახდენს:

რეიტინგი AAA - ძალიან კარგი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი AA – სტაბილური ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი A - დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი B - სესხები გაცემული დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლებზე, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი ვადაგადაცილებულია.

ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ბანკი ახდენს რისკის ზუსტ და თანამიმდევრულ კლასიფიცირებას მის საკრედიტო პორტფელში. დაკავშირებული რისკების შეფასება და განახლება რეგულარულად ხდება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის და სხვა ფინანსური აქტივების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემის საფუძველზე:

	31 დეკემბერი 2025			31 დეკემბერი 2024		
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ
აქტივები უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები						
AAA რეიტინგი	-	-	-	2,473	-	2,473
AA რეიტინგი	10	-	10	-	-	-
A რეიტინგი	-	-	-	66	-	66
B რეიტინგი	-	-	-	6	-	6
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**10**	**-**	**10**	**2,545**	-	**2,545**
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**10**	**-**	**10**	**2,545**	-	**2,545**
აქტივები ეროვნულ ვალუტაში						
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები						
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ						
AAA რეიტინგი	6,167,078	-	6,167,078	7,003,577	-	7,003,577
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**6,167,078**	**-**	**6,167,078**	**7,003,577**	-	**7,003,577**
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**6,167,078**	**-**	**6,167,078**	**7,003,577**	-	**7,003,577**
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით						
AAA რეიტინგი	1,496,259	-	1,496,259	1,871,247	-	1,871,247
საბალანსო ღირებულება - რეალური ღირებულება	**1,496,259**	**-**	**1,496,259**	**1,871,247**	**-**	**1,871,247**
სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში						
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით						
AAA რეიტინგი	-	-	-	41,010	-	41,010
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**-**	**-**	**-**	**41,010**	-	**41,010**
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**-**	**-**	**-**	**41,010**	-	**41,010**
სხვა ფინანსური აქტივები						
A რეიტინგი	154	-	154	258	-	**258**
B რეიტინგი	-	48	48	-	35	**35**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**154**	**48**	**202**	**258**	**35**	**293**
ზარალის რეზერვი	-	(48)	(48)	**-**	(35)	**(35)**
წმინდა საბალანსო ღირებულება	**154**	**-**	**154**	**258**	**-**	**258**

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს ზარალის რეზერვის შემავალი და საბოლოო ნაშთების რეკონსილაციას იმ ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მიხედვით, რომლების მიმართაც აღიარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

	2025			2024		
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	სულ
აქტივები უცხოურ ვალუტაში						
საერთაშორისო რეზერვები						
ინვესტიციები აღრიცხული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით						
ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	**971**	**-**	**971**	**1,789**	**-**	**1,789**
ახალი ფინანსური აქტივების აღიარება	1,895	-	1,895	656	-	656
ზარალის რეზერვის გადაფასება	184	-	184	(98)	-	(98)
უცხოური სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობები	(11)	-	(11)	12	-	12
ფინანსური აქტივები რომელთა აღიარება შეწყდა - დაფარვა	(387)	-	(387)	(1,388)	-	(1,388)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,652**	**-**	**2,652**	**971**	**-**	**971**
აქტივები ეროვნულ ვალუტაში						
სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში						
სხვა აქტივები				-		
ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	**-**	**35**	**35**	-	**43**	**43**
ახალი ფინანსური აქტივების აღიარება	-	-	-	-	**-**	**-**
ზარალის რეზერვის გადაფასება	-	18	18	-	**-**	**-**
ფინანსური აქტივები რომლის აღიარება შეწყდა - დაფარვა	-	(5)	(5)	-	(8)	(8)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**48**	**48**	**-**	**35**	**35**
სულ ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	**971**	**35**	**1,006**	**1,789**	**43**	**1,832**
სულ ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,652**	**48**	**2,700**	**971**	**35**	**1,006**

ჭარბი რისკის კონცენტრაცია

რისკის კონცენტრაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონტრაჰენტები ჩართულნი არიან მსგავს ბიზნეს საქმიანობაში, საქმიანობას ეწევიან ერთსადაიმავე გეოგრაფიულ რეგიონში, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ცვლილებები თანაბრად უარყოფით გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე. კონცენტრაცია მიუთითებს იმაზე, რომ ბანკი შედარებით მგრძნობიარე იქნება კონკრეტულ სფეროსა თუ გეოგრაფიულ ნაწილში მიმდინარე ცვლილებების მიმართ.

ჭარბი რისკის კონცენტრაციის მინიმიზაციის მიზნით, ბანკის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს დივერსიფიცირებული პორტფელის შექმნისა და შენარჩუნების სპეციალურ ინსტრუქციებს. რისკის კონცენტრაცია აქტივების ხარისხისა და კონტრაჰენტების მიხედვით წარმოდგენილია შესაბამის შენიშვნებში.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, გარდა საერთაშორისო რეზერვების პორტფელისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ვალდებულებისა, კონცეტრირებულია საქართველოში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს გარეთ კონცენტრირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**შენიშვნები**	**აშშ**	**ევროკავშირი***	**კორეა**	**კანადა**	**საერთაშორისო**	**სხვა**	**სულ**
აქტივები:								
საერთაშორისო რეზერვები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	109,995	1,894,112	121,469	364,164	148,441	472,196	3,110,377
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	10	-	-	-	-	1,285,611	-	1,285,611
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	11	-	-	-	-	-	7,325	7,325
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	-	-	-	-	295,507	-	295,507
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	13	5,540,317	1,512,528	179,753	511,665	946,732	103,313	8,794,308
		5,650,312	**3,406,640**	**301,222**	**875,829**	**2,676,291**	**582,834**	**13,493,128**
ვალდებულებები:								
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	10	-	-	-	-	2,095,343	-	2,095,343
წმინდა პოზიცია:		**5,650,312**	**3,406,640**	**301,222**	**875,829**	**580,948**	**582,834**	**11,397,785**

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**შენიშვნები**	**აშშ**	**ევროკავშირი***	**კორეა**	**კანადა**	**საერთაშორისო**	**სხვა**	**სულ**
აქტივები:								
საერთაშორისო რეზერვები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	1,281,178	1,162,916	-	394,810	1,272	79,125	2,919,301
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	10	-	-	-	-	1,273,804	-	1,273,804
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	11	-	-	-	-	-	5,488	5,488
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	-	-	-	-	291,431	-	291,431
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	13	3,278,413	1,143,880	17,140	730,472	611,327	163,726	5,944,958
		4,559,591	**2,306,796**	**17,140**	**1,125,282**	**2,177,834**	**248,339**	**10,434,982**
ვალდებულებები:								
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	10	-	-	-	-	2,261,116	-	2,261,116
წმინდა პოზიცია:		**4,559,591**	**2,306,796**	**17,140**	**1,125,282**	**(83,282)**	**248,339**	**8,173,866**

**ევროკავშირი-ნორვეგიის სააგენტოს ფასიანი ქაღალდების ჩათვლით*

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება ბანკისთვის, როდესაც მას აქვს სირთულეები იმ ფინანსური ვალდებულებების დაფარვისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების გადინებასთან ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებასთან.

გ) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

ლიკვიდობის რისკის მართვის ამოცანაა დარწმუნდეს რომ ბანკი ასრულებს ყველა აღებულ ფინანსურ ვალდებულებას. შესაბამისად, არსებობს ვადიანობის დივერსიფიკაციის პოლიტიკა და დაწესებული ლიმიტები, რომელთა მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ შესყიდული ფასიანი ქაღალდებით მეორად ბაზარზე ვაჭრობა შესაძლებელი იყოს აქტივების ფასების მკვეთრი ცვლილებების გამოწვევის გარეშე. ამ სახელმძღვანელო მითითებების გამო, გრძელვადიან ფასიან ქაღალდებსაც გააჩნიათ მყისიერი ლიკვიდობა.

ბანკის მონეტარული პოლიტიკისა და საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტები განსაზღვრავენ იმ ვადადამდგარი სახსრების მინიმალური პროპორციის ზღვრებს, რომლებიც გამოიყენება ფულადი სახსრების გადინების დასაფარად. ბანკის ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ძირითად ვალუტებში ფულადი ნაკადების პროგნოზირებას მათთან დაკავშირებული ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროს არსებობას;
- სესხების კონცენტრაციისა და პარამეტრების მართვას;
- პორტფელის მაღალ ლიკვიდურ აქტივებში განთავსებას, რომლებიც ადვილად იქნებიან ლიკვიდირებულნი, როგორც დაცვის მექანიზმი ნებისმიერი ფულადი ნაკადის შეწყვეტისას;
- ლიკვიდობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმის არსებობას.

ფინანსური ბაზრების დეპარტამენტი ბიზნეს ერთეულებიდან იღებს ინფორმაციას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის ჭრილში და სხვა დეტალებს პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შესახებ დაგეგმილი მომავალი ოპერაციებიდან. ბანკის ლიკვიდობის რისკი დაკავშირებულია ფულად ნაკადებთან უცხოურ ვალუტაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებზე დაფუძნებით. ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილია „3 თვეზე ნაკლებ“ კატეგორიაში, იმის საფუძველზე, რომ ბანკს შეუძლია მათი რეალიზება არა უმეტეს 3 თვის ვადის განმავლობაში ლიკვიდურობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად:

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**შენიშვნა**	**3 თვეზე ნაკლები**	**3 თვიდან 12 თვემდე**	**1 წლიდან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
საერთაშორისო რეზერვები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	3,110,377	-	-	-	3,110,377
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	10	1,285,611	-	-	-	1,285,611
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	11	7,325	-	-	-	7,325
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	295,507	-	-	-	295,507
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	13	8,794,308	-	-	-	8,794,308
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები	18	10	-	-	-	10
სულ აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		**13,493,138**	**-**	**-**	**-**	**13,493,138**
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	19	5,870,067	-	-	-	5,870,067
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	20	400,569	-	-	-	400,569
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	10	1,290,565	225,647	621,527	24,438	2,162,177
სხვა ვალდებულებები	18	80,820	-	-	-	80,820
სულ ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		**7,642,021**	**225,647**	**621,527**	**24,438**	**8,513,633**
წმინდა პოზიცია		**5,851,117**	**(225,647)**	**(621,527)**	**(24,438)**	**4,979,505**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
საერთაშორისო რეზერვები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	2,919,301	-	-	-	2,919,301
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	10	1,273,804	-	-	-	1,273,804
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	11	5,488	-	-	-	5,488
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	291,431	-	-	-	291,431
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	13	5,944,958	-	-	-	5,944,958
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები	18	2,545	-	-	-	2,545
სულ აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		**10,437,527**	**-**	**-**	**-**	**10,437,527**
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	19	6,387,542	-	-	-	6,387,542
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	20	428,426	-	-	-	428,426
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	10	1,282,286	208,468	757,598	123,854	2,372,206
სხვა ვალდებულებები	18	66,195	-	-	-	66,195
სულ ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		**8,164,449**	**208,468**	**757,598**	**123,854**	**9,254,369**
წმინდა პოზიცია		**2,273,078**	**(208,468)**	**(757,598)**	**(123,854)**	**1,183,158**

დ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

მონეტარული ორგანოს მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ფინანსური სისტემის ლიკვიდობის კონტროლს, ბანკზე არ ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეუსაბამობის შეზღუდვები.

ფინანსური მდგომარეობის მუხლების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების ვადიანობის ანალიზი:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025			31 დეკემბერი 2024		
		1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები:							
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში							
საერთაშორისო რეზერვები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	3,515,685	-	3,515,685	3,289,907	-	3,289,907
მონეტარული ოქრო *	8	-	2,701,336	2,701,336	-	1,681,645	1,681,645
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	10	1,285,611	-	1,285,611	1,273,804	-	1,273,804
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	11	7,325	-	7,325	5,488	-	5,488
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	12	-	295,507	295,507	-	291,431	291,431
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	13	3,138,080	5,656,228	8,794,308	1,315,565	4,629,393	5,944,958
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში							
სხვა აქტივები *	18	10	-	10	2,545	-	2,545
		7,946,711	**8,653,071**	**16,599,782**	**5,887,309**	**6,602,469**	**12,489,778**
აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები							
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისს მიმართ	9	6,167,078	-	6,167,078	7,003,577	-	7,003,577
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	11	3,483	-	3,483	2,520	-	2,520
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	13	183,013	1,313,246	1,496,259	391,486	1,479,761	1,871,247
სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში							
ინვესტიციები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	14	-	-	-	-	41,010	41,010
გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი *	15	-	6,543	6,543	-	8,435	8,435
ძირითადი საშუალებები *	16	-	110,443	110,443	-	86,704	86,704
არამატერიალური აქტივები *	17	-	8,988	8,988	-	10,058	10,058
სხვა აქტივები *	18	154	32,701	32,855	259	11,390	11,649
		6,353,728	**1,471,921**	**7,825,649**	**7,397,842**	**1,637,358**	**9,035,200**
სულ აქტივები		**14,300,438**	**10,124,993**	**24,425,431**	**13,285,151**	**8,239,827**	**21,524,978**

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025			31 დეკემბერი 2024		
		1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები:							
უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები							
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები							
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	19	-	5,863,318	5,863,318	-	6,369,707	6,369,707
სხვა ვალდებულებები							
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში							
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	19	6,749	-	6,749	17,835	-	17,835
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	20	400,569	-	400,569	428,426	-	428,426
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	10	1,617,220	476,151	2,093,371	1,597,902	661,344	2,259,246
სხვა ვალდებულებები *	17	80,820	-	80,820	66,195	-	66,195
		2,105,358	**6,339,469**	**8,444,827**	**2,110,358**	**7,031,051**	**9,141,409**
ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები							
მიმოქცევაში გაშვებული ფული *	22	-	7,442,164	7,442,164	-	6,617,018	6,617,018
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები							
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	23	59,350	-	59,350	59,384	-	59,384
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	19	1,746,732	-	1,746,732	695,619	-	695,619
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებები	11	-	-	-	2,143	-	2,143
სხვა ვალდებულებები							
დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში							
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	20	1,672,488	-	1,672,488	1,018,824	-	1,018,824
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	10	1,972	-	1,972	1,870	-	1,870
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	21	17,645	-	17,645	1,528	-	1,528
სხვა ვალდებულებები *	18	598,217	7,605	605,822	677,850	8,661	686,511
		4,096,404	**7,449,769**	**11,546,173**	**2,457,218**	**6,625,679**	**9,082,897**
სულ ვალდებულებები		**6,201,762**	**13,789,238**	**19,991,000**	**4,567,576**	**13,656,730**	**18,224,306**

** ანალიზის მიზნებისთვის მატერიალური სახით არსებული და არამატერიალური მუხლები, ასევე მუხლები, რომელთა ვადიანობა მათი ბუნებიდან გამომდინარე განუსაზღვრელია, განიხილება გრძელვადიანად.*

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები არის მოკლევადიანი და სახელშეკრულებო ვადა უდგება 3 თვის განმავლობაში. შესაბამისად, ასეთი ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების შედეგად, რაც გამოწვეულია ისეთი საბაზრო ფაქტორების ცვალებადობით, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო კურსი. საბაზრო რისკები მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთებისა და სხვა ფასების ცვლილების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების და სავალუტო ღია პოზიციიდან, რომლებიც არ არის დაცული ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო რყევებისა და საბაზრო ფასების ცვლილებებისგან. ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის გადაფასება ხდება 3 თვის განმავლობაში.

ე) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

საბაზრო რისკი გულისხმობს ინვესტიციების ფასების ცვლილების შედეგად შესაძლო დანაკარგებს.

სტრატეგიული აქტივების გადანაწილების პროცესი ბანკის მიერ რისკის ტოლერანტობის/ამტანობის საფუძველზე ზღუდავს საბაზრო რისკს. მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, მას შემდეგ რაც მოხდება სცენარების შეფასება სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების მიხედვით, საბაზრო რისკის ლიმიტის ფარგლებში ისაზღვრება შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელი ცალკეული პორტფელებისთვის. ვალუტის რისკები განისაზღვრება უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულების ანალიზის საფუძველზე. საერთო სავალუტო რისკის შესამცირებლად ასევე განიხილება დივერსიფიკაციის ეფექტი (იხილეთ შენიშვნა - სავალუტო რისკი)

სამუშაო კაპიტალის გარდა, ყველა პორტფელი აქტიურად იმართება შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში. აქტიური საბაზრო რისკი შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში განისაზღვრება რისკის ბიუჯეტირების პროცესში და თითოეული პორტფელისთვის განისაზღვრება აქტიური საბაზრო რისკის ლიმიტები წინასწარ შეფასებული სავარაუდო ნამატი შემოსავლიანობისა („ტრეკინგ ერორი“) და გადახრის ხანგრძლივობის შეზღუდვით. აქტიური პორტფელების ბაზრის შოკებთან დამოკიდებულების შესაფასებლად ხორციელდება რეგულარული „სტრეს-ტესტი“.

ქვემოთ მოცემულია სტრატეგიული შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა და აქტიური ბაზრების რისკის ლიმიტები საერთაშორისო რეზერვების პორტფელისთვის:

	2025		2024	
ტრანშები	**შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის გადახრის ლიმიტები)**	**ნამატი შემოსავლიანობის ლიმიტი**	**შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის გადახრის ლიმიტები)**	**ნამატი შემოსავლიანობის ლიმიტი**
ლიკვიდობის პორტფელი - აშშ დოლარი*	1.5 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი	1.5 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - აშშ დოლარი*	2 წელი (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი	2 წელი (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - ევრო	1.5 წელი (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი	1.5 წელი (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - კანადური დოლარი*	-	-	2 წელი (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი

** სტრატეგიული აქტივების გადანაწილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებით 2025 წლის მარტიდან გაუქმდა საინვესტიციო პორტფელი კანადურ დოლარში.*

ლიკვიდობის პორტფელის მიზანი არის საგარეო ვალის მომსახურება 1 წლის საოპერაციო საჭიროების გათვალისწინებით. საინვესტიციო პორტფელის მიზანი არის გრძელვადიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება და მაქსიმალური მოგების მიღება. ლიკვიდობის და საინვესტიციო პორტფელები შედგება ფინანსური ინსტრუმენტებისგან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

საბაზრო რისკის მონიტორინგი ხდება ვალუტების ვადიანობის და შემადგენლობის ყოველდღიური შეფასებით და ნამატი შემოსავლიანობის გაკონტროლებით. საერთაშორისო რეზერვების მართვის ყოველდღიური ანგარიში, რომელიც ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ არის მომზადებული, მოიცავს შედეგებისა და რისკის, როგორც ცალკეულ, ასევე „ბენჩმარკთან" მიმართებაში შეფასებას და წარმოადგენს განხორციელებული საინვესტიციო სტრატეგიის შეფასებას.

ბანკის დამოკიდებულება რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკზე ძირითადად წარმოიშვება მისი ინვესტიციებით საერთაშორისო რეზერვების პორტფელში, რომლებიც ხასიათდებიან მერყეობით ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო.

უცხოური ვალუტის რეზერვების საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვალებადობის რისკს, რაც გამოწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

უცხოური ვალუტის რეზერვების პორტფელი, რომელსაც მართავს ეროვნული ბანკი, იყოფა ტრანშებად და ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთის რისკს მის ტრანშებზე, ყველა ვალუტისთვის, საპროცენტო განაკვეთებში 1-პროცენტიან ცვლილებებზე დაყრდნობით, რაც მიუთითებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური საბაზრო ღირებულების ცვლილებას საშემოსავლო განაკვეთის 1 პროცენტიანი ცვლილების შედეგად. ბანკის მიერ ფლობილი ტრანშების რეალური საბაზრო ღირებულება ექვემდებარება რყევებს, თუმცა ეს რყევები არ უშლის ბანკს ხელს მისი ვალდებულებების შესრულებაში.

ბანკის საერთაშორისო რეზერვების საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა ტრანშების მიხედვით

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საპროცენტო განაკვეთში 1-პროცენტიანი ცვლილების გავლენას აქტივებზე (მაჩვენებლები წარმოდგენილია ათას აშშ დოლარში).

	2025		2024	
ვალუტა	**საპროცენტო განაკვეთის ზრდა**	**ზეგავლენა კაპიტალზე**	**საპროცენტო განაკვეთის ზრდა**	**ზეგავლენა კაპიტალზე**
საინვესტიციო ტრანში აშშ დოლარში	1%	(29,267)	1%	(27,879)
საინვესტიციო ტრანში ევროში	1%	(7,259)	1%	(3,510)
საინვესტიციო ტრანში ჩინურ იუანში გარე (BIS)	1%	(3,313)	1%	(1,615)
საინვესტიციო ტრანში კანადურ დოლარში *	1%	-	1%	(2,370)
ლიკვიდობის ტრანში აშშ დოლარში	1%	(12,494)	1%	(3,350)
სამუშაო კაპიტალის ტრანში აშშ დოლარში	1%	(767)	1%	(70)
სამუშაო კაპიტალის ტრანში ევროში	1%	(191)	1%	-

	2025		2024	
ვალუტა	**საპროცენტო განაკვეთის შემცირება**	**ზეგავლენა კაპიტალზე**	**საპროცენტო განაკვეთის შემცირება**	**ზეგავლენა კაპიტალზე**
საინვესტიციო ტრანში აშშ დოლარში	1%	30,169	1%	28,703
საინვესტიციო ტრანში ევროში	1%	7,491	1%	3,610
საინვესტიციო ტრანში ჩინურ იუანში გარე (BIS)	1%	3,313	1%	1,615
საინვესტიციო ტრანში კანადურ დოლარში *	1%	-	1%	2,435
ლიკვიდობის ტრანში აშშ დოლარში	1%	12,852	1%	3,444
სამუშაო კაპიტალის ტრანში აშშ დოლარში	1%	776	1%	71
სამუშაო კაპიტალის ტრანში ევროში	1%	195	1%	-

** სტრატეგიული აქტივების გადანაწილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებით 2025 წლის მარტიდან გაუქმდა საინვესტიციო პორტფელი კანადურ დოლარში.*

ვ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

ღია ბაზრის ოპერაციებისთვის, რისკი ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო ობლიგაციების საბაზრო ღირებულების და ლიკვიდობის მიწოდების ტრანზაქციებისას მიღებული უზრუნველყოფის ღირებულების ცვლილებასთან. უზრუნველყოფებთან მიმართებაში გაუფასურების რისკი მცირდება მარჟებისა და „haircut"-ების გამოყენებით, რომლებიც ამცირებენ მათ ღირებულებას და საშუალებას იძლევიან, რომ გასესხებული თანხის ეფექტური ნაწილი უზრუნველყოფის ღირებულებაზე ნაკლები იყოს.

ბანკის ფინანსური აქტივებისა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშვება იმ ალბათობით, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას მოახდენს მომავალ ფულად ნაკადებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საპროცენტო განაკვეთში 1-პროცენტიანი ცვლილების გავლენას ბანკის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტის გათვალისწინებით, სხვა ცვლადების უცვლელობის პირობებში.

კაპიტალის მგრძნობელობა გამოითვლება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინვესტიციების გადაფასებით საბაზრო საპროცენტო განაკვეთის 1 პროცენტიანი ცვლილებისათვის 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2025		2024	
	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	ზეგავლენა კაპიტალზე	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	ზეგავლენა კაპიტალზე
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	1%	(22,232)	1%	(50,203)

	2025		2024	
	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	ზეგავლენა კაპიტალზე	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	ზეგავლენა კაპიტალზე
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	1%	23,016	1%	50,203

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსების ცვლილებებით. აქტივების სავალუტო სტრუქტურიდან გამომდინარე, ბანკის აქტივების ღირებულებისთვის დამახასიათებელია ძირითადი ვალუტების კურსების ცვლილების რისკი. სავალუტო კურსის რისკის შემცირება გარკვეულ დონეზე შესაძლებელია აქტივების ფლობით ვალუტების დივერსიფიცირებულ პორტფელში. 2015 წლის 14 დეკემბრიდან, სამიზნე ვალუტების შემადგენლობა არის: აშშ დოლარი - 80%, ევრო - 10% და სხვა ვალუტები 10%–მდე (კანადური დოლარი, ჩინური იუანი და სხვა ვალუტები 10%-მდე). სტრატეგიული აქტივების გადანაწილების მიხედვით, დასაშვები გადახრა სამიზნე ვალუტის კომპოზიციიდან აშშ დოლარისთვის, ევროსთვის და სხვა ვალუტებისთვის +/-10%-ია.

მგრძნობელობა უცხოური ვალუტის მიმართ

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კონცენტრაციას ძირითად ვალუტებში და სავალუტო კურსების ლართან მიმართებაში 1%, 5%, 10% და 15%-ით ცვლილებების გავლენის ანალიზს მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, სხვა ცვლადების უცვლელად შენარჩუნების პირობებში. ცხრილში მოცემული უარყოფითი თანხები ასახავს სავარაუდო წმინდა კლებას მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი თანხები - სავარაუდო წმინდა მატებას.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**აშშ დოლარი**	**ევრო**	**SDR**	**ჩინური იუანი**	**კანადური დოლარი**	**სხვა**	**სულ**
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	13,167,636	1,850,708	1,285,611	295,507	56	264	16,599,782
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	(4,654,772)	(1,677,856)	(2,093,371)	-	-	(18,828)	(8,444,827)
წმინდა პოზიცია	**8,512,864**	**172,852**	**(807,760)**	**295,507**	**56**	**(18,564)**	**8,154,955**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**აშშ დოლარი**	**ევრო**	**SDR**	**ჩინური იუანი**	**კანადური დოლარი**	**სხვა**	**სულ**
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	9,385,067	1,106,512	1,276,277	291,431	428,479	2,012	12,489,778
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	(5,243,658)	(1,616,358)	(2,259,247)	-	-	(22,146)	(9,141,409)
წმინდა პოზიცია	**4,141,409**	**(509,846)**	**(982,970)**	**291,431**	**428,479**	**(20,134)**	**3,348,369**

	გავლენა სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე						
	2025						
	აშშ დოლარი	**ევრო**	**SDR**	**ჩინური იუანი**	**კანადური დოლარი**	**სხვა**	**სულ**
სავალუტო კურსის ზრდა 1%-ით	85,129	1,729	(8,078)	2,955	1	(186)	**81,550**
სავალუტო კურსის ზრდა 5%-ით	425,643	8,643	(40,388)	14,775	3	(928)	**407,748**
სავალუტო კურსის ზრდა 10%-ით	851,286	17,285	(80,776)	29,551	6	(1,856)	**815,496**
სავალუტო კურსის ზრდა 15%-ით	1,276,930	25,928	(121,164)	44,326	8	(2,785)	**1,223,243**
სავალუტო კურსის კლება 1%-ით	(85,129)	(1,729)	8,078	(2,955)	(1)	186	**(81,550)**
სავალუტო კურსის კლება 5%-ით	(425,643)	(8,643)	40,388	(14,775)	(3)	928	**(407,748)**
სავალუტო კურსის კლება 10%-ით	(851,286)	(17,285)	80,776	(29,551)	(6)	1,856	**(815,496)**
სავალუტო კურსის კლება 15%-ით	(1,276,930)	(25,928)	121,164	(44,326)	(8)	2,785	**(1,223,243)**

	გავლენა სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე						
	2024						
	აშშ დოლარი	ევრო	SDR	ჩინური იუანი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
სავალუტო კურსის ზრდა 1%-ით	41,414	(5,098)	(9,830)	2,914	4,285	(201)	**33,484**
სავალუტო კურსის ზრდა 5%-ით	207,070	(25,492)	(49,149)	14,572	21,424	(1,007)	**167,418**
სავალუტო კურსის ზრდა 10%-ით	414,141	(50,985)	(98,297)	29,143	42,848	(2,013)	**334,837**
სავალუტო კურსის ზრდა 15%-ით	621,211	(76,477)	(147,446)	43,715	64,272	(3,020)	**502,255**
სავალუტო კურსის კლება 1%-ით	(41,414)	5,098	9,830	(2,914)	(4,285)	201	**(33,484)**
სავალუტო კურსის კლება 5%-ით	(207,070)	25,492	49,149	(14,572)	(21,424)	1,007	**(167,418)**
სავალუტო კურსის კლება 10%-ით	(414,141)	50,985	98,297	(29,143)	(42,848)	2,013	**(334,837)**
სავალუტო კურსის კლება 15%-ით	(621,211)	76,477	147,446	(43,715)	(64,272)	3,020	**(502,255)**

სხვა რისკები

ანგარიშსწორების რისკი

ანგარიშსწორების რისკის (ე.ი. რისკი იმისა, რომ კონტრაჰენტმა შესაძლოა ვერ დაასრულოს ტრანზაქცია) შემცირების რამდენიმე გზა არსებობს. ბანკი მხოლოდ მას შემდეგ გადარიცხავს თანხებს, რაც დარწმუნდება რომ ტრანზაქციისთვის საკმარისი უზრუნველყოფა არსებობს. ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ტრანზაქციებისას ანგარიშსწორების რისკი იფარება ისეთი სისტემების გამოყენებით, რომლებიც ემყარება გადახდისთანავე მიწოდების პრინციპს, რაც გულისხმობს ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების თანადროულ/ერთდროულ გაცვლას. გარდა ამისა, ანგარიშსწორება ხორციელდება ბანკის მიერ ფლობილი, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს თითოეული მონაწილის პოზიციას რეალურ დროში ინდივიდუალური გადახდების საფუძველზე. ამის შედეგად, ავტომატურად ხდება ოვერდრაფტების თავიდან აცილება და იქიდან გამომდინარე, რომ სისტემა ამავდროულად იყენებს ბანკში განთავსებულ აქტივებს ანგარიშსწორების წყაროდ, ის საკრედიტო რისკს ამცირებს.

არაფინანსური რისკი

არაფინანსური რისკები, რომლის მიმართაც ეროვნულ ბანკს მოწყვლადობა გააჩნია, მოიცავს საოპერაციო და რეპუტაციულ რისკებს. საოპერაციო რისკს, თავის მხრივ განაპირობებს არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესები, ადამიანური ფაქტორები, სისტემები და გარე მოვლენები. საოპერაციო რისკები თავის მხრივ აერთიანებს შემდეგ კატეგორიებს: სამართლებრივი რისკი, ტექნოლოგიური რისკი, ადამიანური რესურსების რისკი, უსაფრთხოების რისკი (ფიზიკური და ინფორმაციული), მესამე მხარის, ბიზნესის უწყვეტობის, თაღლითობისა და შესაბამისობის რისკები. არაფინანსური რისკის რეალიზებამ შესაძლოა წარმოშვას ფინანსური ზარალი, შელახოს ბანკის რეპუტაცია ან ხელი შეუშალოს ბანკს მისი მიზნების შესრულებაში. ამისათვის, ბანკში შექმნილია რისკების ცენტრალიზებული მართვის სისტემა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არაფინანსური რისკებით გამოწვეული ფინანსური ზეგავლენა და ბანკი უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური შიდა კონტროლის სისტემებით.

რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო მოიცავს არაფინანსური რისკების მართვის, ინციდენტების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემებს, რომელთაც თავის მხრივ აძლიერებს შიდა კონტროლის პროცედურების სისტემა. არაფინანსური რისკების შეფასება ხდება ხარისხობრივ მეთოდზე (5 დონიანი) დაყრდნობით და აერთიანებს ბანკის ყველა პროცესს, რომელთა არასრულყოფილად ან ხარვეზებით წარმართვამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ეროვნული ბანკის მიზნების მიღწევაზე. ინციდენტების მართვის სისტემა ემსახურება ინციდენტების გამოვლენასა და მათ ანალიზს, რათა თავიდან იქნას არიდებული მათი ხელახალი განმეორება. საოპერაციო რისკების შეფასების გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით ბანკმა შეარჩია და მიიღო რაოდენობრივი შეფასების მეთოდი - სტანდარტიზებული გაზომვის მიდგომა (Standardized Measurement Approach). დანერგვის პროცესის დასრულების მიზნით, ბანკი გააგრძელებს მუშაობას ფინანსური დანაკარგების მაჩვენებლებზე, თანმიმდევრული პროცესებისა და პროცედურების განვითარებაზე. ბანკი იყენებს მოდელების რისკის მართვის ჩარჩოს, რომელიც მოიცავს მოდელების აღრიცხვას, თითოეულის აღწერას, შეფასებას, სტანდარტიზებული ფორმით დოკუმენტირებას და არა-ფინანსური რისკების განსაზღვრის პროცესებს. ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემა ახდენს ბანკის კრიტიკული პროცესების მდგრადობის მუდმივ გაუმჯობესებას, რისთვისაც ადგენს საჭირო პროცედურებს, ახორციელებს მუდმივ ტესტირებასა და ახალი სცენარების შემუშავებას.

ბანკმა განსაზღვრა არაფინანსური რისკის მისაღები დონე (რისკის მადა), რომელსაც ეროვნული ბანკი მიიჩნევს მისაღებად თავისი მანდატისა და ამოცანების განხორციელების პროცესში. მთლიანობაში, ეროვნულ ბანკს კონსერვატიული მიდგომა აქვს საოპერაციო და რეპუტაციული რისკების მიმართ და ოპერირებს დაბალი რისკის მადისა და ტოლერანტულობის დონის საზღვრებში. აქედან გამომდინარე, ბანკი უზრუნველყოფს ადეკვატური რაოდენობის რესურსების გამოყოფას და ეფექტური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას, რათა არაფინანსური რისკის დონე შენარჩუნებული იქნას დაბალი რისკის ზონაში. რისკის მადის მაჩვენებელი გადაიხედება და მტკიცდება ყოველწლიურად ბანკის საბჭოს მიერ.

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის, არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან გამჟღავნებას განმარტებით შენიშვნაში.



საქართველო, თბილისი 0114, სანაპიროს 2
ტელ.: (995 32) 2 406 488
ცხელი ხაზი: (995 32) 2 406 406
ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge; www.nbg.gov.ge

www.nbg.gov.ge